780
1982/2
83

საუნჯე

1982

2





ნელი ჩიქოვანი — ნანა ალექსანდრიას პორტრეტი

საუნჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

2

(47)
მარტი
აპრილი

1982

შინაარსი

გაბრიელ გარსია მარკესი. მარტოობის ასი წელიწადი. რომანი. დასაწყისი. ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა 3
მიხეილ ლერმონტოვი. ლექსები. თარგმნა ოთარ შალამბერიძემ 133
კობო აბე. ქალი ქვიშაში. რომანი. დასასრული. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ 141
ნინა კატერლი. ბანბი. მოთხრობა. თარგმნა ლაურა კალანდაძემ 194
ისიდორ კოზათი. ლექსები. თარგმნა ნოდარ ნარხაამ 227
ყაჯუმარ ალბორთი. ლექსები. თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 230
შტეფან ცვაიგი. ქალი და ბუნება. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა 234
ტომას ვულფი. მონოლოგი მარტოსულისა. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა 252
ედუარდ ესველი. ორიოდე სიტყვა ტომას ვულფზე. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა 258
ტომას ელიოტი. ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი. ინგლისურიდან თარგმნა მანანა ფორჩხიძემ 260
დიმიტრი ლიხაჩოვი. შენიშვნები რუსულ ხასიათზე. თარგმნა ანდრო რობაქიძემ 265
ვლადიმირ ჩერედნიჩენკო. „წამიერების" კატეგორია ა. ფეტის პოეზიაში. თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ 287
რუსუდან თურნავა. პიერ-ჟან დე ბერანჟე ქართულ ლიტერატურაში 310

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

პ. მგ. მდივანი:
ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
ოთარ ნოდია
ნიკო ყიასაშვილი
თამაზ ჩხენკელი
დავით წერედიანი

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ
№ 2
1982
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანზე: მარი ლორანსენი. პოლ გიიომის მეუღლის პორტრეტი

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი ე. წულეისკირი.
გად. წარმ. 13. 10. 81 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 30. 3. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/32.
სააღრ. თ. 24,5. დაქვ. საბ. თ. 29,0. [illegible]ვის გატ. 29,4. ტირ. 10.000. შეკვ. № 503.
ფასი 2 მან.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. 380008. ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина № 14.

გაბრიელ გარსია მარკესი

მარტოობის ასი წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა

17274

რამდენიმე სიტყვა გაბრიელ გარსია მარკესსა და მის რომანზე „მარტოობის ასი წელიწადი“

კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი 39 წლისა იყო, როდესაც გამოქვეყნდა მისი რომანი „მარტოობის ასი წელიწადი“. მწერალს ამ დროისათვის საკმაო გამოცდილება ჰქონდა მიღებული ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც: იგი კორესპონდენტად მუშაობდა ბოგოტაში, პარიზში, კარაკასში, ნიუ-იორკში; კინოსცენარისტად — მექსიკაში; გამოცემული ჰქონდა ნაწარმოებები: „მკვდარი ფოთოლი“ (1955 წ.), „პოლკოვნიკს წერილს არავინ სწერს“ (1958), „ჟამი უამური“ (1962) და მოთხრობების კრებული — „დედა-გრანდეს დაკრძალვა“. ასე თუ ისე მარკესს უკვე იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში და თითქოს მასაც განსაზღვრული ჰქონდა საკუთარი სამწერლო თემა: კოლუმბიის პროვინციული ქალაქის ყოფის აღწერა, მაგრამ მწერალს მაინც გულს აკლდა, მთლად კმაყოფილი არ იყო საკუთარი თავისა. დიდი ხანია სურვილი სწვავდა, შეექმნა ისეთი რომანი, რომელიც მკითხველს ღრმად ჩაახედებდა სინამდვილეში, ამისთვის კი, მწერლისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭირო იყო სინამდვილის ისე გადმობრუნება, რათა ყველას ეხილა მისი უკუღმა პირი“.

და მართლაც, გარსია მარკესს ეყო შეუპოვრობა, მიზანდასახულება და, რაც მთავარია, ნიჭი, რათა თავისი ჩანაფიქრისთვის ხორცი შეესხა. მან შექმნა ერთადერთი და გამორჩეული ნაწარმოები არა მარტო ლათინური ამერიკის, არამედ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. მან შექმნა თავისებური რომანი-ეპოსი, რომელიც აღსავსეა ეპიკური ამბებითა და ასევე ეპიკური, მონუმენტური სახეებით. ეს არის რომანი, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას მართალი და გამონაგონი, ტრაგიკული და კომიკური, დრამა და ლირიკა (როგორც ცხოვრებაშია საერთოდ).

ფანტასტიკა ამ რომანის სტილისა და შინაარსის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. იგი მჭიდროდ უკავშირდება სინამდვილეს, რეალურის ნაწილია და ამ რეალურს ახალი კუთხიდან — „უკუღმა პირიდან“ გვიჩვენებს.

რომანის ფანტასტიკა სათავეს იღებს უძველესი კულტურული საგანძურიდან: ბიბლიური თუ ანტიკური მითებიდან, ხალხური ზღაპრებიდან და თქმულებებიდან. ამ მხატვრული ხერხის მეშვეობით მწერალი მეტ სიღრმესა და მასშტაბურობას სძენს ამა თუ იმ ამბავსა და გმირს, ზოგჯერ ეს ხერხი მწერალს იხმარება ირონიული ქვეტექსტითაც გაამდიდროს სახე.

სწორედ ხალხური ზღაპრებიდან და საიქიოს შესახებ ხალხში გავრცელებული თქმულებებიდან გადმოსულან წიგნში აჩრდილები. ისინი „არამატერიალურად გამატერიალე-

ბულ" მოგონებებად წარმოგვისახავენ მიცვალებულებს, რომლებიც ადამიანთა მოგონებებში მანამდე ცოცხლობენ, ვიდრე დავიწყების ფერფლი არ გადაეფარებათ მათ, ბოლოს როგორც კი გადაეფარებათ, მაშინვე „საბოლოო სიკვდილის სამყოფელს" მიაშურებენ. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ოჯახში, თავისი მშობელი მამის აჩრდილს რომ ვერ ხედავდა და ვერ ხედავდა იმიტომ, რომ მის დაცარიელებულ სულში იოტისოდენა მოგონებაც არ დარჩენილიყო მამაზე.

რომანში ბევრია ისეთი ადგილი, რომელიც თავისი გროტესკით რაბლეს მოგვაგონებს. რაღაც რაბლესეული აქვთ ურსულას უფროს ვაჟს — სქესობრივად გაუმაძღარ ხოსე არკადიოსა და სტომაქამოუყორავ აურელიანო მეორეს. ორივე მწერალი — სახელგანთქმული ტურენელი და ჩვენი თანამედროვეც — ერთ ხაზს მიჰყვებიან: ორივე იზიარებს ხალხისეულ ოპტიმისტურ შეხედულებას ცხოვრებაზე, როგორც ერთ მთლიან პროცესზე, სადაც მაღალი და მდაბალი, სულიერი და მატერიალური განუყოფლად დგას ერთმანეთის გვერდიგვერდ.

წიგნში მოქმედება ვითარდება რეალურ ისტორიულ წლებში და რეალურ სამგანზომილებიან სივრცეში („მეოთხე განზომილების" აღმოჩენაზე მწერალი დაცინვით ალაპარაკებს ხოსე არკადიო ბუენდიას). მთხრობელს თხრობისას ნება აქვს წინ გაუსწროს მოვლენებს და ამას აკეთებს არა იმიტომ, რომ შეუძლია სურვილისამებრ გამოიყენოს საკუთარი „სუბიექტური" დრო, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ, ზედმიწევნით კარგად იცის ყველაფერი და ამ ხერხით სურს დააინტერესოს მსმენელი (ან მკითხველი). იგი გადმოგვცემს ერთმანეთის საწინააღმდეგო და სხვადასხვა წყაროებიდან გამომდინარე მოსაზრებებს მოვლენებსა თუ ადამიანებზე, მაგრამ საბოლოო აზრი თვითონ გამოაქვს ისტორიის ობიექტურ სიმართლესა და ხალხის მიერ გამოტანილ განაჩენზე დაყრდნობით, რამეთუ თავის გმირებს ის სჯის სწორედ ხალხის მიერ გამომუშავებულ ზნეობრივი კანონებიდან გამომდინარე. ამიტომაც ზოგიერთი ბუენდიას ცხოვრება იგავივით აქვს მწერალს გადმოცემული. ეს არის ამბავი უფროსობის მოყვარული კაცისა, ჭამა-სმას გადაყოლილი კაცისა, წოდებრივი სიამაყით შეპყრობილი ქალისა, ამბავი ერთი ჭაბუკისა, სრულიად შემთხვევით რომ ჩაუვარდება ხელში ძალაუფლება და ა. შ.

რომანში მოქმედება ვითარდება პატარა ქალაქ მაკონდოს დამაარსებლების — ბუენდიების ოჯახში მომხდარი ამბების ფონზე. მაკონდო გამოგონილია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი კოლუმბიაში, მდინარე მაგდალენას აუზში მდებარეობს, რეალური ქალაქის არაკატაკის მახლობლად, სადაც 1927 წელს დაიბადა მომავალი მწერალი.

მაკონდოს ასწლეულის ისტორია იგივე კოლუმბიის ისტორიაა დაახლოებით მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან თითქმის მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე. ეს არის ისტორია აღსავსე იმ ტიპური ამბებითა და მოვლენებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო არა მარტო კოლუმბიის, არამედ ლათინური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყნის ისტორიისთვისაც.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სამხედრო საგმირო საქმეები ნამდვილ ფაქტებს ეყრდნობა. 1830 წლიდან თითქმის 1903 წლამდე კოლუმბიაში წამოიწყეს საყოველთაო ეროვნული მასშტაბის ცხრა სამოქალაქო ომი, თოთხმეტი „ლოკალური" ომი და სამი პუტჩი, რამდენჯერმე დამყარდა სამხედრო დიქტატურა. ბრძოლა მიმდინარეობდა ორ ტრადიციულ პარტიას შორის — ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის, უფრო ზუსტად, მათ მეთაურ ოლიგარქიულ დაჯგუფებათა შორის. ორივე პარტიამ არაერთხელ შეიცვალა პოლიტიკური პროგრამა და მოვლენებისდა მიხედვით ან უზავდებოდნენ ერთმანეთს ან პირიქით, ზავს არღვევდნენ. გამარჯვებულები მდიდრდებოდნენ, მთავრობაში გამოსარჩენსა და საპატიო ადგილს იკავებდნენ და დამარცხებულთა მიწებს ითვისებდნენ.

სამოქალაქო ომებმა ძალა გამოაცალეს ქვეყანას და მანაც უსიტყვოდ გაუღო კარი იმპერიალისტურ კაპიტალს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბანანის კომპანიის ამბები ყველაზე დაძაბული და თითქმის დოკუმენტური სიზუსტით არის გადმოცემული რომანში. ბანანის კომპანიამ, იგივე ყბადაღებულმა მონოპოლიამ — „იუნაიტედ ფრუტ კომპანიმ" კოლუმბიაში შეაღწია გასული საუკუნის მიწურულსა და მდ. მაგდალენას სანაპიროზე თავისი პლანტაციები გააშენა. ამ „ბანანის სამოთხეში" შრომა და ცხოვრება რომანში ზუსტად არის აღწერილი: ხალხი კატორღულად შრომობდა, ქოხმახებში ცხოვრობდნენ, არ გააჩნდათ აუცილებელი ჰიგიენური პირობები და სამედიცინო დახმარება. შრომის საზღაურადაც ხელფასის ნაცვლად ბონებს ურიგებდნენ და ამ ბონებით მხოლოდ კომპანიის მაღაზიებში თუ იყიდდნენ რამეს, ისიც მეტისმეტად ძვირად.

1929 წლის 12 ნოემბერს კომპანიის პლანტაციებში საყოველთაო აჯანყებამ იფეთქა და მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გარსია მარკესი აღწერს: „პლანტაციებში მუშაობა შეწყდა, ხილი ლპებოდა, ას ოც ვაგონიანი მატარებლები უქმად იდგნენ რკინიგზის ჩიხებში". კომპანიის მესვეურებმა მთავრობას მიმართეს დახმარებისთვის. ამიტომაც ჯარე-ბი გამოგზავნეს და სადგურის მოედანზე თავმოყრილ გაფიცულებს, მათი ოჯახის წევრებსა და უბრალოდ სეირის საყურებლად მოსულ ხალხს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი და-უშინეს... ამ გაუგონარი სისხლისღვრის მერე მოედანზე ათას ხუთასამდე [illegible]

ბანანის კომპანიამ საბოლოოდ მოუღო ბოლო მაკონდოს, უკაცრიელი გახადა იგი. სწორედ აქ ჩანს მთავარი აზრი რომანისა, სწორედ ასე დახატა მწერალმა კოლუმბიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დამოკიდებულება აშშ-ს მონოპოლიებთან. მართალია, მწერალი აქ თითქოს რეალურობას შორდება და ურჩი მაკონდოელების დასასჯელად და დასაღუპავად მისტერ ბრაუნს გამოაწვევინებს საბედისწერო წვიმას, რომელიც ზუსტად ოთხ წელიწადს, თერთმეტ თვესა და ორ დღეს გაგრძელდება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ლიტერატურული ხერხი ქარაგმულად მიგვანიშნებს მწერლის თვალთახედვაზე. „ბანანის კომპანიის" თანამოძმეებთაგან ზოგს ხელი არ მიუწვდებოდა ჯადოქრობაზე და ამიტომ ხალხის დასაშინებლად და დასამორჩილებლად სხვა ხერხს მიმართავდნენ. კერძოდ, „ეკონომიურ სანქციებს", იგივე ეკონომიურ ბლოკადას. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით, როდესაც არსებობს მძლავრი სოციალისტური ბანაკი, ეს ხერხი არც თუ ისე ვარგისია. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სოციალისტური კუბა.

პოლიციური რეჟიმი, ზურგიდან მიპარვით თავდასხმა და მკვლელობა, პროვოკაცია და ხალხის დაშინება — ლათინური ამერიკის კონტინენტზე გაფანტულ ათასობით მაკონდოს მწარე წილხვედრია დღესაც.

გაბრიელ გარსია მარკესის რომანი უპირისპირდება თანამედროვე მოდერნიზმის „უგმირო" და „არაჰუმანურ-უსულგულო" ლიტერატურას. მისი გმირები, მეტწილად რკინის ნების, ძლიერი ვნებების ადამიანები არიან. ისინი მოქმედების ადამიანები არიან, საკუთარ თავს უპირველესად საქმეში ავლენენ და სწორედ ეს მატებს წიგნს განსაკუთრებულ დინამიურობას.

ადამიანური იმედების მსხვრევის თემა რომანში არაერთგზის მეორდება და ამ მხრივ იგი ტრაგიკულია, მაგრამ უიმედობას როდი გიტოვებს გულში! ერთობ ძლიერად და მაღალმხატვრულად აქვს მწერალს დახატული ჭეშმარიტად ადამიანური გრძნობები და თვისებები: მშობელი მიწის ძახილი, სიყვარული, შრომისმოყვარეობა, სულიერი სიწმინდე, მოვალეობის ერთგულება, სიმამაცე. მწერალი რისხვით იმაღლებს ხმას იმ ბნელი სოციალური ძალების წინააღმდეგ, რომელმაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა მისი მაკონდო. კოლუმბიელი მწერლის ჰუმანიზმი აქტიურია, ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მას სწამს: როდესაც ადამიანი (ან მთლიანდ საზოგადოება) კარგავს გამბედაობას, ივიწყებს წარსულს, ეგუება ბოროტებას, — იგი უკვე განწირულია, ალარაფერი უშველის: ან წითელი ჭიანჭველები შეჭამენ, ან სხვა ისეთი უწმინდური მოუღებს ბოლოს, ჯერაც რომ ბოგინობს დღევანდელ მსოფლიოში.

„ინოსტრანნაია ლიტერატურა", 1970 წ. № 8.

ბევრი წლების და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად. მაკონდო მაშინ ერთი პატარა სოფელი იყო: თიხის და ლერწმისგან შეკოწიწებული ოციოდე ქოხი ჩაედგათ მდინარის პირას, რომლის გამჭვირვალე ტალღებიც თავდაუზოგავად მიექანებოდნენ პრეისტორიულ კვერცხებივით უზარმაზარი ქვების თეთრსა და კრიალა სარეცელზე. ქვეყანა ისეთი ახალი იყო, რომ ბევრი საგნისთვის ჯერაც არ დაერქმიათ სახელი და მხოლოდ თითით უჩვენებდნენ.

ყოველ წელიწადს, მარტის თვეში, სოფლის ახლოს ჩამოძონძილი ბოშები შლიდნენ კარვებს და სასტვენებისა და ტამბურების ხმაზე ამცნობდნენ მაკონდოელებს მეცნიერების უახლეს მიღწევებს. პირველ ჩამოსვლაზე ბოშებმა მაგნიტი ჩამოიტანეს. ერთი ზორბა წვეროსანი ბოშა, ბეღურას ფეხებივით რომ დაღვლარჭნოდა ხელის თითები, მელკიადესად გაეცნო ყველას და უნაკლოდ წარმოუდგინა საზოგადოებას, — როგორც თავად აღნიშნა, — მაკედონელ ალქიმიკოსთა მიერ შექმნილი ქვეყნიერების მერვე საოცრება: ხელში რკინის ძელებმომარჯვებული ბოშა სათითაოდ ყველა ქოხში შედიოდა და შეძრწუნებული ხალხი ხედავდა, მათი ტაშტები, ქვაბები და ტაფები როგორ ტოვებდნენ მიჩენილ ადგილს, ხოლო ლურსმნებს და ჭანჭიკებს ისეთი ჭრაჭაჭრუჭი გაუდიოდათ, ლამის ფიცრებიდან ამოცვენილიყვნენ. დიდი ხნის წინათ უგზოუკვლოდ დაკარგული ნივთები ახლა სწორედ იქ ჩნდებოდნენ, სადაც ყველაზე მეტად ეძებდნენ ხოლმე პატრონები და უწესრიგოდ მისდევდნენ უკან მელკიადესის სასწაულმოქმედ რკინის ძელებს. „საგნები უსიცოცხლონი როდი არიან,—თავისებურ კილოზე გაჰყვიროდა ბოშა, — ოღონდ ძალა უნდა შეგწევდეს, სული შთაბერო მათ!“ ხოსე არკადიო ბუენდიას ჭკუაზე მეტად ფანტაზიის სიჭარბე აწუხებდა და გადაწყვიტა, მეცნიერებაში ჯერჯერობით გამოუსადეგარი ეს საოცრება მიწიდან ოქროს ამოსაღებად გამოეყენებინა. მელკიადესი პატიოსანი კაცი იყო და გააფრთხილა, მაგ საქმისთვის მაგნიტი არ გამოდგებაო, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიას ჯერ კიდევ მაშინ არ სჯეროდა ბოშების პატიოსნებისა და მაგნიტურ ძელებში ჯორი და რამდენიმე თხა გაუცვალა მელკიადესს. ხოსე არკადიო ბუენდიას ცოლს ურსულა იგუარანს ამ პირუტყვის იმედი ჰქონდა, ეგებ ოჯახი ცოტა გავმართო წელშიო, და ყოველნაირად ცდილობდა ქმრისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ, მალე „ყელამდე ოქროში ჩაგავლებო“, ჰპირდებოდა ქმარი და ამ დღიდან მოყოლებული ბარე ორი და სამი თვე ჯიუტად [illegible]იბდა დანაპირების ასრულებას: მტკაველ-მტკაველ რომ გადათხარა სოფელი, მერე მდინარის ფსკერსაც მისწვდა. დაათრევდა რკინის ძელებს და მელკიადესის ნასწავლ შელოცვას ხმამაღლა იმეორებდა. ერთადერთი რამ, რაც მიწიდან ამოქექა და დღის სინათლეზე გამოიტანა, მეთხუთმეტე საუკუნის ჟანგმოდებული საომარი გექთან-მუზარადი იყო, რომელიც ხელის ოდნავ შეხებაზეც კი ქვებით ამოვსებულ გოგრასავით გუგუნებდა. ხოსე არკადიო ბუენდიამ და მისმა ოთხმა თანამოლაშქრემ ნაპოვნი გაჩხრიკეს და ჯავშანქვეშ აღმოაჩინეს ჩონჩხი: მკერდის ძვლებზე ქალის კულულიანი მედალიონი ეცვა.

მარტში ბოშები კვლავ ესტუმრნენ მაკონდოს. ამჯერად ჭოგრიტი და დოლისოდენა ლუპა ჩამოიტანეს და ხალხს აუწყეს, ეს უახლესი გამოგონება ამსტერდამელ ებრაელებს ეკუთვნითო. დასვეს ერთი ბოშა ქალი სოფლის ბოლოში, ჭოგრიტი კი კარავთან გზიდან კარგა მოშორებით გამართეს. საოცრების ნახვის მსურველი ხუთ რეალს იხდიდა, ჩაიხედავდა ჭოგრიტში და ბოშა ქალი ისე ახლოს იჯდა, ლამის ხელით მისწვდენოდა. „მეცნიერებამ მოსპო მანძილი, — ქადაგებდა მელკიადესი. — სულ მალე დადგება დრო, როცა ადამიანს შეეძლება დაინახოს ყველაფერი დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეშიც კი, და თანაც დაინახოს ისე, რომ სახლიდან ფეხიც არ მოიცვალოს“. ერთ პაპანაქება შუადღეს ბოშებმა უცნაური სანახაობა გამართეს: შუა გზაზე ერთი ბლუჯა თივა დაყარეს და ლუპით მზე დაახვედრეს. მალე თივა აბრიალდა. ხოსე არკადიო ბუენდიას ჯერაც რომ ვერ მოენელებინა მაგნიტის საქმეში ნაგემი მარცხი, მაშინვე

დაებადა აზრი, ეს ლუპა საომარ იარაღად გამოეყენებინა. მელკიადესმა ახლაც უარი უთხრა, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა და სანაცვლოდ თავისი ორი მაგნიტური ძელი დაიბრუნა და სამი ოქროს მონეტაც მიიღო. გულგა[illegible] ურსულა ცრემლად იღვრებოდა. ეს მონეტები ხომ პატარა ზანდუკში [illegible]ბულ, მამამისის მოგროვილ ძველებურ ოქროს ფულს მოაკლო! [illegible] მთელი სიცოცხლე ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, ოღონდ კი [illegible]ვებინა. ურსულას ზანდუკი თავის საწოლქვეშ ჰქონდა გადამალული შავი დღისთვის. ხოსე არკადიო არც ცდილა ცოლის დამშვიდებას, თავით ფეხამდე ჩაეფლო თავის ცდებში და ნამდვილი მეცნიერის თავგანწირვით შეუდგა მუშაობას. ერთხელ, ცოტას გაწყდა, თვითონაც არ შეეწირა. აქაოდა, იქნებ ლუპა მტერთან ბრძოლაში გამოგვადგესო, საკუთარ სხეულზე ჩაატარა ცდა. შედეგად კი ის მიიღო, რომ დამწვარი ადგილები წყლულებად გადაექცა და კარგა ხანს არც მოშუშებია. ის კი არადა, საკუთარი სახლის გადაწვაც მოინდომა, მაგრამ ცოლი მტკიცედ აღუდგა წინ მის განზრახვას. თავის ოთახში ჩაკეტილ ხოსე არკადიო ბუენდიას არა ერთი და ორი საათი გაუტარებია ფიქრებში ჩაძირულს. იქნებ ეს ახალი იარაღი სტრატეგიული მიზნებისთვის გამოვიყენოო. ამის თაობაზე სახელმძღვანელოც კი შეადგინა, საოცრად ნათელი მსჯელობითა და დასაბუთებული აზრიანი დასკვნებით აღსავსე. ბოლოს ამ სახელმძღვანელოს ჩატარებული ცდების მხილველთა ჩვენებები და ერთი-ორი ნახაზიც დაურთო და მთავრობას გაუგზავნა მალემსრბოლის ხელით. შიკრიკმა გადალახა მთები, გაიარა გაუვალი ჭაობები, გადაცურა აბორგებული მდინარეები, რამდენჯერმე დაუსხლტა ნადირის კბილებს და ვიდრე ფოსტის გზაზე გავიდოდა, დარდისაგან სიკვდილიც გადაიტანა და ჭირისაგან სიკვდილიც. თუმცა იმხანად ქალაქამდე მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, ხოსე არკადიო ბუენდია წერილში მაინც ჰპირდებოდა მთავრობას, პირველივე დაძახებაზე მანდ გავჩნდები, სამხედრო თავკაცებს ვუჩვენებ ჩემს გამოგონებას და არა მარტო ვუჩვენებ, კიდევაც შევასწავლი მზის ომის რთულ საქმესო. ბოლოს ლოდინით გაბეზრებულმა მელკიადესს შესჩივლა, ახლაც დავმარცხდიო, და მაშინ ბოშამ მეტად დამაჯერებლად წარმოუჩინა მასპინძელს თავისი კეთილშობილება: დაიბრუნა ლუპა, დაუბრუნა ფული და ზედაც საჩუქრად დაუმატა პორტუგალიური რუკები და საზღვაოსნო ხელსაწყოები. მერე საკუთარი ხელით დაუწერა ბერი ჰერმანის შრომების მოკლე შინაარსი და ასტროლაბისა და ბუსოლის გამოყენების წესები. ხოსე არკადიო ბუენდიამ წელიწადის ყველაზე ხანგრძლივი დრო — დაუსრულებელი წვიმების დრო — ერთ პატარა, მყუდრო და მივარდნილ ოთახში გაატარა: ეს ოთახი თვითონ ამოირჩია, რათა ხელი არავის შეეშალა მისთვის მეცნიერულ დაკვირვებათა ჩატარებისას. ხოსე არკადიომ სრულიად დაივიწყა ოჯახის თავკაცის მოვალეობა: ღამით ეზოში გადიოდა და ვარსკვლავებს ადევნებდა თვალს, დღისით ზენიტის განმსაზღვრელ ზუსტ ხერხს ეძიებდა და ერთხელაც ისე გაერთო მის ძებნაში, ლამის მზემ არ დაჰკრა. ხელსაწყოები სრულად რომ შეისწავლა, სამყაროზე უკვე ისე ზუსტი წარმოდგენა შეექმნა, რომ ამიერიდან შეეძლო დაუბრკოლებლივ გადაეცურა უცნობი ზღვები, გამოეკვლია ასევე უცნობი ადგილები და დაახლოებოდა საოცარ არსებებს ისე, რომ თავისი ოთახიდან ფეხიც არ მოეცვალა. სწორედ ამ ხანებში ექცა ჩვეულებად საკუთარ თავთან საუბარი და ოთახებში ბორიალი. მის ცოლ-შვილს კი ამ დროს შრომით წელი სწყდებოდა ბანანისა და მალანგის, მანიოკისა და ნიამის,

აუიამისა[1] და ბადრიჯნის ბაღჩა-ბაღებში. მაგრამ მალე ხოსე არკადიო ბუენდიას მჩქეფარე საქმიანობას წერტილი დაესვა და სამაგიეროდ რაღაცნაირი უცნაური გუნება-განწყობილება დაეუფლა: ჩაფიქრებული მონუსხულივით დაბორიალობდა, რაღაცას დუდღუნებდა, თვითონვე უკვირდა. თავში ისეთი საშინელი და დაუჯერებელი აზრები უტრიალებდა, მერე დეკემბრის ერთ სამშაბათ დღეს სადილობისას, როგორც იქნა, გზა მისცა მტანჯველ ფიქრებს. ბავშვებს მთელი სიცოცხლე ემახსოვრებათ, რა დიდის ამბით დაჯდა სუფრის თავში მათი მამა და ციებაშეყრილივით აცახცახებულმა როგორ აუწყა ყველას თავისი ახალი აღმოჩენა:

— დედამიწა ფორთხოლავით მრგვალია!

ურსულა ლამის გადაირია: „შენ თუ გინდა ჭკუაზე შეიშალო, შეიშალე, ბატონო, ხელს არავინ გიშლის, ბავშვებს კი თავი დაანებე, გონებას ნუ ურევ იმ შენი წყეული ბოშების მონაჩმახით!“ — უყვირა ქმარს, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიას ვითომ არც გაუგონია, არც მაშინ შეურხევია წარბი, გაავებულმა ცოლმა იატაკს რომ დაანარცხა მისი ასტროლაბი. მოთმინებით გამართა მან ახალი ხელსაწყო, თანასოფლელ კაცებთან ერთად ოთახში ჩაიკეტა და მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით, — თუმცა ამ დასკვნებისა ვერავინ ვერაფერი გაიგო, — ახალი საოცარი აზრი გამოთქვა: თუ სულ აღმოსავლეთისკენ ვივლით, ისევ იმ ადგილზე დავბრუნდებით, საიდანაც გზას დავადექით. კაცებმა მთელ სოფელს მოსდეს, ხოსე არკადიო ბუენდია ნამდვილად ჭკუაზე შეიშალაო, მაგრამ ამ დროს მოვიდა მელკიადესი და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ბოშამ საჯაროდ შეასხა ქება ადამიანის გონებას, ქება შეასხა თვით ხოსე არკადიო ბუენდიას, ვინც მხოლოდ და მხოლოდ ასტრონომიული დაკვირვებითა და ცდების მეშვეობით აღმოაჩინა უკვე კარგა ხნის წინ აღმოჩენილი და ცნობილი ამბავი. მერე რა ვუყოთ, რომ მაკონდოელებს ჯერაც არაფერი სმენიათ ამის თაობაზე! თავისი აღტაცებისა და მადლიერების ნიშნად მელკიადესმა ხოსე არკადიო ბუენდიას უბოძა საჩუქარი, რასაც ბედად ეწერა გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა მაკონდოელთა ბედ-იღბალზე: ეს იყო ალქიმიური ლაბორატორია მთელი თავისი აღჭურვილობით.

მაკონდოში პირველი ჩასვლისას მელკიადესი ხოსე არკადიოს ტოლი ჩანდა თითქმის, მაგრამ ახლა რატომღაც სწრაფად მოტყდარიყო და დაბერებულიყო. სამაგიეროდ ხოსე არკადიო გამოიყურებოდა ჯანიანად: ცხენს რომ ყურებში ჩაავლებდა ხელს, ისე სწრაფად წამოაქცევდა, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებდა კაცი. ბოშას კი რაღაც უცნაური სნება შეჰყროდა, ჯიუტად მისდგომოდა მის ხორცს და სჭამდა და ძიძგნიდა. თუმცა რის ერთი სნება! მთელი ცხოვრება გაუთავებელ ხეტიალში გალია ბოშამ, ათას ჭირსა და სნებას გაუძლო, მაგრამ სამაგიეროდ ახლა უწია ყველამ ერთად. „სიკვდილი კუდში დამდევს. ხან სად ჩამისაფრდება, ხან სად, მაგრამ ვერ ბედავს საბოლოოდ ჩამასოს კლანჭები“,— ეუბნებოდა მელკიადესი ხოსე არკადიო ბუენდიას ლაბორატორიის გამართვისას. მართლაც, რა არ გადახდომია კაცობრიობას თავს, მაგრამ მელკიადესს ერთი თმის ბეწვი რა არის, ისიც კი არ შერხევია არასდროს. სპარსეთში პელაგრას სძლია, მალაის არქიპელაგზე — სურავანდს, იაპონიაში — ბერიბერს, ალექსანდრიაში — კეთრს, მადაგასკარზე — ბუბონურ შავ ჭირს,

[1] ძირხაყოფა კულტურული მცენარეები

სიცილიაში მიწისძვრისას არაფერი დაშავებია, მაგელანის სრუტეში ხომალდის ჩაძირვისას კი მრავალთაგან მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი. არაჩვეულებრივ, დიდების შარავანდედით დამძიმებულ სანეკუშტ ვაცს, რომელიც ირწმუნებოდა, ნოსტრადამუსის[1] ყველა საიდუმლო ვიციო, აზიური თვალები ჰქონდა და ამ თვალებით იგი მიუწვდომელსა და უხილავსაც ჭვრეტდა თითქოს. ეხურა ფართოფარფლიანი დიდი შავი ქუდი, რომელიც გასაფრენად ფრთებგაშლილ ყვავს უფრო ჰგავდა და ეცვა საუკუნის ობმოდებული და დაფორებული ჟილეტი. თუმცა მელკიადესი მეტისმეტად ბრძენი და იდუმალებით მოსილი პიროვნება გახლდათ, იგი მაინც ადამიანი იყო სულით ხორცამდე, მიწა იზმობდა და იზიდავდა მას თავისკენ, ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავსა და უსიამოვნებას ემორჩილებოდა იგი: ხშირად წუწუნებდა, დავბერდი და დავუძლურდიო. სიცილს კარგა ხანია გადაჩვეოდა, რადგან სურავანდს შეეჭამა მისი კბილები. ხოსე არკადიო ბუენდიას რწმენით, მათ დიდ მეგობრობას იმ ერთ პაპანაქება შუადღეს დაედო სათავე, როცა მელკიადესმა მასპინძელს თავისი საიდუმლოებანი გაანდო. ბავშვები გაოცებული უსმენდნენ ბოშას, რომელიც ათასნაირ ფანტასტიურ ამბებს უყვებოდა მათ. აურელიანო მაშინ მხოლოდ ხუთი წლისა იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება ემახსოვრება, როგორ ისხდნენ ისინი ფოლადისფრად აბრჭყვიალებულ ფანჯარასთან და ყოვლისმცოდნე უცნაური სტუმრის ორღანისავით დაბალი ხმა როგორ სწვდებოდა ბავშვური წარმოსახვის ყველაზე უშორესსა და უბნელეს კუნჭულსაც კი; ემახსოვრება სტუმრის საფეთქლებზე გამლღვალ ცხიმის წვეთებივით მოწანწკარე ოფლიც. აურელიანოს უფროსი ძმა ხოსე არკადიო კი თავის შთამომავლობას საგვარეულო განძივით გადასცემს ამ საოცარი პიროვნების ამბავს. მხოლოდ ურსულას დაამახსოვრდება ბოშა მელკიადესი, როგორც ერთი რამ უქმური და უამური, რადგან ოთახში სწორედ მაშინ შევიდა, როცა მელკიადესს ვერცხლისწყლის ქლორიდით სავსე შუშა გაუტყდა.

— ეშმას სუნი დგას აქ, — თქვა ურსულამ.

— სულაც არა, — შენიშნა მელკიადესმა. — ეშმას, მოგეხსენებათ, გოგირდნარევი სუნი უფრო შეესადაგება, აქ კი ახლა სულემის სუნი დგას ოდნავ,— და მელკიადესი იმავე დიდაქტიკურ კილოზე მოჰყვა სინგურის ჯადოსნური თვისებების ჩამოთვლას, მაგრამ ურსულამ ყურადღება არ მიაქცია მის ქადაგებას და ბავშვები სალოცავად გაიყვანა. ამ დღიდან ურსულას ეს მკვეთრი სუნი მუდამ მოაგონებს მელკიადესს.

მთელი ლაბორატორია, — თუ არ ჩავთვლით აუარება ქვაბს, ძაბრს, საცერსა და ფილტრს — შედგებოდა ერთი ჩვეულებრივი ქურისაგან და ვიწროყელიანი შუშის კოლბისაგან — „ფილოსოფიური კვერცხისაგან". აქვე იყო წყლის გამოსახდელი ხელსაწყოც, რომელიც თავად ბოშებს აეწყოთ ახლებურად იუდეველი მარიამის[2] გამოსახდელი ქვაბის აღწერილობის მიხედვით. მელკიადესმა ხოსე არკადიო ბუენდიას აჩუქა ფოლადის შვიდნაირი ნიმუში, — შვიდი პლანეტის შესაბამისად, — გადასცა აგრეთვე მოსესა და ზოსიმეს ფორმულები — ოქროს გასაორმაგებლად და გასაზრდელად — და ათასგვარი ნა-

[1] მიშელ ნოსტრადამუსი (1503-1566) —ფრანგი ასტროლოგი და ექიმი, ავტორი თავის დროზე გახმაურებული წინასწარმეტყველური წიგნისა კაცობრიობის მომავლის თაობაზე.

[2] იუდეველი მარიამი (ძვ. წ. III ს. ეგვიპტელი) — ალქიმიკოსი ქალი.

ხაზი და ჩანაწერი „დიდი მაგისტერიუმის"[1] შესახებ. ის, ვინც ძირფესვიანად შეისწავლიდა და შეითვისებდა მელკიადესის ნაშრომებს, საბოლოოდ „ფილოსოფიური ქვის" პოვნასაც შესძლებდა. ხოსე არკადიო ბუენდიას ისე ადვილი და მარტივი მოეჩვენა ოქროს გაორმაგების ფორმულა, რომ [illegible], როგორმე მოელბო ცოლის გული და ის აღთქმული ზანდუკში [illegible] ოქროს მონეტა მაინც დაეცინცლა; იმედი ჰქონდა, ცდა გაუმართლებდა და ამ ოქროს იმდენჯერ გაზრდიდა, რამდენჯერაც შესძლებდა ვერცხლის წყლის დანაწევრებას. ხოსე არკადიო ბუენდიამ იმდენი უტრიალა ცოლს, რომ ისიც, როგორც ყოველთვის, ახლაც დაჰყვა ჯიუტი და ახირებული ქმრის ნებას. კაცმა მაშინვე ჩაყარა ქვაბში ოცდაათი დუბლონი, ზედ დაუმატა აურიპიგმენტი, სპილენძის ნაფხეკი, გოგირდი და ტყვია და ეს ყველაფერი ერთად გაადნო. მერე მიღებული მასა გადაიტანა მეორე ქვაბში, რაშიც აბუსალათინის ზეთი ესხა, და ძლიერ ცეცხლზე იქამდე ადუღა, სანამ არ მიიღო სქელი აყროლებული სითხე, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო საოცნებო ოქროსთან. სასოწარკვეთილმა ხოსე არკადიო ბუენდიამ დისტილაციაც მოიშველია. ხელახლადაც გადაადნო შვიდნაირ ფოლადთან ერთად, ჰერმეტული ვერცხლისწყალი და მალაც შეურია და რადგან ბოლოკის ზეთი არ ჰქონდა, ღორის ქონთან ერთადაც წამოადუღა კიდევ ერთხელ. მაგრამ ურსულას ძვირფას მემკვიდრეობას მაინც არაფერი ეშველა. ისე ჩანახშირდა და ჩაიწვა, კაციშვილი რომ ვერ ამოფხეკდა ქვაბიდან.

როცა ბოშები კვლავ ესტუმრნენ მაკონდოს, ურსულამ მთელი სოფელი აამხედრა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ცნობისწადილმა სძლია შიშს: ამჯერად ბოშებს ათასნაირი მუსიკალური საკრავი ჩამოეტანათ, ქუჩაში ყურთასმენა აღარ იყო, იმათმა მაცნემ კი აჯაროდ გამოაცხადა, კარავში გვესტუმრეთ და ნაზიანზელების[2] სასწაულებრივ აღმოჩენას გიჩვენებთო. მთელი სოფელი დაიძრა ბოშათა კარვისკენ. კარავში შესასვლელად თითო სენტავოს იხდიდნენ, შედიოდნენ შიგ და რას ხედავდნენ?—შუა კარავში იჯდა საღსალამათი, გაახალგაზრდავებული და კბილებჩაწიკწიკებული მელკიადესი. ვისაც მისი სურავანდისაგან შეჭმული უკბილო პირი, ჩავარდნილი ლოყები და დაღმეჭილ-დანაოჭებული ტუჩები ახსოვდა, ახლა შიში მოჰგვარა ბოშას ამ კიდევ ერთმა ზებუნებრივმა ყოვლისშემძლეობამ. მაგრამ ეს შიში მოგონილი იყო იმ ძრწოლასთან შედარებით, რითაც აღივსო მნახველი, როცა ბოშამ პირიდან გამოიღო ქათქათა და საღი კბილები და ერთბაშად კვლავ ბებრუკ ბერიკაცად იქცა. მერე ისევ ჩაიდო პირში კბილები, გაიღიმა და კვლავ ახალგაზრდული იერი დაიდო. ერთი პირობა ხოსე არკადიო ბუენდიაც დაეჭვდა, მელკიადესმა მეტისმეტად ხომ არ გადააჭარბა ადამიანისთვის დაკანონებულ გონიერების საზღვრებსო, მაგრამ როცა ბოშამ მხოლოდ მას გაანდო ხელოვნური კბილების საიდუმლო, დამშვიდდა და გულიანადაც იცინა. ყველაფერი ისე უბრალო და თანაც სასწაულებრივი ეჩვენა, რომ მეორე დღესვე აიცრუა გული ალქიმიაზე, რაღაცნაირად მოეშვა. აღარც ჭამა უნდოდა და აღარც სმა და დილიდან დაღამებამდე უმიზნოდ დაბორიალობდა ოთახებში. „საოცარი ამბები ხდება ქვეყნად, — შესჩიოდა იგი

[1] ალქიმიური პრეპარატი, რის მეშვეობითაც შეიძლება ლითონი გადამუშავდეს ოქროდ.

[2] მცირე აზიის [illegible] ქალაქის ნაზიანზის [illegible]

ცოლს, — აგერ იქ, მდინარის გაღმა უამრავი სასწაულმოქმედი ხელსაწყო აქვთ, ჩვენ კი პირუტყვებივით ვცხოვრობთ". ყველა, ვინც ხოსე არკადიო ბუენდიას მაკონდოს დაარსების პირველი დღიდანვე იცნობდა, ახლა გაოცებას ვერ ფარავდა, მელკიადესმა ასე როგორ შეცვალა ეს კაცი.

ადრე ხოსე არკადიო ბუენდია ახალგაზრდა პატრიარქს მოგვაგონებდა: რჩევა-დარიგებას არ იშურებდა, ვის თესვას ასწავლიდა, ვის ბავშვების აღზრდას თუ პირუტყვის მოვლა-პატრონობას. ყველას ეხმარებოდა, შრომასაც არ გაურბოდა, უნდოდა სოფელი ღონიერი ყოფილიყო. ბუენდიების სახლი საუკეთესო იყო მთელ სოფელში და ყველანი ცდილობდნენ, თვითონაც ასეთი სახლი აეშენებინათ. თვალს იტაცებდა დიდი და ნათელი სასტუმრო ოთახი, ფერად-ფერადი ყვავილებით მორთული ტერასისებრი სასადილო და ორიც საძინებელი ოთახი. ეზოში ტოტებგაბარჯღული წაბლის ხე იდგა, სახლს უკან გადაჭიმულიყო საგულდაგულოდ მოვლილი ბაღჩა-ბაღი, მოჩანდა პირუტყვის სადგომი, სადაც ერთმანეთის გვერდით უშფოთველად ცხოვრობდნენ თხები, ღორები და ქათმები. მხოლოდ მოჩხუბარ მამლებს არ აჭაჭანებდნენ ამ სახლში და არა მარტო ამ სახლში, მთელ სოფელშიც კი.

შრომის სიყვარულში არც ურსულა ჩამორჩებოდა ქმარს. ეს ერთთავად მოძრავი, სახეკუშტი, აუღელვებელი ქალი, ვისაც ალბათ ერთხელაც არ წაუღიღინებია თავის სიცოცხლეში, იშვიათი უნარით დაეჯილდოვებინა ღმერთს — საწოლიდან დილაბნელზე წამომდგარი შუაღამემდე ფუსფუსებდა. დილიდან დაღამებამდე ყოველ კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა ჰოლანდიური ქსოვილისაგან შეკერილი მისი ქვედა კაბის შრიალი. სწორედ ურსულას წყალობით გაჰქონდა კრიალი მიწურ იატაკს, შეუთეთრებელ თიხის კედლებსა და უხეშად ნაჩორკნ ავეჯს; ტანსაცმლის შესანახ ძველ ზანდუკებს კი ალბააკის ნაზი სურნელი ასდიოდათ.

სოფელში ყველაზე ჭკვიანმა კაცმა ხოსე არკადიო ბუენდიამ სახლების მშენებლობა ისე დაგეგმა, რომ წყალზე წასულ ხალხს ერთნაირი გზა გაევლო მდინარემდე, ქუჩებიც ისე გონივრულად გაიყვანა, რომ მზის ცხოველმყოფელი სხივი ერთნაირად მისდგომოდა ყოველ სახლს. დაარსებიდან სულ რამდენიმე წელიწადში მაკონდო გახდა ყველაზე სუფთა და კეთილმოწყობილი დაბა იმ სოფელ-დაბებს შორის, რაც კი საერთოდ ენახა აქაურ სამასიოდე მცხოვრებს. მაკონდო იყო ქუდბედნიერი ადგილი, სადაც ოცდაათი წლისთვის ჯერაც არავის გადაებიჯებინა და სადაც ჯერ არავინ მომკვდარიყო.

ხოსე არკადიო ბუენდიამ მაკონდოს დაარსების პირველ დღეებშივე დაამზადა ათასნაირი მახე და ბადურა. მალე მარტო თავისი ეზო-კარი კი არა, სხვებისაც აავსო მოლაღურებით, იადონებით, ღიღილოებითა და ყოლოთი. ნაირნაირი ჩიტები ისე ყურისწამღებად ჟივჟივებდნენ, რომ ურსულამ — ჭკუაზე არ შევიშალოო და, ყურები ცვილით დაიცო. როცა სოფელში პირველად გამოჩნდა მელკიადესის ტომი და თავის ტკივილის გამაყუჩებელი შუშის ბურთულების გაყიდვას მიჰყვეს ხელი, გაკვირვებულმა მაკონდოელებმა ჰკითხეს, ამ უკიდეგანო ველზე მიკარგულ ჩვენს სოფელს როგორ მოაგენითო, მოსულები გამოტყდნენ: ჩიტების სტვენა-გალობას გამოვყევითო.

მაგრამ მალე მაგნიტმა, ასტრონომიულმა გამოკვლევებმა, ოქროს მოპოვებისა და ამა ქვეყნის საოცრებათა შეცნობის სურვილმა ხოსე არკადიო ბუენდიას სრულიად დაავიწყა ხალხისთვის გარჯა. ოდესღაც საქმიანი, სუფთად ჩაც-

მულ-დახურული კაცი ახლა თანდათან გადაიქცა ჩაბინძურებულ, წვერმოშვებულ მუქთახორად. ურსულა ქმარს დიდი გაჭირვებით და ისიც ათაში ერთხელ თუ წაასხეპავდა წვერს სამზარეულოს დიდი დანით. სოფელში ბევრი ფიქრობდა, ხოსე არკადიო ბუენდია კუდიანებს ემსხვერპლაო. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, იმათაც კი, ვისაც სჯეროდა, ხოსე არკადიო ბუენდია ჭკუაზე შეიშალაო, მიატოვეს თავ-თავიანთი ოჯახები და უკან გაჰყვნენ მხარზე თოხგადებულსა და ზურგზე ტომარამოკიდებულ სოფლის თავკაცს, რომელმაც თანასოფლელებს სთხოვა, დამეხმარეთ და ის ბილიკი გამაჭრევინეთ, მაკონდოს რომ დააკავშირებს უდიდეს აღმოჩენებთანო.

ხოსე არკადიო ბუენდიამ სრულებით არ იცოდა იქაური მიდამოების გეოგრაფია, იცოდა მხოლოდ, რომ აღმოსავლეთით ცად აწვდილ მთის გადაღმა მდებარეობდა ძველი ქალაქი რიოაჩა, სადაც თურმე ძველ დროში —ბაბუა-მისის ,პირველი აურელიანო ბუენდიას თქმით — სერ ფრენსის დრეიკი[1] გასართობად ქვემეხს უშენდა კაიმანებს, მერე დახოცილ ცხოველებს მისი ბრძანებით ფატრავდნენ, მუცლის ღრუს თივით უვსებდნენ და ისე უგზავნიდნენ დედოფალ ელისაბედს. ახალგაზრდობაში ხოსე არკადიო ბუენდიამ და სხვა კაცებმა თავთავიანთ ცოლებთან, შვილებთან და შინაურ პირუტყვთან ერთად, ზურგზე ათასნაირი ხარახურააკიდებულებმა გადაიარეს ეს მთა იმ იმედით, იქნებ ბოლოს და ბოლოს ზღვას მივადგეთო, მაგრამ ზღვის ძებნაში ოცდაშვიდი თვე რომ შემოადნათ ხელში, იმედწართმეულებმა უარი თქვეს თავიანთ განზრახვაზე, უკან დაბრუნებაც აღარ ისურვეს და აქვე დააარსეს სოფელი მაკონდო. ამიტომ ახლა ხოსე არკადიო ბუენდიას აღარ იზიდავდა აღმოსავლეთის გზა, რომელიც უკან, წარსულში დააბრუნებდა მას. სამხრეთით იყო მარადიული მცენარეებით დაფარული, გაუვალი ჭაობები და უზარმაზარი ველი, — მთელი ქვეყანა, რომელსაც, ბოშების თქმით, არც ბოლო ჰქონდა და არც დასაწყისი. დასავლეთით ველს უნაპირო წყალი ესაზღვრებოდა. ამბობდნენ, იქ ვეშაპისნაირი ნაზკანიანი არსებანი სახლობენ, თავი და ზედა ტანი ქალისა აქვთ და ლამაზი მკერდით ხიბლავენ და ღუპავენ ზღვაოსნებსო. ბოშები თურმე შვიდი თვე მოცურავდნენ ამ წყალში, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ფეხი არ დაადგეს მიწას, სადაც ფოსტის ჯორები დაიარებოდნენ. ხოსე არკადიო ბუენდიას სჯეროდა, ცივილიზებული სამყარო მხოლოდ ჩრდილოეთით იყო და აი, მან ნიჩბებით, თოხებით, სანადირო თოფებით, აღჭურვა ის კაცები, ვისთან ერთადაც დააარსა მაკონდო, საზღვაოსნო ხელსაწყოებითა და რუკებით სავსე ტომარას პირი მოუკრა და სარისკო ლაშქრობაში გაემგზავრა.

პირველ ხანებში გზაზე არაფერი გაჭირვებიათ. ისინი რიყეს გაუყვნენ იმ ადგილამდე, სადაც რამდენიმე წლის წინათ ბექთარ-მუზარადი ამოჩხრიკეს მიწიდან, მერე ტყეში შევიდნენ და ველურ ფორთოხლის ხეებში გაკვალულ ბილიკს დაადგნენ, კვირის თავზე ბედი ეწიათ, ირემი მოკლეს, ნაწილი შეწვეს, ნაწილი კი დაამარილეს და შეინახეს, ვინ იცის იქნებ არც ისე შორს იყო ის დღე, როცა თუთიყუშების ლურჯი ხორცის შეჭმა მოუწევდათ. მომდევნო ათი დღე მზისთვის თვალი არ მოუკრავთ. მიწა რბილი და ნესტიანი გახდა ვულ-

[1] ფრენსის დრეიკი (1541—1596) — ინგლისელი ზღვაოსანი, ადმირალი. მეკობრეულად ესხმოდა თავს სამხრეთ ამერიკის სანაპიროებს, ებრძოდა ესპანელებს.

კანური ფერფლივით. მცენარეები სულ უფრო ვერაგულად ჩასაფრებულიყვნენ ყოველ ნაბიჯზე. ჩიტების ძახილი და მაიმუნების ყვირილი ახლა უკვე სადღაც შორიდან მოისმოდა — თითქოს მარადიული მწუხრი გადაეფარა ქვეყნიერებასო. ამ ნესტისა და მდუმარების საუფლოში, რომელიც [illegible] ცოდვამდელ სამოთხეს ჰგავდა, მოლაშქრეებს წებოვანსა და ა[illegible] ორმოებში ეფლობოდათ ფეხი, მაჩეტეთი ხოცავდნენ ოქროსფერ სალამანდრებსა და ჩეხდნენ სისხლისფრად აბდღვიალებულ ბუჩქებს. ძველისძველი მოგონებებიც არ ასვენებდათ, სტანჯავდა მათ. მთელი კვირა მდუმარედ, მთვარეულივით მიიწევდნენ წინ დარდითა და ნაღველით პირთამდე სავსე მხარეში, ღამით ციცინათელების შუქზე მიიკვლევდნენ გზას, ფილტვებში ჩაგუბებული საკუთარი სისხლის სუნი ახრჩობდა ყველას. წამისწინ გაკვალულ ბილიკს წამშივე ედებოდა ბალახი, თითქმის ხედავდნენ კიდეც, როგორ ჰყოფდა თავს მიწიდან ქორფა სიმწვანე. „არა უშავს, — ამბობდა ხოსე არკადიო ბუენდია,— მთავარია, მიმართულება არ დავკარგოთ". იგი თვალს არ აშორებდა კომპასის ისარს და ხალხს უხილავი ჩრდილოეთისკენ მიუძღოდა. როგორც იქნა, ერთ დღესაც თავი დააღწიეს ამ მოჯადოებულ ადგილს. თუმცა ბნელი და უვარსკვლავო ღამე ერტყათ გარს, სამაგიეროდ ჰაერი იყო ცინცხალი და სუფთა. ხანგრძლივი მგზავრობით ქანცგაწყვეტილებმა ჰამაკები გააბეს და პირველად ორი კვირის მანძილზე ცაიძინეს ღრმა და უშფოთველი ძილით. მზე კარგად იყო ამოწვერილი, როცა გაეღვიძათ და მაშინვე გაოცებული გახევდნენ: გვიმრებსა და პალმებში, ზედ მათ წინ წამომართულიყო ზეწარივით მტვერწაფარებული, დილის ნაზ შუქში გახვეული უზარმაზარი თეთრი ესპანური გალიონი. იგი ოდნავ დაფერდებულიყო მარჯვენა მხარეს. ანძები მთელი შერჩენოდა და ორქიდეებით შემოსილ მავთულებზე დაძონძილი და გაზინტლული იალქანი ეკიდა. გაქვავებული ნიჟარებითა და ხავერდოვანი ხავსით დაფარული ხომალდი მყარად იდგა მიწაზე. იგი ისე შერწყმოდა იქაურობას, თითქოს ვიღაცას საგანგებოდ შეერჩია და შემოესაზღვრა მისთვის ეს ადგილი; იდგა მარტოობისა და დავიწყების ნაკრძალში, სადაც ვერასოდეს მისწვდებოდა დროის მსახვრალი ხელი და ჩიტების ჟივილ-ხივილი. მგზავრებმა ხომალდი უჩვეულო მოთმინებითა და ყურადღებით დაათვალიერეს შიგნიდან და ყვავილთა გაუვალი ტყის გარდა ვერაფერი აღმოაჩინეს.

გალიონის დანახვაზე ხოსე არკადიო ბუენდია მიხვდა, ზღვა სულ ახლოს იყო და თითქოს ჩაიფუშაო, სადღაც გაუქრა მებრძოლი სული. ონავარი ბედი დასცინოდა: ზღვის ძებნაში ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, მაგრამ ვერ იპოვა, ახლა კი, როცა ხელი აიღო ზღვის ძებნაზე, მოულოდნელად გადაულახავ დაბრკოლებად გადაეღობა წინ. გაივლის კარგა ხანი და პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაც შემთხვევით აღმოჩნდება ამ მხარეში, სადაც უკვე გაყვანილი იქნება ფოსტის გზა და სწორედ ამ ადგილას, ყაყაჩოების ველზე წააწყდება დანახშირებულ ჩონჩხს გალიონისას. იგი მხოლოდ მაშინ მიხვდება, რომ მთელი ეს ამბავი მამამისის ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა, მიხვდება და გულში გაივლებს, ნეტავ ხომალდი ხმელეთზე რამ გამორიყა ზღვიდან ასე შორსო? ხოსე არკადიო ბუენდიას კი მაშინ თავიც არ შეუწუხებია ამგვარი ფიქრებით, რადგან მეოთხე დღეს გალიონიდან თორმეტი კილომეტრის გავლის მერე მიადგა ზღვას. ამდენი ხალხის ტანჯვა-წვალებად არც ღირდა ეს ქაფმოდებული ჭუჭყიანი და ნაცრისფერი ზღვა, რომლის ნაპირებთანაც ფრთა შეეკვეცა მის ოცნებებს.

— დასწყევლოს ღმერთმა! — შეჰყვირა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — მაკონდოს წყალი აკრავს ყოველი მხრიდან!

ის აზრი, რომ მაკონდო შესაძლოა ნახევარკუნძული ყოფილიყო, კარგა ხანს მეფობდა იმ მარტივი რუკის წყალობით, რომელიც ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ხოსე არკადიო ბუენდიამ შეადგინა. გაბრაზებული [illegible] რუკას, განგებ აზვიადებდა გარე სამყაროსთან დაახლოების შესაძლებლობას, თითქოს საკუთარ თავზე იყრიდა ჯავრს, ასე უჭკუოდ რად ამოვირჩიე ეს ადგილი სოფლის სამოსახლოდო. „აქაურობას თავს ვერასოდეს დავაღწევთ, — მწარედ შესჩიოდა ურსულას, — ისე დავიმარხებით, ვერასოდეს გავიგებთ მეცნიერების სიკეთეს“. თავის ოთახ-ლაბორატორიაში ჩაკეტილი ხოსე არკადიო ბუენდია სწორედ ამ აზრს ჩაეჭიდა, რამდენიმე თვე რეზინივით ღეჭავდა და ბოლოს გადაწყვიტა, მაკონდო უკეთეს ადგილას გადაეტანა. მაგრამ ამჯერად ურსულა მტკიცედ აღუდგა წინ ქმრის უგუნურ ჩანაფიქრს. იგი ჭიანჭველასავით ჩუმად და ჯიუტად შეუდგა საქმეს, ქალები აუმხედრა გადასაბარგებლად უკვე აცეცებულ კაცებს. ხოსე არკადიო ბუენდიას ვერაფრით გაეგო, როდის და ვინ ჩაფუშა მისი გეგმა, ვისი წყალობით აებნა თავგზა, უეცრად ამოტივტივებულ მიზეზთა და სავარაუდო დაბრკოლებათა უსიერ ტყეში, ბოლოს და ბოლოს ვინ დაუმსხვრია ოცნების კოშკი! ურსულა, ვითომც არაფერიო, ქმარს თვალს ადევნებდა და მგონი, ცოტა შეეცოდა კიდეც, როცა დაინახა, ხოსე არკადიო ბუენდია როგორ აწყობდა ყუთებში ლაბორატორიის ხელსაწყოებს და თან როგორ დუდღუნებდა, უსათუოდ უნდა გადავბარგდეთო. ურსულამ აცალა ჩალაგება. ვიდრე კაცი შეკრულ ყუთებზე მელანში ამოვლებული პირის საპარსი ფუნჯით თავის ინიციალებს აწერდა, ქალს საყვედური არ დასცდენია, თუმცა იმასაც მიხვდა (ქმრის ნაბუტბუტარი მონოლოგების წყალობით), რომ ხოსე არკადიო ბუენდიამ უკვე იცოდა, თანასოფლელი კაცები მხარს აღარ აუბამდნენ ამ ახლად წამოწყებულ საქმეში. მაგრამ როცა კაცმა კარების ჩამოხსნას მიჰყო ხელი სახლში, მაშინ კი ჰკითხა ურსულამ, ამას რად სჩადიო, რაზეც ქმარმა უხალისოდ უპასუხა: სხვა თუ ვერ ბედავს, ჩვენ გადავსახლდებით მარტოო. ურსულამ აღელვება არ შეიმჩნია:

— არსადაც არ გადავსახლდებით. აქ ჩვენი შვილი დაიბადა.

— კი მაგრამ, აქ ხომ ჯერ არავინ მომკვდარა ჩვენიანი? — უპასუხა ხოსე არკადიო ბუენდიამ. — განა ტყუილად ამბობენ, ადამიანი მხოლოდ იმ ადგილთან არის მიჯაჭვული, სადაც მისი მიცვალებული განისვენებსო.

ურსულამ მშვიდად, მაგრამ მტკიცედ და გადაჭრით უპასუხა:

— ოღონდ აქ დავრჩეთ და თუ გინდა, ახლავე მოვკვდები.

ხოსე არკადიო ბუენდია თვალსა და ყურს არ უჯერებდა, ნუთუ ასე უდრეკი და გაუტეხავი ყოფილა მისი ცოლი? მაგრამ მაინც სცადა სიტყვებით მოეხიბლა და მოენუსხა ქალი, ზღაპრულ ცხოვრებას ჰპირდებოდა ზღაპრულ მხარეში, სადაც საკმარისია მიწას ჯადოსნური წვეთები აპკურო და ხეები ნაყოფებით დაიხუნძლებიან, სადაც გროშებად იყიდება ნაირ-ნაირი სამკურნალო ხელსაწყოები. მაგრამ ურსულა კლდესავით იდგა:

— მაგ ბოდვას გირჩევნია ბავშვებს მიხედო. ნახე ერთი, ძაღლის ლეკვებივით გყავს მიგდებული ბედის ანაბარა.

ხოსე არკადიო ბუენდიამ ცოლის სიტყვები მაშინვე ზუსტად შეასრულა, ფანჯარაში გადაიხედა და მზით დაფერილ მინდორში ორ ფეხშიშველა ბიჭს

მოჰკრა თვალი; თითქოს ურსულას ჯადო სიტყვებზე სადღაც არარსებობიდან წამოიმართნენო უეცრივ. მაშინ რაღაც იდუმალი და მნიშვნელოვანი მოხდა ხოსე არკადიო ბუენდიას არსებაში, ფესვებიანად მოწყდა იმ დრო-ჟამს, რომელშიც ცხოვრობდა და მოგონებათა უცნობ მდინარებას გაჰყვა. ვიდრე ურსულა სახლს გვიდა, — მან უკვე იცოდა, სიკვდილამდე აქ იცხოვრებდა, — მამა გაკვირვებული შესცქეროდა თავის ვაჟიშვილებს, ბოლოს თვალებში მომდგარი ცრემლი ხელის ზურგით მოიწმინდა და ოხვრით ამოთქვა:

— აგრე იყოს. ბიჭებს უთხარი, ყუთების ამოლაგებაში მომეშველონ.

უფროს ვაჟს, თოთხმეტი წლის ხოსე არკადიოს, ოთხკუთხედი თავი და გაბურძგნული თმა ჰქონდა. მამასავით ტანადი და ღონიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ მამასავით ფანტაზიის ნიჭი კი არ დაჰყოლოდა. იგი ჩაისახა და ქვეყნიერებას მოევლინა იმ დროს, როცა — ჯერ კიდევ მაკონდოს დაარსებამდე — მთებზე გადადიოდნენ. მშობლებმა ღმერთს მადლობა შესწირეს, მათ ბავშვს ცხოველისა რომ არაფერი გამოჰყვა. აურელიანო კი მაკონდოში დაბადებული პირველი არსება გახლდათ და მარტში ექვსი წელი შეუსრულდებოდა. იგი უთქმელი და გულჩახვეული ბიჭი იყო. დედის მუცელში კი ტიროდა და თვალგახელილი დაიბადა. ვიდრე ჭიპლარს გადაჭრიდნენ, ჩვილი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა; თითქოს იმახსოვრებსო, ყველას და ყველაფერს ცნობისწადილითა და უშიშრად შესცქეროდა. მერე უკვე ყურადღებას აღარავის აქცევდა, მთელი გულისყური მიეპყრო ისლის სახურავისკენ, რომელსაც კოკისპირული წვიმა ყოველ წუთს უქადდა ჩაქცევას. სწორედ ეს დაჟინებულად მზირალი თვალები გაახსენდა ურსულას, როცა ერთ დღეს სამზარეულოში მოაკითხა სამი წლის აურელიანომ. ურსულამ ის იყო წვნიანით სავსე ქვაბი ცეცხლიდან გადმოიღო და მაგიდაზე დადგა. ბავშვი გაუბედავად აწრიალდა კართან და უცბად თქვა: „ახლა გადმოვარდება“. ქვაბი შუა მაგიდაზე იდგა, მაგრამ უეცრად, თითქოს ვიღაც უხილავმა უბიძგაო, გადმოვარდა, იატაკს დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა. შეშფოთებულმა ურსულამ მაშინვე ყველაფერი უამბო ქმარს, მაგრამ მან შესაშფოთებელი ვერაფერი დაინახა ამ ამბავში. ასე იყო მუდამ, ხოსე არკადიო ბუენდია ჯერ არ შეუწუხებია შვილების ბედს, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობის ხანა გონებრივად უმწიფარობის ხანად მიაჩნდა და თანაც თვითონაც არ სცალოდა. თავით ფეხამდე ჩაფლულიყო თავის გამომგონებლურ საქმეებში.

მაგრამ იმ დღიდან, როცა შვილებს სთხოვა, ყუთების ამოლაგებაში მომეშველეთო, ხოსე არკადიო ბუენდია უმეტეს დროს მათთან ატარებდა. თავის მყუდრო და პატარა ოთახში, რომლის კედლებიც უცნაური რუკებითა და ფანტასტიკური ნახაზებით მოეფინა, შვილებს ასწავლიდა წერა-კითხვასა და ანგარიშს, უყვებოდა ათასნაირ საოცარ ამბებს, რაც თავად წაეკითხა და იცოდა, ხოლო როცა წაკითხული შემოაკლდებოდა, მაშინ საკუთარ უსაზღვრო ფანტაზიას მოიშველიებდა ხოლმე. მამის ნაამბობიდან ბავშვებმა გაიგეს, რომ აფრიკის სამხრეთ ნაწილში ჭკვიანი და მშვიდობიანი ხალხი ცხოვრობდა: ჯდომისა და ფიქრის მეტს არაფერს აკეთებდნენ თურმე; გაიგეს აგრეთვე, რომ ეგეოსის ზღვა შეიძლება ფეხით გადასეროს კაცმა და კუნძულიდან კუნძულზე ხტუნვით მიაღწიოს პორტ სალონიკს. მამასთან გატარებული საღამოები, მისი მოყოლილი უჩვეულო და გაუგონარი ამბები ბავშვებს ისე ჩაებეჭდებათ გონებაში, რომ გაივლის რამდენიმე წელიწადი და დახვრეტის მოლოდინში კე-

დელთან მდგომ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას — ვიდრე მთავრობის ჯარების ოფიცერი თავის ხელქვეითებს უბრძანებდეს, ესროლეთო — თვალწინ გაუელვებს მარტის ის თბილი საღამო, როცა მამამ ფიზიკის გაკვეთილი შეწყვიტა, ჰაერში ხელგაშეშებული შედგა და ყური მიუგდო შორს აჟღერებულ ფლეიტას, დაფდაფს და დოლებს: სოფელს ბოშები ეწვივნენ ხოლმე, რათა ყველასათვის ემცნოთ მემფისელ ბრძენთა ახალი საოცრებანი.

ამჯერად სხვა ბოშები ესტუმრნენ მაკონდოს. უმეტესად ახალგაზრდები იყვნენ; ქალი თუ კაცი. ყველანი მხოლოდ თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ბოშათა ტომის დიდებულ წარმომადგენლებს ზეთით დარბილებული კანი და მოქნილი, სწრაფი ხელები ჰქონდათ. ქუჩა აავსეს ყიჟინითა და მხიარულებით. რაღა არ ჩამოეტანათ თან: ყვითელ-მწვანე თუთიყუშები იტალიურ რომანსებს მღეროდნენ; ქათამი დაფდაფის ხმაზე აა-ას ცალ ოქროს კვერცხსა დებდა; სწავლულ მაიმუნს სხვათა აზრის ამოცნობა შეეძლო; ეშმაკისეულ მანქანას ღილის დაკერებაც ეხერხებოდა და ავადმყოფის სიცხის დაწევაც; ხელსაწყო — უამური მოგონებათა დასავიწყებელი, სალბუნი— დროის მოსაკლავი და ვინ მოთვლის კიდევ რითი არ გააკვირვეს მაკონდოელები. ხოსე არკადიო ბუენდიას ამდენი უცნაური და ნაირ-ნაირი არაფერი ენახა თავის ცხოვრებაში და ყველაფერი რომ კარგად ჩაებეჭდა გონებაში, თავად უნდა გარჯილიყო და გამოეგონებინა მახსოვრობის მანქანა. სოფელმა წამში იცვალა სახე. ქუჩებში ისეთი ორომტრიალი დადგა, ისე გადაივსო მილეთის ხალხით, ნამდვილი ბაზრობა გეგონებოდა. მაკონდოელებს დიდი სიყოჩაღე მართებდათ, გზა არ აბნეოდათ საკუთარ სოფელში.

ხოსე არკადიო ბუენდიას შვილებისათვის ხელი მაგრად ჩაევლო, ვინძლო არ დაეკარგონ ამ ჯგლეთაშიო. ჯერ ოქროს კბილებიან ექიმ-ოინბაზს გაჰკრა მხარი, მერე ექვსხელიან ჯადოქარს დაეჯახა, სულს უხუთავდა ნაკელისა და სანდალის სუნი, ხალხის ჯგროს რომ ასდიოდა. ხოსე არკადიო ბუენდია გიჟივით აწყდებოდა აქეთ-იქით, გამალებული ეძებდა მელკიადესს, იქნებ ძველებურად დამეხმაროს და ამომიხსნას ეს ზღაპრული იდუმალებით მოსილი ამბებიო. თითქმის ყველა ბოშას ეკითხებოდა, მელკიადესის ხომ არაფერი იცითო, მაგრამ ამაოდ, მათ არ ესმოდათ მისი ენა. ბოლოს, დიდი გაჭირვებით მიაღწია იმ ადგილს, სადაც მელკიადესი ყოველ ჩამოსვლაზე შლიდა ხოლმე კარავს. იქ ახლა ვიღაც მწუხარე სახის სომეხი ბოშა იჯდა და კასტილიურად შელოცვას ბუტბუტებდა, რათა უჩინრად ქცეულიყო. ბოშამ ის იყო, რაღაც ქარვისფერი სითხე გადაჰკრა, რომ ხოსე არკადიო ბუენდიამაც ხალხის ტალღა გაარღვია. ერთი კი მოასწრო ბოშასთვის მელკიადესის ამბავი ეკითხა, მაგრამ მან გაკვირვებულმა შემოხედა მხოლოდ და უცბად გაქრა, მის ადგილზე გაჩნდა ამყრალებული გუბე, რომლის ზედაპირზეც ტივტივებდა პასუხი: „მელკიადესი მოკვდა". ხოსე არკადიო ბუენდიას ზარი დასცა ამ ამბავმა, დამწუხრებული და გახევებული იდგა იქამდე, ვიდრე ხალხმა სხვა სასწაულის სანახავად ახლა მეორე მხარეს არ გადაინაცვლა, ხოლო მწუხარე სახის ბოშას გუბე მთლად არ აორთქლდა. მერე სხვა ბოშებმაც დაუმოწმეს, მელკიადესი ციებამ მოკლა სინგაპურის ჭაობებში და მისი გვამი იავასთან გადაუშვეს ზღვაშიო. ბავშვების გულს სულაც არ მიჰკარებია მელკიადესის ამბავი, ისინი მამას იმ კარვისკენ ექაჩებოდნენ, სადაც ხალხის თქმით, მემფისელ ბრძენთა სასწაულებრივ აღმოჩენას უჩვენებდნენ, იმასაც ამბობდნენ, მემფისელებამდე სოლომონ მეფეს

გამოუგონია ეს საოცრებაო. ხოსე არკადიო ბუენდია ბავშვების ნებას დაჰყვა. ოცდაათი რეალი გადაიხადა და კარავში შევიდნენ. შუა კარავში იდგა თავგადაპარსული, ბანჯგვლიანი, ცხვირში რგოლგაყრილი და ფეხზე რკინის ჯაჭვშემოხვეული გოლიათი, რომელიც ზუსტად ისეთსავე სკივრს დარაჯობდა, მეკობრეები რომ დაათრევენ ხოლმე განძეულის შესანახად. გოლიათმა სკივრს თავი ახადა თუ არა, იქიდან აუტანელი სიცივე ამოვარდა. სკივრში იდო უზარმაზარი, გამჭვირვალე თეთრი ლოდი, რომლის ზედაპირიც თეთრსავე ნემსებს მოეფინა. საღამოს შუქზე ლოდი ათასფერ ვარსკვლავებად აციმციმდა.

ხოსე არკადიო ბუენდია დარდისგან ლამის გათავდა, შვილები ეკითხებოდნენ, სკივრში რა დევსო, მან კი არ იცოდა რა ეპასუხა, არც ენახა ასეთი რამ თავის სიცოცხლეში. მაგრამ ბოლოს ძალა მოიკრიბა და ბავშვებს წასჩურჩულა:

— ეს არის ყველაზე დიდი ბრილიანტი ამქვეყნად.

— არა, — შენიშნა გოლიათმა. — ეს ყინულია.

ხოსე არკადიო ბუენდია ვერაფერს მიხვდა და ლოდისკენ ხელი გაიწვდინა, მაგრამ გოლიათმა შეაჩერა: „ხუთი რეალი გადაიხადეთ კიდევ და მერე შეგიძლიათ ხელი შეახოთ". ხოსე არკადიო ბუენდიამ გადაიხადა ხუთი რეალი და ყინულს ხელი დაადო. რამდენიმე წუთს იდგა გარინდული, გული შიშითა და სიხარულით უცემდა, საიდუმლოს ხელი შევახეო. შვილებისათვის ვერაფრით აეხსნა ეს უჩვეულო გრძნობა და კიდევ ათი რეალი გადაიხადა, რათა პატარებს თავად განეცადათ იგივე. პატარა ხოსე არკადიომ უარი თქვა, აურელიანო კი თამამად დაიხარა და ხელი შეახო ყინულს, მაგრამ მაშინვე მოაცილა: „დუღს!" — იყვირა შეშინებულმა. მამას აინუნშიც არ ჩაუგდია ბავშვის შიში. მას ახლა აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად, აღარც თავის წამოწყებულ საქმეებში განცდილი მარცხი და აღარც კალმარების ლუკმადქცეული მელკიადესის გვამი. ხოსე არკადიო ბუენდიამ კიდევ გადაიხადა ხუთი რეალი და დიდის ამბით ისე შეეხო ყინულს, როგორც სასამართლოს მოწმეები ადებენ ხოლმე ხელს ბიბლიას, და შეჰყვირა:

— ეს არის ჩვენი დროის უდიდესი აღმოჩენა!

მე-16 საუკუნეში, როდესაც მეკობრე ფრენსის დრეიკმა რიოაჩას ალყა შემოარტყა, ურსულა იგუარანის ბებიის ბებია ისე შეაშინა უეცრად ატეხილმა ზარების გაბმულმა გუგუნმა და ქვემეხთა გრიალმა, რომ თავგზააბნეული ზედ გახურებულ კერიაზე დაჯდა. საბრალო ქალი ისეთნაირად დაიწვა, რომ ცოლქმრული ურთიერთობის აღსრულება სამუდამოდ მოესპო. მხოლოდ ცალ გვერდზე შეეძლო ჯდომა და ისიც ბალიშზე; სიარულიც უჭირდა, უცხოთა თანდასწრებით ხომ სულ ვერ ბედავდა გავლას! მთელი ღამე ალიონამდე ეზოში იჯდა, ოთახში შესვლისა და დაძინებისა ეშინოდა — მოჩვენებები კლავდა, ვითომ ინგლისელები თავიანთ ძაღლებიანად მის ოთახში ფანჯრიდან ძვრებოდნენ და გავარვარებული შანთით სამარცხვინოდ აწამებდნენ. ქმარი, არაგონელი ვაჭარი, — ვისთანაც ორი ვაჟი შეეძინა, — ყოველნაირად ცდილობდა, ცოლისთვის ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ტანჯვა, ნახევარი ქონება რომ ექიმებსა და წამლებს დაახარჯა, მერე დუქანიც გაყიდა და მთელი ოჯახი ზღვიდან შორს, კეთილ ინდიელთა ერთ პატარა, მთებში ჩაკარგულ სოფელში გადაიყვანა საცხოვრებლად. იქ ცოლს უსარკმლო საძინებელი ოთახი აუშენა, რათა ღამეულ მოჩვენებებს ველარ დაეფრთხოთ მისთვის ძილი.

17274

დიდი ხნის წინათ ამ მიკარგულ სოფელში ცხოვრობდა თურმე ერთი კრეოლი სახელად დონ ხოსე არკადიო ბუენდია. მას თამბაქო მოჰყავდა და ურსულას პაპის პაპასთან შეამხანაგებული ისეთ მოსავალს იღებდა, რომ რამდენიმე წელიწადში ორთავეს კარგა ბლომად ფული დაუგროვებიათ; საუკუნის მერე ეს ორი გვარი ერთმანეთს დაუმოყვრდა: კრეოლის შვილთაშვილმა ცოლად მოიყვანა არაგონელის შვილთაშვილი. ყოველთვის, როცა კი ქმრის სისულელე ალაშფოთებდა, ურსულა ერთი ნახტომით ისე გადაევლებოდა ხოლმე სამას წელიწადს, ვითომც არაფერიაო, და იმ დღეს სწყევლიდა, ფრენსის დრეიკმა ალყა რომ შემოარტყა რიოაჩას. ურსულა წყევლით გულს იოხებდა, თორემ სინამდვილეში სიყვარულზე უფრო დიდი რამ აკავშირებდა ქმართან: ეს იყო სინდისის ქენჯნა, რომელიც ორივეს სტანჯავდა და აწვალებდა. ურსულა და მისი ქმარი ერთმანეთს ბიძაშვილებად ერგებოდნენ. ისინი ერთად გაიზარდნენ პატარა სოფელში, რომელიც მათი წინაპრების შრომისმოყვარეობისა და გულმოდგინების წყალობით ერთ-ერთი საუკეთესო სოფელი იყო მთელს იმ მხარეში. თუმცა ახალდაბადებულნი აკვანშივე დანიშნეს, მაინც როცა წამოიზარდნენ და თვითონ განაცხადეს, ჯვარი უნდა დავიწეროთო, მშობლები უარზე დადგნენ. უფროსებს ეშინოდათ, საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთთან ქორწინებით დაკავშირებული ორი გვარის ჯანსაღი თაობა ახლა თუ არა, ოდესღაც მაინც შეირცხვენდა თავს და ქვეყანას მოუვლენდნენ იგუანებს[1]. ერთხელ უკვე მოხდა ასეთი საზარელი ამბავი: ურსულას დეიდა ცოლად გაჰყვა ხოსე არკადიო ბუენდიას ბიძას. მათ ვაჟი შეეძინათ. ეს ბავშვი ისე გაიზარდა, დავაჟკაცდა და მოკვდა, რომ ტანზე ერთი კარგად მორგებული ვიწრო შარვალი არ ჩაუცვამს, სულ ფართო შარვალი ეცვა; 42 წლისა მოკვდა, სისხლისაგან დაიცალა სრულიად უბიწო მამაკაცი, რამეთუ კუდიანი დაიბადა, დიახ, ნამდვილი გოჭის კუდი ჰქონდა და მოკვდა ისე, რომ ეს კუდი არც ერთ ქალს არ აჩვენა დედამიწის ზურგზე. მისი მოცილება კი სიცოცხლის ფასად დაუჯდა: მეგობარმა ყასაბმა მისივე თხოვნით ხორცის საჩეხი ნაჯახით ძირში მიაჭრა კუდი... და მაინც ყოველივე ამის შემდეგ, ხოსე არკადიო ბუენდიამ, როგორც ცხრამეტი წლის უზრუნველსა და თავქარიან ჭაბუკს შეეფერება, მთელ ამ დავა-კამათს ერთი პატარა წინადადებით მოუღო ბოლო: „თუნდაც გოჭები დაიბადონ, ოღონდ ლაპარაკი იცოდნენ“. ქორწილმა სამ დღეს გასტანა. ამის შემდეგ ახალგაზრდები დიახაც ბედნიერად იცხოვრებდნენ, ურსულა დედამისს რომ არ დაეშინებინა ავბედითი მემკვიდრეობით. ბოლოს მოხდა ისე, რომ დედის გამუდმებული ჩიჩინით სულით ხორცამდე შეძრულმა და შიშსატანილმა პატარძალმა ნეფეს ცივი უარი სტკიცა იმ საქმეზე, რითაც უნდა დაგვირგვინდეს ქორწილის პირველი ღამე... ურსულას ეშინოდა, ჩემი ქმარი ღონიერი და თავისნათქვამა კაცია, მომერევაო და ლოგინში ჩაწოლამდე ყოველთვის დედამისის შეკერილ უხეში ქსოვილის გრძელ უცნაურ ნიფხავს იცვამდა. ნიფხავს დაკერებული ჰქონდა რამდენიმე ქამარი, რომლებიც წინ რკინის ბალთებზე იკვრებოდნენ. ასე გავიდა რამდენიმე თვე: დღისით ქმარი თავის მოჩხუბარ მამლებს უვლიდა, ცოლი დედასთან ერთად ქარგვას აკლავდა თავს. ღამით კი ახალგაზრდები ქანცის გაწყვეტამდე ებღლარძუნებოდნენ ერთმანეთს და ამ ბღლარძუნში ილევდნენ ძილს. ალბათ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ასე, ყოვლისმცოდნე

[1] ხვლიკის სახეობა.

მეზობლებს რომ არ ეგუმანათ რაღაცა. მალე სოფელში ხმა დაირხა, ერთი წლის ქორწინების შემდეგ ურსულა ჯერ ისევ ქალიშვილია თავისი უგერგილო ქმრის წყალობითო. ხოსე არკადიო ბუენდიამ ყველაზე გვიან გაიგო ეს ამბავი:

— ხომ გესმის, რას ამბობს ხალხი? — მშვიდად მიმართა მან ცოლს.

— ნეტავი ერთი შენც, ილაყბონ რამდენიც უნდათ, — უპასუხა ურსულამ. — მე და შენ ხომ ვიცით, მართალს არ ამბობენ.

ერთი სიტყვით, კიდევ ექვს თვეს ტანჯეს და აწამეს ერთმანეთი და, ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ ერთ შავად გათენებულ კვირა დღეს არ დატრიალებულიყო ის ტრაგედია: მამლების ჩხუბის საყურებლად მთელი სოფელი გამოსულიყო. ხოსე არკადიო ბუენდიას მამალმა პრუდენსიო აგილარის მამალს სული გააფრთხობინა. დამარცხებით გაცოფებულმა და თავისი გასისხლიანებული მამლის დამნახავმა პრუდენსიომ ხოსე არკადიო ბუენდიას განგებ მიმართა ხმამაღლა და ყველას გასაგონად:

— სულითა და გულით მოგილოცავ, იქნებ მაგ მამალმა მაინც გააბედნიეროს შენი ცოლი!

ხოსე არკადიო ბუენდიამ მშვიდად აიყვანა ხელში თავისი გამარჯვებული მამალი, ხალხს დაუძახა: ახლავე მოვალო, ხოლო პრუდენსიო აგილარს ორი სიტყვა მიუგდო:

— შენ კი წადი ახლავე შინ და იარაღი წამოიღე. უნდა მოგკლა.

ათ წუთში დაბრუნდა ხოსე არკადიო ბუენდია პაპისეული შუბით ხელში. მამლების ბრძოლისთვის განკუთვნილ ფარდულთან მთელი ნახევარი სოფელი შეყრილიყო. პრუდენსიო აგილარი ფარდულის კართან ელოდა, ხელის განძრევაც ვერ მოასწრო, რომ ხოსე არკადიო ბუენდიას საოცარი სიძლიერითა და უნაკლო სიზუსტით ნასროლი შუბი — როგორადაც ოდესღაც პირველი აურელიანო ხოცავდა ამ მხარეში იაგუარებს — ყელში ჩაერჭო. ღამით, როცა იმავე ფარდულში ნათესავები თავიანთ მიცვალებულს დარაჯობდნენ, ხოსე არკადიო ბუენდია საძინებელ ოთახში შევიდა. ცოლი დასაწოლად ემზადებოდა და ჩვეულებისამებრ თავის უბიწოების ნიფხავს იცვამდა. კაცმა შუბი შეაქანა ხელში და ცოლს უბრძანა: „ახლავე გაიხადე!“ ურსულა მიხვდა, კაცი არ ხუმრობდა და მორჩილად ჩაიბუტბუტა: „რამე რომ მოხდეს, იცოდე, შენ აგებ პასუხს“. ხოსე არკადიო ბუენდიამ შუბი მიწურ იატაკში ჩაარჭო:

— თუ ბედად გვიწერია ხვლიკების დაბადება, რას ვიზამთ, ბედს ვერსად გავექცევით, გავზრდით ხვლიკებს, ამ სოფელში კი შენი მიზეზით აღარავინ მოკვდება, იცოდე!

ივნისის მშვენიერი, მთვარიანი და გრილი ღამე იდგა. ცოლ-ქმარს თვალი არ მოუხუჭავს, დილამდე აწჯღრევდნენ საწოლს და აინუნშიც არ აგდებდნენ ოთახში შემოჭრილ, პრუდენსიო აგილარის ახლობელ-ნათესავების მოთქმა-გოდებით დამძიმებულ ქარის თარეშს.

თუმცა ეს ორთაბრძოლა სოფელმა ღირსეულ ორთაბრძოლად მიიჩნია, ცოლ-ქმარს მაინც სინდისის ქენჯნა დაეუფლა ამ დღიდან. ერთხელ ღამით ურსულას რატომღაც ვერ იქნა და ვერ დაეძინა. წამოდგა, წყალს მაინც დავლევო და ეზოში გავიდა, სადაც წყლით სავსე კოკა იდგა. უცებ პრუდენსიო აგილარი დაინახა, ნაღვლიანი და მიცვალებულივით ფერგამკრთალი პრუდენსიო ჭრილობიდან სისხლის შეჩერებას ლამობდა, გამოღადრულ ყელში ბალახს იჩურ-

თავდა. ურსულას სულაც არ შეშინებია პრუდენსიოსი, შეეცოდა მხოლოდ. ოთახში დაბრუნებისთანავე უამბო ქმარს ყოველივე; მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა ცოლის სიტყვებს: „როდის იყო, მიცვალებული სამლავიდან დგებოდა? სინდისი გვქენჯნის, ეს არის და ეს". მესამე ღამეს ურსულა პრუდენსიო აგილარს საბანაო ოთახში გადააწყდა, ბალახით იშორებდა ყელზე შემხმარ სისხლს. ერთ წვიმიან ღამესაც ეზოში მოჰკრა თვალი. ხოსე არკადიო ბუენდიას გული გაუწყალა ცოლის მოჩვენებებმა და ისიც ეზოში გავიდა: მიცვალებული ისევ იქ იდგა; როგორც ყოველთვის, ახლაც ნაღველი ეხატა სახეზე.

— დაიკარგე აქედან! — დაუყვირა ხოსე არკადიო ბუენდიამ. — იცოდე, რამდენჯერაც მოხვალ, იმდენჯერვე მოგკლავ!

პრუდენსიო აგილარი არც შერხეულა. ხოსე არკადიო ბუენდიამ შუბის მოქნევა ვერ გაბედა. იმ დღიდან მასაც სანატრელი გაუხდა მშვიდი ძილი. ხოსე არკადიო ბუენდიას არ ასვენებდა ის უსაზღვრო ნაღველი, წვიმაში მდგომ მიცვალებულის თვალებში რომ ამოიკითხა — ნაღველი და მონატრება შინ დარჩენილებისა; თვალთაგან არ სცილდებოდა, რა გაფაციცებული ეძებდა წყალს პრუდენსიო ბალახის დასასველებლად და ჭრილობის მოსაბანად. „ეტყობა, უჭირს, — უთხრა ხოსე არკადიო ბუენდიამ ცოლს. — ეტყობა, მარტოობა უჭირს". ურსულას ისე შეეცოდა მიცვალებული, რომ ერთ ღამეს, როცა კვლავ გადააწყდა მოჩვენებას, — იგი ახლა სამზარეულოში შესულიყო და ღუმელზე დადგმულ ქვაბებში ეტყობა წყალს ეძებდა, — გადაწყვიტა, სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულში წყლით სავსე თასები დაედგა. ხოლო, როცა ხოსე არკადიო ბუენდიამ დაინახა, როგორ იბანდა ჭრილობას პრუდენსიო აგილარი მის საძინებელ ოთახში, ვეღარ გაუძლო და მორჩილად თქვა:

— იყოს ნებაჲ შენი, პრუდენსიო. წავალთ ამ სოფლიდან, წავალთ შორს და არასოდეს არ დავბრუნდებით. ახლა კი წადი და მშვიდად იყავი.

ჰოდა, სწორედ ამის შემდეგ გადალაშქრეს მთიანი ქედი. ხოსე არკადიო ბუენდიამ და მასავით თამამმა და გაბედულმა ახალგაზრდებმა მიატოვეს სახლკარი და ცოლ-შვილიანად დაადგნენ გზას... დაუსახლებელი ადგილების საძებნელად. ხოსე არკადიო ბუენდიამ გამგზავრებამდე მიწაში ჩამარხა თავისი შუბი და მერე საკუთარი ხელით სათითაოდ წააცალა თავი თავის მოჩხუბარ მამლებსაც. ეგონა, პრუდენსიო აგილარის სულს ამით სიმშვიდეს მოჰფენდა. ურსულამ ცოტა რამ წაიღო თან: ზანდუკი, რომელშიც საქორწინო კაბა-მორთულობანი ედო, ერთი-ორი აუცილებელი საოჯახო ნივთი და პატარა ყუთი — მამისეული დანატოვარი ოქროს მონეტებით სავსე. წინასწარ თავი არავის შეუწუხებია, რომელ გზას დასდგომოდნენ, აიღეს და უბრალოდ გადაწყვიტეს, ევლოთ რიოაჩას საწინააღმდეგო მიმართულებით, რათა გზად ნაცნობს არავის გადაყროდნენ და ამ მხარეში მათი ასავალ-დასავალიც არავის სცოდნოდა. ამაზე უცნაური მოგზაურობა არ ახსოვს ქვეყანას. წლისა და ორი თვის ხეტიალის მერე, როცა კუჭი აღარ უვარგოდათ მაიმუნის ხორცისა და გველის წვნიანის ჭამით, ურსულამ შობა ვაჟი და ამ ვაჟს ყველაფერი ადამიანისა ჰქონდა. ურსულას ფეხები დაუსივდა, ძარღვები დაებერა. სიარული აღარ შეეძლო და თითქმის ნახევარი გზა ჰამაკში მწოლიარემ გაიარა. ჯოხებზე დამაგრებული ჰამაკი ორ კაცს მიჰქონდა მხრებზე გადებული. ბავშვები მშობლებზე უკეთ გრძნობდნენ თავს გზაში, დარდი არ აწუხებდათ, ჩვეულებრივად იზრდებოდნენ, თუმცა საცოდავი შესახედავი კი იყვნენ თვალებამოღამებულნი და მუცელგამობე-

რილნი. ერთ დღეს, გამთენიისას, თითქმის ორი წლის ხეტიალის შემდეგ, ჩვენმა მოგზაურებმა, მოკვდავთა შორის პირველებმა, დაინახეს მთიანი ქედის დასავლეთი ფერდობი. ღრუბლებში აზიდული მწვერვალიდან დაჰყურებდნენ ისინი მდინარეებით დასერილ, უკიდეგანო, ქვეყნის დასალიერამდე გადაჭიმულ ველს... მაგრამ ზღვა კი არა და არ ჩანდა, რამდენიმე თვე [illegible]ალეს, კარგა ხანი იყო, გზად სულიერიც არ შეხვედროდათ. ერთხელ ღამით ქანცგაცლილები დაბანაკდნენ ქვიანი მდინარის ნაპირას, რომლის ტალღებიც გამლღვალ მინასავით კრიალებდა. გაივლის მრავალი წელიწადი და უკვე მეორე სამოქალაქო ომის დროს პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია რიოაჩას გარნიზონის ხელში ჩასაგდებად სწორედ ამ გზაზე წარუძღვება თავის ჯარს. მაგრამ ექვსი დღის წოწიალის მერე მიხვდება, ამ გზით სიარული სიგიჟე რომ იყო. იმ ღამით, მდინარესთან რომ დაბანაკდნენ, ხოსე არკადიო ბუენდიას დაესიზმრა, ვითომ ბანაკის ადგილას წამოიმართა დიდი ქალაქი, სადაც სახლებს უცნაურად გამჭვირვალე კედლები ჰქონდა. როცა იკითხა, რა ქალაქიაო, პასუხად გაიგონა ასევე უცნაური და უაზრო სახელი, მაგრამ სიზმარში მეტისმეტად ზებუნებრივად ჟღერდა ეს სახელი: მაკონდო. მეორე დღეს ხოსე არკადიო ბუენდიამ თავისიანები დაარწმუნა, ზღვის ძებნას მოვეშვათ, ტყე გავკაფოთ და ყველაზე გრილ ადგილას მიწა მოვასუფთაოთო. სწორედ აქ დაარსეს კიდეც სოფელი.

სიზმარში ნანახი გამჭვირვალე სახლები ხოსე არკადიო ბუენდიას მხოლოდ მაშინ ენიშნა, როცა ყინული ნახა პირველად და წამშივე დაასკვნა: იმ სიზმარში დიდი და ღრმა წინასწარმეტყველური აზრი იყო ჩაქსოვილიო: სულ მალე შესაძლოა ხელი მივყო ყინულის აგურების დამზადებას ისეთი ადვილად ხელმისაწვდომი მასალისაგან, როგორიც წყალია, შემდეგ ამ მასალით სახლებს ავაშენებ და თონესავით გახურებული მაკონდოც, სადაც ახლა მზეზე კარფანჯრების საკლიტულები და ანჯამებიც კი ლღვებიან, მარადიული სიგრილის ქალაქი გახდებაო. მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდია მაშინვე არ შედგომია ყინულის ქარხნის აშენებას, საამისოდ არ ეცალა, შვილების აღზრდით იყო გართული: განსაკუთრებით აურელიანოს ექცეოდა გულისხმიერებით, რადგან ბავშვს იმთავითვე აღმოაჩნდა ალქიმიის ნიჭი. ლაბორატორიაში კვლავ გაჩაღდა მუშაობა. მამამ ხელმეორედ გადაიკითხა მელკიადესის ჩანაწერები და ახლა უკვე მშვიდად, იმ სულსწრაფობისა და აღტყინების გარეშე, რაიც ყოველ ახლად წამოწყებულ საქმეს ახლავს თან, გადაწყვიტა ურსულას ოქროს მონეტები შვილის დახმარებით მოეცილებინა ქვაბის ფსკერზე მიმწვარ სხვადასხვა მინაერთებისთვის. უფროსი შვილი ხოსე არკადიო ლაბორატორიას ვერ ეგუებოდა და არც ეკარებოდა. ვიდრე მამა მთელი არსებით მისცემოდა თავის საქმეს ქურასთან, მისი პირმშო კარგა მოზრდილი ყმაწვილი გახდა, ხმა დაუბოხდა და ნიკაპი და ლაწვისთავები შეელინლლა. ერთხელ ურსულა ოთახში იმ დროს შევიდა, როცა შვილი დასაძინებლად ემზადებოდა. ქალს უცებ შერცხვა და შეეშინდა კიდეც: ქმრის მერე საკუთარი ვაჟიშვილი პირველი მამაკაცი იყო, ქალმა შიშველი რომ ნახა, თანაც ცხოვრებისთვის შვილი უკვე ისე დასრულებული და მომართული ჩანდა, რომ დედას მეტისმეტიც მოეჩვენა. ურსულა ფეხმძიმედ იყო, მესამე ბავშვს ელოდა და იმ შიშა შეეპყრო, ახლად ჯვარდაწერილს რომ სტანჯავდა და აწვალებდა.

იმ ხანებში ბუენდიებს ხშირად სტუმრობდა ერთი მხიარული, თამამი

და ენაკვიმატი ქალი. ურსულას ეხმარებოდა ხოლმე საოჯახო საქმეებში და მკითხაობაც ეხერხებოდა კარტზე. ურსულამ თავისი შიში გაანდო ქალს, ვაჟიშვილის ნაადრევი დაკაცება ისევე უჩვეულო მეჩვენება, როგორც ჩემი ნათესავის ღორის კუდიო. სტუმარ ქალს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ მისი ხმა მთელ სახლს მოედო ვერცხლის ზანზალაკებივით. „ნუ [illegible] — დაამშვიდა შეშფოთებული ურსულა, — ბედნიერი კაცი იქნება, [illegible] თუ არა!" ერთი-ორი დღის მერე, თავისი ნათქვამის სიმართლეში რომ დაერწმუნებინა, ქალმა კარტი მოიტანა და ხოსე არკადიოსთან ერთად ჩაიკეტა სამზარეულოს გვერდით პატარა საკუჭნაოში. იქ ფიცარზე გაშალა კარტი და ბუტბუტს მოჰყვა, ხან რას ეუბნებოდა და ხან რას იქვე გვერდით მდგომ ჭაბუკს, რომელიც დაღლილი უფრო ჩანდა, ვიდრე გულისხმაში ჩავარდნილი, ნეტავი კარტში რა ამომივაო. უცებ ქალმა ხელი გაიშვირა და ბიჭს შეეხო. „ერთი ამას უყურე", — ქალს მართლა შეეშინდა და კრინტი ველარ დასძრა მეტი. ხოსე არკადიოს თითქოს ძვლები დაუდნაო, მთელ მის არსებას რაღაც ისეთი მომთენთავი შიში დაეუფლა, რომ ცრემლი ძლივს შეიკავა. ქალს სხვა არაფრით გაუთამამებია ჭაბუკი, მაგრამ იგი მაინც მთელი ღამე მასზე ფიქრობდა, ბორგავდა, არ ასვენებდა კვამლის სუნი, იღლიაში რომ ასდიოდა ქალს. ამ სუნით თითქოს გაიჟღინთა ხოსე არკადიოს სხეული. ნეტავ სულ მასთან იყოს და არასოდეს გამოვიდნენ საკუჭნაოდან, ნეტავ კიდევ შეახოს ხელი და უსასრულოდ იმეოროს: „ერთი ამას უყურეთ! ერთი ამას უყურეთ!" ერთ დღესაც ხოსე არკადიომ ვეღარ მოითმინა და ქალს შინ ესტუმრა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს. ახლა მას აღარ სურდა ეს ქალი, რადგან ეს იმას არ ჰგავდა, იღლიაში კვამლის სუნი რომ ასდიოდა, თითქოს სხვა იყო... ვაჟმა ყავა დალია და გულდამძიმებულმა დატოვა იქაურობა. ღამით უძილობამ დატანჯა, ვერა და ვერ მოხუჭა თვალი, კვლავ აღენთო ვნება, ძლიერი და მომთენთავი, მაგრამ ამჯერად ის ქალი კი არ სურდა, საკუჭნაოში რომ ეჯდა გვერდით, არამედ ის ქალი, ვისაც საღამოს ესტუმრა შინ.

რამდენიმე დღის მერე თვითონ ქალმა იხმო ხოსე არკადიო: სტუმარს დედასთან ერთად დახვდა და მერე ვითომ კარტით სასწაულების ჩვენება უნდა ვასწავლოო, თავის საწოლ ოთახში შეიყვანა. ოთახში ქალმა ისე თამამად და მოურიდებლად შეახო ხელი, რომ ვაჟს კანკალმა დაურბინა მთელ სხეულში და მისდა გასაოცრად ტკბობისა და თრობის ნაცვლად რაღაცნაირი შიში და უიმედობა დაეუფლა. ქალმა ჩასჩურჩულა, ამაღამ უსათუოდ მოდიო. ხოსე არკადიო ოღონდ ახლა დასხლტომოდა მასპინძელს ხელიდან და შეჰპირდა, მოვალო, თუმცა წინასწარვე იცოდა, აქ მომსვლელი აღარ იყო, მაგრამ ღამით თავის გავარვარებულ საწოლში მიხვდა, წაუსვლელობა არ შეეძლო, რაღაც ეწეოდა იქით და იმ რაღაცის წინაშე იგი უძლური აღმოჩნდა. სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა ტანსაცმელი. იქვე ძმა მშვიდად ფშვინავდა, გვერდით ოთახში მამა ხანდახან წამოახველებდა ხოლმე, გარეთ საქათმეში ქათმები ქოთქოთებდნენ. შიშითა და სურვილით ერთიანად ატანილ ვაჟს მწერების ბზუილი და საკუთარი გულისცემაც ესმოდა. უკაცრიელ ქუჩაში ფეხაკრეფით მიიპარებოდა და თან გულში ნატრობდა, ნეტავ კარი ჩაკეტილი დამხვდესო, მაგრამ დაპირებისამებრ კარი ღია დაეტოვებინათ. ხოსე არკადიო კარს ოდნავ შეეხო და ანჯამებმა ისე დაიღრჭიალეს, სისხლი გაეყინა ძარღვებში. მერე ჩუმად გადადგა ნაბიჯი და ოთახში შესვლისთანავე ნაცნობი სუნი ეცა ცხვირში. იცო-

და. წინა ოთახში ქალის ძმებს ეძინათ ჰამაკებში, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ხედავდა და ხელების ფათურით მიიწევდა ქალის ოთახისაკენ. ამ ძებნაში უცებ დაბლა დაკიდულ ჰამაკს გადააწყდა. ჰამაკში ვიღაც კაცი მშვიდად ხვრინავდა, მერე მხარი იცვალა და რაღაცნაირი დანანებით წაიბუტბუტა: [illegible]ბათი იყო". ხოსე არკადიომ როგორც იქნა იპოვა მეორე ო[illegible] გამოაღო. კარი უსიამოდ აზრიკინდა ოლროჩოლრო იატაკზე. დარდით და ეჭვით შეპყრობილი ვაჟი უიმედოდ მიიკვლევდა გზას სიბნელეში, თვეზებივით ჩაწყობილიყვნენ დედა, მისი მეორე ქალშვილი ქმართან და ორ ბავშვთან ერთად და ის ქალიც, რომელიც, ეტყობა, სულაც არ ელოდა ხოსე არკადიოს. ვაჟი სუნით მიაგნებდა მას, მაგრამ მთელ სახლში ისეთივე მოუხელთებელი და ამავე დროს მკვეთრი სუნი იდგა, თავად რომ ასდიოდა აგერ უკვე რამდენიმე დღეა. ხოსე არკადიო კარგა ხანს იდგა გახევებული, ნეტავ რამ მომიყვანა ამ უილაჯობის წყვდიადშიო, ფიქრობდა შეშინებული, რომ უცებ სიბნელეში ვიღაცის მოფათურე ხელი შეეხო სახეზე. ხოსე არკადიოს არც გაკვირვებია, თითონაც ვერ იტყოდა, რატომ ელოდა ამ შეხებას. ქანცგამოცლილი მიჰყვა ამ ხელს უჩინარ საწოლისაკენ, სადაც თვალისდახამხამებაში გააძრეს ტანთ და კარტოფილით სავსე ტომარასავით დაუწყეს ნჯღრევა. უკუნ სიბნელეში წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ და ეჩვენებოდა, ზედმეტი ხელები გამომებაო. სადღა იყო ქალის ნაცნობი სუნი, ამიაკი ყარდა ირგვლივ! ხოსე არკადიო ქვეცნობიერად გრძნობდა, იმას აკეთებდა, რისი გაკეთებაც დიდი ხანია სურდა, თუმცა ყოველთვის ლოლნიდა ეჭვი, ვერ შევძლებო. თვითონაც არ იცოდა, როგორ აკეთებდა, ერთმანეთში აერია თავისი და სხვისი ხელები, ფეხები, თავი. სული ეხუთებოდა, გრძნობდა, მეტს ველარ გაუძლებდა და ახლა მხოლოდ ერთ სურვილსღა შეეპყრო, განშორებოდა ამ უსასოო სიჩუმეს, ამ შიშისმომგვრელ მარტოობას, მაგრამ ძალაწართმეულს არც ეთმობოდა აქაურობა დასატოვებლად.

ამ ქალს პილარ ტერნერას ეძახდნენ. თავისი მშობლების ნება-სურვილით იგი იმ დიად წამოწყებაში მონაწილეობდა, რომელსაც მაკონდოს დაარსება მოჰყვა. მშობლებს სურდათ თავიანთი ქალიშვილი აქაურობისთვის მოეშორებინათ, უფრო სწორად, იმ კაცისთვის დაეცილებინათ, ვინც თოთხმეტი წლისას, ნამუსი ახადა და მას შემდეგ აგერ უკვე რვა წელიწადი კვლავ ერთად იყვნენ. მაგრამ კაცი აქაური არ იყო და ვერ გადაეწყვიტა პილარი კანონიერ ცოლად გაეხადა. კაცმა შეჰფიცა პილარს, ქვეყნის დასასრულამდე გამოგყვებოდი, მაგრამ ახლა ცოტა ხანს მაცალე, საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, მერე კი უსათუოდ ჩამოგაკითხავო. იმ დღიდან ელოდა პილარი თავის სატრფოს და თუმცა რა ჯურის მამაკაცები არ ამოსდიოდა კარტში — მაღალი თუ დაბალი, ქერა თუ შავგვრემანი. ზოგი ხმალდით მოისწრაფოდა მისკენ, ზოგიც ფეხით, ზოგი სამი დღის ან სამი თვის მერე თუ არა, სამი წლის მერე მაინც უნდა ჩამოსულიყო—შეხვედრის იმედი საბოლოოდ გადაუწყდა. ამ მოლოდინში მამაკაცის ალერსს გადაეჩვია, ნელ-ნელა ჩამოხმა, თეძოები დაუწვრილდა, მკერდი მოემჩვარა, მაგრამ გულის სიკასკასე კი უცვლელი დარჩა. ბავშვივით ატაცებული ხოსე არკადიო ახლა ყოველ ღამე გადიოდა შინიდან, რათა იქ, იმ ჩაწყვდიადებულ ლაბირინთებში ხელის ცეცებით ეპოვა თავისი ახლად აღმოჩენილი მშვენიერი სათამაშო. ერთხელ როგორღაც კარი ჩაკეტილი დაუხვდა. სასოწარკვეთილმა ვაჟმა კარს მუშტი დაუშინა. რაკილა გაბედა და ბრახუნი ატეხა, მერე აღარ მოეშვა. ვიდრე პილარმა არ გაუღო კარი... უძილობისკენ

მოთენთილ ხოსე არკადიოს მთელი მეორე დღე დასდევდა ხოლმე წინა ღამეს განცდილი სიტკბო. მაგრამ როცა ბუენდიების სახლში გამოჩნდებოდა ხოლმე ძველებურად მხიარული, თამამი და ენაკვიმატი პილარ ტერნერა, ხოსე არკადიო სულაც არ ცდილობდა მღელვარება დაეფარა, რამეთუ ამ ქალს, ვისი ზარივით სიცილი მტრედებსაც კი აფრთხობდა ეზოში, არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ უხილავ ძალასთან, რომელმაც ყმაწვილს სულის შეგუება ასწავლა, საკუთარი გულისცემისთვის ყურის მიგდებაც ასწავლა და ისიც გააგებინა, რატომ ეშინიათ მამაკაცებს სიკვდილისა. ხოსე არკადიო ისე იყო ჩაფლული საკუთარ განცდებში, რომ ვერც მიხვდა, რატომ ატყდა სახლში მხიარული ყიჟინა, როცა მამამისმა და უმცროსმა ძმამ ყველას ამცნეს, ქვაბში ჩამწვარი ნაერთი ხელახლა გადავადნეთ და ურსულას ოქრო გადავარჩინეთო.

მამა-შვილმა სამი დღე-ღამის შეუსვენებელი შრომით მიაღწია ამ გამარჯვებას. ურსულა სიხარულისაგან აღარ იყო, ის კი არადა, ღმერთს მადლობაც შესწირა ალქიმიის გამოგონებისთვის. თითქმის ნახევარმა სოფელმა მოიყარა თავი ლაბორატორიაში, ყველას სურდა საკუთარი თვალით ეხილა სასწაული. ურსულა მურაბიანი ნამცხვრებით უმასპინძლდებოდა სტუმრებს. ხოსე არკადიო ბუენდია ყველას სათითაოდ უჩვენებდა აღდგენილი ოქროთი სავსე ტიგელს და ისეთი გახარებული ჩანდა, თითქოს თვითონ გამოეგონოს ოქრო პირველად. ხან ერთს მიადგებოდა, ხან მეორეს და ბოლოს თავისი უფროსი ვაჟიშვილის წინ აღმოჩნდა. შვილს ზედ თვალთან მიუტანა მოყვითალო ნაცარი და ჰკითხა, აბა, თუ მეტყვი, ეს რა არისო? ხოსე არკადიომ სიმართლე უთხრა:

— ძაღლის ქაქია.

მამამ ხელუკუღმა ისე გამეტებით სთხლიშა ტუჩებში, რომ ხოსე არკადიოს პირიდან სისხლი წასკდა და თვალებიც ცრემლით აევსო. იმავე ღამით პილარ ტერნერამ სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა ბამბა და მალამო და შესიებულ ტუჩზე დაადო ვაჟს, მერე ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ხოსე არკადიოს უნდოდა, ქალი ცდილობდა ალერსის დროს ნატკენ ტუჩზე არ შეხებოდა. ბოლოს და ბოლოს ქალ-ვაჟი ისე დაუახლოვდა ერთმანეთს, რომ თაქისდა შეუმჩნევლად ჩურჩულსაც მოჰყვნენ:

— მხოლოდ შენთან მინდა ვიყო, — ეუბნებოდა ვაჟი, — სულ მალე ყველას ვეტყვი ჩვენს ამბავს და ამ კუკუმალულობასაც მოეღება ბოლო.

— ნეტავი ცალკე ვიყოთ ოთახში... — მაშინვე დაეთანხმა ქალი, — ლამპას ავანთებდით, ერთმანეთს დავინახავდით. რასაც მოვისურვებდი, იმას გავაკეთებდი, ვიყვირებდი, კიხტუხავებდი, არვინ არ დამძრახავდა, შენ კი ყურში მიჩურჩულებდი ათასნაირ სისულელეს...

ამ საუბარმა, მამისადმი გაბოროტებამ და იმის რწმენამ, რომ როგორც არ უნდა დატრიალებულიყო მისი ბედის ჩარხი, უკანონო სიყვარულით მაინც ყოველთვის შესძლებდა გულის მოჯერებას, ხოსე არკადიოს უშფოთველი გამბედაობა ჩაუნერგა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უამბო ძმას ყველაფერი.

პატარა აურელიანომ უფროსი ძმის თავგადასავალი რომ მოისმინა, პირველად შიშმა შეიპყრო, ცუდი არაფერი შეემთხვესო. თუმცა ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ძალა იზიდავდა ძმას იქითკენ, მაგრამ მალე მასაც გადაედო ხოსე არკადიოს მღელვარება, ღამის ამბებს ათასჯერ და დაწვრილებით მოაყოლებდა ხოლმე, მასთან ერთად იზიარებდა ტანჯვასაც და სიტკბოსაც, ეშინოდა და რა-

ლაც უხაროდა კიდეც. მთელი ღამე ელოდა ძმას, დილამდე არ იძინებდა, შემფურივით ტრიალებდა ლოგინში, მერე ხოსე არკადიო რომ მოვიდოდა, დილამდე ჩურჩულებდნენ; მალე ორივენი მთვარეულებს დაემსგავსნენ, ორივეს ერთნაირად შესძულდა ალქიმია, მამის განსწავლულობა, და განმარტოვდნენ. „ბიჭებს რაღაცა ჭირთ, — ჩიოდა ურსულა. — ნამდვილად ჭია აწუხებთ". შვილებს პაიკოს[1] ნახარში მოუმზადა და მისდა გასაკვირად ორივემ მოთმინებით და უსიტყვოდ გადაჰკრა ეს სისაძაგლე. აურელიანოს თანდათან ეუფლებოდა ძმის მღელვარება და უკვე საკუთარივით განიცდიდა. ერთხელ, როცა ძმა წვრილად უამბობდა სიყვარულობანას თამაშს, აურელიანომ ჰკითხა, იმ დროს რასა გრძნობო, რაზედაც ხოსე არკადიომ მაშინვე უპასუხა:

— გეგონება, მიწა იძრაო.

იანვრის ერთ ხუთშაბათ ღამეს, ორ საათზე დაიბადა ამარანტა. ვიდრე ოთახში ვინმე შევიდოდა, ურსულამ საგულდაგულოდ მიათვალ-მოათვალიერა ჩვილი. გოგონა მართალია ხვლიკივით სხარტი და მსუბუქი იყო, მაგრამ ყველაფერი ჩვეულებრივი ადამიანისა ჰქონდა. აურელიანო მხოლოდ მაშინ მიხვდა, დაიკო შემეძინაო, როცა სახლში მოფუსფუსე ხალხის ხმები ჩაესმა ძილში. მაშინვე ძმას გადაწვდა, იმასაც გავაღვიძებო, მაგრამ მისი საწოლი ღამის თერთმეტი საათიდან უკვე ცარიელი იყო. აურელიანომ ისე ერთბაშად გადაწყვიტა, იქ მივაკითხავო, რომ არც დაფიქრებულა, რა მანქანებით გამოიყვანდა ძმას პილარ ტერნერას საწოლი ოთახიდან. კარგა ხანს დაძრწოდა ბიჭი პილარის სახლის გარშემო, შეთქმულივით უსტვენდა, მაგრამ ამაოდ. სტვენა-სირბილში თავს დაათენდა და შინისკენ მოკურცხლა; შინ კი დედის ოთახში ხოსე არკადიო უცოდველი კრავივით იჯდა და ახლად დაბადებულ დაიკოს ეთამაშებოდა.

ორმოცი დღის მოლოგინებული იყო ურსულა, როცა სოფელს კვლავ მოადგნენ ბოშები. ეს ის ოინბაზი და ტაკიმასხარა ბოშები იყვნენ, წინა ჩამოსვლაზე ყინული რომ ჩამოიტანეს. მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მელკიადესის ტომისგან განსხვავებით, ესენი პროგრესის მაცნენი კი არა, უბრალოდ სანახაობით მოვაჭრენი იყვნენ მხოლოდ. მაშინაც ყინული იმიტომ კი არ ჩამოიტანეს, რომ ხალხისთვის აეხსნათ, ესა და ეს სარგებლობა შეუძლია მოგიტანოთ ამ გამჭვირვალე ლოდმაო, არამედ უბრალოდ საცირკო სანახაობისთვის. ბოშებმა მაკონდოელები ამჯერად მფრინავი ჭილოფით გააკვირვეს, მაგრამ თვით ბოშებისათვის ეს ჭილოფი მხოლოდ და მხოლოდ გასართობი იყო და არა მიმოსვლის საუკეთესო საშუალება, რომლის გაუმჯობესებასაც მომავალში დიდ წვლილს შეიტანდა ხალხთა დაახლოების საქმეში. მაკონდოელებმა, რა თქმა უნდა, უკანასკნელი გროშებიც კი არ დაიშურეს, რათა სოფელს გადაფრენოდნენ თავზე. ამ საერთო არეულობაში ხოსე არკადიოსა და პილარისთვის არავის ეცალა და ისინიც სრულ თავისუფლებაში ცურავდნენ. ხალხის ბრბოში დაკარგულებს თავი ბედნიერ შეყვარებულებად მიაჩნდათ. მხოლოდ აქ მიხვდნენ, სიყვარული მარტო საიდუმლო ღამეებში განცდილი შმაგი წუთიერი, ტკბობა კი არა, დინჯი და უშფოთველიც ყოფილა თურმე.

მაგრამ პილარმა ვაჟის სიხარულს მალე შეუკვეცა ფრთები. რაკილა დარ-

[1] ინდიელები ეძახიან ერთგვარ ტროპიკულ მცენარეს, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს.

წმუნდა, უფრო სწორად, მოეჩვენა, ხოსე არკადიოს უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლიაო, ადგა და ერთ მშვენიერ დღეს უცბად მთელი ქვეყანა დაამხო თავზე: ახლა კი ნამდვილი მამაკაცი ხარო, გამოუცხადა სატრფოს, მაგრამ ვერაფერს მიხვდა და პილარ ტერნერამაც ჩამოუმარცვლა:

— მალე შვილი გეყოლება.

ხოსე არკადიო რამდენიმე დღეს ვერ ბედავდა ლაბორატორიიდან გამოსვლას. საკმარისი იყო სამზარეულოდან პილარის გულიანი კისკისი მისწვდენოდა მის ყურთასმენას, რომ შეშინებული მაშინვე ჩაიკეტებოდა ლაბორატორიაში, სადაც ურსულას ლოცვა-კურთხევით კვლავ გაჩაღებულიყო მუშაობა. ხოსე არკადიო ბუენდიამ გაიხარა გზააბნეული შვილის დაბრუნებით და მაშინვე საიდუმლოდ გაანდო, „ფილოსოფიური ქვის“ ამოცნობას მოვკიდე ხელსო. ერთ საღამოს ზედ ლაბორატორიის ფანჯრებთან კილობით ჩაიქროლეს ბოშათა საჭემ და რამდენიმე მაკონდოელმა ბიჭმა. ბიჭებმა ხელი დაუქნიეს ძმებს, რომლებიც პირდაღებული შესცქეროდნენ ამ საოცარ სანახაობას. ხოსე არკადიო ბუენდიას თავიც არ აუწევია. „იფრინონ, იფრინონ,— ჩაიბუზღუნა მან.— დადგება დრო და ჩვენ უფრო უკეთესი, მეცნიერულად აწყობილი მანქანით გავფრინდებით და არა ამ მათხოვრული ჭინჭით“. ხოსე არკადიო მოგონილი გულისყურით ცდილობდა ჩასწვდენოდა „ფილოსოფიური კვერცხის“ არსს, მაგრამ მაინც ვერაფრით გაიგო, რას წარმოადგენდა იგი და ბოლოს და ბოლოს დაასკვნა: ეს არის ერთი უხეიროდ ჩამოსხმული ბოთლი და მეტი არაფერიო. ლაბორატორიაში მუშაობას მისთვის დიდი შვება არ მოუტანია. მადა დაეკარგა და მოიწყინა: მამამისსაც ასე სჩვეოდა ყოველი ახლად წამოწყებული საქმის ჩავარდნის მერე. ხოსე არკადიო ბუენდიამ შვილის უგუნებობა რომ შეამჩნია, იფიქრა, ალბათ ალქიმიამ გადაღალაო და ლაბორატორიაში მუშაობისაგან გაათავისუფლა. მამისაგან განსხვავებით აურელიანო მიხვდა, „ფილოსოფიური ქვის“ კვლევა-ძიება კი არა, სხვა რამ უღრღნიდა მის ძმას გულს, მაგრამ აქამდე გულახდილ ხოსე არკადიოს ახლა სიტყვაც ვერ დააცდენინა თავის წუხილზე. წინანდელი მეგობრული სიახლოვე, წინანდელი ხალისი სადღაც გამქრალიყო და მის ნაცვლად გულჩახვეულობასა და მტრობას დაესადგურებინა ძმის არსებაში. მარტოობის წყურვილით შეპყრობილმა და მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალმა ხოსე არკადიომ ერთხელ ღამით კვლავ მიატოვა თავისი საწოლი და პილარ ტერნერას ნაცვლად ბოშათა ბანაკისკენ გასწია, სადაც უსაქმურებს მოეყარათ თავი. ვაჟმა გულგრილად ჩაუარა ათასნაირ საეშმაკო გასართობსა და სანახაობას, თვალი არც ერთისკენ არ გაქცევია, მაგრამ შუშის მძივების სიმძიმისაგან ლამის წელში მოხრილი ერთი ბოშა ყმაწვილი ქალი რომ დაინახა, მაშინ კი შედგა უცებ. ასეთი მზეთუნახავი ხოსე არკადიოს ჯერ არ ენახა. ქალიშვილი ბრბოში იდგა და ნაღვლიან სურათს შესცქეროდა — დედ-მამის ურჩი შვილი გველად გადაქცეულიყო.

ხოსე არკადიომ არც კი შეხედა საბრალო კაცს. ვიდრე ხალხი გველკაცას ნაღვლიან ამბავს ისმენდა, ხოსე არკადიომ ჯიკავ-ჯიკავით გაიკვლია გზა ბრბოში და ბოშა ქალიშვილის უკან დადგა. ქალიშვილმა წინ წადგა ნაბიჯი. ვაჟიც მიჰყვა და უფრო მიეკრო ზურგზე. მაშინ იგრძნო ყმაწვილმა ქალმა, რომ უკან კაცი ედგა. შიშისა და გაოცებისაგან აკანკალებული გაყუჩდა, იქნებ მოვტყუვდიო. მერე მოტრიალდა და მორცხვად გაუღიმა ხოსე არკადიოს. ამა-

სობაში ბოშებმა გველკაცა გალიაში შეაგდეს და კარავში შეიტანეს.

ერთ-ერთმა ბოშამ გამოაცხადა:

— ბატონებო და ქალბატონებო, ახლა საშინელი სანახაობის მოწმენი გახდებით ყველანი, გიჩვენებთ ქალს, ვისაც აგერ უკვე ას ორმოცდაათი წელიწადია ყოველღამ ამ დროს თავს კვეთენ იმისათვის, რომ მან [illegible] არ უნდა ენახა!

...ბიბლიოთეკა

ხოსე არკადიო და ქალიშვილი თავის მოკვეთას არ დაესწრნენ. ისინი უკვე კარავში იყვნენ და გახელებული ჰკოცნიდნენ ერთმანეთს და თან ტანსაცმელს იხდიდნენ. ქალიშვილმა ჯერ ერთი ქვედა კაბა გაიხადა, მერე მეორე, მესამე... უსარგებლო კორსეტიც მიაყოლა მაქმანგაყვითლებულ უამრავ ქვედა კაბას, შუშის მძივებიც მოიხსნა და სინამდვილეში არც არაფერი დარჩა მისგან. მერე ეს გალეული, ძვალტყავა პატარა ბაყაყი, — რომელსაც ერთი ციცქნა მკერდი და ხოსე არკადიოს მკლავებთან შედარებით უფრო წვრილი ფეხები ჰქონდა, —ისეთ ცეცხლს აფრქვევდა, სულ რომ არ შეეფერებოდა მის სიგამხდრეს. სამწუხაროდ, ხოსე არკადიოს ერიდებოდა ალერსზე ალერსითვე ეპასუხა, კარავში წამდაუწუმ შემოდიოდნენ ბოშები, ზოგს შემოჰქონდა, ზოგსაც გაჰქონდა რაღაცა. ერთი ბოშა მუხლის გასამართავად პირდაპირ მათ საწოლთან ჩაჯდა იატაკზე, ესეც არ იყოს, შუა კარავში დაკიდული ლამპის შუქიც ყველა კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა. ბოშა ქალიშვილი ამაოდ ცდილობდა აისხლი აეჩქროლებინა, სურვილით ალეგზნო ტახტზე უღონოდ გაშხლართული დედიშობილა ხოსე არკადიო. ამასობაში კარავში ფაშფაშა ბოშა ქალი შემოვიდა ვიღაც კაცთან ერთად. კაცი ბოშა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც აქაურობა ეტყობოდა. ორივენი იქვე ზედ მათ ტახტთან გაშიშვლდნენ უცებ. ფაშფაშა ქალმა შემთხვევით დახედა ხოსე არკადიოს და ალტაცება მოჰგვარა მისმა მოზრდილმა მძინარე მხეცმა.

— ბიჭიკო, — შესძახა მან. — ღმერთმა შეგარჩინოს ეგა!

ხოსე არკადიოს გოგომ მოსულებს უთხრა, ხელს ნუ გვიშლითო და ისინიც ტახტთან, იატაკზე მოკალათდნენ. ბოლოს და ბოლოს სხვისი ვნების დანახვაზე ხოსე არკადიოსაც გაეღვიძა სურვილი, ქალიშვილს მძლავრად ჩაავლო ხელი და მის ძვლებს ისეთი ტკაცუნი აუტეხა, კაცს ეგონებოდა, დომინოს კენჭები მიმოიფანტნენ იატაკზეო. გოგოს თვალები ცრემლით აევსო, სხეულმაც თითქოს ამოიკვნესა და შლამის სუნი აუვიდა ოდნავ. მაგრამ მაინც გმირულად გაუძლო ვაჟის პირველ შეტევას, რაც ალტაცების და ქების ღირსი იყო ნამდვილად. ხოსე არკადიოს ეჩვენებოდა, სადღაც მაღლა სამოთხის ღრუბლებში დავფრინავო, გულში აღარ ეტეოდა უნაზესი უხამსი სიტყვები, რომლებიც ქალიშვილის ყურში მიიკვლევდნენ გზას, ხოლო შემდეგ ქალიშვილისვე პირიდან ამოდიოდნენ ქალიშვილისვე ენაზე თარგმნილი. ეს ამბავი მოხდა ხუთშაბათს. შაბათ ღამეს კი ხოსე არკადიომ თავი წითელი ხილაბანდით გაიკრა და ბოშებთან ერთად დატოვა მაკონდო.

პირველად ურსულამ მოისაკლისა შვილი, ახლომახლო რომ ვერსად ნახა, მერე მთელ სოფელში დაუწყო ძებნა. ბოშათა კარვების ადგილას ნაგავი და ჯერ კიდევ მხრჩოლავი ნაცარი დაუხვდა. ერთი მაკონდოელი კაცი ბოშათა ბანაკში დაბორიალობდა თურმე, იქნებ შუშის მძივები მაინც ვიპოვოო. სწორედ იმას დაუნახავს, წინა ღამით ხოსე არკადიო როგორ მიათრევდა ორთვალას, რაზედაც გველკაცას გალია იყო შედგმული. „ბოშა გახდა!" — შესძახა

სასოწარკვეთილმა ურსულამ ქმარს, რომელიც სულაც არ აღელვებია უფროსი შვილის გადაკარგვას.

— სწორადაც მოიქცა, — ხოსე არკადიო ასჯერ დაფქვულ-გადაფქვულ და გაცხელებულ-გადაცხელებულ რაღაც ნაერთის სრესდა. — სამაგიეროდ ნამდვილი მამაკაცი გახდება.

ურსულამ გამოიკითხა, საით წავიდნენ ბოშებიო და მერე, რჩევას კითხვა-კითხვით დაეწიოო, ისიც გზას დაადგა. ამ ძებნასა და დევნაში ისე გაერთო, რომ ბოლოს მიხვდა, სოფელს კარგა მანძილზე დაშორებოდა და ერთბაშადაც გადაწყვიტა, ახლა უკან დაბრუნება აღარ ღირსო.

ხოსე არკადიო ბუენდიას არც შეუმჩნევია ცოლის შინ არყოფნა, მაგრამ მოსაღამებულს, ის იყო თავისი ნაერთი ნეხვის საფენზე დადო გასათბობად, რომ ამარანტას გულისწამღები ტირილი ჩხავილი მოესმა. ნეტავ ამდენ ხანს რას ატირებენო, გაიფიქრა და ბავშვის ოთახისაკენ გასწია. მერე დიდხანს აღარც უცდია, ამარანტა ერთ ქალს ჩააბარა და თვითონ კი იარაღასხმულ თანასოფლელებთან ერთად გაუვალ ბილიკებს დაადგა ცოლის საძებნელად. აურელიანოც თან წაიყვანა. განთიადისას ინდიელმა მეთევზეებმა მდევრებს ხელებით მიანიშნეს, აქ არავის გაუვლიაო. სამი დღის უშედეგო ძებნის შემდეგ მაკონდოელები შინ დაბრუნდნენ.

ხოსე არკადიო ბუენდია კარგა ხანს დარდობდა ცოლს, ამარანტას დედასავით უვლიდა, ბანდა, საფენებს უცვლიდა, დღეში ოთხჯერ მიჰყავდა მეძუძურ ქალთან და ასე გასინჯეთ, ძილის წინ ნანასაც უმღეროდა, რაც ურსულას სულ არ ემარჯვებოდა. ერთ დღეს პილარ ტერნერამ ხოსე არკადიო ბუენდიას შესთავაზა, ურსულას დაბრუნებამდე მე მოვუვლი სახლ-კარსო, მაგრამ აურელიანომ, — ვისი იდუმალი ინტუიციაც ცხოვრებამ უკვე გამოაწრთო და გამოაბრძმედა, — როგორც კი ეს ამბავი გაიგო, თითქოს გონება გაუნათდაო, მიხვდა, სადღაც ამ ქალს მიუძღვის ბრალი ჩემი ძმისა და დედის გადაკარგვაშიო და ისე მტრულად და გამეხებული დაუხვდა, რომ პილარ ტერნერა აღარც გამოჩენილა მეტად.

დრომ ყველა სატკივარი განკურნა. ხოსე არკადიო ბუენდიამ და მისმა ვაჟმა ვერც კი შეამჩნიეს, ისე აღმოჩნდნენ კვლავ ლაბორატორიაში. მტვერი გადაწმინდეს, ღუმელში ცეცხლი გააჩაღეს და რამდენიმე თვის წინ ნეხვის საფენებზე მიტოვებული ნაერთის დამუშავებას მიჰყვეს ხელი. ამარანტას იფნის წნელებით მოწნული კალათაც იქვე ედგათ ხოლმე ვერცხლისწყლის ანაორთქლით გაჟღენთილ ლაბორატორიაში. ბავშვი გაფაციცებული შესცქეროდა საქმეში გართულ მამასა და ძმას. ურსულას გადაკარგვიდან თვეც არ იყო გასული, რომ ლაბორატორიაში უცნაური ამბები ხდებოდა. კარგა ხნის წინ კარადაში შედგმული ცარიელი ბოთლი ახლა ისე დამძიმებულიყო, კაცი ვერ დაძრავდა ადგილიდან. სამუშაო მაგიდაზე მდგარ ქვაბში წყალი თავისით, უცეცხლოდ აჩუხჩუხდა და იქამდე დუღდა, ვიდრე ბოლო წვეთიც არ აორთქლდა. თუმცა მამა-შვილს ვერაფრით აეხსნა ეს უცნაური მოვლენები, მაინც გახარებული ვარაუდობდნენ, რაღაც ახალს მივაგენითო. ერთ მშვენიერ დღეს ამარანტა თავის კალათიანად უცბად მაღლა-მაღლა ავიდა ჰაერში, და ოთახში წრე შემოხაზა. იმ დროს, როცა გაოცებული აურელიანო ცდილობდა კალათა დაეჭირა, ხოსე არკადიო ბუენდია უშფოთველად იდგა, მერე კალათა

შეაჩერა, თავის ადგილზე დადგა და მაგიდის ფეხს გამოაბა. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, მათი ოცნება მალე ფრთებს შეისხამდა და შვილს უთხრა:

— ღმერთისა თუ არ გეშინია, ლითონისა გეშინოდეს.

ხუთი თვის მერე გამოჩნდა ურსულა. აღგზნებულსა და გახალგაზრდავებულს ისეთი კაბა ჩაეცვა, სოფელში რომ არავის ენახა. ხოსე არკადიო ბუენდია ლამის არ გაგიჟდა სიხარულისაგან. „ესეც ასე! სწორედ ისე მოხდა, როგორც ვფიქრობდი!“ — თქვა მან და ეს იყო მართალი. ის ხომ ლაბორატორიაში თავის ცდებზე ხანგრძლივი მუშაობისას სულის სიღრმეში ღმერთს დღენიადაგ ევედრებოდა, არ მინდა ფილოსოფიური ქვის აღმოჩენა, არც ბოქლომ-ანჯამების ოქროდ გადაქცევა. მინდა, თუ სადმე ხარ, უფალო, ერთი საოცრება მომივლინოო და მართლაც, ეს საოცრება გახლდათ ის, რაც ახლა მოხდა — ურსულას დაბრუნება. სამაგიეროდ ცოლს არ გაუზიარებია ქმრის მღელვარება და სიხარული. ისე ჩვეულებრივ აკოცა ქმარს, თითქოს ერთი საათის უნახავი ყოფილიყვნენ მხოლოდ. მერე უთხრა:

— აბა ერთი გამოდი გარეთ.

ხოსე არკადიო კარგა ხანს ვერ გამოერკვა, თავის სახლის წინ რომ თავშეყრილი უამრავი ხალხი დაინახა. ისინი ბოშები არ იყვნენ, ჩვეულებრივი ქალები და კაცები იყვნენ, მაკონდოელებს ჰგავდნენ, მათსავე ენაზე ლაპარაკობდნენ და მათივე სატკივარი სტკიოდათ. იქვე ნაირ-ნაირი სანოვაგით, ფუთებითა და არსებობისთვის საჭირო ჭკვიანური და უეშმაკო საოჯახო ნივთებით დატვირთული ჯორები ისე იდგნენ, გეგონებოდათ, ეს ყველაფერი ბაზრობაზე გამოუტანიათ გასაყიდადო. ეს ხალხი ხეობის გაღმა მხრიდან წამოსულიყო. იქამდე სულ ორი დღის სავალი იყო, მაგრამ იქაურ ქალაქებში ყოველთვე იღებდნენ ფოსტას და ხალხიც მანქანებით დაიარებოდა. თუმცა ურსულა ბოშებს ვერ დაეწია, სამაგიეროდ ის გზა იპოვა, რომელსაც უდიდესი აღმოჩენებით გატაცებულმა მისმა ქმარმა ვერ მიაგნო.

პილარ ტერნერას ვაჟიშვილი ორი კვირის მოვლენილი იყო ამქვეყნად, როცა ბებიისა და პაპის სახლში მიიყვანეს. ურსულას სულაც არ ეჭაშნიკა ეს ამბავი, მაგრამ რას იზამდა, ვერც ახლა აღუდგა წინ ქმრის ნება-სურვილს, ბუენდიების ნაშიერი ბედის ანაბარა როგორ მიეგდოთო. ურსულამ ერთი პირობა კი ჩამოართვა ქმარს, ბავშვისათვის არასოდეს გაემხილათ თავისი ნამდვილი წარმოშობა. ბიჭს ხოსე არკადიო დაარქვეს, მაგრამ პაპისა და მამის სახელებში რომ არ არეოდათ, უბრალოდ არკადიოს ეძახდნენ. იმხანად მაკონდოელებმა მეწარმეობას მოჰკიდეს ხელი და ბუენდიების სახლშიც ისეთი ალიაქოთი იდგა, ბავშვებისათვის არავის ეცალა. მათი აღზრდა მიანდეს ვისიტასიონს, გუახიროს ტომის ინდიელ ქალს, რომელიც ძმასთან ერთად ჩამოსულიყო მაკონდოში. ორივენი გამოქცეოდნენ საშინელსა და გადამდებ სენს — უძილობას, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია მძვინვარებდა მათ მხარეში. და-ძმა მშრომელი და დაუზარელი ადამიანები იყვნენ. ამიტომაც მოიყვანა ურსულამ ისინი, საქმეში ხელს წამაშველებენო. სწორედ ამ და-ძმის წყალობით იყო, ამარანტა და არკადიო გუახიროს ენაზე უფრო ადრე რომ ატიკტიკდნენ, ვიდრე ესპანურზე. სწორედ მათ მიაჩვიეს ბავშვები ხვლიკის წვნიანისა და ობობის კვერცხების ჭამას. ურსულა ისე ჩაფლულიყო შაქარყინულის ჩიტუნებისა და ცხოველების წარმოებაში, ისე გაიტაცა სარფიანმა

ფიქრობამ, რომ სულაც არ შეუმჩნევია ეს ამბავი. ამასობაში მაკონდომ მთლად იცვალა სახე. ურსულას მოყვანილმა ხალხმა ქვეყანას მოსდო აქაური მიწის მადლისა და სიკეთის ამბავი და მალე მაკონდო ერთ დიდ აყვავებულ ქალაქად გადაიქცა თავისი დუქან-სახელოსნოებით და რაც მთავარია, მოსახერხებელი სავაჭრო გზის წყალობით. ამ გზამ მოიყვანა პირველად მაკონდოში ყურში რგოლგაყრილი და ქუსლამოჭრილი ფეხსაცმლით მოსილი არაბები, რომლებმაც ჩამოსვლისთანავე მიჰყვეს ხელი მუშის ყელსაბამების გაცვლას თუთიყუშებზე. ხოსე არკადიო ბუენდიას წამით არ ჰქონდა მოცლა. ახალი რეალური ცხოვრებით მოხიბლულსა და ატაცებულს, რომელიც უფრო ფანტასტური ეჩვენებოდა, ვიდრე საერთოდ წარმოედგინა, — გახედვა აღარ უნდოდა თავისი ალქიმიური ლაბორატორიისკენ და თვეების მანძილზე ათასნაირი გადაკეთება-გადმოკეთებით დაღლილ-განაწამებ ნაერთებს, როგორც იქნა, დასვენების საშუალება უბოძა. იგი კვლავ იმ საქმიან და დაუზარელ კაცად იქცა, ოდესღაც რომ ფიქრობდა, ქუჩები ისე გონივრულად გაეყვანა, სახლებიც ისე აეშენებინა, ყველა მოსახლისათვის ერთნაირად ხელსაყრელი ყოფილიყო ერთიცა და მეორეც. ახალმოსახლენი დიდ პატივს სცემდნენ ხოსე არკადიო ბუენდიას. მისი რჩევის გარეშე არც ერთი საძირკველი არ გათხრილა, არც ერთი სვეტი არ ჩასობილა, ის კი არადა, მიწების გადაზომვაც მას დაავალეს. როდესაც მაკონდოს კვლავ ესტუმრნენ ოინბაზი და ტაკიმასხარა ბოშები და ამჯერად აზარტული თამაშების სწავლას შეჰპირდნენ აქაურებს, ყველანი მხიარული ყიჟინით შეხვდნენ, ეგონათ, ხოსე არკადიო ბუენდიაც გაიზიარებდა მათ სიხარულს, მაგრამ იგი არსად ჩანდა, არსად ჩანდა მელკიადესიც. ურსულას სწამდა, იგი ერთადერთი კაცი იყო, ვინც ხოსე არკადიოს ასავალ-დასავალი იცოდა. მალე ბოშებს გამოუცხადეს, მაკონდოში გეკრძალებათ გაჩერება და საერთოდ მომავალშიც თქვენი ფეხი არ ვნახოთ აქო. ახლა უკვე მაკონდოელები ბოშებს იხსენიებდნენ, როგორც უბედურებისა და სიხარბის მომტანთ. ხოლო რაც შეეხება მელკიადესის უძველეს ტომს, — აღნიშნა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — თავისი ათასწლეული სიბრძნითა და საოცარი აღმოჩენებით დიდად შეუწყო ხელი მაკონდოს აღორძინებას და თუკი ოდესმე გვესტუმრებიან, გულღიად და ხელგაშლილი დავხვდებითო. მაგრამ მაკონდოში გზად გავლილ მოგზაურთა და მოხეტიალეთა თქმით, მელკიადესის ტომი კარგა ხნის წინ აღგვილა პირისაგან მიწისა, რამეთუ მათ გაბედეს და გადააბიჯეს ადამიანთა წარმოსახვისათვის დაწესებულსა და დაკანონებულ ყოველგვარ საზღვრებს.

ხოსე არკადიო ბუენდიამ, როგორც იქნა, თავი დააღწია თავისი უსაზღვრო ფანტაზიის მტანჯველ ტყვეობას, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. მოკლე ხანში თითქმის მთელი ქალაქი ჩააბა შრომის ფერხულში. ყველგან და ყველაფერში წესრიგი სუფევდა; მხოლოდ ერთხელ დაირღვა სიმშვიდე და ისიც თვითონ ხოსე არკადიო ბუენდიას მიზეზით: მან გალიებიდან გამოაშვებინა ჩიტები, მაკონდოს დაარსების დღიდანვე დროს რომ ამცნობდნენ ხალხს თავიანთი წკრიალა ჭიკჭიკით და ჩიტების ნაცვლად ყოველ სახლში გამართა მუსიკალური საათი. ეს ლამაზი მოჩუქურთმებულ ხის ჩარჩოში ჩასმული საათები არაბებს გაუცვალა თუთიყუშებში. მან ისე მომართა საათები, რომ ყოველ ნახევარ საათში ქალაქი გაეხალისებინა ერთ-ერთი ვალსის დასაწყის აკორდებს, ხოლო შუადღისას კი მთელი ვალსი დაეკრა ტკბილხმოვანი და

უშეცდომო. ხოსე არკადიო ბუენდიამ ითავა აგრეთვე ქუჩებში აკაციების ნაცვლად ნუშის ჩეები დაერგოთ. მანვე გამოიგონა ისეთი რამ, ნუშის ხეებს მარადიულ სიცოცხლეს რომ ანიჭებდა და ეს საიდუმლო ისე ჩაიტანა სამარეში, არც არავისთვის გაუმხელია. მრავალი წლის მერე, როცა მაკონდო თუნუქის სახურავიანი ხის სახლებით აივსება, მის ძველისძველ ქუჩებში კვლავაც იყვავილებს თეთრად დამტვერილი ტოტებგაბარჯგული ნუშის ხეები, მაგრამ ხსოვნით კი აღარავის ემახსოვრება, ვისმა ხელებმა დარგო ეს სიმშვენიერე.

ვიდრე მამა ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ხოლო დედა ოჯახში ფუსფუსებდა და უგემრიელეს შაქარყინულის მამლებსა და თევზებს ამზადებდა, რომლებიც შემდეგ დღეში ორჯერ მიჰქონდათ ქალაქში გასაყიდად,— აურელიანო მთელი დღე არ სცილდებოდა ლაბორატორიას და ამასობაში ცნობისწადილით შეპყრობილმა ნელ-ნელა შეისწავლა კიდეც ოქრომჭედლის ხელობა. ბიჭმა ისე სწრაფად აიყარა ტანი, რომ მალე ძმის ტანსაცმელი აღარ ჰგებდა და მამისას იცვამდა. მაგრამ აურელიანო ახოვნებაში ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა მამასაც და ძმასაც და ვისიტასიონი უვიწროებდა ხოლმე შარვალ-ხალათს. ჭაბუკობის ხანაში შესულ აურელიანოს ხმა დაუბოხდა, გულჩახვეული გახდა და საბოლოოდ ჩაიკეტა საკუთარ მარტოობაში. გამოხედვა ისეთივე დაძაბული გაუხდა, ჯერ კიდევ ახალშობილს რომ შეამჩნია ურსულამ. აურელიანო ისე გაიტაცა ოქრომჭედლობამ, რომ მხოლოდ საჭმელად თუ გამოვიდოდა სახელოსნოდან. ხოსე არკადიო ბუენდიას გულს უკლავდა შვილის გარიყულობა და ფული და სახლის გასაღები მისცა, იქნებ ქალი მოისურვილოსო. აურელიანომ ფულით მარილმჟავა იყიდა, გასაღები კი ოქროში ამოავლო. და მაინც მისი უცნაურობა მონაგონი იყო არკადიოსა და ამარანტას უცნაურობასთან. ისინი უკვე სარძევე კბილებს იცვლიდნენ, მაგრამ კვლავ ინდიელებს დაჰყვებოდნენ კუდში და კვლავ გუახიროს ენაზე ლაპარაკობდნენ. „ვერავის დააბრალებ, — უთხრა ურსულამ ქმარს, — რას იზამ, მშობლების ცოდვა შვილებზე გადადის მემკვიდრეობად“. ურსულამ დაარწმუნა საკუთარი თავი, ჩემი შვილების უცნაური ხასიათი გოჭის კუდზე უარესი თუ არა, არც ნაკლებიაო და ის იყო, უნდა დაეჩივლა, რა უბედური ვარო, რომ უცებ აურელიანო ისე მიაშტერდა, ქალი შეცბა.

— ვიღაც მოვა, — თქვა აურელიანომ.

სხვა დროსაც, როცა კი აურელიანო წინასწარ გამოაცხადებდა რამეს, ურსულა ცდილობდა ყოველივე უბრალოდ და მარტივად აეხსნა შვილისთვის. ახლაც დაამშვიდა, რა მოხდა მერე, ვინმე თუ მოდის; დღე ერთია და მაკონდოში ათასი მიმსვლელ-მომსვლელია. ყველაფერს გულთან ხომ ვერ მივიტანთ. ან რა საჭიროა წინასწარ ავიტკივოთ თავი იმაზე ფიქრით, ვიღაცა მოდისო. — მაგრამ აურელიანოზე არც ახლა იმოქმედა ამ სიტყვებმა და ჯიუტად გაიმეორა:

— ვინ მოვა, არ ვიცი, მაგრამ გზაში რომ არის, ის კი ვიცი.

და მართლაც, კვირა დღეს მოევლინათ რებეკა. გოგონა თერთმეტი წლისა იქნებოდა. მანაურედან დიდი გზა გამოევლო ტყავით მოვაჭრეებთან ერთად. როგორც ამ ვაჭრებმა თქვეს, მანაურეში ვიღაც კაცს უთხოვია, ეს გოგო ხოსე არკადიო ბუენდიას სახლში მიიყვანეთ და ეს წერილიც გადაეცითო. ამ კაცის სადაურობა და ვინაობა ვაჭრებმა არ იცოდნენ. გოგოს მთელი ავლადიდება გახლდათ პატარა ზანდუკი, ასევე პატარა, ყვავილებით დაჩითული ხის

სარწეველა სავარძელი და ერთიც ტომარა, საიდანაც გოგონას მშობლების ძვლების რაკარუკი ისმოდა წამდაუწუმ. ხოსე არკადიო ბუენდიას ის ვიღაცა უცნობი კაცი ზედმიწევნით თავაზიანად სწერდა: მიუხედავად დროისა და მანძილის სიშორისა, კვლავ მხურვალედ მიყვარხართ და თავს მოვალედ ვრაცხ უბრალოდ, ადამიანურობის გამო მოვიმოქმედო ეს ფრიად კეთილშობილური საქმე — გამოგიგზავნოთ საბრალო, მიუსაფარი ობოლი გოგონა, ურსულას ბიძაშვილი და რაღა თქმა უნდა, ამავე დროს თქვენი შორეული ნათესავიც, რამეთუ იგი ღვიძლი შვილია თქვენი დაუვიწყარი მეგობრის ნიკანორ ულიოასა და მისი ღირსეული თანამეცხედრის რებეკა მონტიელისა, რომლებიც ღმერთმა იხმო ზეციურ სასუფეველში და რომელთა ძვლებიც თან ერთვის ამ წერილს დიდი თხოვნით — ქრისტიანული წესით მიაბაროთ მიწას. თუმცა წერილის ბოლოში სახელი და გვარი გარკვევით იყო გამოყვანილი, ვერც ურსულამ და ვერც ხოსე არკადიო ბუენდიამ ვერ გაიხსენეს ამ გვარისა და სახელის ნათესავი კი არა, საერთოდ უბრალო ნაცნობიც კი და ისიც შორეულ მანაურეში! მერე იფიქრეს, იქნებ თვითონ გოგონამ გაგვაგებინოს რამეო. მაგრამ ამაოდ: სახლში შესვლისთანავე იგი თავის სარწეველა სავარძელში ჩაჯდა და თითის წოვას მოჰყვა, თან შეშინებული შესცქეროდა ყველას თავისი დიდი თვალებით. სახეზე არაფერი ეტყობოდა, შეკითხვებისა ესმოდა თუ არა რამე. გაცრეცილი შავი კაბა და ტყავდამსკდარი ფეხსაცმელი ეცვა. თმა ყურსუკან ორ ბლუჯად გაეკრა შავი ბაფთებით. ყელზე ავგაროზი ეკიდა —ოფლისგან დაბინდული სურათი, მარჯვენა ხელის მაჯაზე ავი თვალისგან დასაცავი თილისმა ჩამოეკონწიალებია — თითბრის წვრილ ჯაჭვზე გამობმული რომელიღაც ნადირის ეშვი. მომწვანო კანსა და ღოლივით გამობერილსა და მკვრივ მუცელზე ეტყობოდა, სუსტი ჯანისა იყო და დიდი ხნის შიმშილობა სჭირდა. და მაინც საჭმელს პირი არ დააკარა, უძრავად იჯდა, მუხლზე დადებულ თეფშსაც არ ახლო ხელი. ბუენდიებმა იფიქრეს,ალბათ ყრუ-მუნჯიაო. მაგრამ როცა ინდიელებმა გოგოს ჰკითხეს, ხომ არ გწყურიაო, მან თვალები ისე გადაატრიალა, თითქოს ანიშნა, გავიგეო და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

სხვა გზა მაინც არ იყო და გოგონაც დაიტოვეს. ვერაფრით გაიგეს, რა ერქვა სახელად. აურელიანომ რომელი სახელიც არ ჩამოთვალა, გოგონას არც ერთზე არ მიუნიშნებია. ეს მქვიაო. ბოლოს ადგნენ და როგორც წერილის მიხედვით გაიგეს, დედამისის სახელი —რებეკა დაარქვეს. რაც შეეხება ძვლებიან ტომარას, გადაწყვიტეს, ჯერჯერობით გადაენახათ სადმე კუნჭულში. რადგან მაკონდოში ჯერ არავინ მომკვდარიყო და, რაღა თქმა უნდა, არც სასაფლაო ჰქონდათ. ხან სად წააწყდებოდნენ ხოლმე ამ ტომარას და ხან სად, არაკუნებული და კრუხივით აკოთქოთებული ზოგჯერ ისეთ ადგილზეც ხვდებოდათ, სულ რომ არ ელოდნენ. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე რებეკა ამ ოჯახს შეეჩვეოდა. პირველად, ჩვეულებად ჰქონდა, სადმე მოფარებულში თავის სავარძელში ჩამჯდარიყო და თითი ეწოვა. არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ მაშინ, როცა საათი ღარეკავდა ხოლმე, ისე შეშინებული იცქირებოდა ირგვლივ, თითქოს სურდა ჰაერში დაეჭირა ეს ხმები. დიდხანს ვერ მიაჩვიეს ჭამას. ყველას უკვირდა. ამდენი შიმშილობისაგან როგორ ედგა სული ამ პატარა გოგოს. ბოლოს ინდიელებმა. — უჩუმრად რომ დააბიჯებდნენ ოთახებში, — აღმოაჩინეს, რომ რებეკას თურმე მიწა და კირი ყვარებია და სწორედ მაშინ წაასწრეს, ფრჩხილებით რომ ფხაჭნიდა კედლიდან კირს. ეტყობა.

იქ, თავის სოფელში გოგონას ამ ცუდი ჩვევისათვის სჯიდნენ და აქაც, იცოდა, დანაშაულს სჩადიოდა და ცდილობდა სხვათა თვალს მოფარებულს დაეღრღნა კედლები ან ჩამონაფხაჭნი კირი მალულად გადაენახა, რათა შემდეგ სადმე კუნჭულში მიყუჟულს მშვიდად შეექამა. რებეკას მოთვალთვალე დაუყენეს. ეზოში მიწას ძროხის ნაღველა მოასხეს, კედლებს [illegible] ცხარე პილპილი მოუსვეს, ეგონათ, გადაეჩვეოდა მიწისა და კირის [illegible], მაგრამ გოგონას ვერ აჯობეს ეშმაკობაში და ურსულაც იძულებული გახდა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. მან ფორთოხლის წვენითა და რევანდით სავსე ქვაბი მთელი ღამით გადგა ცვარში. დილით კი რებეკას დაალევინა უზმოზე. ურსულასთვის არავის უსწავლებია მიწის ჭამის საწინააღმდეგო წამალი. თვითონ მოიფიქრა და დაადგინა, ცარიელ კუჭში ჩასული ყველანაირი მწარე სითხე ღვიძლის შეტევას გამოიწვევსო. თუმცა გარეგნულად რებეკა სუსტი და უღონო არსება ჩანდა, წამლის დალევისას ისეთი ძალა გამოიჩინა, რომ ყველას გაუკვირდა: ირქინებოდა ,იკაწრებოდა, იკბინებოდა, იფურთხებოდა და თან წამდაუწუმ გაუგებარ სიტყვებს ისროდა. „გოგო ისე უწმაწურად იგინება, ამაზე უარესი გინება არც არსებობს გუახიროს ენაზე", — თქვეს გაშწყრალმა ინდიელებმა. ურსულა მთლად გაგიჟდა, ქამრით ვასწავლი ჭკუასო. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს ვერავინ გაიგო, რომელმა იმარჯვა — რევანდმა, ქამარმა თუ ორივემ ერთად. მხოლოდ ერთია ცხადი: რამდენიმე კვირაში რებეკას გამოჯანმრთელება დაეტყო, არკადიოსა და ამარანტასთან დაიწყო თამაში. პატარებისთვის რებეკა უფროსი დასავით იყო. საჭმელს უკვე გემრიელად მიირთმევდა და დანა-ჩანგალსაც მშვენივრად იმარჯვებდა ხელში. თანდათანობით გაირკვა, რებეკა თურმე ისევე კარგად ლაპარაკობდა ესპანურად, როგორც ინდიელთა ენაზე, ძალზე ეხერხებოდა ხელსაქმე და საათის ვალსსაც მღეროდა თავისსავე მოგონილ სიტყვებზე. მალე იგი ოჯახის ნამდვილი წევრი გახდა. ურსულას საკუთარი შვილებიც კი არ ეფერებოდნენ რებეკასავით. ამარანტას დაიკოს ეძახდა, არკადიოს — ძამიკოს, აურელიანოს — ბიძიას, ხოსე არკადიო ბუენდიას — ბაბუკოს. ერთი სიტყვით, რებეკამ ნამდვილად დაიმსახურა ბუენდიების გვარი, რომელიც ღირსეულად ატარა მან სიკვდილამდე.

ერთხელ ღამით, უკვე მას შემდეგ, რაც რებეკა გადაეჩვია კირის ჭამას და პატარების ოთახში გადაიყვანეს, ინდიელი ქალი, ბავშვებთან რომ იწვა, გამოაღვიძა ოთახის ერთ კუთხეში უცნაურმა, წყვეტილმა ხმამ. ვაითუ რამე ცხოველი შემოიპარაო, ქალი შეშინებული წამოხტა და... დაინახა: რებეკა სავარძელში ჩამჯდარიყო, თითი პირში ჩაეყო და თვალებს კატასავით აცეცებდა ბნელში. შიშით გაქვავებულმა ვისიტასიონმა რებეკას თვალებში იმ სნეულების ნიშნები ამოიკითხა, რის გამოც მან და მისმა ძმამ, ტახტის მომავალმა მემკვიდრეებმა, სამუდამოდ მიატოვეს ინდიელთა ძველი სამეფო და ამ მხარეში გადმოიხვეწნენ. უძილობამ ბუენდიების სახლშიც მოიკიდა ფეხი.

ინდიელმა კატაურემ გათენებას არც დაუცადა, ისე წავიდა მაკონდოდან. მისი და კი დარჩა. ფატალისტ ქალს სჯეროდა, სადაც არ უნდა წასულიყო, სადაც არ უნდა დამალულიყო, სულ ერთია, უკუღმართ ბედისწერას ვერსად გაექცეოდა. ბუენდიებს ვერ გაეგოთ, რატომ შფოთავდა ვისიტასიონი. „არ დაგვეძინება? მერე რა მოხდა, უკეთესიც არის, — კმაყოფილებით ამბობდა ხოსე არკადიო ბუენდია, — ცხოვრებას ასე უფრო ბევრს გამოვრჩებით".

მაგრამ ინდიელი ქალი სასოწარკვეთილი უხსნიდა ყველას, ძილის უნარის დაკარგვა კი არ არის ყველაზე საშინელი სენი,— უძილობა არც დაგვეტყობაო,— საშინელებაა ის, რაც ამ უძილობას მოჰყვება — გულმავიწყობაო, როცა კაცს უძილობა შეეყრება და ფხიზლობს, მის მეხსიერებაში უპირველესად ბავშვობის მოგონებები ქრებიან უკვალოდ, მერე სახელები და საგანთა დანიშნულებანი ავიწყდება, შემდეგ ხალხს ველარ სცნობს და საკუთარი პიროვნებაც ეუცხოება. ერთი სიტყვით, წარსულს მოწყვეტილი კაცი სავსებით ყეყეჩდებაო. ხოსე არკადიო ბუენდიამ ბევრი იცინა, მორწმუნე ინდიელების გამოგონილია ეს ყველაფერიო. მაგრამ წინდახედულმა ურსულამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც დააშორა რებეკა თავის ბავშვებს.

რამდენიმე ხნის მერე, როცა ის იყო ვისიტასიონის შიში უსაფუძვლოდ მიიჩნიეს, ხოსე არკადიო ბუენდიამ უცბად შეამჩნია, რომ უკვე შუაღამე იყო, მას კი არ ეძინებოდა და საწოლში მოუსვენრად წრიალებდა. რა მოგივიდაო, ჰკითხა ურსულამ ქმარს. არც იმას ეძინა თურმე. ისევ პრუდენსიო აგილარზე ვფიქრობო, უპასუხა ქმარმა. ცოლ-ქმარს მთელი ღამე ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი, მაგრამ დილით უძილობა სულ არ ეტყობოდათ და თეთრად გათენებული ღამეც მალე გადაავიწყდათ. საუზმეზე აურელიანომ გაკვირვებულმა თქვა, წუხელ მთელი ღამე ლაბორატორიაში ვიჯექი, დედაჩემს დაბადების დღისათვის საჩუქარს ვუმზადებდი, გულსაბნევს ოქროში ვფერავდი, თვალი არ მომიხუჭავს, მაგრამ სულაც არ მეძინებაო. პირველად ყურადღება არავის მიუქცევია ამ ამბისთვის, მაგრამ მესამე დღეს დასაძინებლად რომ გაემზადნენ და ძილი არც ერთს არ მიეკარა, მაშინ კი მიხვდნენ, რომ უკვე ორმოცდაათ საათზე მეტი იყო, არ უძინიათ.

— არც ბავშვებს მოუხუჭავთ თვალი. რაკი ამ ჭირმა ფეხი შემოდგა სახლში, ველარავინ გადავურჩებით, — თქვა ინდიელმა ქალმა მისთვის ჩვეულ იდუმალ კილოზე.

და მართლაც, მთელ ოჯახს შეეყარა უძილობა. ურსულას დედამისისგან გაეგონა სამკურნალო ბალახების სიკეთე და აკონიტის ნაყენი მოამზადა. მერე ყველას ჩამოურიგა და დაალევინა, მაგრამ უძილობას მაინც არაფერი ეშველა. სამაგიეროდ მთელი დღე სიზმრებში იყვნენ. ძილღვიძარი მარტო საკუთარს კი არა, სხვათა სიზმრებსაც ხედავდნენ. გეგონებოდა, მთელი სახლი სტუმრებით აივსოო. სამზარეულოს კუთხეში, თავის სავარძელში ჩაფლულ რებეკას ეზმანა კაცი, რომელიც მას ჰგავდა ძალიან. კაცს თეთრად ემოსა, საყელოზე ოქროს გულქანდა დაებნია და რებეკას ვარდების თაიგულს აწვდიდა. ამ კაცის გვერდით ქალიც გამოჩნდა. ნაზი ხელებით ვარდი ამოაძრო თაიგულიდან და რებეკას თმაში გაუბნია. ურსულა მიხვდა, ეს ქალი და კაცი რებეკას მშობლები იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ იცნო, ვერაფრით გაიხსენა ისინი და საბოლოოდ დარწმუნდა, არც არასოდეს მინახავს ეს ხალხიო. ამასობაში ბუენდიების სახლში დამზადებული შაქარყინული კვლავ გაჰქონდათ ქალაქში გასაყიდად. ხოსე არკადიო ბუენდიას ვერაფრით ეპატიებინა საკუთარი თავისთვის ეს დაუდევრობა. დიდი და პატარა სიამოვნებით წუწნიდა უძილობის უგემრიელეს მწვანე მამლებს, უძილობის უმშვენიერეს ვარდისფერ თევზებს, უძილობის უნაზეს ყვითელ ცხენებს და ორშაბათი დღე რომ გათენდა, მთელ ქალაქს არ ეძინა უკვე. პირველ ხანებში არავინ შეუშფოთებია ამ ამბავს. ბევრს კიდეც უხაროდა, — მაშინ მაკონდოში საქმე თავსაყრელად

იყო, პირიქით, დრო არ ჰყოფნიდათ და ისე ბეჯითად შეუდგა ხალხი შრომას, რომ სულ მოკლე ხანში მოითავეს ყველა საქმე და ახლა ღამის საათზე გულხელდაკრებილნი ისხდნენ, არ იცოდნენ დრო როგორ მოეკლათ და, საათის ველში რამდენი ნოტააო, იმას ითვლიდნენ. ვისაც ძილი უნდოდა, — ისინი უძილობამ კი არ დაღალა, უბრალოდ, სიზმრები მოენატრათ, — რას არ იგონებდნენ, რომ ქანცგაწყვეტილებს ჩასძინებოდათ, მაგრამ ამაოდ. ყველანი ერთ ადგილას იკრიბებოდნენ, გაუთავებლად ლაქბობდნენ, ერთ ანეკდოტს ათასჯერ იმეორებდნენ, თეთრ ყვერულზე ზღაპარს დაუსრულებლად ჰყვებოდნენ, ერთი სიტყვით, მათი ყოფა იმ თამაშს ჰგავდა, ბოლო რომ არ აქვს: ერთ-ერთი კაცი, მთხრობელი, დანარჩენებს ეკითხებოდა, გინდათ თეთრ ყვერულზე ზღაპარი გიამბოთო და თუ უპასუხებდნენ, „კიო", მთხრობელი ამბობდა, მე „კის" თქმა არ მითხოვია თქვენთვის. მე გთხოვეთ, გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი? და თუ უპასუხებდნენ, „არაო", მთხრობელი ამბობდა, მე თქვენთვის „არას" თქმა არ მითხოვია, მე გთხოვეთ, გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი? და თუ ხმას არავინ იღებდა, მთხრობელი ამბობდა, მე თქვენთვის დუმილი არ მითხოვია, მე გთხოვეთ გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი. თუ ვინმე წასასვლელად მოემზადებოდა, მთხრობელი მაშინვე ეძგერებოდა: მე თქვენთვის წასვლა არ მითხოვია, მე გთხოვეთ, გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი და ასე მეორდებოდა გაუთავებლად მთელი ღამეები.

როდესაც ხოსე არკადიო ბუენდია მიხვდა, მთელი ქალაქი დაავადდა უძილობით, შეკრიბა ოჯახის თავკაცები, ამცნო მათ თუკი რამ სმენოდა ამ ავადმყოფობაზე და ბოლოს ყველას სთხოვა, ერთად მოვიფიქროთ, როგორ ავაცილოთ ეს დაავადება მეზობელ სოფელ-ქალაქებსო. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს ერთხმად, თხებისთვის მოეხსნათ ზანზალაკები, — არაბებმა რომ გაუცვალეს თუთიყუშებში, — და მაკონდოს შესასვლელში დაეკიდებინათ იმათთვის, ვინც ყურად არ იღებდა ყარაულების თხოვნას და მაინც შევიდოდა ქალაქში. როგორც კი მაკონდოს ქუჩებში გამოჩნდებოდა ზანზალაკიანი უცხოელი, ყველანი ხვდებოდნენ, სალ-სალამათი კაცი მოდისო და ერიდებოდნენ. უცხო ხალხს მაკონდოში ჭამა-სმა ეკრძალებოდა, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ საჭმელსაც და სასმელსაც ამ ქალაქში უძილობა სჭირდა. ამგვარად, ეპიდემია ქალაქის საზღვრებს არ გასცილებია. ყველანი მიეჩვივნენ საგანგებო ყოფას და კარანტინსაც მკაცრად იცავდნენ. ცხოვრება კვლავ თავის გზით წავიდა. მუშაობაც წინანდებურად გაჩაღდა და უკვე აღარავის აწუხებდა ის ამბავი, უსარგებლო ძილს რომ გადაეჩვია.

გულმავიწყობის საწინააღმდეგო საშუალებამ, რომელიც აურელიანომ აღმოაჩინა სრულიად შემთხვევით, მხოლოდ ცოტა ხანი უშველა მაკონდოელებს. აურელიანო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც უძილობით დაავადდა და რაღა თქმა უნდა, გამოცდილებაც მეტი ჰქონდა ამ საქმეში. ერთხელ გრდემლი დასჭირდა ფოლადის გასაბრტყელებლად და ვერაფრით ვერ გაიხსენა მისი სახელი. მამამ უკარნახა, გრდემლი ჰქვიაო. აურელიანომ ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე დაწერა ეს სიტყვა და გრდემლს მიაკრა. ახლა კი აღარასოდეს დამავიწყდებაო, გაიფიქრა გახარებულმა. მაგრამ რა იცოდა, რომ ეს გულმავიწყობის დასაწყისი იყო ჯერ. ერთი-ორი დღის მერე ჰაბუკმა შეამ-

ჩნია, რომ ლაბორატორიულ ხელსაწყოთა სახელებს ძლივს იხსენებს. ადგა და, ვიდრე მთლად არ გადავიწყნოდა, ქაღალდებზე ჩამოწერა და ყველას სათითაოდ მიაკრა. ამრიგად, საკმარისი იყო წარწერა წაეკითხა და მაშინვე ხვდებოდა, რომელი საგანი ედო წინ. როდესაც მამამ გულისტკივილით შესჩივლა, ბავშვობის ყველაზე ტკბილი და თბილი ამბებიც კი უკვე ნელ-ნელა მავიწყდებაო, აურელიანომ აუხსნა თავისი გამოგონილი ხერხი და მაშინ ხოსე არკადიო ბუენდიამ ჯერ საკუთარ ოჯახში, ხოლო შემდეგ მთელ ქალაქში გაავრცელა იგი. მელანში ამოვლებული ფუნჯით ყველა საგანს აწერდა სახელს. ასე გაჩნდა წარწერები: მაგიდა, სკამი, საათი, კარი, კედელი, საწოლი, ქვაბი. მერე პირუტყვის სადგომსაც მისწვდა, მინდორშიც გავიდა და არაფერი არ დატოვა აღუნიშნავი. ძროხა, თხა, ქათამი, მანიოკა, მალანგა, ბანანი — იუწყებოდნენ წარწერები. გულმავიწყობაში ჩაძირული ხალხი მიხვდა, მალე დადგებოდა ის დღე, როდესაც წარწერის მიხედვით საგნის სახელს კი გაიხსენებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ აღარ ეხსომებოდათ თვით ამ საგნის დანიშნულება. ყველანი საგონებელში ჩავარდნენ, აღარ იცოდნენ, რა ეღონათ. იმის წარმოსადგენად თუ როგორ ებრძოდნენ მაკონდოელები გულმავიწყობას, საკმარისი იყო წაეკითხათ ძროხის კისერზე დაკიდული წარწერა: „ეს ძროხაა. უნდა მოწველოთ დილა-საღამოს. იგი რძეს გვაძლევს, რძე კი უნდა ადუღოთ და დაუმატოთ ყავას, რათა რძიანი ყავა მიირთვათ“. აი ასე ცხოვრობდნენ მაკონდოელები, თვალსა და ხელს შუა უქრებოდათ სინამდვილე, ამ წარწერების დახმარებით ცოტა ხანს კიდევ ახსოვდათ რაღაც-რაღაცები, მაგრამ მერე რა ეშველებოდათ, როცა კითხვაც დაავიწყდებოდათ?

ქალაქის შესასვლელში დიდი აბრა გამოაკრეს: „მაკონდო“, მთავარ ქუჩაზე კი უფრო დიდი აბრა იუწყებოდა: „ღმერთი არის“. თითქმის ყველა სახლის კედელზე დახატეს ნაირ-ნაირი პირობითი ნიშნები, რომელთაც ევალებოდათ ადამიანებისთვის გაეხსენებინათ საგნები და გრძნობები.

ამ წესით ცხოვრება მეტისმეტად დიდ სიფხიზლესა და უზარმაზარ მორალურ ძალას მოითხოვდა, რადგან ბევრი მაკონდოელი თავისსავე მოგონილსა და წარმოსახულ სინამდვილეში ჩაკეტილიყო. მართალია, ეს სინამდვილე დიდი ვერაფერი პრაქტიკული ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ სულს უმშვიდებდათ მაინც. მაკონდოში ფეხმოკიდებულ თვითმოტყუებას ყველაზე მეტად პილარ ტერნერა მიეცა. მკითხაობაში ძალიან გაიწაფა, ისევე ოსტატურად შეეძლო წარსულის ამოკითხვა, როგორც წინათ მომავალს წინასწარმეტყველებდა ხოლმე. მისი ეშმაკური და მახვილგონივრული მკითხაობის წყალობით, ძილსგადაჩვეული მაკონდოელები რომელიღაც გაურკვეველსა და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ბორიალობდნენ. ამ სამყაროში მოხვედრილები ძლივს იხსენებდნენ, აპრილში ჩამოსულ მამას შავი თმა ჰქონდა თუ სხვა ფერისა, ან დედას — შავგვრემან ქალს — მარცხენა ხელის თითზე მართლა ეკეთა ბეჭედი თუ არა. დაბადების დღე კი მარტში ის ბოლო სამშაბათი ამოუდიოდათ, როცა დაფნაზე შემომჯდარი შაშვი მღეროდა. ხოსე არკადიო ბუენდიას თავგზა აუბნია თვითმოტყუების ამ ახალმა წესმა და გადაწყვიტა მის საპირისპიროდ შეექმნა მეხსიერების მანქანა. იმედი ჰქონდა, ეს მანქანა გაახსენებდა ყველაფერს და მათ შორის ბოშათა შესანიშნავ გამოგონებებსაც. მანქანა იმუშავებდა შემდეგი პრინციპით: ხალხს აიძულებდა, ყოველ ცისმარე დღეს დაეზეპირებინა ყველაფერი, რაც არსებობისთვის იყო

საჭირო. ხოსე არკადიო ბუენდიას წარმოდგენით ეს მანქანა უნდა ყოფილიყო მოძრავი ლექსიკონი, რომელიც ღერძის გარშემო იტრიალებდა ღერძზევე დამაგრებული სახელურის დახმარებით. ამრიგად, ადამიანის თვალწინ წამში ჩაიქროლებდა არსებობისთვის საჭირო ყველა ცნობარი. ხოსე არკადიო ბუენდიამ ის იყო თოთხმეტი ათასი ბარათი შეადგინა, რომ მაკონდოს ქუჩაში გამოჩნდა უცნაური ბერიკაცი. იგი საწყალობლად მოაწკარუნებდა ზანზალაკს დასტურს იმისას, რომ მოსულს უძილობა არ სჭირდა. ბერიკაცს თოკით გადაკრული გამობერილი ძველი ჩემოდანი მოეკიდა ზურგზე და ცალი ხელით შავი ძონძებით გადაფარებულ ურიკას მოათრევდა. იგი პირდაპირ ხოსე არკადიო ბუენდიას სახლისაკენ მიჩანჩალებდა.

ვისიტასიონმა კარი გაუღო მოსულს, იფიქრა, უცხო ვაჭარია და არ იცის, ქალაქი გულმავიწყობის მორევში უიმედოდ რომ არის ჩაძირული და არც არაფრის ყიდვა-გაყიდვა რომ არ შეიძლებაო. სტუმარი მთლად მიხრწნილი ბერიკაცი იყო. თუმცა ხმა გაუბედავად უთრთოდა და ხელებშიც ძალა დაჰკარგვოდა, მაინც ეტყობოდა, იმ ქვეყნიდან იყო წამოსული, სადაც ადამიანებმა იციან ძილი და არ დაუკარგავთ მეხსიერება. როდესაც ხოსე არკადიო ბუენდიამ გამოხედა სტუმარს, ის უკვე დიდ ოთახში იჯდა, დაფლეთილი შავი ქუდით სახეს ინიავებდა და ყურადღებითა და ერთგვარი თანაგრძნობითაც კი კითხულობდა კედელზე გაკრულ წარწერებს. ხოსე არკადიო ბუენდია დიდის ამბით მიესალმა ბერიკაცს, იფიქრა, იქნებ ადრე ვიცნობდი და ახლა, როგორც ყველა და ყველაფერი, ეს კაციც გადამავიწყდაო. სტუმარი მიუხვდა ეშმაკობას. იგი მიხვდა, რომ დაივიწყეს, მაგრამ დაივიწყეს არა გულის კარნახით, არამედ უფრო სასტიკად, გულქვად და სამუდამოდ და ამ დავიწყებას მკვდარი კაცის დავიწყება ერქვა. მაშინ იგი მიხვდა ყველაფერს. თავი ახადა უცნაური ნივთებით პირთამდე დატენილ ჩემოდანს და იქიდან ამოათრია უამრავი შუშით სავსე კიდევ ერთი პატარა ჩემოდანი. მერე მასპინძელს გაუწოდა საამო ფერის სითხით სავსე შუშა და ანიშნა, დალიეო, იმანაც დალია და უცებ გონება გაუნათდა. ხოსე არკადიო ბუენდიას თვალები ნაღვლიანი ცრემლით მანამდე აევსო, ვიდრე დაინახავდა ამ უცნაურ ოთახს, სადაც ყველა ნივთს წარწერა ჰქონდა; ვიდრე სირცხვილის ალმურმოდებული წაიკითხავდა კედლებზე გაკრულ გადაპრანჭულ სიბრიყვეებს და ვიდრე უეცრად მოვარდნილი სიხარულის შუქით თვალმოჭრილი შეიცნობდა სტუმარს. დიახ. ეს სტუმარი მელკიადესი გახლდათ.

ვიდრე მაკონდოელები მეხსიერების დაბრუნებას ზეიმობდნენ, ხოსე არკადიო ბუენდიამ და მელკიადესმა მტვერი გადაბერტყეს თავიანთ ძველ მეგობრობას. ბოშას მაკონდოში დარჩენა გადაეწყვიტა. ის მართლაც გამგზავრებულა იმქვეყნად, მაგრამ მარტოობა გაძნელებია და დაბრუნებულა. დაბრუნებულს კი საკუთარი ტომი განუდგა თურმე, კუდიანი ხარ და შენი კუდიანობის წყალობით სიცოცხლეს ვერ შელევიხარო. სწორედ ამის მერე გადაუწყვეტია მელკიადესს მშვიდი კუთხე ეპოვა ამ მხარეში, სადაც სიკვდილისთვის ჯერაც არ გაეღოთ კარი და მთელის არსებით მისცემოდა დაგეროტიპიის საქმეს. ხოსე არკადიო ბუენდიას ჯერ არაფერი სმენოდა დაგეროტიპიაზე, მაგრამ ნაირფრად მოლივლივე ფოლადის ფირფიტაზე სამუდამოდ აღბეჭდილი საკუთარი თავი და მთელი თავისი ჯალაბობაც რომ ნახა, გაკვირვებულს ლამის ენა ჩაუვარდა. სწორედ იმ ხანებიდან შემორჩა ერთი ქანგ-

მოკიდებული დაგეროტიპი, რომელზეც ხოსე არკადიო ბუენდიაა გამოსახული: ფერფლისფერი თმა აჩეჩვოდა, გახამებული საყელო თითბრის საკინძით შეეკრა. სახეზე საზეიმო გაკვირვება ეხატა. ურსულა სიცილით კვდებოდა. „შეშინებულ გენერალს“ ჰგავსო. რაც მართალი მართალია, დეკემბრის იმ გამჭვირვალე დილას, როცა მელკიადესმა ეს დაგეროტიპი გააკეთა, ხოსე არკადიო ბუენდია ნამდვილად შეშინებული იყო: თუ კაცის გამოსახულება ასე ადვილად გადადის ფოლადის ფირფიტაზე, მაშასადამე, ამ კაცს ალბათ ნელ-ნელა დააკლდება რაღაც და საბოლოოდ გაქრება კიდეც მთლიანადო. ყველას გასაოცრად, ურსულამ ამჯერად მეცნიერებას დაუჭირა მხარი და იმდენი ეჩიჩინა ქმარს, რომ როგორც იქნა, თავიდან ამოაგდებინა ეს აკვიატებული აზრი. სწორედ ურსულამ გადაწყვიტა, ძველი ამბები დაევიწყნა და მელკიადესი მათ სახლში დაეტოვებინა საცხოვრებლად. თვითონ ურსულას დაგეროტიპი არასოდეს გადაუღია, უარს ეუბნებოდა მელკიადესს, ეგღა მაკლია, შვილიშვილების დასაცინი გავხდეო. ერთ დილას, რომელზეც ახლა მოგახსენებთ, ურსულამ ბავშვები კარგად გამოაწყო, სახე გაუპუდრა და თითო კოვზი საქონლის ძვლების ნახარში შეახვრეპინა, რათა ორ წუთს უმოძრაოდ გაჩერებულიყვნენ მელკიადესის შესანიშნავი აპარატის წინ. ამ ერთადერთ საოჯახო სურათზე შავი ხავერდის კოსტიუმში გამოწყობილი აურელიანო ამარანტასა და რებეკას შორის დგას. ყმაწვილს ისეთივე დაღლილი სახე და ნათელმხილველის თვალები ჰქონდა, როგორიც რამდენიმე წლის მერე ექნება კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგომს. სურათზე გამოსახულმა ყმაწვილმა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ უწყოდა, რას უქადდა ბედისწერა. დღესდღეობით ის იყო მხოლოდ და მხოლოდ ხელმარჯვე ოქრომჭედელი და თავისი უზადო ხელობისათვის დიდი და პატარა პატივს სცემდა მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში. სახელოსნოში, სადაც მელკიადესის ლაბორატორიაც იყო, აურელიანოს ხმა თითქმის არ ისმოდა. ვიდრე მამამისი და მოხუცი ბოშა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებაზე ბჭობდნენ, ბოთლებსა და კიუვეტებს აჩხაკუნებდნენ და ამ დავა-კამათში სიმჟავეც ბევრი უზარალებიათ და ვერცხლის ბრომიდიც — აურელიანო თითქოს სხვა სამყაროში დაფრინავდა, თავდავიწყებით მუშაობდა და ფულის ყადრიც იცოდა; მალე იმდენი დააგროვა, ურსულას რომ არ მოელანდებოდა, თუნდაც მთელი თავისი შაქარყინულის ცხოველები გაეყიდა. ოღონდ ეს იყო, ყველას უკვირდა, აურელიანო უკვე მოწიფული ყმაწვილია და ქალებისკენ რატომ არ იხედებაო. მართლაც, ქალი არ ჰყავდა აურელიანოს.

გავიდა რამდენიმე თვე და მაკონდოში კვლავ გამოჩნდა ფრანსისკო-ადამიანი, თითქმის ორასი წლის მაწანწალა. ის ხშირად სტუმრობდა მაკონდოს და ყოველ ჩამოსვლაზე ახალ-ახალი სიმღერები მოჰქონდა. ამ სიმღერებში წვრილად იყო ნათქვამი იმ სოფელ-ქალაქების ამბები, შორეული მანაურედან მოყოლებული ხეობის მეორე თავამდე ფეხით რომ შემოევლო ფრანსისკო-ადამიანს. ის, ვინც მოისურვებდა ნაცნობისთვის რამე შეეთვალა, ან ქვეყნისთვის მოედო რომელიმე ოჯახის ამბავი, ორი სენტავო უნდა გადაეხადა, რათა მაწანწალას სიმღერა შეეთხზა ამ თემაზე. ერთ საღამოს ურსულა, იმ იმედით, იქნებ შვილის ამბავი გავიგოო, ყურს უგდებდა მომღერალს და უცბად დედამისის სიკვდილის ამბავს არ მოჰკრა ყური? ფრანსისკო-ადამიანს ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ეშმაკს აჯობა სიმღერების შეთხზვაში. მისი ნამდვილი

სახელი არავინ იცოდა. მაკონდოში უძილობის ეპიდემიის მერე არავის უნახავს და აი მოულოდნელად კვლავ გამოჩნდა „კატარინოს დუქანში". ახლა კი გავიგებთ, რა ხდება სოფელ-ქვეყანაშიო, თქვეს მაკონდოელებმა და ყველამ იქით გასწია. ამჯერად ფრანსისკო-ადამიანს ორი ქალი ახლდა. ერთი ისეთი ფაშფაშა იყო, ოთხ ინდიელს ძლივს მოჰყავდა საქანელათი. მეორე — შესაბრალისი მულატი ყმაწვილი ქალი ფაშფაშას ქოლგით უჩრდილავდა. მხოლოდ ამჯერად აურელიანომაც გატეხა ნავსი და „კატარინოს დუქანს" ესტუმრა. ცნობისმოყვარეებს შუაში ჩაესვაო ფრანსისკო-ადამიანი, რომელიც უზარმაზარ ქამელეონს ჰგავდა. იგი ბებრულ ხმაზე მღეროდა, გულმოდგინედ წელავდა თავის ძველისძველ აკორდეონს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ჯერ კიდევ გუაიანაში უჩუქებია მისთვის სერ უოლტერ რელეის[1], და ღლედალამ სიარულისგან გატლანქებულ დიდრონ ფეხებს სიმღერის ტაქტს აყოლებდა. ზღვის მარილით გაჟღენთილ ტერფებს კაკაჩუკი გაჰქონდა იატაკზე. სიღრმეში მოჩანდა მეორე ოთახში გამავალი კარი, სადაც რიგრიგობით შედიოდნენ კაცები. კართან სწორედ ის ფაშფაშა ქალბატონი იჯდა და მდუმარედ ინიავებდა მარაოს, ოთხ ინდიელს ძლივს რომ მოჰყავდა საქანელათი. კატარინოს ყურთან ხელოვნური ვარდი დაებნია თმაში. ეს ქალი ლერწმის ღვინით ვაჭრობდა და თან წუთს არ აცდენდა, კაცებთან ახლოს მისულიყო და უადგილო ადგილას მიედო მათთვის ხელი. შუაღამისას ისეთი ბული ჩამოდგა, სუნთქვა ჭირდა. აურელიანომ ბოლომდე მოისმინა ფრანსისკო-ადამიანის მონაყოლი ამბები, მაგრამ თავისი ოჯახისთვის საგულისხმო ვერაფერი გაიგო და ის იყო წასასვლელად მოემზადა, რომ ფაშფაშა ქალბატონმა ხელით ანიშნა, მოდიო.

— შენც შედი იმ ოთახში, — უთხრა ქალმა. — ოღონ ოცი სენტავო დადე ახლავე.

ქალს მუხლებზე კათხა ედო. აურელიანომაც ფული კათხაში ჩააგდო და ოთახში ანგარიშმიუცემლად შევიდა... საწოლში მთლად დედიშობილა იწვა მულატი ყმაწვილი ქალი, ძუძუები ძაღლისას მიუგავდა. აურელიანომდე ამ ოთახში სამოცდასამი მამაკაცი შევიდა. სწორედ მათი ფილტვებიდან ამონასუნთქით, მათი ოფლის სუნითა და ოხვრით ავსებულიყო ჰაერი და ტალახივით ჩასქელებულიყო. ქალმა სველი ზეწარი აიღო და აურელიანოს სთხოვა, ერთ ბოლოში მომიკიდეთ ხელი და გამაწურინეთო. ზეწარი სისველეს მეტისმეტად დაემძიმებინა. ქალიშვილი მანამდე წურავდა, ვიდრე ზეწარი არ გამშრალდა. მერე ორივემ დაბერტყეს ქვეშსაფენი ჭილოფიც, საიდანაც ოფლის წვეთები წამოვიდა წვიმასავით. აურელიანო ნატრობდა, ნეტავ სულ ასე გაგრძელდეს უსასრულოდო. მართალია, სიყვარულობანას მექანიზმი თეორიულად იცოდა, მაგრამ ახლა მუხლები ისე უკანკალებდა, ლამის წაქცეულიყო. ქალიშვილი საწოლის ღალაგებას მორჩა და ვაჟს მიუბრუნდა. ახლა კი შეგიძლია ტანთ გაიძროო. აურელიანო თავის მართლებას მოჰყვა, ძალით შემომაგდეს, ოცი სენტავო გადამახდევინეს და თანაც გამაფრთხილეს, დიდხანს ნუ დარჩები ოთახშიო. ქალი ყველაფერს მიხვდა, „გასვლისას თუ კიდევ ჩააგდებ ოც სენტავოს, შეგიძლია ცოტა ხანს კიდევ დარჩე", — ჩუმად უთხრა ვაჟს. აურელიანო ტანსაცმელს იხდიდა, სირცხვილი სწვავდა და თან

---

[1] ინგლისელი ზღვაოსანი (1552-1618), სამხრეთ და ჩრდილო ამერიკაში ოქროსმაძიებელთა არაერთი ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ერთი ფიქრიც არ ასვენებდა, ჩემი ძმა უკეთესი შესახედავი იქნებოდა შიშველიო. თუმცა ქალი ბევრს ცდილობდა, აურელიანო მაინც შებოჭილი, უგრძნობელი და მიუსაფარი ჩანდა. „კიდევ ჩავაგდებ ოც სენტავოს“, — ჩაიბურტყუნა მთლად სასოწარკვეთილმა. ქალმა მადლიერებით დაუქნია თავი. კანი გადატკეცოდა თეძოზე. ზურგი მთლად გადაქერცლილი და დასისხლიანებული ჰქონდა, ქანცგაწყვეტილი მძიმედ სუნთქავდა. ორი წლის წინათ აქედან შორს ერთ ღამეს გოგოს ჩასძინებია და სანთელი ანთებული დარჩენია. სიმხურვალემ გაალვიძა თურმე, ირგვლივ ცეცხლის ალი ბრიალებდა. სახლი, სადაც გოგო და მისი გამზრდელი ბებია ცხოვრობდნენ, ფერფლად ქცეულა. მას შემდეგ დაატარებს ბებია ქალაქად და სოფლად და ისიც ოც სენტავოდ უმასპინძლდება კაცებს ლოგინში. აბა, რა ჰქნან, სახლის ფული ხომ უნდა აინაზღაურონ? ალბათ კიდევ ათ წელიწადს მომიწევს ასე ცხოვრება, ღამეში სამოცდაათი კაცი უნდა გავისტუმრო, რომ სახლის ფული დავაგროვოთ. ესეც არ იყოს, ჭამა ხომ გვინდა, გზაში ფული ხომ გვინდა, ინდიელებსაც ხომ უნდა გადავუხადოთ ბებიაჩემის ზიდვაშიო, — შესჩიოდა აურელიანოს მულატი ქალი. როდესაც ფაშფაშა ქალბატონმა მეორედ დააკაკუნა კარზე, გულდამძიმებული აურელიანო ისე გავიდა ოთახიდან, არაფერი გაუკეთებია. მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი, მულატ ქალზე ფიქრობდა, ებრალებოდა და სურვილიც სწვავდა მისი. რაღაცნაირი დაუმორჩილებელი ძალა ეწეოდა მისკენ, გულით ეწადა ყვარებოდა და მფარველადაც გახდომოდა. დილით უძილობითა და განცდებით გატანჯულმა აურელიანომ მტკიცედ გადაწყვიტა, ცოლად ეთხოვა ეს ქალი, გაეთავისუფლებინა ბებიის ბორკილებისაგან და ყოველღამ მხოლოდ ის დამტკბარიყო სამოცდაათი კაცის მაგივრად. ამ გადაწყვეტილებით მიადგა კიდეც დილის ათ საათზე „კატარინოს დუქანს“, მაგრამ მულატი ქალი და ბებიამისი მაკონდოდან წასულიყვნენ უკვე.

თუმცა დრომ თავისი გაიტანა და ყმაწვილ კაცს უცბად მოვარდნილი მგზნებარებისა და აცუნცრუკების ცეცხლი გაუნელა, სამაგიეროდ გულში მაინც დაუტოვა დარდად ფიქრი აუხდენელ სურვილზე. იგი შრომაში ეძებდა ხსნას და ბედშერიგებულმა თავისთვის გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება უქალოდ დავრჩები, სამარცხვინო უმაქნისობას საიდუმლოდ შევინახავო. ამასობაში მელკიადესმა ფირფიტებზე აღბეჭდა ყველაფერი, რაც აღბეჭდვის ღირსი ეჩვენა მაკონდოში და ბოლოს დაგეროტიპიის მთელი ლაბორატორია ხოსე არკადიო ბუენდიას გადასცა თავისი ახირებული და ობროდული ჩანაფიქრის აღსრულებისთვის: ხოსე არკადიო ბუენდიას გადაეწყვიტა დაგეროტიპიის საშუალებით მეცნიერულად დაესაბუთებინა ღმერთის არსებობა. დარწმუნებული იყო, სახლის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში გადაღებული ფირფიტების ხანგრძლივი დაშრევების შედეგად უსათუოდ მიიღებდა მამაზეციერის დაგეროტიპს, რა თქმა უნდა, თუ არსებობს საერთოდ, და თუ ვერ მიიღებდა, მაშინ ხოსე არკადიო ბუენდია არც აღარასოდეს ირწმუნებდა მის არსებობას. რაც შეეხება მელკიადესს, იგი ნოსტრადამუსის შესწავლას ჩაუღრმავდა; ჟამთასვლისაგან გაცრეცილ-გამოხუნებულ ხავერდის ჟილეტში გამოწყობილი სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მაინც გვიანობამდე იჯდა და ქაღალდზე ხვეულად ჩხაპნიდა რაღაცას თავისი ბეღურას ფეხებივით დაღეღარჭნილი ხელის თითებით, რომლებზეც ბეჭდებსაც კი დაჰკარგვოდათ ძველი ბრწყინვალება. ერთხელ ღამით მელკიადესს მოეჩვენა, მაკონდოს მომავალს ვხედავო. მაკონდო დი-

დებული ქალაქი გახდება, მის ქუჩებს დიდი მინის სახლები დაამშვენებს, ბუენდიების ჯაჯანება კი აღარსად იქნებაო, — თქვა მან. „ნუ სულელობ, — გაცხარდა ხოსე არკადიო ბუენდია,— მინის სახლები კი არა, მე რომ სიზმარში ვიხილე, სწორედ ისეთი, ყინულის სახლები დაამშვენებს მაკონდოს, რაც შეეხება ჩვენს გვარს, ისე არ გადავშენდებით, ერთი ბუენდია მაინც არ დარჩება მაკონდოში უკუნითი უკუნისამდე". ამ შერეკილებით სავსე სახლში მხოლოდ ურსულას შერჩენოდა გონიერება. იგი უკვე იმ ხნისა გახლდათ როცა შეეძლო მოსვენებით ეცხოვრა, მაგრამ კვლავ მუხლჩაუხრელად შრომობდა. სამზარეულოში ღუმელიც კი გაადიდებინა და ამ ღუმელში გამომცხვარი პური, ფუნთუშა თუ ღვეზელი წამში ქრებოდა მაკონდოს გზებზე. ურსულა ისე იყო თავის სარფიან საქმეში ჩაფლული, რომ ერთ საღამოს, ვიდრე ინდიელი ქალი შაქარს ჩაყრიდა ქვაბში, მან წამით გადაიხედა ფანჯარაში და ეზოში საქარგავზე თავდახრილ საღამოს შუქში გაჯვეულ ორ უცნობ ყმაწვილ ქალს რომ მოჰკრა თვალი, გაოცდა. ეს ქალიშვილები რებეკა და ამარანტა გახლდნენ. გოგოებს ბებიის გარდაცვალების მერე თითქმის სამი წელიწადი ეცვათ შავები, ახლა გაეძროთ და ფერად კაბებში გამოწყობილებს ვეღარ იცნობდა კაცი. ყველას გასაოცრად რებეკა ნამდვილი მზეთუნახავი გახდა. ქალიშვილს გამჭვირვალე კანი, დიდი მშვიდი თვალები და ისეთი ჯადოქრული ხელები ჰქონდა, გეგონებოდა, უხილავი ძაფით გამოჰყავსო საქარგავი. უმცროსს, ამარანტას, თუმცა ეშხი და ლაზათი აკლდა, სამაგიეროდ აწ გარდაცვლილი ბებიისაგან მემკვიდრეობად მიეღო კეთილშობილება და საკუთარი ღირსების შეცნობის უნარი .არკადიო კი, მართალია, მამამისივით ძალოვანი იზრდებოდა, ქალიშვილებთან შედარებით მაინც ბავშვივით გამოიყურებოდა, აურელიანომ ოქრომჭედლობა და წერა-კითხვაც შეასწავლა ძმისშვილს. ურსულა მიხვდა, მის სახლში ბავშვები უკვე დაიზარდნენ, მალე ალბათ დაქორწინდებიან კიდეც, შვილები ეყოლებათ და ამ პატარა ჭერქვეშ ვეღარ დავეტევითო. მაშინ მან სახლის გადიდება განიზრახა, სკივრიდან წლების მანძილზე შრომითა და წვალებით დაგროვილი ფული ამოიღო, ხელოსნებს მოურიგდა და კიდეც შეუდგა საქმეს. გადაწყვიტა, სახლისათვის მიეშენებინა ერთი დიდი ოთახი სტუმრებისათვის, მეორე უფრო მყუდრო და გრილი — შინაურებისათვის, სასადილო ოთახი თორმეტი კაცისათვის, ცხრა საძინებელი ოთახი ეზოსკენ გაჭრილი ფანჯრებით და შუადღის მზეს მოფარებული, ყვავილიანი ქოთნებით სავსე გრძელი შუშაბანდი. ურსულამ სამზარეულოს გადიდებაც გადაწყვიტა, რათა შიგ ორი ღუმელი თავისუფლად გამართულიყო. ის საკუჭნაოც, სადაც პილარ ტერნერამ ხოსე არკადიოს მომავალი უწინასწარმეტყველა, უნდა დაენგრიათ და მის ნაცვლად ორჯერ დიდი საკუჭნაო აეშენებინათ: დიდ ოჯახს ხომ დიდი მარაგიც სჭირდება! ურსულასვე ბრძანებით, ეზოში, წაბლის ძირში, უნდა ჩაედგათ ოროთახიანი პატარა აბანო — ცალცალკე კაცებისა და ქალებისათვის. აბანოს უკან იქნებოდა საჯინიბო, ცხაურით შემოღობილი საქათმე, საქონლის სადგომი და ღია გალია — ჩიტების თავშესაფარი. მთელი დღე კალატოზებისა და დურგლების ჯარი დასდევდა ქალს. თითქოს ქმრისგან გადმოედო მშფოთვარე ალტყინებაო, ურსულას ხმა ყველა კუთხე-კუნჭულში ისმოდა, ყველა საქმეს ის თავობდა, ის კარნახობდა, საიდან და როგორ უნდა შემოსულიყო ოთახებში მზე და სითბო, უხვად და ხელგაშლილად ანაწილებდა ფართობს. მაკონდოს დაარსების დროინდელი პატა-

რა უბრალო სახლი სულ მალე პირთამდე აივსო ხელოსნებითა და სამშენებლო მასალა-ხელსაწყოებით. ხელოსნები ვერა გრძნობდნენ, ფეხებში რომ ებლანდებოდნენ ყველას და პირიქით ბუზღუნებდნენ, ხელს გვიშლით, ფეხებში გვედებითო. მუშებს წარამარა ეჩხირებოდათ თვალში, ჭვლებით სავსე ტომარა და ყოველ კუთხე-კუნჭულში თან სდევდათ მისი უხიამო რაკარუკი. ვერავინ გაიგო, ამ ფუსფუსსა და დავიდარაბაში, ამ მდუღარე ფისის ორთქლსა და კირის ბუღში როგორ წამოიმართა არა მარტო ყველაზე დიდი სახლი მაკონდოში, არამედ ყველაზე გრილი და სტუმართმოყვარე სახლი მთელს იმ მხარეში. განსაკუთრებით ხოსე არკადიო ბუენდიას ვერ გაეგო ვერაფერი. ის ხომ გახურებული სამშენებლო კატაკლიზმის დროსაც მამაზეციერის გამოსაბულების ცდებს ჩაჰკირკიტებდა! სახლი თითქმის დამთავრებული იყო, როცა ურსულამ ქმარი გამოიხმო ქიმერთა საუფლოდან და აუწყა: ბრძანება მივიღე, სახლი თეთრად კი არა, — როგორც ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილი, — ცისფრად შეღებეთო. ხოსე არკადიო ბუენდია მაშინვე ვერ მიხვდა ცოლის სიტყვებს, ბრძანების ხელმოწერას აკვირდებოდა.

— რაო, ვინა ვარო? — ჰკითხა ცოლს.

— ვინა და, კორეხიდორიო, — უპასუხა დარდით გულგასიებულმა ურსულამ. — უფროსად გამოუგზავნია მთავრობას.

კორეხიდორი დონ აპოლინარ მოსკოტე უხმაუროდ ჩამობრძანდა მაკონდოში. იგი „ხაკობის სასტუმროში“ ჩამოხტა. ეს სახლი ააშენეს იმ არაბებმა, პირველად რომ ეწვივნენ მაკონდოს, რათა პატარ-პატარა ნივთები გაეცვალათ თუთიყუშებში. მეორე დღეს კორეხიდორმა ოთახი დაიქირავა ბუენდიების სახლიდან ორი კვარტალის მოშორებით ერთ პატარა სახლში. ოთახის კარი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. ხაკობს მაგიდა და სკამი გამოართვა, შუა ოთახში დადგა, კედელზე რესპუბლიკის გერბი მიაჭედა, ხოლო კარზე კი წააწერა: „კორეხიდორი“. მისი პირველი ბრძანება გახლდათ, ეროვნული დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით ყველა სახლი ცისფრად შეეღებათ.

ხოსე არკადიო ბუენდია ბრძანების ასლით ხელში გამოეცახადა კორეხიდორს, რომელიც ნასადილევს იქვე კანტორაში გაკიდულ ჰამაკში ისვენებდა, „ეს თქვენ დაწერეთ?“ — ჰკითხა ხოსე არკადიო ბუენდიამ. დონ აპოლინარ მოსკოტე ხანში შესული მამაკაცი იყო, სანგვინიკის შეხედულება ჰქონდა. მე დავწერეო, მორიდებულად უპასუხა სტუმარს. „მერე ვინ მოგცათ ამის დაწერის უფლება?“ — კვლავ ჰკითხა ხოსე არკადიო ბუენდიამ.

დონ აპოლინარ მოსკოტემ მაგიდის უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და მოაჩვენა გაუწოდა: „დანიშნულია ამ ქალაქის კორეხიდორად“... ხოსე არკადიო ბუენდიამ არც კი დახედა ქაღალდს.

— ამ ქალაქში ქაღალდები არ მბრძანებლობენ, — თქვა მშვიდად. — ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ: საკორეხიდორო არაფერი გვჭირს.

მერე ჩვეულებრივ დინჯად და აუღელვებლად ჩამოუმარცვლა უცხოელს, როგორ მოაგნეს ამ ადგილს, როგორ დაანაწილეს მიწა, გაჭრეს გზა და სოფლისთვის რაც საჭირო იყო, ყველაფერი ისე გააკეთეს, არავითარი მთავრობა არ შეუწუხებიათ. არც მათ აწუხებდა ვინმე. „ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ, თავისი სიკვდილითაც კი არავინ მომკვდარა ჯერ, აქ, ხომ ნახეთ, მაკონ-
საფლაო არცა გვაქვს... მთავრობას არ ვუჩივით, პირიქით, მადლო-

ბელი ვართ, ხელი არაფერში შეგვიშალა. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება. განა იმიტომ დავაარსეთ მაკონდო, რომ ვიღაც გადამთიელმა გვიბრძანოს და გვიკარნახოს, როგორ მოვიქცეთ და რა გავაკეთოთ? — დონ აპოლინარ მოსკოტემ უხეში ქსოვილის თეთრი ქურთუკი ჩაიცვა ასევე თეთრ შარვალზე: წამითაც არ დავიწყნია თავაზიანობის კანონი.

— ერთი სიტყვით, თუ გსურთ ჩვენს ქალაქში დასახლდეთ და ჩვეულებრივი უბრალო მაკონდოელი გახდეთ, მაშინ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მაგრამ თუ უწესრიგობის შემოტანა განგიზრახავთ აქ, — რის მაგალითადაც დავასახელებ ბალახების ცისფრად შეღებვის ბრძანებას, — მაშინ გირჩევნიათ ახლავე აიკრათ გუდა-ნაბადი და საიდანაც მოსულხართ, იქ წაბრძანდეთ. რაც შეეხება ჩემს სახლს, იგი მტრედივით თეთრი იქნება მუდამ, — დაამთავრა სათქმელი ხოსე არკადიო ბუენდიამ.

დონ აპოლინარ მოსკოტე გაფითრდა, უკან დაიწია და ოდნავ აღელვებულმა თქვა:

— გაფრთხილებთ, შეიარაღებული ვარ.

ხოსე არკადიო ბუენდიამ ვერც კი შეამჩნია, როდის და როგორ ჩაუდგა მკლავებში ის ახალგაზრდული ძალა, რის წყალობითაც ერთ დროს ცხენს მიწაზე ანარცხებდა. კორეხიდორს მკერდზე დაფენილ საყელოს კიდეებში ჩაავლო ხელი და ლამის თავის თვალებამდე ასწია.

— ასე იოლად იმიტომ გადამირჩით, რომ მირჩევნია ცოცხალი გათრიოთ რამდენიმე წუთს, ვიდრე მკვდარმა შემაწუხოთ მთელი ცხოვრება, — უთხრა მასპინძელს.

ასევე საყელოში ხელჩავლებული და მაღლა აწეული გამოიყვანა ოთახიდან, შუა ქუჩაში დააყენა და ქალაქის გზაზე ანიშნა... მაგრამ არ გასულა ერთი კვირა და დონ აპოლინარ მოსკოტე კვლავ დაბრუნდა მაკონდოში. ამჯერად ექვსი ფეხშიშველი და ჩამოძონძილი, შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცი ახლდა თან. კორეხიდორმა ჯორებშებმული ფორანით თავისი ოჯახიც ჩამოიყვანა: ცოლი და შვიდი ქალიშვილი. ცოტა მოგვიანებით კიდევ ორი ფორანი მოადგა მაკონდოს ზანდუკებითა და საოჯახო ნივთებით დატვირთული. კორეხიდორმა თავისი ოჯახი დროებით, ვიდრე ბინას იშოვიდა, „ხაკობის სასტუმროში" დააბინავა, თვითონ კი კვლავ გაალო კანტორა და კართან ორი ჯარისკაცი დააყენა. მაკონდოელებმა გადაწყვიტეს, დაუპატიჟებელი სტუმრები გაეგდოთ და ხოსე არკადიო ბუენდიას მიაკითხეს იმ იმედით, გვიუფროსებსო, მაგრამ მან უარი უთხრა: დონ აპოლინარ მოსკოტე ცოლ-შვილთან ერთად ჩამოვიდა და მამაკაცებს არ შეჰფერით მეორე მამაკაცი საკუთარი ოჯახის თვალწინ დაამცირონო: საქმე მშვიდობიანად უნდა გადაწყვეტილიყო.

მამას აურელიანო გაჰყვა კორეხიდორთან. ვაჟს ძალზე უხდებოდა დახვეული და ბოლოებში წებოწასმული შავი ულვაში. ხმაშიც ისეთი ცეცხლი ენთო, წლების მერე ბრძოლებში ათას ხმაში რომ გამოარჩევდი. უიარაღოდ მისულმა მამა-შვილმა მცველებს ზედაც არ შეხედეს, ისე შევიდნენ კორეხიდორის კანტორაში. დონ აპოლინარ მოსკოტეს არ გაჰკვირვებია მათი სტუმრობა. მოსულებს წარუდგინა თავისი ორი ქალიშვილი, რომლებსაც შემთხვევით შეევლოთ მამასთან სამსახურში. თექვსმეტი წლის ამპარო დედამისივით შავთმიანი იყო, ცხრა წლის ულამაზეს გოგონას რემედიოსს კი ლილისფერი კანი და მწვანე თვალები ჰქონდა. ორივენი ჰაეროვანი და ზრდილი გოგონები

ჩანდნენ. სტუმრებს სკამები მიართვეს, მაგრამ მოსულებმა არ ისურვეს დაჯდომა.

— მაშ კარგი, მეგობარო, — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ. — ნებას გაძლევთ, დარჩეთ მაკონდოში, მაგრამ არ იფიქროთ, თქვენი მეველებისა შეგვეშინდა, თქვენს ცოლ-შვილს დავდეთ პატივი.

დონ აპოლინარ მოსკოტემ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიამ არ აცალა: „ორი პირობით გტოვებთ. პირველი პირობა ის არის, ვისაც როგორ სურს, ისე შეღებავს თავის სახლს. მეორე — ჯარისკაცებმა ახლავე უნდა დატოვონ მაკონდო. ქალაქში წესრიგზე ჩვენ თვითონ ვაგებთ პასუხს". კორეხიდორმა თითებგაშლილი მარჯვენა ხელი აღმართა:

— პატიოსან სიტყვას მაძლევთ?

— მტრის სიტყვას გაძლევთ, —უპასუხა ხოსე არკადიო ბუენდიამ და ნაღვლიანად დაუმატა: — მე და თქვენ კვლავ მტრებად ვრჩებით.

ჯარისკაცებმა იმ საღამოსვე დატოვეს მაკონდო.

ერთი-ორი დღის მერე ხოსე არკადიო ბუენდიამ კორეხიდორის ოჯახს ბინაც უშოვა. ყველაფერი თავის რიგზე წავიდა და ყველანიც დამშვიდდნენ... აურელიანოს გარდა. კორეხიდორის უმცროსი ქალიშვილის — რომელიც შვილად უფრო ერგებოდა — რემედიოსის სახე სამუდამოდ, მარადიული ტკივილივით ჩაუსახლდა სადღაც გულის კუნჭულში. ვაჟს ისეთი ფიზიკური შეგრძნება დაეუფლა, თითქოს კენჭი ჩავარდნოდეს ფეხსაცმელში და სიარულს უშლიდა.

ახალი სახლი მტრედივით თეთრად აქათქათდა. ურსულამ გადაწყვიტა მეჯლისი მოეწყო, უფრო სწორად, პირველად მაშინ ჩაიფიქრა მეჯლისის მოწყობა, როცა უეცრად აღმოაჩინა, რებეკა და ამარანტა დაქალიშვილებულანო. ისე, თუ სიმართლე გინდათ გაიგოთ, სულაც ამ მეჯლისისთვის გადაკეთდა მთელი სახლი, სულაც ეს იყო მთავარი მიზეზი მთელი ამ ორომტრიალისა. ოღონდ მის ოცნებას ფრთები შესხმოდა და ურსულა ძალას არ ზოგავდა, კატორღელივით შრომობდა სახლის გადაკეთების პირველი დღიდან ბოლომდე. იმდენი ტკბილეული და პური გაყიდა, იმდენი ფული დააგროვა, რომ ახლა თავისუფლად შეეძლო ყველაფერი საუკეთესო შეეძინა სახლის მოსართავად და მოსალამაზებლად. განსაკუთრებით ერთი ისეთი რამის ყიდვა ჰქონდა განზრახული, მთელ ქალაქს გაოცებისგან პირს რომ დააღებინებდა. ეს იყო პიანოლა. საკრავი დაშლილი და ყუთებში ჩალაგებული ჩამოიტანეს. მასთან ერთად გადმოზიდეს შესანიშნავი ვენური ავეჯი, ბოჰემიის ბროლის ლარნაკები, ძვირფასი სასადილო ჭურჭელი, ჰოლანდიური თეთრეული, ნაირ-ნაირი ლამპები, შანდლები, საბნები და ხალიჩები. სავაჭრო სახლმა ამ ავეჯსა და ნივთებს თავისი წარმომადგენელიც გამოაყოლა. ეს გახლდათ იტალიელი ოსტატი პიეტრო კრესპი, ვისაც ევალებოდა პიანოლის აწყობა. მასვე უნდა ესწავლებინა აქაურებისათვის პიანოლაზე დაკვრის წესები და ცეკვაც იმ მოდური მუსიკის თანხლებით, რომელიც ექვს მუყაოს ცილინდრის ნასვრეტებში იყო ჩაწერილი.

პიეტრო კრესპი ახალგაზრდა ქერა ყმაწვილი გახლდათ. ასეთი ლამაზი და ზრდილი კაცი მაკონდოში ჯერ არც ენახათ. მუდამ კოხტად გამოიყურებოდა. პაპანაქება სიცხეშიც კი ვერცხლის ღილებიანი ტყავის ჟილეტი და მუქფერი მაუდის ქურთუკი ეცვა. ოფლში გახვითქული მუშაობდა, სახლის პატრონებ-

თან ურთიერთობისას თავაზიანობის გარკვეულ საზღვრებს იცავდა, არამც და არამც არ გადადგამდა ნაბიჯს ამ საზღვრებს იქით. ერთი-ორი კვირა ჩაიკეტა სასტუმრო ოთახში და ისევე ხურვებშეყრილივით ჩაუღრმავდა პიანოლის აწყობას, როგორც აურელიანო — საიუველირო საქმეს. ერთ მშვენიერ დილას კი კვლავ სასტუმრო ოთახში გამოკეტილმა პიეტრო კრესპიმ პიანოლაში ჩასვა პირველი ცილინდრი და მალე ჩაქუჩების გამაბეზრებელი ბაკუნი, ფურცლის გაუთავებელი რახარუხი შეწყდა და მის ნაცვლად დამკვიდრდა ჰაეროვანი მუსიკით გაკვირვებული სიჩუმე. ყველანი სასტუმრო ოთახისკენ გაქანდნენ. ხოსე არკადიო ბუენდია გახევდა: ლამაზმა მელოდიამ კი არა, თავისით მოძრავმა ღილებმა კლავიშებმა გააკვირვეს. მან ოთახში მელკიადესის აპარატიც კი დადგა, იქნებ უხილავი დამკვრელი გადავიღოო. იმ დილით იტალიელი ოსტატი მთელს ოჯახთან ერთად უჯდა სუფრას. რებეკა და ამარანტა თავს დასტრიალებდნენ მაგიდას. ისინი გაოცებული და დარცხვენილი ადევნებდნენ თვალს, ანგელოზივით კაცი რა მოხდენილად ატრიალებდა დანა-ჩანგალს თავის ნაზსა და უბეჭდო თითებში. პიეტრო კრესპიმ ითხოვა, სასტუმროს გვერდითი ოთახი ცეკვის გაკვეთილებისთვის დამითმეთო. რებეკასა და ამარანტას სამეჯლისო ცეკვებს ასწავლიდა, ცეკვისას შორიშორ მიჰყვებოდა. ახლოს არც ერთს არ ეკარებოდა, ტაქტს მეტრონომით ზომავდა და სხვადასხვა ილეთებს უჩვენებდა. ურსულა ერთი წამითაც არ ტოვებდა საცეკვაო ოთახს, თავაზიანად ზედამხედველობდა თავის ქალიშვილებს. ცეკვის გაკვეთილებზე პიეტრო კრესპის სამეჯლისო ფეხსაცმელი და საგანგებო, ტანზე შემოტკეცილი შარვალი ეცვა. „ამაოდ ღელავ, — ეუბნებოდა ხოსე არკადიო ბუენდია თავის ცოლს. — ეგ ხომ მამაკაცი არც არის". მაგრამ ურსულამ მხოლოდ მაშინ დატოვა საგუშაგო, როდესაც ცეკვის გაკვეთილები დამთავრდა და იტალიელი ყმაწვილი კაცი მაკონდოდან გაემგზავრა. ზეიმისთვის მზადებაც მაშინ დაიწყო. ურსულამ მეტისმეტად შეკვეცა სტუმართა სია, სადაც მაკონდოს დამაარსებელთა თითქმის ყველა შთამომავალი მოხვდა პილარ ტერნერას გარდა, რომელმაც ამ ხანებში უკვე მოასწრო და ღმერთმა უწყის, ვისგან გააჩინა ორი ბავშვი. არჩევანი ძირითადად კლასობრივი იყო. თუმცა, უნდა ითქვას, არც პირად მეგობრობას ივიწყებდნენ — მოპატიჟების ღირსი სტუმრები ხომ ბუენდიებს მეგობრობდნენ ჯერ კიდევ იმ ლაშქრობამდე, რომელიც მაკონდოს დაარსებით დაგვირგვინდა! მათი ვაჟიშვილები პატარაობიდანვე თამაშობდნენ აურელიანოსა და არკადიოსთან, ქალიშვილები კი რებეკასა და ამარანტასთან ერთად უსხდნენ ხოლმე საქარგავს. მაკონდოს თვინიერ მმართველს დონ აპოლინარ მოსკოტეს თითქმის არაფერი ევალებოდა. ხელკეტებით შეიარაღებულ ორად ორ პოლიციელს უფროსობდა და იმათაც საკუთარი ჯიბიდან აძლევდა გროშებს. ოჯახს როგორმე რომ გაეტანა თავი, მოსკოტეს ქალიშვილებმა სამკერვალო სახელოსნო გახსნეს. ოქროსხელიანი გოგონები ხელოვნურ ყვავილებსაც აკეთებდნენ, გუაიავას ტკბილეულს ამზადებდნენ და სასიყვარულო ბარათებსაც წერდნენ საგანგებო შეკვეთით. თუმცა გოგონები მთელ ქალაქში გამოირჩეოდნენ თავიანთი მოკრძალებულობით, კდემამოსილებითა და სილამაზით და თანაც ყველაზე კარგად ცეკვავდნენ კიდეც, მაინც ვერ მოხვდნენ დაპატიჟებულთა სიაში. ვიდრე ურსულა და მისი ქალიშვილები ავეჯს თავ-თავის ადგილზე დგამდნენ, ვერცხლეულს აპრიალებდნენ და ცარიელ კედლებს რთავდნენ სურათებით, რომლებზეც ქალიშვილები გამოესახათ ვარდებით სავსე ნავებში, ხოსე არკა-

დიო ბუენდიამ უარი თქვა მამაზეციერის ყოფნა-არყოფნის გამოძიებაზე, ერთხელ და სამუდამოდ ჩაიბეჭდა თავში, ღმერთი არ არსებობსო და მიადგა პიანოლას, მთლიანად დაშალა და გამოშიგნა საკრავი, რათა ძირფესვიანად ამოეცნო მისი სასწაულებრივი საიდუმლოება. ზეიმამდე ორი დღით ადრე, ღმერთმა უწყის საიდან მოტანილი ზედმეტ ჭანჭიკებსა და პატარა ჩაქუჩებში ჩაფლული ხოსე არკადიო ბუენდია ხურვებაშეყრილივით იხლართებოდა დაბურდულ-დაბურდულ სიმებში, რომლებიც, საკმარისი იყო ერთი ბოლოდან გაგეჭიმა და მერე გაგეშვა ხელი, რომ კვლავ იხვეოდა და იგორგლებოდა. და მაინც ამ ყოფაში კაცმა მოახერხა და ისევ ააწყო საკრავი. ბუენდიების სახლს არ ახსოვს ძალიან შფოთი და ქოთქოთი, მაგრამ ნავთის ლამპები მაინც ზუსტად დანიშნულ დღესა და საათს აინთნენ. ირგვლივ ფისისა და ჯერაც შეუმშრალი ბათქაშის სუნი იდგა. სახლი აავსო უხუცეს მაკონდოელთა შვილებმა და შვილიშვილებმა. ისინი ჟრიამულით მოედვნენ ბეგონიებით სავსე შუშაბანდს, ოთახებს, ვარდის სურნელით გაჟღენთილ ბაღს, ხოლო მერე ყველანი სულისსწრაფვით შემოეხვივნენ სასტუმრო ოთახში თეთრზეწარგადაფარებულ სასწაულს. ვისაც ახლომახლო ქალაქებში თვალი მოეკრა პიანოლასათვის, ახლა, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდათ, მაგრამ უნდა გენახათ რა დღეში ჩავარდა თვითონ ურსულა: დიდის ამბით აიღო ცილინდრი და ჩასვა მისთვის განკუთვნილ ადგილას, რათა რებეკასა და ამარანტას საზეიმოდ გაეხსნათ მეჯლისი, მაგრამ პიანოლა არ ამუშავდა. თითქმის თვალდაშრეტილმა და სიბერისაგან თვითონ ნაწილ-ნაწილ დაშლილმა მელკიადესმა სცადა ძველი ჯადოქრობა გაეხსენებინა და საკრავი აეწყო, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიამ სრულიად შემთხვევით გამოსწია სადღაც გაჩხერილი რაღაც მილი და მუსიკაც უცბად გამოვარდა საკრავიდან. ჯერ კაკაკუკი გაისმა, მერე კი არეულ-დარეული ნოტების ნიაღვარი წამოვიდა. სუსტად დამაგრებული ჩაქუჩები ჭანჭიკებიდან ამოხტომას ლამობდნენ და მეტისმეტად დაჭიმულსა და შესაშური სითამამით აწყობილ სიმებს აწვალებდნენ. მაგრამ იმ ოცდაორი მამაცი და გულოვანი მოლაშქრის შთამომავლები, — ზღვის ძებნაში ოდესღაც რომ გადალახეს ჯერაც ფეხდაუდგამი ქედი, — მოხერხებულად უვლიდნენ გვერდს უეცრად მოვარდნილ მუსიკალური ნიაღვრის წყალქვეშა ქვებს და მეჯლისიც დილამდე გაგრძელდა.

პიეტრო კრესპი მაკონდოში დაბრუნდა, რათა პიანოლა შეეკეთებინა. რებეკა და ამარანტა იტალიელ ოსტატს ეხმარებოდნენ, მასთან ერთად აწყობდნენ ვალსის არეულ-დარეულ ნოტებს. იტალიელს ისე თავაზიანად და ღირსეულად ეჭირა თავი, რომ თვალთვალი ურსულას ამჯერად ზედმეტი მოეჩვენა. გამგზავრების დღეს კრესპის საგანგებოდ მოუწყვეს გამოსათხოვარი მეჯლისი. შეკეთებული პიანოლის მუსიკის თანხლებით იტალიელმა ოსტატმა და რებეკამ საზოგადოებას უჩვენეს თანამედროვე ცეკვის უმაღლესი ხელოვნება. არკადიო და ამარანტაც არ ჩამორჩნენ მათ. მაგრამ საჩვენებელი ცეკვები უცებ შეწყდა, რადგან კართან თავმოყრილ ცნობისმოყვარეთა შორის ჩოჩქოლი ატყდა: პილარ ტერნერამ თმით დაითრია ერთი ქალი, რომელმაც მეზობელს გადაულაპარაკა, ყმაწვილ არკადიოს ქალივით თეძოები აქვსო. უკვე შუაღამე იყო, როცა პიეტრო კრესპიმ თბილი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა და დამსწრეთ შეჰპირდა, მალე დავბრუნდებიო. რებეკამ ზღურბლამდე მიაცილა სტუმარი, ხოლო როცა ყველა კარი ჩარაზეს და ლამპებიც ჩააქრეს, ქა-

ლიშვილი თავის ოთახში ჩაიკეტა და მწარედ ატირდა. გულამოვარდნილი ტიროდა რებეკა რამდენიმე დღეს და ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა, ამარანტაც კი. რებეკა რომ ჩაიკეტა, არც არავის გაკვირვებია. გარეგნულად ხალისიანი და თავაზიანი ქალიშვილი, სინამდვილეში გულჩახვეული იყო, თუმცა, იგი ლამაზი, ჯანიანი და გრძელკანჭება ქალიშვილი დადგა, უწინდებურად მაინც ჯდებოდა თავის დაძველებულსა და ათასგზის გადაკეთებულ-შეკეთებულ სარწეველა სავარძელში. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ამოდენა ქალიშვილი კიდევ ვერ გადაეჩვეოდა თითის წოვას? ამიტომაც იკეტებოდა ხშირად აბანოში, ამიტომაც მიაჩვია საკუთარი თავი კედლისკენ პირშექცეულ ძილს. წვიმიან ამინდში ბეგონიებით სავსე შუშაბანდში მეგობარ ქალიშვილებთან ერთად ქარგვისას, რებეკას საუბრის ძაფი უწყდებოდა და ბაღის სველი ბილიკებისა და ნესტის მატლების ბალახიანი ბუდე-ბორცვების დანახვაზე მოუცილებელი დარდის მწარე გემოს გრძნობდა პირში, საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც რებეკას ტირილი დასჩემდა, იმ ცუდი ზნის სურვილიც გაეღვიძა, ერთ დროს ფორთოხლის წვენითა თუ ქამრის დახმარებით რომ გადააჩვია ურსულამ. ერთი სიტყვით, რებეკამ კვლავ დაიწყო მიწის ჭამა. პირველად ცნობისწადილმა უფრო გაახსენა, ეგონა, მიწის უსიამო გემო ცდუნებას დაძლევინებსო. მართლაც ჩაიდო თუ არა პირში, მაშინვე გადმოაფურთხა, მაგრამ ნაღველი ისე მოეძალა, რომ საკუთარი დარდით გატანჯულმა ნელ-ნელა დაიბრუნა პირველადი მინერალების მიმართ ადრინდელი მიდრეკილება. ჯიბეში იყრიდა მიწას და მერე ჩუმ-ჩუმად ნამცეც-ნამცეც ჭამდა ბედნიერებისა და ნაღველის აუხსნელი განცდით ავსილი, თან ქარგვის ხელოვნების საიდუმლოს ასწავლიდა მეგობარ გოგონებს და იმ მამაკაცებზეც საუბრობდა, რომლებიც ღირსნი არ იყვნენ მათი გულისთვის მიწა ეჭამა ქალს. ამ მიწის თითოეული ნამცეცი თითქოს თვალწინ უცოცხლებდა იმ ერთადერთ კაცს, ვინც ღირსი იყო ამგვარი დამცირებისა; ამ მიწის თითოეული ნამცეცი თითქოს იმ შორეული მიწის ნაწილი იყო, რაზეც ის კაცი დააბიჯებდა თავისი კოხტა ტყავის ფეხსაცმლით; ამ მიწის გემოში პოულობდა ქალი სასურველი კაცის სისხლის სიმძიმესა და სითბოს, რის მერეც პირში სიმხურვალე რჩებოდა, ხოლო გულში შვება და სიმსუბუქე. ერთ საღამოს ამპარო მოსკოტემ ამარანტასა და რებეკას სთხოვა, თქვენი ახალი სახლი დამათვალიერებინეთო. მასპინძლები დაიბნენ ამ მოულოდნელი სტუმრობით და კორეხიდორის უფროს ქალიშვილს ცივად შეხვდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, სახლი აჩვენეს, პიანოლა მოასმენინეს და ლიმონათითა და ნამცხვრითაც გაუმასპინძლდნენ! ამპარო ისე ღირსეულად, მომხიბვლელად და თავაზიანად იქცეოდა, რომ ურსულას ძალიან მოეწონა, თუმცა სულ რაღაც წუთით შევიდა სტუმართან. ორი საათი დაჰყო ამპარო მოსკოტემ ბუენდიებთან და როგორც კი ამარანტა რაღაც საქმეზე გავიდა ოთახიდან, რებეკას სასწრაფოდ გადასცა წერილი. რებეკამ ასევე სწრაფად გადაავლო თვალი კონვერტს და აღელვებულმა ამოიკითხა: პატივცემულ დონია რებეკა ბუენდიას. ასოები ისევე ლამაზად და გულმოდგინედ გამოეყვანა პიეტრო კრესპის, რა ფაქიზად და გულმოდგინებითაც აწყობდა პიანოლას. ამარანტამ სათუთად დაკეცა წერილი, უბეში შეინახა და სტუმარ ქალიშვილს უსაზღვრო მადლიერებით შეაცქერდა, უსიტყვოდ აგრძნობინა, სიკვდილამდე არ გიღალატებო. ამპარო მოსკოტესა და რებეკა ბუენდიას შორის უცბად აღმოცენებულმა მეგობრობამ აურელიანოს გულში იმედის სხივი ჩაუსახა. [illegible]

მედიოსზე ფიქრი სტანჯავდა, მას შემდეგ თვალი არ მოუკრავს გოგონასათვის. თავის უახლოეს მეგობრებთან მაგნიფიკო ვისბალსა და ხერინელდო მარკესთან ქალაქში სეირნობისას — ეს ბიჭები მაკონდოს დამაარსებლების შვილები იყვნენ და ორივეს მამების სახელი ერქვათ — აურელიანო მოსკოტეების სამკერვალოს რომ ჩაუვლიდა, ხარბად მოათვალიერებდა ხოლმე იქაურობას, იქნებ პატარა რემედიოსს მოვკრაო თვალი, მაგრამ იქ ყოველთვის მისი უფროსი დები ისხდნენ და მუშაობდნენ. ახლა კი მგონი ეშველა, ამპარო მოსკოტეს გამოჩენა მათ სახლში ნიშანივით იყო. „დას უსათუოდ მოჰყვება, — ჩურჩულებდა აურელიანო, — უსათუოდ მოვა!“ იმდენხანს და ისე დაჟინებით იმეორებდა ამ სიტყვებს, რომ ერთ საღამოს, თავის სახელოსნოში ოქროს თევზს რომ აკეთებდა, უცბად იგრძნო, რემედიოსმა ძახილზე უპასუხა. და მართლაც, ცოტა ხნის მერე ბავშვური ხმაც მოესმა, აურელიანომ თავი ასწია და ლამის გული გაეყინა: კარში თეთრ ფეხსაცმელსა და ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი გოგონა იდგა.

— მანდ არ შეხვიდე, რემედიოს, — შუშაბანდიდან დაუძახა ამპარომ პატარა დას. — მანდ მუშაობენ!

მაგრამ აურელიანომ არ აცალა გოგონას დის სიტყვების აზრს ჩასწვდენოდა, ძეწკვზე დაკიდული ოქროს თევზი შეათამაშა და უთხრა:

— შემოდი.

რემედიოსი შევიდა და თევზზე რაღაცა ჰკითხა, მაგრამ მღელვარებისგან სულშეხუთული აურელიანო ხმას ვერ იღებდა. ნეტავ სულ ამ ლილისფერ კანსა და ამ ზურმუხტისფერ თვალებს უცქერდეს, ნეტავ სულ ეს ხმა ესმოდეს. გოგონა ყოველი სიტყვის მერე ისეთი მოკრძალებით დაურთავდა ხოლმე „სენიორს“, თითქოს მშობელ მამას მიმართავსო. მელკიადესი მაგიდის კუთხეში მიმჯდარიყო და რაღაც ამოუკითხავი ხვეულები გამოჰყავდა ქაღალდზე. აურელიანოს უცბად შესძულდა იგი. ის იყო რემედიოსს ოქროს თევზი შესთავაზა საჩუქრად, რომ შეშინებული გოგონა სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ამ საღამოს მერე აურელიანოს მოსვენება დაეკარგა. მუშაობას თავი ანება. ამიერიდან მოთმინებით ველარ დაელოდება გოგონას გამოჩენას. ერთი ორჯერ სცადა გონი მოეკრიბა და კვლავ გამოეხმო რემედიოსი, მაგრამ ამაოდ, გოგონა აღარ ემორჩილებოდა მის ძახილს. სად არ ეძებდა აურელიანო მას: დების სამკერვალოში, მის სახლის ფანჯრებზე ჩამოფარებულ ფარდებს მიღმა, მამის კანტორაში, მაგრამ შეხვედრით კი მხოლოდ საკუთარ გულში ხვდებოდა სანატრელ არსებას და მისი ხატება ულამაზებდა მტანჯველ მარტოობას. აურელიანო საათობით იჯდა სასტუმრო ოთახში და რებეკასთან ერთად უსმენდა პიანოლაზე ჩაწერილ ვალსს. რებეკას ეს ვალსი პიეტრო კრესპის აგონებდა, სწორედ ამ მუსიკაზე ასწავლიდა ცეკვას; აურელიანოც უბრალო მიზეზით გაეტაცნა მუსიკას: მშვენიერი რემედიოსი ეხატებოდა თვალწინ.

სახლი სიყვარულით აივსო, აურელიანო თავის სიყვარულს თავისსავე უთავბოლო ლექსებში აქსოვდა. სადღა და რაზე აღარ წერდა ლექსებს — მელკიადესის ნაჩუქარ პერგამენტის ქაღალდზე, აბანოს კედლებზე, საკუთარ ხელებზე! და ყველა ლექსში რემედიოსის სახე ჩანდა: აგერ რემედიოსი შუადღის მთვლემარე ჰაერში, რემედიოსი ვარდების მშვიდ ფშვინვაში, რემედიოსი დილის პურის თბილ სურნელში — რემედიოსი ყველგან და ყოველთვის! რებეკა ფანჯარასთან იჯდა, ქარგავდა და თავის სიყვარულს ყოველდღე ოთხ საათზე

ელოდა. განა არ იცოდა, რომ ფოსტის ჯორი მაკონდოში თვეში მხოლოდ ორჯერ ჩამოდიოდა, მაგრამ ის მაინც ყოველდღე ელოდა, სწამდა, ერთხელაც იქნება ჯორს შეეშლება და ადრე ჩამოვაო. პირიქით მოხდა: ჯორი დანიშნულ დროზეც კი არ გამოჩენილა მაკონდოში. დარდისგან შეშლილი რებეკა შუაღამისას დგა და გეგონება, თავის მოკვლა განუზრახავსო, სწრაფად და ხარბად მოჰყვა მიწის ყლაპვას ბაღში. ატირებული და გახელებული იტენიდა მიწას, ლოკოკინების ნიჟარებს კნაწაკნუწი გაჰქონდათ პირში. დილამდე გულს იყე აზიდებდა, ძალა წაერთვა, დაკარგა გონი და ბოდვისას უსირცხვილოდ გაამხილა ხვაშიადი. განრისხებულმა ურსულამ რებეკას ზანდუკის საკეტი გატეხა, თავი ახადა და თექვსმეტი სუნამოდაპკურებული და ვარდისფერი ბაფთით შეკრული წერილი იპოვა. ძველ წიგნებში ფურცლებს შორის ჩადებული გამხმარი ფოთლები და პეპლები ხელის პირველ შეხებაზევე მტვრად გადაიქცნენ.

მხოლოდ აურელიანო გრძნობდა, რა მტანჯველი და უსაზღვრო იყო რებეკას სასოწარკვეთილება. იმ საღამოს, როდესაც ურსულა ცდილობდა, ბოდვებისაგან გამოეფხიზლებინა ქალიშვილი, აურელიანო მაგნიფიკო ვისბალსა და ხერინელდო მარკესთან ერთად ეწვია „კატარინოს დუქანს“. ამ სახლისათვის უკვე მიეშენებინათ შუშაბანდი და ფიცრის ტიხარით ერთმანეთისგან გამოყოფილი პატარა ოთახები. ამ ოთახებში მარტოხელა ქალები ცხოვრობდნენ და მათ მიმჭკნარი ყვავილების სუნი ასდიოდათ. აკორდეონსა და დოლებზე დამკვრელები ფრანსისკო-ადამიანის სიმღერებს მღეროდნენ. თავად ფრანსისკო-ადამიანი უკვე კარგა ხანი იყო, აღარ გამოჩენილა მაკონდოში. აურელიანომ და მისმა მეგობრებმა შაქრის ლერწმის ღვინო შეუკვეთეს. მაგნიფიკო და ხერინელდო აურელიანოს ტოლები იყვნენ, მაგრამ ამ ცხოვრებისა მეტი გაეგებოდათ. მუხლებზე ქალები წამოესკუპებინათ და ღვინოს ნება-ნება წრუპავდნენ. ერთი მიმჭკნარი ოქროსკბილებიანი ქალი აურელიანოს მიეფერა, მაგრამ მან ხელი აუკრა. ვაჟი მიხვდა, რაც მეტს სვამდა, მით უფრო ეძალებოდა რემედიოსის მოგონება, თუმცა ეს მოგონება ნასვამს ისე ძალუმად აღარ სტანჯავდა, ადვილად ინელებდა გული. მერე აურელიანო უცებ სადღაც გაქანდა. ზუსტად ვერ იტყოდა, რა წუთში გაქანდა პირველად, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მისი მეგობრებიც და ქალებიც — უფორმო და უწონადო სხეულები — დაქანაობდნენ ბუნდად მოკიაფე მირაჟში. ისინი ლაპარაკობდნენ, მაგრამ სიტყვები მათი ბაგეთაგან არ მოდიოდა, არც მათი იდუმალი მოქმედება ემთხვეოდა მათსავე ქცევას. კატარინომ აურელიანოს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „მალე თერთმეტი საათი გახდება“. აურელიანო მობრუნდა და დაინახა უზარმაზარი გადღაბნილი სახე და ყურთან თმაში გაბნეული ვარდი, მეტი აღარაფერი ახსოვს, თითქოს გულმავიწყობის სენი შეეყარაო კვლავ. ცნობაზე მხოლოდ მეორე დილით მოვიდა, უცხო ოთახში იწვა, — პერანგისამარა. ფეხშიშველი და თმაგაჩეჩილი პილარ ტერნერა ლამპით ხელში დასდგომოდა თავს და თვალს არ უჯერებდა:

— აურელიანო!

აურელიანო ძლივს წამოდგა და თავი ასწია. ვერაფრით ვერ მიხვდა, აქ საიდან გაჩნდა, მოსვლით კი რატომ მოვიდა, ეს ძალიან კარგად ახსოვს, რადგან აქ მოსვლის სურვილს ბავშვობიდანვე მალავდა თავისი გულის უშორეს კუნჭულში.

— თქვენთან უნდა დავწვე, — თქვა მან.

აურელიანოს ტანსაცმელი ტალახსა და საკუთარ ნარწყევში ამოთხვროდა. პილარ ტერნერას — იგი მაშინ თავის ორ პატარა შვილთან ერთად ცხოვრობდა — არაფერი უკითხავს. ვაჟი საწოლთან მიიყვანა, სახე სველი ნაჭრით მოუწმინდა, ტანთ გააძრო, თვითონაც გაშიშვლდა და კოღოების ბადე ჩამოუშვა, შვილებს არ გამოეღვიძოთ და არ დამინახონო. ქალი დაღალა იმ ვაჟის ლოდინმა, ვისაც მშობლიურ სოფელში გაყარეს. მერე კიდევ იმ კაცების ლოდინში გამოეცალა ძალა, რომ ჰპირდებოდნენ, მალე დავბრუნდებითო და აღარ ბრუნდებოდნენ. არადა, განა ერთი და ორი კაცი ამოსდიოდა კარტში, მაგრამ რატომღაც მის სახლისკენ გზას ვერც ერთი ვერ იგნებდა. ამასობაში სახე დაეღარა, მკერდი მოემჩვარა და გულშიც ჩაუქრა ცეცხლი. პილარ ტერნერამ სიბნელეში მოძებნა აურელიანო, მუცელზე ხელი მოუფათურა და დედაშვილური სინაზით აკოცა ყელზე. „ჩემი საბრალო ბიჭი", -- ჩაიჩურჩულა ქალმა. აურელიანოს შეაძაგძაგა. მერე მშვიდად და დაჯერებულად, ფეხაურევლად განშორდა დარდისა და ნაღველის ციცაბო ნაპირს და დაინახა რემედიოსი: იგი გასცქეროდა უკიდეგანო ჭანჭრობს, რომელსაც ნადირისა და ახლად დაუთოებული თეთრეულის სუნი ასდიოდა. მიცურავდა აურელიანო და ტიროდა. პირველად შეკავებული სლუკუნი დასცდა, მერე კი ცრემლის ნიაღვარი წამოვიდა თვალთაგან და იგრძნო, მკერდში როგორ გაუსკდა რაღაც დიდი, გაბერილი და მტკივნეული. პილარ ტერნერას ვაჟის თმაში თითები შეეცურებინა და მოთმინებით ელოდა როდის დააღწევდა იგი თავს გულზე მოწოლილ მაჯლაჯუნას. მერე ქალმა ჰკითხა: „ვინ არის ის გოგო?" აურელიანომ უთხრა. ქალმა ჩაიცინა. მისი სიცილი ერთ დროს მტრედებსაც აფრთხობდა ჰაერში, ახლა ბავშვებსაც კი არ გაღვიძებიათ. „საცოლის გაზრდა მოგიწევს", — გაეხუმრა ვაჟს, მაგრამ ამ ხუმრობის მიღმა აურელიანომ თანაგრძნობაც ამოიკითხა... აურელიანომ აქ, ამ ოთახში ირწმუნა საკუთარი მამაკაცური ღირსება და აქვე მოიხსნა ის მტანჯველი ტვირთიც, აგერ რამდენიმე თვე მხრებზე რომ აწვა. ოთახიდან გასვლისას პილარ ტერნერა მოულოდნელად შეჰპირდა:

— გოგონას მოველაპარაკები და ქალი არ ვიყო, თუ ლანგრით არ მოგართვა...

შეასრულა კიდეც დანაპირები. მაგრამ ამ ამბისთვის ჯერ არვის სცხელოდა ბუენდიების სახლში, სადაც ძველებური სიმშვიდე აღარ სუფევდა. მას შემდეგ, რაც რებეკამ ბოდვაში თავისდა უნებურად გაამხილა თავისი სიყვარულის ამბავი, ამარანტა ხურვებით გახდა ავად. მასაც შეესვა თურმე უიმედო სიყვარულის სამსალა. ჩაიკეტებოდა თავისთვის საბანაო ოთახში, თავისსავე გაუგზავნელ წერილებს აფრქვევდა მხურვალე ცრემლებს და მერე ისევ ზანდუკში ინახავდა საგულდაგულოდ. გულგასიებული ურსულა ორივეს დასტრიალებდა თავს. რა ღონე არ იხმარა, რა ეშმაკობას არ მოუხმო, მაგრამ ვერა და ვერ გაიგო ამარანტას უეცარი ავადმყოფობის მიზეზი. ერთ დღეს კი, თითქოს გონება გაუნათდაო, ამარანტას ზანდუკსაც ახადა თავი და ნახა ვარდისფერი ბაფთით შეკრული, ჯერ კიდევ ცოცხალი ყვავილებით შემკული, ქალიშვილის ცრემლით დანამული გაუგზავნელი წერილები. რისხვით ანთებულმა და ატირებულმა ურსულამ ის დღე დასწყევლა, როცა პიანოლა იყიდა; ქარგვის გაკვეთილები აკრძალა და მთელს სახლში პანაშვიდი გამოაცხადა უმიცვალებულოდ. სამგლოვიარო დღეები მანამდე გასტანდა, ვიდრე ამარანტაც და რებეკაც უარს არ იტყოდნენ თავიანთ სიყვარულზე. ხოსე არკადიო ბუენდია, —

რომელიც პირველ ხანებში სხვა აზრისა გახლდათ პიეტრო კრესპიზე, ახლა კი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მის ხელოვნებასა და ოსტატობაზე, — ბევრს ეცადა ამ ოჯახურ ამბავში ჩარეულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როდესაც პილარ ტერნერამ აურელიანოს ამბავი მოუტანა, რემედიოსი თანაბ-მაა ცოლად გამოგყვესო, ვაჟი მიხვდა, ეს ახალი ამბავი მის მშობლებს თავზარს დასცემდა, მაგრამ რაკი ერთხელ გადაწყვიტა, უკან აღარ დაიხევდა, სასტუ-მრო ოთახში იხმო მშობლები მოსალაპარაკებლად და გულის ნადები გაუმჟ-ღავნა. მშობლებმა მშვიდად მოისმინეს შვილის ნათქვამი, მაგრამ როგორც კი აურელიანომ საპატარძლოს სახელი ახსენა, ხოსე არკადიო ბუენდია ლამის გა-დაირია: „შქუაზე შეიშალე! — დაიქუხა მან. — გაგაგიჟა ნამდვილად ამ სიყვა-რულმა! მიიხედ-მოიხედე, ირგვლივ ამდენი ლამაზი და ღირსეული ქალიშვილია. შენ კი მაინცდამაინც მტრის შვილს დაადგი თვალი?!“ ურსულამ, პირიქით, არ-ჩევანი მოუწონა შვილს, მოსკოტეს შვიდივე ქალიშვილი ლამაზი, მშრომელი, მოკრძალებული და კარგად აღზრდილები არიანო. ცოლის საქებარმა სიტყვებმა ხოსე არკადიო ბუენდიას ფარ-ხმალი დააყრევინა, მაგრამ ერთი პირობით დაე-თანხმა შვილის სურვილს: პიეტრო კრესპის ცოლად გაჰყვება რებეკა, რადგან ორივეს უყვართ ერთმანეთი, ურსულა კი როცა მოიცლის, ამარანტას დედაქა-ლაქში წაიყვანს, იქნებ ქალიშვილმა გული გადააყოლოს ახალ გარემოსა და ხა-ლხსო. რებეკამ ეს რომ გაიგო, მაშინვე გამოკეთდა, საქმროს ბედნიერებით აღსავსე წერილი მისწერა, ჩამოდი, მშობლებმა უნდა დაგვლოცონო, და მოუთ-მენლობით შეპყრობილმა თვითონ წაიღო წერილი ფოსტაში. რაც შეეხება ამარანტას, იგი თითქოს დაემორჩილა მშობლების ნება-სურვილს, ვითომ გამო-კეთდა, მაგრამ გულის სიღრმეში შეჰფიცა, ვიდრე ცოცხალი ვარ, რებეკა ვერ გათხოვდებაო.

შაბათ საღამოს ხოსე არკადიო ბუენდიამ შავი მაუდის კოსტუმი და მეჯ-ლისისთვის გაახლებული ნატის ფეხსაცმელი ჩაიცვა, ცელულოიდის საყელო გაიკეთა და რემედიოს მოსკოტეს ხელის სათხოვნელად გაემართა. კორეხიდო-რმა და მისმა ცოლმა დიდ პატივად მიიღეს მისი მოულოდნელი სტუმრობა, მაგრამ შეშფოთდნენ კიდეც, ნეტავ რამ მოიყვანაო. როდესაც სტუმარმა მოახ-სენა მოსვლის მიზეზი, მასპინძლებმა იფიქრეს, საპატარძლოს სახელი ეშ-ლებაო და თვალსაჩინოებისათვის დედამ გააღვიძა პატარა რემედიოსი და ხე-ლში ატატებული შემოუყვანა სტუმარს. გოგონა ჯერაც ძილბურანში იყო, რო-ცა მშობლებმა ჰკითხეს, მართლა გინდა გათხოვებაო? მან კი უპასუხა, არა-ფერიც არ მინდა, ძილი მაცალეთო. ხოსე არკადიო ბუენდია ცოლ-ქმარ მოს-კოტეებივით დაექვდა, იქნებ მართლა მეშლება რამეო და აურელიანოსთან გაი-ქცა ამბის დასაზუსტებლად. როდესაც დაბრუნდა, მოსკოტეებს უკვე მოესწ-როთ მის საპატივცემულოდ გამოწყობილიყვნენ, ავეჯიც აქა-იქ გადაედგილე-ბინათ, ლარნაკებში ცოცხალი ყვავილები ჩაედგათ და ხოსე არკადიო ბუენდიას ელოდნენ თავიანთ უფროს ქალიშვილებთან ერთად. უჩვეულო შუამავლობითა და უხეში საყელოთი გაწვალებულმა სტუმარმა დაბეჯითებით გაიმეორა, საპა-ტარძლო სწორედ რემედიოსიაო. „სიოცარია პირდაპირ. — შეწუხდა დონ აპო-ლინარ მოსკოტე. — რემედიოსის გარდა ექვსი ქალიშვილი გვყავს და ექვსივე გასათხოვარია. ყოველი მათგანი სიამოვნებით გაჰყვებოდა ცოლად ისეთ ღი-ნჯსა და შრომისმოყვარე კაბალიეროს, როგორიც თქვენი ვაჟია. აურელიტომ კი მაინცდამაინც ის ამოირჩია საცოლედ, რომელიც ჯერ კიდევ იფსამს ლოგი-

ნში“.. კარგად თავშენახულმა, თვალნაღვლიანმა და დარბაისელმა სენიორა მოსკოტემ ქმარს უსაყვედურა, უხამს სიტყვებს რატომ კადრულობო. მერე, როდესაც ხილის წვენი შესვეს, მოსკოტეები გატეხა აურელიანოს სიმტკიცემ და სიჯიუტემ და ჯვრისწერაზე დაეთანხმნენ. ოღონდ ქალბატონმა მოსკოტემ სტუმარს სთხოვა, თუ შეიძლება ურსულას შემახვედრეთ, [illegible] ვუთხრათ. ურსულა ჯერ აბუზღუნდა, მაინცდამაინც მე უნდა გავერიო საქმეშიო, მაგრამ ცნობისწადილმა სძლია და მეორე დღეს აღელვებული და ცოტა შეშინებულიც ეახლა მოსკოტეებს შინ. სულ რაღაც ნახევარ საათში დაბრუნდა იქიდან და თავისიანებს გამოუცხადა, რემედიოსი ჯერ მოუმწიფებელია გათხოვებისთვისო. აურელიანო იმდენხანს ელოდა ამ თანხმობას, რომ ეს ამბავი დიდ დაბრკოლებად არ მოუჩნევია. იგი მზად იყო, კიდევ მოეცადა, ვიდრე საპატარძლო იმ ასაკამდე გაიზრდებოდა, როცა დაორსულებას შეძლებდა.

ის იყო მშვიდობიანი ცხოვრება აღდგა ბუენდიების სახლში, რომ მელკიადესი გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, ადრე თუ გვიან მოკვდებოდა. მაგრამ მაინც უცნაური იყო მისი სიკვდილი, ბოლო ხანებში ისე დაჩაჩანაკდა, ისე ზედმეტი და არასასურველი გახდა, ჩვეულებრივ რომ არიან ხოლმე მიხრწნილი პაპები: ოთახებში მოჩვენებებივით დადიან, ფეხებს დააფლატუნებენ და ხმამაღლა იგონებენ თავიანთი ცხოვრების საუკეთესო წლებს. ეს მოხუცები აღარავის სჭირდება, არც აღარავის ახსოვს იმ დღემდე, სანამ მკვდარს არ წააწყდებიან ლოგინში. პირველ ხანებში დაგეროტიპითა და ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების გაგების სურვილით შეპყრობილი ხოსე არკადიო ბუენდია ეხმარებოდა მელკიადესს, მაგრამ მერე და მერე მიატოვა ბოშა, რადგან ვეღარ ელებოდა მასთან. დაყრუებულ და დაბრმავებულ მელკიადესს დრო და გარემო აერია, ეგონა, ძველისძველ დროში რომ ვიცნობდი, იმ ხალხს ველაპარაკებიო და რაღაც გაუგებარსა და უცნაურს ლუღლუღებდა სხვადასხვა ენაზე. ოთახებში ბორიალისას ხელს წინ ისე გაიშვერდა, თითქოს ჰაერს სინჯავსო, თუმცა, საკვირველიც იყო, ისე სხარტად უვლიდა გვერდს ავეჯს. ერთხელ ხელოვნური კბილების ჩადგმა დაავიწყდა, წყლიან ჭიქაში ჩატოვა და მერე არც უხმარია მეტად. სახლის გადიდება რომ განიზრახა, ურსულამ ბრძანა მელკიადესისთვის ცალკე ოთახი მიეშენებინათ აურელიანოს სახელოსნოს გვერდით, მყუდრო და მოხერხებული. ურსულამ ოთახში თაროები გააკეთებინა და ამ თაროებზე საკუთარი ხელით შემოაწყო მოხუცის მტვრიანი და ჩრჩილდაჭმული წიგნები, უცნაური, ჩახლართული ნიშნებით აჭრელებული ქაღალდები და კბილის პროთეზიანი ჭიქაც, სადაც ფესვი გაედგათ პაწია წყალმცენარეებსა და ყვითელ-ყვითელ ყვავილებს. მელკიადესს, ეტყობა, ახალი ადგილი მოეწონა, სასადილო ოთახშიც აღარ გამოდიოდა. მხოლოდ აურელიანოს სახელოსნოში თუ შეფაჩუნდებოდა, საათობით იჯდა მაგიდასთან და თავისი იდუმალი ნააზრევი გადაჰქონდა მაგარსა და გამომშრალ პერგამენტებზე, რომლებიც ფხვიერი ცომივით ტყდებოდნენ. ჭამითაც სახელოსნოში ჭამდა. ვისიტასიონს მიჰქონდა საჭმელი დღეში ორჯერ, მაგრამ ბოლო ხანებში მადა დაეკარგა, მარტო ბოსტნეულს ჭამდა და სახეც შესაბრალისი და მიმტკნარებული გაუხდა ყველა ვეგეტარიანელივით. მისი ძველისძველი ჟილეტისა არ იყოს — გაუხდელად რომ ეცვა დღენიადაგ — კანზეც თხელი ობი გადაეკრა, სუნთქვისას სიმყრალე ამოსდიოდა პირიდან მძინარე მხეცივით. თავის ლექსებში ჩაძირულ აურელიანოს აღარც ახსოვდა მელკიადესი, მაგრამ ერთხელ

მის ბუტბუტს მოჰკრა ყური და ამ ბუტბუტში თითქოს რაღაცას მიხვდა. აურელიანომ ყური მიუგდო: მოხუცის აბდაუბდა ბუტბუტში, ჩაქუჩის დარტყმასავით გამოარჩია რამდენჯერმე განმეორებული სიტყვა „ბუნიობა", „ბუნიობა", „ბუნიობა" და სახელი — ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტი. არკადიო საიუველირო საქმეში ეხმარებოდა ხოლმე აურელიანოს და მელკიადესს სწორედ იმ ხანებში დაუახლოვდა. ბებერი ბოშა არკადიოსთან საუბარზე უარს არ ამბობდა, ხანდახან ერთ-ორ წინადადებას იტყოდა ესპანურად, მაგრამ ისეთს, დღევანდელობას რომ არაფრით უკავშირდებოდა. ერთ საღამოს ბოშა ერთბაშად აღელდა. გაიულის რამდენიმე წელიწადი და კედელთან დასახვრეტად მდგომი არკადიო გაიხსენებს, მთლად აცახცახებულმა მელკიადესმა რა ხმამაღლა და წამღერებით წაუკითხა თავისი უცნაური ნაწერები. არკადიო, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მოჩვენებით კი მოეჩვენა, თითქოს ენციკლიკები¹ გადაეტანათ მუსიკაზე. კითხვა რომ დაამთავრა, მელკიადესმა მთელი იმ ხნის მანძილზე პირველად გაიღიმა და ესპანურად წარმოთქვა: „როცა მოვკვდები, ჩემს ოთახში სამი დღე გამოწვით ვერცხლისწყალი". არკადიომ ეს სიტყვები ხოსე არკადიო ბუენდიას გადასცა, მერე, იქნებ კიდევ დავაცდენინო რამეო, რაღაც-რაღაცები ჩაჰკითხა, მაგრამ მელკიადესმა მოკლედ უპასუხა: „უკვდავებას მივაღწიე". როდესაც მოხუც ბოშას სუნთქვა აუმყრალდა, არკადიომ გადაწყვიტა ყოველ ხუთშაბათს დილაობით მდინარეზე წაეყვანა საბანაოდ. მელკიადესი ტანთ იხდიდა და პატარა ბიჭებთან ერთად შედიოდა წყალში. რაღაც იდუმალი გრძნობა ჰკარნახობდა, გვერდი აევლო ღრმა და სახიფათო ადგილებისათვის. „ყველანი წყლიდან წარმოვიშვით", თქვა მან ერთხელ. გადიოდა დრო. მოხუცი ბოშა თითქოს აღარც არსებობდა სახლში, მხოლოდ იმ ღამეს ნახეს, მთელი მონდომებით რომ ცდილობდა პიანოლის აწყობას და ახლა ხუთშაბათობით ხედავდნენ არკადიოსთან ერთად მდინარისკენ მიმავალსა და იღლიაში პირსახოცამოჩრილს. პირსახოცში გამხმარი კვახი და პალმის საპონი გამოეხვია. ვიდრე არკადიო გამოუხმობდა მელკიადესს საბანაოდ, აურელიანომ მის ბუტბუტს მოჰკრა ყური: „ციებამ მომკლა სინგაპურის ჭაობებში". ამჯერად წყალში შესვლისას მოხუცმა ბოშამ სახიფათო გზა აირჩია და იგი მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს კარგა შორს, ნაპირზე გამორიყული. იწვა ქვიშაზე და მუცელზე ქათმის ყორე მიჰკვროდა. ურსულამ მშობელ მამასავით დაიტირა მოხუცი ბოშა და თუმცა ქმარს განრისხებული აღუდგა წინ, ხოსე არკადიო ბუენდიამ მაინც თავისას გაიტანა: მელკიადესს არ დავასაფლავებთო. „მელკიადესი უკვდავია და თავად მან ამოხსნა მკვდრეთით აღდგომის ფორმულა", — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ, მიტოვებული ქურა გააჩაღა, ზედ ვერცხლისწყლით სავსე ქვაბი შემოდგა, მიცვალებული ქურასთან ახლოს დაასვენა და ვერცხლის წყალი მანამ წვა, ვიდრე გვამი ლურჯი ბუშტულებით არ დაიფარა. დონ აპოლინარ მოსკოტემ ხოსე არკადიო ბუენდიას შეჰბედა, წყალში დამხრჩვალი დაუსაფლავებელი მიცვალებული ცოცხლებს დაასნეულებსო. „აბა რას ამბობთ, ის ცოცხალია!" — ხოსე არკადიო ბუენდია ზუსტად სამოცდათორმეტ საათს წვავდა ვერცხლის წყალს. ამასობაში გვამი სტვენაშეზვილით სკდებოდა და იქაურობას შემზარავად ედებოდა გახრწნილი ხორცის სუნი. მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ხოსე არკადიო ბუენდიამ მიწისათვის მიება-

¹ პაპის ეპისტოლეები.

რებინა მიცვალებული და მიებარებინა არა უბრალოდ, არამედ დიდი პატივით. როგორც შეჰფეროდა მაკონდოს ერთ-ერთ კეთილისმყოფელ კაცს. ეს იყო პირველი და ყველაზე ხალხმრავალი დაკრძალვა მაკონდოში. ასი წლის შემდეგ ამ დაკრძალვას სულ ცოტათი გადააჭარბებს სამგლოვიარო კარნავალი, რითაც პატივი მიაგეს დედა გრანდეს[1] ხსოვნას. სასაფლაოსათვის დიდი მინდორი გამოყვეს. შუა მინდორში საფლავი გაჭრეს და შიგ ჩაუშვეს სამარეში. ქვაზე მხოლოდ ის წააწერეს, რაც იცოდნენ მაკონდოელებმა ამ კაცზე: „მელკიადესი". მერე, წესისამებრ, ცხრა ღამე უთენეს მიცვალებულს, ბუენდიების ეზო სავსე იყო მილეთის ხალხით, ყავას სვამდნენ, ანეკდოტებს ყვებოდნენ და ბანქოს თამაშობდნენ. ამ არეულობაში ამარანტამ დრო იხელთა და სიყვარულში გამოუტყდა პიეტრო კრესპის, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ რებეკა თავის დანიშნულად გამოაცხადა და ახლა მუსიკალური საკრავებისა და მოსამართი სათამაშოების მაღაზიის გახსნას აპირებდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც არაბები თუთიყუშებში ცვლიდნენ პატარ-პატარა ნივთებს. ამჟამად ამ ქუჩას ხალხმა თურქების ქუჩა დაარქვა. იტალიელმა ვაჟმა, ვისი მშვენიერი და მბზინავი კულულების დანახვაზეც ქალებს ელეთმელეთი მოსდიოდათ, ამარანტას ისე მიმართა, თითქოს ერთი პატარა, განებივრებული გოგონა ყოფილიყოს და მეტი არაფერი.

— უმცროსი ძმა მყავს, სადაცაა ჩამოვა, მაღაზიაში ხელი რომ წამაშველოს.

შეურაცხყოფილმა და დამცირებულმა ამარანტამ გესლიანად უპასუხა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ქორწილს მაინც ჩაგიშლითო. მუქარით გაკვირვებულმა იტალიელმა ვერ მოითმინა და რებეკას უამბო ყველაფერი. ამის გამო იყო თუ რა, ამარანტა მალე გასამგზავრებლად მოამზადეს, აქამდე ურსულას მოუცლელობის გამო არ დაადგა საშველი მის გამგზავრებას! ქალიშვილი ამ გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დაემორჩილა, მაგრამ დამშვიდობებისას რებეკას მაინც წასჩურჩულა ყურში:

— ტყუილად გგონია, თავიდან მიშორებ. ქვეყნის დასასრულამდე რომ მატარონ, სულ ერთია არ გაგახარებ, თუ დამჭირდა, მოგკლავ კიდეც.

ურსულას არყოფნისა და უხილავი მელკიადესის გამო, რომელიც თითქოს კვლავ დაბორიალობდა ოთახებში, სახლი უზარმაზარი და გამოცარიელებული ეგონებოდა კაცს. რებეკას ოჯახის უფროსობა დაევალა, ინდიელ ქალს — სამზარეულო... ცხობში ტრიალი. საღამოობით სუმბულის სურნელით გაჟღენთილი პიეტრო კრესპი რომ გამოჩნდებოდა ხოლმე უსათუოდ საჩუქრით ხელში — უმეტესად მოსამართი სათამაშოები მოჰქონდა — საცოლე დიდ სასტუმრო ოთახში ხვდებოდა მას, თანაც კარ-ფანჯრებს ფართოდ მოაღებდა, მეზობლებს საჭორაო საბაბი არ მივცეო. მაგრამ ასეთი სიფრთხილე სულაც არ იყო საჭირო — იტალიელ ვაჟს მეტისმეტად ღირსეულად ეჭირა თავი, ხელზეც კი არ ეხებოდა იმ ქალიშვილს, თითქმის რაღაც ერთ წელიწადში მისი ცოლი რომ უნდა გამხდარიყო. სახლი ნელ-ნელა აივსო მშვენიერი მოსამართი სათამაშოებით. რაღას არ ნახავდით აქ: მოცეკვავე ქალებს, მუსიკალურ ზარდახშებს, აკრობატ მაიმუნებს, მედოლე ჯამბაზებს, მოხტუნავე ცხენებს. პიეტრო კრესპის ბოლ-

[1] დედა გრანდე — გ. გ. მარკესის მოთხრობების კრებულის „დედა გრანდეს დაკრძალვა" [illegible] მოქმედებაც აგრეთვე მაკონდოში ხდება.

ბულმა ამ უძრავმა დასაქოქმა სათამაშომ ხოსე არკადიო ბუენდიას მელკიადესის სიკვდილზე დარდი მთლად გაუნელა და კვლავ იმ დროს დაუბრუნდა, ალქიმიის მეტი რომ არაფერი ახსოვდა. იგი დასახლდა გამოშიგნული ცხოველებისა და ნაწილ-ნაწილ დაშლილი მექანიზმების სამოთხეში, მიზნად დაისახა, იმგვარად გაეუმჯობესებინა ეს სათამაშოები, რომ ქანქარის პრინციპზე [illegible]-დამ ემოძრავათ. რაც შეეხება აურელიანოს, მან მიატოვა თავისი სახელოსნო და ხელი მიჰყო პატარა რემედიოსისთვის წერა-კითხვის სწავლებას. პირველ ხანებში გოგონას თავისი თოჯინები ერჩივნა იმ უცხო კაცთან ყოფნას, ვინც ყოველ საღამოს მოდიოდა მათთან სტუმრად და ვისი გულისთვისაც თამაშს თავს ანებებინებდნენ — ბანდნენ, რთავდნენ და ისე გამოჰყავდათ სასტუმრო ოთახში, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აურელიანოს მოთმინებამ და ერთგულებამ ისე დაიმორჩილა, რომ აღარ შორდებოდა, თითქმის მთელი დღე მის გვერდით იჯდა, სწავლობდა წერა-კითხვას და ფერადი ფანქრებით ხატავდა სახლებს, ძროხებს და მთის წვერზე დასკუპებულ სხივყვითელ მზეს.

მხოლოდ რებეკა იყო უბედური, ვერა და ვერ დაევიწყებინა დის მუქარა. კარგად იცოდა ამარანტას ხასიათი, მისი სიამაყე და ეშინოდა ბოროტი შურისძიებისა. რებეკა საათობით იჯდა საბანაოში, წოვდა თითს და სასოწარკვეთილი ებრძოდა თავს, კვლავ არ გაეხსენებინა ძველი ჩვეულება — მიწის ჭამა. თავი რომ დაემშვიდებინა, პილარ ტერნერა მოიხმო, იქნებ მიმკითხავოსო. პილარ ტერნერამ ჯერ რაღაც იბუტბუტა, იბუტბუტა და მერე თქვა:

— ბედნიერებას ვერ ეღირსები, ვიდრე მშობლებს არ დამარხავ.

რებეკას მთელს ტანში ცახცახმა დაურბინა: თითქოს შორეული სიზმარი გაიხსენაო, თვალწინ დაუდგა პატარა გოგო, რომელიც ბუენდიების სახლის კარს მიადგა ზანდუკით, სარწეველა სავარძლითა და რაღაც ტომრით ხელში — ამ ტომარაში კი რა იდო, ვერასოდეს გაიგებს იგი. გაიხსენა ტილოს კოსტიუმში გამოწყობილი, საყელოზე ოქროს საკინძდამაგრებული მელოტი კაცი, ვინც სულაც არ ჰგავდა კარტში ამოსულ გულის პაპას. გაიხსენა ლამაზი ყმაწვილი ქალი, ვისაც ისეთი თბილი და სურნელოვანი თითები ჰქონდა, რომ სულაც არ ჰგავდა გულის ქალის რევმატიულ-დაღვლარჭნილ თითებს. ის ქალი გოგონას თმაში ყვავილებს უბნევდა და საღამოობით ქალაქის ჩამწვანებულ ქუჩებში გაჰყავდა.

— ვერაფერი გავიგე, — თქვა რებეკამ.

— ვერც მე გავიგე, მაგრამ კარტში ეს ამოდის.

შეშფოთებულმა რებეკამ მაშინვე ყველაფერი უამბო ხოსე არკადიო ბუენდიას. მან დატუქსა ქალიშვილი, კარტის როგორ გჯერაო, მაგრამ თვითონაც გვარიანად აწრიალდა, მალულად გადაქექა ზანდუკები, კარადები, იატაკიც კი აჰყარა ძვლებიანი ტომრის ძებნაში. კარგად ახსოვდა, სახლის გადაკეთების მერე არ მოუკრავს თვალი ტომრისთვის. მალულად დაჰკითხა კალატოზები და ბოლოს ერთმა აღიარა: მუშაობისას ყველგან ფეხებში გვებლანდებოდა, თანაც თავისი რაკარუკით გულს გვიწვრილებდა, მეც ავდექი და საძინებელი ოთახის კედელში ჩავატანეო. ხოსე არკადიო ბუენდიამ რამდენიმე დღე კედელზე ყურმიდებულმა გაატარა საძინებელ ოთახში და როგორც იქნა, ერთ დღეს მოისმა სასურველი რაკარუკი. მაშინვე გამოანგრიეს კედელი და ძვლებიანი ტომარაც გამოათრიეს. იმავე დღეს ჩაფლეს მიწაში მელკიადესის საფლავიდან მოშორებით, ოღონდ საფლავზე არაფერი წაუწერიათ. პრუდენსიო აგილარის

აჩრდილისა არ იყოს, ხოსე არკადიო ბუენდიას მხრებს უმძიმებდა. სინდისს ქენჯნიდა ეს ტომარა, ახლა კი ამ ტვირთისგან განთავისუფლებული დაბრუნდა შინ, სამზარეულოში შევიდა და რებეკას შუბლზე აკოცა.

— თავიდან ამოიგდე ეგ უამური ფიქრები, — უთხრა ქალიშვილს, — ბედნიერი იქნები.

რებეკასთან დამეგობრებამ პილარ ტერნერას ფართოდ გაუღო ბუენდიების სახლის კარი, რომელიც ურსულამ არკადიოს დაბადებისთანავე მიუხურა. ახლა უკვე — თხის არყესავით — როცა მოესურვებოდა, მაშინ მიადგებოდა ხოლმე ქალი ბუენდიების სახლს და გახელებული ძალა რაღაცაში რომ დაეხარჯა, ყველაზე მძიმე საოჯახო საქმეს ეჭიდებოდა. ზოგჯერ სახელოსნოშიც შეიხედავდა და არკადიოს ისეთი მონდომებით და სინაზით ეხმარებოდა დაგეროტიპიის ფირფიტების დამუშავებაში, რომ ჭაბუკს გონი ერეოდა და ამ ქალის ყოველ მიახლოვებაზე თავბრუ ესხმოდა. მისი მხურვალე კანი, — კვამლის სუნი რომ ასდიოდა, — და ხმამაღალი სიცილი, — ცოტა უხეშხულად რომ ისმოდა ამ ბნელ ოთახში, — ჭაბუკს თავგზას ურევდა და შეცდომას შეცდომაზე უმატებდა.

ერთ დღეს აურელიანო ჩვეულებისამებრ თავის თევზებს დასტრიალებდა თავს, რომ სახელოსნოში პილარ ტერნერა შევიდა, მის მაგიდას დაეყრდნო და აღტაცებული შეაცქერდა ვაჟის აუჩქარებელსა და დინჯ საქმიანობას. აურელიანო დარწმუნდა, არკადიო სხვა ოთახშიაო და მხოლოდ მაშინ ჩახედა პილარ ტერნერას თვალებში, სადაც ისე ნათლად იკითხებოდა ქალის აზრები, თითქოს შუადღის მზემ გამოანათაო.

— აბა თქვი, რისი თქმაც გსურს!

პილარ ტერნერას ნაღვლიანმა ღიმილმა დაუსერა პირი:

— ომისთვისა ხარ გაჩენილი, — უპასუხა მან. — რასაც დაუმიზნებ, კიდეც მოახვედრებ.

აურელიანომ შვებით ამოისუნთქა, ეს აზრი სწორად ამომიკითხავს ქალის თვალებშიო, თითქოს არაფერი მომხდარაო, მაგიდაზე დაიხარა და მშვიდად და შეუვალად წარმოთქვა:

— მე მას მივიღებ, გვარს მივცემ.

ხოსე არკადიო ბუენდიამ, როგორც იქნა, მიაღწია საწადელს: საათის ზამბარა ერთ „მოცეკვავე ქალს“ მიუერთა და სათამაშოც მთელი სამი დღე ცეკვავდა თავისსავე მუსიკაზე. ამ გამოგონებამ მთლად მოუთავა ხელი კაცს, აღარც ჭამა უნდოდა, აღარც სმა და აღარც ძილი. ცოლის ზრუნვასა და თვალთვალს მოკლებული ხოსე არკადიო ბუენდია თავით ფეხამდე ჩაფლულიყო თავის განუკურნებელ იმედიანურ წარმოსახვათა მორევში. დილიდან დაღამებამდე მიდი-მოდიოდა ოთახში, ხმამაღლა ებაასებოდა საკუთარ თავს, ხმამაღლა მსჯელობდა და ანგარიშობდა, როგორ დაენერგა ქანქარის პრინციპი ეტლში, გუთანში, ყველაფერში, რაც მოძრაობს, როგორ გამოეყენებინა ეს ყოველივე ხალხის საკეთილდღეოდ. უძილობამ ისე დააძაბუნა საწყალი კაცი, რომ ერთ დილაუთენიას, როცა მის საძინებელ ოთახში ვიღაც თმადათოვლილი მოხუცი კაცი შევიდა, ხოსე არკადიო ბუენდიამ ვერ იცნო იგი. ეს მოხუცი პრუდენსიო აგილარი გახლდათ. ბოლოს, როცა მიხვდა, ვინც ესტუმრა, განცვიფრდა, თურმე მიცვალებულებიც ბერდებიანო და ღრმა ნაღველმა მოიცვა მთელი მისი არსება. „პრუდენსიო! — შესძახა მან. — ასე შორს რამ წამოგიყვანა?!“ პრუდენსიო აგი-

ლარს მიცვალებულთა საუფლოში ხანგრძლივმა ყოფნამ ისე გაუძლიერა ცოცხლებზე დარდი, ისე მონატრა, ვიღაც ჰყოლოდა გვერდით, ისე აწამა თვით სიკვდილში არსებულმა კიდევ ამ ერთმა სიკვდილმა, რომ ბოლოს და ბოლოს შეიყვარა კიდეც თავისი უბოროტესი მტერი. დიდი ხანი ეძებდა თურმე. ვისაც არ ეკითხებოდა მის ამბავს, რიოაჩიდან, ვალიე დე უპარიდან, [illegible] მოსულ მიცვალებულებს, მაგრამ ამაოდ — მაკონდოს არსებობის [illegible] არავინ იცოდა, ვიდრე მელკიადესი არ ესტუმრა იქაურობას და შავი წერტილით არ აღნიშნა იგი სიკვდილის გადაჭრელებულ რუკაზე. ალიონის დადგომამდე არ გამოლევიათ სალაპარაკო ხოსე არკადიო ბუენდიასა და პრუდენსიო აგილარს. კარგად რომ ინათა, უძინარი და ღონემიხდილი ხოსე არკადიო ბუენდია აურელიანოსთან შევიდა სახელოსნოში: „დღეს რა დღეა?" ამშაბათიაო, უპასუხა შვილმა. „მეც ასე მეგონა, — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — მაგრამ ახლა მივხვდი, გუშინდელი ორშაბათი გრძელდება დღესაც. აბა, კარგად შეხედე ცას, კედლებს, ბეგონიებს, დღეს ისევ ორშაბათია". აურელიანომ იცოდა მამის უცნაური ხასიათი და ახლაც დიდად არ დაუტანებია აზრი მისი სიტყვებისათვის. ოთხშაბათ დღეს ხოსე არკადიო ბუენდია კვლავ გამოჩნდა სახელოსნოში. „რა უბედურებაა, — თქვა მან, — ჰაერს დააკვირდი, ყური მიუგდე, მზე როგორ წკრიალებს, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც გუშინ და გუშინწინ იყო. დღესაც ორშაბათია". საღამოს პიეტრო კრესპი გადაეყარა ხოსე არკადიო ბუენდიას: იგი დერეფანში იჯდა და ცრემლად იღვრებოდა, ულაზათოდ, ბებრულად ფშლუკუნებდა, დასტიროდა ყველას, ვინც ახლა სიკვდილის მარტოობაში ეგულებოდა — პრუდენსიო აგილარს, მელკიადესს, რებეკას მშობლებს და საკუთარ დედ-მამასაც. პიეტრო კრესპიმ მოსამართი დათვი აჩუქა — ორ თათზე ატოტებული ნადირი მავთულზე გადიოდა, — მაგრამ ვერა და ვერ დაამშვიდა მიცვალებულებზე ფიქრაკვიატებული კაცი. ბოლოს ჰკითხა, ამას წინათ ადამიანის ცაში გასაფრენ მანქანა-ქანქარაზე რომ მელაპარაკებოდით, რა ჰქენითო. ხოსე არკადიო ბუენდიამ უპასუხა, ასეთ მანქანას ვერ შევქმნით, რადგან მართალია, ქანქარა ყველა ნივთს აიტანს ჰაერში, მაგრამ საკუთარ თავს ვერასოდესო. ოთხშაბათ დღეს ხოსე არკადიო ბუენდია კვლავ მიადგა სახელოსნოს, სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდოდა. „დროის მანქანა გაფუჭდა, — ლამის ქვითინებდა იგი, — ურსულა და ამარანტა კი ისე შორს არიან". აურელიანომ ბავშვივით დატუქსა მამა და ისიც ჩაჩუმდა, მთელი ექვსი საათი ყურადღებით აკვირდებოდა ყველა ნივთსა და საგანს, გუშინდელს ხომ არ შეცვლილანო და ჯიუტად ეძებდა განსხვავების ნიშნებს — ჟამთა სვლის მტკიცების ნიშნებს. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, პრუდენსიო აგილარს, მელკიადესსა და ყველა მიცვალებულს უხმობდა, თავისი შფოთი და ნაღველი სურდა გაეზიარებინა მათთვის, მაგრამ არავინ გამოხმაურებია მის ძახილს. პარასკევი დღე თენდებოდა, სახლში ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ხოსე არკადიო ბუენდია კი კვლავ აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს, ბოლოს ოლტისოდენა ეჭვიც აღარ დარჩენია, რომ დღეს ისევ ორშაბათი იყო. მაშინ კარს რკინის ურდული ჩამოგლიჯა, მკლავში წინანდებური ძალა ჩაუდგა და გაავთრებულმა მტვრად აქცია ალქიმიური ხელსაწყოები, დაგეროტიპიის ლაბორატორია და საოქრომჭედლო სახელოსნოც. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქნევდა რკინას და თან გაცოფებული გაჰყვიროდა რაღაცას სრულიად გაუგებარ ენაზე. ალბათ მთელ სახლს მილეწ-მოლეწავდა, აურელიანოს დროზე რომ არ ეხმო

მეზობლები საშველად. ათმა კაცმა ძლივს წააქცია გავეშებული ხოსე არკადიო ბუენდია, თოთხმეტმა კაცმა ასევე ძლივს შეკოჭა, ხოლო ოცმა კაცმა ძლივს მიათრია დიდ წაბლის ხესთან და თოკით მიაბეს ზედ. ხოსე არკადიო ბუენდია უცნაურსა და გაუგებარ ენაზე იგინებოდა და პირიდან მწვანე დუჟი გადმოსდიოდა. მაკონდოში დაბრუნებულ ურსულასა და ამარანტას იგი კვლავ გაკოჭილი დახვდათ, საცოდავად გალუმპულიყო წვიმაში, მაგრამ სამაგიეროდ მიწყნარებული და მშვიდი ჩანდა. ურსულამ ქმარს თოკი შემოხსნა დასისხლიანებულ ხელ-ფეხზე, მხოლოდ წელზე დაუტოვა, მერე პალმის ტოტებით გადაახურვინა მისი სამყოფელი, რათა მზესა და წვიმას არაფერი ევნო წაბლის ხეზე თოკით მიბმული კაცისთვის.

აურელიანო ბუენდიამ და რემედიოს მოსკოტემ მარტში, ერთ კვირა დღეს დაიწერეს ჯვარი საკურთხევლის წინ, რომელიც მღვდელმა ნიკანორ რეინამ აღმართა სასტუმრო ოთახში. მოსკოტების ოჯახში ბოლო მოეღო მთელი თვის ღელვასა და შფოთს; პატარა რემედიოსი სიმწიფის ხანაში ისე შევიდა, ჯერაც ვერ მოეცილებინა თავისი ბავშვური ჩვევები. დედამ წინასწარ რამდენჯერმე დაარიგა გოგონა, ქალიშვილობაში შესვლისას ასე და ასე მოგივაო, მაგრამ ამდენი რჩევისა და გაფრთხილების მიუხედავად იგი თებერვლის ერთ საღამოს შეშინებული ყვირილით შეიჭრა სასტუმრო ოთახში და ქარგვაში გართულ დებს უჩვენა მუქად დათხვრილი ქვედა საცვალი. დანიშნეს ქორწილის დღე. საპატარძლოს ის იყო აჩვევდნენ თავისით ხელ-პირის დაბანვასა და ჩაცმას, ასწავლიდნენ ყველაზე იოლ საოჯახო საქმეებს. საწოლში ჩასველებას რომ გადაეჩვიათ, ცხელ აგურებზე აშარდვინებდნენ. ბევრი უჩიჩინეს ცოლქმრულ ურთიერთობაზე, გამოწვლილვით აუწერეს პირველი ღამის ამბები, ისიც უთხრეს, ამაზე ლაპარაკი საჯაროდ არ შეიძლებაო, მაგრამ გოგონას ისე მოეწონა უფროსების ნაამბობი, რომ ლამის ყველასათვის გაეზიარებინა თავისი აზრი. ერთი სიტყვით, პატარა რემედიოსმა ძალიან გააწვალა ყველანი, მაგრამ სამაგიეროდ ქორწილის დღისათვის თავის დებზე ნაკლებად როდი ერკვეოდა ცხოვრებისეულ საკითხებში. დონ აპოლინარ მოსკოტემ საპატარძლოს ხელი ჩაჰკიდა და ყვავილებითა და გირლანდებით მორთულ ქუჩაში გაიყვანა. უკრავდა მუსიკა და წითელ-ყვითლად ითებოდნენ შუშხუნები. რემედიოსი ხელის ქნევითა და ღიმილით უხდიდა მადლობას ფანჯრებში გადმომდგარ მეზობლებს, რომლებიც გაბედნიერებას ულოცავდნენ. შავი მაუდის კოსტიუმსა და ლითონის ბალთებიან პრიალა ფეხსაცმელში გამოწყობილი აურელიანო — სწორედ ეს ფეხსაცმელი ეცმევა დასახვრეტად კედელთან მდგომსაც — თავის სახლის კართან შეეგება საცოლეს. ფერგამკრთალ ვაჟს ყელში ბურთივით მოსწოლოდა რაღაც. რემედიოსი კი პირიქით მშვიდად და მოკრძალებულად გამოიყურებოდა. პატარა საპატარძლოს არც მაშინ უღალატა სიმშვიდემ და თავდაჭერილობამ, როცა საქმროს ხელიდან გაუვარდა საქორწილო ბეჭედი. ყველანი აჩოჩქოლდნენ, აჩურჩულდნენ, რემედიოსი კი ხელგაწვდილი მშვიდად ელოდა, თითზე როდის ჩამოაცმევდა საქმრო ბეჭედს. დედასა და დებს ისე ეშინოდათ, რემედიოსს არაფერი შეშლოდა, რომ ამ შიშით გატანჯულებმა თვითონ დაუშვეს შეცდომა: ქალიშვილს უკარნახეს, პირველმა შენ აკოცე საქმროსო. სწორედ ამ დღიდან ჩაესახა რემედიოსს მოვალეობის გრძნობა, უფრო თავდაჭერილი და თავაზიანი გახდა და ამ შეძენილ თვისებებს იგი ყველაზე მძიმე წუთებშიც არ უღა-

ლატებს. იმ დღეს თვითონ მოიფიქრა და საქორწილო ღვეზელის ყველაზე საუკეთესო ნაჭერი ხოსე არკადიო ბუენდიას მიართვა ჩანგალთან და თეფშთან ერთად. პალმის ტოტებქვეშ მიყუჩულმა, წაბლის ხეზე მიბმულმა და წვიმასა და მზეში ფერგაცლილმა ბებერმა გოლიათმა ქალიშვილს მადლიერად გაუღიმა, ღვეზელი პირში მოიგდო და გაუგებარ ლოცვას მოჰყვა. ქორწილი ორშაბათამდე გაგრძელდა. ამ ქორწილზე ერთადერთი უბედური ადამიანი რებეკა ბუენდია იყო. მის გაბედნიერებას ფრთას შეუკვეცავს: ურსულას გადაწყვეტილებით, რებეკასაც ამ დღეს უნდა დაეწერა ჯვარი, მაგრამ პიეტრო კრესპიმ მოულოდნელად წერილი მიიღო, დედაშენი სიკვდილის პირზეა და მოუსწარიო. მათი ქორწილი გადადეს. წერილის მიღებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ პიეტრო კრესპი უკვე პროვინციის ქალაქისკენ მიეშურებოდა. გზაში იგი ასცდა დედამისს, რომელიც მაკონდოში ჩავიდა დროულად, შაბათ საღამოს და შვილის ქორწილისთვის საგანგებოდ შესწავლილი სევდიანი რომანსი სამაგიეროდ აურელიანოს ქორწილზე იმღერა. პიეტრო კრესპი კვირა ღამით გამოემგზავრა მაკონდოსაკენ. გზაში ხუთი ცხენი გამოიცვალა, იქნებ საკუთარ ქორწილს ბოლოში მაინც მივუსწროო. ამგვარად, ვერავინ გაიგო, ვინ შეთხზა ეს ავბედითი წერილი. ურსულამ დაკითხვებით გატანჯა ამარანტა. ატირებული ქალიშვილი ჯერ კიდევ დაურღვეველი საკურთხევლის წინ დაემხო და დაიფიცა, დამნაშავე არ ვარო.

ჯვრისწერისათვის დონ აპოლინარ მოსკოტემ მეზობელი ქალაქიდან ჩამოიყვანა მღვდელი ნიკანორ რეინი — თავისი ხელობის უმადური მოხუცი კაცი. მას ავადმყოფური, ძვალტყავა სახე და საკმაოდ გამობზეკილი მრგვალი მუცელი ჰქონდა, დაჩაჩანაკებული ანგელოზის თვალებში სიკეთეზე მეტად გულგრილობა ჩაჰბუდებოდა. ქორწილის შემდეგ მღვდელი სასწრაფოდ თავის მრევლს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მაკონდოელთა უდარდელი, აყვავებული და ცოდვილი ცხოვრება რომ მოიხილა, ძალზე განრისხდა: „აქ მხოლოდ ბუნების კანონებს ემორჩილებიან, ბავშვებს არ ნათლავენ და საეკლესიო დღესასწაულებს ყურად აგდებენ; ამ ნიადაგს კარგი მხვნელი სჭირდება", — თქვა მან და გადაწყვიტა, კიდევ ერთი კვირა დარჩენილიყო მაკონდოში, რათა მოენათლა წინადაუცვეთელნი და წარმართნი, კანონიერი გაეხადა უკანონო ცოლქმრობა და ეზიარებინა მომაკვდავნი, მაგრამ ვინ დაუგდო ყური მის ქადაგებას! ამდენ ხანს უმღვდლოდ ვცხოვრობდით. ღმერთთან თუ რამე გვქონდა მოსაგვარებელი, თვითონ ვაგვარებდით სხვის ჩაურევლად, თანაც უცოდველები ვართო, ამბობდნენ მაკონდოელები. უდაბნოსა შინა ამაო ღაღადისით ქანცგაცლილმა მღვდელმა ნიკანორმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, აეგო წმინდანთა კაცისოდენა ქანდაკებებითა და ფერადი ვიტრაჟებით მორთულ-მოკაზმული მსოფლიოში ყველაზე დიდი ტაძარი, რათა ღმერთის თაყვანსაცემად თვით რომიდანაც კი ჩამოსულიყვნენ აქ, ამ ულმერთოთა მხარეში. ხელში დაიჭირა რკინის თეფში და შესაწირის თხოვნა-თხოვნაში ქალაქის ქუჩებს დაუყვა აღმა-დაღმა. თუმცა მაკონდოელები არ ძუნწობდნენ და უხვად სწირავდნენ, მღვდელს მაინც კიდევ მეტი თანხის თავმოყრა სურდა, რამეთუ ტაძარს ისეთი ზარი უნდა გავუკეთოთო, ამბობდა, წყალში დამხრჩვალნიც კი ამოხტნენ ნაპირზეო. თხოვნა-ვედრებისაგან ხმა წაერთვა, ხოლო ძვლებს გუგუნი გაჰქონდათ დაღლილობისაგან. ერთ შაბათ საღამოს დაჯდა და სიმწრით შეგროვილი ფული გადათვალა: გადათვალა და ისე წარეკვეთა სასო, სხვა გზა აღარ ჰქონდა, გიჟური

რაღაც მოიფიქრა: ქალაქის მოედანზე აღმართა საკურთხეველი და კვირა დღეს ზარით ხელში — ეპიდემიის დროს რომ დადიოდნენ ქუჩებში — შემოიარა მთელი მაკონდო, წირვაზე გიხმობთო. თითქმის ნახევარმა ქალაქმა მოიყარა თავი მოედანზე — ვინ ცნობისწადილმა მოიყვანა, ვინ უსაქმობამ, ვინ კიდევ შიშმა, ვაითუ უფალმა პირად შეურაცხყოფად მიიღოს მისი შუამავლის ეგრე რიგი უპატივცემულობაო. ერთი სიტყვით, უკვე დილის რვა საათზე მოედანზე თავმოყრილ ხალხს მღვდელი ნიკანორი სახარებას უკითხავდა მესაწირის თხოვნის დროს დაკარგული ხმით. წირვის ბოლოს, ის იყო ხალხმა დაშლა დაიწყო, რომ მღვდელმა ხელი აღმართა:

— ერთი წუთით შეიცადეთ. ახლავე დაგარწმუნებთ, რაოდენ უსაზღვროა ძალი ჩვენისა უფლისა.

მღვდელ ნიკანორს წირვისას პატარა ბიჭი ეხმარებოდა. ამ ბიჭმა მოხუცს ცხელი შოკოლადით სავსე ფინჯანი მოუტანა, იმანაც აიღო და სულმოუთქმელად გადაჰკრა მდუღარე სასმელი. მერე ანაფორის სახელოდან ცხვირსახოცი გამოაფრიალა, პირი მოიწმინდა, ორივე ხელი წინ გაიწვდინა და თვალები დახუჭა... და უცბად ნიკანორი თორმეტი სანტიმეტრით ასცილდა მიწას. მეტისმეტად დამაჯერებელი იყო, წყალი არ გაუვიდოდა ამ საბუთს. რამდენიმე დღეს მღვდელი ნიკანორი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ცხელ შოკოლადს სვამდა და უკვე მერამდენედ იმეორებდა თავის ოინს. ბოლოს და ბოლოს ბიჭმა იმდენი ფული დააგროვა, რომ ტაძრის მშენებლობა სულ რაღაც ერთ თვეში დაიწყეს. უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ნიკანორი თავად უფლისგან სულშთაბერილი საოცრება იყო. მხოლოდ ხოსე არკადიო ბუენდიას არ სჯეროდა მისი. ერთ დილით ხალხმა წაბლის ხესთან მოიყარა თავი, რათა კვლავ ეხილათ მღვდლის ამაღლება. ყველანი გაოცებულნი შესცქეროდნენ მღვდელს. ხოსე არკადიო ბუენდია კი იჯდა თავისთვის მშვიდად და მხოლოდ მაშინ შეირხა ოდნავ და აიჩეჩა მხრები, როცა თავის სკამიანად ამაღლებული მღვდელი ნიკანორი დაინახა.

— Hoc est simplicissimum, — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — homo iste statum quatrum materiae inventit[1].

ამის გაგონებაზე მღვდელმა ნიკანორმა ხელი აღმართა და მისი სკამიც მაშინვე დაეშვა მიწაზე.

— Nego, — თქვა მან. — Factum hoc existentiam dei probat sine dubio[2].

ახლა კი მიხვდნენ მაკონდოელები, ხოსე არკადიო ბუენდია ქაჯურად კი არა, ლათინურად ბუტბუტებდა თურმე. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კაცი, ვინაც ძალუძდა ამ ენაზე დალაპარაკებოდა მას და მღვდელმა ნიკანორმაც ხელიდან არ გაუშვა ეს ბედნიერი შემთხვევა: იქნებ რწმენის ნათლით გავაშუქო ეგე დაბინდული გონებაო, ყოველ საღამოს დაუჯდებოდა ხოლმე ხოსე არკადიო ბუენდიას და ლათინურად უკითხავდა ლოცვებს, მაგრამ მოხუცს არც მისი რიტორიკისა სჯეროდა, არც მისი შოკოლადით ამაღლებისა. თუ გინდა შენი რამე ვიწამო, მამაზეციერის დაგეროტიპი მომიტანეო, — ეუბნებოდა მღვდელს. მაშინ ნიკანორმა ურწმუნო მოხუცს რამდენიმე მედალიონი და ესტამპი აჩვენა. ვერონიკას რეპროდუქციაც აახლა, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიამ არც ერთი არ იწამა, მღვდელს უთხრა, ეგ ყოველივე მეცნიერულ საფუძველს მოკ-

1 ეს სულ უბრალო რამეა. ამ კაცმა მატერიის მეოთხე მდგომარეობა აღმოაჩინა (ლათ.).
2 [illegible] ჩემი ამაღლება ღმერთის არსებობას ამტკიცებს (ლათ.).

ლებული, უხეირო ხელოსნობის ნიმუშებია და მეტი არაფერიო. ბოლოს და ბოლოს მისმა სიჯიუტემ მღვდელ ნიკანორს მისიონერობაზე ხელი აალებინა და მხოლოდ უბრალო კაცთმოყვარეობის გამო თუ ესტუმრებოდა ხოლმე მოხუცს წაბლის ძირში. სამაგიეროდ ახლა თვით ხოსე არკადიო მისდგა სტუმრად. უნდოდა გონივრული მაგალითების მოშველიებით შეერყია მღვდლის რწმენა. ერთხელ, როგორღაც, მღვდელმა ნიკანორმა თან მოიტანა შაშის დაფა და ხოსე არკადიო ბუენდიას შესთავაზა, ვითამაშოთო, მან უარი უთხრა, უაზრობად მიმაჩნია ბრძოლა იმ ორ მეტოქეს შორის, რომლებიც ძირითად საკითხებში ერთმანეთს თითქმის ეთანხმებიანო. მღვდელ ნიკანორს ასეთი რამ არასოდეს მოსვლია თავში შაშის თამაშისას, ბევრი ეხვეწა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიყოლია მოხუცი. გაკვირვებულმა მღვდელმა ჰკითხა, ასეთი ჭკუა-გონების პატრონი რატომ მიგაბესო ხეზე.

— Hoc est simplicissimum, — უპასუხა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — გიჟი ვარ და იმიტომ მიმაბეს.

ამის შემდეგ შეშინებული მღვდელი, მეც არ გავგიჟდეო, მეტი აღარც მიეკარებია მას, მთელის არსებით ჩაეფლო ტაძრის მშენებლობის საქმეში. რებეკას იმედის სხივი ჩაუდგა გულში. მისი ბედნიერება ტაძრის დამთავრებასთან იყო დაკავშირებული. მღვდელმა ნიკანორმა ერთ კვირა დღეს მათთან სტუმრობისას თქვა, მთავარია, ტაძარი ავგოს, მერე კი დიდებულად, მთელის ბრწყინვალებით აღვასრულებთ იქ ღვთის საქმეებსო. „ყველაზე მეტად რებეკას გაუმართლა", — შენიშნა მაშინ ამარანტამ და რადგან რებეკამ ვერ გაიგო, ამით რისი თქმა სურდა მის დას, ამარანტამ უწყინარი ღიმილით აუხსნა:

— შენი ქორწილი ხომ ეკლესიის გახსნის დღეს ჩატარდება.

ასე შორ ქორწინებაზე რებეკას ფიქრიც არ უნდოდა, იმ ეკლესიის აშენებას ბარე ათი წელიწადი დასჭირდებაო, თქვა მან. მღვდელმა ნიკანორმა დაამშვიდა, მრევლი დღითი დღე იზრდება, შესაწირს არ იშურებენ და ეს ყოველივე დიდად მაიმედებსო. ბოლმით გულგასიებულ რებეკას ლუკმა აღარ გადასდიოდა ყელში. ურსულამ შეამჩნია ეს და ამარანტას აზრი მოიწონა, მხარი აუბა, ოღონდ ეკლესიის მშენებლობა დაჩქარდეს და ფულს არ დავიშურებ, უხვად გავიღებ შესაწირსაო. მღვდელმა ნიკანორმა თქვა, ერთი ასეთი უხვი შესაწირი და ეკლესიაც სამ წელიწადში იქნება მზადო. იმ დღიდან რებეკას ხმა აღარ გაუცია ამარანტასთვის, რადგან მიხვდა, დის სიტყვები არც ისე უწყინარი იყო, როგორიც თვითონ მას სურდა ეჩვენებინა. „მადლობელი იყავი, რომ უარესი არ გაგიკეთე, — უთხრა ამარანტამ რებეკას, როცა საღამო ხანს ერთმანეთს გაცხარებული შეეკამათნენ, — ყოველ შემთხვევაში, სამ წელიწადში მაინც არ მომიწევს შენი მოკვლა". რებეკამ მიიღო გამოწვევა.

პიეტრო კრესპიმ რომ გაიგო, ქორწილი კვლავ გადაიდოო, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, საცოლემ კიდევ ერთხელ შეჰფიცა ერთგულება და გავიქცეთო, შესთავაზა, მაგრამ პიეტრო კრესპი ავანტიურისტი არ გახლდათ, თავისი საბედოსავით როდი აჩქარდა, იგი ერთხელ მიცემულ სიტყვას ისევე უფრთხილდებოდა, როგორც ფულს, რისი განიავებაც, მისი აზრით, არავის არ ეპატიებოდა. მაშინ რებეკამ ნაკლებ დამაჯერებელ ხერხს მიმართა: კაცი ვერ მიხვდებოდა, საიდან წამოჭროლილი ქარი აქრობდა ლამპებს სასტუმრო ოთახში და ურსულაც წარამარა გადააწყდებოდა ხოლმე სიბნელეში ხვევნა-კოცნაში გართულ შეყვარებულებს. პიეტრო კრესპი საქციელწამხდარი შესჩიოდა ურსუ-

ლას, ახლანდელი ნავთის ლამპები არაფრად არ ვარგაო და სასტუმრო ოთახში უკეთესი ლამპებიც კი დააკიდვინა, მაგრამ ამჯერად ხან ნავთი ილეოდა მალე და ხანაც ფითილი არ ვარგოდა და ურსულაც კვლავ ხედავდა სიბნელეში საქმროს მუხლებზე წამომჯდარ რებეკას. ბოლოს ურსულამ ინდიელ ქალს გადააბარა მთელი საცხობი, თვითონ კი სარწეველა საქანელაში მოკალათებულმა დაუწყო თვალთვალი დანიშნულებს, აქაოდა, თავს არავის გავაცურებინებ, ეს ეშმაკური ხერხები ჩემს ყმაწვილქალობაში უკვე მოძველებული იყოო. „საბრალო დედა, — ამბობდა რებეკა დაცინვითა და თანაც აღშფოთებული; ხედავდა როგორ გვრიდა ძილს საპატივცემულო სტუმრის მოსაწყენი სჯა-ბაასი. — როცა მოკვდება, ამ სავარძელში ჯდომა მიესჯება ცოდვების მოსანანიებლად“. სამი თვე ითმინა პიეტრო კრესპიმ ეს თვალთვალი, სამი თვე თითქმის ყოველდღე მიდიოდა მშენებლობაზე, მაგრამ იქიდან ყოველთვის გულგატეხილი ბრუნდებოდა და ბოლოს ისე გაბეზრდა, გადაწყვიტა — ოღონდ ეკლესიას მალე დაადგეს საშველი და რაც ფული აკლიათ, მე მივცემ მღვდელ ნიკანორსო. ამარანტა სულაც არ აუღელვებია ამ ამბავს. იგი კვლავინდებურად თავის მეგობარ ქალიშვილებთან ერთად ქსოვდა და ქარგავდა შუშაბანდში, ათას რაღაცაზე ლაპარაკობდა, გულში კი სულ ახალსა და ახალ სასჯელს იგონებდა რებეკასათვის. მაგრამ ერთხელ მაინც შეეშალა და მისი აზრით, ყველაზე ნაღდი და მზაკვრული ჩანაფიქრი ჩაეფუშა. საქმე ის გახლდათ, რომ ამარანტამ გადაწყვიტა რებეკას საძინებელ ოთახში შეპარულიყო და კამოდის უჯრიდან, სადაც რებეკა თავის საქორწილო კაბას ინახავდა, ნაფტალინი ამოეღო. მართლაც ასე მოიქცა, ტაძრის დამთავრებას ორი თვეღა აკლდა, რომ ამარანტამ თავისი ჩანაფიქრი შეასრულა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ქორწილის მოახლოებით აღელვებულმა რებეკამ ვეღარ მოითმინა და გადაწყვიტა საქორწილო კაბა და მოსართავები უფრო ადრე გაემზადებინა, ვიდრე ამას ამარანტა ფიქრობდა. რებეკამ უჯრა გამოაღო, კაბას ჯერ ქაღალდი შემოაცალა, მერე ტილო და უცებ გული კინაღამ გაუსკდა, ატლასის კაბა, მაქმანის ფატა და ხელოვნური თაიგულიც ჩრჩილს მტვრად ექცია. თუმცა ქალიშვილს კარგად ახსოვდა, საკუთარი ხელით ჩაყარა ნაფტალინი, მაინც ვერ გაბედა ამარანტასთვის დაებრალებინა ეს ვერაგობა. ქორწილამდე თვეზე ნაკლებიღა იყო დარჩენილი, მაგრამ ამპარო მოსკოტემ სულ რაღაც ერთ კვირაში შეკერა ახალი კაბა. როდესაც ერთ წვიმიან დღეს მოვიდა კორეხიდორის ქალიშვილი ბუენდიებთან, რათა საბოლოოდ მოერგო კაბა რებეკასათვის, ამარანტამ ლამის გონი არ დაკარგა. მაქმანებში ჩაფლული მკერავი ქალიშვილი რომ დაინახა, ენა ჩაუვარდა და ყინულივით ოფლმა დაუცვარა ზურგი. უკვე რამდენი ხანია შიშითა და თრთოლვით ელოდება ამ დღეს ამარანტა, მან ხომ მტკიცედ გადაწყვიტა, — თუ ქორწილს ვერ ჩაშლის, ან ვეღარაფერს მოიგონებს ვერაგულს, მაშინ ერთადერთი და საბოლოო გზა უნდა ამოირჩიოს — მოწამლოს რებეკა. ვიდრე რებეკას სული ეხუთებოდა ატლასის კაბაში, რომელსაც ამპარო მოსკოტე დიდი მოთმინებით არგებდა ტანზე ქინძისთავებით, ამარანტა ისე გამალებული ქსოვდა, რომ ერთი-ორჯერ ძაფიც გაექცა ხელიდან და საქსოვი ჩხირებიც შეესო თითში. მორჩა და გათავდა: შურისძიება აღსრულდება ქორწილის წინა პარასკევს, ყავაში საწამლავს ჩაუყრის!

მაგრამ ამარანტას განზრახვას კვლავ გადაეღობა წინ ერთი გაუთვალისწინებელი და ამავე დროს გადაულახავი დაბრკოლება, რის გამოც კვლავ გადაიდო

ქორწილი გაურკვეველი ვადით. რებეკასა და პიეტრო კრესპის ჯვრისწერამდე ერთი კვირით ადრე ერთ შუაღამეს პატარა რემედიოსი საშინელმა ტკივილმა გამოაღვიძა: თითქოს მთელმა სხეულმა ხმამაღლა დააბოყინაო, შიგნეულიდან გადმოსდინდა რაღაც ცხელი ტლაპო; საკუთარი სისხლით მოწამლული და საშოში ტყუპი ნაყოფჩამპალი რემედიოსი სამ დღეში გათავდა. ამარანტას სინდისმა შეაწუხა: ის ხომ დღენიადაგ ევედრებოდა ღმერთს, ოღონდ რებეკას ნუ მომაწამლინებ და რაც გინდა ის უბედურება დამატეხე თავსო. არა, ამ უბედურებაზე არ ევედრებოდა ამარანტა ღმერთს. რემედიოსმა მათ სახლში სიხარულის სუნთქვა შემოიტანა. იგი ქმართან ერთად დასახლდა სახელოსნოს გვერდით ოთახში, რომელიც გუშინდელი ბავშვობის სათამაშოებითა და თოჯინებით მორთო. მაგრამ ეს პატარა ოთახი რას დაიტევდა რემედიოსის მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე ბუნებას! იგი მზის ამოსვლისთანავე იწყებდა სიმღერას და საამო ნიავივით დაჰქროდა ოთახებსა და ბეგონიების სურნელით გაჟღენთილ შუშაბანდში. რემედიოსი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც რებეკასა და ამარანტას შერიგებას ლამობდა, ვინც ხოსე არკადიო ბუენდიას აჭმევდა, წვერს პარსავდა, ჰბანდა — ტილები არ დაესიონ თმა-წვერშიო და ჭექა-ქუხილის დროს პალმის ტოტების სახურავს ზემოდან ბრეზენტსაც ის აფარებდა, რათა წვიმის ერთი წვეთიც არ დასცემოდა ხეზე მიბმულ მოხუცს. ბოლო ხანებში, ხოსე არკადიო ბუენდიამ პატარა რძალს ერთი-ორი სიტყვა ლათინური შეასწავლა. როდესაც აურელიანოსა და პილარ ტერნერას ბავშვი დაიბადა, ბუენდიებმა შინ მოიყვანეს, შინაურულად მონათლეს და სახელად აურელიანო ხოსე დაარქვეს. რემედიოსმა ეს ბავშვი უფროს შვილად მიიღო. ურსულა გაოცებას ვერ მალავდა, ამ პატარა ქალის სულში საიდან აღმოჩნდა ამოდენა გრძნობა დედაშვილობისაო. რაც შეეხება აურელიანოს, რემედიოსმა მის არსებობას აზრი შეჰმატა, იგი მთელი დღე სახელოსნოში იჯდა და მუშაობდა, რემედიოსს კი შეჰქონდა მასთან უშაქრო ყავა. საღამოს ორივენი მოსკოტებთან მიდიოდნენ სტუმრად. ვიდრე აურელიანო სიმამრს დომინოს ეთამაშებოდა, რემედიოსი დებსა და დედას ეკითხებოდა საოჯახო საქმეებზე. ბუენდიების ოჯახთან დამოყვრებულ დონ აპოლინარ მოსკოტეს მაკონდოელებმა უკვე კეთილი თვალით გადმოხედეს, ისიც ძალას არ იშურებდა, პროვინციის დედაქალაქში ხშირად დადიოდა ხან რისა და ხან რის სათხოვნელად. ერთხელაც მთავრობა დაითანხმა, მაკონდოში სკოლა აეშენებინათ. ამ სკოლაში იმასწავლებლებდა არკადიო, რომელსაც პაპისგან მოსდგამდა მასწავლებლობის ნიჭი. დონ აპოლინარ მოსკოტემ იმდენი უჩიჩინა მაკონდოელებს, რომ ეროვნულ დღესასწაულზე სახლები უკვე უმეტესად ცისფრად იყო გადაღებილი. მღვდელი ნიკანორის დაჟინებული მოთხოვნით „კატარინოს დუქანი“ ერთ მიყრუებულ-მივარდნილ ქუჩაზე გადაიტანეს. როდესაც ექვს პოლიციელთან ერთად დაბრუნდა და მათ დაავალა წესრიგის დაცვა, აღარავის არ გახსენებია ძველი პირობა, შეიარაღებული ხალხი არ ვნახოთ მაკონდოშიო. აურელიანოს მოსწონდა სიმამრია შემართება. „შენც შენი სიმამრივით ჩასუქდები“, — ეუბნებოდნენ აურელიანოს მეგობრები, მაგრამ სახელოსნოში დღენიადაგ ჯდომით სულაც არ მოსდებია ქონი აურელიანოს, ყბები უფრო გამოეკვეთა, თვალებს ცეცხლი მოემატა, ხასიათიც იგივე შერჩა, მხოლოდ ეს იყო, პირის კუთხეები ღრმა ხაზმა დაუსერა, მარტოობაში ჩაძირული კაცის ფიქრებისა და სიჯიუტის დასტურმა. აურელიანომ და მისმა ცოლმა ორივე ოჯახს შეაყვარეს თავი და როდესაც რემე-

დიოსმა ყველას ამცნო, ორსულად ვარო, ამარანტა და რებეკაც კი შერიგდნენ და საჩქაროდ შეუდგნენ ქსოვას ორფერი ძაფით: ცისფერითა და ვარდისფერით, ვინ იცის ვინ მოევლინება ქვეყანას — გოგო თუ ბიჭი. გაივლის რამდენიმე წელიწადი და კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგომი არკადიო გაიხსენებს ერთ ადამიანს და ეს ადამიანი იქნება რემედიოსი.

ურსულამ მკაცრი მგლოვიარობა გამოაცხადა. მიხურეს ყველა კარ-ფანჯარა, თუ ძალიან საჭირო არ იყო, არც გარეთ გადიოდნენ და არც სახლში უშვებდნენ ვინმეს. მთელი წლით აიკრძალა ხმამაღალი ლაპარაკი, ხოლო კედელზე რემედიოსის შავარშიაშემოვლებული დაგეროტიპი და ჩაუქრობელი ლამპარი დაკიდეს. ბუენდიათა მომავალი თაობები მკაცრად იცავდნენ მემკვიდრეობად მიღებულ წესს: ცეცხლი არ ჩაექროთ ლამპარში. ისინი შეცბუნებული შესცქეროდნენ თეთრ კაბასა და ფეხსაცმელში გამოწყობილ ბაფთიან გოგონას და ვერაფრით ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ეს გოგონა მათი დიდი ბებია იყო. ამარანტამ აურელიანო ხოსეს აღზრდა ითავა, ჩემს მარტოობას გაიზიარებს და იმ ტანჯვას შემიმსუბუქებს, ასე რომ მაწვალებსო: საწამლავიანი ყავა ხომ სრულიად შემთხვევით დალია რემედიოსმა! საღამოობით ბუენდიებთან პიეტრო კრესპი მოდიოდა, ქუდზე შავარშიაშემოვლებული იტალიელი ფეხაკრეფით მიეახლებოდა ხოლმე რებეკას, თუმცა სადღა იყო წინანდელი რებეკა! შაოსანი ქალი უსისხლოს დამგვანებოდა. ახლა ქორწილზე ფიქრიც კი მკრეხელობა იყო. უსასრულოდ გაგრძელებულმა ნიშნობამ მათი სიყვარული მოწყენილობითა და ყინულით შემოსა, თავად შეყვარებულები კი, ერთ დროს მალულად რომ აქრობდნენ ლამპებს და სიბნელეში გახელებული კოცნიდნენ ერთმანეთს, ახლა თითქოს სიკვდილის მარწუხებში მოქცეულიყვნენ. იმედგადაწურული რებეკა სულ მოეშვა და კვლავ მიწის ჭამას მიჰყო ხელი. უცბად — მგლოვიარობის ვადა კარგა ხნის დაწყებული იყო და ქალიშვილებს შუშაბანდში კვლავ მოეყარათ თავი ჯვრების ამოსაქარგავად — პაპანაქების სამარისებურ დუმილში, ზუსტად დღის ორ საათზე, ვიღაცამ ისე ძალუმად შემოგლიჯა კარი, რომ მთელი სახლი შეზანზარდა. ყველას — შუშაბანდში მსხდომ ამარანტასა და მის მეგობრებს, თავის ოთახში გამოკეტილ, თითის წოვაში გართულ რებეკას, სამზარეულოში მოფუსფუსე ურსულას, სახელოსნოში მომუშავე აურელიანოს და წაბლის ძირში განმარტოებულ ხოსე არკადიო ბუენდიასაც კი — მოეჩვენათ, მიწა იძრა და ჭერი გვექცევა თავზეო — კარი გაიღო და უცნაური აღნაგობის კაცი გამოჩნდა. ოთხკუთხა მხრები ჰქონდა და ძლივს ეტეოდა კარში, ხარივით კისერზე ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, ხელები და მკერდი უცნაურად ჰქონდა მოსვირინგებული, მარჯვენა ხელის მაჯაზე სპილენძის სალტე-ავგაროზი შემოეჭირა. მისი კანი უამინდობასა და მარილიან ქარებს მთლად დაეშაშრა, თმა მოკლე და უხეში ჰქონდა ჯორის ფაფარივით, ყვრიმალები — ჯიუტი კაცისა, თვალები — ნაღვლიანი. მოსულს წელზე შემოეჭირა უნაგირის გარსაკრავზე ორჯერ სქელი ქამარი, ფეხთ ემოსა ნალდაკრული და დეზებიანი ჩექმა. მის ყოველ ნაბიჯზე სახლი ისე ზანზარებდა, როგორც მიწისძვრის დროს. გაცვეთილი ხურჯინით ხელში სტუმარმა სწრაფად გადაჭრა სასტუმრო ოთახი და მეხივით შევარდა შუშაბანდში, სადაც მდუმარებაში ჩაძირულ ამარანტასა და მის მეგობრებს ეგრევე შეაცივდათ ხელში ნემსები. „გამარჯობათ“, — თქვა მოსულმა დაღლილ ხმაზე, მაგიდაზე დააგდო ტვირთი და ახლა სხვა ოთახისკენ გასწია. „გამარჯობათ“, — მიესალმა იგი შეშინებულ რებეკას. „გამარჯობათ“,

— უთხრა მან მთელის არსებით თავის საქმეში ჩაფლულ აურელიანოს. მოსული არსად არ შეჩერებულა, პირდაპირ სამზარეულოსკენ გაეშურა და მხოლოდ იქ შედგა, მხოლოდ იქ დაუსვა წერტილი ქვეყნის დასალიერიდან დაწყებულ თავის უსასრულო ხეტიალს. „გამარჯობათ", — თქვა მან. ურსულა ერთ წამს პირდაღებული შედგა, მერე მოსულს თვალებში ჩახედა, ოხვრა დასცდა და სიხარულისგან ატირებული და აყვირებული კისერზე ჩამოეკიდა გოლიათს. ეს კაცი ხოსე არკადიო გახლდათ. იგი ისეთივე ჯიბეგახვრეტილი დაუბრუნდა საკუთარ სახლს, როგორც მიატოვა ბოშებზე აკიდებულმა. ის კი არადა, ცხენის ქირაც, სულ რაღაც ორი პესო, ურსულამ გადაუხადა, ხოსე არკადიო მეზღვაურულ ჟარგონზე ლაპარაკობდა. ჰკითხეს, აქამდე სად იყავიო. იმან უპასუხა: „იქ". ოთახი მოუწესრიგეს, ჰამაკი გაუბეს და სამი დღე და ღამე ეძინა. რომ გამოიღვიძა, თექვსმეტი მოხარშული კვერცხი გადასანსლა და პირდაპირ გასწია „კატარინოს დუქნისაკენ", სადაც მისმა გოლიათურმა აღნაგობამ ქალებს ცნობისწადილიც აღუძრა და შიშიც. ხოსე არკადიომ მუსიკა შეუკვეთა და ყველანი არაყზე დაპატიჟა, თან სანაძლეო დაუდო ხუთ კაცს, ხელს ვერ გადამიწევთ ხუთივე ერთადო. „ეს ვინ ყოფილა, — კაცებმა ძვრაც ვერ უყვეს მის ხელს. — სულაც მგონი, ჯადო-სამაჯური უკეთია". ახლა კატარინო დაენიძლავა, თორმეტ პესოს ვდებ, ამ დახლს თუ დაძრავ ადგილიდანო. ხოსე არკადიო, ვითომც არაფერიაო, დახლს დასწვდა, თავს ზემოთ აღმართა და ასე გაიტანა ქუჩაში. დახლი რომ ისევ დუქანში შემოეტანათ, თერთმეტი კაცი მაინც დაეჭირდა. შუა ღრეობაში იყვნენ, რომ ხოსე არკადიო დახლზე მთლად დედიშობილა შედგა. მთელი ტანი დასვირინგებული ჰქონდა სხვადასხვა ენაზე წითელ-ცისფერი ჩახლართული წარწერებით. ხოსე არკადიომ გარს შემორტყმულ ხარბად მზირალ ქალებს მიმართა, თუ ფულიანები ხართ, გამათამაშეთ და ვისაც შევხვდები, ათი პესო გადამიხადოსო. ფასი ყველას ეძვირა, მაგრამ მაინც დაეთანხმნენ. ქაღალდის ნაკუწებზე დაწერეს თავიანთი სახელები და ქუდში ჩაყარეს. ხოსე არკადიომ ორი ნაკუწი ამოიღო ქუდიდან და სახელები ამოიკითხა:

— კიდევ ხუთ-ხუთი პესო დადეთ, — მიმართა მან გამარჯვებულ ქალებს, — და ორივეს ერთად გასიამოვნებთ.

ასე ცხოვრობდა ხოსე არკადიო. სამოცდაექვსჯერ შემოუარა დედამიწას გემით, სადაც მეზღვაურად მუშაობდა. იმ ღამით „კატარინოს დუქანში" დიდი დრო გაატარეს ქალებმა მასთან ერთად საწოლში, მერე საცეკვაო დარბაზში მთლად დედიშობილა გამოიყვანეს, რათა ყველასათვის ეჩვენებინათ ამ გოლიათის თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე დასვირინგებული ტანი. თავის ოჯახში ხოსე არკადიო ჩირადაც არავის აგდებდა. დღისით ეძინა, ღამით კი საროსკიპოებში ხარჯავდა ძალას. ზოგჯერ ურსულა როგორღაც მოახერხებდა ხოლმე და შვილს დაიყოლიებდა, მთელ ოჯახთან ერთად ესადილნა. სუფრასთან იგი ათასნაირ ამბებს ყვებოდა შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე. ერთხელ თურმე მათი გემი დაღუპულა, ხოსე არკადიო მთელი ორი კვირა იაპონიის ზღვაში დაბორიალობდა პატარა ნავით და თავისი ამხანაგის ხორცით იკლავდა შიმშილს. ეს ამხანაგი მზის დაკვრისაგან მომკვდარიყო. ხოსე არკადიო ირწმუნებოდა, მზეზე დაშაშხული ადამიანის ხორცი ძალზე გემრიელიაო. ერთხელაც მეზღვაურებს ბენგალიის სრუტეში ზღვის ურჩხული მოუკლავთ, გაუფატრავთ და ცხოველის სტომაქში ჯვაროსნის აბჯარ-მუზარადი აღმოუჩენიათ. კარიბის ზღვაში

კი ვიქტორ იუგის[1] მეკობრეთა ხომალდი დაულანდავთ. თუმცა იალქნები სიკვდილის ქარს დაეფლითა და ანძა და ქანდარაც ზღვის ხოჭოებს დაეჭამათ, იგი მაინც გვადალუპისკენ მიისწრაფვოდა, მაგრამ ხომალდი ხომ განწირული იყო, მოჯადოებულივით ვერასოდეს მიეღწია ამ კუნძულისთვის! ამის გამგონე ურსულა ისე ტიროდა, თითქოს დიდი ხნის ნანატრსა და მოუსვლელ წერილებში კითხულობდა შვილის გმირობასა და ფათერაკებზე: „აქ კი ჩვენ ურიგინად ვცხოვრობდით ამ დიდ სახლში, — ქვითინებდა ქალი, — საჭმელსაც ვერ ვერეოდით და ღორებს ვუყრიდით“. მაგრამ გულის სიღრმეში დედას არ სურდა დაეჯერებინა, რომ ეს ველური კაცი, — ნახევარ გოჭს რომ უთავებდა ხელს ერთ ჭამაზე და თანაც ისე იცარიელებდა მუცელს გაზებისაგან, რომ ყვავილები მაშინვე ჭკნებოდნენ, — მისი შვილი იყო, ის ბიჭი იყო, დიდი ხნის წინათ ბოშებს რომ გაეკიდა. ასე ფიქრობდა თითქმის მთელი ოჯახი. ამარანტას გულს აზიდებდა ხოსე არკადიოს უბოდიშო ბოყინზე. არკადიო — ვისთვისაც ბოლომდე საიდუმლოდ დარჩება საკუთარი წარმოშობა — ვერ ბედავდა დალაპარაკებოდა ამ კაცს, ვინც რატომღაც მისი გულის მონადირებას ლამობდა. აურელიანო ცდილობდა ძმისთვის ის დრო გაეხსენებინა, ერთ საწოლში რომ იწვნენ, ერთმანეთის გულისნადები რომ ესმოდათ, მაგრამ ხოსე არკადიოს ყველაფერი დავიწყებოდა — ზღვას გადაერეცხა ყველა მოგონება. მხოლოდ რებეკა მოინუსხა ამ კაცის პირველ დანახვაზევე. იმ საღამოს, ხოსე არკადიომ მის ოთახთან რომ ჩაიარა, ქალიშვილმა მაშინვე გაივლო გუნებაში, პიეტრო კრესპი ერთი გალეული კონტაპრუწა კაცია ამ ხვადაგთან შედარებით, ვისი ვულკანისებური სუნთქვაც მთელ სახლში ისმისო. რას არ იგონებდა რებეკა, რომ ხოსე არკადიოს გადაჰყროდა სადმე. ერთხელ ხოსე არკადიომ უტიფრად შეათვალიერა ქალიშვილი და უთხრა: „დაქალებულხარ, დაიკო“. რებეკას თავგზა აებნა, უწინდებურად გაშმაგებული ეძგერა მიწასა და კირს, თითსაც ისე ძალუმად იწოვდა, რომ დაუკოჟრდა კიდეც. ღამით არ ეძინა, ციებიანივით ძაგძაგებდა, ებრძოდა დაბინდულ გონებას და ელოდა იმ წუთს, როცა მთელი სახლი შეზანზარდებოდა ხოსე არკადიოს ნაბიჯებზე, ერთხელ გული ისე აერია, რომ მწვანე სქელ სითხეს მკვდარი წურბელებიც ამოაყოლა. ერთ დღეს, ნასადილევს, სიესტის დროს, ვეღარ მოითმინა და ვაჟის ოთახში შევიდა. ნიფხვისამარა ხოსე არკადიოს თვალღიას ეძინა მსხვილი თოკებით დამაგრებულ ჰამაკში. უზარმაზარი, ლამის შიშველი ვაჟის დანახვაზე, რებეკა გაოცებული შედგა, მაგრამ მალე გამოერკვა და ნაბიჯი გადადგა უკან. „მაპატიეთ, არ ვიცოდი, აქ თუ იყავით“, — ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა მან. „აქ მოდი“, — თქვა ვაჟმა. რებეკამ უარი ვერ გაბედა. ცივმა ოფლმა დაასხა. რეტდასხმული შეჩერდა ჰამაკთან. ხოსე არკადიომ ხელი ნაზად მოუსვა წვივებზე, მერე ბარძაყებზე ამოაცოცა: „ოჰ, დაიკო, ოჰ, დაიკო“, — ჩურჩულებდა იგი. რებეკას უცებ სული შეუგუბდა, ზებუნებრივი ძალა მოიკრიბა, რომ არ მომკვდარიყო, რადგან გრიგალივით ეძგერა რაღაც, წელში ჩაეჭიდა, ხელის ერთი მოსმით შემოაძარცვა სამოსი და პატარა ჩიტივით ჩაბუნა...

სამი დღის მერე საღამოს წირვაზე დაიწერეს ჯვარი. ჯვრისწერის წინა დღეს ხოსე არკადიო მაღაზიაში ეახლა პიეტრო კრესპის. იტალიელი ოსტატი

[1] საფრანგეთის კონვენტის მეთაური კუნძ. გვადალუპეზე (1793). მეკობრულად ესხმოდა ინგლისელებს.

ბავშვებს ამეცადინებდა ციტრაზე დაკვრაში. ხოსე არკადიოს გვერდზე არც გაუხმია მასპინძელი, პირდაპირ მიახალა: „რებეკას ცოლად ვირთავ“. გაფითრებულმა კრესპიმ მოწაფეებს გამოუცხადა, გაკვეთილი დამთავრებულიაო, ხოლო როცა მარტონი დარჩნენ საკრავებითა და მოსამართი სათამაშოებით სავსე მაღაზიაში, სტუმარს უთხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რებეკა თქვენი და არის.

— არა უშავს, — უპასუხა ხოსე არკადიომ.

პიეტრო კრესპიმ სუნამოდაპკურებული ცხვირსახოცით მოიწმინდა შუბლი.

— ბუნების საწინააღმდეგო საქმეს სჩადით, — აუხსნა მან. — თანაც უკანონოს.

ხოსე არკადიო მასპინძლის სიფერმკრთალეზე მეტად მისმა მსჯელობამ გააბრაზა.

— მიმიფურთხებია თქვენი ბუნებისათვის, — უთხრა მან. — აქ იმიტომ შოვედი და მოგახსენეთ ყოველივე, რომ არც თავი შეიწუხოთ და არც რებეკა შეაწუხოთ ზედმეტი ლაპარაკით.

მაგრამ პიეტრო კრესპის თვალებში ცრემლი რომ დაინახა, ხოსე არკადიოს საქციელი წაუხდა:

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, — სულ სხვა კილოზე უთხრა იტალიელს, — თუ ჩვენს ოჯახს შეეჩვიე და დაშორება გიმძიმს, ამარანტა იქ არ არის?

თუმცა კვირის ლოცვაზე მღვდელმა ნიკანორმა ყველას აუწყა, რებეკა და ხოსე არკადიო და-ძმა არ არისო, ურსულამ მაინც სიკვდილამდე ვერ აპატია მათ ეს თავხედობა, უფროსები არად ჩაგვაგდეთ, ჩემთვის ორივენი მკვდარი ხართო, უთხრა მან ეკლესიიდან ჯვრისწერის მერე დაბრუნებულ ქალ-ვაჟს და სახლში არც ერთი არ შეუშვა. მაშინ ახლად ჯვარდაწერილებმა სასაფლაოს პირდაპირ იყიდეს სახლი, წაიღეს ჰამაკი — ერთადერთი ავლადიდება — და დაფუძნდნენ იქ. ქორწილის ღამეს პატარძალს ფეხსაცმელში შემალულმა მორიელმა უკბინა. დაგესლილ ქალს ენა წაერთვა, მაგრამ ამ უბედურებას სულაც არ შეუშლია ხელი, ახლად ჯვარდაწერილებს სიამით გაეტარებინათ თაფლობის თვე. ღამეში რვაჯერ, ნასადილევს კი, სიესტის დროს ერთი სამჯერ მაინც მოისმოდა ყვირილი მათი სახლიდან და ამ ყვირილზე გამოღვიძებული, ფეხზე დამდგარი მთელი უბანი შეშინებული ევედრებოდა ღმერთს, ამ გაუმაძღარმა და დაუოკებელმა ვნებამ მიცვალებულები არ შეგვიშფოთოსო.

მხოლოდ აურელიანომ გაუმართა ხელი ახლად ჯვარდაწერილებს, ერთი-ორი თავი რაღაც უყიდა ოთახში დასადგმელი და ფულითაც მანამდე ეხმარებოდა, ვიდრე ხოსე არკადიო ბოლოს და ბოლოს არ გამოერკვა და სახლის გარშემო მიწის ნაკვეთის დამუშავებას არ მიჰყო ხელი. რაც შეეხება ამარანტას, თუმცა ოცნება აუხდა და ბედის ჩარხიც მისკენ შემოტრიალდა, მაინც ბოროტებით შეპყრობილი ფიქრობდა რებეკაზე.

ურსულა ცდილობდა როგორმე მიეჩქმალა შერცხვენა თავისი ოჯახისა და მისი ნება-სურვილით პიეტრო კრესპიც ყოველ სამშაბათს მათთან სადილობდა. იტალიელი ოსტატი უსიტყვოდ და ღირსეულად იტანჯებოდა. ბუენდიების ოჯახის პატივისცემის ნიშნად ქუდიდან არ იშორებდა შავ სამგლოვიარო ბაფთას და გულს იმით იოხებდა, რომ ურსულას მეტისმეტად მიეჩვია. დღე ერთი იყო და ნაირ-ნაირი ძღვენი მიჰქონდა მისთვის: პორტუგალიური სარდინები, თურქული ვარდის მურაბა, ერთხელ ულამაზესი მანილური მოსასხამიც კი უბოძა.

ამარანტა ალერსიანად და გულისხმიერად ექცეოდა ყმაწვილკაცს, პერანგის სამაჯურებზე გამოძენძილ ძაფს აჭრიდა, ხოლო დაბადების დღეს თორმეტი ცხვირსახოცი აჩუქა ზედ ამოქარგული ინიციალებით. სამშაბათობით, ნასადილევს შუშაბანდში სხდებოდნენ ორივენი და მხიარულობდნენ. ეს ქალიშვილი, აქამდე ბავშვად რომ მიაჩნდა, პიეტრო კრესპიმ თითქოს პირველად იხილა. თუმცა ამარანტას ლაზათი აკლდა, სამაგიეროდ გამგები იყო და ფარული სინაზეც ჰქონდა. უკვე ალარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ პიეტრო კრესპი ამარანტას ცოლობას სთხოვდა, და მართლაც ერთ სამშაბათ დღეს შესთავაზა კიდეც, გამაბედნიერეთო. ამარანტას კვლავ საქარგავზე დაეხარა თავი და ალელვებულს ცეცხლი მოსდებოდა ყურებზე, მერე როგორც იქნა, დაცხრა, დაშოშმინდა და მოზრდილი ადამიანივით მშვიდად და დინჯად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, გამოგყვებით, კრესპი, ოღონდ ჯერ უნდა კარგად გავიცნოთ ერთმანეთი. აჩქარება სიკეთეს არ მოგვიტანს.

ურსულა სულ დაიბნა, თუმცა დიდ პატივს სცემდა იტალიელს, მაინც ვერაფრით გაეგო, ზნეობრივად იყო თუ არა მოსაწონი მისი განზრახვა ახლა, რებეკასთან სამარცხვინოდ დამთავრებული ამდენი ხნის ნიშნობის მერე. ბოლოს და ბოლოს ოჯახში ურსულას არავინ აუბა მხარი და მანაც პიეტრო კრესპის მკრეხელობა ბედის გარდუვალობად მიიჩნია. მხოლოდ ოჯახის უფროსმა აურელიანომ შეუნთო ცეცხლი დედის ეჭვებს მისთვის ჩვეული იდუმალებითა და სიდინჯით:

— ახლა ქორწილებზე ფიქრის დრო არ არის.

ამ სიტყვების ჭეშმარიტ აზრს ურსულა რამდენიმე თვის მერე ჩასწვდა. ამ სიტყვებში აურელიანო მაშინ არა მარტო ქორწილს გულისხმობდა, არამედ ყველაფერს, რაც შეიძლება მერე მომხდარიყო, ომის გარდა. დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი აურელიანო ვერაფრით ვერ გაიხსენებს, როდის ან როგორ შეიკრა იმ მოვლენათა ჯაჭვი, რამაც აქამდე მოიყვანა ასე შეუმჩნევლად და უნებურად. რემედიოსის სიკვდილს აურელიანო ისე არ შეუშფოთებია, როგორც ელოდა. რემედიოსმა მას დაუტოვა ჩაგუბებული რისხვა, რაიც თანდათანობით გაცრუებული იმედების ნაღველმა შთანთქა, სწორედ ისეთმა ნაღველმა, ადრე ქალებზე უარი რომ ათქმევინა. აურელიანო კვლავ თავის საქმეებში ჩაიფლო, მხოლოდ ეს იყო, ჩვეულებად ექცა სიმამრთან დომინოს თამაში. სიძე-სიმამრი სალამოობით ხვდებოდნენ ერთმანეთს სამგლოვიარო მდუმარებაში ჩაძირულ სახლში და უფრო და უფრო მტკიცდებოდა მათი მეგობრობა. „ოჯახს მოეკიდე, აურელიანო, — ეუბნებოდა დონ აპოლინარ მოსკოტე, — ექვსი ქალიშვილი მყავს, არც ერთი არ გეტყვის უარს". ერთხელ, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, მაკონდოს კორეხიდორი მეტისმეტად გულდამძიმებული დაბრუნდა ქალაქიდან: ლიბერალებს ომის გაჩაღება სურდათ თურმე. იმ დროისათვის აურელიანო ვერ ერკვეოდა პოლიტიკაში, ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებდა ლიბერალებს და კონსერვატორებს. სიმამრმა ითავა მისი გათვითცნობიერება და რამდენიმე სიტყვით აუხსნა განსხვავება ამ პარტიებს შორის. ლიბერალები მასონები არიან, — უთხრა სიძეს, — ცუდი ხალხია, მათ სურთ მღვდლები სახრჩობელებზე ჩამოკიდონ, სამოქალაქო ქორწინება და გაყრა დააკანონონ, თანაბარი უფლებები მიანიჭონ კანონიერ და უკანონო შვილებს, უმაღლესი მთავრობა დაამხონ, ქვეყანა დააქუცმაცონ და ფედერაციად გამოაცხადონ, ხოლო კონსერვატორები, პირიქით, კარგი ხალხია, ქვეყნის მმართვე-

ლობის საჭე მათ ღმერთმა უბოძა. ისინი მხარს უჭერენ საზოგადოებრივ წეს-რიგს და ოჯახურ სიწმინდეს, სწამთ ქრისტე და არა სურთ ქვეყნის დაქუცმაცება. უბრალო ადამიანურობის გამო აურელიანომ ლიბერალების საქმიანობა მოიწონა ყველა საკითხში, განსაკუთრებით ბავშვების საკითხში, მაგრამ გაგებით კი ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ომის გაჩაღება ისეთი რამის გულისთვის, რასაც ხელს ვერ შეახებს კაცი. ცოტა მეტისმეტი მოეჩვენა სიმამრის საქციელიც. ნეტავ რა საჭირო იყო არჩევნების დღეებში თავისთავად ყოველგვარ პოლიტიკურ ემოციებს მოკლებულ ქალაქში ექვსი შეიარაღებული ჯარისკაცისა და მათი მეთაურის — სერჟანტის ჩამოყვანა! ჯარისკაცებმა მარტო ჩამოსვლა როდი აკმარეს მაკონდოელებს, თითქოს ყველა სახლი დაიარეს, აღწერეს სანადირო თოფები, დანები, სამზარეულოს დიდი დანებიც კი, და მერე ოცდაერთ წელს გადაცილებულ მამაკაცებს ორფერი საარჩევნო ბიულეტენები დაურიგეს: ცისფერზე კონსერვატორთა კანდიდატების გვარები იყო ჩამოწერილი, ვარდისფერზე ლიბერალთა კანდიდატების გვარები. შაბათს, არჩევნების წინა დღეს დონ აპოლინარ მოსკოტემ ბრძანება გამოსცა. ამ ბრძანების გამოცხადებისთანავე ორმოცდარვა საათის განმავლობაში იკრძალებოდა ღვინო-არაყის გაყიდვა და ჯგუფური თავყრილობები ქუჩაში, თუ, რა თქმა უნდა, ერთი ოჯახის წევრები არ იყვნენ. არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა. კვირას, დილის რვა საათზე, მოედანზე დადგეს ხის ყუთი, რომელსაც ექვსი ჯარისკაცი ყარაულობდა. არჩევნები რომ თავისუფალი იყო, აურელიანო საკუთარი თვალით დარწმუნდა. იგი თითქმის მთელი დღე არ მოშორებია სიმამრს და თვალს ადევნებდა, ამომრჩევლებს ერთჯერ მეტად არ მიეცათ ხმა. დილის ოთხ საათზე დოლების ბრახაბრუხმა ხალხს აუწყა, არჩევნები დამთავრდაო და ყუთი დალუქეს. საღამოს აურელიანოსთან დომინოს თამაშის დროს დონ აპოლინარ მოსკოტემ სერჟანტს უბრძანა, ყუთი გახსენით და ხმები დაითვალეთო. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ვარდისფერი ქაღალდი იმდენივე იყო, რამდენიც ცისფერი, მაგრამ სერჟანტმა ვარდისფერი ქაღალდი მხოლოდ ათი ცალი დატოვა, ცისფერებს კი საკუთარი ხელით შევსებული მიუმატა. ყუთი კვლავ დალუქეს, რათა მეორე დღეს, დილაუთენია წაეღოთ პროვინციის დედაქალაქში. „ლიბერალები ომს დაიწყებენ", — თქვა აურელიანომ. დონ აპოლინარ მოსკოტეს თავი არც აუწევია, თამაშში გართული. „თუ გგონია ამ ქაღალდების შეცვლის გამო დაიწყებენ, ამაოდ ირჯები. რამდენიმე ცალი ვარდისფერი ქაღალდი ხომ დარჩა ყუთში? ვერ იჩივლებენ". აურელიანომ წამში გაისიგრძეგანა ოპოზიციის სავალალო მდგომარეობა. „მე რომ ლიბერალი ვიყო, — შენიშნა მან, — სულაც ამ ქაღალდების გამო დავიწყებდი ომს". სიმამრმა ზემოდან დახედა:

— აჰ, აურელიტო, — თქვა მან, — შენ რომ ლიბერალი იყო, ასჯერ სიძეობაც არ გიშველიდა. ვერასოდეს ნახავდი, როგორ ცვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

მალე ქალაქში შფოთი გაჩნდა. მაკონდოელები აღაშფოთა არა არჩევნების შედეგმა, არამედ ჯარისკაცების საქციელმა: მათ უარი თქვეს აღწერილი თოფებისა და დანების დაბრუნებაზე. ქალებმა აურელიანოს სთხოვეს, შენს სიმამრთან გვიშუამდგომლე, სამზარეულოს დანები მაინც დაგვიბრუნოსო. დონ აპოლინარ მოსკოტემ სიძეს საიდუმლოდ გაანდო, ჯარისკაცებმა ეს იარაღი წაიღეს, როგორც ლიბერალების მხრიდან ომის წამოწყების ნივთიერი საბუთი. ამ ცი-

ნიკურ სიტყვებზე აურელიანოს უსიამოდ გააქრუოლა. სიმამრისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთ საღამოს, როცა მისი მეგობრები ხერინელდო მარკესი და მაგნიფიკო ვისბალი სამზარეულოს დანებზე ქირქილებდნენ და აურელიანოს ჰკითხეს, შენ რომელი ხარ, ლიბერალი თუ კონსერვატორიო, აურელიანო ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ აუცილებელია, რომელიმე ვიყო, ისევ ლიბერალობას ვარჩევდი, რადგან კონსერვატორები თაღლითები არიან.

მეორე დღეს მეგობრების დაჟინებით აურელიანომ მოინახულა ექიმი ალირიო ნოგერა ვითომდა ღვიძლის სამკურნალოდ. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის სჭირდებოდა ეს ტყუილი. ექიმი ალირიო ნოგერა სულ რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა მაკონდოში, თან ჩამოიტანა უგემური აბები და ყველასთვის გაუგებარი სამკურნალო დევიზი: „რამაც მოგკლა, იმან მოგარჩინოს". სინამდვილეში იგი ექიმი არ იყო: უწყინარი, ხელმოცარული ექიმის მიღმა ტერორისტი იმალებოდა. მაღალყელიანი გამაშები უფარავდა ნაიარევს, რომელიც ხუთი წლის კატორღაში ყოფნისას ბორკილებმა გაუჩინეს ფეხზე. ფედერალისტების პირველი ამბოხებისთანავე შეიპყრეს, მაგრამ გაქცევა მოახერხა და კიურასაოს შეაფარა თავი. იქ იგი იძულებული იყო ჩაეცვა ყველაზე საძულველი სამოსი — ანაფორა. კიურასაოზე კარგა ხანს მოუწია ყოფნამ, ვიდრე კარიბის ზღვის კუნძულებიდან ჩამოსულმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა სასიხარულო ამბები არ ჩამოუტანეს. ისიც მაშინვე დაჯდა კონტრაბანდისტების ორანჯიან ნავში და რიოაჩისკენ გაეშურა. თან წაიღო შაქარზე დამზადებული აბები და საკუთარი ხელით გაყალბებული ლაიფციგის უნივერსიტეტის დიპლომი. რიოაჩაში ლამის არ იტირა იმედგაცრუებულმა. წინასაარჩევნო იმედებმა არ გაუმართლეს ფედერალისტებს. ემიგრანტები კი ირწმუნებოდნენ, ფედერალისტები აჯანყებას იწყებენო. ახლა გზა აღარ ჰქონდა, იმედგაცრუებულსა და ხელმოცარულს სახლ-კარს, საიმედო ადგილისათვის უნდა შეეფარებინა თავი, რათა სიბერე მაინც ჰქონოდა მშვიდი და უხიფათო. ერთი სიტყვით, ცრუ ჰომეოპატმა მაკონდო ამოირჩია თავშესაფარად. უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, ქალაქის მოედანთან ერთ სახლში, ცარიელი შუშებით პირთამდე სავსე პატარა და ვიწრო ოთახში ცხოვრობდა იმ ავადმყოფების ხარჯზე, სხვა ექიმებთან ხანგრძლივი უშედეგო მკურნალობის მერე ახლა მისი შაქრიანი აბების იმედიღა რომ ჰქონდათ. ვიდრე დონ აპოლინარ მოსკოტე ვითომდა ხელისუფლობდა ქალაქში, ექიმმა ნოგერამ თავისი აგიტატორობის ნიჭი და უნარი ვერა და ვერ გამოიყენა. მხოლოდ მოგონებებსა და ასთმასთან ბრძოლაში ჰკლავდა დროს. მოახლოებული არჩევნები კი ექიმს იმ ძაფის წვერს ჩაუგდებდა ხელში, რომელსაც გამოქაჩავდა და ხელისუფლების გორგალსაც დაშლიდა, დაბურდავდა. ნოგერამ გარს შემოიკრიბა პოლიტიკურად სუსტი ახალგაზრდები და გააჩაღა წამქეზებლური საიდუმლო მუშაობა. ის ამბავი, რომ საარჩევნო ყუთში უამრავი ვარდისფერი ქაღალდი აღმოჩნდა, — რომელიც დონ აპოლინარ მოსკოტემ იქაურ ახალგაზრდობას ქერქეტობად მიუთვალა, — ექიმის ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილი იყო. მისი წაქეზებით გაკეთდა, დაე დარწმუნდნენ ყველანი, არჩევნები რომ ფარსია და სხვა არაფერი! „მთავარია მხოლოდ ძალადობა!" — უჩიჩინებდა იგი თავის მოწაფეებს. აურელიანოს მეგობრები, კონსერვატორთა პარტიის დამხობის მომხრეები, ყოყმანობდნენ, კორეხიდორის სიძისთვის გაენდოთ თავიანთი გეგმები, არა იმიტომ, რომ ქალაქისთავთან მისი ნათესაობისა ეშინოდათ, —

უბრალოდ, თავად გულჩახვეული და მერყევი ბუნების აურელიანოს იმედი არ ჰქონდათ. თან ისიც იცოდნენ, რომ აურელიანომ სიმამრის მითითებით ცისფერი ბიულეტენი ჩააგდო ყუთში. მხოლოდ უბრალო შემთხვევის გამო გამომჟღავნდა მისი პოლიტიკური სიმპათიები, მხოლოდ და მხოლოდ ცნობისწადილმა გადაადგმევინა მას ეს უგუნური ნაბიჯი — საღსალამათი კაცი სამკურნალოდ მისულიყო ექიმ ნოგერასთან. საღორესავით ბინძური ოთახი ორქიდების და ქაფურის სუნად ჰყარდა. ოთახში აურელიანომ თვალი ჰკიდა ხვლიკივით გამხმარ აულიერა, ვისი ფილტვებიდანაც სტვენა-სტვენით ამოდიოდა ჰაერი. ექიმმა უსიტყვოდ მიიყვანა ავადმყოფი ღია ფანჯარასთან და თვალის გუგა ჩამოუწია. „მანდ არ მტკივა, — უთხრა აურელიანომ, როგორც დაარიგეს ამხანაგებმა, — აი აქ მტკივა, არ მაძინებს“, — ღვიძლის მხარეს დაიდო ხელი აურელიანომ. მაშინ ექიმმა უცებ მოხურა ფანჯარა, მზემ დააჭირაო, და მოსულს უბრალოდ აუხსნა, ნამდვილმა პატრიოტმა რატომ უნდა გამოააალმოს წუთისოფელს კონსერვატორი. რამდენიმე დღე აურელიანოს ჯიბით დაჰქონდა აბებიანი შუშა, დღეში ორჯერ გადმოიპირქვავებდა ხელისგულზე, ერთბაშად სამ აბს ჩაიყრიდა პირში და ნელ-ნელა აღნობდა ენის ქვეშ. დონ აპოლინარ მოსკოტე საყვედურობდა სიძეს, ჰომეოპატიის როგორ გწამს რამეო, მაგრამ სამაგიეროდ შეთქმულების მონაწილეებმა მიიჩნიეს აურელიანო თავისიანად. შეთქმულებაში კი უკვე ჩათრეული იყო თითქმის ყველა უხუცესი მაკონდოელის შვილი, თუმცა რომელიმესთვის რომ გეკითხათ, ალბათ ვერცერთი ვერ გიპასუხებდათ, რისი გაკეთება ევალებოდათ. აურელიანო კი მაშინვე მიხვდა, რაც სურდა ექიმს და შეთქმულებიდან გამოვიდა. მართალია, იგი კონსერვატორთა რეჟიმის დამხობის მომხრე იყო, მაგრამ ექიმის მზაკვრულმა ჩანაფიქრმა მაინც შეზარა: ალირიო ნოგერა ტერორის მომხრე იყო. მისი გეგმით უნდა დახოცილიყვნენ თავს ცალკეულ პიროვნებებს, ამოეწყვიტათ ჩინოვნიკთა ოჯახები და განსაკუთრებით შვილებზე უნდა ეყარათ ჯავრი, რათა ძირშივე აღმოეფხვრათ კონსერვატორთა ყოველგვარი ახალი წამოწყება. დონ აპოლინარ მოსკოტე, მისი ცოლი და ექვსივე ქალიშვილი, რა თქმა უნდა, შავ სიაში იყვნენ.

— თქვენ ლიბერალი კი არა, ყასაბი ხართ, — უთხრა აურელიანომ ექიმს აუღელვებლად.

— მაშინ აბები დამიბრუნე, შენ აღარ გჭირდება, — ასევე აუღელვებლად უპასუხა ექიმმაც.

მხოლოდ ექვსი თვის მერე მიუტანეს აურელიანოს ექიმის ნათქვამი, ეგ კაცი ბრძოლაში არ გამოგვადგება, ზანტი და მეტისმეტად გულჩვილი პიროვნებაა „მარტოობისაკენ ნათლად გამოხატული მიდრეკილებითო“. ამხანაგებმა აურელიანოს შეშინება სცადეს, არ გაგვცესო, მაგრამ იგი შეჰპირდა, კრინტსაც არავისთან დავძრავ, ოღონდ იცოდეთ, როგორც კი მოსკოტების სახლს მოადგებით, კართან მე დაგხვდებითო. ეს ისე შეუვალად და მტკიცედ თქვა აურელიანომ, რომ მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ჩანაფიქრის აღსრულება გაურკვეველი დროით გადაედოთ. სწორედ ამ დროს შევიდა ურსულა შვილთან პიეტრო კრესპისა და ამარანტას მომავალ ქორწილზე მოსალაპარაკებლად და სწორედ მაშინ უპასუხა აურელიანომ დედას, ახლა ქორწილებზე ფიქრის დრო არ არისო. აურელიანოს მთელი კვირა დაჰქონდა ჯიბით ძველისძველი პისტოლეტი, თავის ამხანაგებს უთვალთვალებდა, ნასადილევს ყავის დასალევად ხოსე არკადიოსა და რებეკასთან შეივლიდა. ცოლ-ქმარი მზრუნვე-

ლობას არ აკლებდნენ. ნელ-ნელა აწესრიგებდნენ თავიანთ კარ-მიდამოს. საღამოს ექვსი საათის მერე სიმამრთან მიდიოდა დომინოს სათამაშოდ. დილით საუზმობისას ჭაბუკ არკადიოს ებაასებოდა ხოლმე და თანდათან რწმუნდებოდა, რომ იგი სულისწრაფვით ელოდა ომის დაწყებას. თავის სკოლაში, სადაც თითქმის ახლად ენაადგმული ბავშვების გვერდით მასწავლებელზე უხნესი მოწაფეებიც ისხდნენ, არკადიო ლიბერალიზმმა გაიტაცა. მღვდელ ნიკანორს მოვკლავთ, ეკლესიას სკოლად გადავაკეთებთ, სიყვარულის თავისუფლება გამოვაცხადოთო, ქადაგებდა არკადიო. აურელიანო ბევრს ეცადა, ჭკუაზე მოეყვანა არკადიო, მაგრამ მას გაგონებაც არ სურდა აურელიანოს დინჯი და გონივრული რჩევისა. პოლიტიკით, საქვეყნოდ ლაპარაკობდა, აურელიანო კაცი კი არა, მჩვარია. აურელიანო მოსახდენს ელოდა. ერთ დღესაც, დეკემბრის პირველ რიცხვებში, შეშინებული ურსულა სახელოსნოში შევარდა შვილთან:

— ომი დაიწყო!

მართლაც, ომი სამი თვე გაგრძელდა; მთელს მხარეში სამხედრო წესები გამოაცხადეს. მაკონდოში მხოლოდ ერთმა კაცმა — დონ აპოლინარ მოსკოტემ გაიგო ეს ამბავი დროულად. მაგრამ ენას კბილი დააჭირა და ვიდრე სამხედრო რაზმი ბრძანებისამებრ მოულოდნელად არ შევიდა ქალაქში, ცოლსაც კი არ გაანდო საიდუმლო. ჯარისკაცები უხმაუროდ, ალიონის დადგომამდე შევიდნენ მაკონდოში, თან მოათრიეს ჯორებშებმული ორი ტყვიამფრქვევი და სკოლის შენობაში დაბანაკდნენ. ყაზარმად აქციეს. საღამოს ექვსი საათი კომენდანტის საათად გამოაცხადეს. ყველა ოჯახში საგულდაგულოდ ჩაატარეს რეკვიზიცია და ამჯერად ბარ-ნიჩაბიც კი არ დაუტოვეს ხალხს. ექიმი ნოგერა თავისი ოთახიდან გამოათრიეს, ქალაქის მოედანზე ბოძზე მიაკრეს და ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დახვრიტეს საჯაროდ. მღვდელმა ნიკანორმა, იქნებ ჯარისკაცები ცოტა დავაშოშმინოო, თავისი ჯადოქრული ამაღლების ჩვენება გადაწყვიტა, მაგრამ ერთმა სამხედრომ თოფის კონდახი ჩასცხო თავში საბრალო მოხუცს. აღარსად ჰქროდა ლიბერალური სული. ირგვლივ მდუმარე საშინელება დამკვიდრდა. ფერწასული აურელიანო უფრო გულჩახურული ვახდა. სიმამრს მდუმარედ ეთამაშებოდა დომინოს. მიხვდა, — თუმცა დონ აპოლინარ მოსკოტეს ქალაქის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლის წოდება მიანიჭეს, — იგი კვლავ მოჩვენებით მთავრობას წარმოადგენდა. ყველა საკითხს გარნიზონის მეთაური, კაპიტანი სწყვეტდა. ყოველ დილას ის კრებდა მოსახლეობაში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა დასახმარებლად გამიზნულ დამატებით გადასახადს. მისმა ოთხმა ჯარისკაცმა ცოფიანი ძაღლის დაკბენილი ქალი ოჯახს გამოგლიჯა ხელიდან და ზედ შუა ქუჩაში კონდახების ცემით ამოხადეს სული. ერთ კვირა დღეს, ქალაქის ოკუპაციიდან ორი კვირის თავზე, აურელიანო ხერინელდო მარკესს ესტუმრა სახლში. ცოტა ხნის მერე ჩვეული სიფრთხილით მოითხოვა უშაქრო ყავა და როდესაც სამზარეულოში ორნი დარჩნენ, აურელიანომ ახლა კი უჩვეულო მბრძანებლურ კილოზე თქვა: „ბიჭები მოამზადე, ომში მივდივართ!" ხერინელდომ ყურს არ დაუჯერა:

— კი მაგრამ, რომელი იარაღით აპირებ ბრძოლას?

— მათივე იარაღით, — უპასუხა აურელიანომ.

სამშაბათს ღამით გაბედული ოპერაცია ჩაატარეს: სამზარეულოს დანებითა და წვერწამახული რკინის სარებით შეიარაღებული ოცდაათ წლამდე ასაკის ოცდაერთი კაცი აურელიანოს მეთაურობით გარნიზონს დაესხა თავს, ხელში

ჩაიგდეს იარაღი და მოედანზე დახვრიტეს კაპიტანი და ის ოთხი ჯარისკაციც, ქალი რომ მოკლეს ქუჩაში.

იმავე ღამეს, როცა მოედნიდან ჯერ კიდევ მოისმოდა სროლა, ციხე-სიმაგრე მაკონდოს სამოქალაქო და სამხედრო მმართველად არკადიო დანიშნეს. მეამბოხენი ჩქარობდნენ, ვიდრე ბედისანაბარა მიატოვებდნენ [illegible] კოლებს, ერთი გულიანად მაინც გამოთხოვებოდნენ. აურელიანოს რაზმს ტერორის შიშისგან ბორკილახსნილი ხალხი მიაცილებდა გზად. ეს რაზმი მაკონდოდან გავიდა, რათა მერე შეერთებოდა რევოლუციონერი გენერლის ვიქტორიო მედინას მანაურესკენ დაძრულ ლაშქარს. ქალაქიდან გასვლამდე აურელიანომ დონ აპოლინარ მოსკოტე კარადიდან გამოათრია: „ნუ გეშინიათ, სიმამრო. ახალი მთავრობა სიტყვას გაძლევთ, არ ხელჰყოს თქვენი პიროვნება და თქვენი ოჯახი". დონ აპოლინარ მოსკოტე თვალს არ უჯერებდა, ნუთუ ჩექმებში გამოწყობილი, მხარზე შაშხანაგადაკიდებული ეს მეამბოხე კაცი ჩემი სიძეა, დაღამებამდე დომინოს რომ მეთამაშებოდაო?

— აურელიტო, ეს ხომ სიგიჟეა! — შესძახა მან.

— ეს სიგიჟე კი არა, ომია, — უპასუხა აურელიანომ. — ძალიან გთხოვთ, აურელიტოს ნუღარ დამიძახებთ. დღეიდან მე პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ვარ.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ოცდათორმეტჯერ წამოიწყო შეიარაღებული აჯანყება და ოცდათორმეტჯერვე დამარცხდა. ჩვიდმეტი ქალისაგან ჩვიდმეტი ვაჟიშვილი შეეძინა და ჩვიდმეტივე ერთ ღამეს მოუკლეს, უფროსი ოცდათხუთმეტი წლისა მოკვდა. თვითონ აურელიანოს თოთხმეტჯერ დაესხნენ თავს მოსაკლავად და გადარჩა, სამოცდაცამეტჯერ ჩაუსაფრდნენ და კიდევ გადარჩა, დახვრეტასაც აიცდინა და ერთხელაც იმდენი ქინაქინა ჩაუყარეს ყავაში, ცხენს რომ გააფრთხობინებდა სულს, მაგრამ აურელიანო გადარჩა. მან უარი თქვა რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაბოძებ ორდენზე. იგი გახდა რევოლუციური ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი და სამხედრო მსაჯული. ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა კაცი, ვისიც ასე შინებოდა მთავრობას. ასეთი საქვეყნოდ ცნობილი კაცი იყო აურელიანო, მაგრამ სურათი არასოდეს გადაუღია, უფლებას არვის აძლევდა, მისთვის სურათი გადაეღო. მან უარი თქვა სამუდამო პენსიაზე, ომის შემდეგ რომ დაუნიშნეს, ღრმა მოხუცებულობამდე ოქროს თევზებში აღებული ფულით ცხოვრობდა. თუმცა აურელიანო ბრძოლის ველზე პირველი გაიჭრებოდა ხოლმე, დაჭრით მხოლოდ ერთხელ დაიჭრა და ისიც საკუთარი ხელით კინაღამ არ მოისწრაფა სიცოცხლე. ეს ამბავი მოხდა ნეერლანდის კაპიტულაციის ხელმოწერის შემდეგ, რამაც ბოლო მოუღო თითქმის ოც წელიწადს გაგრძელებულ სამოქალაქო ომებს. აურელიანომ მკერდში დაიხალა რევოლვერი, მაგრამ ტყვიამ ზურგი გაუხვრიტა, გარეთ გავარდა და აურელიანოც იოლად გადარჩა. თავს გადახდენილი მთელი ამ ამბების სანაცვლოდ, სამახსოვროდ და თაობებისთვის გადასაცემად მაკონდოში მხოლოდ ერთ ქუჩას დაარქვეს მისი სახელი. ეს იყო და ეს. მაგრამ, როგორც თვითონ თქვა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, იმ დილით, როცა ოცდაერთკაციან რაზმთან ერთად მაკონდოს ტოვებდა, რათა შეერთებოდა გენერალ ვიქტორიო მედინას ლაშქარს, სულ არ მოელოდა, ბედისწერა ამოდენა სახელსა და დიდებას თუ უმზადებდა.

— ქალაქს შენს იმედზე ვტოვებთ, — უთხრა გზად დამდგარმა აურელიანომ არკადიოს. — ყველაფერი წესრიგშია და აბა, შენ იცი, რომ დავბრუნდებით, უკეთესად დაგვახვედრე.

არკადიომ თავისებურად გაიგო მისი სიტყვები: მელკიადესის ფერადი ნახატებით სავსე წიგნიდან თავისთვის მარშლის ეპოლეტებიანი მუნდირი გადმოიღო, ქამარზე მოკლული კაპიტნის ოქროსფუნჯიანი ხმალი ჩამოიკიდა, ქალაქის შესასვლელში ორივე ტყვიამფრქვევი ჩადგა, მისი მოწოდებებით გულანთებულ ყოფილ მოწაფეებს სამხედრო ტანსაცმელი და იარაღი დაურიგა და ქუჩებში დაქსაქსა, აქაოდა, უცხო კაცს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, ქალაქი კარგად არის გამაგრებული და მისი აღება არც ისე ადვილიაო. მართლაც, არკადიოს გონივრულმა ეშმაკობამ მთავრობა შეაფიქრიანა, მთელი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ გაბედეს თავს დასხმოდნენ ასე რიგად გამაგრებულ მაკონდოს, მაგრამ სამაგიეროდ როცა გაბედეს, ისე დიდი ჯარით დაატყდნენ თავს, რომ ქალაქი სულ რაღაც ნახევარ საათში ჩაიგდეს ხელში. თავისი მმართველობის პირველსავე დღეებში გამოავლინა არკადიომ დეკრეტების დიდი სიყვარული, დღე ერთი იყო და ზოგჯერ ოთხ-ხუთ დეკრეტს გამოაქვეყნებდა ხოლმე. ბრძანებდა იმას, რაც უცაბედად მოუვიდოდა თავში. სავალდებულო სამხედრო სამსახურში თვრამეტი წლის ჭაბუკები მიჰყავდა. მისი ბრძანებით, საღამოს ექვსი საათის მერე ქუჩაში თუ პირუტყვი გამოჩნდებოდა, იგი უკვე პატრონისა აღარ იყო. ხანში შესულ კაცებს დაავალა, წითელი სამკლავურები გაიკეთეთ და ისე გამოდით ქუჩაშიო, მღვდელი ნიკანორი სახლში გამოკეტა, თუ გამოხვალ, დაგხვრეტო, წირვისა და ზარების რეკვის ნებაც მხოლოდ ლიბერალთა მორიგი გამარჯვების დროს დართო. ყველასთვის რომ დაემტკიცებინა, არ ვხუმრობო, ჯარისკაცებს ნება მისცა ზედ მოედანზე დადგმულ ფიტულებზე ევარჯიშათ სროლაში. პირველ ხანებში მაკონდოელები მართლაც ასე ფიქრობდნენ, ახალგაზრდები არიან და თავში უქიქინებთ, ბოლოს და ბოლოს ვინ არიან არკადიო და მისი ჯარისკაცები? გუშინდელი ლაწირაკები, მოწაფეები, რომლებიც დღეს დიდობანას თამაშობენო, მაგრამ ერთ ღამეს, როდესაც არკადიო „კატარინოს დუქანს“ ესტუმრა და ორკესტრის მესაყვირემ ამხანაგებს მიმართა, ახლად გამომცხვარ ხელისუფალს დაფდაფების ბრახუნით შევხვდეთო და ხალხიც გააცინა, — არკადიომ ბრძანა თავხედი მესაყვირე დაეხვრიტათ მთავრობის წარმომადგენლის უპატივცემულობისათვის. ვინც შესიტყვება ვაბედა, ხელზე ხუნდებდადებული ჩაკეტა სკოლის ერთ ოთახში და ბრძანა, წყლისა და პურის გარდა არაფერი მისცეთო. „მკვლელი ხარ! — უყვიროდა ურსულა, — აურელიანო რომ გაიგებს, მოგკლავს, შე საწყალო, და ძალიანაც კარგი იქნება!“ მაგრამ ამაო გამოდგა ყველაფერი. მაკონდოს არ მოსწრებია მასზე უბოროტესი და კაცთმოძულე ქალაქის თავი. „ახლა ხომ მიხვდნენ, ვინ რას წარმოადგენს, — თქვა ერთხელ დონ აპოლინარ მოსკოტემ. — ესეც მაგათი ლიბერალური სამოთხე!..“ არკადიოს მაშინვე მიუტანეს მოსკოტეს სიტყვები. მანაც არც აცია, არც აცხელა, ჯარისკაცებს ჩაუდგა სათავეში და ბრძოლით ჩაიგდო ხელში დონ აპოლინარ მოსკოტეს სახლი. ავეჯი ხომ მიამსხვრია-მოამსხვრია, ქალიშვილებიც გაშოლტა, ხოლო თვით ყოფილი კორეხიდორი ქუჩაში გამოათრია და ყაზარმისაკენ გაუყენა. ეს რომ ურსულამ გაიგო, სახლიდან გამოვარდა და ლამის მთელი ქალაქი გაირბინა სირცხვილითა და რისხვით ანთებულმა, როდესაც აჰყირებული და ხელში შოლტმომარჯვებული...

რდა ყაზარმის ეზოში, იქ უკვე ჯარისკაცები ჩაემწკრივებინათ დონ აპოლინარ მოსკოტეს დასახვრეტად; ის იყო თვით არკადიოს უნდა ებრძანებინა, „ესროლეთო", რომ ურსულა წამში მის გვერდით გაჩნდა:

— აბა, ერთი გაბედე, შე ნაბიჭვარო!

ვიდრე არკადიო გამოერკვეოდა, ურსულამ შოლტი გადაუჭირა და გადაუჭირა. „აბა, ერთი გაბედე, მკვლელო! მაშინ მეც მომკალი, შე ქალბოზის შვილო, რომ შერცხვენა და ცრემლია ღვრა ამცდეს: სად გავამხილო, მე გამოვზარდე ასეთი არამზადა-მეთქი!" ურსულა უმოწყალოდ სცემდა არკადიოს და ვიდრე ეზოს ერთ კუნჭულში არ მიაგდო, არც მოშორებია. დონ აპოლინარ მოსკოტე იმ სვეტზე მიებათ, რაზეც აქამდე ტყვიებით დაცხრილული ფიტული ეკიდა. საწყალ კორეხიდორს გონი დაჰკარგვოდა. ჯარისკაცები შეშინებულები მიმოიფანტნენ, კაითუ განრისხებულმა ურსულამ ჩვენზეც იყაროს ჯავრიო. მაგრამ ურსულას მათთვის ზედაც არ შეუხედავს. ტკივილისა და სიბრაზისაგან აღმუვლებული არკადიო მიატოვა. კორეხიდორი სვეტიდან ჩამოხსნა და შინ წაიყვანა. ვიდრე ყაზარმის ეზოს ჭიშკარს გადააბიჯებდა, ყველა პატიმარი გაანთავისუფლა.

ამ დღიდან ქალაქის მმართველი ურსულა გახდა. მან აღადგინა წირვა კვირაობით, აკრძალა წითელი სამკლავურები და გააუქმა არკადიოს მკაცრი ბრძანებები. თუმცა ქალმა ასეთი სიმამაცე და ძალა გამოიჩინა, ყველას უჩუმრად მაინც დასტიროდა საკუთარ ბედსა და იღბალს. ისე მარტოსული ეჩვენებოდა თავი, რომ წაბლის ძირში მიტოვებულ ქმართან ეძებდა ხსნასა და შვებას. „ხედავ, რას მოვესწარით, — ეუბნებოდა ქმარს იმ ღამეს, როცა ივნისის წვიმა პალმის ტოტების საფარველს მუქარით ურაკუნებდა.—სახლი დაცარიელდა. შვილები თავ-თავიანთი გზით წავიდნენ. მე და შენ კვლავ მარტო დავრჩით". სიგიჟის მორევში ჩაძირულ ხოსე არკადიო ბუენდიას არ ესმოდა ცოლის ჩივილი. მხოლოდ მაშინ გაუნათდებოდა გონება, როდესაც ამარანტა საჭმელს მიუტანდა, ურსულას ჩივილზე კი მაშინვე გამოეთიშებოდა სინამდვილეს. ურსულა ქმარს ბანდა და თან ოჯახზე უამბობდა. „აურელიანო ომშია, აგერ უკვე ოთხი თვეა, მისი არაფერი ვიცით. — გასაპნულ ღრუბელს ზურგზე უსვამდა და თან ენას არ აჩერებდა. — ხოსე არკადიო დაბრუნდა. შენზე მაღალია, მთელი ტანი ჯვრებით აქვს მოხატული. მაგრამ რად გინდა. ოჯახი შეგვირცხვინა". ხანდახან ქალს ეგონა, ქმარს ცუდი ამბები გულზე ხვდება და უმძიმსო. და მაშინვე დაამშვიდებდა ხოლმე: „ჩემს როშვას ყურს ნუ დაუგდებ. — ქალი ნაცარს აყრიდა განავალს და მერე ნიჩბით ერთ ადგილას უყრიდა თავს. — ღვთის წყალობითა და ნებასურვილით ამარანტა და პიეტრო კრესპი დაქორწინდნენ, ბედნიერები არიან". ურსულა იმდენს იტყუებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონ გრძნობდა შვებას, მკერდიდან მძიმე ლოდი ეხსნებოდა. „არკადიოს ვერ იცნობ, დინჯი და გულადი გახდა. უნდა ნახო როგორ უხდება მუნდირი და ხმალი". ურსულას გინდა ქმართან ელაპარაკოს და გინდა მიცვალებულთან: ხოსე არკადიო ბუენდიას არც არაფერი სწყინდა და არც არაფერი უხაროდა. მაგრამ ქალი კვლავ უყვებოდა და უყვებოდა ოჯახის ამბებს. ბოლოს გადაწყვიტა, ბერიკაცი ისეთი მორჩილი და გულგრილია ყველაფრისადმი, არაფერი დაშავდება, რომ ავხსნაო. თოკები შემოხსნა, მაგრამ მოხუცი თავის სკამიდან არც წამომდგარა. იჯდა წვიმასა და მზეში ისე, თითქოს თოკს კი არა, ბორკილზე უფრო გამძლე და უხილავ რაღაცას მიეკრა ხეზე. აგვისტოში, როდესაც ყვე-

ლას გადაწურული ჰქონდა იმედი, ზამთარი აღარ გათავდებაო, ურსულამ, როგორც იქნა, ქმარს აუწყა ის ამბავი, რასაც მისი აზრით, წყალში აღარ გაუვიდოდა: — ბედი გვწყალობს, ამარანტა და პიანოლის ამწყობი იტალიელი ჯვარს იწერენ.

მართლაც, ურსულას კეთილგანწყობით გათამამებულმა ამარანტა და პიეტრო კრესპი თალიან დამეგობრდნენ. ურსულამ ამჯერად საჭიროდ აღარ მიიჩნია ქალ-ვაჟისათვის ეთვალთვალა. პიეტრო კრესპი საღამოობით მოდიოდა ხოლმე ღილკილოში ყვავილდაბნეული და ამარანტას პეტრარკას სონეტებს უთარგმნიდა. ისინი მანამდე ისხდნენ ხოლმე ყვავილების სურნელებით ჩახუთულ შუშაბანდში, ვიდრე კოღოები არ შეაწუხებდათ და სასტუმრო ოთახში არ შეაფარებდნენ თავს. კაცი კვლავ კითხულობდა, ქალი კვლავ ქარგავდა და ორივენი მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს, ომის საშინელება სულაც არ აკრთობდათ. ამარანტას ღრმა, მაგრამ ფარული სინაზე აბლაბუდასავით ეხვეოდა საქმროს და მუდამ, როცა კი რვა საათზე წასასვლელად ემზადებოდა, სამოსს ისე ჩამოიბერტყავდა ხოლმე, თითქოს ამ უხილავი ძაფებისაგან ცდილობდა თავის დახსნას. მათ ერთად შეადგინეს ლამაზი საფოსტო ბარათების ალბომი. პიეტრო კრესპის თავისიანები უგზავნიდნენ ამ ბარათებს. თითქმის ყველა სურათზე გამოსახულნი იყვნენ ბაღის კუთხეში მიყუჟული შეყვარებული ქალი და ვაჟი: კიდევ — ისრით განგმირული გული ან პირიქით, ოქროსფერი ბაფთით გაკრული გული. ბაფთის ბოლოები მტრედებს ეპყრათ ნისკარტში. „ეს ბაღი ფლორენციაშია, — უხსნიდა პიეტრო კრესპი ამარანტას, — საკმარისია ხელის გულზე პურის ნამცეცები დაიყარო და გაიწვდინო, რომ ჩიტები მაშინვე მოფრინდებიან“. ვენეციის სურათებს რომ წააწყდებოდა, პიეტრო კრესპის სამშობლოზე ნაღველი ისე შემოაწვებოდა, რომ ჯერ კიდევ მეხსიერებაში შემორჩენილი დამპალი ზღვის ნიჟარებისა და შლამის სუნი ახლა ყვავილთა სურნელებად ეჩვენებოდა. ამარანტა ოხრავდა. იცინოდა და ოცნებობდა იმ ქვეყანაზე, სადაც ლამაზი კაცები და ქალები ბავშვების ენაზე ლაპარაკობდნენ, ოცნებობდა იმ ქალაქებზე, რომელთა ძველი დიდებიდან მხოლოდ ნაგავში მობრიალე კატებიღა დარჩენილიყვნენ. ბოლოს და ბოლოს პიეტრო კრესპიმ, როგორც იქნა, იპოვა სიყვარული, იპოვა მაშ შემდეგ, რაც მის ძებნაში ოკეანე გადაკვეთა, მას შემდეგ, როცა უკვე შეეძლო ერთმანეთისგან განესხვავებინა სიყვარული და ვნება — აცუნდრუკებული რებეკას მხურვალე კოცნა. იტალიელი ოსტატის ბედნიერებას ისიც დაერთო, რომ შემოსავალი დღითი დღე ემატებოდა. მისი მაღაზია თითქმის მთელს უბანში იყო გაჭიმული და ნამდვილ ზღაპრულ სამყაროს წარმოადგენდა: რას არ ნახავდა კაცი აქ — კურანტიანი ფლორენციული კოშკის ზუსტსა და მცირე ასლს, სორენტულ მუსიკალურ ზარდახშებს თუ ჩინურ საპუდრეებს, რომელთაც თავს რომ ახდიდი, ხუთნოტიან ლამაზ სიმღერას უკრავდნენ. აქ ნახავდით თითქმის ყველა საკრავს, რაც კი არსებობს ქვეყანაზე და ყოველნაირ მოსამართ სათამაშოს, რასაც კი ადამიანის გონება მისწვდება. მაღაზიას პატრონობდა პიეტრო კრესპის უმცროსი ძმა ბრუნო კრესპი. ამ კაცს მუსიკისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი წყალობით თურქების ქუჩა ნამდვილად ზღაპრული ადგილი გახდა თავისი ნაირ-ნაირი და თვალისმომჭრელი ვიტრინებით. აქ ადამიანებს ავიწყდებოდათ არკადიოს თვითნებობაც და გაჭიანურებული ომიც. როდესაც ურსულას ნებართვით აღადგინეს საკვირაო წირვა, პიეტრო კრესპიმ ეკლესიას საჩუქრად უბოძა გერმა-

ნული ფისჰარმონია, ჩამოაყალიბა ბავშვთა გუნდი და გრეგორიანული გალობანი შეასწავლა მათ. ამან, რა თქმა უნდა, ცოტა მაინც შეალამაზა მოვლენილ ნიკანორის უფერული ღვთისმსახურება. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამარანტა სადაცაა იტალიელის ცოლი გახდებოდა. ქალ-ვაჟი გრძნობებს არ აჰყოლია, მშვიდად და დინჯად მიადგნენ იმ ზღვარს, როცა უკვე უნდა დაენიშნათ ქორწილის დღე. მოშურნე არავინ ჰყავდათ. ურსულა სულის სიღრმეში თავს საყვედურობდა, გაუთავებელი „დაუნდობლობით" რებეკას ცხოვრება გავუფუჭე და ახლა ყველაფერი ისე უნდა გავაკეთო, სინდისმა აღარ შემაწუხოსო. ვიღას ახსოვდა რემედიოსის გლოვა! აურელიანოს არყოფნამ, არკადიოს სიმხეცემ, ხოსე არკადიოსა და რებეკას განდევნამ ჩრდილში გადაუნაცვლა ადგილი გლოვასა და მწუხარებას. პიეტრო კრესპი დარწმუნებული იყო, ჯვარს დაიწერდნენ და ამარანტას სიტყვაც გადაუკრა, აურელიანო ხოსე უფროსი შვილივით მეყვარებაო. თქმა არ უნდა, ამარანტამ მიაღწია საწადელს, მყუდრო, ულოდნელი ბედნიერებაა. მაგრამ რებეკასავით როდი აფორიაქდა იგი, ისევე მშვიდად, რა მშვიდადაც კერავდა და ქარგავდა უმშვენიერეს ფარდაგს. ამარანტა ელოდა იმ წუთს, როცა პიეტრო კრესპი ვეღარ გაუძლებდა მოზღვავებულ გრძნობებს. ეს დროც დადგა. ოქტომბერი იყო, გადაუღებელი წვიმების თვე. პიეტრო კრესპიმ ამარანტას მუხლებიდან აიცალა საქარგავი და მისი ხელები ხელში მოიქცია. „მეტი ლოდინი აღარ შემიძლია, — უთხრა აღელვებულმა, — ამ თვეში დავიწეროთ ჯვარი". კაცის გაყინული თითების შეხებაზე ამარანტას წარბიც არ შერხევია. აჰყო, დაუმორჩილებელი ნადირივით გაინთავისუფლა ხელი ტყვეობიდან და კვლავ საქარგავს მისწვდა:

— თავს ნუ იტყუებ, კრესპი, — უთხრა ამარანტამ ღიმილით, — რომც მოვკვდე, ცოლად მაინც არ გამოგყვები.

პიეტრო კრესპი გაშრა, მერე თავი ვერ მოთოკა და უაირცხვილოდ აზლუქუნდა. სასოწარკვეთილმა ლამის თითები დაიმტვრია, მაგრამ ამარანტას სიჯიუტეს ვერა და ვერ გატეხა. „დროს ამაოდ ნუ კარგავ, — უთხრა ამარანტამ, — თუ მართლა გიყვარვარ, ამ სახლში მეორედ შემოსვლა აღარ გაბედო!" ურსულას მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ისე ერჩივნა. პიეტრო კრესპიმ რა არ იღონა, როგორ არ სთხოვდა, მოწყალე თვალით გადმომხედეო, მაგრამ ამაოდ. მეტისმეტად დაიმცირა თავი იტალიელმა. მთელი საღამო ტიროდა ურსულას კალთაში თავჩარგული. ურსულაც ყველანაირად ცდილობდა მის დამშვიდებას: წვიმიან ღამეში ხედავდნენ, აბრეშუმის ქოლგის ქვეშ შეფარებული პიეტრო კრესპი როგორ უტრიალებდა ბუენდიების სახლს, იქნებ ამარანტას ოთახში შუქი დავინახოო. არასოდეს არ სცმია მას ასე ლაზათიანად. ტანჯული იმპერატორივით სახეზე რაღაც არაამქვეყნიური დიდებული სხივი უკრთოდა. ამარანტას მეგობარ ქალიშვილებს გული გაუწყალა, იქნებ შემეხმაროთ და ჩემკენ აქცევინოთ პირიო. საქმეზე გული აიცრუა. მთელი დღეები იჯდა მაღაზიის უკანა ოთახში და ჩხაპნიდა სულელურ წერილებს. შიგ ყვავილის ფურცლებსა და გამხმარ პეპლებს დებდა და ისე უგზავნიდა ამარანტას. ეს წერილები გაუხსნელი და წაუკითხავი უბრუნდებოდა უკანვე. ოთახში გამოკეტილი პიეტრო კრესპი მთელი დღე ციტრაზე უკრავდა. ერთ ღამეს კი იმღერა... გამოღვიძებული და უსაზღვროდ გაკვირვებული ქალაქი ციტრის ზეციურ ხმასა და სიყვარულით ანთებულ სიმღერას მოუსმინა. პიეტრო კრესპიმ თითქმის ყველა ფანჯარაში დაინახა შუქი, მხოლოდ ამარანტას ოთახში ჩაბნელებულიყო

სიბნელე. ორ ნოემბერს, სულის ხსენების დღეს, პიეტრო კრესპის ძმამ მაღაზიის კარი გააღო და თვალსა და ყურს არ დაუჯერა: ყველა ლამპა ენთო, ყველა საათი შეუსვენებლივ რეკდა, უკანა ოთახში კი ვენებგადაჭრილი პიეტრო კრესპი ტახტზე იწვა და ორივე ხელი პირსაბან თასში ჩაეკიდა.

ურსულამ ბრძანა, მიცვალებული ჩემს სახლში გადმოასვენეთო. მღვდელმა ნიკანორმა უარი თქვა, წესს არ ავუგებ, არც წმინდა მიწაში დავამარხვინებთ თავისმკვლელ კაცსაო. ურსულამ არ დაუთმო, „ეს კაცი წმინდანია. რატომ და რისთვის, ამას ჩვენ ვერასოდეს მივხვდებით, თანაც ვიცი, ძალიანაც არ გინდათ, მაგრამ მელკიადესის გვერდით დავასაფლავებ". ასეც მოიქცა, ურსულას მთელმა ქალაქმა აუბა მხარი და უცნოელი დიდებულად მიაბარეს მიწას. ეს დღეები ამარანტა თავის ოთახიდან არ გამოსულა. ბალიშში თავჩარგულს ესმოდა ურსულას მოთქმა, მიცვალებულთან გამოსათხოვებლად მოსულთა ფეხისხმა და ჩურჩული, მერე კი გულს უმძიმებდა ყვავილების სუნით ავსილი დუმილი. კიდევ კარგა ხანს ელანდებოდა ამარანტას ლავანდის სურნელება, პიეტრო კრესპის რომ ასდიოდა ხოლმე, მაგრამ როგორღაც ძალა მოიკრიბა, არ გავგიჟდეო. ურსულამ მთლად მიატოვა. ის კი არადა, გამეხებულს თავიც არ აუწევია, როცა ამარანტა სამზარეულოში შევიდა, ხელი შეყო ანთებულ ღუმელში და იქამდე ეჭირა ცეცხლზე, ვიდრე ტკივილმა კი არა, საკუთარი დამწვარი ხორცის სუნმა არ შეაწუხა. ასე სურდა საკუთარ სინდისის ქენჯნას გაქცეოდა! მერე რამდენიმე დღე ათქვეფილ კვერცხისგულიან თასში ჰქონდა ხელი ჩაყოფილი. ნელ-ნელა მოუშუშდა იარა ხელზეც და გულშიც. ერთადერთი ხილული კვალი თავს გადახდენილი უბედურებისა იყო შავი ფილასი, რომელსაც ამარანტა სიკვდილამდე არ მოიცილებს დამწვარი ხელიდან.

მოულოდნელად არკადიომ გულმოწყალება გამოიჩინა: პიეტრო კრესპის გარდაცვალების გამო საყოველთაო მგლოვიარობის ბრძანება გამოსცა. ურსულას იმედი მოეცა, გზაარეული ცხვარი ფარაში დაბრუნებას აპირებსო. მაგრამ შეცდა. მაინც როდის დაკარგა ურსულამ არკადიო? არკადიო მისი არც არასოდეს ყოფილა. არადა, ქალს ეგონა, რებეკასაც და მასაც შვილივით ვზრდიო. არკადიო გულჩახვეული და მხდალი ბიჭი იზრდებოდა. მისმა ბავშვობამ ხომ იმ ხანებში განვლო, როცა ქალაქს უძილობის ეპიდემია მოედო, როცა ურსულა სახლის მშენებლობამ ლამის გადაიყოლა, ხოსე არკადიო ბუენდია ჭკუაზე შეიშალა, აურელიანო ჩაიკეტა, ამარანტა და რებეკა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. თუმცა აურელიანომ წერა-კითხვა შეასწავლა არკადიოს, მაგრამ გაკვეთილებზე უცხოსავით ზერელედ ექცეოდა და სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. თავის გამონაცვალ ტანსაცმელსაც აძლევდა, მაგრამ ისეთი ძველი და გამოუსადეგარი იყო, რომ ვისიტასიონი ძლივს არგებდა ტანზე გადაკეთების მერე. არკადიოს ყელში ჰქონდა ამოსული დიდი, ფლატუნა ფეხსაცმელები, დაკემსილ-დაკერებული შარვლები და თავისი ქალური თეძოები. მხოლოდ ვისიტასიონსა და კატაურეს ელაპარაკებოდა და ისიც მათ ენაზე. ერთადერთი კაცი, ვინც არკადიოს გულისხმიერად მოეპყრო, მელკიადესი გახლდათ. იგი ბიჭს უკითხავდა თავის უცნაურ ნაწერებს, ასწავლიდა დაგეროტიპის გადაღებას. არავინ არ იცოდა, რა მწარედ გამოიტირა არკადიომ მოხუცი. ყველას უმალავდა თავის ნაღველს. სასოწარკვეთილი იჩხრიკებოდა ბოშასავე ნაწერებში, იქნებ ისეთი რამ ამოვიკითხო, მელკიადესს რომ გააცოცხლებსო. მერე და მერე სკოლაში დაიწყო მუშაობა, იქ პატივს სცემდნენ და სჯეროდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი, მერე კიდევ მკაცრმა ბრძანებებმა და საუცხოო მუნდირმა ნელ-ნელა გადაუყარა ნაღველი გულიდან. ერთხელ საღამოს, „კატარინოს დუქანში" ვიღაცამ შეჰბედა: ღირსი არა ხარ შენი გვარისაო; ყველასდა გასაოცრად, არკადიოს არ მიუხვრეტია თავხედი.

— საბედნიეროდ, თქვა მან, — მე ბუენდია არ ვარ.

ვისაც მისი წარმომავლობისთვის მოეკრა ყური, იფიქრეს, არკადიომ ყველაფერი იცისო, მაგრამ სინამდვილეში მან არაფერი იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებს თავისი მშობლების ვინაობას. პილარ ტერნერასაკენ — თავისი დედისაკენ — იმდაგვარივე გრძნობებით ილტვოდა, როგორითაც ხოსე არკადიო და აურელიანო. როდესაც ჩაბნელებულ ოთახში დაგეროტიპის დამუშავებაში გართულ არკადიოს ეს ქალი წამოადგებოდა თავს, ვაჟს სისხლი აუჩქროლდებოდა ხოლმე ძარღვებში. თუმცა პილარ ტერნერას მომხიბვლელობა და მშვენიერი სიცილი წლებს გაჰყოლოდა, არკადიო მას მაინც ყველგან ეძებდა და პოულობდა კიდეც კვამლის სუნზე, ქალს რომ ასდიოდა. ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ დღეს ქალმა თავის პატარა ბიჭს მიაკითხა სკოლაში. არკადიო თავის ოთახში იყო. ამ ოთახში იგი ისვენებდა ხოლმე, მერე კი საპატიმროდ გადააქცია. ვიდრე ბავშვები ეზოში თამაშობდა, არკადიო ჰამაკში იწვა და მოუთმენელი კანკალით ელოდა პილარ ტერნერას გამოჩენას. იცოდა, ამ დროს უსათუოდ მოვიდოდა და მის ოთახში გაივლიდა. მართლაც მოვიდა ქალი. არკადიომ ხელი სტაცა და ჰამაკისკენ მიიზიდა. „არა, არა, — შეძრწუნდა ქალი, — ძალიან მინდა გასიამოვნო, მაგრამ ღმერთია მოწმე, არ შემიძლია". არკადიო ჯანითა და ღონით ბუენდიებს ჰგავდა. ძლიერად მიიზიდა ქალი და წელში მარწუხებივით რომ ჩაავლო ხელი, იგრძნო, სადაცაა გონს დაკარგავდა: „კარგი ხვითო ხარ, — უთხრა ქალს, — ქვეყანამ იცის, რომ კახპობ". პილარ ტერნერას უცებ შეზიზღდა საკუთარი ბედუკუღმართი ცხოვრება, მაგრამ უმალვე ჩაიხშო ზიზღი:

— ბავშვები დაგვინახავენ, — ჩასჩურჩულა ვაჟს. — ამაღამ კარს ნუ ჩაკეტავ.

დაღამდა, არკადიო ჰამაკში იწვა და ელოდებოდა, ციებაშეყრილივით ძაგძაგებდა; თვალი არ მოუხუჭავს და ირგვლივ გამეფებული დუმილისთვის მიეპყრო ყური. მხოლოდ ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და თითქოს დაკანონებულ წესს იცავსო, ერთსა და იმავე დროს ყვიროდა რომელიღაც ჩიტი. არკადიოს გაცოფებას აღარაფერი უკლდა, რომ უცებ კარი გაიღო... გაივლის რამდენიმე თვე და კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგომი არკადიო კვლავ გაიხსენებს იმ ღამეს: გვერდით საკლასო ოთახში ვიღაცა მოფათურობდა ბნელში, სკამს ფეხი გამოკრა და ბრახუნმაც გაკვეთა მდუმარება, მერე ლანდი ჩამუქდა და ადამიანის სხეული გამოიკვეთა. გულისცემამ ჰაერი შეარხია, მაგრამ ეს არ იყო არკადიოს მკერდში მოფართხალე გული. ხელი გაიშვირა და ვიღაცის ხელს წაეპოტინა, მაგრამ იგრძნო ეს ბეჭდებიანი თითები სხვა ქალისა იყო. დროზე შეაშველა ხელი, თორემ უკუნეთი ჩაყლაპავდა მოსულს. ვაჟმა თითებქვეშ ქალის ძარღვებიც იგრძნო და მისი მაჯისცემაც, ნოტიო ხელის გულზე თითქოს დაინახა, სიცოცხლის ხაზს როგორ კვეთდა ცერათითიდან წამოსული სიკვდილის ხაზი. მიხვდა, ეს ის ქალი არ იყო, ვისაც ელოდა, ამ ქალს კვამლის სუნი არ ასდიოდა, ყვავილოვანი საცხის სურნელება დაჰკრავდა მის კანს, მკვრივი მკერდი და მამაკაცივით პატარა ძუძუსთავები ჰქონდა, მინაზებულს

გამოუცდელობა ეტყობოდა. იგი ქალიშვილი იყო და საოცარი სახელი ერქვა — სანტა სოფია დე ლა პიედადი. პილარ ტერნერას ამ ქალიშვილისთვის ორმოცდაათი პესო — თითქმის მთელი თავისი დანაზოგის ნახევარი უჩუქებია და იმის გაკეთება დაუვალებია, რასაც ახლა აკეთებდა იგი. არკადიოს ეს ქალიშვილი არაერთხელ უნახავს, თავის მშობლებს რომ ეხმარებოდა პაწია დუქანში, მაგრამ არასოდეს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, რადგან თავად ქალიშვილს ჰქონდა იშვიათი ღირსება, ვიდრე არ მოიძიებდნენ, თვითონ ჩრდილიდან გამოსულიყო. მაგრამ იმ ღამეს კატასავით განაბა სული ვაჟის თბილ ხელებში მომწყვდეულმა. ამ დღიდან გოგო სიესტის დროს მიდიოდა ხოლმე სკოლაში მშობლების ნებართვით, რომლებსაც პილარ ტერნერამ თავისი დანაზოგი ფულის მეორე ნახევარი მისცა. ცოტა მოგვიანებით მთავრობის ჯარებმა სკოლიდან გაასახლეს ქალ-ვაჟი და ისინიც თავიანთ სასიყვარულო საქმეებს დუქნის უკან, კარაქის ყუთებსა და სიმინდით სავსე ტომრებზე განაგრძობდნენ. როცა არკადიო ქალაქის სამხედრო და სამოქალაქო მმართველად დანიშნეს, ქალიშვილიც შეეძინა.

ერთადერთი ნათესავები, ვინც ეს ამბავი გაიგო, იყვნენ ხოსე არკადიო და რებეკა. არკადიო იმ ხანებში მათთან ხშირად დაიარებოდა, მაგრამ ნათესაობაზე უფრო მეტად თანამოაზრეობა აახლოვებდა მათ. ხოსე არკადიომ ქმრის უღელი დაიდგა ქედზე. რებეკა მაგარი ქალი გამოდგა, მისმა ამოუყორავმა სტომაქმა, ჯიუტმა პატივმოყვარეობამ მოთოკა ერთ დროს დაუმორჩილებელი კაცი. ზარმაცი და ქალების მოყვარული ხოსე არკადიო გადაიქცა ერთ დიდ და გამძლე მუშა პირუტყვად. მათ სახლში სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. დილ-დილაობით რებეკა ფანჯრებს აღებდა, სასაფლაოდან წამოსული ქარი ფანჯრებიდან შემოიჭრებოდა ეზოში და კარიდან გადიოდა, ოთახებში კი — კედლებსა და იატაკზე — მიცვალებულთა მტვერს ტოვებდა. მიწის ჭამის სურვილი, მშობლების მორაკუნე ძვლები, საკუთარი გახურებული სისხლის ხმაური და პიეტრო კრესპის მოუქნელობა — რებეკამ სადღაც, მოგონებათა სხვენზე შეყარა. მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა და ქსოვდა. მხოლოდ მაშინ წამოდგებოდა, თიხის ქოთნები რომ აცეკვდებოდნენ თაროზე: ტყიდან ბრუნდებოდნენ ტალახში ერთიანად ამოთხვრილი ძაღლები და მათ უკან დეზებიან ჩექმებში გამოწყობილი გოლიათი კაცი, რომელსაც ხელთ ორლულიანი თოფი ეპყრა და ქამარზე ნანადირევი ეკიდა. გოლიათს ერთი-ორჯერ ირემიც მოუკლავს, მაგრამ უფრო ხშირად კურდღლები და გარეული იხვები მოჰქონდა. ერთ საღამოს, ქალაქის მმართველად ახლად დანიშნულმა არკადიომ მოულოდნელად მოისურვა რებეკასა და მისი ქმრის მონახულება. რაც სახლი მიატოვეს, მას მერე არ ენახა ცოლ-ქმარი. არკადიოს ისე შინაურულად და უშუალოდ ეჭირა თავი, რომ მასპინძელმა მწვადზე შეიპატიჟა სტუმარი.

არკადიომ მხოლოდ ყავის სმის დროს გაუმხილა მათ თავისი სტუმრობის მიზეზი. გიჩივიანო, — უთხრა ხოსე არკადიოს, — თავისი ნაკვეთი რომ გადახნა, მერე მეზობლებისას მიადგა, ჯორებით მიანგრ-მოანგრია ღობეები და სახლები და მთელი ახლომახლო მიწები მიითვისაო. ის გლეხები კი, ვისი მიწებიც აღარ ჭირდება, დაბეგრა და ყოველ შაბათს ძაღლებითა და ორლულიანი თოფით მხარზე გადაკიდებული მიადგება ხოლმე ბეგარის ასაღებადო. ხოსე არკადიოს თავი არ უმართლებია. ეს მიწებიო, თქვა მან, ხოსე არკადიო ბუენდიამ დაჰყო და დაანაწილა ჯერ კიდევ მაკონდოს დაარსებისას, მე კი ხალხს მინდა დავუმტ-

კიცო, რომ მამაჩემი მაშინაც აფრენდა, აბა, ისე სხვანაირად როგორ დაური-გებდა ვიღაც-ვიღაცებს ბუენდიების კუთვნილ მიწასო. ეს ახსნა-განმარტება სულაც არ ჰირდებოდა არკადიოს, აქ იგი სიმართლის დასადგენად როდი მო-ვიდა. მასპინძელს შესთავაზა, სარეგისტრაციო კანტორა შევქმნათო. მიტაცე-ბულ მიწებს იმ პირობით დავიმტკიცებთ, თუ ნებას მოგვცემ, ბეგარას მთავ-რობამ აკრიფოსო. გაივლის რამდენიმე წელიწადი და როცა პოლკოვნიკი აუ-რელიანო ბუენდია გადახედავს მიწების გაყოფა-განაწილების საქმეებს, აღმოა-ჩენს, რომ მისი ძმის სახელზე იყო მიწერილი თითქმის ყველა ნაკვეთი, სასა-ფლაოც და თვით აურელიანო ბუენდიას კარ-მიდამოც, ერთი სიტყვით, მთე-ლი ის გადასახედი, რასაც კი თვალი მიწვდებოდა გორაკიდან. პოლკოვნიკმა აღმოაჩინა აგრეთვე, რომ თავისი მმართველობის თერთმეტი თვის მანძილზე არკადიოს ჯიბე გაესქელებინა არა მარტო გადასახადზე აკრეფილი ფულით, არამედ იმ ფულითაც, რასაც ხოსე არკადიო იღებდა მის ნაკვეთზე მიცვალე-ბულის დასაფლავების ნებართვაში.

ურსულამ კარგა ხანს არ იცოდა არკადიოს ამბავი, უმალავდნენ, ისედაც ბევრი სადარდებელი აქვსო. თვითონ იეჭვა რაღაც. „არკადიო სახლს იშე-ნებს, — მოგონილი სიამაყით ახარა ქმარს, როცა გოგრის წვენს კოვზით ას-ხამდა პირში, მაგრამ უნებურად ოხვრაც ამოაყოლა ამ სიტყვებს: — რატომღაც არ მომწონს ეს ამბავი“. მერე, როდესაც გაიგო, არკადიომ სახლი რა არის, ავეჯიც გამოიწერაო, სავსებით ალარაფერი დარჩა ქალს, არკადიო ხალხის ფულს იჯიბავ-სო. ერთ კვირა დღეს, წირვიდან დაბრუნებულმა ურსულამ დაინახა არკადიო თა-ვის ოფიცრებთან კარტს თამაშობდა და უყვირა: „შენ ჩვენი ოჯახის შემარც-ხვენელი ხარ!“ არკადიომ არად ჩააგდო მისი სიტყვები. მხოლოდ მაშინ გაიგო ურსულამ, რომ არკადიოს ექვსი თვის გოგო ჰყავდა, სანტა სოფია დე ლა პიე-დადთან ჯვარდაუწერელად ცხოვრობდა და რომ ქალი კიდევ ორსულად იყო თურმე. ურსულამ გადაწყვიტა, ყველაფერი დაწვრილებით მიეწერა პოლკოვ-ნიკ აურელიანო ბუენდიასთვის — სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი — მაგრამ მალე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ წერილის გაგზავნა კი არა, ლამის სანა-ნებელი გაუხდა ქალს, ასეთი განზრახვა გულში როგორ ჩაიდეო. აქამდე მა-კონდოელებისათვის ომი მხოლოდ სიტყვა იყო, მარცვლებისაგან შემდგარი სიტყვა და ბოლომდე ვერც ჩასწვდენოდნენ მის არსს, ახლა კი იგი დრამატულ რეალობად იქცა მათთვის. თებერვალი იწურებოდა, როდესაც ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა ცოცხებით დახვავებულ ვირზე შემჯდარი მტვრისგან მთლად განაც-რისფერებული დედაბერი. ისეთი საცოდავი შესახედავი იყო, რომ ქალაქის მე-ცხოვრეებს არც გაუჩერებიათ. შორეთელი ცოცხებით მოვაჭრე ჰგონებიათ. დედაბერმა პირდაპირ ყაზარმისაკენ გასწია. არკადიომ იგი მიიღო ყოფილ საკ-ლასო ოთახში, რომელიც ახლა ზურგში დაბანაკებულთა ადგილსამყოფელს წარმოადგენდა: ჰამაკები ზოგი დახვეული ეყარა, ზოგიც გაეკიდათ, თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში დაეხვავებინათ ჰილოფები, იატაკზე მიმოფანტული იყო შაშხანები, კარაბინები და სანადირო თოფებიც კი. დედაბერი დამხვდურს მხედრულად გაეჭიმა:

— პოლკოვნიკი გრეგორიო სტივენსონი გახლავართ.

ცუდი ამბები ჩამოიტანა პოლკოვნიკმა: ლიბერალთა აჯანყებები ყველ-გან ჩაახშეს. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ რიოაჩიდან უკან დაიხია და თქვენთან გამომაგზავნა, რათა გადმოგცეთ შემდეგი: მაკონდო უომრად უნდა

დანებდეს მოწინააღმდეგეს იმ პირობით, თუ ლიბერალთა სიცოცხლესა და ქონებას არ ხელჰყოფენო. არკადიომ ზიზღნარევი სიბრალულით შეათვალიერა უცნაური მაცნე, რომელიც მართლა საწყალ დედაბერს დამსგავსებოდა.

— თქვენ ალბათ წერილობითი ბრძანებაც გაქვთ თან, — უთხრა მან.

— რა თქმა უნდა... — უპასუხა შიკრიკმა. — არა მაქვს, განა არ იცით, ასეთ დროს არ შეიძლება თან იქონიო ის, რაც გაგცემს.

მერე კორსაჟიდან გამოაძვრინა ოქროს თევზი და მაგიდაზე დადო. „მე მგონი, ეს საბუთი იკმარებს“, — თქვა მან. „მართალია, ეს თევზი აურელიანო ბუენდიას ნახელავია, მაგრამ იქნებ ომამდე იყიდა ვინმემ, ამიტომ საბუთად არ გამოგადგებათ“, — უპასუხა არკადიომ. შიკრიკი იძულებული გახდა სამხედრო საიდუმლოც გაეცა. „პოლკოვნიკი კიურასაოსკენ მიიწევს ფრიად დიდი მიზნისთვის — სურს კარიბის ზღვის კუნძულებიდან განდევნილები დაიქირაოს, იარაღი იშოვოს და წლის დამლევისთვის ჯარი გადმოსხას ნაპირზე. ივი დარწმუნებულია, ეს გეგმა წარმატებით დაგვირგვინდება და ამიტომაც სურს თავიდან აიცილოს უმიზნო ხოცვა-ჟლეტა“. მაგრამ არკადიო მაინც არ გატყდა, ბრძანა, ვიდრე შიკრიკის ვინაობას არ დავაზუსტებთ, დაამწყვდიეთო, და გადაწყვიტა მაკონდო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაეცვა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. ლიბერალთა დამარცხების ამბავი თანდათან მოედო ხეობას. მარტის ერთ დღეს, როცა ნაადრევი წვიმა უშხაპუნებდა მაკონდოს ქუჩებს, ბუკის განწირულმა ხმამ გაჰკვეთა ქალაქში ჩამოწოლილი დაძაბული მდუმარება, ბუკს ქვემეხის გრიალი და ეკლესიის გუმბათის ჩამოქცევა მოჰყვა. წინააღმდეგობის გაწევა მართლაც რომ უაზრობა იყო. არკადიოს მხოლოდ ორმოცდაათი კაცი ჰყავდა და ისიც თვითეულს ოცზე მეტი ტყვია არცა ჰქონდა. მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი ყოფილი მასწავლებლის ლამაზლამაზი მოწოდებებით ისე ანთებოდათ გული, რომ სიცოცხლესაც არ დაიშურებდნენ. ზარბაზნების ქუხილმა პიწა შეაზანზარა, ისმოდა უწესრიგო სროლა, ჩექმების ბრაგუნი, ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებები და ბუკის უადგილო ხმა. სწორედ ამ არეულობაში როგორღაც მოახერხა არკადიოსთან შეხვედრა იმ კაცმა, ვინც პოლკოვნიკ სტივენსონად გაეცნო მაკონდოს მმართველს: „ამაშორეთ ულირსი სიკვდილი. არ მინდა ხელზე ბორკილდადებული და დედაკაცის ძონძებში გახვეული მოვკვდე. თუ სიკვდილი მიწერია, დაე ბრძოლის ველზე მოვკვდე“. ახლა კი გატყდა არკადიო და ბრძანა, თოფი და ოცი ტყვია მიეცითო, მერე ხუთ კაცთან ერთად დატოვა ყაზარმის გასამაგრებლად, თვითონ კი შტაბს გაჰყვა, რათა საალყო ბრძოლებისთვის ეხელმძღვანელა. არკადიომ ქალაქიდან ვეღარ გააღწია, ზედ კარიბჭესთან ბარიკადები დაენგრიათ. მაკონდოელები უკვე ქუჩებში იბრძოდნენ, ახლიდან სახლში გადადიოდნენ, ვიდრე ვაზნები ეყოთ. შაშხანები იაროდნენ, მერე პისტოლეტები მოიშველიეს, ბოლოს კი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. ქალები მიხვდნენ, დამარცხება კარზეა მომდგარიო, და სამზარეულოს დანებით შეიარაღებულნი გავარდნენ ქუჩაში. ამ ორომტრიალში არკადიომ თვალი მოჰკრა, ამარანტას ლამის პერანგი ეცვა, ხელში ხოსე არკადიო ბუენდიას ძველი პისტოლეტი ჩაებღუჯა და შეშლილივით დაეძებდა მას. არკადიომ თავისი შაშხანა გადასცა ბრძოლაში უიარაღოდ დარჩენილ ერთ ოფიცერს, თვითონ ამარანტას მივარდა და ქუჩის შესახვევისაკენ გაიყოლია, რათა შინ მიეყვანა. ურსულა კარებში იდგა და ელოდა. არად აგდებდა ტყვიების ზუზუნს და მეზობლის სახლის დახვრეტილ

კედლებს. წვიმამ გადაიღო. ქუჩები საპნის ქაფივით სველი და რბილი იყო, ღამის ბინდბუნდში ალალბედზე მიაბიჯებდნენ. არკადიომ ამარანტა ურსულას მიჰგვარა, თვითონ მაშინვე მობრუნდა და მის მოსაკლავად მახლობელ [illegible] ჩასაფრებულ ორ ჯარისკაცს ესროლა. განჯინაში კარგა ხანს უქმად [illegible] პისტოლეტი არ გავარდა. ურსულა არკადიოს აეფარა და ახლოს [illegible]

— წავიდეთ, თუ ღმერთი გწამს, — უყვიროდა იგი. — [illegible] სულელეს!

ჯარისკაცებმა ორივე ამოიღეს მიზანში.

— სენიორა, მოშორდით მაგ კაცს, — უყვირა ერთმა. — თორემ იცოდეთ, პასუხს არაფერზე ვაგებთ!

არკადიომ ჩამოიშორა ურსულა და დანებდა. არ გასულა ცოტა ხანი და სროლაც შეწყდა, სამაგიეროდ ზარები აგუგუნდნენ. წინააღმდეგობა ნახევარ საათში ჩაახშეს. არკადიოს მომხრეებიდან ცოცხალი არავინ დარჩენილა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ ამასი ჯარისკაცის წინააღმდეგ. ჯერ ყაზარმაზე რომ მიდგა და მთავრობის ჯარები გადამწყვეტი იერიშისთვის მოემზადნენ, იმ კაცმა, ვინც თავის თავს პოლკოვნიკი გრეგორიო სტივენსონი უწოდა, გაათავისუფლა ტუსაღები და თავის ჯარისკაცებს უბრძანა, ყაზარმა დატოვეთ და ქუჩაში მიეშველეთ ჩვენებსო. იგი ყაზარმაში მარტო დარჩა და ისე მკვირცხლად და ზუსტად ისროდა შაშხანას ხან ერთი და ხან მეორე ფანჯრიდან, რომ მოწინააღმდეგემ იფიქრა, ყაზარმას მთელი რაზმი იცავსო. და შენობას ქვემეხი დაუშინა... მთავრობის ჯარების კაპიტანი გაოცდა, როცა ნანგრევებში მხოლოდ ერთი ნიფხვისამარა კაცი ნახა, მისთვის ყუმბარას მარჯვენა ხელი მოეგლიჯა, რომელსაც ჯერ ისევ მაგრად ჩაებღუჯა შაშხანა. კაცს გრძელი თმა კეფაზე დაემაგრებინა ქალივით, ყელზე ოქროს თევზი ეკიდა ავგაროზად. „ეშმაკმა დალახვროს — შეჰყვირა კაპიტანმა და მოახლოებულ ოფიცრებს მიმართა: — ხედავთ, სად გამოგვიტყვრა ეს კაცი. ეს ხომ გრეგორიო სტივენსონია!"

განთიადისას სამხედრო-საველე სასამართლოს განკარგულებით არკადიო სასაფლაოს გალავანთან დახვრიტეს. სიცოცხლის ბოლო ორ საათში არკადიოს ვერაფრით ვერ გაეგო, სად გაუქრა ის შიში, ბავშვობიდანვე რომ სტანჯავდა. სრულიად მშვიდად ისმენდა იგი უამრავ ბრალდებას, მაგრამ ეს სიმშვიდე როდი ნიშნავდა, ვითომდა ვინმეს აკვირვებდა თავის ეს-ეს არის ახლად აღმოჩენილი უშიშროებით. არკადიო ფიქრებმა გაიტაცა: ურსულა ახლა ალბათ წაბლის ძირში ზის და ხოსე არკადიო ბუენდიასთან ერთად ყავას შეექცევა: თავისი რვა თვის გოგონასთვის ჯერაც არ დაერქმია სახელი; ნეტავ მეორე ბავშვს, აგვისტოში რომ დაიბადება, რაღას დაარქმევენ? არკადიოს სანტა სოფია დე ლა პიედადი დაუდგა თვალწინ: გუშინ საღამოს, საომრად რომ მიდიოდა, ქალმა დააბარა, შაბათს იქნებ ირემზე ინადიროო. არკადიოს მოენატრა ტალღებივით მხრებზე დაფენილი მისი შავი თმა და გრძელი, ხშირი წამწამები, ნამდვილს რომ არც ჰგავდნენ. არ იფიქროთ, გრძნობებს აჰყვა და იმიტომ მოიგონა ახლობლები, — არკადიო მთელი სიჯასტიკით აჯამებდა თავის ცხოვრებას და თანდათანობით ხვდებოდა, სინამდვილეში თურმე რა ძლიერ ჰყვარებია ის ხალხი. სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარემ თავისი საბოლოო სიტყვა რომ წამოიწყო, არკადიომ ვერც შეამჩნია, ისე გასულიყო ორი საათი. „იმ შემთხვევაშიც კი, აქ ჩამოთვლილი დანაშაულებანი რომ არ დაემოწმებინათ უა-

წრავი საგზილით, — თქვა თავმჯდომარემ. — და მხოლოდ ეს ერთი დანაშაული ჩაუდინა ბრალდებულს, — კერძოდ, თავისი ხალხი რომ გაიმეტა უაზრო და უმიზნო ხოცვა-ჟლეტისთვის. — ვიმეორებ, ეს ერთი დანაშაულიც საკმარისია, რათა მას სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანოთ". ამ დანგრეული სკოლის შენობაში — იქ, სადაც არკადიომ პირველად იწმუნა საკუთარი ძლიერება, რაც ხელისუფლების სათავეში დგომამ მოუტანა, და სადაც პირველად შეიცნო სიყვარულით ნაშობი ძლიერება, — სწორედ აქ მოეჩვენა უაზრო და უადგილო სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. სიმართლე რომ ითქვას, სიკვდილი მისთვის არაფერი იყო, მისთვის მთავარი იყო სიცოცხლე და ამიტომაც განაჩენის გამოტანისას, შიში კი არა, რაღაცნაირი ნაღველი დაეუფლა მხოლოდ. სიტყვაც არ დაუძრავს, ვიდრე არ ჰკითხეს, სიკვდილის წინ რას ისურვებო.

უთხარით ჩემს ცოლს, ქალიშვილს ურსულა დაარქვას. — ცოტაოდენი დუმილის მერე დაუმატა: — ბებიის სახელი. უთხარით კიდევ, რომ მეორეს, თუ ბიჭი დაიბადა, ხოსე არკადიო დაარქვას, ოღონდ ბიძის კი არა, პაპის საპატივცემულოდ.

ვიდრე კედელთან მიაყენებდნენ, მღვდელმა ნიკანორმა აღსარება სთხოვა. „არაფერს ვნანობ", — უთხრა არკადიომ, ფინჯანი შავი ყავა დალია და ჯარისკაცებს მიანდო თავი. სასიკვდილო განაჩენის აღსრულება იმ კაპიტანს მიანდეს, ვისაც სამართლიანად ეძახდნენ როკე-ყასაბს. იგი ხომ დახელოვნებული იყო ამ საქმეში. ჯიუტად წვიმდა, როცა არკადიო სასაფლაოსკენ მიაბიჯებდა; ჰორიზონტზე ოთხშაბათი დღის სხივოსანი დილა მოიპარებოდა. არკადიომ ლამის [illegible] გაეყოლა თავისი ნაღველი, მაგრამ სამაგიეროდ უსაზღვრო ცხოვრების წადილმა შეიპყრო მთელი მისი არსება. როცა უბრძანეს, კედელთან დადექიო, უცბად რებეკა დაინახა. ქალს თმა სველი ჰქონდა, ვარდისფერი ყვავილებით დაჩითული კაბა ეცვა და ფანჯრებს აღებდა. არკადიო მთელი ტანით დაიძაბა, იქნებ რებეკამ დამინახოსო. მართლაც დაინახა რებეკამ. სასაფლაოს გალავანს თვალი სწრაფად შეავლო, ზარდაცემული გახევდა, მერე ძალა მოიკრიბა და გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია. არკადიომაც აუწია ხელი. ამასობაში შავლულიანი შაშხანები დაუმიზნეს და არკადიოს უცბად მოესმა, მელქიადესის ენციკლიკებს მღეროდნენ უშეცდომოდ; მოესმა, როგორ მოფათურობდა სანთლებიან საკლასო ოთახში სანტა სოფია დე ლა პიედადი, და მოაგონდა: მკვდარი რემედიოსის სახეს რომ დასცქეროდა, უკვირდა, ცხვირი ასე რომ გაუმაგრდა. ახლა კი თვითონ იგრძნო, ყინულივით ცივი და მაგარი ვახდომოდა ცხვირი. „ღმერთმა დასწყევლოს, — მოასწრო გაფიქრება, — როგორ დამავიწყდა მეთქვა: თუ გოგო დაიბადება, რემედიოსი დაარქვან-მეთქი". მერე მეხივით დაატყდა თავს ის შიში, რაც მთელი ცხოვრება სტანჯავდა. კაპიტანმა სროლის ბრძანება გასცა. არკადიომ ძლივს მოასწრო თავაწეული მკერდი წინ გამოეშვირა, რომ ვერ გაიგო, საიდან მოდიოდა ეს ცხელი სითხე, ლაჯებს რომ უწვავდა.

— არამზადებო! — შეჰყვირა მან. — გაუმარჯოს ლიბერალების პარტიას!

მაისში ომი დამთავრდა. ორი კვირით ადრე, ვიდრე მთავრობა ბრძანებას გამოაქვეყნებდა: — მეამბოხეთა მოთავეებს მკაცრად დავსჯითო, — ინდიელი ექიმბაშის სამოსში გადაცმული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ზედ დასავლეთის საზღვართან შეიპყრეს. პირველ დღეს, ბრძოლის გზას რომ

დაადგა, მას ოცდაერთი კაცი ახლდა თან, თოთხმეტი ბრძოლის ველზე დაეცა, ექვსი დაიჭრა და ახლა ამ საბედისწერო წუთს მხოლოდ ერთიღა შერჩენოდა: პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დატყვევების ამბავი მაშინვე ოფიციალურად აცნობეს მაკონდოში. „ცოცხალი ყოფილა, — ახარა ურსულამ ქმარს. — ვილოცოთ, იქნებ მტერმა შეიწყალოს". სამი დღე იტირა შვილი, მეოთხე დღეს კი, სამზარეულოში ქლიავის ნამცხვარს რომ დასტრიალებდა თავს, ცხადად მოესმა ვაჟიშვილის ხმა. „აურელიანო იყო, ნამდვილად ის იყო, — ყვირილით გაიქცა ქალი წაბლის ხისაკენ, — არ ვიცი, რა სასწაულით, მაგრამ მჯერა, ნამდვილად ცოცხალია და მალე ვნახავთ!" ურსულას სჯეროდა, ასეც იქნებოდა. მაშინვე ბრძანა, იატაკი მოერეცხათ და სახლი მიელაგ-მოელაგებინათ. კვირის თავზე წინათგრძნობა აუხდა, მაგრამ ვაი ამ ახდენას! ღმერთმა უწყის საიდან და როგორ გავრცელდა ხმა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიკვდილი მიესაჯა, მაკონდოში მოჰყავთ და აქაურების ჭკუის სასწავლებლად მათ თვალწინვე უნდა მოიყვანონ განაჩენი სისრულეშიო. ორშაბათ დილას, დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, ამარანტა აურელიანო ხოსეს აცმევდა ტანთ, რომ უცებ ხმაური და ბუკის ხმა მოესმა შორიდან. წუთის მერე კი ურსულა შევარდა ოთახში ყვირილით: „მოჰყავთ!" ჯარისკაცები კონდახებით იკვლევდნენ გზას ბრბოში. ურსულამ და ამარანტამ ხალხის ჯგლეთაში ძლივს გააღწიეს მახლობელ ქუჩაზე და სწორედ იქ დაინახეს აურელიანო. თმაწვერაბურძგნილსა და ფეხშიშველს ძონძები ძლივს უფარავდა ტანს. მიდიოდა და ვერ გრძნობდა, ფეხს როგორ სწვავდა გახურებული მტვერი. ხელები ზურგზე ჰქონდა გაკრული და თოკის ერთი ბოლო ცხენზე ამხედრებულ ოფიცერს ჩაებღუჯა ხელში. მის გვერდით მიდიოდა პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი, ისიც ჭუჭყიანი და ჩამოძონძილი. არც ერთს არ ეხატა სახეზე ნაღველი, პირიქით, ისე მიაბიჯებდნენ, თითქოს უხაროდათ, გარს მოჯარული ხალხი ჯარისკაცებს რომ ლანძღავდა.

— შვილო! — ყურისწამღებ გნიასში გაისმა ურსულას კივილი. ერთი ჯარისკაცი გადაეღობა, მაგრამ ქალმა იმარჯვა და ხელი ჰკრა. ოფიცრის ცხენი ყალყზე შედგა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაც შედგა, დედის ხელებიდან თავი გაითავისუფლა და თვალებში ჯიქურ ჩახედა:

— შინ წადით, დედა. მთავრობას ნებართვა სთხოვეთ და ციხეში მინახულეთ.

მერე ურსულას ზურგს ამოფარებულ ამარანტას გადახედა, გაუღიმა და ჰკითხა: ხელზე რა დაგემართაო. ამარანტამ შავი ფალასით შეხვეული ხელი აღმართა, დავიწვიო, უთხრა და დედა განზე გაიყვანა, ცხენებს მოაშორა. ჯარისკაცებმა თოფი ისროლეს ჰაერში, ცხენოსნები ტყვეებს გარს შემოერტყნენ და ჩორთით გასწიეს ყაზარმისაკენ.

საღამოს ურსულამ ციხეში მოინახულა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. დედამ დონ აპოლინარ მოსკოტეს სთხოვა, შვილის ნახვის ნებართვის აღებაში დამეხმარეო, მაგრამ ახლა მთელი ძალაუფლება სამხედროებს ეპყრათ ხელთ და მოსკოტეს თხოვნას ვინ დაუგდებდა ყურს. მღვდელ ნიკანორს ღვიძლი სტკიოდა და იწვა. ხერინელდო მარკესს სიკვდილი არ ჰქონდა მისჯილი, მისი მშობლებიც რამდენჯერმე მიადგნენ ყაზარმის კარს, იქნებ შვილი გვანახონო, მაგრამ ჯარისკაცებმა კონდახის ცემით გააბრუნეს უკან. ურსულამ შუამავალი რომ ვერ იპოვა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, — სულერთია, ჩემს შვილს განთიადზე დახვრეტენო,

ციხეში წასაღები ბოხჩა გამოკრა და ყაზარმისაკენ მარტოკამ გასწია.

— მე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დედა ვარ, — განაცხადა მან.

გუშაგებმა გზა გადაუღობეს. „მაინც შევალ და, თუ სროლა გიქვთ ნაბრძანები, მიდით და მესროლეთ ბარემ“, — ურსულამ ერთ გუშაგს ხელი ჰკრა. გზიდან ჩამოიშორა და სწრაფად შევიდა ყოფილ საკლასო ოთახში, სადაც ნახევრად შიშველი ჯარისკაცები თოფ-იარაღის წმენდაში იყვნენ გართულნი. თავაზიანმა, ლოყებღაჟღაჟა, სალაშქროდ ჩაცმულმა ოფიცერმა, რომელსაც სქელშუშიანი სათვალე ეკეთა, ქალს უკან დადევნებულ გუშაგებს თვალით ანიშნა და ისინიც მაშინვე გავიდნენ ოთახიდან.

— მე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დედა ვარ, — გაიმეორა ურსულამ.

— თქვენ გინდათ თქვათ, სენიორა... — შეუსწორა ოფიცერმა თავაზიანი ღიმილით. — რომ დედა ბრძანდებით სენიორ აურელიანო ბუენდიასი, ასეა ხომ?

ურსულამ მაშინვე შეამჩნია, ოფიცერი ზეგანელების — კაჩაკოებისთვის დამახასიათებელ ოდნავ წაგრძელებულ კილოზე ლაპარაკობდა.

— თქვენი ნებაა, იყოს „სენიორი“, — დაეთანხმა ქალი, — ოღონდ მანახეთ და მეტი არაფერი მინდა.

სიკვდილმისჯილთა ნახვას კანონი სასტიკად კრძალავდა, მაგრამ ოფიცერმა თავი გამოიდო და ურსულას ნება დართო თხუთმეტი წუთით შეხვედროდა შვილს. საკანში შესვლამდე ურსულამ ბოხჩა გახსნა და ოფიცერს აჩვენა სუფთა საცვალი, ლაქის ფეხსაცმელი — აურელიანოს ქორწილის დღეს რომ ეცვა, და ტკბილეულობა, რომელსაც იმ დღიდან ინახავდა, რა დღესაც გულმა უგრძნო, შვილს კვლავ ვნახავო. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას იღლიებში ჩირქოვანი წყლულები გასჩენოდა და ახლა მკლავებგადაშლილი იწვა საწამებელ ოთახში. ტუსაღს ნება დართეს წვერი გაეპარსა. გაპარსვის მერე ყვრიმალები ვამოეკვეთა, ხშირი ულვაში ბოლოებში ჩახვეოდა. ურსულას უწინდებურზე ფერგამკრთალი, მაღალი და უფრო მარტოსული მოეჩვენა შვილი. აურელიანომ ყველაფერი იცოდა თავის ოჯახისა: იცოდა, პიეტრო კრესპიმ რომ თავი მოიკლა, იცოდა არკადიოს თვითნებობისა და დახვრეტის ამბავი, ხოსე არკადიო ბუენდიას უცნაურობანი. იცოდა, ამარანტამ — ქალწულად დარჩენილმა ქვრივმა — აურელიანო ხოსეს აღზრდა რომ ითავა და რომ ბავშვი განსაცვიფრებელი გონებისა იზრდებოდა, წერა-კითხვა ენის ადგმისთანავე ისწავლა. ოთახში შესვლისას ურსულა უხერხულად შეიშმუშნა, რაღაცნაირად დაიბნა შვილის დანახვაზე. შეაცბუნა მისმა სიმტკიცემ და ძალამ, რასაც მთელი მისი ახოვანი სხეული აფრქვევდა თითქოს. ურსულას გაუკვირდა, საიდან იცი ასე წვრილად ოჯახის ამბებიო. „ნუთუ დაგავიწყდათ, დედა, თქვენი შვილი რომ ნათელმხილველია, — გაიხუმრა მან და მაშინვე საქმიანად დასძინა: — დილით, აქეთ რომ მოვყავდი ბადრაგს, თითქოს ეს ყველაფერი განვიცადე“. და მართლაც, როდესაც ირგვლივ ბრბო ფუთფუთებდა, აურელიანო თავის ფიქრებში ჩაძირულიყო და უკვირდა, ასე უცებ, ერთ წელიწადში რამ დააბერა ეს ქალაქიო. ნუშს ფოთლები გასცლოდა: ცისფრად, ხანაც ვარდისფრად და მერე ისევ ცისფრად გადაღებილ სახლებს ახლა გაურკვეველი ფერი დასდებოდათ.

— აბა რა გეგონა, დრო გარბის, — ამოიოხრა ურსულამ.

— მართალია, მაგრამ მაინც ძალზე შეცვლილა, — თქვა აურელიანომ.

ამ შეხვედრას ორივენი დიდხანს ელოდნენ და ახლა, როცა შეხვდნენ, უპრალოო, ჩვეულებრივ და ყოველდღიურ ამბებზე მოჰყვნენ ლაპარაკს. როდესაც ზედამხედველმა გამოაცხადა, თხუთმეტი წუთი უკვე გავიდაო, აურელიანომ ჭილოფის ქვეშიდან დახვეული, ოფლით გაპოხილი ქაღალდების შეკვრა ამოაძვრინა. ეს მისი ლექსები იყო: ზოგი რემედიოსისადმი მიძღვნილი ლექსები იყო და თან წამოეღო შინიდან, ზოგიც მერე დაეწერა ბრძოლების დროს. „სიტყვა მომეცით, რომ ამ ლექსებს არავინ წაიკითხავს, — უთხრა დედას. — დღესვე საღამოს ბუხარში შეყრით და ცეცხლს მისცემთ". ურსულა შეჰპირდა, ასეც მოვიქცევიო, და წამოდგა.

— რევოლვერი მოგიტანე, — ჩასჩურჩულა გამომშვიდობებისას.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ზედამხედველს გახედა, ხომ არ შეუმჩნევია რამეო, და დედას ასევე ჩურჩულით უთხრა: „რაში მჭირდება. თუმცა მომეცით, ვაითუ გასვლისას გიპოვონ". ურსულამ რევოლვერი კორსაჟიდან გამოაძვრინა და პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამაც სასწრაფოდ ჭილოფის ქვეშ ამოდო. „ახლა კი ნუღარ დამემშვიდობებით, — მშვიდად უთხრა დედას. — ნურავის ნურაფერს სთხოვთ, თავს ნუ დაიმცირებთ ნურავის წინაშე. აქედანვე ჩაინერგეთ გონებაში, ვითომ დიდი ხანია დამხვრიტესო". ურსულამ ტუჩი მოიკვნიტა, რომ არ აქვითინებულიყო.

— გახურებული ქვები დაიდე იარებზე, — დაარიგა შვილი და ოთახიდან გავიდა. ვიდრე კარი არ მიიხურა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ფეხი არ მოუცვლია. მერე კვლავ დაწვა და მკლავები გადაშალა. მას შემდეგ, რაც სიყმაწვილეში შედგა ფეხი და მიხვდა, ნათელმხილველის ნიჭი დამყვაო, მუდამ სწამდა — სიკვდილი თავად მამცნობს უშეცდომოდ და მხოლოდ ჩემთვის გასაგები ნიშნით, როდის მეახლებაო, და აი ახლა, დახვრეტამდე ერთი-ორი საათიღა რჩებოდა, მაგრამ ეს ნიშანი არსად ჩანდა. ერთხელ ტუკურინკაში იყო დაბანაკებული, რომ ვიღაც ლამაზი ყმაწვილი ქალი მოვიდა და გუშაგებს სთხოვა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთან შემიშვითო. შეუშვეს. იმ ხანებში ყველამ იცოდა, ზოგიერთი ფანატიკოსი დედა თავის ქალიშვილს საგანგებოდ აგზავნიდა საქვეყნოდ ცნობილ სამხედრო მეთაურებთან დასაწოლად, რათა მერე, როგორც თვითონ ირწმუნებოდნენ, ჯიშიანი შთამომავლობა წამოზრდილიყო. იმ საღამოს პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ის იყო ლექსს ამთავრებდა წვიმაში გზააბნეულ ერთ კაცზე, რომ მასთან ქალიშვილი შევიდა. პოლკოვნიკი სწრაფად შეტრიალდა, რათა დაბლოკნილი ქაღალდი უჯრაში ჩაედო, — სადაც საერთოდ ინახავდა თავის ლექსებს, — და უცბად თითქოს ტანმა უთხრა რაღაც... უჯრაში შენახულ პისტოლეტს დასწვდა და უკან მოუბრუნებლად წყნარად თქვა:

— თუ შეიძლება, არ ისროლოთ.

მერე ქალიშვილმა მიაკვლ შებრუნებული და პისტოლეტმომარჯვებული კაცი რომ დაინახა, მკლავები მოწყვეტით ჩამოყარა და დამფრთხალმა აღარ იცოდა რა ექნა. ერთი სიტყვით, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას თვრამეტჯერ დაესხნენ თავს და აქედან ოთხჯერ რაღაცის თუ ვიღაცის იდუმალმა კარნახმა გადაარჩინა, მაგრამ ასეთი შემთხვევაც მოხდა: ერთხელ ვიღაც უცნობი კაცი მანაურეში დაბანაკებულ მეამბოხეთა კარავში შეიპარა და ხანჯლით განგმირა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ერთგულესი მეგობარი პოლკოვნიკი მაგნიფიკო ვისბალი. იგი ავად იყო ციებით და აურელიანომ თავისი სა-

წოლი დაუთმო, თვითონ იქვე, გვერდით, ჰამაკში იწვა და მკვდარივით ეძინა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ვერაფერი გაეგო თავის წინათგრძნობებისა: ზოგჯერ ცის ნათებასავით წამიერად გაუელვებდა ხოლმე ცხადზე უცხადესი, მაგრამ მოუხელთებელი; ზოგჯერ ისე ჩვეულებრივად და ბუნებრივად აუხდებოდა, რომ ერთი-ორჯერ კიდეც დაეჯვდა, წინასწარ ხომ ვერ იგრძნობდი რამეო; ზოგჯერ ისიც ჰგონებია, უსათუოდ ამიხდებაო, მაგრამ ამაოდ დაჰკარგავს დრო ლოდინში. ხშირად გაუვლია გუნებაში, აკვიატებულ ჩვეულებად ხომ არ გადამექცა წინათგრძნობაზე ფიქრიო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, როცა სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას ჰკითხეს: უკანასკნელად რას ისურვებთო, იგი მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ წინათგრძნობამ ათქმევინა ეს პასუხი:

— გთხოვთ, მაკონდოში აღასრულოთ განაჩენი.

სასამართლოს თავმჯდომარე გაცხარდა:

— ამაოდ ფიქრობთ, გაგვაცუროთ, ბუენდია. გინდათ, დრო მოიგოთ და იმიტომ გამოიგონეთ ეგ სამხედრო ეშმაკობა.

— როგორც გნებოთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა. — ჩემი უკანასკნელი სურვილი კი ეს არის.

მას მერე წინათგრძნობას აღარ მოუკითხავს მისთვის. იმ დღეს, დედამ რომ ინახულა ციხეში, აურელიანო დიდი ფიქრის მერე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამჯერად სიკვდილი ვერ ამცნობდა მას თავის მოსვლას, რადგან ახლა ჯალათების ნება-სურვილს ემორჩილებოდა და არა შემთხვევითობას. იარებმა მთელი ღამე არ დააძინეს პოლკოვნიკი. დილაბნელზე დერეფნიდან ნაბიჯები მოესმა. „მოდიან", — თქვა მან და რატომღაც გაახსენდა ხოსე არკადიო ბუენდია, რომელიც ამ წუთებში სწორედ მასზე ფიქრობდა განთიადის ბინდბუნდში ჩაძირული და წაბლის ხეზე მიბმული. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არც შეშინებია და არც ნაღველი შემოსწოლია გულს, მხოლოდ ყრუ სიბრაზემ მოიცვა მთელი მისი არსება: სადაცაა მომკლავენ და ვერასოდეს გავიგებ, რით დამთავრდება ის საქმე, რისი დამთავრებაც მე ვერ მოვასწარიო. კარი გაიღო და გუშაგმა ფინჯანი ყავა შემოუტანა. მეორე დღეს, ისევ დილაუთენია, როცა იღლიებქვეშ ტკივილისაგან ლამის გონი დაჰკარგვოდა, იგივე განმეორდა. ხუთშაბათ დღეს მან ჯარისკაცებს დაურიგა ურსულას მოტანილი ტკბილეული, გამოიცვალა საცვალი, — კარგა მაგრად რომ დაჰპატარავებოდა, — და ლაქის ფეხსაცმელი ჩაიცვა. დადგა პარასკევი დღე, ის კი არა და არ გაჰყავდათ დასახვრეტად.

სამხედრო ხელისუფლება მართლაც ვერ ბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან მთელი ქალაქი შფოთს მოეცვა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიკვდილით დასჯას ალბათ მძიმე პოლიტიკური შედეგი მოჰყვება მარტო მაკონდოში კი არა, მთელ ოლქშიო, — ასე ფიქრობდნენ ისინი და დედაქალაქში მთავრობას შეუთვალეს, რამე გვირჩიეთო. შაბათ საღამოს, პასუხი ჯერაც არ მიეღოთ, რომ როკე-ყასაბი ერთ-ორ ოფიცერთან ერთად ეწვია „კატარინოს დუქანს". როკე-ყასაბმა ძლივს დაიყოლია ერთი ქალი და ისიც იმიტომ, რომ მუქარამ შეაშინა. „ქალებს არა სურთ იმ კაცთან გაატარონ დრო ლოგინში, რომელსაც სადაცაა სიკვდილი მოაკითხავს, — უთხრა ქალმა. — არავინ იცის, საიდან გავრცელდა ეს ხმა, მაგრამ ამბობენ, იმ ოფიცერსა და ჯარისკაცსაც, რომლებიც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დახვრეტენ, ქვესკნელშიაც იპო-

ვიან და სათითაოდ გამოასალმებენ წუთისოფელსო“. კაპიტანი როკე-ყასაბი ოფიცრებს მოეთათბირა, ოფიცრებმა კი თავიანთ უფროსებს მოახსენეს ყოველივე. კვირას, თუმცა არავის არაფერი უთქვამს ამის თაობაზე და სამხედრო პირთაც არაფრით დაურღვევიათ მაკონდოში გამეფებული დაძაბული სიჩუმე, მაინც მთელმა ქალაქმა იცოდა უკვე, რომ ოფიცრები უარს ამბობდნენ პოლკოვნიკის დასჯაში მონაწილეობაზე. ორშაბათს ფოსტამ ბრძანება მოიტანა: განაჩენი აღასრულეთ ოცდაოთხ საათშიო. სხვა გზა აღარ ჰქონდათ, საღამოს ოფიცრებმა ქუდში ჩაყარეს ქაღალდის პატარა ნაგლეჯები, რაზედაც თავ-თავიანთი გვარები დააწერეს, და წილი ჰყარეს. „ბედნიერი ბილეთი“ როკე-ყასაბს ერგო. „რას იზამ, ბედისწერას ვერსად გავექცევი, — სიმწრით ჩაილაპარაკა მან. — კახპის შვილი კახპის შვილადვე მოვკვდები“. დილის ხუთ საათზე ჯარისკაცებმაც ჰყარეს კენჭი და ის რაზმი, რომელსაც წილად ხვდა პოლკოვნიკის დახვრეტა, როკე-ყასაბმა ყაზარმის ეზოში ჩაამწკრივა და მერე სიკვდილმისჯილი გააღვიძა გაზეპირებული სიტყვებით:

— წავიდეთ, ბუენდია, შენთვის დამთავრდა ყველაფერი.

— აი თურმე რატომ მესიზმრა, წყლულები დამსკდომოდა ვითომ.

რებეკა ბუენდიამ რომ გაიგო, აურელიანო უნდა დახვრიტონო, იმ დღიდან მოყოლებული ყოველ დილას სამ საათზე იღვიძებდა. საწოლში წამომჯდარი ქალი ხოსე არკადიოს ხვრინვაზე ცახცახებდა და გამოღებული ფანჯრიდან სასაფლაოს გალავანს გასცქეროდა. თითქმის მთელი კვირა ელოდა. ასეთივე სიჯიუტით ელოდა იგი ოდესღაც პიეტრო კრესპის წერილებსაც. „აქ ვერ დახვრეტენ, — ეუბნებოდა ცოლს ხოსე არკადიო. — ყაზარმაში დახვრეტენ და თანაც შუაღამისას, ვინმემ რომ არ დაინახოს. მერე იქვე ჩამარხავენ მიწაში“. რებეკა კვლავ ელოდა. „ეგენი ისეთი არამზადები არიან, სწორედ აქ დახვრეტენ“, — ჯიუტობდა ქალი და წინასწარ ემზადებოდა, აქ კარს გავოაღებ და გამომშვიდობების ნიშნად ხელს აქედან დავუქნევო. „დამიჯერე, ვერ გაბედავენ, აურელიანო ქუჩაში გამოატარონ ექვსი დამფრთხალი ჯარისკაცის თანხლებით. მათ იციან, ხალხი ყველაფერს გააკეთებს მის დასახსნელად“. რებეკა ქმრის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, კვლავ ფანჯარასთან იჯდა და ელოდა.

— ნახავ, რა არამზადებიც არიან! — ჯიუტად იმეორებდა იგი. სამშაბათს დილის ხუთ საათზე, ის იყო ხოსე არკადიომ ყავა დალია და ძაღლები აუშვა, რომ რებეკამ უცებ მოხურა ფანჯარა და მუხლებში ძალაგამოცლილი საწოლის თავს ჩააფრინდა, „მოჰყავთ, — ძლივს ამოღერღა მან. — ღმერთო, რა ლამაზია!“ ხოსე არკადიომაც გაიხედა ფანჯარაში და უეცარი ცახცახით ატანილმა რიჟრაჟის მკრთალ შუქში თვალი მოჰკრა ძმას, რომელსაც მისი შარვალი ეცვა. აურელიანო სასაფლაოს კედელთან იდგა დოინჯშემოყრილი: იღლიებქვეშ წყლულები საშველს არ აძლევდნენ, ხელები ჩამოუშვა. „ამდენი იმიტომ ვიწვალე და ვიდაგე, — ჩურჩულებდა სიბრაზემორეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, - რომ ბოლოს ამ ექვს საჭურისს ასე სამარცხვინოდ მოვეკალი?“ ამ სიტყვებს აურელიანო აკვიატებულივით ისე უსასრულოდ იმეორებდა, რომ როკე-ყასაბმა იფიქრა, ინანიებს და ლოცულობსო, და გული მოულბა. — როცა ჯარისკაცებმა შაშხანები შემართეს, აურელიანოს სიბრაზე მისი ცნობიერებისგან დამოუკიდებელ რაღაცნაირ წებოვან და მწარე სუბსტანციად იქცა, ენა წაერთვა და თვალები დახუჭა. რიჟრაჟის ფოლადისფერი ბრწყინვა სადღაც გაქრა და პოლკოვნიკს უცებ თვალწინ დაუდგა მოკლეშარვლიანი პა-

ტარა ბიჭი, ერთ საღამოს მამამ რომ წაიყვანა ბოშათა ბანაკში ყინულის სანახავად. თვალდახუჭულს ყვირილი რომ მოესმა, იფიქრა, კაპიტანმა საბოლოო ბრძანება გასცაო, და ცნობისწადილით შეპყრობილმა — თოფის ლულიდან გამოვარდნილ ტყვიას მზერას შევაგებებო — თვალები გახილა. მაგრამ ტყვიის მაგივრად დაინახა მარტო დარჩენილი ხელაწეული როკე-ყასაბი და ხოსე არკადიო, რომელიც გაცოფებული მორბოდა ქუჩაში თავისი საზარელი თოფით ხელში.

— არ ისროლოთ, — შესძახა კაპიტანმა ხოსე არკადიოს, — თქვენი თავი თვით ზეციერმა გამომიგზავნა.

ასე დაიწყო კიდევ ერთი ომი. კაპიტანი როკე-ყასაბი თავისი ექვსი ჯარისკაცით პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რიოაჩაში გაჰყვა სიკვდილმისჯილი რევოლუციონერი გენერლის ვიქტორიო მედინას გასათავისუფლებლად. დროის მოსაგებად გადაწყვიტეს, ის ქედი გადაელახათ, ოდესღაც მაკონდოს დაარსებამდე რომ დალაშქრა ხოსე არკადიო ბუენდიამ. მაგრამ ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მიხვდნენ, ქედს ვერ გადალახავდნენ. ისინი სახიფათო, დახრამულ გზებსა და ბილიკებს დაადგნენ. ჯარისკაცებს მხოლოდ ის ტყვია-წამალი ჰქონდათ, აურელიანოს დასახვრეტად რომ დაურიგეს. გზად შემხვედრი ქალაქების მახლობლად შლიდნენ კარვებს, მერე ერთ ვინმეს გადაცმულს გაგზავნიდნენ ქალაქში და ისიც დღისით, მზისით, ქუჩა-ქუჩა დადიოდა ოქროს თევზით ხელში და მიმალულ ლიბერალებს თავს უყრიდა. ისინიც დილით სანადიროდ მიდიოდნენ, რათა უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ. ბოლოს, როგორც იქნა, რიოაჩას მიადგნენ, მაგრამ გენერალი ვიქტორიო მედინა უკვე დაეხვრიტათ. მაშინ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მისმა მომხრეებმა კარიბის ზღვისპირეთის რევოლუციური ჯარების მთავარსარდლად აირჩიეს და გენერლის ჩინი მიანიჭეს. აურელიანო მთავარსარდლობაზე დაეთანხმა, გენერლობაზე კი უარი თქვა: ვიდრე კონსერვატორთა პარტიას არ დავამხობ, ეგ არ მიხსენოთო. სამ თვეში ათასზე მეტ მეომარს მოუყარა თავი, მაგრამ ზოგი ბრძოლის ველზე დაეცა, ზოგიც, ვინც გადარჩა, აღმოსავლეთის საზღვარზე გადავიდა, მოგვიანებით ანტილის კუნძულებიდან კვლავ სამშობლოში დაბრუნდნენ და კაბო დე ლა ველაში გადმოსხდნენ. არ გასულა ცოტა ხანი და მთავრობამ ტელეგრაფით სასიხარულო ცნობა გადასცა ქვეყნის ყველა კუთხეში: პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მოკვდაო. ორი დღის მერე მეორე დეპეშამ, რომელიც თითქოს კუდში მისდევდაო პირველს, ქვეყანას ამცნო, სამხრეთის დაბლობებში ახალმა აჯანყებამ იფეთქაო. ასე შეიქმნა ლეგენდა მოუხელთებელ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე. ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ცნობები მოდიოდა. პოლკოვნიკმა გაიმარჯვა ვილიანუევაში; დამარცხდა გუაკამაიალში; შემოეჭამათ მოტილონეს თემის ინდიელებს; დაიღუპა ერთ-ერთ სოფელში; ამბოხებას ჩაუდგა სათავეში ურუმიტაში. ლიბერალთა თავკაცებმა, რომლებიც ამ ხანებში მთავრობასთან ბჭობდნენ, პარლამენტში შეგვიყვანეთო, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ავანტიურისტად და უპარტიოდ გამოაცხადეს. მთავრობამ იგი ყაჩაღად მონათლა და ხუთი ათას პესოდ შეაფასა მისი თავი. თექვსმეტჯერ დამარცხების შემდეგ პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ დატოვა გუახირა და ორი ათასი კბილებამდე შეიარაღებული ინდიელით თავს დაესხა რიოაჩას. ამ უეცარი თავდასხმით დაბნეული გარნიზონი ქალაქიდან გაიქცა, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ რიოაჩაში დაიდო შტაბ-ბინა და კონსერვატორებს საყოველთაო

სახალხო ომი გამოუცხადა. მთავრობამ თავის მხრივ პირველი ოფიციალური დეპეშით აცნობა: თუ ორმოცდარვა საათში თქვენი ჯარიანად აღმოსავლეთის საზღვრებისკენ არ დაიხევთ, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს სიკვდილით დავსჯითო. პოლკოვნიკმა როკე-ყასაბმა — იგი ახლა უკვე შტაბის უფროსი იყო — უხალისოდ გადასცა დეპეშა თავის სარდალს. მაგრამ მისდა [illegible] აურელიანომ დეპეშის წაკითხვისას სიხარული ვერ დამალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა კარგია! — შესძახა მან. — მაკონდოში ტელეგრაფი გვქონია!

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას პასუხი შეუვალი იყო: სამი თვის მერე შტაბ-ბინას მაკონდოში დავიდებ. თუ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ცოცხალს ვერ მოვუსწრებ, მაშინ იცოდეთ, ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე სასიკვდილო განაჩენს გამოვუტან პირველ რიგში გენერლებს, მერე ოფიცრებს, რომლებიც ამასობაში დატყვევებული იქნებიან, და ვუბრძანებ ხელქვეითებს, ასე მოიქცნენ ომის დამთავრებამდეო. სამი თვის მერე, როცა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გამარჯვებული ჯარი მაკონდოში შევიდა, პირველი, ვინც მას შეეგება და ძმურად გადაეხვია, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი იყო.

ბუენდიების სახლი ბავშვებს აევსოთ. ურსულას ოჯახში მოეყვანა სანტა სოფია დე ლა პიედადი და მისი სამი შვილი: ერთი გოგო და ტყუპი ვაჟი. ვაჟები არკადიოს დახვრეტის მერე დაიბადნენ. სიკვდილმისჯილის სურვილის მიუხედავად, ურსულამ გოგონას რემედიოსი დაარქვა. ნამდვილად ვიცი, არკადიოს ამის დაბარება უნდოდა, — თავი იმართლა ქალმა. — ურსულას არ დავარქმევ, დარდისა და ნაღველის მეტს არაფერს მოუტანს ეს სახელიო. ტყუპ ძმებს დაარქვა ხოსე არკადიო მეორე და აურელიანო მეორე. ამარანტამ ითავა ბავშვების აღზრდა. სასტუმრო ოთახში ხის სკამები დადგა, მეზობლის ბავშვებსაც მოუყარა თავი და მცირეწლოვანთა ბაგა გახსნა. მთელი ქალაქი ფერად-ფერადი შუშხუნებითა და ზარების რეკვით შეეგება პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას. მშობლიური სახლის კართან კი ბავშვთა გუნდი შეხვდა სიმღერით. აურელიანო ხოსე ბაბუას დამსგავსებოდა სიმაღლეში, რევოლუციის არმიის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი მხედრულად მიესალმა საპატიო სტუმარს.

მაგრამ შინ დაბრუნებულ პოლკოვნიკს უსიამო ამბებიც დახვდა. ერთი წლის მერე, რაც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დახვრეტას გადაურჩა, ხოსე არკადიო და რებეკა არკადიოს ახალ სახლში გადასულან საცხოვრებლად. არავინ იცოდა, რომ სწორედ ხოსე არკადიომ გადაარჩინა პოლკოვნიკი დახვრეტას. ახალი სახლი ქალაქის მოედანზე ნუშის ხეების ჩრდილში იდგა. ხეთა ტოტებში ჩიტებს სამი ბუდე გაეკეთებინათ. სახლს დიდი სადარბაზო შესასვლელი და ოთხი ფანჯარა ჰქონდა. ცოლ-ქმარმა სტუმართმოყვრულად გააღო თავისი სახლის კარი და რებეკას მეგობარმა ქალიშვილებმაც — მათ შორის მოსკოტეს ჯერ კიდევ გაუთხოვარმა ოთხმა ქალიშვილმაც, — თავ-თავიანთი საქარგავები მოიტანეს და რამდენიმე წლის წინ ბეგონიებით სავსე შუშაბანდში შეწყვეტილი ხელსაქმე ახლა ხალისით განაგრძეს. კონსერვატორთა მთავრობამ მიტაცებული მიწები დაუმტკიცა ხოსე არკადიოს და ისიც ჯიბეს იქელებდა ამ მიწების შემოსავლით. საღამოობით ბრუნდებოდა იგი შინ ცხენზე ამხედრებული და მხარზე ორლულიანი სანადირო თოფგადაკიდებული. უნაგირზე კურდღლები კონწიალებდნენ, უკან კი დაგეშილი ძაღლები მოსდევდნენ. სექტემ-

ბრის ერთ საღამოს კი საავდროდ მოქუფრული და ხოსე არკადიოც ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნებულა შინ. სასადილო ოთახში რებეკას გამოლაპარაკებია, ეზოში ძაღლები დაუბამს და საწოლ ოთახში შესულა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. შემდეგში რებეკა ირწმუნებოდა, ჩემი ქმარი საწოლ ოთახში რომ შევიდა, მე მაშინ ტანს ვიბანდი და არაფერი ვიციო. ცოტა საეჭვო იყო მისი სიტყვები, მაგრამ სხვას, უფრო ნამდვილს და დასაჯერებელს ვერავინ იგონებდა. ანდა რატომ უნდა მოეკლა რებეკას ის კაცი, ვინც მას ბედნიერება და დალხინებული ცხოვრება მოუტანა? ეს იყო ალბათ მაკონდოში ერთადერთი იდუმალებით მოცული ამბავი, რომელიც ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა. როგორც კი ხოსე არკადიომ საწოლი ოთახის კარი მიიხურა, სახლში თოფი გავარდა. კარის ღრიჭოდან სისხლი წამოვიდა რუსავით, სასტუმრო ოთახი გადაჭრა, ქუჩაში გავიდა და ოღროჩოღრო ქვაფენილს გაჰყვა, კიბეზე ჩავიდა, აღმართსაც აუყვა, თურქების ქუჩაზე გაიწელა, მარჯვნივ და მერე მარცხნივ შეუხვია და პირდაპირ ბუენდიების სახლისკენ გაემართა. იქ ჩაკეტილ კარში შეძვრა, და ხალიჩები რომ არ დაეთხვარა, სასტუმრო ოთახს კედელ-კედელ გაუყვა, მეორე სასტუმრო ოთახშიც შევიდა, მერე სასადილო ოთახში მაგიდას გარს შემოუარა, შუშაბანდში ბეგონიებს შორის მიიკლაკნ-მოიკლაკნა და სწრაფად, უხმაუროდ შესრიალდა ამარანტას სკამქვეშ, — ამარანტა ამ დროს აურელიანო ხოსეს ამეცადინებდა, — ბოლოს საკუჭნაოდან სამზარეულოსკენ აიღო გეზი, სადაც ურსულა ცომის მოსაზელად ემზადებოდა და ოცდამეთექვსმეტე კვერცხს უმატებდა თასში...

— წმინდაო მარიამ! — შეჰყვირა ქალმა და მაშინვე მიჰყვა სისხლის კვალს. საკუჭნაოში შევიდა, იქიდან შუშაბანდში, — სადაც აურელიანო ხოსე ირწმუნებოდა, სამს მივუმატოთ სამი, ექვსია, ექვსს მივუმატოთ სამი, ცხრაო, — მერე სისხლის კვალს სასადილო ოთახში შეჰყვა, სასტუმრო ოთახებიც მოიარა, ქუჩაში გავიდა, — თავგზააბნეული ქალი ვერც ამჩნევდა, წინსაფარაფარებულმა და ფლოსტებით რომ გადაჭრა თითქმის მთელი ქალაქი, მოედანს მიადგა და იმ სახლში შევიდა, სადაც არასოდეს ყოფილა. შეაღო საძინებელი ოთახის კარი და დამწვარი დენთის სუნმა ლამის დაახრჩო. მერე იატაკზე პირქვე დამხობილი შვილი დაინახა, ჩექმების გაძრობა მოესწრო და ზედ სახით დაჰკვდომოდა. სისხლის ნაკადი, მარჯვენა ყურიდან რომ გამოსდიოდა, უკვე შეჩერებულიყო. ხოსე არკადიოს ჭრილობა ვერ უპოვეს სხეულზე, ვერც ის დაადგინეს, რომელი იარაღით მოკლეს და, რაც მთავარია, ვერაფრით ვერ მოაშორეს გვამს დენთის სუნი, თუმცა საპნით სამჯერ განბანეს, მერე მარილიან წყალში და ლიმონის კანის ნახარშშიც ამოავლეს და ექვსი საათი ჟაველის წყალშიც ჩატოვეს. ბოლოს გვამმა დაშლა დაიწყო და იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაემარხათ. იგი საგანგებო კუბოში ჩაასვენეს — სიგრძე ორი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი ჰქონდა, სიგანე — ერთი მეტრი და ათი სანტიმეტრი, შიგნიდან თუთიის ფურცელი ამოაფინეს, სახურავი ჭანჭიკებით დაამაგრეს. მაგრამ დენთის სუნი მთელ ქალაქს მაინც მოედო. მღვდელი ნიკანორი ავად იყო, დოლივით გამაგრებოდა ღვიძლი, და საწოლიდან აკურთხა მიცვალებული. სამარე აგურით, ნაცრით, ნახერხითა და გამომწვარი ნაკელით ამოავსეს. მაგრამ რამდენიმე წელს სასაფლაოდან კვლავ ჰქროდა დენთის სუნი, ვიდრე ბანანის კომპანიის ინჟინრები არ მოვიდნენ და სამარე რკინა-ბეტონით არ გადახურეს. როგორც კი კუბო გაიტანეს სახლიდან, რებეკამ ჩაიკეტა კარი და გადაწყვიტა

ცოცხლად დაემარხა თავი, მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალმა სიძულვილის ჯავშანი ჩაიცვა და ამ ჯავშანში შეღწევა ვერ შეძლო ვერც ერთმა მიწიერმა ხიბლმა. რებეკა ქუჩაში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა და ისიც მთლად მოხუცებული. ძველებური ვერცხლისფერი ფეხსაცმელი ეცვა და წვრილ-წვრილი ყვავილებით მორთული ქუდი ეხურა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მაკონდოს [illegible]სფერი მოევლინა და ქალაქს ისეთი პაპანაქება დაუნთო, რომ [illegible] ოთახებში შეჭრას ლამობდნენ; ცხაურიან ფანჯრებს ასკდებოდნენ და უსულოდ ეცემოდნენ მიწაზე. უკანასკნელად რებეკა იმ ღამით ნახეს, როცა მან ზუსტი გასროლით მოკლა ქურდი, მის სახლში შეპარვას რომ ცდილობდა. მას მერე მისი მოახლისა და თანატოლის—არხენიდას გარდა იგი აღარავის უნახავს. ერთხანს ამბობდნენ, რებეკა წერილებს სწერს ეპისკოპოსს, ბიძაშვილად რომ ერგებაო, მაგრამ საპასუხო წერილებს იღებდა თუ არა, ამის თაობაზე არავინ არაფერს ამბობდა. მერე და მერე ქალაქსაც გადაავიწყდა იგი.

თუმცა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ზარ-ზეიმით დაბრუნდა მაკონდოში, სასიხარულო მაინც არაფერი ჰქონდა. მთავრობის ჯარები უბრძოლველად ტოვებდნენ ციხე-სიმაგრეებს და ეს ამბავი მოლიბერალო მოსახლეობისთვის გამარჯვების ტოლი იყო. მოდი და წაართვი მას ეს იმედი! არადა, რევოლუციონერებზე უკეთ ვინ იცოდა სინამდვილე და მით უმეტეს, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე უკეთ. მას ხუთი ათასზე მეტი ჯარისკაცი ჰყავდა და ხელთ ეპყრა ორი სანაპირო შტატი, მაგრამ ზღვასთან ისე იყო მიმწყვდეული, რომ დანარჩენ ოლქებს ვერაფრით უკავშირდებოდა, თანაც საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებშიც ველარ გარკვეულიყო. აკი სწორად შენიშნა მწოლიარე ავადმყოფმა მღვდელმა ნიკანორმა, როდესაც მთავრობის ჯარების ქვემეხებმა ეკლესიის გუმბათი ჩამოანგრიეს და პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კი მისი შეკეთების ბრძანა: „დაუჯერებელია პირდაპირ — ქრისტიანობის დამცველნი ეკლესიას ანგრევენ, მასონები კი მის შეკეთებაზე ზრუნავენ“. საშველი არსად იყო. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია საათობით იჯდა ტელეგრაფში და შორიდან ეთათბირებოდა მეამბოხეთა მეთაურებს და ყოველთვის გულდამძიმებული ტოვებდა აქაურობას. ცხადზე უცხადესი იყო — ომი ჩიხში მოექცა. ლიბერალთა ერთი-ორ გამარჯვებაზე ხალხს სიხარულით ატყობინებდნენ ხოლმე გამოქვეყნებულ ბრძანებებში, მაგრამ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის რუკაზე ინიშნავდა ამ ვითომდა გამარჯვებათა ნამდვილ ასავალ-დასავალს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი ყოჩაღი ჯარი კოღოებსა და ციებას გაურბოდა და ღრმად იჭრებოდა სელვაში, ის ადგილები კი, სადაც უნდა ებრძოლათ, განზე რჩებოდათ. „დროს ვკარგავთ, — შესჩიოდა პოლკოვნიკი თავის ოფიცრებს. — და ასეც იქნება მანამ, ვიდრე ეს ჩვენი კრეტინები არ მოეშვებიან კონგრესში ადგილისთვის მათხოვრობას“. რამდენი უძილო ღამე გაუტარებია ჰამაკში გულაღმა მწოლიარე პოლკოვნიკს თავის ოთახში, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ დახვრეტას ელოდა; რამდენჯერ დასდგომია თვალწინ ეს შავებში მოსილი „კანონის კაცები“, აგერ სუსხიან დილას პრეზიდენტის სასახლიდან გამოდიან, ყურებამდე საყელოაწეულნი იმშუშნებიან, ხელებს იფშვნეტენ, რაღაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს, ქირქილებენ და მერე ღამის კაფეებში იძირებიან, რათა იქ გაარკვიონ, რისი თქმა სურდა პრეზიდენტს თავისი „ჰო“-თი და „არა“-თი, ან რატომ არ თქვა პრეზიდენტმა ის, რასაც ფიქრობდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია კი სულს ძლივს ითქვამდა აქ, ოცდათხუთმეტ გრადუსიან სიცხეში,

კოლოებს იგერიებდა და გრძნობდა, რა ულმობლად ახლოვდებოდა ის საშინელი დილა, თავის ჯარისკაცებისათვის რომ უნდა ებრძანებინა, ზღვაში გადაცვივდითო.

ერთ ასეთ უძილო და ეჭვებით სავსე ღამეს პილარ ტერნერას ხმა შემოესმა. ჯარისკაცებს უმღეროდა. პოლკოვნიკმა ქალს სთხოვა, მიმკითხავეო. პილარ ტერნერამ სამჯერ გაუშალა და სამჯერ აკრიფა კარტი და სამჯერვე ერთი და იგივე ამოიკითხა: „გაუფრთხილდი პირს: რას ნიშნავს, ვერ გეტყვი, მაგრამ რა ვქნა, ეს გაფრთხილება ამოგდის კარტში“. ორი დღის მერე ვიღაცამ ფინჯანი უშაქრო ყავა გადასცა ერთ თანაშემწეს, იმან მეორე თანაშემწეს მიუტანა, მეორემ მესამეს და ასე ხელიდან ხელში გადასვლის მერე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიამდე მიაღწია. პოლკოვნიკს ყავა არ უთხოვია, მაგრამ რადგან მოართვეს, დალია. ყავაში იმდენი შხამი იყო, ცხენს წააქცევდა. ურსულამ სიკვდილს გამოსტაცა ერთიანად გაქვავებული და ენაგადმოგდებული შვილი. კუჭი გამოურეცხა, გახურებულ საბნებში გაახვია, ორი დღე მხოლოდ კვერცხის გულს აჭმევდა და, როგორც იქნა, განაწამებ სხეულში სიცოცხლემ იწყო ფეთქვა. მეოთხე დღეს პოლკოვნიკმა მოიხედა. ურსულასა და თავისი ოფიცრების დაჟინებული თხოვნით მთელ კვირას დაჰყო საწოლში. სწორედ მაშინ გაიგო პოლკოვნიკმა, მისი ლექსები რომ არ დაუწვავთ. „არ ავჩქარდი, — უთხრა ურსულამ. — იმ საღამოს ცეცხლი რომ დავანთე, გუნებაში გავიფიქრე, სჯობს, მოვიცადო, ვიდრე მკვდარი არ მოუყვანიათ, რატომ უნდა დავწვა-მეთქი“. ჯერ კიდევ მისუსტებულმა და რემედიოსის დამტვერილი თოჯინებით გარემოსილმა პოლკოვნიკმა საკუთარი ხელნაწერები გადაიკითხა და თვალწინ დაუდგა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება. მერე კვლავ ლექსებია წერას მიჰყო ხელი. მან ნაწილებად დაშალა და გარითმა ის, რაც სიკვდილთან არაერთხელ პირისპირ შეხვედრისას განუცდია. და მაშინ პოლკოვნიკის გონებას ისეთი შუქი მოეფინა, რომ შეეძლო ლექსები წაეკითხა მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქითაც. ერთ საღამოს პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ჰკითხა:

— მეგობარო, იქნებ მითხრა, რისთვის იბრძვი?

— რისთვისაც მოვალე ვარ ვიბრძოდე, მეგობარო, — უპასუხა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა: — ლიბერალთა დიადი პარტიისათვის.

— ბედნიერი ხარ, იცი, რისთვისაც იბრძვი, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. — მე კი მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სიამაყის გამო ვიბრძვი.

— ეგ ცუდია, — შენიშნა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა.

მეგობარს შეშფოთება რომ შეამჩნია, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გაეღიმა:

— რა თქმა უნდა, ცუდია, — უთხრა მან. — მაგრამ იმას მაინც სჯობს, როცა სულ არ იცი, რისთვის იბრძვი, — მერე მეგობარს თვალებში ჩახედა და კვლავ ღიმილით დაუმატა: — ან როცა ისეთი რაღაცისთვის იბრძვი, — აი, მაგალითად, შენსავით, — რაც არავის არაფრად სჭირდება.

წინათ სიამაყე ნებას არ აძლევდა ქვეყნის შიდა ოლქების მეამბოხეთა რაზმებს მანამდე შეკავშირებოდა, ვიდრე ლიბერალთა პარტიის თავკაცები საჯაროდ არ უარყოფდნენ თავიანთ ნათქვამს: პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ყაჩაღიაო. არადა, მან იცის: საკმარისია შეელიოს თავმოყვარეობას, რომ ის საბედისწერო წრე, რის გარშემოც ომი ტრიალებს, მაშინვე დაიშლება. ავადმ-

ყოფობა რომ არა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ალბათ არც არასოდეს ჩაუფიქრდებოდა ამ ამბავს. ურსულას სთხოვა, რაც ფული და ოქრო შემოგრჩა პაპისეული ზანდუკიდან, მომეციო. მერე პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მაკონდოს სამოქალაქო და სამხედრო მმართველად დანიშნა და თვითონ კი გაემგზავრა, რათა ქვეყნის შიდა ოლქების მეამბოხეებს დაკავშირებოდა.

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მარტო ნდობით აღჭურვილი პირი როდი გახლდათ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასი, იგი მისი ოჯახის წევრადაც მიაჩნდათ. დამყოლი, მორიდებული და ძალზე თავაზიანი პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი ბრძოლის ველზე უფრო თამამად გრძნობდა თავს, ვიდრე მთავრობის მეთაურის სკამზე. თანაშემწეებს სულაც არ უძნელდებოდათ მისთვის გზა-კვალი აერიათ პოლიტიკურ თუ თეორიულ საკითხებში. სამაგიეროდ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა მაკონდოში ისეთი სოფლური სიწყნარე და სიმშვიდე დაამყარა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ოცნებად რომ ჰქონდა გადაქცეული — ასეთ გარემოში ექეთებინა თავისი ოქროს თევზები და სიბერემდე ეცოცხლა. პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ კვირაში ორ-სამჯერ ურსულასთან სადილობდა ხოლმე. აურელიანო ხოსეს მიზანში სროლა ასწავლა და ურსულას ნებართვით ყმაწვილი ყაზარმაში გადაიყვანა, სამხედრო საქმეს კარგად დაეუფლება და ნამდვილი მამაკაცი დადგებაო. რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ ბავშვი იყო ხერინელდო მარკესი, ამარანტას სიყვარულში რომ გამოუტყდა, მაგრამ ამარანტას ისე ძლიერ შეჰყროდა პიეტრო კრესპის უიღბლო სიყვარულის სნება, რომ სასაცილოდ აიგდო ბიჭი. ხერინელდო მარკესმა გადაწყვიტა, ბედს დალოდებოდა. როგორღაც ერთხელ, ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას, ამარანტას პატარა ბარათი გაუგზავნა, სთხოვდა, ბატისტის ცხვირსახოცზე მამაჩემის ინიციალები ამომიქარგეო. ბარათთან ერთად ფულიც გაუგზავნა. კვირის თავზე თვითონ ამარანტამ მიუტანა ციხეში ცხვირსახოცებიც და ფულიც. მერე დიდხანს ისხდნენ და წარსულს იგონებდნენ. „აქედან რომ გამოვალ, ცოლად გითხოვ", — უთხრა ხერინელდო მარკესმა დამშვიდობებისას. ამარანტას გაეცინა, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, მაშინაც კი, ბავშვებს წერა-კითხვას რომ ასწავლიდა, უკვე ხერინელდოზე ფიქრობდა. რალაცნაირად მოესურვილა ქალს, მკერდში კვლავ ისე ყმაწვილურად აფართხალებოდა გული, პიეტრო კრესპის დანახვაზე რომ მოსდიოდა. შაბათობით, პატიმართა ნახვის დღეს, ამარანტა შეივლიდა ხოლმე ხერინელდო მარკესის მშობლებთან და მერე ერთად მიდიოდნენ ციხეში. ერთ შაბათ დღეს ურსულამ ნახა, ქალიშვილი სამზარეულოში იჯდა და მოთმინებით ელოდა ნამცხვრის გამოცხობას, რათა მერე საგანგებოდ მოქარგულ ცხვირსახოცში გაეხვია და ციხეში წაეღო.

— ცოლად გაჰყევი, — უთხრა ურსულამ ქალიშვილს, — ასეთი კაცი აღარ შეგხვდება.

ამარანტას ზიზღით დაემანჭა სახე:

— ეგლა მაკლია, კაცებს ვემსახურო. ხერინელდოს იმიტომ ვაკითხავ ციხეში, რომ მეცოდება: მაგას ხომ ადრე თუ გვიან დახვრეტენ.

ამარანტამ ეს სიტყვები დაუფიქრებლად წარმოთქვა, მაგრამ სწორედ ამ ხანებში მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, — თუ აჯანყებულები რიოაჩას არ დაანებებენ თავს, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს სიკვდილით დავსჯითო. პატიმრების ნახვაც აუკრძალეს. ამარანტა ჩაიკეტა თავის საძინებელ ოთახში და

გულამოკვნილ მოთქმაია და ტირილს მოჰყვა. იგი ისევე იტანჯებოდა როყიოდ წამოსროლილი სიტყვის გამო, როგორც ოდესღაც, რემედიოსის სიკვდილისას. მის უაზროდ ნასროლ სიტყვებს მეორედაც სიკვდილი მოჰყვებოდა ალბათ. დედამ დაამშვიდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია რაღაცას მოიფიქრებს და სიკვდილს გადაარჩენსო, მერე კი, გაძლევ სიტყვას, მე თვითონ შემოვიყვან ხერინელდოს სახლშიო. მართლაც, როდესაც ხერინელდო მარკესი კვლავ ესტუმრა ბუენდიებს, — ახლა უკვე ქალაქის თავი, — ურსულამ შვილივით მიიღო, ფეხქვეშ გაეგო და ზეცას შესთხოვა, ამარანტას ცოლად თხოვნა არ გადაიფიქროსო. ურსულას თხოვნა-ვედრება, ეტყობა, მამაზეციერმა ისმინა. ბუენდიებთან სადილის მერე ხერინელდო მარკესი შუშაბანდში ამარანტას შაშს ეთამაშებოდა, ურსულა ყავას და ნამცხვრებს მიართმევდა ხოლმე, თან ბავშვებს ადევნებდა თვალს, ქალ-ვაჟს ხელი არ შეუშალონო. ამარანტა ცდილობდა დავიწყების ფერფლწაყრილი ის ნაკვერცხლები გაეღვივებინა მკერდში, ოდესღაც, ყმაწვილქალობაში ვნების ცეცხლს რომ უკიდებდა. დღითი დღე მომეტებული შფოთით ელოდა პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის სტუმრობას და მასთან შაშის თამაშს. ამ მორიდებული და ნაღვლიანი მეომრის გვერდით, ვისაც პოეტური სახელი[1] ერქვა და ვისი თითებიც ოდნავ თრთოდნენ შაშის თამაშისას, დრო სწრაფად მიჰქროდა. მაგრამ იმ დღეს, როდესაც პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა თხოვა, ცოლად გამომყევიო, ამარანტამ კვლავ უარი უთხრა:

— არ ვთხოვდები. შენ, მით უმეტეს, სულ არ გამოგყვები ცოლად. ძალიან გიყვარს აურელიანო და მე იმიტომ მთხოულობ ცოლად, რომ იმის თხოვა არ შეგიძლია.

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მომთმენი კაცი იყო. „მოვიცდი, ადრე თუ გვიან დაგითანხმებ", — უთხრა ქალს. იგი კვლავ დადიოდა ბუენდიებთან სადილზე. ამარანტა თავის ოთახში ჩაიკეტებოდა, ოხვრას გულშივე იხშობდა და ყურებს თითებით იცობდა, რომ არ გაეგონა იმ კაცის ხმა, ვისაც მისი ქმრობა განეზრახა და ვინც ახლა ურსულას უამბობდა ომის ამბებს. ამარანტა ლამის კვდებოდა, ისე უნდოდა ერთხელ მაინც შეევლო თვალი ხერინელდოსთვის, მაგრამ არაადამიანურ ძალას უხმობდა, სტუმართან არ გასულიყო.

პირველ ხანებში პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჯერ კიდევ საკმაო დრო ჰქონდა, ორ კვირაში ერთხელ მაინც გაეგზავნა მაკონდოში თავისი ამბები, მაგრამ ურსულას მხოლოდ ერთხელ მისწერა წერილი და ისიც წასვლიდან რვა თვის მერე. შიკრიკმა დიდი დალუქული კონვერტი მოუტანა ურსულას, კონვერტში კი პატარა ბარათი იდო: „თვალი ადევნეთ მამას — მალე მოკვდება". ურსულა შეშფოთდა: „რადგან აურელიანო ამბობს, მაშასადამე, ასეც მოხდება". მაშინვე სთხოვა ოჯახის წევრებს, მოხუცი საძინებელ ოთახში გადმომაყვანინეთო. ისედაც ტანმძიმე ხოსე არკადიო ბუენდიამ წაბლის ძირში ხანგრძლივი წლების მანძილზე ჯდომისაგან უფრო მოიმატა წონაში. ექვსმა კაცმა ვერ წამოაყენა სკამიდან და იძულებული გახდნენ საწოლამდე მიეთრიათ. როგორც კი ეს უზარმაზარი, მზით გარუჯული და წვიმებით გაჟღენთილი ბერიკაცი ოთახში შეიყვანეს, მაშინვე მოედო ირგვლივ ყოველივეს აყვავებული წაბლის, სოკოსა და ნესტის მძაფრი სუნი. მეორე დილით მისი საწოლი ცარიე-

[1] ხერინელდო — ესპანური ხალხური რომანსის გმირი, პაჟი, რომელსაც მეფის ასული შეუყვარდა.

ლი დახვდათ. ურსულამ მთელი სახლი შემოირბინა და ბოლოს ქმარი წაბლის ძირში იპოვა. მაშინ ისევ წაათრიეს და საწოლზე მიაბეს. თუმცა ხოსე არკადიო ბუენდიას უწინდებურად ერჩოდა ძალა, წინააღმდეგობა მაინც არ გაუწევია. მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო. წაბლის ძირში იმიტომ კი არ დაბრუნდა, რომ შეგნებულად სურდა იქ ყოფილიყო. სულაც არა, — მისი სხეული მიეჩვია იმ ადგილს, მიეჩვია იმ ყოფას — ურსულა, რომ მოაკითხავდა ქმარს, მიჰქონდა საჭმელი, უყვებოდა აურელიანოს ამბებს. მაგრამ სიმართლე თუ გინდათ გაიგოთ, ხოსე არკადიო ბუენდია უკვე კარგა ხანი იყო, მხოლოდ ერთ კაცს მინდობოდა მთელი გულით, მხოლოდ მას ელაპარაკებოდა და ეს კაცი გახლდათ პრუდენსიო აგილიარი. სიკვდილის მსახვრალი ხელით თითქმის მთლად დაშლილი პრუდენსიო აგილიარი დღეში ორჯერ მაინც ესტუმრებოდა ხოლმე წაბლის ძირში მიბმულ ბერიკაცს. ისინი დიდხანს ლაპარაკობდნენ მოჩხუბარ მამლებზე: სანამშენე ერთად მოვაწყოთ, საუკეთესო ჯიშის მამლები გამოვზარდოთო, ამბობდნენ. ეს მამლები მოხუცებს ორთაბრძოლაში გამარჯვებისთვის როდი უნდოდათ — გამარჯვება აღარ სჭირდებოდათ — უბრალოდ სურდათ, რაიმე საქმით გაერთოთ თავი სიკვდილის გაჭიანურებულ და მოსაწყენ კვირა დღეს. ურსულა კი არა, პრუდენსიო აგილიარი ბანდა ხოსე არკადიო ბუენდიას, იმას მოჰქონდა საჭმელი, ის უყვებოდა ამბებს ვიღაც უცნობ კაცზე, ვისაც აურელიანო ერქვა და ვინც სადღაც ომში პოლკოვნიკი იყო. მარტოდ დარჩენილი ხოსე არკადიო ბუენდია ძილში პოულობდა შვებას. თითქმის ყოველ ღამე ესიზმრებოდა ოთახები, ბევრზე ბევრი ოთახი. ვითომ საწოლიდან დგებოდა, ერთი ოთახიდან მეორეში შედიოდა, მეორედან მესამეში და ასე დაუსრულებლად. თითქმის ყველა ოთახი ერთმანეთს ჰგავდა, ყველგან რკინის საწოლი და მოწნული სავარძელი იდგა. კედელზე კი ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. მოსწონდა ბერიკაცს ოთახებში სიარული, თითქოს ერთ გრძელ დერეფანს მიუყვებოდა ორთავე მხარეს ჩამწკრივებულ სარკეებს შორის... მერე პრუდენსიო აგილიარი შეეხებოდა მხარზე. ისიც ნელ-ნელა იღვიძებდა, უკან ბრუნდებოდა და კარგა მანძილზე ჩამწკრივებულ ოთახებში მანამდე ივლიდა, ვიდრე არ აღმოჩნდებოდა ნამდვილ ოთახში, სადაც პრუდენსიო აგილიარი ელოდებოდა. მაგრამ ერთ ღამეს, ორი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც ხოსე არკადიო ბუენდია საწოლს მიაკრეს, შუა ოთახამდე არც იყო მისული, რომ მხარზე პრუდენსიო აგილიარი შეეხო. ხოსე არკადიო ბუენდია უკან აღარ დაბრუნებულა, იფიქრა, ეს არის ნამდვილი ოთახიო. მეორე დილით, ქმართან საუზმე რომ მიჰქონდა, ურსულამ დაინახა, დერეფანში მის შესახვედრად ვიღაც უცხო კაცი მოდიოდა. ეს იყო პატარა და ჩაფსკვნილი კაცი. შავი მაუდის სამოსი ეცვა და უზარმაზარი ფარფლებიანი შავი ქუდი ჩამოეფარებინა ნაღვლიან თვალებზე. „ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ურსულამ, — დავიფიცებ, ნამდვილად მელკიადესია". მაგრამ ეს კაცი კატაურე გახლდათ, ვისიტასიონის ძმა, უძილობის ეპიდემიას რომ გაექცა და უგზოუკვლოდ გადაიკარგა. ვისიტასიონმა ჰკითხა, რატომ დაბრუნდიო, იმანაც თავისი ტომის ინდიელთა მსგავსად საზეიმოდ უპასუხა.

— მეფის დაკრძალვას უნდა დავესწრო.

მაშინ შევიდნენ ხოსე არკადიო ბუენდიას ოთახში და ბერიკაცი შეანჯღრიეს, ყურშიც ჩასძახეს, სარკეც მიუტანეს ცხვირთან, მაგრამ ამაოდ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დურგალი ზომას იღებდა კუბოსათვის, ფანჯრიდან დაინა-

ხეს: პაწაწინა ყვითელი ყვავილების წვიმა წამოსულიყო. მერეც, მთელი ღამე ეფინებოდა იგი ქუჩებს უხმაურო კოკისპირულ წვიმასავით. ყვავილებმა დაფარეს სახურავები, ჩახერგეს კარები და მოგუდეს ღია ცის ქვეშ დარჩენილი საქონელი. იმდენი ყვავილი მოვიდა, რომ დილით მთელი მაკონდო თვალწარმტაც ნალიჩასავით იყო გადაფენილი. ხალხმა ნიჩბები და ფიწლები მოიმარჯვლია, სამგლოვიარო პროცესიისათვის გზა რომ გაეწმინდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამარანტა მოწნულ სარწეველა სავარძელში იჯდა, მუხლებზე საქარგავი დაედო და აურელიანო ხოსეს შესცქეროდა. ყმაწვილმა საპნის ქაფი წაისვა სახეზე, სამართებელი ქამარს გაუსვ-გამოუსვა და პირველად თავის სიცოცხლეში შეუდგა წვერის პარსვას. სამართებელი უხერხულად ეჭირა და ცდილობდა ქერა ღინღლი ულვაშივით დაეყენებინა. ამ გაწამაწიაში პატარა მუწუკი გაიჭრა, ზედა ტუჩიც გაისერა და ყმაწვილიც ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. მაგრამ ამ რთული საქმიანობის შემყურე ამარანტასათვის აურელიანო ხოსემ სწორედ ამ დღიდან დაიწყო დაბერება.

— აურელიანოს ჰგავხარ, ზუსტად ასეთივე იყო აურელიანო შენი ხნისა, — უთხრა მან. — ნამდვილი კაცი ხარ უკვე.

აურელიანო ხოსე კარგა ხანია მამაკაცი გახდა. ამარანტას იგი კვლავ ბავშვად მიაჩნდა და ერთ დღეს ჩვეულებრისამებრ მის თვალწინ გაშიშვლდა და მოჰყვა ბანაობას. მას შემდეგ, რაც პილარ ტერნერამ ბავშვი ჩააბარა აღსაზრდელად, ამარანტა და აურელიანო ხოსე ერთად ბანაობდნენ ხოლმე. ბიჭი პირველად ცნობისწადილმა შეიპყრო, რატომ აქვს ამარანტას ძუძუებს შორის ჩაღრმავებული ადგილი და ისეთი მიამიტი იყო, ჰკითხა კიდეც. ქალმა უპასუხა: „თხარეს, თხარეს და გამოთხარეს", — თან ხელით აჩვენა, როგორ თხარესო. კარგა ხნის მერე, როცა ამარანტამ პიეტრო კრესპის სიკვდილი თითქოს მოინელა, კვლავ დაიწყო ბანაობა აურელიანო ხოსესთან ერთად. ბიჭს ჩაღრმავებულ ადგილზე აღარაფერი უკითხავს, მაგრამ ყავისფერკერტებიანი სავსე ძუძუების დანახვაზე კი რაღაცნაირად აცახცახდა. პატარაობიდანვე მიჩვეული იყო აურელიანო ხოსე; სიბნელისა ეშინოდა და შუაღამისას თავისი ჰამაკიდან ამარანტას საწოლში გადადიოდა ხოლმე. მაგრამ იმ დღის მერე, რაც ქალის შიშველმა სხეულმა გულისხმაში ჩააგდო, სიბნელის შიში სადღაც გაუქრა და ახლა კოღოების საწინააღმდეგო ბადეჩამოფარებულ საწოლში გადასვლისას მხოლოდ ერთი მწველი სურვილით იყო შეპყრობილი — შეეგრძნო ქალის თბილი სუნთქვა. ერთ დილას, მას მერე, რაც ამარანტამ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს უარი უთხრა ცოლობაზე, აურელიანო ხოსეს როგორღაც აფორიაქებულს გამოეღვიძა, თითქოს ჰაერი არ ყოფნისო, სუნთქვა უჭირდა. უცებ იგრძნო, ამარანტას თითები მხურვალე და მოფუთფუთე ჭიაყელებივით დაცოცავდნენ მის მუცელზე. დაბნეულმა მაშინვე თავი მოიმძინარა და მხარი იცვალა, მაგრამ ახლა ქალის შიშველი, შავი ფალასით შეუკრავი ხელი ბრმა მოლუსკივით დასრიალებდა ბიჭის აფორიაქებული სულის ფსკერზე. თუმცა ორივეს თავი ისე ეჭირა, არაფერიც მომხდარაო, ცოდნით ორივემ ერთად და ცალ-ცალკეც ყველაფერი კარგად იცოდა და იმ დღიდან მათ შორის შეთქმულების ძაფი გაიბა. აურელიანო ხოსე სულისწრაფვით ელოდა, როდის ჩამოკრავდა სასტუმრო ოთახში საათი შუაღამის ვალსს, რომ მერე მთვარეულივით ხლებოდა ქალს ბადეჩამოფარებულ საწოლში და თავისი მარტოობა მისთვისაც გაეზიარებინა. ღამით

შიშვლები იწვნენ და არაქათგამომცლელ ალერსს მისცემოდნენ. დღისით, როდროც არ უნდა ყოფილიყო, სადმე კუთხეში მიიმალებოდნენ ან საწოლ ოთახში ჩაიკეტებოდნენ და გახელებულნი და ვნებამორეულნი კოცნიდნენ ერთმანეთს. ერთხელ ხვევნა-კოცნაში გართულებს ურსულა წაადგათ. აკუ[illegible] „ძალიან გიყვარს მამიდაშენი?“ — გულუბრყვილოდ ჰკითხა აურელიანოს — [illegible] ქალი, უპასუხა მან. „ეგრეც უნდა“, — მოუწონა ურსულამ, პურის ფქვილი აწონა და სამზარეულოში გაბრუნდა. ამ თითქოს უმნიშვნელო შემთხვევამ ცივი წყალი გადაასხა ამარანტას. მიხვდა, შორს შეტოპა და რომ ეს უკვე ხვევნა-კოცნით თამაში კი არა, იმ დაგვიანებული და საშიში ვნების ციცაბო ბილიკზე სიარული იყო, მომავალი რომ არ ჰქონდა, — ქალმა მაშინვე გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ყველაფრისთვის. აურელიანო ხოსეს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა სამხედრო მომზადება. იგი ბედს შეურიგდა და ყაზარმაში დაიწყო ღამღამობით დარჩენა, შაბათობით კი ჯარისკაცებთან ერთად აკითხავდა „კატარინოს დუქანს“. მშფოთვარე მარტოობითა და ნაადრევი დაკაცებით მხრებდამძიმებული ჭაბუკი დროს იმ ქალებთან ჰკლავდა, მიმჭკნარი ყვავილების სუნი რომ ასდიოდათ და ბურანში მყოფს ამარანტად რომ ესახებოდა.

მალე მაკონდოში ომის თაობაზე ათასნაირი ხმა დაირხა: მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა, აჯანყებულები იმარჯვებენო, ოფიცრებს კი საიდუმლოდ ანდობდნენ, კაპიტულაციაა მოსალოდნელიო. აპრილის პირველ რიცხვებში პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს შიკრიკმა დაუდასტურა: ლიბერალთა თავკაცები შიდა ოლქების ამბოხებულთა მეთაურებთან მოითათბირებენ და მალე ზავს მოაწერენ ხელსო. ლიბერალები მიიღებენ სამ სამინისტრო ადგილს, პარლამენტში შეიყვანენ თავიანთ უმცირესობას და გამოცხადდება ამნისტია იმ მეამბოხეთა მიმართ, რომლებიც დაყრიან იარაღსო. შიკრიკმა პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს გადასცა აგრეთვე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ფრიად საიდუმლო ბრძანება, ზავის პირობებს არ ვეთანხმები, შეარჩიეთ ხუთი სანდო კაცი და მათთან ერთად დატოვეთ მაკონდოო. ბრძანება შეასრულეს საიდუმლოდ. ერთი კვირით ადრე, ვიდრე დაზავებას ოფიციალურად გამოაცხადებდნენ და მაკონდოს ნიაღვარივით ასკდებოდა ათასნაირი ჭორი თუ მართალი, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია და მისი ათი ერთგული ოფიცერი, მათ შორის როკე-ყასაბიც, ღამით ჩუმად შეიპარნენ ქალაქში, გარნიზონი დაშალეს, ჯარისკაცები სახლებში გაუშვეს, იარაღი მიწაში ჩაფლეს და ძრქივი გაანადგურეს. განთიადზე კი პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესთან და მის ხუთ თანამებრძოლთან ერთად დატოვეს ქალაქი. ოპერაცია ისე სწრაფად და უხმაუროდ ჩატარდა, რომ ურსულამ მხოლოდ ბოლო წუთებში გაიგო და ისიც, ვიღაცამ დაუკაკუნა საძინებელი ოთახის ფანჯარაზე: „პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ნახვა თუ გინდათ, საჩქაროდ გამოდით“. ურსულა საწოლიდან წამოხტა და პერანგის ამარა გავარდა ქუჩაში, მაგრამ იქ აღარავინ დაუხვდა, მხოლოდ ფლოქვების თქარათქური მოესმა სიბნელეში. ურსულამ მეორე დღეს გაიგო ისიც, რომ აურელიანო ხოსე მამამისს გაჰყოლოდა.

ათი დღის მერე, რაც მთავრობამ და ოპოზიციამ გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე ომის დამთავრების თაობაზე, მოვიდა ცნობა, დასავლეთის საზღვარზე პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კვლავ აჯანყება წამოიწყოო. მაგრამ მისი მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარაღებული რაზმი მალე, სულ რაღაც ერთ კვირაში გაფანტეს. და მაინც მთელი წლის მანძილზე, ვიდრე ლიბერალებიც

და კონსერვატორებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, ხალხი დაერწმუნებინათ, შევრიგდითო, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კიდევ შეიდი შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო. ერთხელ ღამით გემიდან ქვემეხი დაუშინა რიოაჩას, ამის საპასუხოდ გარნიზონელებმა ქალაქის ყველაზე ცნობილი თოთხმეტი ლიბერალი საწოლებიდან წამოყარეს და დახვრიტეს. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ხელთ იგდო სასაზღვრო საბაჟო საგუშაგო და [illegible] დაუთმია, იქიდან მოუწოდა თავის ერს, დაეწყოთ საყოველთაო ომი. მეორედ სამი თვე იხეტიალა დაბურულ ტროპიკულ ტყეებში: წარმოუდგენელი რამ განეზრახა — ათას ხუთასი კილომეტრი უნდა გაევლოთ უსიერ, ჯერაც ფეხდაუდგამ ტყეში, რათა იერიში მიეტანათ თვით დედაქალაქზე. ერთხელაც მაკონდოდან დაახლოებით ოც კილომეტრზე მთავრობის ჯარებმა მაგრად მისცხეს და ისიც იძულებული გახდა მიმალულიყო მთებში „მოჯადოებული ველის“ მახლობლად, სადაც ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მამამისმა ესპანელი მეომრის ჩონჩხი ამოთხარა მიწიდან.

სწორედ ამ ხანებში მოკვდა ვისიტასიონი, მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით, როგორაც თვითონ ნატრობდა. სამეფო ტახტზეც ხომ იმიტომ თქვა უარი და უძილობის ეპიდემიასაც ხომ იმიტომ გამოექცა, რომ ნაადრევი სიკვდილისა ეშინოდა! მისი ბოლო სურვილი იყო, ოცი წლის ნამსახური ფული გამოეღოთ ლეიბიდან და გაეგზავნათ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის ომის გასაგრძელებლად, მაგრამ ურსულას ფულის ამოღება არ დასჭირვებია, რადგან ხმა გავარდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია პროვინციის დედაქალაქის მისადგომებთან დაიღუპაო. ეს უკვე მეოთხე ოფიციალური ცნობა იყო მისი დაღუპვისა ამ ბოლო ორ წელიწადში და ექვსი თვე მართლაც აღარავის უხსენებია პოლკოვნიკი. ის იყო ურსულამ და ამარანტამ კვლავ მგლოვიარობა გამოაცხადეს — თუმცა წინა მგლოვიარობის ვადა ჯერაც არ გასულიყო — რომ მაკონდოში დაუჯერებელი ამბავი მოვიდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ცოცხალია, მაგრამ, ეტყობა, თავისი ქვეყნის მთავრობასთან ბრძოლაზე ხელი აიღო, რადგან ახლა ფედერალისტების მხარეზეა და კარიბის ზღვის სხვა რესპუბლიკებში გამარჯვებაა გამარჯვებაზე ზეიმობენო. პოლკოვნიკი სხვისი სახელითა და გვარით იბრძოდა და მისი ამბებიც სულ უფრო და უფრო შორიდან მოდიოდა მაკონდოში. მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ ხანებში მას ახალი იდეა ჩასახვოდა — სურდა ცენტრალური ამერიკის ყველა ფედერალისტური დაჯგუფება გაეერთიანებინა და მთელ კონტინენტზე, ალიასკიდან პატაგონიამდე, აღეგავა პირისაგან მიწისა კონსერვატორები. შვილის პირველი წერილი ურსულამ მიიღო რამდენიმე წლის მერე, რაც მან დატოვა მაკონდო. ეს იყო გაცრეცილი, ალაგ-ალაგ გადაშლილი და ფერგასული წერილი, რომელმაც, ეტყობა, სანტიაგო დე კუბადან მოყოლებული ბევრი ხელი გამოიარა და ახლა, როგორც იქნა, აქამდე მოაღწია.

— აურელიანო სამუდამოდ დავკარგეთ! — შესძახა ურსულამ წერილის წაკითხვისთანავე, — თუ ასე გაგრძელდა, შობის დღესასწაულს სადღაც დასაკარგავში შეხვდება.

კაცი, ვისაც ეს სიტყვები უთხრა ურსულამ და ვისაც ყველაზე ადრე აჩვენა აურელიანოს წერილი, იყო კონსერვატორი გენერალი ხოსე რაკელ მონკადა, მაკონდოს ალკალდი ომის დამთავრების მერე. „საწყენია, რომ ეს თქვენი აურელიანო კონსერვატორი არ არის“, — შენიშნა გენერალმა მონკადამ. მას

მართლა მოსწონდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. ბევრი სხვა კონსერვატორი სამოქალაქო პირივით გენერალი მონკადაც იცავდა თავისი პარტიის ინტერესებს, მონაწილეობდა ომში და გენერლის ჩინსაც იქ მიაღწია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამხედრო საქმეში დიდი ნიჭი არ გამოუჩენია. ის კი არადა, სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ომისა. სამხედრო პირნი მიაჩნდა [illegible]ქნარა, ინტრიგან და კარიერისტ ადამიანებად, რომელთაც მხ[illegible]ღვრეულ წყალში თევზის დაჭერა უყვართ. ინტელიგენტი, სასიამოვნო შესახედავი, ხალისიანი, მადიანად მჭამელი და მოჩხუბარი მამლებით ფანატიკურად გატაცებული გენერალი რაკელ მონკადა პირველ ხანებში ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტერი გახლდათ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასი. მან მოახერხა კარგა მოზრდილ სანაპირო ოლქში ახალგამომცხვარ სამხედრო პირთა ნდობა დაემსახურებინა. ერთხელ, სტრატეგიული მოსაზრებით, იძულებული გახდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის დაეტოვებინა რომელიღაც სიმაგრე. წასვლისას გენერალმა ორი წერილი დატოვა. ერთ, უფრო ვრცელ წერილში, გენერალი მონკადა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სთავაზობდა: შევკავშირდეთ და ერთობლივი ძალით ომი კაცთმოყვარეული გზით წარვმართოთო. მეორე წერილი დაწერილი იყო გენერლის მეუღლის სახელზე, რომელიც აჯანყებულთა მიერ ოკუპირებულ ქალაქში ცხოვრობდა. თან დართულ ბარათში გენერალი სთხოვდა, ეს წერილი ამ მისამართით გააგზავნეთო. ამის შემდეგ, ომის ყველაზე ქარცეცხლიან დღეებშიც კი, ორივე სარდალი დროებით ეზავებოდა ერთმანეთს ტყვეების გაცვლა-გამოცვლის გამო. გენერალმა მონკადამ როგორღაც მოახერხა და ამ საზეიმო სულით აღსავსე შეხვედრების დროს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჭადრაკის თამაში ასწავლა. მალე ისინი დამეგობრდნენ და იმაზე მოჰყვნენ ფიქრს, როგორ შეეთანხმებინათ ხალხი ორივე პარტიასთან. ამ გზით მათ სურდათ ძირშივე აღმოეფხვრათ სამხედრო ხროვისა და პროფესიონალი პოლიტიკოსების გავლენა და დაემყარებინათ ჰუმანური წყობა, სადაც გამოიყენებდნენ ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი ორივე პარტიის დოქტრინაში იქნებოდა აღნიშნული. ომის დამთავრების შემდეგ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია კარგა ხანს აღარ ჩანდა, გენერალი მონკადა კი ამასობაში მაკონდოს კორეხიდორი გახდა. იგი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყო, ყოფილი ჯარისკაცები შეუიარაღებელ პოლიციელებად აქცია და დაავალა, მინისტრის თაობაზე მიღებული წესები გულმოდგინედ დაიცავითო. გენერალმა მონკადამ დახმარების ხელი გაუწოდა ბრძოლაში დაღუპულ არაერთი ლიბერალის ოჯახს. მან ისიც მოახერხა, მაკონდო სამუნიციპალიტეტო ოლქის ცენტრად გამოეცხადებინა, თვითონ კი კორეხიდორობიდან ალკალდის ადგილზე გადაინაცვლა. ქალაქში ისეთი სიმშვიდე დამყარდა, რომ ომს უკვე ყველანი იგონებდნენ, როგორც შორეულ და უმიზნო საშინელებას. მღვდელი ნიკანორი გაუთავებელი ავადმყოფობის გამო გადააყენეს და მის ნაცვლად დანიშნეს მღვდელი კორონელი, პირველი ფედერალური ომის მონაწილე. მაკონდოში მას ზედმეტსახელად ხეპრე შეარქვეს. ბრუნო კრესპი ამპარო მოსკოტეზე დაქორწინდა. მის სათამაშოების მაღაზიას ბადალი არ ჰყავდა მთელს ოლქში. ბრუნო კრესპიმ თეატრიც ააგო და ესპანეთის თეატრალურმა დასებმაც ჩართეს მაკონდო თავიანთ საგასტროლო გეგმაში. კარგა მოზრდილ გადაუხურავ თეატრის შენობაში ხის სკამები ჩადგეს, სცენაზე ხავერდის მძიმე ფარდები გაკიდეს და ფარდებზე ბერძნული ნიღბები დახატეს. ბილეთების გა-

საყიდი სალაროები ლომების საზარლად დაღებულ ხახებში მოათავსეს. სკოლის შენობაც მოაწესრიგეს. სკოლას სათავეში ჩაუდგა მახლობელი ქალაქიდან გამოგზავნილი მოხუცი მასწავლებელი დონ მელჩორ ესკალონა. ზარმაც მოსწავლეებს იგი აიძულებდა, ჩოქვით ევლოთ რიყის კენჭებით მოხვინძულ ეზოში, ენაჭარტალებს ცხარე ინდური წიწაკით უმასპინძლდებოდა, და ამას ყველაფერს აკეთებდა მშობლების მხარდაჭერით. სანტა სოფია დე ლა პიედადის უცნაური ტყუპი ვაჟები აურელიანო მეორე და ხოსე არკადიო მეორე პირველნი დასხდნენ საკლასო მერხზე დაფებით, ცარცებითა და ალუმინის ტოლჩებით შეიარაღებულნი. ტოლჩებზე მათი სახელები იყო ამოკაწრული. რემედიოსს დედის სილამაზე გამოჰყოლოდა და უკვე ყველანი მშვენიერ რემედიოსს ეძახდნენ. ურსულამ თუმცა მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელ შრომასა და გოდებაში გაატარა, მაინც მხნედ იყო და წელთა სიმრავლეს არ ეპუებოდა. სანტა სოფია დე ლა პიედადი მხარში ამოიყენა და საკონდიტრო ნაწარმის ცხობა ერთი-ორად გაზარდა. ის ფული ხომ აინაზღაურა, რაც შვილმა ომის დროს გამოაჭამა, გადააჭარბა კიდეც და არა ერთი გამხმარი კვახი ამოავსო ოქროთი და საძინებელ ოთახში გადამალა. „ვიდრე ცოცხალი ვარ, — ხშირად უთქვამს ურსულას, — ამ შეშლილ ოჯახს ფული არ მოაკლდება“. ასე მიდიოდა საქმეები, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცხენივით დიდი და ჯანმაგარი, ინდოელივით გარუჯული და ბანჯგვლიანი აურელიანო ხოსე გამოეცხადათ ბუენდიებს სამზარეულოში. იგი ნიკარაგუადან გამოქცეულიყო, მიეტოვებინა ფედერალისტთა ჯარი და გერმანელთა ხომალდზე დაეწყო მუშაობა მეზღვაურად. ახლა კი ჩამოვიდა, რათა აესრულოს გულში საიდუმლოდ ჩამარხული დიდი ხნის სურვილი — ცოლად ითხოვოს ამარანტა.

თუმცა აურელიანო ხოსეს სიტყვაც არ დაუძრავს, რისთვის იყო ჩამოსული, ამარანტა მაინც მიხვდა ყველაფერს. სუფრასთან თვალებში ვერ უყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ორიოდე კვირის მერე აურელიანო ხოსემ ურსულას თანდასწრებით ამარანტას ჯიქურ უთხრა: „სულ შენზე ვფიქრობდი“. ამარანტა გაურბოდა, ცდილობდა არსად გადაჰყროდა ვაჟს და მშვენიერ რემედიოსს გვერდიდან არ იშორებდა. სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, როცა ერთ დღეს ძმისშვილმა დრო იხელთა და ჰკითხა, როდემდე გინდა ატარო ეგ შენი შავი სახვევი ხელზეო; ამარანტამ მაშინვე გაივლო გუნებაში, აურელიანო ხოსემ ალბათ გადმომკრა, როდემდე გინდა ქალწულმა იაროო. ღამღამობით საწოლი ოთახის კარს კეტავდა, მაგრამ ვაჟის უშფოთველი ხვრინვა რომ ესმოდა, ასეთი სიფრთხილე ზედმეტად მიიჩნია. ერთხელ, აურელიანო ხოსეს დაბრუნებიდან თითქმის ორი თვის მერე, ამარანტამ იგრძნო, ვაჟი მის ოთახში შევიდა; იმის ნაცვლად რომ გაქცეულიყო ან ეყვირა, ქალმა სული განაბა და თითქოს მოისვენა, ტკბილი განცდა დაეუფლა. აურელიანო ხოსე ისე ფეხაკრეფით შევიდა ბადეში, როგორც ბავშვობაში ჩვეოდა, როგორც საერთოდ ჩვეოდა. ამარანტას ცივმა ოფლმა დაასხა, როცა მიხვდა, ვაჟი მთლად დედიშობილაა. „წადი, — დაიჩურჩულა გაკვირვებულმა, — წადი, თორემ ვიყვირებ“. მაგრამ აურელიანო ხოსემ უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ახლა ის ბავშვი აღარ იყო, ერთ დროს სიბნელისა რომ ეშინოდა, ახლა ის ნადირი იყო, გარეული ნადირი. ამ ღამიდან განახლდა მათი უსიტყვო და მომქანცველი უშედეგო ორთაბრძოლა, რომელიც თითქმის დილამდე გრძელდებოდა. „მამიდა ვარ შენი, — ჩურჩულებდა ძალაგამოცლილი ამარანტა. — დედად გერგები ასაკითაც და

ყველანაირად. არ მიშობიხარ, თორემ სხვაფრივ დედა ვარ შენი“. აურელიანო ხოსე განთიადისას მიდიოდა, რათა ღამით კვლავ დაბრუნებულიყო. ღიად დატოვებული კარის დანახვაზე მომეტებული ვნება შემოენთებოდა ხოლმე. თითქმის მუდამ სდევდა თან ამარანტას მწველი სურვილი. იგი ხახლიდან იმიტომაც გაიქცა, იქნებ სიშორემ განმკურნოსო; მუდამ იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც ყველაზე დიდი ბრძოლის ცეცხლი ენთო, ამიტომაც ეძახდნენ თანამებრძოლნი „უშიშარს“. მაგრამ რაც უფრო მეტად ურევდა ქალის ხატებას ომის სიბინძურეში, მით უფრო აგონებდა ომი ამარანტას. ასე იტანჯებოდა დევნილი და უარყოფილი აურელიანო ხოსე და გახელებული დაეძებდა სიკვდილს, ვიდრე ერთი ანეკდოტი არ მოისმინა: თურმე ერთი კაცი დაქორწინებულა საკუთარ მამიდაზე, რომელიც ბიძაშვილადაც ერგებოდა და ამ კაცის შვილი ბოლოს და ბოლოს საკუთარი თავის ბაბუაც გახდა.

— განა შეიძლება საკუთარი მამიდა ითხოვო ცოლად? — იკითხა გაკვირვებულმა აურელიანო ხოსემ.

— მარტო მამიდა კი არა.. — უპასუხა ერთმა ჯარისკაცმა. — განა ტყუილად ვებრძვით მღვდლებს? ვისაც ვინ მოესურვება, ის უნდა ითხოვოს, თუნდაც საკუთარი დედა.

სწორედ ამ ლაპარაკიდან ორი კვირის მერე გამოიქცა აურელიანო ხოსე ჯარიდან და დეზერტირი გახდა. შინ დაბრუნებულს ამარანტა მოშვებული, დამორცხვებული და სევდიანი ეჩვენა. „მხეცი ხარ, — ეუბნებოდა ვაჟის დევნით შეწუხებული ამარანტა. — ნუთუ არ იცი, მამიდა რომ ცოლად ითხოვო, რომის პაპის დასტურია აჭირო“. აურელიანო ხოსე შეჰპირდა, ფეხათუოდ გავემგზავრები რომს, ჩოქვით გადავივლი ევროპას, რათა მის უწმინდესობას ფეხსაცმლის ქვინტზე ვემთხვიო, ოღონდ შენ დაუშვი ხიდიო.

— მარტო მისი დასტური როდია მთავარი, — თავს იცავდა ამარანტა. — მთავარი ის არის, რომ ღორისკუდიანი შვილები გვეყოლება.

არც აურელიანო ხოსე ყრიდა ფარ-ხმალს:

— გინდაც ნიანგები დაიბადონ.

ერთ დილას დაუკმაყოფილებელი სურვილით განაწამები აურელიანო ხოსე „კატარინოს დუქანს“ ესტუმრა და ერთ იაფფასიან, ალერსიან და მკერდმომკნარ ქალთან დროებით ჩაიცხრო ვნების ქარიშხალი; მერე გადაწყვიტა, ამარანტას მოვაჩვენებ, კითომ აღარ მიყვარს, იქნებ ამ ხერხმა გასჭრას და დავიპყრო მისი გულიო. მართლაც, დერეფანში ისე ჩაუარა საკეროვ მანქანასთან მიმჯდარ და მოხდენილად და მარდად მომუშავე ქალს, რომ სიტყვაც არ უთქვამს. ამარანტას ტვირთი მოეხსნა მხრებიდან და ფიქრებში კვლავ წამოუტივტივდა ხერინელდო მარკესი. მოაგონდა მასთან შაშის თამაშში გატარებული საღამოები და ინატრა, ნეტავ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ოთახში შემოვიდესო. აურელიანო ხოსემ არც კი იცოდა, როგორ წააგო თავისი მცდარი ტაქტიკით. ერთ ღამეს, ვეღარ გაუძლო გულგრილობის თამაშს და კვლავ მიადგა ამარანტას ოთახს, მაგრამ ქალმა მტკიცე უარი უთხრა და სამუდამოდ მოუკეტა კარი.

აურელიანო ხოსეს მაკონდოში დაბრუნებიდან რამდენიმე თვის მერე ბუენდიებს გამოეცხადათ ფამფაშა, ჟასმინის სუნამოდაპკურებული ქალი და ხუთი წლის ბავშვი. ეს ბავშვი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასია, მინდა ურსულამ მონათლოსო, განაცხადა ქალმა. ჯერ კიდევ სახელდაურქმეველი ბავშვის წარ-

მოშობაზე არავინ დაეჭვებულა: ბიჭი ძალიან ჰგავდა პოლკოვნიკს პატარაობაში, სწორედ იმ ხნისას, პირველად რომ წაიყვანეს ყინულის სანახავად. ქალმა თქვა, ბიჭი თვალგახელილი დაიბადა და ირგვლივ ყველაფერს გონიერი და ჭკვიანი კაცივით ათვალიერებდა, მეშინია, ვაითუ დასჩემდეს ეს თვალდაუხამხამებელი ცქერაო. „ზედგამოჭრილი მამამისია, — თქვა ურსულამ. — ოღონდ ერთი რამ აკლია! მის შეხედვაზე სკამები არ მოძრაობენ“. ბავშვს აურელიანო დაარქვეს, გვარი კი დედისა მისცეს, რადგან, კანონით, ვიდრე თვითონ მამა არ აღიარებდა მის შვილობას, მამის გვარს ვერ მიიღებდა. ნათლიად გენერალი მონკადა მოიწვიეს — ამარანტამ სთხოვა, ბავშვი დამიტოვეთო, მაგრამ დედამ უარი უთხრა.

ურსულას წინათ არც გაეგონა არასოდეს, დედებს თავიანთი ქალიშვილები მეომრებთან დასაწოლად გაეგზავნოთ, როგორც დედლები ჯიშიან მამლებთან, მაგრამ ახლა სულ რაღაც ერთ წელიწადში დარწმუნდა, რომ თურმე ასეთი ჩვეულება არსებობდა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას კიდევ ცხრა ვაჟიშვილი მიიყვანეს ბუენდიების ოჯახში მოსანათლავად. მათ შორის უფროსი ბიჭი ათი წლისა იყო, შავგვრემანი და მწვანეთვალებიანი უცნაური ბიჭი არაფრით არ ჰგავდა მამის ნათესავებს. მოჰყავდათ სხვადასხვა ასაკისა და ჯურის ბავშვები, მაგრამ ყველა ბიჭი იყო და ყველას მარტოობის ისეთი დაღი ესვა სახეზე, რომ ძათი მნახველი მაშინვე დარწმუნდებოდა, ყველანი ბუენდიების სისხლი და ხორცი იყვნენ. მხოლოდ ორი ბიჭი დაიმახსოვრა ურსულამ, ერთმა, თავის ასაკთან შედარებით კარგად მოსულმა ბავშვმა, ნამსხვრევებად აქცია ლარნაკები და ერთი-ორი თეფშიც მიაყოლა ზედ. ამ ბავშვისათვის ხელები თითქოს მხოლოდ იმიტომ მიეცა უფალს, რასაც კი შეეხებოდა, ყველაფერი დაემსხვრია. მეორე ქერა ბიჭი იყო, დედის მონაცრისფერო-ლურჯი თვალები გამოჰყოლოდა, თმა გოგოსავით გრძელი და დაკულულებული ჰქონდა. ისე შევიდა სახლში, თითქოს აქ მოეჭრას ჭიპი: პირდაპირ გაემართა ურსულას საძინებელი ოთახისაკენ, სკივრს მიადგა და თქვა: „მოსამართი მოცეკვავე ქალი მინდა“. ურსულას შეეშინდა კიდეც, თავი ახადა სკივრს, ძველი, მელქიადესისდროინდელი დამტვერილი ნივთები ამოყარა და ხელი წაატანა ძველ წინდაში გახვეულ პიეტრო კრესპის მოტანილ სათამაშოს, რომელიც კარგა ხანია დავიწყებული ჰქონდა ყველას. სულ რაღაც თორმეტ წელიწადში ყველა ვაჟიშვილს, — რომელიც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მოავლინა ამქვეყნად ომის წლებში სხვადასხვა მხარეში ბრძოლისას — მამის სახელი დაანათლეს, გვარი კი ყველას დედისა დარჩათ. ვაჟიშვილი კი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას უკვე ჩვიდმეტი ჰყავდა. პირველ ხანებში ურსულა ბიჭებს ჯიბეებს უვსებდა ფულით და ამარანტაც თავს იკლავდა, ყველას მე გავზრდიო, მაგრამ ნელ-ნელა მოუკლეს გადამეტებულ ზრუნვას და ნათლულებს რომ შეეფერებათ ნათლიებისგან, მხოლოდ ისეთი საჩუქრებით ისტუმრებდნენ. „ჩვენი მოვალეობაა, მხოლოდ მოვნათლოთ ბავშვები, — ამბობდა ურსულა და წიგნაკში იწერდა დედების გვარსა და მისამართს, ბავშვების დაბადების თარიღსა და ადგილს. — აურელიანოს წესრიგში უნდა დახვდეს ყველაფერი, განა ის არ უნდა დაეხმაროს ბიჭებს, როცა დაბრუნდება?“ ერთხელ სადილზე გენერალ მონკადას შესჩივლა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მოძალებულ ნაყოფიერებაზე და ინატრა, ნეტავი დაბრუნდებოდეს და თავის შვილებს მოუყრიდეს თავსო.

— ნუ წუხართ, ნათლიდედ, — თითქოს რაღაც იცოდა გენერალმა მონკადამ. — თქვენ რომ გგონიათ, იმაზე ადრე დაბრუნდება.

გენერალმა საიდუმლოდ იცოდა, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უკვე გზაში იყო. იგი სამშობლოში ბრუნდებოდა, რათა წამოეწყო ყველაზე ხანგრძლივი, გადამწყვეტი და სისხლიანი აჯანყება.

მდგომარეობა კვლავ ისე დაიძაბა, როგორც გასული ომების დროს, მამალების ჩხუბი, რის სულისჩამდგმელიც და მოთავე თვითონ ხელისუფლება გახლდათ, გადაიდო. გარნიზონის უფროსმა კაპიტანმა აკილეს რიკარდომ სინამდვილეში სამოქალაქო საქმეებიც ითავა. ლიბერალებმა იგი პროვოკატორად მონათლეს. „საშინელი ამბავი დატრიალდება, — ეუბნებოდა ურსულა აურელიანო ხოსეს. — საღამოს ექვსი საათის მერე ქუჩაში არ განახო გასული". მაგრამ აურელიანო ხოსე, როგორც ერთ დროს არკადიო, ახლა უკვე აღარ ეკუთვნოდა ურსულას. თავისი ბიძის ხოსე არკადიოსაგან განსხვავებით აურელიანო ხოსე შინ დაბრუნებამ და უშრომ-უზრუნველად ცხოვრებამ გააზარმაცა და მხოლოდ წუთიერ ტკბობაზე ფიქრობდა. ამარანტას სურვილი ისე გაუქრა, გულში ერთი ბზარიც არ დარჩენია. ისე ცხოვრობდა, თითქოს ტალღებს მიჰყვებაო: თამაშობდა ბილიარდს, ერთობოდა უცხო ქალებთან, ცდილობდა მარტოობიდან დაეღწია თავი; ყველა კუთხე-კუნჭულში ეძებდა ურსულას გადამალულ ფულს. მერე და მერე, მხოლოდ ტანსაცმლის გამოსაცვლელად თუ შეივლიდა სახლში. „ყველა ერთნაირი როგორ არის, — ჩიოდა ურსულა. — ჯერ უწყინარნი და დამჯერები არიან, გეგონება, ბუზსაც არ ააფრენენო, მაგრამ საკმაოსია სახე შეელინოლოთ, რომ მაშინვე ცოდვებისკენ ისწრაფვიან". თუ არკადიომ ვერასოდეს გაიგო, ვისი შვილი იყო, სამაგიეროდ აურელიანო ხოსემ იცოდა, რომ პილარ ტერნერა იყო მისი დედა, რომელმაც ჰამაკიც კი გაუბა თავის სახლში, რათა აურელიანო ხოსეს ნასადილევს იქ მოესვენა. ისინი მხოლოდ დედა-შვილი კი არა, მარტოობაში შეამხანაგებულნიც იყვნენ. პილარ ტერნერას იმედის ბოლო ნაპერწკალიც ჩაქრობოდა. სიცილი ხრინწიანი გაუხდა, ათასი კაცის ხელმონაკიდები და ნაჯიჯგნი მკერდი ჩამოუვარდა, მუცელი და ბარძაყები ნამდვილი ქუჩის ქალისა ჰქონდა, მაგრამ გული კი სიბერეშიც უდარდელი შერჩა. გაფამფამებული, ენაჭარტალა, პატივმოყვარე და ემზგასულ სასახლის სეფე ქალს დაემსგავსა. თავისთვის აღარ მკითხაობდა კარტზე, ამაო იმედებით აღარ იწუხებდა თავს, წყნარი კუთხე მოიწყო და სხვათა სიყვარულს დადგომოდა დარაჯად. ამ სახლში, სადაც აურელიანო ხოსე სიესტის დროს მიდიოდა ხოლმე, მეზობელი ქალიშვილები და მათი შემთხვევით გაცნობილი კაცები იკრიბებოდნენ ხოლმე. „შემოგვიშვი, პილარ", — ეუბნებოდნენ თავხედურად ისედაც უკვე ოთახში შესულები. „მობრძანდით, მობრძანდით", — ეპატიჟებოდა პილარი და შემთხვევით თუ კიდევ იყო იქ ვინმე, ეუბნებოდა:

— როდესაც ვხედავ, ადამიანები თავს კარგად გრძნობენ ლოგინში, მეც კარგადა ვარ მაშინ.

ფული არასოდეს აუღია ამ საქმეში, არც უარი უთქვამს ვინმესთვის, ასევე არ ეუბნებოდა უარს იგი საალერსოდ მასთან მისულ მამაკაცებს თითქმის ცხოვრების მიმწუხრამდე, თუმცა ამ ალერსს პილარ ტერნერასათვის არც ფული მოუტანია როდისმე და არც სიყვარული, ის კი არადა, სიამოვნებაც იშვიათად უგრძვნია. პილარ ტერნერას ხუთ ქალიშვილს დედის სისხლი უჩქეფდათ ძარღვებში და ჯერ კიდევ პატარები მიმოიფანტნენ ცხოვრების დაბინდულ გზებზე. ორი ვაჟიშვილიდან, მის სახლში რომ გაიზარდნენ, ერთი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რაზმში იბრძოდა და დაიღუპა, მეორე, თოთხმეტი წლი-

სა, რომელიღაც ქალაქში ქათმებს იპარავდა, რომ გაქცეულს ესროლეს და დაჭრილი შეიპყრეს. ალბათ აურელიანო ხოსე იყო ის ტანმაღალი, მზემოკიდებული ვაჟკაცი, მთელი ნახევარი საუკუნე კარტში რომ ამოდიოდა ქალის მეფის სახით. რას იზამს, ის მეფე მისი შვილი გამოდგა, მაგრამ კარტში აღთქმული და დაპირებული სხვა მამაკაცების სიყვარულიცა არ იყოს, პილარ ტერნერას სიყვარულიც ვერ მოასწრო: აურელიანო ხოსე სიკვდილს მიზანში ამოეღო უკვე. პილარ ტერნერას კარტმა ამცნო ეს უბედურება.

— ამ საღამოს აქ დარჩი, — უთხრა პილარმა აურელიანო ხოსეს. — აქ დაიძინე. კარმელიტა მონტიელი რა ხანია მთხოვს, აურელიანო ხოსესთან შემაშვიო.

შვილმა დედას აღელვება ვერ შეამჩნია.

— უთხარი დამელოდოს. შუაღამისას მოვალ, — უთხრა დედას.

იგი გაეშურა თეატრში, სადაც ესპანური დასი უჩვენებდა პიესას — „სორროს სატევარი“. სინამდვილეში ეს იყო სორილიას[1] ნაწარმოები, რომლის სათაურიც შეცვალეს კაპიტან აკილეს რიკარდოს ბრძანებით, რადგან ლიბერალები „გუთებს“ ეძახდნენ კონსერვატორებს. შესასვლელში ბილეთის ჩვენებისას აურელიანო ხოსემ შეამჩნია, კაპიტანი აკილეს რიკარდო და მისი ორი ჯარისკაცი ყველას ჩხრეკდნენ. „აბა, ფრთხილად, კაპიტანო, — უთხრა აურელიანო ხოსემ, — ჯერ კაცი არ დაბადებულა, ჩემზე ხელი აღემართოს“. კაპიტანმა ყური არ ათხოვა მის სიტყვებს, გაჩხრიკეთო, უბრძანა ჯარისკაცებს. აურელიანო ხოსეს იარაღი თან არ ჰქონდა, მაგრამ მაინც დაუსხლტა მათ ხელიდან და გაიქცა. ჯარისკაცები კაპიტნის ბრძანებას არ დაემორჩილნენ, არ ესროლეს, ეს ხომ ბუენდიააო. მაშინ გაცოფებულმა კაპიტანმა ერთ-ერთს შაშხანა გამოსტაცა, ხალხის ტალღა გაარღვია, შუა ქუჩაში დადგა და დაუმიზნა.

— მხდალებო! — დაიღრიალა მან. — ნეტავი ახლა ეს გაქცეული თვითონ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იყოს!

კარმელიტა მონტიელმა, ოცი წლის ქალიშვილმა ის იყო ვარდის წყალში ტანი განიბანა და პილარ ტერნერას საწოლზე როზმარინის ფოთლები მიფანტ-მოფანტა, რომ გაისროლაც გაისმა. თუ კარტს რამე დაეჯერება, აურელიანო ხოსეს კარმელიტასთან იმ ბედნიერი წუთებით ტკბობა უნდა განეცადა, რაზეც ამარანტამ უარი უთხრა. უნდა ჰყოლოდათ ექვსი შვილი და ქმარი ღრმად მოხუცებული უნდა მომკვდარიყო ცოლის მკლავებში, მაგრამ ტყვიას, რომელიც აურელიანო ხოსეს ზურგში მოხვდა და გულში გაუარა, ეტყობა, არაფერი ესმოდა მკითხაობისა. სამაგიეროდ იმ ღამით კაპიტან აკილეს რიკარდოს ელოდა სიკვდილი და მართლა მოკვდა აურელიანო ხოსეზე ორი საათით ადრე. როგორც კი კაპიტანმა გაისროლა, მაშინვე მასაც ესროლეს ორჯერ, ოღონდ ვინ ესროლა და საიდან, ვერავინ გაიგო. გასროლასთან ერთად ღამის ბინდი გააპკვეთა შეძახილმა:

— გაუმარჯოს ლიბერალების პარტიას! გაუმარჯოს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას!

შუაღამისას, როცა აურელიანო ხოსეს ჭრილობა სისხლისაგან დაიწრიტა და კარმელიტა მონტიელის მომავალი ბედ-იღბალიც გაირკვა, თეატრის წინ

---

[1] ესპანელი პოეტისა და დრამატურგის ხოსე სორილიას (1817-1893) ტრაგედია „გუთების სატევარი“

ოთხასზე მეტმა კაცმა გაიარა და ყველამ სათითაოდ დაახალა ტყვია აკილეს რიკარდოს გვამს. რამდენიმე კაცმა ძლივს დადო ფურგონზე ტყვიისაგან დამძიმებული გვამი, რომელიც დამბალი პურივით იშლებოდა.

მთავრობის ჯარების თავხედობით აღშფოთებულმა გენერალმა ხოსე რაქელ მონკადამ, პოლიტიკური ნაცნობების ხელშეწყობით კვლავ სამხედრო ფორმა ჩაიცვა და მაკონდოს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალიც გახდა. მაგრამ გენერალმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: ის, რაც შემდეგში მოხდა, არ მოხდებოდა, მას რომ მხოლოდ მშვიდობიანი მოღვაწეობა გაეგრძელებინა და საომრად არ მომზადებულიყო. სექტემბერში სხვადასხვა ცნობა მოდიოდა. მთავრობა იუწყებოდა, მთელი მხარე ჩვენს ხელშიაო, ლიბერალებს კი საიდუმლო ცნობები მოსდიოდათ ქვეყნის შიდა ოლქებში შეიარაღებული აჯანყების თაობაზე. საომარი ვითარება ყველამ მაშინ ირწმუნა, როცა გამოაქვეყნეს შემდეგი დეკრეტი: სამხედრო ტრიბუნალმა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რომელი გარნიზონიც დაატყვევებდა პოლკოვნიკს, იმ გარნიზონსვე უნდა მოეყვანა განაჩენი სისრულეში. „ეტყობა, აურელიანო დაბრუნდა", — მიახარა ურსულამ გენერალ მონკადას. მაგრამ მონკადამ ჯერ არაფერი იცოდა ამის თაობაზე.

სინამდვილეში პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თვეზე მეტი იყო, რაც მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნდა. რას აღარ ამბობდნენ მასზე, ერთდროულად ვითომ აქაც იყო და იქაც, ახლოსაც და შორსაც. ამიტომაც არ იჯერებდა გენერალი მონკადა მისი დაბრუნების ამბავს, ვიდრე ოფიციალურად არ გამოაცხადეს. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ორი ზღვისპირა შტატი დაიპყრო. „გილოცავთ, ნათლიდედ, — უთხრა გენერალმა ურსულას, — თქვენს შვილს სულ მალე ნახავთ". აი, მაშინ იყო, ურსულას რომ შეეშინდა.

— თქვენ რაღას გააკეთებთ? — ჰკითხა ქალმა.

გენერალ მონკადას თავადაც არაერთხელ მიუცია ეს შეკითხვა საკუთარი თავისთვის.

— იმასვე, რასაც აურელიანო გააკეთებდა: აღვასრულებ ჩემს მოვალეობას.

პირველ ოქტომბერს პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ და მისმა კარგად შეიარაღებულმა ათასკაციანმა ჯარმა განთიადისას შეუტია მაკონდოს. გარნიზონმა ბრძანება მიიღო, ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. შუადღისას, როდესაც გენერალი მონკადა ურსულასთან სადილობდა, მეამბოხეთა ქვემეხებმა მტვრად აქციეს მუნიციპალიტეტის ხაზინის შენობა. „ჩვენზე უკეთ არიან შეიარაღებული, — ამოიოხრა გენერალმა მონკადამ, — თანაც მთელი მონდომებით იბრძვიან". დღის ორ საათზე, როდესაც ქვემეხთა ქუხილი მიწას აზანზარებდა, მონკადამ გამომშვიდობებისას ურსულას შესჩივლა, ბრძოლას ნამდვილად წავაგებო.

— ღმერთსა ვთხოვ, აურელიანო დღესვე არ მოვიდეს ამ სახლში, — თქვა გენერალმა. — მაგრამ თუ მაინც მოვა, ჩემ მაგიერ გადაეხვიეთ, რადგან ვიცი, ვეღარასოდეს ვნახავ.

იმავე ღამით გენერალი მონკადა შეიპყრეს სწორედ მაშინ, როცა მაკონდოდან გაპარვას აპირებდა. გაჩხრეკისას უპოვეს წერილი, სადაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სწერდა, ნუ დაივიწყებთ ჩვენს საერთო მიზანს — ჰუმანური არმიის შექმნას და გიაურვებთ სულ მალე მოგესყიდოთ ორივე პარ-

ტიის სამხედრო პირნი და პატივმოყვარე პოლიტიკოსებიცო. მეორე დღეს, ვიდრე სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალი გამოუტანდა განაჩენს, დატუსაღებული გენერალი მონკადა ურსულას სახლში სადილობდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთან ერთად. ბუენდიების ჭერქვეშ სიმშვიდე და მშვიდობიანობა სუფევდა. თუმცა კაცები ომზე სიტყვას არ ძრავდნენ და წარსულ ამბებს იგონებდნენ, ურსულას მაინც შავი ფიქრები შემოსჯაროდა, გრძნობდა, მისი ვაჟიშვილი ქვეყანას დასაპყრობად მოევლინა. ეს გრძნობა მაშინ ჩაესახა, როდესაც აურელიანო ოჯახში დიდი ბადრაგის თანხლებით მოვიდა. მისმა რაზმელებმა ყველა ოთახი და კუთხე-კუნჭული მოათვალიერეს და როცა დარწმუნდნენ, უცხო არავინ იყო, მხოლოდ მაშინ შემოუძღვნენ თავიანთ სარდალს სახლში. პოლკოვნიკმა არათუ ნება დართო ჩხრეკისა, თვითონ იძლეოდა განკარგულებას და ვიდრე სახლს ირგვლივ ყარაულები არ ჩააყენეს, მასთან სამ მეტრზე ახლოს მისვლის უფლებაც არავის მისცა, ურსულასაც კი. პოლკოვნიკს უხეში ქსოვილის სამხედრო უნიშნო ფორმა და დეზებიანი ჩექმები ეცვა. ჩექმებზე ტალახი და სისხლი მიხმობოდა. ქამარზე მრავალკალიბრიანი რევოლვერი ეკიდა და მის ტარზე ჩაჭიდებულ დაძაბულ თითებს იგივე სიფრთხილე და სიმტკიცე ეტყობოდა, რასაც პოლკოვნიკისვე თვალებშიც ამოიკითხავდით. თავი კარგა გვარიანად გამელოტებოდა და ნელ ცეცხლზე გამომწვარს მიუგავდა. კარიბის ზღვია მარილით დასერილი სახე ფოლადისფერი გაბდღომოდა. უცილობელი სიბერისაგან მას ცხოვრებისეული ძალა და შინაგანი სიცივე იფარავდა. პოლკოვნიკი უწინდელზე მაღალი და ფერმკრთალი ჩანდა და მხოლოდ ახლა დასტყობოდა, როგორ ცდილობდა დაეთრგუნა ოჯახისა და ახლობლების მონატრება და ნაღველი. „ღმერთო ჩემო, — შეშფოთდა ურსულა, — ისეთ კაცსა ჰგავს, არაფერზე რომ არ დაიხევს უკან". მართლაც ასე იყო. ამარანტას აცტეკური მოსასხამი ჩამოუტანა, სუფრასთან ათას რამეს იგონებდა, მხიარულ ანეკდოტებსაც ყვებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი შორეულად თუ გაგახსენებდათ წინანდელ აურელიანოს, როგორც ნაცარწაყრილი ნაკვერცხალი გაგახსენებთ, რომ აქ ოდესღაც ცეცხლი ენთო. ჯერ კიდევ საერთო სამლოცველოში არ ჩაემარხათ დახოცილები, მან კი პოლკოვნიკ როკე-ყასაბს უბრძანა, რაღას უცდით, სამხედრო ტრიბუნალები დააჩქარეთო, თითონ კი ხელი მოჰკიდა რადიკალური რეფორმების შემუშავებას, რის შემდეგაც ქვაც ქვაზე აღარ დაუტოვებდა კონსერვატორთა რეჟიმის მოყანყალებულ საძირკველს. „ჩვენ უნდა დავასწროთ ლიბერალური პარტიის პოლიტიკოსებს, — ეუბნებოდა პოლკოვნიკი თავის თანაშემწეებს, — ვიდრე ისინი გამოერკვევიან, ყველაფერი გაკეთებული უნდა გვქონდეს". სწორედ მაშინ შეამოწმა ბოლო ხუთ წელიწადში დამტკიცებული მიწის უფლებები და აღმოაჩინა, რომ მისი ძმა ხოსე არკადიო მოტაცებული მიწებით ისქელებდა ჯიბეს. ერთი კალმის მოსმით გააუქმა ჩანაწერები და ერთხელ კიდევ რომ მოეხადა თავაზიანობის ვალი, ყველა საქმე გადადო და რებეკასთან გაეშურა, რათა ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილება.

ნახევრად ჩაბნელებულ სახლში გამოკეტილიყო მარტოსული ქვრივი ქალი — პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ძველი მესაიდუმლე; ქალი, ვისმა სიმტკიცემაც პოლკოვნიკს სიცოცხლე შეუნარჩუნა. წარსულიდან გადმოსულ მოჩვენებასავით იდგა პოლკოვნიკის წინ თავით ფეხამდე ძაძებში მოსილი. მისი გული კარგა ხანია ნაცრად ქცეულიყო. ალბათ არც იცოდა, რომ მისი სახლის კარსმიღმა ომი მძვინვარებდა. გეგონებოდათ, საკუთარი ძვლების ფოსფორი

შიგნიდან უხათებს სახლს და ცეცხლოვანი წერტილებით სავსე ჰაერში დაფრინავსო ქალი. ჭაობივით ჩამყაყებულ ჰაერში ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მთლიანად დენთის სუნი. პოლკოვნიკმა პირველ ყოვლისა რებეკას ურჩია, შავები გაიძრე, ფანჯრები დაალე და შეუნდე ადამიანებს ხოსე არკადიოს სიკვდილიო. მაგრამ რებეკაა აღარაფერი აჭირდებოდა ამქვეყნიური: იგი [illegible] დაეძებდა ამქვეყნიურ სიხარულს მიწის გემოში, პიეტრო კრესპის სუნამოთი დაპკურებულ წერილებში, თავისი ვნებაგახელებული ქმრის გვერდით ლოგინში და ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე ჰპოვა ამ სახლში, სადაც აწ გადასული სახეები ცოცხლდებოდნენ და სულიერი არსებებივით დაბორიალობდნენ ოთახებში. მოწნულ სავარძელში გადაწოლილი ქალი ისე შესცქეროდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას, თითქოს ის ყოფილიყოს წარსულიდან გადმოსული მოჩვენება. სულაც არ აღელვებულა, როდესაც პოლკოვნიკმა აუწყა, მიტაცებული მიწები მათ კანონიერ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეთო.

— როგორც გინდა ისე მოიქეცი, აურელიანო, — ამოიოხრა ქალმა. — ვიცოდი, შენიანები არასოდეს გყვარებია, ახლა ვხედავ არ შევმცდარვარ.

მიწის დაყოფა-განაწილებისა და სამხედრო-საველე სასამართლო საქმეები ერთად მოითავეს. სასამართლომ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის თავმჯდომარეობით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მეამბოხეთა მიერ დატყვევებულ თითქმის ყველა ოფიცერს. ყველაზე ბოლოს გენერალი ხოსე რაკელ მონკადა გაასამართლეს. ურსულამ სცადა შვილის გული მოელბო. „მაკონდოს არ ღირსებია ასეთი ალკალდი. თანაც კარგად იცი, რა სიყვარულითა და პატივით ეპყრობოდა იგი ჩვენს ოჯახს". პოლკოვნიკმა დედას უნდობლად შეხედა.

— ჩემი საქმე არ არის სამართლის ქმნა, — თქვა მან. — თუ რამე გაქვთ სათქმელი, სამხედრო სასამართლოს მოახსენეთ.

ურსულა ისეც მოიქცა. მან არა მარტო მოახსენა სასამართლოს, არამედ თან წაიყოლია მაკონდოელ მეამბოხეთა დედები — ერთი ორი დედაბერი ძველად ქალაქის გადასახლებაშიც მონაწილეობდა. ისინი რიგრიგობით გამოდიოდნენ და აღნიშნავდნენ გენერალ მონკადას დამსახურებას, მის კეთილშობილურ თვისებებს. სულ ბოლოს ურსულა გამოვიდა. მისმა ნაღვლიანმა, წარმოსადეგმა გარეგნობამ, საპატიოცემულო ოჯახიშვილობამ და მხურვალე სიტყვამ ცოტა არ იყოს შეარყია მართლმსაჯულების სასწორი. „თქვენ მეტისმეტი გულმოდგინებით ხართ ამ საშინელ თამაშში და სწორადაც მოიქეცით: თქვენს მოვალეობას ასრულებთ. — მიმართა მან ტრიბუნალის წევრებს. — მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ვიდრე სული გვიდგას, თქვენი დედები ვართ და რაჯერ რევოლუციონერებიც რომ იყვეთ, უფლება გვაქვს შარვალი ჩაგხადოთ და ქამრით აგიჭრელოთ ხორცი ჩვენი უპატივცემულობისათვის". როდესაც სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა, ჰაერში ჯერ კიდევ ეკიდა ურსულას სიტყვები. შუაღამისას გენერალ ხოსე რაკელ მონკადას სიკვდილი მიუსაჯეს. ურსულა ბევრს ეხვეწა და ემუდარა შვილს, მაგრამ პოლკოვნიკი თავის სიტყვაზე მტკიცედ იდგა. განთიადისას პოლკოვნიკი სიკვდილმისჯილთან შევიდა:

— გახსოვდეს, ნათლია, — უთხრა მონკადას, — მე კი არა, რევოლუციამ მოგისაჯა სიკვდილი.

გენერალი მონკადა არც წამომდგარა ნარიდან.

— წადი შენი...

დღიდან დაბრუნებისა თითქმის ამ წუთამდე პოლკოვნიკი აურელიანო ბუე-

ნდია არასოდეს მოქცევია მოწყალედ გენერალ მონკადას. მაგრამ ახლა ისეთი დაბერებული, ხელებაცახცახებული და მორჩილი მოეჩვენა, რომ პოლკოვნიკს საკუთარი თავი შეზიზღდა და ეს ზიზღი რომ მიეჩქმალა, უცბად გაღვიძებული შებრალების გრძნობა მოიშველია:

— ჩემზე უკეთ იცი, — თქვა მან, — რომ ყოველგვარი სამხედრო სასამართლო ფარსია. სინამდვილეში, შენ სხვათა დანაშაულის გამო გაგებინებენ პასუხს. ამჯერად, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გადაწყვეტილი გვაქვს, ომი მოვიგოთ... განა ჩემს ადგილზე შენც ასე არ მოიქცეოდი?

გენერალი მონკადა წამოდგა, პერანგის კალთით გაწმინდა სქელშუშიანი სათვალე. „ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი, — შენიშნა მან. — მაგრამ გული მტკივა და განა იმიტომ, რომ უნდა დამხვრიტონ... ბოლოს და ბოლოს ჩვენისთანა ხალხისთვის ასეთი სიკვდილი ბუნებრივიც არის. — მან სათვალე მაგიდაზე დადო, მერე ძეწკვს საათი მოხსნა. — გული იმიტომ მტკივა, — დასძინა მან, — რომ შენ ერთ დროს გძულდა სამხედროები, ებრძოდი მათ და ბოლოს თვითონ გახდი ისეთი, ვერცერთი იდეა ვერ უშველის, ვერ გაამართლებს ამ სიმდაბლეს. — გენერალმა თითიდან საქორწილო ბეჭედი წაიძრო, ყელიდან ღვთისმშობლის ხატი მოიხსნა და სათვალესა და საათს მიუწყო გვერდით. — მომავალშიც თუ ასე გააგრძელე, — თქვა მან, — შენ არა მარტო ყველაზე სასტიკი და სისხლისმსმელი დიქტატორი გახდები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არამედ შესძლებ მიახვრიტო ჩემი ნათლიდედა ურსულაც, რათა სინდისი დაიმშვიდო.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას წარბიც არ შეუხრია. გენერალმა მონკადამ თავის ნივთები გადასცა და ახლა სხვა კილოზე უთხრა:

— მარტო სალანძღავად არ დამიბარებიხარ. მინდა გთხოვო ეს ნივთები ჩემს ცოლს გაუგზავნო.

პოლკოვნიკმა ნივთები ჯიბეში ჩაიწყო:

— შენი ცოლი კიდევ მანაურეში?

— კი, იქ არის. ეკლესიის უკან რომ სახლი დგას, იქ ცხოვრობს. ხომ გახსოვს, წერილის გაგზავნა რომ გთხოვე მაშინ, ისევ იქ არის.

— დიდი სიამოვნებით შეგისრულებ თხოვნას, ხოსე რაკელ, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ.

როდესაც გარეთ, მოცისფრო ნისლში გავიდა, სახე ისევ დაუსველდა, როგორც მაშინ, იმ განთიადზე და მხოლოდ ახლა მიხვდა, რატომ ბრძანა განაჩენი ყაზარმის ეზოში აღესრულებინათ და არა სასაფლაოს გალავანთან. კართან ჩამწკრივებული ბადრაგი პოლკოვნიკს ისე გაეჭიმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურს შეეფერება.

— შეგიძლიათ გამოიყვანოთ! — ბრძანა მან.

პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა პირველმა იგრძნო ომის უაზრობა. მაკონდოს სამოქალაქო და სამხედრო მმართველი კვირაში ორჯერ უკავშირდებოდა ტელეგრაფით პოლკოვნიკ ბუენდიას. პირველ ხანებში ისინი რომელიღაც ომზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. შეეძლოთ დაედგინათ, რომელ წერტილში მიმდინარეობდა ახლა ან წინასწარ განეჭვრიტათ, რა მიმართულებით განვითარდებოდა მომავალში. თუმცა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის უახლოეს მეგობრებთანაც კი არ იყო გულახდილი, იმ ხანებში ჯერ კიდევ შერჩენოდა ის

უბრალო და უშუალო კილო, რითაც მაშინვე იცნობდით სატელეგრაფო ხაზის მეორე ბოლოშიც. ხშირად იგი განგებ აჭიანურებდა საუბარს, რათა მეგობრებს შესძლებოდათ ზოგჯერ ოჯახურ ამბებზეც ელაპარაკათ. მაგრამ ომი თანდათან ფართოვდებოდა, ულმობელი ხდებოდა და პოლკოვნიკის ხსოვნა ნელ-ნელა იძირებოდა ბინდში, უკან იხევდა არარეალურ სამყაროში. წერტილები და ტირეები თანდათან შორეული და მოყოყმანე ხდებოდნენ, მათგან შეკოწიწებულ სიტყვებს თანდათან აკლდებოდა აზრი და გონიერება. მაშინ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ისღა დარჩენოდა გულდამძიმებულს ესმინა ამ გაუცხოებული კაცისათვის.

— გასაგებია, აურელიანო, — აკაკუნებდა სატელეგრაფო ნიშნებს პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი. — გაუმარჯოს ლიბერალთა პარტიას!

ბოლოს და ბოლოს, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მთლიანად ჩამოშორდა ომს. წინათ ომი მისთვის საქმე და ახალგაზრდული გატაცება იყო მხოლოდ, ახლა კი შორიდან სიცარიელეში მიღებულ ცნობებად გადაექცა. მისი ერთადერთი თავშესაფარი ამარანტას სამუშაო ოთახი გახდა. ყოველ საღამოს მიდიოდა იგი ბუენდიების ოჯახში, უყვარდა ამარანტას ხელების ცქერა, როცა ჰოლანდიურ ქათქათა ტილოს გულმოდგინედ აგვირისტებდა, მშვენიერი რემედიოსი კი საკერავი მანქანის სახელურს უტრიალებდა. დიასახლისსაც და მის სტუმარსაც სიამოვნებას ჰგვრიდა ერთმანეთის სიახლოვეს ყოფნა. ამარანტას სულის სიღრმეში უხაროდა, ერთგულების ცეცხლი რომ არ ქრებოდა ამ კაცის გულში. მაგრამ სამაგიეროდ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა ვერ შესძლო ამოეცნო ქალის იდუმალი სურვილი და კვლავ მისადმი გულგრილი ეჩვენებოდა ამარანტა. როდესაც ხმა დაირხა, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მაკონდოში დაბრუნდაო, ამარანტას ლამის გული გაუსკდა მღელვარებისაგან. ხოლო ხელშეხვეული პოლკოვნიკი რომ ესტუმრათ ბუენდიებს და ამარანტამაც დაინახა ულმობელი ცხოვრებით დაღდასმული, დაქანცული, დაბერებული, ჭუჭყიანი და გაოფლილი კაცი, ლამის არ წაიქცა: „ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა მან. — ნუთუ ეს ის კაცია, ვისაც მე ველოდი", მაგრამ მეორე დღეს პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი გაპარსული და კოხტად ჩაცმულ-დავარცხნილი გამოეცხადა მათ. სისხლშემხმარი ბანდიც მოეშორებინა ხელიდან და ულვაშზეც ვარდის წყალი ეპკურებინა. ამარანტას სადაფით მოჭედილი ლოცვანი მიართვა საჩუქრად.

— უცნაური ხალხი ხართ კაცები, — სხვა ვერაფერი მოიგონა ქალმა. — მთელი ცხოვრება მღვდლებს ებრძვით, საჩუქრად კი ლოცვანს არიგებთ.

იმ ხნიდან, ომის ყველაზე გადამწყვეტ დღეებშიც კი, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი ყოველ საღამოს ამარანტასთან იჯდა. თუ მშვენიერი რემედიოსი იქ არ იყო, საკერავი მანქანის სახელურს ისატრიალებდა. ამარანტას გულს უჩუყებდა პოლკოვნიკის ჯიუტი ერთგულება, თან ისიც ემაყებოდა, რომ მის წინ ჰქონდა იხრიდა მთავრობის კაცი, ქალაქში ყველაზე პატივცემული პიროვნება. ამარანტას ოთახში შესვლამდე თავის ხმალსა და რევოლვერს პოლკოვნიკი სასტუმრო ოთახში ტოვებდა. და მაინც მთელი ოთხი წლის მანძილზე რამდენჯერაც არ შეახსენა ხერინელდო მარკესმა თავის გულისნადები, ამარანტა კვლავ და კვლავ უარს ეუბნებოდა, თანაც ისე ეუბნებოდა, რომ ცდილობდა მთლად არ მოეკლა გული კაცისთვის და ეგრძნობინებინა, მართალია, სიყვარულამდე ჯერ შორსა ვარ, მაგრამ შეჩვევით კი ძალიან შეგეჩვიეთო. ხერინელდო მარკესის გაუგონარი ერთგულებით გულაჩუყებული მშვენიერი რემედიოსი, როგე-

ლიც თითქოს ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ და ზოგს ჭკუასუსტიც ეგონა, — უეცრად პოლკოვნიკს გამოექომაგა. გაოცებულმა ამარანტამ მხოლოდ ამ წუთში აღმოაჩინა, რომ მის გაზრდილ გოგოს უკვე სიყმაწვილეში შეედგა ფეხი და ისეთი მზეთუნახავი დამდგარიყო, ავ თვალს არ დაენახვებოდა. ამარანტამ იგრძნო, როგორ წამოუარა იმ ბოღმამ, ერთ დროს რომლის გამო რომ ახრჩობდა. კარგა ხანს ევედრებოდა ღმერთს, ამ ბოღმას ნუ გამიღრმავებ, მშვენიერი რემედიოსის სიკვდილს ნუ მანატრებინებო. მერე გოგოს აუკრძალა, ჩემს სამუშაო ოთახში არ გნახო შემოსულიო. სწორედ იმ ხანებში აიცრუა გული ხერინელდო მარკესმა ომზე. იგი მზად იყო ამარანტასთვის შეეწირა თავისი სახელი და დიდება, რომელთა მოპოვებასაც თითქმის მთელი სიცოცხლე შეალია, კიდევ ერთხელ გადაეშალა გული ულამაზესი და უნაზესი სიტყვებით, მაგრამ ამაო იყო მისი გარჯა, ამარანტას სიჯიუტე ვერაფერმა ვერ გატეხა. აგვისტოს ერთ საღამოს საკუთარი სიჯიუტით გულდამძიმებული ამარანტა ოთახში ჩაიკეტა, რათა გამოეტირა თავისი სამუდამო მარტოობა, რამეთუ უკვე გადაწყვეტილი უარი უთხრა პოლკოვნიკს:

— სამუდამოდ დავივიწყოთ ერთმანეთი, საამისოდ უკვე დავბერდით.

იმავე საღამოს პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი სატელეგრაფო აპარატთან გამოიძახა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. ახალი არაფერი არ უთქვამთ, ომი ერთ წერტილზე იყო გაყინული. თითქოს სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. რომ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა თვალი მოავლო უკაცრიელ ქუჩებს, ნუშის ხეებზე მოციმციმე წვიმის წვეთებს და მიხვდა, მარტოობაში იძირებოდა.

— აურელიანო, — დანაღვლიანებულმა გამოიყვანა კაკუნით ნიშნები, — მაკონდოში წვიმს.

ხაზზე კარგა ხანს ჩამოვარდა დუმილი. მერე აპარატი ააჩხაკუნა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გაბრაზებულმა წერტილ-ტირეებმა:

— ნუ სულელობ, ხერინელდო. აგვისტოა და აბა არ უნდა წვიმდეს?!

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი შეაშფოთა ამ ცოტა არ იყოს უჩვეულოდ უხეშმა პასუხმა, მაგრამ ორი თვის მერე, როდესაც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დაბრუნდა მაკონდოში, ეს შეშფოთება შიშნარევი გაკვირვებით შეეცვალა. ურსულაც კი გაოცდა, ისე შეცვლილიყო მისი ვაჟი. იგი ქურდულად და უმხლებლებოდ დაბრუნდა შინ. თუმცა ცხელოდა, მოსასხამში იყო გახვეული. სამი ქალი ახლდა, საყვარლები. სამივენი დააბინავა ერთ შენობაში, სადაც თითქმის მთელი დღე თვითონაც ჰამაკში იწვა, ხანდახან თუ მოინდომებდა ტელეგრაფით მიღებული დეპეშის წაკითხვას ომის მსვლელობის თაობაზე. ერთხელ ხერინელდო მარკესმა სთხოვა: ერთი სასაზღვრო ქალაქის გახიზვნა მინდა. მეამბოხეთა ჯარების იმ ქალაქში მოსვლა დიდ არეულობას გამოიწვევს ყველგან და როგორ მოვიქცეო.

— ყოველ წვრილმანზე მე ნუ მაწუხებ! — შეუყვირა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. — წადი და მამაზეციერს ჰკითხე!

ამჟერად ომი ყველაზე გადამწყვეტ საფეხურზე იყო. მოლიბერალო მიწათმფლობელები პირველ ხანებში თუ რევოლუციის მხარეზე იდგნენ, ახლა საიდუმლოდ შეუკავშირდნენ კონსერვატორ მიწათმფლობელებს, რათა ერთობლივად შეეშალათ ხელი მიწების ხელახალ დაყოფა-განაწილებისათვის. ლიბერალმა პოლიტიკოსებმა ომის დროს კარგად მოითბეს ხელი და ახლა ყოველ-

ნაირად ცდილობდნენ, საჯაროდ დაეგმოთ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გადამეტებული სიმკაცრე, მაგრამ პოლკოვნიკი ვერც ასეთმა გამოხმაურებებმა გამოაფხიზლეს. იგი აღარ კითხულობდა თავის ლექსებს, რომლებიც მთელ ტომად შეკრული სადღაც, სკივრში ეგდო მივიწყებული. ღამით ან სიესტის დროს ჰამაკში იხმობდა ერთ-ერთ საყვარელს, წამიერად დაიკმაყოფილებდა [illegible] და მერე მკვდარივით ეძინა. მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რომ მისი [illegible]ხავი გული განწირული იყო ურწმუნოების მარადიული ტანჯვისათვის. სამშობლოში ზარ-ზეიმით დაბრუნებული და არგაგონილი გამარჯვებებით მთვრალი პოლკოვნიკი განდიდების უფსკრულის პირას ქანაობდა. მას ძალზე მოსწონდა ჰერცოგ მალბოროს[1] მარჯვნივ რომ იდგა ხოლმე, იმ ჰერცოგისა, ვინც სამხედრო საქმეში თავის დიდ მასწავლებლად მიაჩნდა და ვისი ვეფხის ტყავის სამოსიც დიდებს აღტაცებას გვრიდა და პატარებს — გაოცებისაგან თვალებს აჭყეტინებდა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიამ სწორედ მაშინ გადაწყვიტა, თავისთან სამ მეტრზე ახლოს არ მიეშვა არავინ, ურსულაც კი. სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი ადიუტანტები ცარცით წრეს შემოხაზავდნენ ხოლმე იატაკზე ან მიწაზე და ამ წრეში მხოლოდ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უნდა მდგარიყო. მოკლე და შეუვალი ბრძანებებით წყვეტდა ქვეყნის ბედ-იღბალს. გენერალ მონკადას დახვრეტისთანავე გაეშურა მანაურეში თავისი მსხვერპლის თხოვნის შესასრულებლად. გენერლის ქვრივმა გამოართვა ქმრის სათვალე, მეჭედი და ხატი, სტუმარს კი ფეხი არ გადააბიჯებინა ზღურბლზე:

— არ შემოხვიდეთ, პოლკოვნიკო. თქვენს ომში თქვენა ხართ მბრძანებელი, ჩემს სახლში კი — მე.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ გაბრაზება არ შეიმჩნია, დამშვიდებით კი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა მისმა რაზმელებმა ნაცარ-ტუტად აქციეს ქვრივი ქალის სახლი. „გულს გაუფრთხილდი, აურელიანო, — უთხრა მაშინ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა. — ცოცხლად ლპები". იმ ხანებში პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მეამბოხეთა ჯარების მეთაურთა მეორე თათბირი მოიწვია. ვის არ ნახავდით ამ თათბირზე: იდეალისტებს, პატივმოყვარე ავანტიურისტებს, საზოგადოებიდან მოკვეთილ ადამიანებსა და საშიშ დამნაშავეებსაც კი. მათში ერთი კონსერვატორი ჩინოვნიკიც ერია. მან სახელმწიფო ფული გაფლანგა და მოსალოდნელი სასჯელით შეშინებული რევოლუციას შეეტმასნა. ბევრმა არც კი იცოდა, რისთვის იბრძოდა. ამ აჭრელებულსა და სხვადასხვა რწმენის ხალხში სადაცაა უთანხმოება იფეთქებდა და ციხე შიგნიდან გატყდებოდა. მეამბოხეთა შორის გამოირჩეოდა ერთი მედიდური და პირქუში კაცი — გენერალი ტეოფილო ვარგასი, გაუთლელი და უწიგნური ინდიელი. თავისი ფარული ვერაგობითა და წინასწარმეტყველური უნარით შეეძლო ადამიანები ფანატიკოსებად ექცია. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმედოვნებდა, ამ თათბირზე შეძლებდა მეამბოხეთა მთავარი ძალების დარაზმვას საქმოსანი პოლიტიკოსების წინააღმდეგ. მაგრამ გენერალმა ტეოფილო ვარგასმა ჩაფუშა მისი გეგმა — მან ყველაზე გამოცდილ მეთაურთა კოალიციაში არეულობა შეიტანა და ერთ-ორ საათში მთავარსარდლობაც იგდო ხელთ. „ეს კაცი მხეცია და ვუფრთხილდეთ, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელია-

[1] ჰერცოგი ჯონ მალბორო (1650-1722) — ინგლისელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

ნო ბუენდიამ თავის ოფიცრებს. — ეგ გენერალი სამხედრო მინისტრზეც საშიშია ჩვენთვის". მაშინ ერთმა ახალგაზრდა კაპიტანმა, რიდით და მოკრძალებულობით რომ გამოირჩეოდა ყოველთვის, გაუბედავად აღმართა ხელი:

ბიბლიოთეკა

— ეს ძალზე ადვილი საქმეა, პოლკოვნიკო, — თქვა მან, — უნდა მოვკლათ.

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია აღაშფოთა არა ამ უსულგულო სიტყვებმა, — რაღაც წამებით რომ დაასწრო საკუთრივ მის აზრს, — არამედ კაპიტნის კილომ და ქცევამ.

— ტყუილად გგონიათ, ასეთ ბრძანებას გავცემ, — უპასუხა მან.

მართლაც არ უბრძანებია გენერლის მოკვლა, მაგრამ თხუთმეტიოდე დღის მერე ჩაუსაფრდნენ და დანებით აკუწეს, რის შემდეგაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მთავარსარდლობა დაიბრუნა. იმავე ღამეს, მას მერე, რაც მეამბოხეთა ჯარის მეთაურებმა ერთხმად აღიარეს იგი მთავარსარდლად, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას უეცარი შიშით შეპყრობილს გაეღვიძა და მოჰყვა ყვირილს, საბანი მომიტანეთო. შინაგანი სიცივე, ძვლებს რომ უყინავდა და პაპანაქება სიცხეშიც სტანჯავდა, რამდენიმე თვე ძილს არ აცლიდა, მერე და მერე კი ჩვევად გადაექცა. განდიდებით თრობა და საკუთარი თავით უკმაყოფილება უკვე ერთმანეთს შეეჯახნენ მის არსებაში. იქნებ სიცივის ტანჯვას გადავურჩეო, ბრძანა: ის ახალგაზრდა ოფიცერი დაეხვრიტათ, გენერალ ტეოფილო ვარგასის მოკვლა რომ უკარნახა. მის ბრძანებებს ელვისუსწრაფესად ასრულებდნენ, სულაც უფრო ადრე ასრულებდნენ, ვიდრე თვითონ მოასწრებდა ბრძანებას, მოასწრებდა კი არა, ვიდრე გაიფიქრებდა და ყოველთვის ისე აჭარბებდნენ შესრულებაში, თვითონ ამ ბრძანების შუა გზამდე მიყვანასაც რომ ვერ გაბედავდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიას თავისსავე უსაზღვრო ძალაუფლებისა და მარტოობის უდაბნოში აერია გზა-კვალი და გრძნობდა, მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ. ახლა უკვე აღიზიანებდა, დაპყრობილ ქალაქებში მხიარული შეძახილებით რომ ხვდებოდნენ. ეჩვენებოდა, ეს ხალხი ასევე მხიარულად შეხვდება ალბათ მტერსაცო. სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან ხვდებოდნენ ჭაბუკები, მასავით თვალები და მასავით ხმა რომ ჰქონდათ. ისინი ისევე უნდობლად ესალმებოდნენ, როგორც თვითონ ესალმებოდა მათ. ჭაბუკებს მის შვილებად მოჰქონდათ თავი. უცნაური გრძნობა ეუფლებოდა ამის დამნახავ პოლკოვნიკს, ასე ეგონა, გამამრავლეს, გამიმეორეს რამდენჯერმეო, მაგრამ მარტოობა მაინც სტანჯავდა. სხვა სიკეთესთან ერთად იგი დარწმუნდა, საკუთარი ოფიცრებიც ატყუებდნენ. ჰერცოგ მალბოროს გახსენებაც აღარ უნდოდა. „ნამდვილი მეგობარი ის იყო, ვინც ახლახან მოკვდა", — უყვარდა ხოლმე ამის თქმა პოლკოვნიკს იმ ხანებში. იგი დაღალა გაუთავებელმა უნდობლობამ, გაუთავებელმა ომმა, რის ირგვლივაც თავად ტრიალებდა, მაგრამ სინამდვილეში ერთ ადგილას იდგა. ამასობაში ბერდებოდა, უძლურდებოდა და ძირიაპირობამდე ვეღარც სწვდებოდა ყოველივეს არსს: რატომ? როგორ? სადამდე? იმ ცარცით შემოხაზულ წრის მიღმა ყოველთვის ვიღაც იდგა. იმ ვიღაცას ან უფულობა სჭირდა, ან შვილი ჰყავდა ქუნთრუშით ავად, ან სურდა სამარადისო ძილით დაეძინა, რომ ამ ომსა და უბედურებას მოშორებოდა, მაგრამ ის ვიღაცა მის დანახვაზე მაინც ძალას იკრებდა და მხედრულად გაჭიმული მოახსენებდა: „სრული სიმშვიდეა, პოლკოვნიკო". სწორედ ეს სიმშვიდე იყო ყველაზე საშიში ამ დაუმთავრებელ ომში: მაშასადამე, არც არაფერი ხდება. მარტოო-

ბიათვის განწირული, წინათგრძნობებისგან დაცლილი პოლკოვნიკი ცდილობდა საკუთარ სიცივეს დამალვოდა და მაკონდოში ეპოვა საბოლოო ნავსაყუდელი, აქ გამთბარიყო მოგონებათა კოცონთან მიფიცხებული. ამბავმა ისე ძლიერ შეიპყრო, რომ როდესაც შეატყობინეს, ლიბერალთა პარტიის დელეგაცია მოვიდა ძირითადი პოლიტიკური საკითხების გადასაჭრელადო, ჰამაკში მხარი იცვალა და თვალის გახელა არც უცდია:

— კახპებთან წაიყვანეთ, — თქვა მან.

დელეგაციის წევრებმა — სერთუკებსა და ცილინდრებში გამოწყობილმა ექვსმა ვექილმა — უდიდესი სიმტკიცით გაუძლეს ნოემბრის მწველ მზეს. დილით საძინებელ ოთახში გამოკეტილნი რაღაცაზე საიდუმლოდ თათბირობდნენ, საღამოს კი ბადრაგი და აკორდეონისტთა ანსამბლი მოითხოვეს და „კატარინოს დუქანს“ მიაკითხეს. „ხელს ნუ შეუშლით, — ბრძანა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ, — მშვენივრად ვიცი, მაგათ რაც უნდათ“. დეკემბრის დასაწყისში, როგორც იქნა, დაიწყო დიდი ხნის ნანატრი მოლაპარაკება, რომელიც ერთ საათსაც არ გაგრძელებულა, თუმცა ბევრი ფიქრობდა, დიდხანს გასტანსო.

ამჯერად პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია არ დამდგარა ცარცის წრეში, რომელიც მისმა ადიუტანტებმა შემოხაზეს დახურულ დარბაზში მოჩვენებასავით მდგარ თეთრტილოგადაფარებულ პიანოლას მახლობლად. იგი თავის პოლიტიკურ მრჩევლებს მიუჯდა გვერდით და მოსასხამში გახვეული მდუმარედ ისმენდა დელეგატთა მოკლე სიტყვებს. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რამდენიმე მოთხოვნა წაუყენეს: უარი თქვას მიწის უფლებათა გადახედვა-შემოწმებაზე, — რათა პარტიას კვლავ დაუბრუნდნენ ლიბერალი მიწათმფლობელები; უარი თქვას კლერიკალების წყალობით მოპოვებულ კათოლიკეთა მხარდაჭერაზე და ბოლოს უარი თქვას კანონიერ და უკანონო შვილების თანასწორუფლებიანობაზე, რათა შეინარჩუნონ ოჯახური სიმტკიცე და სიწმინდე.

— მაშასადამე, — გაეღიმა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას, — გამოდის, მხოლოდ ძალაუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ?

— ეს რეფორმები ნაკარნახევია ტაქტიკური მოსაზრებით, — თქვა ერთმა დელეგატმა. — ამჟამად მთავარია, ხალხმა მხარი დაგვიჭიროს, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება.

საუბარში ჩაერია პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ერთი მრჩეველი:

— ჭკვიანურს არაფერს ამბობთ, — თქვა მან. — თუ თქვენი რეფორმები კარგია, მაშინ გამოდის, კონსერვატორთა რეჟიმიც კარგია. თუ თქვენი რეფორმების ხელშეწყობით ხალხი დაგვიჭერს მხარს, როგორც თქვენ ამბობთ, მაშასადამე, კონსერვატორთა რეჟიმს უჭერს ხალხი მხარს. საბოლოოდ კი რა გამოდის, თურმე მთელი ოცი წელიწადი ერის ინტერესების წინააღმდეგ გვიბრძოლია...

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ შეაჩერა: „ამაოდ ნუ დაკარგავთ დროს, დოქტორო. ყველაზე მთავარია ის, რომ ამიერიდან მხოლოდ ძალაუფლებისათვის ვიბრძვით“. პოლკოვნიკი მოემზადა ხელი მოეწერა ქაღალდებზე, დელეგაციის წევრებმა რომ გადასცეს.

— თუ ასეა, — თქვა მან ბოლოს, — საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

მისმა ოფიცრებმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

— მაპატიეთ, პოლკოვნიკო, — გადაუჩურჩულა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა. — მაგრამ ეს ღალატია.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კალამი პაერში შეაჩერა და თავხედს მთელი რისხვით დაატყდა თავს:

— ჩამაბარეთ იარაღი!

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი წამოდგა და იარაღი მაგიდაზე დააწყო.

— ყაზარმაში გამოცხადდებით,—კვლავ უბრძანა აურელიანო ბუენდიამ.— თქვენი საქმე რევოლუციურ ტრიბუნალს გადაეცემა. — შემდეგ ხელი მოაწერა დეკლარაციებს და დელეგატებს გადასცა: — ბატონებო, აი, თქვენი ქაღალდები. აბა, თქვენ იცით!

ორი დღის მერე პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს სამშობლოს ღალატისთვის სიკვდილი მიესაჯა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია კვლავ ჩაეფლო ჰამაკში და პატიმრის შეწყალებაზე მთხოვნელნი ახლოსაც არ გაიკარა. დასჯის წინა დღეს ურსულამ არად ჩააგდო შვილის ბრძანება, არავინ არ შეაწუხოსო, და მის ოთახში შევიდა. დიდებული შესახედავი იყო შაოსანი, წარმოსადეგი ურსულა. იგი არაფრით არ დაჯდა, მთელი სამი წუთი შვილთან ლაპარაკისას ფეხზე იდგა. „ვიცი, დახვრეტ ხერინელდოს, — უთხრა მშვიდად, — უძლური ვარ, ხელი შეგიშალო. მაგრამ ერთს კი გეტყვი: როგორც კი მის გვამს დავინახავ, ვფიცავ ჩემი მშობლების ძვლებს, ვფიცავ ხოსე არკადიო ბუენდიას ხსოვნას, ვფიცავ ღმერთს, სადაც არ უნდა იყო, გამოგათრევ და საკუთარი ხელით მოგკლავ. — ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, პასუხს არც დაელოდა, დაუმატა: — შენ იმას აკეთებ, რასაც გააკეთებდი მაშინ, ღორისკუდიანი რომ დაბადებულიყავი".

მთელი ეს უსასრულო ღამე, ვიდრე ხერინელდო მარკესი ამარანტას სამუშაო ოთახში გატარებულ საღამოებს იგონებდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მისდგომოდა თავის მარტოობის ნაჭუჭს და მის გამოტეხვას ლამობდა. ერთადერთი ბედნიერი წუთები, რაც მან თავის ცხოვრებაში ყინულის ნახვის გარდა განიცადა, იყო მისსავე სახელოსნოში გატარებული წუთები, სადაც ოქროს თევზებს აკეთებდა. ნუთუ ეს უბრალო და ჩვეულებრივი ყოფა რომ სანატრელი გახდომოდა, ამისათვის წამოიწყო ომი ოცდათორმეტჯერ, ამისათვის შეჰყურებდა სიკვდილს პირისპირ და ამისათვის ამოიგანგლა ღორივით დიდების სიბინძურეში?

განთიადისას, დასჯამდე ერთი საათით ადრე, უძილობით დაღლილი პოლკოვნიკი აურელიანო საკანში შევიდა. „ფარსი დამთავრებულია, მეგობარო, — უთხრა ხერინელდო მარკესს. — წავიდეთ აქედან, ვიდრე ჩვენმა ლოთებმა არ მიგვახვრიტეს". პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა ზიზღი ვერ დამალა: — არა, აურელიანო, სჯობს მოვკვდე, ვიდრე ცოცხალმა გნახო, როგორ გადაიქეცი დაქირავებულ მოღალატედ.

— ვერც ნახავ, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანომ. — ადექი, ჩაიცვი ჩექმები და წამო. მომეხმარე იქნებ როგორმე ბოლო მოვუღოთ ამ ომს.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, ომის დაწყებაზე ძნელი დამთავრება რომ იყო. თითქმის [illegible] წელიწადი დასჭირდა, გაუგონარი სიმკაცრით აჯანყებულთა მთავრობის[illegible] [illegible]ოხვეთა სასარგებლოდ წარემართა ზავის პირობები, კიდევ ერთი წელიწადი დასჭირდა, მისი მომხრეები რომ დაეთანხმებინა ამ პირობებზე. მან

სისხლში ჩაახშო თავისივე ოფიცრების აჯანყება, რომელთაც არ სურდათ გამარჯვების სახელით ევაჭრათ და საბოლოოდ რომ გაეტეხა მათი წინააღმდეგობა, მტრის ჯარებიც კი მოიშველია.

არასოდეს ყოფილა ასე გატაცებით. ახლა იგი იბრძოდა საკუთარი თავის გადასარჩენად და არა რაღაც აბსტრაქტული იდეებისა და ლოზუნგებისათვის, რომლებსაც პოლიტიკოსები დროის შესაფერისად რომ წამოისვრიან ხოლმე. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ძალას მატებდა ბრძოლაში. პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესიც იმავე რწმენითა და ერთგულებით იბრძოდა დამარცხებისათვის, როგორც წინათ — გამარჯვებისათვის. ხანდახან შეახსენებდა ხოლმე მეგობარს, პრეტინსენტს ნუ იზამ, თავს გაუფრთხილდით. „ნუ წუხარ, — ეღიმებოდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. — სიკვდილი არც ისე ადვილია, როგორც ფიქრობენ". ახლა ის მართალს ამბობდა. ეს სწამდა. მისი სიკვდილის დღე დათქმული იყო და ეს რწმენა იდუმალი ჯავშანივით ედგა გარს. უვნებლობას ჰპირდებოდა იმ დათქმულ დღემდე. ომში თავგანწირვით იბრძოდა და ბოლოს, როგორც იქნა, დამარცხდა. დამარცხება გამარჯვებაზე ბევრად ძნელი აღმოჩნდა: მეტი სისხლი და მსხვერპლი მოითხოვა.

მთელი ამ ოცი წლის მანძილზე, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ომში რომ გაატარა, არც ისე იშვიათად შეივლიდა ხოლმე საკუთარ სახლში. მაგრამ როცა კი შეივლიდა, სულ მუდამ ჩქარობდა, სულ მუდამ ქვეითები ახლდნენ, თანაც მის სახელს ისეთი შარავანდედი ემოსა, — რის წინაშეც ურსულაც კი იხრიდა ქედს, — რომ ახლობლებისთვის იგი უცხო გახდა. გადაკარგულ მაკონდოში ბოლო ჩამოსვლისას თავის სამ საყვარელთან ერთად ცალკე დაქირავებულ სახლში ცხოვრობდა და სულ ორჯერ თუ სამჯერ გაიღო მოწყალება. საკუთარ ოჯახში სადილზე მისულიყო. მშვენიერ რემედიოსსა და ომის ქარცეცხლიან დღეებში დაბადებულ ტყუპ ძმებს იგი არასოდეს ენახათ. ამარანტა ვერაფრით ვერ შეეთავსებინა ერთმანეთისათვის იმ ძმის სახე, სიყმაწვილე ოქროს თევზების კეთებაში რომ გაატარა და ამ ძმისა, ლეგენდარული მეომრის სახელი რომ ჰქონდა მოხვეჭილი და კაცობრიობისაგან სამი მეტრით რომ იყო დაშორებული. მაგრამ როგორც კი ხმა გავარდა, სადაცაა ომი დამთავრდება, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ალბათ მალე დაბრუნდება შინ და კვლავ ჩვეულებრივი ახლობლების მოყვარული კაცი გახდებაო, მშობლიურმა გრძნობებმა, კარგა ხანს რომ ეძინათ სალათის ძილით, ახლა ფერფლი გადაიყარეს და ახალი ძალით გაღვივდნენ.

— როგორც იქნა, ვეღირსეთ, — თქვა ურსულამ. — კაცი გვეყოლება კვლავ ოჯახში.

ამარანტამ პირველმა თქვა: სამუდამოდ დავკარგე ძმაო. ზავამდე ერთი კვირით ადრე მოვიდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია სახლში, ფარულად. მხოლოდ ორი ფეხშიშველი ბიჭუნა ახლდა თან. ბიჭუნებმა ჯორის მოსართავები და ლექსებით სავსე სკივრი მიყარეს დერეფანში — ერთადერთი ავლადიდება, რაც პოლკოვნიკს დარჩა საიმპერატორო აღკაზმულობიდან. ამარანტამ [illegible] თითბისთან ჩავლილ ძმას დაუძახა. პოლკოვნიკი ისე შეჩერდა, თითქოს ვერ გაიხსენა, ვინ იდგა მის წინ.

— ამარანტა ვარ, — ძმის დაბრუნებით გახარებულ ამარანტას ალერსით ჟღერდა ხმა. შავი სახვევიანი ხელი უჩვენა, — აი, ნახე.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ისევე გაუღიმა, როგორც იმ შორეულ

დილაა. მაკონდოს ქუჩებში რომ მიჰყავდით სიკვდილმისჯილი და როცა პირველად დაინახა ეს შავი სახეები.

— რა საშინელებაა, — თქვა მან. — რა სწრაფად გადის დრო.

მთავრობის ჯარები იძულებული გახდნენ სახლთან ყარაული ჩაეყენებინათ. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ბრუნდებოდა დამცირებული და შეგინებული. მას ბრალად სდებდნენ ომის შეგნებულად გაჭიანურებას, რათა მეტი უფრო ძვირად გაეყიდა თავი. ექვსი თვით ადრე, როგორც კი ხმა დაირხა, ჩავა იქნებაო, ურსულამ გაალო შვილის ოთახი, ჰაერი გაანიავა, კარგად მილაგ-მოლაგა და კუთხეში მური აბოლა, ფიქრობდა მოვა აურელიანო და რემედიოსის ძველი თოჯინებით გარემოსილი მშვიდად შეხვდება აქ თავის სიბერესო. მაგრამ სინამდვილეში პოლკოვნიკს აქ ორ წელიწადში თავისი ანგარიშები ჰქონდა ცხოვრებასთან გასასწორებელი და სიბერეც კი ჩამოიტოვა უკან. საგულდაგულოდ დალაგებულ სახელოსნოს რომ ჩაუარა, კარისაკენ არც კი მიუხედავს, რომლის ბოქლომშიც გასაღები ჩაეტოვებინათ. არც ის შეუმჩნევია, დროთა განმავლობაში სახლი რომ დაზიანებულიყო. ამის დამნახავი სხვა კაცს, ვისაც მოგონებისა რაიმე შერჩენოდა საერთოდ, ალბათ გულს მოუკლავდა ეს სურათი. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გულს კი სულ არ გაკარებია არც ჩამოფხავებული კედლები, არც აბლაბუდიანი ჭერი, არც მიმჭკნარი ყვავილები, არც დაცვეთილი დირეები და არც დახავსებული კარები. იგი არ გაება იმ მახეში, ნაღველს რომ დაეგო მისთვის ეშმაკურად. დაჯდა შეწაბანდში და ჭრისახლეში ისე გაეხვია, თითქოს გამოდარებას ელოდა, რომ მერე ისევ ამდგარიყო და წასულიყო. ურსულა მაშინვე მიხვდა, აურელიანო ბუენდია აქ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. „იქნებ ომი სურს ისევ? — გაიფიქრა ქალმა. — ან იქნებ სიკვდილი?" — ეს აზრი ისე გამოკვეთილი და დამაჯერებელი ეჩვენა, რომ გულებაში გაივლო, ნამდვილად ასე იქნებაო.

ვახშამზე აურელიანო მეორემ მარჯვენა ხელში პური აიღო, მარცხენაში — კოვზი. მისმა ტყუპის ცალმა ხოსე არკადიო მეორემ მარჯვენაში კოვზი და მარცხენაში — პური. ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და ისე შეთანხმებულად ამოძრავებდნენ ხელებს, გეგონებოდათ, სარკის წინ ზის ერთი და სადილობსო. ეს სპექტაკლი თვითონ ძმებმა მოიგონეს მაშინ, როდესაც პირველად აღმოაჩინეს, ერთმანეთს ძალიან ვგავართო. ახლა კი სტუმრის საპატივცემულოდ ჩაატარეს. — მაგრამ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არაფერი დაუნახავს. იგი ისე შორს იყო აქაურობიდან, რომ ყურადღება არც მიუქცევია მშვენიერი რემედიოსისთვის, რომელიც თავის საძინებელ ოთახში მიდიოდა და სასადილო ოთახს შიშველ დედიშობილამ ჩაუარა. მხოლოდ ურსულამ გაბედა და გამოარკვია შვილი ღრმა ფიქრებიდან.

— თუ წასვლა გაქვს გადაწყვეტილი, შემოგვხედე და დაიმახსოვრე მაინც, როგორები ვიყავით ამ საღამოს.

მაშინ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მიხვდა, რომ ურსულა იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო ამოეცნო მისი სულის სიღატაკე. არ გაკვირვებია, მაგრამ პირველად, მრავალი წლის მანძილზე მხოლოდ ახლა გაბედა შეეხედა დედისთვის სახეში. ურსულას სახე დაღარული ჰქონდა, კბილები გაცვენოდა, თმა გამოშრალი და უფერული გახდომოდა. გამოხედვა კი კვლავაც საკვირველი ჰქონდა. აურელიანო ბუენდიას თვალწინ დაუდგა ძალზე შორეული სახე დედისა, პატარამ რომ უთხრა, ახლა ქოთანი გადმოვარდება მაგიდიდანო. ქო-

თანი მართლა გადმოვარდა და დაიმსხვრა. შვილმა ერთ წამში შეავლო თვალი დედის დასერილ-დაკოჟრილ ხელებს, ორმოცდაათი წლის მუხლჩაუხრელი შრომის ნაკვალევს და უცბად შეამჩნია, რომ ამის დამნახავს სიბრალულის გრძნობა არ გასჩენია. მაშინ თავს ძალა დაატანა და საკუთარ გულში ჩაიხედა [illegible] კუნჭული ეპოვა, სადაც ჩავალპე თუკი რამ სიკეთის მთესველი გამხმდარი, მაგრამ ამაოდ, ვერსად იპოვა. წინათ ცოტა რცხვენოდა მაინცა, როდესაც საკუთარი ახეულის სუნი ურსულას აგონებდა, ფიქრებშიც ხშირად ელაპარაკებოდა დედას, მაგრამ მერე და მერე ომმა ყოველივე გაანადგურა. საკუთარი ცოლი, რემედიოსიც კი, შვილად რომ ერგებოდა, ბუნდოვნად ახსოვდა უცხო ქალივით. სიყვარულის უდაბნოში არაერთი ქალი შეხვედრია, მაგრამ გულში არც ერთი არ დარჩენია. ეს ქალები შუაღამის ბნელში მოდიოდნენ მასთან, გათენებამდე მიდიოდნენ და არაფერს უტოვებდნენ გარდა იმისა, რომ მეორე დღეს სხეული ოდნავ მაძღარი ჰქონდა. ერთადერთი, რაც ომსა და წლებს არ წაეშალა, ეს იყო პატარაობიდან გამოყოლილი გრძნობა თავისი ძმის ხოსე არკადიოს მიმართ, ოღონდ ეს გრძნობა სიყვარულზე კი არა, უფრო თანამზრახველობაზე იყო დაფუძნებული.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა ურსულას შენიშვნის მერე, — ომმა ყველაფერს მოუთავა ხელი.

მომდევნო დღეებში განიზრახა თავის ამქვეყნად მოსვლის ყოველგვარი კვალი გაექრო. იარაღი მიწაში ჩაფლა. ერთ დროს მამამისმაც ხომ ასე ჩამარხა ის შუბი, პრუდენსიო აგილარს სიცოცხლე რომ მოუსწრაფა. მხოლოდ რევოლვერი დაიტოვა და ისიც ერთი ტყვიით. ურსულა არ ერეოდა მის საქმეში. მხოლოდ ერთხელ გამოედავა, როცა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ განიზრახა ჩაუქრობელი ლამპიონით განათებული რემედიოსის დაგეროტიპი ჩამოეხსნა კედლიდან. „ეს სურათი დიდი ხანია შენ არ გეკუთვნის, — უთხრა ურსულამ. — ეს ოჯახის სალოცავია“. ზავის ხელმოწერის წინა დღეს, როდესაც სახლში თითქმის არაფერი დარჩა, რასაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახელი ერქვა, თავისი ლექსების სკივრი შეიტანა სამზარეულოში, სადაც სანტა სოფია დე ლა პიედადი ის იყო ღუმელს ანთებდა.

— აი, ეს შეუნთე, — უთხრა და გაყვითლებული ფურცლების მთელი დასტა გაუწოდა. — ასეთ ხარახურას კარგად მოეკიდება.

ჩუმი და დამყოლი სანტა სოფია დე ლა პიედადი, საკუთარ შვილებთანაც რომ არ დასცდენია ხმამაღალი სიტყვა, მიხვდა რაღაც აკრძალულის გაკეთებას სთხოვდნენ.

— ეს საჭირო ქაღალდებია, — თქვა მან.

— სულაც არა, — უპასუხა პოლკოვნიკმა, — ასეთ რამეებს საკუთარი თავისთვის წერენ მხოლოდ.

— მაშინ... — შეათავაზა ქალმა, — თვითონ დაწვით, პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკი ასეც მოიქცა, მარტო ლექსები კი არა, ნაჯახით დააპო სკივრიც და ცეცხლს შეუკეთა. რამდენიმე საათით ადრე პილარ ტერნერა ესტუმრა. რა ხანია ეს ქალი არ უნახავს! როგორ დაბერებულა და გასიებულა. სადღაა ის კისკასი სიცილი? მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტად დახელოვნებულიყო მკითხაობაში. „პირს გაუფრთხილდი“, — უთხრა პილარ ტერნერამ და პოლკოვნიკმა მაშინვე გაიფიქრა: „განა მაშინაც ამ სიტყვებით არ მაცნო დიდების მწვერვალზე მყოფს ის საბედისწერო შემთხვევა?“ პილარ ტერნერასთან შე-

ვედრის მერე. ვითომც არაფერიო, სთხოვა თავის პირად ექიმს, — რომელმაც ის იყო წყლულიდან ჩირქი გამოურწყა, — თუ შეიძლება მაჩვენოთ, გული სადა მაქვსო. ექიმმა იოდში ამოავლო ბამბა და მკერდზე წრე შემოუხაზა.

სამშაბათი, ზავის ხელმოწერის დღე ცივი და წვიმიანი გათენდა. პოლკოვნიკი სამზარეულოში ყოველ დილით ხუთ საათზე შედიოდა, რომ უშაქრო ყავის დასალევად, დღეს კი უფრო ადრე შეაღო მისი კარი. „სწორედ ასეთი დღე იდგა, შენ რომ დაიბადე, — უთხრა ურსულამ. — მახსოვს, თვალღია ჩვილმა ყველა შეაშინე". პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არც გაუგონია დედის ნათქვამი, მთელი გულისყური ქუჩისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ჯარისკაცების მწყობრი ნაბიჯების ხმა, საყვირების გადაძახილი და მოკლე-მოკლე ბრძანებები დილის სიჩუმეს კვეთდნენ. თუმცა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის უცხო ხილი არ იყო ეს ხმები, მაინც ისეთმავე სიკეთემ და ჟრუანტელმა დაუარა მთელს სხეულში, როგორიც სიყმაწვილეში მოუვიდა შიშველი ქალის დანახვაზე. ახლა უკვე ნაღველის მახეში გაბმულს სადღაც გულის კუნჭულში გაჰკრა, ის ქალი რომ ცოლად მეთხოვა, ახლა არც ომი მეცოდინებოდა რა არის, არც სახელი და დიდება და ვიქნებოდი ერთი უბრალო ხელოსანი — ბედნიერი ცხოველიო. ამ დაგვიანებულმა და უცაბედად მოვარდნილმა სისუსტემ საუზმე ჩაუშხამა. დილის ექვს საათზე პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა მოაკითხა მეამბოხე ოფიცრების თანხლებით. მასპინძელი ასეთი სიტყვაძუნწი, ჩაფიქრებული და მარტოსული არასოდეს ენახათ. ურსულამ ახალი ლაბადა მოასხა მხრებზე. „რას იფიქრებს მთავრობის ხალხი, — ეუბნებოდა შვილს, — ალბათ ლაბადის ფულიც არა აქვს და იმიტომ დანებდაო". გარეთ კოკისპირულად წვიმდა და პოლკოვნიკმაც მხოლოდ მაშინ დაიხურა ხოსე არკადიო ბუენდიას ძველი ფარფლებიანი ქუდი.

აურელიანო, — სთხოვა ურსულამ. — პირობა მომეცი, რომ გაჭირვების ჟამს გაიხსენებ დედაშენს.

პოლკოვნიკმა ოდნავ გაუღიმა დედას, ხელი აუწია, უსიტყვოდ გადაადგა ფეხი ზღურბლს და შეაბიჯა მუქარის, საყვედურისა და წყევლა-კრულვის მორევში, რომელიც კვალში მიჰყვებოდა ქალაქის ქუჩებში. ურსულამ კარი ურდულით ჩაკეტა, რათა სიკვდილამდე აღარ გაეღო. „ჩაელპებით აქ, ქალთა მონასტერში გამოკეტილები, — გაიფიქრა მან. — მოვკვდებით, მაგრამ ამ ულირს ბრბოს ჩვენი ცრემლის დანახვით არ გავახარებთ". ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა, შვილის სამახსოვროდ იქნებ ერთი რაიმე პატარა ნივთი მაინც ვიპოვოო, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

ცერემონია შედგა მაკონდოდან ოც კილომეტრზე უზარმაზარი სეიბას ძირში, რის ირგვლივაც შემდეგში დაარსდა ქალაქი ნეერლანდია. მთავრობისა და პარტიის წარმომადგენლებს, აგრეთვე მეამბოხეთა დელეგაციას, რომელსაც იარაღი უნდა დაეყარა, ემსახურებოდნენ მორჩილები, თეთრ სამოსში გამოწყობილი მოჭოთქოთე ქალები, რომლებიც წვიმაში დაფანტულ მტრედების გუნდს ჰგავდნენ. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის გაქუცულ ჯორზე ამხედრებული მივიდა. თვითონ მთლად ტალახიანი და გაუპარსავი იყო. წყლულები უფრო სტანჯავდა, ვიდრე იმის შეგნება, რომ მთელი მისი ოცნებები დაიმსხვრა, იმედები ჩაეფუშა, დიდება და დიდების დარდ-ნაღველიც უკან მოიტოვა. მისი თხოვნა გაითვალისწინეს და არც მუსიკა უკრავდა, არც დაფდაფები ხმაურობდნენ და არც ვაშას გაიძახოდა ვინმე. ოდნავი სიხარულიც კი

არავის გამოუმჟღავნებია, რასაც შეეძლო ზავის დადების საშვილიშვილო განწყობილება დაერღვია. ვიღაც მოხეტიალე ფოტოგრაფმა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სურათი გადაუღო და ალბათ მომავალ თაობებს სამახსოვროდაც დარჩებოდათ, მაგრამ სასწრაფოდ გაანადგურებინეს ნეგატივი.

ზავის გაფორმებას იმდენივე დრო დასჭირდა, რამდენიც ხელმოწერას. საცირკო წარმოდგენებისთვის განკუთვნილ მოჩარდახულში, [illegible] უბრალო ხის მაგიდასთან დელეგატები მიმსხდარიყვნენ. გარშემო [illegible] პოლკოვნიკის ერთგული ოფიცრები. ვიდრე ხელს აწერდნენ, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმოგზავნილმა კაპიტულაციის ოქმის საჯაროდ წაკითხვა მოინდომა, მაგრამ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უარზე დადგა: „საამისოდ დროს ნუ დავკარგავთ". — თქვა მან და ხელის მოსაწერად მოემზადა. უცებ ერთმა მისმა ოფიცერმა დაარღვია ძილისმომგვრელი დუმილი.

— პოლკოვნიკო, — თქვა მან. — პატივი გვეცით და პირველი ნუ მოაწერთ ხელს.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას უარი არ უთქვამს. ქაღალდმა ისეთ დუმილში შემოიარა მაგიდა, რომ კალმის წრიპინზე გამოიცნობდით, ვინ რა ასოს წერდა. ოქმის ბოლოს რიგით პირველი ხელმოსაწერი ადგილი ცარიელი იყო. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ეკუთვნოდა ის ადგილი.

— პოლკოვნიკო, — მიმართეს ახლა სხვა ოფიცრებმა, — კიდევ გაქვთ დრო. შერცხვენას გადაურჩით.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახეზე კუნთიც არ შეირხევია, ისე მოაწერა ხელი ოქმის პირველ ცალს. ის იყო ბოლო ცალზეც უნდა მოეწერა ხელი, რომ კარებში გამოჩნდა მეამბოხეთა ჯარის ოფიცერი, რომელიც ორი სკვერით დაზურგულ გაძვალტყავებულ ჯორს მოუძღოდა. თუმცა ოფიცერი ძალზე ახალგაზრდა ჩანდა, ეტყობოდა, თავშეკავებული და მშრალი კაცი იყო. ეს ოფიცერი მაკონდოელ რევოლუციონერებს ხაზინადრად ეყოლათ ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, მოაღწია აქამდე, ნახევარი გზა შიმშილისგან არაქათგაცლილ ჯორს მოათრევდა თურმე.

ჯორს ფრთხილად ჩამოხსნა სკვერები, გახსნა და მაგიდაზე გადმოალაგა სამოცდათორმეტი ოქროს აგური. ამ არნახული განძის არსებობა ყველას დავიწყებოდა. ბოლო წლებში მთავარსარდლობა მოეშვა, რევოლუცია გადაიქცა მეთაურთა სისხლიან ქიშპად და ამ არეულობაში არავის არაფერი ეკითხებოდა. მეამბოხეთა ზოდებად ჩამოსხმული და ზემოდან თიხით გადალესილი ოქროც უპატრონოდ დარჩა. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ საკაპიტულაციო ოქმში შეატანინა სამოცდათორმეტი ოქროს აგური და ხელიც ისე მოაწერა, სიტყვა არავის არ ათქმევინა. დაღლილ-დაქანცული ჭაბუკი ოფიცერი იდგა მის წინ და ჯიუტად შესცქეროდა თავისი ნათელი, შაქრის ფერი ოქროსფერი თვალებით.

— კიდევ რამეა საჭირო? — ჰკითხა მას პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ.

ახალგაზრდა ოფიცერმა კბილებში გამოსცრა:

— ხელწერილი.

პოლკოვნიკმა საკუთარი ხელით შეადგინა ხელწერილი, მერე მორჩილების შეთავაზებული ლიმონათი და ნამცხვარი მიირთვა და მისთვის საგანგებოდ გაშლილ სალაშქრო კარავისაკენ გასწია. კარავში გაიხადა პერანგი, ნარზე ჩა-

მოჯდა და ოთხის თხუთმეტ წუთზე პისტოლეტი დაიხალა იმ წრეში, პირადმა ექიმმა იოდიანი ბამბით რომ შემოუხაზა მკერდზე. მაკონდოში კი ამ დროს ურსულას ქურაზე რძით სავსე ქოთანი შემოედგა. ქალს გაუკვირდა. ამდენხანს რატომ არ ადუღდაო, მივიდა, ჩახედა ქვაბს და რძეში მოფუთფუთე მატლები დაინახა.

— აურელიანო მოკლეს! — შეჰყვირა მან და როგორც მარტოობაში მყოფთ სჩვევიათ, ანგარიშმიუცემლად გაიხედა ეზოში, სადაც [illegible] წვიმაში გალუმპულსა და დაბერებულ ხოსე არკადიო ბუენდიას. „ღალატით მოკლეს, არც არავის უცდია თვალი დაეხუჭა მისთვის". ღამით ნარინჯისფრად მოელვარე წრეებმა მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ელვისუსწრაფესად გაჰკვეთეს ზეცა. ამის დამნახავმა ნამტირალევმა ურსულამ მაშინვე გაიფიქრა, სიკვდილის ნიშანიაო. იგი ჯერ ისევ წაბლის ძირში იჯდა, ქმარს მუხლებზე მოხვეოდა და გულსაკლავად მოთქვამდა, როდესაც სისხლიან ლაბადაში გახვეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მოიყვანეს. პოლკოვნიკის ღია თვალებში რისხვა იკვესებოდა.

დაჭრილს საშიში არაფერი სჭირდა. ჭრილობა ისეთი გამჭოლი იყო, რომ ექიმმა იოდით გაჟღენთილი ზონარი სულ ადვილად შეუყარა მკერდში და ასევე ადვილად გამოუტარა ზურგში. „ჩემი მიგნებულია ეს ადგილი, — თქვა კმაყოფილმა. — ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ნასროლი ტყვია ადამიანს სრულიად არ ავნებს". დაჭრილს გარს შემოხვეოდნენ მორჩილები, თანაგრძნობით შესცქეროდნენ და სულის საცხონებელ ფსალმუნებს მღეროდნენ. ამის შემხედვარე პოლკოვნიკმა ინანა, რატომ პირში არ დავიმიზნე თოფიო. პირველად ასეც მქონდა განზრახული, პილარ ტერნერას მკითხაობას გავამასხარებო.

— თუ კიდევ მეღირსა და სულ პატარა ძალაუფლება ჩავიგდე ხელში, — უთხრა მან ექიმს. — იცოდეთ, პირველს თქვენ დაგხვრეტთ ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე, იმიტომ კი არა, რომ სიკვდილს გადამარჩინეთ, იმიტომ რომ ქვეყნის სასაცილო გამხადეთ.

ამ აღუსრულებელმა სიკვდილმა სულ რაღაც რამდენიმე საათში დაუბრუნა პოლკოვნიკს ძველი სახელი. ისინი, ვინც სულ ახლახან ბრალს დებდნენ, ომი ოქროს აგურის კედლებიან ოთახზე გაცვალაო, ახლა უკვე სხვა აზრისანი გახლდნენ, თვითმკვლელობის მცდელობას კეთილშობილურ საქციელად მიიჩნევდნენ და პოლკოვნიკიც მაშინვე წამებულად შერაცხეს. მოგვიანებით, როდესაც მან რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაბოძებ „დამსახურების ორდენზეც" უარი თქვა, ყველაზე თავგადადებული მოწინააღმდეგენიც კი ეახლნენ და თხოვეს, ზავზე უარი თქვით და ახალი ომი წამოიწყეთო. ყველანი ცდილობდნენ ძველი ცოდვები გამოესყიდათ და ბუენდიების სახლს ძღვენითა და საჩუქრებით ავსებდნენ. თანამებრძოლთა ასეთი, თუმცა ცოტა დაგვიანებული, ყურადღებით გულაჩუყებული და აღელვებული პოლკოვნიკი მთლად უარს ვერ ამბობდა. ერთი პირობა, თითქოს ისევ აღინთო ახალი ომის წამოწყების სურვილით. მაშინ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა კიდეც გაიფიქრა, ნამდვილად მიზეზს ეძებს ომის წამოსაწყებადო. მართლაც მიზეზიც მალე ჩაუვარდათ ხელში: რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი თქვა ომის ვეტერანებისთვის — სულ ერთია ვინც იქნებოდნენ ისინი, ლიბერალები თუ კონსერვატორები — პენსიის დანიშვნაზე მანამ, სანამ თითოეულის საქმე არ გაირჩეოდა საგანგებო კომისიაზე და კონგ-

რესი არ გამოჰყოფდა საჭირო თანხას. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ცოფები ჰყარა: „ეს ხომ თვითნებობაა. მაგ პენსიის დანიშვნამდე ყველანი დაბერდებიან და მოკვდებიან და მერე ვიღას ჭირდება პენსია!“ პოლკოვნიკი იმ გასროლის მერე პირველად წამოდგა მისთვის საგანგებოდ ნაყიდი სარწეველა სავარძლიდან, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა და თან რესპუბლიკის პრეზიდენტთან გასაგზავნ წერილს კარნახობდა. ამ ტელეგრამაში, რომელიც არც არასდროს გამოქვეყნებულა, პოლკოვნიკი პრეზიდენტს ბრალად სდებდა ნეერლანდიის ზავის პირობების უხეშ დარღვევას და ემუქრებოდა, თუ უახლოეს ორ კვირაში პენსიის დანიშვნის საქმეს არ გადაწყვეტთ, იცოდეთ, ახალ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს წამოვიწყებო. მისი მოთხოვნა ისე სამართლიანი იყო, რომ ალბათ კონსერვატორთა პარტიის წარმომადგენელი ომის ვეტერანებიც დაუჭერდნენ მხარს. მაგრამ პასუხის მაგიერ მთავრობამ კიდევ მეტად გააძლიერა ბადრაგი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახლთან და აკრძალა ყოველგვარი მისვლა-მოსვლა მის ოჯახში, ვითომდა თავად პოლკოვნიკის უშიშროებისათვის. ასეთივე ზომებს მიმართა მთავრობამ სხვა, უფრო საშიშ რევოლუციონერთა ვითომდა დასაცავადაც. მთავრობამ ეს ოპერაცია ისე დროულად, ენერგიულად და ჭკვიანურად ჩაატარა, რომ ზავის დადებიდან ორი თვის მერე, როცა პოლკოვნიკი ბუენდია საბოლოოდ გამოჯანმრთელდა, მისი ერთგული თანაშემწეები და მეგობრები ზოგი ცოცხლებში აღარ ერია, ზოგი განდევნეს, ზოგიც მთავრობის სამსახურში ჩამდგარიყო.

დეკემბრის თვე იდგა. პოლკოვნიკი აურელიანო თავისი საწოლი ოთახიდან, რომ გავიდა პირველად დაჭრის შემდეგ და მაშინვე მიხვდა, ომზე ფიქრი არაფერი საჭირო არ იყო. ურსულა ისეთი მონდომებითა და გატაცებით შეუდგა სახლის განახლებას, მისი ასაკის ადამიანს სულ რომ არ შეეფერებოდა. „მაგათ ვაჩვენებ, ვინც ვარ მე, — დაიქადნა ურსულამ, როდესაც გაიგო, აურელიანო იცოცხლებდა. — ამ შეშლილთა სახლივით მოწყობილი და სტუმართმოყვარე სახლი ერთი არ იქნება მაკონდოში“. განკარგულება გასცა, ხელახლა შეეკეთებინათ და შეეღებათ კედლები, ეყიდა ახალი ავეჯი, მოესუფთავა ბაღი, დაერგო ყვავილები და გაეღო ყველა კარ-ფანჯარა, რათა ზაფხულის თვალისმომჭრელ ბრწყინვას საწოლ ოთახებშიც შეეღწია. შემდეგ ყველას ამცნო: ჩვენს ოჯახში ბოლო მოეღო გაუთავებელ მგლოვიარობასო და პირველმა გაიხადა შავები, ყმაწვილქალივით მორთო. სახლში კვლავ გაისმა პიანოლის ხმა. ამარანტას ამ ხმამ მოაგონა პიეტრო კრესპი, გარდენიები საღამოს მიმწუხრში, ლავანდის სურნელება და მიმქრალი გულის სიღრმეში კვლავ დაუტრიალდა ბოღმა — ოღონდ ეს ბოღმა ამჯერად წმინდა და უბოროტო გახდომოდა. სატუმრო ოთახის დალაგებისას ურსულამ მის სახლთან ჩაყენებულ ყარაულებს სთხოვა, საქმეში ხელი შემაშველეთო. ახალგაზრდა ოფიცერმა თავის ხელქვეითებს ნება დართო მიხმარებოდნენ ქალს. ურსულა ყოველდღე ამუშავებდა ჯარისკაცებს, მერე ასადილებდა, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ურიგებდა, წერა-კითხვას ასწავლიდა. მოგვიანებით მთავრობამ ყარაული რომ მოხსნა, ერთი ჯარისკაცი ბუენდიების სახლში დარჩა და ურსულას კარგა ხანს ემსახურებოდა. მშვენიერი რემედიოსის უყურადღებობით გაგიჟებული ახალგაზრდა ოფიცერი კი ახალი წლის პირველ დღეს გათენებისას მკვდარი იპოვეს ქალიშვილის ფანჯრის ქვეშ.

გავა წლები და მომაკვდავი აურელიანო მეორე გაიხსენებს ივნისის იმ წვიმიან დღეს, საწოლ ოთახში რომ შევიდა თავისი ახალშობილი პირმშოს სანახავად. თუმცა ჩვილი მილეული და მტირალა იყო და არც არაფრით არ ჩამოგავდა ბუენდიებს, მამას მაინც დიდხანს არ უფიქრია, რა დაერქმია მისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხოსე არკადიო იქნება მისი სახელი, — თქვა მან.

ფერნანდა დელ კარპიო ქმარს არ გამოსდგომია, იგი ლამაზი ქალი იყო, ერთი წლის ნათხოვი ჰყავდა ცოლად აურელიანო მეორეს. სამაგიეროდ ურსულას დაეუფლა რაღაცნაირი ჩუმი შიში. რაც მათი ოჯახი არსებობს, თითქმის იმ ხანიდან მოსდგამთ უშნო წესი, ერთი და იგივე სახელი გადასცენ თაობიდან თაობას, რაზეც ურსულას დროთა განმავლობაში არცთუ უსაფუძვლო აზრი ჩამოუყალიბდა: თუ ყველა აურელიანო პირქუში და გონიერი იყო, სამაგიეროდ ყველა ხოსე არკადიოს სიფიცხე და გამბედაობა დაჰყოლოდა და ყოველთვის ტრაგიკულად ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ამ კლასიფიკაციაში ჯერჯერობით არ შედიოდნენ ხოსე არკადიო მეორე და აურელიანო მეორე. ცელქი და მოუსვენარი ძმები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ სანტა სოფია დე ლა პიედადსაც უჭირდა მათი გარჩევა. ნათლობის დღეს ამარანტამ ორივეს ცალცალკე შეაბა სამაჯურები თავ-თავიანთი სახელით და ტანსაცმელიც სხვადასხვა ფერისა ჩააცვა. მკერდზეც თავ-თავინათი ინიციალები ამოუქარგა. მაგრამ ტყუპებმა სკოლაში სიარული რომ დაიწყეს, ერთმანეთის ტანსაცმელს იცვამდნენ და სამაჯურსაცა და სახელსაც ცვლიდნენ ხოლმე. მასწავლებელი მელჩორ ესკალონა ხოსე არკადიო მეორეს მწვანე ხალათით ცნობდა და რომ გაიგო, მწვანე ხალათიან ბიჭს სამაჯურზე აურელიანო მეორე ეწერა, ლამის არ გაგიჟდა. იქიდან მოყოლებული უკვე აღარავინ იცოდა, ვინ რომელი იყო. მაშინაც კი, როდესაც დაიზარდნენ და ცხოვრებამ ორივეს შეუცვალა ხასიათი, ურსულას ხშირად უფიქრია, იქნებ მაშინ ავურიეთ ძმები ერთმანეთში, ტანსაცმლით თავსატეხი თამაში რომ მოვიგონეთო. ვიდრე ტყუპები ყმაწვილკაცობაში შედგამდნენ ფეხს, ისინი თითქმის ყველაფერში ჰგავდნენ ერთმანეთს და ყველაფერს ერთნაირად, სინქრონულად აკეთებდნენ. ერთდროულად იღვიძებდნენ, ერთდროულად იბანდნენ ხელ-პირს, ავადაც ერთად ხდებოდნენ და სიზმრებსაც კი ერთნაირს ხედავდნენ. უფროსები ზოგჯერ ფიქრობდნენ, იქნებ ბავშვები ეშმაკობენ და წინასწარ უთანხმდებიან ერთმანეთს, ერთნაირად გააკეთონ ყველაფერიო, მაგრამ ერთ დღეს ყველა დარწმუნდა, ბავშვები არ ეშმაკობდნენ. სანტა სოფია დე ლა პიედადმა ორივეს ტკბილი წყალი მიუტანა დასალევად. ერთმა დალია, მეორემ მოსვა და თქვა, წყალი ტკბილი არ არისო. დედას მართლაც დავიწყნოდა ჭიქაში შაქრის ჩაგდება. სანტა სოფია დე ლა პიედადმა ეს ამბავი მაშინვე უთხრა ურსულას: „ყველა ასე როგორ ჰგავს ერთმანეთა, — ურსულას არც გაჰკვირვებია, — დაბადებიდან შეშლილები არიან“. რაც დრო გადიოდა, უფრო აირია ყველაფერი. ის, ვინც ტანსაცმლის გაცვლის მერე აურელიანო მეორედ დარჩა, უზარმაზარი გაიზარდა პაპასავით — ხოსე არკადიო ბუენდიასავით. ის კი, ვისაც ხოსე არკადიო მეორის სახელი შერჩა, სიგამხდრეში პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დაემგვანა. მხოლოდ ერთი რამით ჰგავდნენ ტყუპები ერთმანეთს: ყველა ბუენდიასავით მათაც მარტოობის დაღი აღბეჭდვოდათ სახეზე. შესაძლოა, სწორედ მათი გარეგნობის, ხასია-

თისა და სახელების შეუთავსებლობის გამო დაეჭვდა ურსულა. ტყუპები ბავშვობაშივე ხომ არ ავურიეთ ერთმანეთშიო.

ტყუპები ხასიათით ძალიან რომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ეს ომის დროს გამოჩნდა, როდესაც ხოსე არკადიო მეორემ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს თხოვა, დახვრეტა მაყურებინეო. ურსულა [illegible] მაგრამ ყმაწვილმა მაინც გაიტანა თავისი. აურელიანო მეორე კი [illegible], მარტო იმის გაფიქრებაზეც კანკალებდა, ვაითუ მეც მითხრან, წამოდიო. აურელიანო მეორეს შინ ჯდომა ერჩია. თორმეტი წლისა რომ გახდა, ურსულას ჰკითხა, იმ ჩაკეტილ ოთახში რა გაქვთო. „ქაღალდებია, — უპასუხა ურსულამ. — მელქიადესის წიგნები და მისი ბოლოდროინდელი ნაწერები“. აურელიანო მეორე უფრო მეტად აღინთო ცნობისმოყვარეობით. არ მოეშვა დიდ ბებიას, ოღონდ შემიშვი და არაფერს არ გავაფუჭებო. ურსულა გატეხა მისმა ხვეწნა-მუდარამ და გასაღები მისცა, რაც ამ ოთახიდან მკვდარი მელქიადესი გაიტანეს, მას მერე იქ არავის შესულა. კარი ბოქლომით ჩაკეტეს. მაგრამ როდესაც აურელიანო მეორემ ფანჯრები გამოაღო, შუქი ისე უბრალოდ შევიდა ოთახში, თითქოს ყოველდღე განათებისოს იქაურობა. არსად მტვერი და აბლაბუდა არ ჩანდა, ყველაფერი სუფთა და მილაგებული იყო. ის კი არადა, დაკრძალვის დღეს არ ყოფილა ის ოთახი ასე მილაგებული და გაწკრიალებული. სამელნეში მელანი ესხა, სამელნის ლითონის მოსართავებს ჟანგი არც მოსდებოდა. ძველებურად კრიალებდა: ქურაში, სადაც ხოსე არკადიო ბუენდია ვერცხლის წყალს წვავდა ხოლმე, კვლავ ენთო ცეცხლი. თაროებზე ადამიანის მზემოკიდებული კანივით მოყვითალო-ყავისფერი ქსოვილგადაკრული წიგნები ეწყო. იქვე მანუსკრიპტები ელაგა. ამ წლობით გამოკეტილ ოთახში უფრო სუფთა და ცივცხალი ჰაერი იდგა, ვიდრე სხვა ოთახებში. ეს წესრიგი და სისუფთავე მერეც რამდენიმე კვირას შერჩა ოთახს. ურსულა ცოცხითა და იატაკის ჯაგრისით ხელში შევიდა ოთახში და ნახა, დასალაგებელი იქ არაფერი იყო. აურელიანო მაგიდას მისჯდომოდა და რომელიღაც წიგნში ჩაერგო ცხვირი. ბიჭმა არ იცოდა წიგნის სახელი, რადგან უყდო იყო. მაგრამ უსათაურობა ხელსაც არ უშლიდა ხელს გულისყურით ამოეკითხა წიგნში აღწერილი ამბები: ვიღაც ქალი თურმე ბრინჯს ორი ოქროს ქინძისთავით ჭამდა მარცვალ-მარცვალ; ერთმა მეთევზემ მეზობელს თურმე ბადისათვის საწონი ტყვია გამოართვა და სამაგიეროდ, თევზაობიდან შინ დაბრუნებულმა, თევზი მოუყვანა, რომლის მუცელშიც გვარიანად დიდი ბრილიანტი უნახავს მეზობელს; [illegible] ლამპარიც [illegible] თურმე, რასაც თხოვდი, ყველაფერს შეგისრულებდა; [illegible] გინდა იქ გაგაფრენდა. აურელიანო მეორემ გაკვირვებულმა [illegible] ურსულას, ნუთუ აქ რაც წერია, ყველაფერი მართალიაო. [illegible] — უპასუხა ურსულამ. — დიდი, დიდი ხნის წინათ ბოშები მოვიდნენ მაკონდოში და აქ მოიტანეს ჯადოსნური ლამპრებიც და მფრინავი ჭილოფებიც. ახლა კი ქვეყანა ინგრევა და ამისათვის აღარავის სცალიაო.

თუმცა წიგნს ფურცლები აკლდა და ამის გამო ბევრი ამბავიც დაუმთავრებელი იყო, აურელიანო მეორემ მაინც დიდი გატაცებით ჩაიკითხა ბოლომდე. მერე მელქიადესის მანუსკრიპტების ამოკითხვა განიზრახა. მაგრამ ვერ შეძლო, ასოები თოკზე გადაკიდებულ თეთრეულსა და უმეტესად სანოტო პარტიტურას ჰგავდა. ერთ პაპანაქება შუადღეს აურელიანო მეორე გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა მანუსკრიპტებს, რომ უცებ იგრძნო, ოთახში ვიღაც იყო. ოთხკუთხად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათებულ ფანჯარასთან მუხლებზე ხელებდაწყობილი მელკიადესი იჯდა. ორმოცი წლისა იქნებოდა. იგივე ძველისძველი ჟილეტი ეცვა და ყვავის ფრთებივით ფარფლებგაშლილი ქუდი ეხურა. უფერულ საფეთქლებზე გამდნარი ქონივით მოწვეთავდა ოფლი. ბოშა ისეთივე იყო, აურელიანოსა და ხოსე არკადიოს რომ ენახათ ბავშვობაში. აურელიანო მეორემ მაშინვე იცნო. მელკიადესის ხსენება ხომ თაობიდან თაობაში გადადიოდა და ბიჭსაც პაპამ უამბო.

— გამარჯობათ, — თქვა აურელიანო მეორემ.

— გაგიმარჯოს, ყმაწვილო, — თქვა მელკიადესმა.

ამ დღიდან მოყოლებული არაერთი წელიწადი ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. მელკიადესი ბიჭს რაღას არ უყვებოდა. სურდა მთელი თავისი მოძველებული სიბრძნე მისთვის გადაეცა, მანუსკრიპტების ამოკითხვაზე კი უარი უთხრა. „ვიდრე ასი წელი არ შეუსრულდება ამ ხელნაწერს, მანამდე არავინ არ უნდა იცოდეს, აქ რა წერია", — თქვა მან. აურელიანო მეორე არავის არ უმხელდა, მელკიადესს რომ ხვდებოდა. მხოლოდ ერთხელ ცოტას გაწყდა არ დაენგრა თავისი განმარტოებული სამყარო: ურსულა სწორედ იმ დროს შევიდა მასთან ოთახში, როცა მელკიადესი ჰყავდა სტუმრად.

— ვის ელაპარაკებოდი? — ჰკითხა ურსულამ.

— არავის, — უპასუხა აურელიანო მეორემ.

— ასეთი იყო შენი დიდი ბაბუაც, — უთხრა ურსულამ. — ისიც ასე ელაპარაკებოდა თავის თავს.

ამასობაში კი ხოსე არკადიო მეორემ წადილი აისრულა: საკუთარი თვალით იხილა სიკვდილით დასჯა. კუბოს კარამდე ემახსოვრება ერთდროულად ექვსი თოფის ლულიდან გამოვარდნილი მოლურჯო ნაპერწკლები, სიკვდილმისჯილის ნაღვლიანი ღიმილი და დაბნეული გამოხედვა. ხალათი სისხლით ეგლინთებოდა, ის კი ჯერ ისევ იდგა და იღიმებოდა. ბოძიდან რომ ჩამოხსნეს და კირით სავსე ყუთში ჩადეს, მაშინაც იღიმებოდა. „ცოცხალია, — გაიფიქრა ხოსე არკადიო მეორემ, — ცოცხლად მარხავენ". ამ ამბავმა ისე შეზარა, რომ იმ დღიდან შეიძულა ყველაფერი, რაც ომს უკავშირდებოდა და თვითონ ომიც; შეიძულა არა იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯამ შეზარა, არამედ იმიტომ, რომ საშინელმა წესმა — სიკვდილმისჯილთა ცოცხლად დამარხვამ დასცა თავზარი. ვერავინ შეამჩნია, როდის დაიწყო ხოსე არკადიო მეორემ სამრეკლოზე ასვლა და ზარების რეკვა, როდის ამოუდგა მხარში მღვდელს ანტონიო ისაბელს, ვისი წინამორბედიც „ხეპრე" გახლდათ. ხოსე არკადიო მეორე მღვდელს წირვისას ეხმარებოდა და მიჩხუბარ მამლებსაც უვლიდა სამრევლო სახლში. როგორც კი შეამჩნია მისი ფერისცვალება, პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმაც არ დააყოვნა, მოინახულა და გვარიანად გაკიცხა: ისეთ საქმეს მოჰკიდე ხელი, ყველა წესიერ ლიბერალს გულს აურევო. „მე მგონი, ჩემგან კონსერვატორი უფრო დადგება", — უპასუხა პოლკოვნიკს ხოსე არკადიო მეორემ. ასეც სწამდა, ბედად ეს მიწერიაო. პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა ურსულას გაუზიარა თავისი გულისწყრომა.

— ძალიან კარგი, თუ ასეა საქმე, — ურსულამ საქციელი მოუწონა ბადიშს. — ნეტავი ეგ მაინც გამოვიდეს მღვდელი, იქნებ მაშინ გადმომხედოს ღმერთმა წყალობის თვალით.

მალე ურსულაც ყურს მისწვდა, მღვდელი ანტონიო ისაბელი თავის მოწა-

ფეს პირველი ზიარებისთვის ამზადებსო. მღვდელი მამლებს ყელს პარსავდა და თან ხოსე არკადიო მეორეს კატეხიზმოს ასწავლიდა, ხოლო საბუდრებში კვერცხებზე დამჯდარ კრუხებს რომ ჩამოუვლიდნენ ხოლმე, მაშინ სულ უბრალოდ უხსნიდა, რატომ განიზრახა ღმერთმა ქვეყნიერების შექმნის მეორე დღესვე წიწილები გამოეზარდა. მღვდელ ანტონიო ისაბელს უკვე მაშინვე ეტყობოდა ბებრული ჭკუასუსტობის ნიშნები, რამაც რამდენიმე წლის მერე [illegible]ათქმევინა ასეთი აზრი: დიდი ხნის წინათ ალბათ ეშმაკმა ღმერთ[illegible]ლაში, მერე ზეციურ ტახტზე ისე მოირთხა ფეხი, არავის გაუმხილა თავისი ვინაობა და ასე ცდილობდა თავის ბადეში გაეხვია მიმნდობნი და გულუბრყვილონი. ერთი სიტყვით, ასეთი თამამი მასწავლებლის წყალობით ხოსე არკადიო მეორემ ზეპირად იცოდა არა მარტო თეოლოგიური ეშმაკობა თვით ეშმაკის გზა-კვალის ასარევად, არამედ მამლების ჩხუბშიაც დიდად დახელოვნდა. ამარანტამ თეთრი პერანგი შეუკერა, ჰალსტუხი, თეთრი ფეხსაცმელი უყიდა და ოქრომკედით ამოუქარგა ცვილის ბაფთაზე სახელი. პირველ ზიარებამდე ორი ღამით ადრე მღვდელმა ანტონიო ისაბელმა ეკლესიის სალაროში მოუხმო ხოსე არკადიო მეორეს აღსარების სათქმელად. ისინი სალაროში ჩაიკეტნენ, მღვდელმა ცოდვების წიგნი მოიმარჯვა, შეკითხვებისთვის მოემზადა და ხოსე არკადიო მეორეც მოჰყვა გრძელ აღსარებას. მოხუცი მღვდელი შვიდ საათზე ძილს იყო მიჩვეული და გრძელ კითხვა-პასუხში ჩაეძინა კიდეც სავარძელში ჩაფლულს. ხოსე არკადიო მეორეს არც გაჰკვირვებია, მღვდელმა რომ ჰკითხა, ქალთან თუ გიკეთებია ცუდი საქმეო. დარცხვენილმა უთხრა, არაო. ცხოველებთანო? არც ცხოველებთანო. მაისის პირველ პარასკევს ეზიარა, მაგრამ იმ შეკითხვების გამო ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. მოგვიანებით დასნეულებულ ხაზინადარს პეტრონიოს მიაკითხა სამრეკლოზე, სადაც ის ცხოვრობდა და როგორც ამბობდნენ, ღამურებს აპურებდა ხოლმე. ხოსე არკადიო მეორემ ჰკითხა, რაც აწუხებდა. პეტრონიომაც უპასუხა: „არიან მრუში ქრისტიანები, რომლებიც ასეთ რამეებს ვირებთან აკეთებენ". ხოსე არკადიო მეორე ისე შეეპყრო ცნობისწადილს, ისე გულით თხოვდა, ამიხსენი ყველაფერიო, რომ პეტრონიომ ველარ მოითმინა:

— ამ სამშაბათს ღამით მე უნდა წავიდე იქ, თუ პირობას მომცემ, არავის არაფერს ეტყვი, მეორე სამშაბათს შენ წაგიყვან.

მართლაც მეორე სამშაბათს პეტრონიო ჩამოვიდა თავისი კოშკიდან. ხელში პატარა ჯორკო ეჭირა, არავინ იცოდა, რისთვის დაატარებდა ეს სნეული კაცი ამ ჯორკოს. პეტრონიომ თვალით ანიშნა ხოსე არკადიო მეორეს და ორივენი ბაღში გადაძვრნენ. ყმაწვილს ისე გაუტკბა ღამის ნადირობა, რომ კარგა დიდი დრო გავიდა, ვიდრე ის „კატარინოს დუქანს" მიაკითხავდა. მალე მამლების მოშენებას მიჰყო ხელი. „მოაშორე ეგ მამლები აქაურობას, — შეუყვირა ურსულამ პირველად ხოსე არკადიო მეორეს, როდესაც მან თავის ჯიშიან აღზრდილებთან ერთად შემოაბიჯა ეზოში, — მამლებისაგან უკვე ვიწვნიეთ საკმარისი უბედურება!" ხოსე არკადიო მეორეს სიტყვა არ დაუძრავს და თავისი მოჩხუბარი მამლები პილარ ტერნერას სახლში წაიყვანა. პილარ ტერნერას ოღონდ კი შვილიშვილი თავისთან ჰყოლოდა და ყველაფერში ეხმარებოდა. მალე მღვდელი ანტონიო ისაბელის ნასწავლი გაიძვერობით მამლების ჩხუბისას იმდენი ფული დააგროვეს, რომ ხოსე არკადიო მეორეს თავისუფლად ჰყოფნიდა თავისი საფრინველის გასადიდებლად და საკუთარი მამაკაცური სურვილების

დასაკმაყოფილებლადაც. ურსულა ტყუპ ძმებს ერთმანეთს ადარებდა და ვერაფრით გაეგო, პატარაობაში ასე ძალიან რომ ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორ მოხდა, რომ დიდობაში სულ სხვადასხვანი გახდნენ. დიდხანს არ უტანჯია აქ ფიქრებით შეპყრობილს, რადგან მალე აურელიანო მეორეც გაზარმაცდა და გაირყვნა. ვიდრე მელკიადესის ოთახში იჯდა, სიყმაწვილეში პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასავით გულჩახვეული და ფიქრებში ჩაძირული კაცი იყო, მაგრამ ნეერლანდიის ზავამდე ცოტახნით ადრე მოხდა ისეთი ამბავი, რამაც აურელიანო მეორე განმარტოებული საკნიდან გამოიყვანა და ცხოვრებას პირისპირ შეაჯახა. ერთი ახალგაზრდა ქალი ლატარიის ბილეთებს ყიდდა. ლატარიაში აკორდეონი თამაშდებოდა. ქალი კარგი ნაცნობივით მიესალმა აურელიანო მეორეს. ვაჟს არ გაჰკვირვებია, იგი ხომ ძალიან ჰგავდა თავის ტყუპ ძმას. ქალს სიმართლე არ გაუმჟღავნა არც მაშინ, როდესაც ის სლუკუნით ცდილობდა მისი გულის მონადირებას და არც მაშინ, თავის ოთახში რომ შეიყვანა. ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ქალი ისე მიეჩვია ვაჟს, რომ ბილეთებს ნიშანს ადებდა, იქნებ ლატარიაში შენ მოგიგდეს აკორდეონიო. ორი კვირის მერე აურელიანო მეორე მიხვდა, ეს ქალი ორივე ძმასთან ატარებდა დროს ლოგინში და არ იცოდა, რომ, ისინი სხვადასხვა იყვნენ. აურელიანო მეორეს არც ახლა დაუძრავს სიტყვა, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა სიმართლე დაემალა. მელკიადესის ოთახში იგი აღარ დაბრუნებულა. საღამოობით ეზოში იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა წელავდა აკორდეონს, დაკვრას სწავლობდა. ურსულამ ბევრჯერ დაუშალა, ნუ უკრავ, გლოვა გვაქვს გამოცხადებულიო, თანაც აკორდეონი საძულდა, ფრანსისკო-ადამიანივით მოხეტიალეების საკრავიაო, ხშირად უთქვამს, მაგრამ აურელიანო მეორეს ვერაფერი შეასმინა. სამაგიეროდ ამ ხანებში აურელიანო მეორემ ისე გაიწაფა ხელი, რომ შესანიშნავი დამკვრელის სახელი დაიგდო და ეს სახელი ასევე შერჩა დაწვრილშვილებულსაც და მაშინაც, მაკონდოს ერთ-ერთი საპატივცემულო მოქალაქე რომ გახდა. თითქმის ორი თვე იყოფდა ძმასთან ერთად ერთ ქალს. კუდში დასდევდა ძმას, აყურადებდა, სად მიდის, რისი გაკეთება აქვს განზრახული და როცა რწმუნდებოდა, ჩვენს საერთო საყვარელთან არ მიდისო, თვითონ გასწევდა ხოლმე იქით. ერთ მშვენიერ დღეს კი მიხვდა, ავად იყო. ორი დღის მერე საბანაოში ძმას გადააწყდა, იგი კედელს მიყრდნობოდა და მთლად გაოფლილი ცხარე ცრემლს ღვრიდა. მაშინ აურელიანო მეორე ყველაფერს მიხვდა. ძმამაც გაანდო, ქალს ცუდი სნება — ასე ეძახდა თვითონ ქალი — შევყარეო. ისიც უამბო, პილარ ტერნერას განუზრახავს, მიმკურნალოსო. აურელიანო მეორე ჩუმად მკურნალობდა საკუთარ თავს. ცხელ-ცხელ მარგანეცის წყალში განაობდა, ათასნაირ შარდსადენ წამალს სვამდა, სამი თვის ფარული ტანჯვის მერე ორივენი გამოკეთდნენ. ხოსე არკადიო მეორეს ფეხი აღარ მიუდგამს იმ ქალთან. აურელიანო მეორემ კი პატიება სთხოვა და სიკვდილამდე მასთან დარჩა.

ამ ქალს პეტრა კოტესი ერქვა. მაკონდოში ომის დროს ჩამოვიდა თავის ქმართან ერთად და ლატარიის შემოსავლით გაჰქონდათ თავი. ქმარი რომ მოუკვდა, ქალმა განაგრძო მისი საქმე — ეს იყო მეტისმეტად სუფთა ახალგაზრდა მულატი ქალი. ყვითელი, ნუშისებრი თვალები ჰქონდა და სახეზე მკაცრი, ფოცხვერივით გამომეტყველება ეხატა. მაგრამ გული ნამდვილად კეთილი და სიყვარულისათვის გამზადებული ჰქონდა. ურსულამ რომ გაიგო, ხოსე არკადიო მეორემ მოჩხუბარი მამლების მოშენებას მოჰკიდა ხელი, ხოლო აურელიანო

მეორე აკორდეონზე უკრავს თავის საყვარლის სახლში გამართულ წვეულებებზეო, ცოტას გაწყდა, სირცხვილმა არ მოკლა; რაღა მაინცდამაინც სააუგო საქმე შეითვისეს თავისი გვარიდან ამ ტყუპებმა, აიკეთე ცოტა გქონდათ? ურსულამ გადაწყვიტა გვარში აღარავისთვის დაერქმია სახელად აურელიანო და ხოსე არკადიო, მაგრამ როცა აურელიანო მეორეს ვაჟიშვილი დაებადა, მაინც ვერ აღუდგა წინ მის სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანახმა ვარ, — თქვა ურსულამ, — ოღონდ ერთი პირობით, ბავშვს მე გავზრდი.

თუმცა ურსულა უკვე ასი წლისა გახლდათ და კატარაქტასაც მისთვის თვალისჩინი თითქმის წაერთმია, ძალა, ხასიათი და გონიერება იგივე შერჩენოდა. დარწმუნებული იყო, მასზე უკეთ ბავშვს ვერავინ გაზრდიდა. ქველი ადამიანი მინდა დადგეს, იგი აღადგენს ოჯახის ღირსებას, არაფერი ეცოდინება ომზე, მოჩხუბარ მამლებზე, ქუჩის ქალებზე და სულელურ ხუშტურებზეო, ხშირად უთქვამს ურსულას. სწორედ ამ აუგად სახსენებელმა სისაძაგლეებმა დააყენეს ოჯახი დაცემის გზაზეო, ესეც დაუმატებია. „ეს ბიჭი მღვდელი დადგება, — საზეიმოდ განაცხადა მან. — და თუ ღმერთი ცოტა ხანს კიდევ მაცოცხლებს, აგერ ნახავთ, რომის პაპი თუ არ გახდეს“. ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა მარტო იმ ოთახში კი არა, სადაც ეს ითქვა, არამედ მთელს სახლში, რომელიც აურელიანო მეორის რიხროხა ამაკაცებს აევსოთ. ომი კარგა ხანი იყო სხვა უამურ ამბებთან ერთად მოგონებათა სხვენზე ეგდო, მაგრამ ამ დღეს მხოლოდ ერთი წამით გაახსენა ყველას თავი, როდესაც შამპანურის ბოთლებს საცობები დააძრეს.

— გაუმარჯოს პაპს! — ჭიქა ასწია აურელიანო მეორემ.

სტუმრებმა ერთხმად აიტაცეს სადღეგრძელო. მერე ოჯახის უფროსი აკორდეონს დიდხანს უკრავდა. ჰაერში შუშხუნებს ისროდნენ, დოლებს უბრახუნებდნენ. სტუმრებმა ექვსი ძროხა აკლეს და ხორცი ქუჩაში ჩამოურიგეს ბრბოს. ოჯახში ამ ამბავს არავინ აუღელვებია. რაც აურელიანომ ითავა ოჯახის უფროსობა, ქეიფი და ღრეობა ჩვეულებად იქცა იმ დღეებშიც კი, როდესაც არავითარი საპატიო მიზეზი — პაპის დაბადება არ ჰქონდათ! აურელიანო მეორე ყველაზე მდიდარი კაცი იყო მაკონდოში, ოღონდ ისე რომ თითი თითზე არ დაუკარებია, ალბათ ღმერთმა თუ გადმომხედა წყალობის თვალით და ჩემს საქონელსა და ფრინველს დაანათლა რაღაც არაჩვეულებრივი ნაყოფიერების უნარიო, თვითონვე უკვირდა აურელიანო მეორეს. ჭაკები სამ-სამ კვიცს იგებდნენ ერთბაშად, კრუხები დღეში ორჯერ დებდნენ კვერცხებს, ღორები სწრაფად სუქდებოდნენ. სიზმარში გეგონებოდა თავი. „გადაინახე ფული, — ჩასჩიჩინებდა თავის ქარაფშუტა შვილიშვილის შვილს ურსულა. — სულ ასე ხელხვავიანი არ იქნები“. მაგრამ აურელიანო მეორე აინუნშიაც არ აგდებდა მის სიტყვებს და რაც უფრო მეტ შამპანურის ბოთლს ცლიდა სტუმრებისათვის, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს არაჩვეულებრივი სიმდიდრე პეტრა კოტესის, მისი საყვარლის წყალობა იყო. ამ ქალის სიყვარულს შეეძლო ცოცხალი ბუნებაც აღეგზნო ყოველ წუთს. აურელიანო მეორეს ღრმად სწამდა, სწორედ ეს იყო მისი სიმდიდრის თავი და თავი და ცდილობდა პეტრა კოტესი საქონელთან ახლო ჰყოლოდა. იგი დაოჯახდა, შვილებიც დაეხვია, მაგრამ ცოლის — ფერნანდას თანხმობით კვლავ ხვდებოდა თავის ხასას. აურელიანო მეორე თავისი პაპებივით გოლიათური აღნაგობისა იყო. მაგრამ მათგან განსხვავებით მეტი მიმზიდველობა

ჰქონდა. იგი საქონლისთვის ვერ იცლიდა, ამ საქმეში პეტრა კოტესი მისი შარჯვენა ხელი იყო. მიიყვანდა ქალს საშენში, ან გაატარებდა საძოვრებზე და მისი საქონელიც მაშინვე განაყოფიერების უძლეველი ეპიდემიით ავადდებოდა.

ბევრი სიკეთე დაატრიალა ღმერთმა აურელიანო მეორესა და პეტრა კოტესს მთელი თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ [illegible]რი სიმდიდრე არ მოსწრებიათ არასოდეს. ვიდრე ომი ომს მისდევდა, პეტრა კოტესი თავისი ლატარიის შემოსავლით ცხოვრობდა, აურელიანო მეორე კი დროდადრო ურსულას პარავდა გადანახულ ფულს. საყვარლები ორივენი ქარაფშუტები იყვნენ და მხოლოდ ერთი საქმე ეხერხებოდათ — ლოგინში გართობა და დილამდე ბუქნაობა საეკლესიო კანონებით აკრძალულ დღეებშიც კი. „ეს ქალი დაგღუპავს, — უყვიროდა ურსულა აურელიანო მეორეს, რომელიც დილით მთვარეულივით ბრუნდებოდა ხოლმე შინ. — ისე გამოგაყეყეჩა იმ ქალმა, რომ მალე ჭვლები დაგეტაკება და უკანალზე ცივი გომბეშოს დადება მოგიწევს". ხოსე არკადიო მეორემ გვიან გაიგო, მისივე ძმა რომ გამხდარიყო მისი შემცვლელი, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა იზიდავდა აურელიანო მეორეს ამ ქალისაკენ. ხოსე არკადიო მეორეს პეტრა კოტესი დაამახსოვრდა როგორც ერთი ჩვეულებრივი ქალი, თანაც საწოლში არცთუ მთლად მონდომებული და სიყვარულისთვის საჭირო თვისებებით შემკული. მაგრამ აურელიანო მეორე ყურს არავის უგდებდა, არც ურსულას ყვირილსა და არც ძმის დაცინვას. მას განზრახული ჰქონდა პეტრა კოტესისთვის სადმე სახლი დაექირავებინა და ამ სახლში დაელია სული მის მკლავებში მომწყვდეულს. როდესაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ როგორც იქნა გააღო თავისი საოქრომჭედლო სახელოსნო, რათა მშვიდ სიბერეს შესცემოდა, აურელიანო მეორემ გადაწყვიტა, ურიგო არ იქნება ოქროს თევზების კეთება რომ ვისწავლოო, კიდევ მეტად გამამდიდრებსო და პოლკოვნიკს მხარში ამოუდგა. არა ერთი და ორი საათი გაატარა მან ამ დახუთულ სახელოსნოში, არა ერთი და ორი საათი შესცქეროდა, რა ჯიუტად, ქვეყნიერებაზე გულაყრილი და გულგატეხილი კაცის მონდომებით ამუშავებდა პოლკოვნიკი ფოლადის ფირფიტებს, რა გაოცარი მოთმინებით ელოდა მათ გარდაქმნას ოქროს ქერცლებად. აურელიანო მეორეს ოქრო კი უყვარდა, მაგრამ შრომა მეტისმეტად მძიმე ეჩვენა, თან პეტრა კოტესის მოგონება აწიწკნიდა ჯიუტად და მტკივნეულად. ისიც ადგა და სამი კვირის თავზე სულ გაქრა სახელოსნოდან. სწორედ ამ ხანებში მოუყვანა თავის ხასას ბაჭიები ლატარიაში გასათამაშებლად. ბაჭიები ისე სწრაფად გამრავლდნენ, რომ პეტრა კოტესი ძლივს ასწრებდა ბილეთების გაყიდვას. პირველ ხანებში აურელიანო მეორე ვერ ამჩნევდა, ზღაპრული განაყოფიერება საბედისწერო გზისაკენ რომ მიიწევდა. ქალაქში ყველას აშოუვიდა ყელში კურდღლების ლატარია. ერთ ღამეს აურელიანო მეორე გამოაღვიძა კედელს მიღმა ატეხილმა ხმაურმა. „ნუ გეშინია, — უთხრა პეტრა კოტესმა. — კურდღლებია". მაგრამ ვერც ერთმა ვეღარ მოხუჭა თვალი, ისეთი გნიასი იდგა კედელს იქით. აურელიანო მეორემ ვერ მოითმინა, დილაუთენია წამოხტა, კარი გააღო და სახტად დარჩა: მთელი ეზო კურდღლებს ევსო, ალიონის შუქზე მონაცრისფრო-ცისფრად უბზინავდათ ბეწვი. პეტრა კოტესი გიჟივით ახარხარდა და კაცს კბილიც გაჰკრა:

— ეს კურდღლები წუხელ დაიბადნენ.

— რა საშინელებაა! — თქვა აურელიანო ბუენდიამ. — მოდი, აბა ძროხებზე სცადე შენი ნიჭი და უნარი.

რამდენიმე დღის მერე კურდღლები ძროხაზე გაცვალა. ძროხამ ორ თვეში სამი ხბო მოიგო და სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. აურელიანო მეორე თვალის დახამხამებაში გახდა უდიდესი საძოვრებისა და ჯოგების მფლობელი, ძლივს ასწრებდა თავლებისა და საღორეების აშენებას. ყველაფერი სიზმარს ჰგავდა, სიმდიდრეს გართობა მოჰქონდა. აურელიანო მეორესაც მეტი რა საქმე ჰქონდა, ათასნაირ გასართობ ოინს იგონებდა „აბა, მიდით, ძმებო, ეს ცხოვრება ხანმოკლეა!..“ — გაჰყვიროდა იგი. ურსულას ეშინოდა, ვაითუ ქურდობს, ძროხებს იპარავსო და ყოველთვის, როცა დაინახავდა, აურელიანო მეორე შამპანურის ბოთლს მხოლოდ იმიტომ ხსნიდა, რომ თავზე გადაესხა, უყვიროდა, ლანძღავდა, ქარაფშუტას ეძახდა. ურსულას ლანძღვა-გინებამ აურელიანო მეორე იქამდე გაახელა, რომ ერთხელ, განთიადისას, კარგ გუნებაზე რომ დაბრუნდა შინ, აილო ფულით სავსე ტომარა, წებო და ფუნჯი მოიმარჯვა და ფრანსისკო-ადამიანის ხმამაღალი სიმღერებით მთელ სახლს შიგნიდანაც და გარედანაცააკრა ფული. ძველ სახლს თითქმის პიანოლის მოტანის დღიდან ყოველთვის თეთრად ღებავდნენ, ახლა კი რაღაც საეჭვოდ დამსგავსებოდა აღმოსავლურ მეჩეთს. ურსულასა და ოჯახის სხვა წევრების ყვირილზე მთელი ქუჩა აავსო ხალხმა. არავინ არ მოსწრებია ასეთ უმაგალითო უყაირათობასა და სიმჩატეს. აურელიანო მეორემ სახლის წინა მხარე სამზარეულომდე სულ შეავსო ფულით, აბაზანაც არ დაივიწყა, დანარჩენი კი ეზოში მიფანტ-მოფანტა.

— ახლა, — თქვა მან ბოლოს, — მე მგონი, ამ სახლში ვეღარავინ გაბედავს ფულზე რამე მითხრას.

მართლაც, სიტყვა აღარავის დაუძრავს მეტად. ურსულას განკარგულებით ფული ბათქაშთან ერთად ააგლიჯეს კედლებს და კვლავ თეთრად შეღებეს. „ღმერთო ძლიერო, — ლოცულობდა ურსულა, — დაგვიბრუნე ის დრო, ქალაქის დაარსებამდე ღარიბები რომ ვიყავით და არაფერი გაგვაჩნდა, რათა იმქვეყნად პასუხი არ გვაგებინონ მფლანგველობისათვის, ქარაფშუტობისათვის“. ღმერთმა პირიქით ისმინა მისი ლოცვა. კედლებიდან ქაღალდის ფულს რომ გლეჯდნენ, ერთი მუშა წმინდა იოსების თაბაშირის დიდ ქანდაკებას დაეჯახა, გადმოაგდო და დაამსხვრია. ყველასდა გასაოცრად ქანდაკება ოქროს მონეტებით ამოვსებული აღმოჩნდა. „ვიღაც სამმა კაცმა მოატანა, — გაიხსენა ამარანტამ. — წვიმის გადაღებამდე აქ დაგვადგმევინეთო. მე ვუთხარი, კუთხეში დადგით. ვინმე არ დაეჯახოს და არ წამოაქციოს-მეთქი. იმათაც აიღეს და დადგეს აქ. მას შემდეგ დგას და დგას ამ კუთხეში, აღარ მოუკითხავთ“. ბოლო დროს ურსულა ამ ქანდაკების წინ სანთელს ანთებდა და მუხლმოყრილი ლოცულობდა. რა იცოდა, რომ მის წინ ორასი კილო ოქროთი პირთამდე სავსე წმინდანი იდგა და თავისდა უნებურად წარმართობას უხდიდა ხარკს! გაბრაზებულმა აკრიფა ოქრო, სამი მოზრდილი ტომარა აავსო და საგულდაგულოდ გადამალა, ერთიც ვნახოთ და ის კაცები მოგვადგნენ, ხომ უნდა დავუბრუნოთო. მრავალი წლის მერე, როდესაც ურსულას სიძაბუნე მოეძალა, წესად დაიჩემდა, მათ ოჯახში მოსულ ყველა უცნობისთვის ეკითხა, წმინდა იოსების თაბაშირის ქანდაკება ხომ არ დაგიტოვებიათ აქ წვიმის გადაღებამდეო.

ხვავი და ბარაქა, ურსულას შფოთს რომ იწვევდა, იმ ხანებში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. მაკონდო ზღაპრულად იფურჩქნებოდა. ძველი თიხა-

სა და ლერწმის სახლები აგურის შენობებმა შეცვალა. სახლებს ხის დარაბები და ცემენტის იატაკი გაუკეთეს, რის გამოც პაპანაქება სიცხეშიც კი გრილოდა ოთახებში. ხოსე არკადიო ბუენდიას დაარსებული სოფლიდან მხოლოდ დამტვერილი ნუშის ხეები შემორჩა — წელთა სიმრავლესა და ცხოვრების ყველაზე მკაცრ გამოცდას რომ გაუძლეს. კიდევ მდინარე შემორჩა [illegible] თეთრი ლოდები, პრეისტორიულ კვერცხებს რომ ჰგავდნენ. ხოსე არკადიო მეორემ კალაპოტის გაწმენდა და მდინარეზე ნაოსნობის გახსნა განიზრახა და ჭკუამოკლე ქვის მთლელებმაც ეს ლოდები დაამსხვრიეს. ეს იყო გიჟური ჩანაფიქრი, რასაც ხოსე არკადიო ბუენდიას საარაკო ამბები თუ შეედრებოდა მხოლოდ: უამრავი ქვა და ჭორომი ნაოსნობას ხელს შეუშლიდა მაკონდოდან ზღვამდე. მაგრამ ხოსე არკადიო მეორეს თვითონვე უკვირდა, ისეთი გულდაჯერებული ილავდა თავის გეგმებს. აქამდე ფიქრით არც არასოდეს შეუწუხებია თავი, არც ქალებთან ერთობოდა. პეტრა კოტესის გარდა ქალი არ იცოდა, ისიც ცოტა ხანს ხვდებოდა. ურსულას აზრით, იგი ყველაზე საწყალი და უგერგილო იყო მთელს გვარში. ეგ რა კაციაო, მამლების ჩხუბის დროს მაიზე საცოდავი არავინ არისო, ამბობდა. ერთხელ როგორღაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ხოსე არკადიო მეორეს უამბო იმ ესპანურ ხომალდზე, რომლის გაშავებულ-გარუჯული ჩონჩხიც საკუთარი თვალით ენახა ომის წლებში ზღვიდან თორმეტ კილომეტრზე. ეს ამბავი ყველას მოგონილი ეგონა, მაგრამ ხოსე არკადიო მეორესთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. მაშინ გაყიდა თავისი მამლები კარგ ფასად, დაიქირავა ხალხი, იყიდა სამუშაო იარაღი და გაუგონარ საქმეს მოჰკიდა ხელი: დაიწყო ქვების თლა, არხის გაჭრა, წყალქვეშა მეჩეჩის გაწმენდა და ჭორომების გასწორება. „მე უკვე ზეპირად ვიცი ეგენი! — ყვიროდა ურსულა. — ეტყობა, დრო ბრუნავს და ჩვენ კვლავ იმას მივადექით, რითაც დავიწყეთ". როდესაც ხოსე არკადიო მეორის აზრით მდინარეზე ნაოსნობა უკვე შეიძლებოდა, ძმას დაწვრილებით გააცნო თავისი გეგმები, იმანაც აიღო და მოგზაურობისთვის საჭირო ფული მისცა. ამის მერე ხოსე არკადიო მეორე კარგა ხანს არ გამოჩენილა. მაკონდოში ხმა დავარდა, ტყუილად მოიგონა, გემის საყიდლად მივდივარო, ძმისთვის ფულის დაცინცვლა უნდოდაო, მაგრამ მალე სხვა ხმებიც მოვიდა, რაღაც უცნაური გემი უახლოვდება ქალაქსო. მაკონდოელებს კარგა ხანია დავიწყნოდათ შერეკილი ხოსე არკადიო ბუენდიას ოინები და ყველანი მდინარეს მიაწყდნენ. თვალს არ უჯერებდნენ: ნაპირს უახლოვდებოდა უცნაური ხომალდი — პირველი და უკანასკნელი ხომალდი, რომელიც კი საერთოდ მდგარა მაკონდოსთან. ეს იყო ტივი, რომლის მსხვილ თოკებს ოცი კაცი ჩაჰჭიდებოდა ნაპირზე და ასე ჩაჭიდებულნი მოათრევდნენ. ტივის კიჩოზე ხოსე არკადიო მეორე იდგა და ბედნიერებით გასხივოსნებოდა სახე. იგი ხალისიანად შეუძახებდა ხოლმე თოკს ჩაჭიდებულ ხალხს და ტივიდან თავობდა ამ მეტად რთულ საქმეს. ხოსე არკადიო მეორემ მაკონდოში ჩამოიყვანა დიდებული ქალბატონები, რომლებიც ჭრელ-ჭრელი ქოლგებით იჩრდილავდნენ მცხუნვარე მზეს. ლამაზ მხრებზე აბრეშუმის შარფები მოესხათ, სახე თეთრად და წითლად შეეფერადებინათ, თმაში ცოცხალი ყვავილები გაებნიათ, ხელზე ოქროს სამაჯურები უბრწყინავდათ, პირში კი — ბრილიანტის კბილები. ეს ტივი იყო ერთადერთი მოცურავე საგანი, რითაც ხოსე არკადიო მეორემ შეძლო მაკონდომდე მდინარის აღმა ეცურა და ისიც მხოლოდ ერთხელ, გაგებით კი ვერასოდეს გაიგო, რომ დამარცხდა, პირიქით, თავი მო-

ჰქონდა. ბუნებას ვძლიეთ. უკანასკნელ პესომდე გადაუხადა ძმას ვალი და მალე კვლავ მამლების მოშენებას მიჰყო ხელი. ერთადერთი რამ, რაც მის ხელმოცარულ მოგზაურობიდან დარჩა, იყო ახალი ცხოვრების სიო. ფრანგმა მანდილოსნებმა რომ ჩამოიტანეს მაკონდოში. თავიანთი შესანიშნავი ხელოვნებით ამ ქალებმა სიყვარულის ტრადიციული მეთოდები შეცვალეს, ხოლო ხალხის სასიკეთოდ დაუცხრომელმა ზრუნვამ ჩააგონათ მიწასთან გაესწორებინათ კატარინოს მოძველებული დუქანი და მიყრუებული ქუჩა გარდაექმნათ. მართლაც, ქუჩა ჩინური ფარნებით მორთეს და მალე ეს ადგილი მოფუსფუსე ბაზრისა და ორგანის ნაღვლიანი მუსიკით აივსო. სწორედ ფრანგი მანდილოსნების თაოსნობით მოეწყო სისხლიანი კარნავალი, რომელმაც თითქმის სამი დღე ატივტივა მაკონდო უგუნურებაში, ხოლო აურელიანო მეორეს გააცნო ფერნანდა დელ კარპიო.

კარნავალის დედოფლად მშვენიერი რემედიოსი აირჩიეს. ამ გოგოს სილამაზე ურსულას შიშსა ჰგვრიდა, მაგრამ მის დედოფლობაზე უარი მაინც ვერ თქვა. აქამდე დიდი ბებია თავის შვილიშვილის შვილს ამარანტასთან ერთად უშვებდა ქუჩაში და ისიც წირვაზე და ისიც იმ პირობით, თუ სახეზე შავ მანტილიას ჩამოიფარებდა. კაცები სულ არ იკლავდნენ თავს ღვთის მსახურებით, ის კი არადა, მღვდლის ანაფორაში მოსილთაც შეეძლოთ ბილწობის წირვა ჩაეტარებინათ „კატარინოს დუქანში", მაგრამ ეკლესიაში მაინც დადიოდნენ და დადიოდნენ იმ იმედითაც, იქნებ მშვენიერი რემედიოსის სახეს მოვკრათ თვალიო. მის ზღაპრულ სილამაზეზე აღტაცებითა და რაღაც უწმინდესი შიშით ლაპარაკობდა მთელი მხარე. ცნობისწადილით შეპყრობილ კაცებს დიდხანს არ მოუწიათ თვალი მოეკრათ რემედიოსის მშვენიერებისათვის და საერთოდ სჯობდა სულაც არ მოეკრათ, რადგან ძილსა და მოსვენებას სამუდამოდ დაემშვიდობნენ. იმ ყმაწვილმა კაბალიერომაც, ვისი წყალობითაც აღისრულეს კაცებმა ნატვრა, სამუდამოდ დაკარგა მოსვენება. ჩაეფლო სიღარიბესა და სიბინძურის ჭაობში და ერთ-ორ წელიწადში კიდეც მოკვდა: მთვრალს რკინიგზის ლიანდაგზე ჩაეძინა და მატარებელმა გადაუარა. პირველი წუთიდანვე, როდესაც ეს კაბალიერო ეკლესიაში გამოჩნდა მშვენიერ მწვანე ხავერდის კოსტიუმსა და დაქარგულ ჟილეტში გამოწყობილი, ყველანი მიხვდნენ, შორეთელი იყო. ალბათ იქაც მიეღწია მშვენიერი რემედიოსის სილამაზის ამბავს. თვითონაც ისეთი ლამაზი და წარმოსადეგი ყმაწვილი იყო, ისე ღირსეულად იქცეოდა, რომ მის გვერდით პიეტრო კრესპიც კი დაიჩრდილებოდა. ქალები შურით სკდებოდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: თუ დაფარვაა, ამ ჭაბუკმა უნდა დაიფაროს სახეო. კაბალიერო მაკონდოში არავის არ იცნობდა. კვირაობით დილაუთენია უფლისწულივით გამოჩნდებოდა ხოლმე ვერცხლის მოსართავებითა და ხავერდის ყაჯარით მორთულ-მოკაზმულ ცხენზე ამხედრებული და წირვის დამთავრებისთანავე მიდიოდა ქალაქიდან. ეკლესიაში პირველსავე მოსვლაზე მიიპყრო ყველას ყურადღება და მაშინვე დაასკვნეს, ამ წარმოსადეგ ყმაწვილსა და მშვენიერ რემედიოსს შორის უსიტყვო და დაძაბული ორთაბრძოლა გაიმართა, ორივემ ხელი მოაწერა საიდუმლო ხელშეკრულებას და მათი საბედისწერო მეტოქეობა სადაცაა უნდა დაგვირგვინდეს მარტო სიყვარულით კი არა, სიკვდილითაცო. მეექვსე კვირას კაბალიერო ეკლესიაში გამოჩნდა ყვითელი ვარდით ხელში. როგორც ყოველთვის, ახლაც მუხლმოუხრელად მოისმინა წირვა. ხოლო წირვის დამთავრებისთანავე წინ გადაუდგა მშვენიერ რემედიოსს

და ყვავილი მიაწოდა. თითქოს ელოდაო ამ ძღვენს, ქალიშვილმა უბრალოდ, გაუპრანჭავად გამოართვა, წამით გადაიწია მანტილია და გაუღიმა უცნობ ჭაბუკს. აი, ის ყველაფერი, რაც მან გააკეთა. მაგრამ კაბალიეროსათვის და თვისდა საუბედუროდ, იქვე მდგომ მამაკაცებისათვისაც ეს წამიერი გაელვება მარად დაუვიწყარი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ კაბალიერო ხშირად მიდიოდა მშვენიერი რემედიოსის ფანჯარასთან მუსიკოსებთან ერთად და თითქმის დილამდე იქ რჩებოდა. აურელიანო მეორე ერთადერთი კაცი იყო, ვინც შეიცოდა თავგზააბნეული ჭაბუკი: „დროს ამაოდ ნუ კარგავ, — უთხრა, — ამ სახლში ქალები ვირებივით ჯიუტები არიან“. რაღა არ უთხრა: მეგობრები ვიყოთ, დრო ვატაროთ, შამპანური ვისხათ თავზე, ბუენდიების გვარის ქალებს მკერდში გულის ნაცვლად ლოდი უდევთო, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი შეასმინა. ღამის კონცერტებით გულგაწყალებული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დაემუქრა კაბალიეროს, თუ აქედან არ წასულხარ, მაგ შენს დარდსა და ნაღველთან ტყვიით დაგაშორებო, მაგრამ შეყვარებულ ვაჟს არაფრის გაგონება არ სურდა, არ შორდებოდა იქაურობას. ამ სიჯიუტეში დრო გადიოდა და ერთ დროს ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი კაცი ახლა ქუჩის გლახაკს დაემგვანა. ამბობდნენ, აურაცხელი ქონება და დიდებული ოჯახი მიატოვა თავის ქვეყანაშიო, თუმცა კაცმა არ იცოდა სადაური იყო ეს კაბალიერო. გაჭირვეულდა, აულ ჩხუბზე ეჭირა თვალი, „კატარინოს დუქანსაც“ ხშირად აკითხავდა. ყმაწვილკაცს ყველაზე დიდ უბედურებად მოაჩნდა, მშვენიერ რემედიოსს უფლისწულივით მორთულ-მოკაზმულმაც რომ ვერ მოაწონა თავი ეკლესიაში. ქალიშვილმა ყვითელი ვარდი ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე გასართობად გამოართვა, მანტილიაც იმიტომ გადაიწია, სურდა კარგად დაენახა ვაჟის სახე და არა იმიტომ — თავისი ეჩვენებინა.

მთავარი მაინც ის არის, რომ მშვენიერი რემედიოსი ამ ქვეყნიას არ გახლდა. კარგა მოზრდილი გოგო იყო, მაგრამ სანტა სოფია დე ლა პიედადი ბანდა და აცმევდა, თან მთელი დღე თვალყურს ადევნებდა, საკუთარ განავალში ამოსვრილი ჯოხით პატარ-პატარა ცხოველები არ ეხატა კედელზე. ოც წლამდე ისე იცხოვრა, წერა-კითხვა არ უსწავლია, არც დანა-ჩანგალი ემარჯვებოდა ხელში. მისი ბუნება პირობითობას ვერ ეგუებოდა და სახლში დედიშობილა დადიოდა. ბუენდიების სახლში ჩაყენებული გვარდიის უფროსს მშვენიერმა რემედიოსმა ცოლობაზე მხოლოდ იმიტომ უთხრა უარი, რომ უბრალოდ გააოცა მისმა ქარაფშუტობამ. „ნამდვილი ჩერჩეტია, — უთხრა ამარანტას, — მეუბნება, შენ მომკლავო, მე როგორ მოვკლავ, ნაწლავების გადახლართვა ხომ თუ რა?..“ ოფიცერი მკვდარი რომ იპოვეს მის ფანჯრის ქვეშ, მშვენიერმა რემედიოსმა ამარანტას უთხრა:

— აკი გითხარით, ნამდვილი ჩერჩეტია-მეთქი.

მშვენიერ რემედიოსს თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალები ეხმარებოდნენ ღრმად ჩასწვდომოდა საგანთა არსს და უარი ეთქვა ყოველგვარ ზედაპირულობასა და გარეგნულობაზე, ასე ფიქრობდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. პოლკოვნიკი არ ეთანხმებოდა იმათ, ვისაც ქალიშვილი ჭკუასუსტი ეგონა, პირიქით, ასე ამბობდა: „უყურებ ამ გოგოს, და ასე გგონია, სულაც არ ყოფილა ომი ოც წელსო“. ურსულაც ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ბუენდიების ოჯახს, როგორც იქნა, ეღირსა და მოევლინა ასეთი უწმინდესი არსება, მაგრამ მისი სილამაზისა კი ეშინოდა. ბუნების საჩუქარი კი არა, ეშმაკის ნაბოძები

მისი მშვენება და უმანკოებაო, ფიქრობდა დედაბერი. ამიტომაც ცდილობდა ხალხისაგან, მიწიერ ცდუნებისაგან შორს და გამოცალკევებული ჰყოლოდა ქალიშვილი. მან არ იცოდა, რომ მშვენიერ რემედიოსს დედის მუცლიდანვე დაჰყოლოდა უმანკოება, სულის სიწმინდე და ვერავითარი ცდუნება ვერ წაართმევდა მას ამ თვისებებს. ურსულას არაფრით არ სურდა, რემედიოს მშვენიერი ეშმაკისეულ თავყრილობის დედოფლად გაეშვა, კარნავალს რომ [illegible] მაგრამ აურელიანო მეორეს ისეთი მწველი სურვილი ჰკლავდა, ვეფხის ტყავში გამოწყობილიყო, რომ მღვდელ ანტონიო ისაბელს სთხოვა, ურსულასთან მიმეგზავნე, იქნებ დაიყაბულოო. მღვდელი იმდენს ელაპარაკა ქალს, კარნავალი წარმართთა დღესასწაული კი არა, კათოლიკური ეკლესიის ნათლით ცხებული სახალხო დღესასწაულიაო, — რომ ბოლოს ურსულა დაითანხმა, თუმცა გული მაინც ეთანაღრებოდა.

მშვენიერი რემედიოსი იქნება კარნავალის დედოფალიო! — ეს ხმა ერთორ საათში მოედო მთელ მხარეს და ყველაზე მივარდნილ კუთხე-კუნჭულსაც კი მიაღწია. იქ ჯერ კიდევ არაფერი სმენოდათ რემედიოსის ზღაპრულ მშვენებაზე და ზოგ-ზოგნი შეშფოთდნენ კიდეც, რადგან სიტყვა „მშვენიერი" და საძულველი გვარი ბუენდია რაღაც სახიფათო სიმბოლურ აზრს იძენდა მათთვის. მაგრამ საშიში არაფერი იყო, თუკი იმ ხანებში ვინმეზე ითქმოდა უწყინარი და მშვიდი კაციაო, — ეს კაცი სწორედ დაბერებული და გულგატეხილი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გახლდათ. იგი თანდათანობით იკეტებოდა თავის ნაჭუჭში და შორდებოდა ადამიანებს. იჯდა თავის სახელოსნოში და ერთადერთი გზა, რითაც ხალხთან ურთიერთობდა, ოქროს თევზებით ვაჭრობა იყო. ერთი ჯარისკაცი, ბუენდიების სახლში რომ იდგა ყარაულად დიდი ხნის წინათ, სოფელ-ქალაქებს მოივლიდა ხოლმე, ოქროს თევზებს ყიდდა და იქიდან ოქროს მონეტებითა და ახალი ამბებით დატვირთული ბრუნდებოდა. რას არ უამბობდა ხოლმე პოლკოვნიკს: კონსერვატორთა მთავრობამ ლიბერალების მხარდაჭერით განუზრახავთ შექმნან ახალი კალენდარი ისე, რომ ყოველი პრეზიდენტი ას წელს იდგეს სახელმწიფოს სათავეშიო; როგორც იქნა, ხელი მოაწერეს კონკორდატს და რომიდან კარდინალი ჩამოვიდა. გვირგვინი მთლად ბრილიანტისა ედგა თავზე, ტახტრევანი კი სუფთა ოქროსი იყო; ლიბერალი მინისტრები მის ბეჭედზე სამთხვევად მუხლებზე დაეცნენ და ისე გადაიღეს სურათიო; ესპანური დასის პრიმადონა ვიღაც ნიღბაფარებულ ხალხს მოუტაცნია პირდაპირ თავისი საპირფარეშოდან და ამბობენ, მეორე დღეს მთლად დედიშობილა ცეკვავდა პრეზიდენტის სასახლეშიო. „პოლიტიკაზე ნუ მელაპარაკები, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ, — ჩვენი საქმე თევზების გაყიდვაა". ურსულას რომ უთხრეს, პოლკოვნიკს არ სურს საქვეყნო საქმეებზე ლაპარაკი, ზის თავის სახელოსნოში და მდიდრდებაო, გაეცინა, რა აზრი აქვს მის ვაჭრობას, ოქროს თევზებში ოქროს მონეტებს იღებს, მერე ამ მონეტებს ისევ თევზებად აქცევს და ასე გრძელდება დაუსრულებლად. მეტს გაყიდის, მეტი უნდა იმუშაოს, რათა არსად არ გაუწყდეს ეს ეშმაკისეული წრეო. სიმართლე თუ გინდათ, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ფულზე მეტად საქმე იტაცებდა. მთელი არსებით მიეცემოდა ხოლმე სამუშაოს: თევზის ტანი უნდა მოერთო ქერცლით, ფარფლებით, კუდით, თვალების ადგილას ნამცეცა ლალის ქვები უნდა ჩაესვა. საქმეში გართულს აღარც ომი ახსოვდა და აღარც ის გულგატეხილობა, ომის მერე რომ დაეუფლა. საიუველირო საქმე ისეთ სიზუსტეს

და სინატიფეს მოითხოვდა, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ახლა უფრო მოტყდა, ვიდრე ომის წლებში. დიდხანს ჯდომისგან ხერხემალი გაუმრუდდა, ფაქიზმა საამუშაომ მხედველობა გაუფუჭა, სამაგიეროდ სული დაუმშვიდდა და დაუამდა. ბოლო დროს ომს მხოლოდ ერთი მოუგვარებელი საკითხი აგონებდა პოლკოვნიკს: ვეტერანებმა — კონსერვატორებმაც და ლიბერალებმაც — სთხოვეს, მთავრობასთან გვიშუამდგომლეთ, შეპირებული პენსია იქნებ დაგვინიშნონო. „მოეშვით პენსიაზე ფიქრს, — უპასუხა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. — ხომ ხედავთ, მე უარი ვთქვი. არ მინდა სიკვდილამდე ვიტანჯო მის მოლოდინში!“ პირველ ხანებში საღამოობით ხშირად მოდიოდა ხოლმე მასთან პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი. ორივენი სახლის წინ ქუჩაში დასხდებოდნენ და წარსულს იხსენებდნენ, ამარანტას აღარ შეეძლო ამ სახედაღლილი და გამელოტებული კაცის დანახვაზე წამოტივტივებული მოგონებების მოთმენა. მოძალებული სიმელოტე კაცს ნაადრევი სიბერის უფსკრულისკენ მიაქანებდა და უსამართლო უარითაც იმდენჯერ ატკინეს გული, რომ ბუენდიებთან სიარულს ნელ-ნელა უკლო, მერე კი სულ გაქრა — დამბლა დაეცა. ჩუმი და გულჩახვეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ხედავდა, ახალი, მისთვის უცხო ცხოვრებით ივსებოდა სახლი და თანდათან ხვდებოდა მშვიდი სიბერის საიდუმლოებასაც — თუ სიბერეში სიმშვიდე გსურს მოიპოვო, ერთგულად უნდა დაუმეგობრდე მარტოობას. დილის ხუთ საათზე დგებოდა, თითქოს ძილი გადაავიწყდაო, ღრმად არასოდეს სძინებია, სვამდა თავის საყვარელ ფინჯან უშაქრო ყავას და მერე მთელი დილა გამოიკეტებოდა სახელოსნოში. დღის ოთხ საათზე შუშაბანდში გაივლიდა სკამით ხელში, ზედ არ უყურებდა არც ცეცხლისფრად აბრიალებულ ვარდის ბუჩქებს, არც ჩამავალ მზის შუქს და არც გამომწვევად მზირალ ამარანტას, ვისი განუშორებელი ნაღველიც ქოთნის თუხთუხივით ესმოდა საღამოს დუმილში. და იჯდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია სახლის წინ ქუჩაში, ვიდრე კოღოები მოსვენებას არ დაუკარგავდნენ. ერთხელ ერთმა გამვლელმა გაბედა და დაურღვია მარტოობა:

— როგორა ხართ, პოლკოვნიკო?

— რას ვიზამ, ვზივარ, — უპასუხა მან. — ვუცდი, როდის ჩამატარებენ კუბოთი.

ასე რომ, შეშფოთება, რაც აქ ზოგიერთებში გამოიწვია მშვენიერი რემედიოსის დედოფლად არჩევასთან დაკავშირებით პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახელის ამოტივტივებამ, სრულიად უსაფუძვლო იყო. და მაინც ბევრი სხვა აზრისა გახლდათ. მაკონდოელები ჯერ ბაიბურშიც არ იყვნენ, რა ტრაგედიაც უნდა დატრიალებულიყო იქ და მხიარული ღრიანცელით აავსეს მოედანი. აურელიანო მეორემ, როგორც იქნა, აისრულა წადილი, ვეფხის ტყავში გამოხვეული დააბიჯებდა ბრბოში და ყვირილისაგან ხმა ჩახლეჩოდა. უცებ გზაზე ნიღბოსნების კარგა დიდი ჯგუფი გამოჩნდა, მოოქროული ტახტრევანით მოჰყავდათ ქალი, რომლის სადარიც ჯერ არავის ენახა დედამიწის ზურგზე. მაკონდოელებმა ნიღბები მოიხსნეს, რათა უკეთ დაენახათ მშვენიერი არსება, რომელსაც თავს ზურმუხტის გვირგვინი ედგა, ხოლო ტანს ყარყუმის მოსასხამი უმშვენებდა. გეგონებოდა, ყალბი ოქრომკერდით ამოსირმული, უბრალო შუშის ბრჭყვიალებით მორთული ქაღალდის სამოსი კი არა, ნამდვილი სადედოფლო სამოსი მოსავსო. ბრბოში ბევრი საზრიანი კაცი ერია და მაშინვე უამრავი რაღაც იგუმანეს; მაგრამ აურელიანო მეორემ ყველაფერი მოაწესრიგა: ახლად მოსულ-

ნი საპატიო სტუმრებად გამოაცხადა და ნამდვილი სოლომონ ბრძენის სიდინჯით დასვა ერთ კვარცხლბეკზე მშვენიერი რემედიოსიცა და თვითმარქვია დედოფალიც. მოსულები ბედუინებივით შემოსილიყვნენ, შუაღამემდე მხიარულობდნენ და საკუთარი წვლილიც კი შეიტანეს ზეიმში: უჩვენეს დიდებული პიროტექნიკა და ვირტუოზული აკრობატიკა, ბოშების ძველ ხელოვნებას რომ აგონებდა დამსწრეთ. მაგრამ მალე სწორედ შუაგულ მხიარულებაში, ვიღაცამ დაარღვია ზომიერი ვითარება:

— გაუმარჯოს ლიბერალების პარტიას! გაუმარჯოს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას!

თოფის ლულებიდან გამოცვენილმა ნაპერწკლებმა ფერი გაუკრთეს ფეერიულ ცეცხლს, ყურისწამღებმა გნიასმა დაფარა მუსიკა, ზეიმი აირ-დაირია. მრავალი წლის მერეც ამბობდნენ ხალხში, თვითმარქვია დედოფლის ამალა სინამდვილეში რეგულარული ჯარის ესკადრონი იყო და ბედუინების ნაოჭიან სამოსქვეშ თოფები ჰქონდათ დამალულიო. მთავრობამ სასწრაფოდ უარყო ეს ბრალდება და ხალხს შეჰპირდა, ძირისძირობამდე გამოვიძიებთ ამ სისხლიანი ზეიმის მიზეზსო. მაგრამ ვერა და ვერ დადგინდა ჭეშმარიტება. ამრიგად, დარჩა ერთი ვარიანტი, ნამდვილად დედოფლის ამალამ დახვრიტა ხალხი უმიზეზოდ თავისი ოფიცრის ნიშანზეო. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, ერთი ბედუინის ჭაჭანებაც კი აღარ იყო ქალაქში. მოედანზე მოკლულები და დაჭრილები ეყარნენ: ხუთი ჯამბაზი, ოთხი კოლომბინა, თექვსმეტი ბანქოს პაპა, ერთი ეშმაკი, სამი მუსიკოსი, ორი ფრანგი პერი და სამიც იაპონელი დედოფალი. ამ აურზაურსა და არეულობაში ხოსე არკადიო მეორემ ხელი დაავლო მშვენიერ რემედიოსს და უშიშარ ადგილას მიეფარა, აურელიანო მეორემ კი ხელატატებული მიიყვანა სახლში თვითმარქვია დედოფალი, რომელსაც კაბა დახეოდა და ყარყუმის მოსასხამიც სისხლით მოთხვროდა. ამ ქალს ფერნანდა დელ კარპიო ერქვა. იგი ხუთი ათას ლამაზ ქალში ამოარჩიეს და მაკონდოში მიიყვანეს იმ პირობით, მერე მადაგასკარის დედოფლად დაგსვამთო. ურსულა ისე დასდევდა, როგორც საკუთარ შვილს. იმის ნაცვლად რომ ქალიშვილი დაესაჯათ, მაკონდოელები თანაგრძნობით მოეპყრნენ, გულუბრყვილობაში მიუთვალეს დანაშაული. სისხლიანი კარნავალიდან ექვსი თვის მერე, დაჭრილები რომ გამოკეთდნენ და საძმო საფლავზეც მიჭკნა ყვავილები, აურელიანო მეორე შორ გზას დაადგა უცხო ქვეყნიდან ფერნანდა დელ კარპიოს ჩამოსაყვანად, სადაც ქალი მამასთან ერთად ცხოვრობდა, ჩამოიყვანა კიდეც მაკონდოში და ოცდღიანი დიდი ქორწილიც გადაიხადა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მიხეილ ლერმონტოვი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ

К...

მე არ მოვიდრეკ შენს თვალწინ მუხლებს;
ვერც საყვედურით, ვერც შერიგებით
ველარ იმეფებ ჩემს სულში უკვე,
რადგან უცხოა ჩვენი ფიქრები.
შენ დაგავიწყდა, რომ შეცდომის წილ
ვერ მოგართმევდი თავისუფლებას;
ისედაც ბევრი შევწირე წელი
შენს ღიმილსა და გამიზნულ ვნებას.
ისედაც დიდხანს, ამაო რწმენით
ვხედავდი შენში იმედის აფრას
და მისთვის მძულდა სამყაროც ვრცელი,
რომ მყვარებოდი ყველაზე მძაფრად.
ვინ იცის, იქნებ ყველა ის წამი,
შენ რომ თელავდი, როგორც იელებს,
მე შთაგონებას მოვტაცე ძალით,
მაგრამ შენ რითი მიმაგიერე?!.
ან შესაძლოა, ღვთიური აზრით,
რომელსაც სული ელის ყოველ წამს —
მე სამყაროსთვის მიმეძლვნა განძი,
მას კი დიდება ჩემთვის მოეძლვნა?! —
რატომ შემპირდი, რომ იმ დიდებას,
შენი გვირგვინი შეცვლიდა მხოლოდ?
რატომ არ იყავ ადრე ისეთი,
როგორი [illegible]?!
დე, საყვარელი სხვისი იწამე,
მე ამაყი ვარ! კარგად მიხვდები —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უნდა მოხდეს, ცოდვილ მიწაზე
მონად არასდროს არ გაგიხდები.
მე, შეიძლება, სამხრეთის ცის ქვეშ
გადავიხვეწო უცხო მთებს შორის;
მაგრამ ერთმანეთს ჩვენ ვიცნობთ ისე,
ვაითუ, დავრჩეთ უნუგეშონი?!.
დროა, ჩამოვკრა განცხრომის ზარებს
და ეს სიშმაგე შევფიცო ყველას;
მე ყველას თვალწინ ვიცინებ მწარედ,
მტირალს კი ვერვინ მიხილავს, ვერა!
გავხდები უღვთო, სიცრუით სავსე,
დე, სიყვარულიც იქცეს სამსალად;
ან როგორ უნდა ილოცო ქალზე,
თვით ანგელოსმა როცა გამცვალა?!.
მე ხომ ტანჯვისთვის მზად ვიყავ მუდამ
და ყოველგვარი საფრთხის მსურველი, —
რომ შევხებოდი მაგ ნორჩ ხელს, თუნდაც
სულ ერთი წამით! — აი, სულელი!
ვერ ვეგულისხმე ვერაგულ ღალატს,
ისე მოგართვი სული ცინცხალი;
იმ სულის ფასი იცოდი განა?
იცოდი: — მე რომ ვერ შეგიცანი!

1832

ტალღები და ადამიანები

ერთიმეორის მიყოლებით, მძვინვარე ზღვაზე
ტალღები ტალღებს ეხლებიან, დიდი შფოთია!
ადამიანთა უწესრიგო ბრბოებიც ასე —
ერთიმეორის მიყოლებით მიდი-მოდიან.

ო, ზღვისთვის უფრო ახლობელი და ძვირფასია
მათი სვე-ბედი, ვიდრე მწველი შუადღის ალხი;
სული წყურია კაცთა მოდგმას, მაგრამ, რას იზამ,
გამეფებულა იმათ სულშიც სიცივე ტალღის!..

1830

* * *

ო, ნუ დამტოვებ ხსოვნის გარეშე,
როცა მსჯავრდებულს კანონი მკაცრი
მე გადამისვრის უცხო მხარეში
და შევიქნები დევნილი კაცი!

და მარტოდ შთენილს როდესაც მოგხრის
ღამე უძილო, მძიმე და ძნელი,
წმინდა სანთელთან დაგცდება ოხვრა
და უცებ ჩუმად იწვიმებს ცრემლიც, —

ჩაიბუტბუტებ: ოდესღაც იგი
აქ იჯდა ამ დროს, ვით მოდარაჯე
და სევდისაგან შელონებული
თვისას ელოდა ბედის განაჩენს!..

23 მარტი, 1831 წ.

* * *

მე არ მიყვარხარ. სევდაც და ვნებაც
გახუნდა, როგორც სიზმარი ძველი;
მაგრამ ჩემს სულში ხატება შენი
კვლავ ცოცხლობს, ოღონდ, თანდათან ქრება!..
მაინც შემორჩა მის ხსოვნას აზრი,
თუმც გატაცებით სხვები მეტრფიან;
ასე — ეული ტაძარშიც ტაძრობს,
ასე — განრთხმული კერპიც — ღმერთია!

1831

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობო აბე

ქალი ქვიშაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა აკაკი ბრეგაძემ

19

დრო უკვე არ იწყებს ცხენივით დაოთხებას, მართლაც აწორია, მაგრამ არც ხელის ურიკაზე ნელა ჩაქჩაქებს. დილის სიცხემ თანდათან უმაღლეს წერტილს მიაღწია. თვალები და ტვინი აადუღა. შიგნეულობა გაალღო. დასწვა ფილტვები.

ქვიშა ღამით შეწოვილ ტენს ანაორთქლის სახით უშვებს ჰაერში... სინათლის გარდატეხის წყალობით ქვიშა სველი ასფალტივით ბრწყინავს... მაგრამ სინამდვილეში ეს სრულიად უნარევო ერთი მერვედი მილიმეტრი ტაფაზე შემწვარ ფქვილზე უფრო მშრალია.

და აი, ქვიშის პირველი ზვავი... ჩვეული ხმაა, ურომლისოდაც არც ერთი დღე არ იწყება, მაგრამ მაინც კაცმა უნებურად ქალს გადახედა. ქვიშა ერთი დღე არ მოუხვეტავთ. რა შედეგი მოჰყვება ამას?.. დიდი არაფერი, — გაიფიქრა კაცმა, მაგრამ მაინც შეშფოთდა. ქალს თვალები დაეხრია, დუმდა. აბა, რაკი ასეა, ჯანდაბას ყოველივე, კაცი აღარ გამოკითხავს არაფერს. ქვიშის ნაკადი ჯერ ძაფივით დაწვრილდა, მერე კვლავ გაიზარდა, იქცა ობიდ[1], ასე გაიმეორა რამდენჯერმე და ბოლოს დაიშრიტა.

ესე კი საშიში არაფერია: კაცმა შვებით ამოისუნთქა. უეცრად ლოყამ ფეთქვა და წვა დაუწყო. იაფფასიანმა არაყმა, რომლის დავიწყებასაც იგი აქამდე ცდილობდა, უცებ წყვდიადში მოკიაფე ლამპარივით მიიზიდა. რაც უნდა იყოს, ყელი რომ გაისველო, არაფერი უჯობს. არადა, სხეულიდან მთელი სისხლი აორთქლდება. კაცს მშვენივრად ესმოდა, არყის დალევით მომავალ ტანჯვათა თესლს თესავდა და შემდეგ ინანებდა. მაგრამ უკვე აღარ შეეძლო სურვილი დაეოკა. ბოთლს საცობი მოხსნა, პირზე მიიყუდა და სმა დაიწყო. მაგრამ ენა ჯერ კიდევ ერთგული ძაღლივით დარაჯად ედგა: არაყმა შეაშინა და ასხმარტალ-

---

დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1.

[1] ქალის ქამარი — ოცდაათი-ოთხმოცი სანტიმეტრი სიგანის ქსოვილი.

და. კაცს სული შეუგუბდა, თითქოსდა ზედმეტი ჟანგბადი ესუნთქა, მაგრამ საცთურს ვერ გაუძლო და მესამედაც მოსვა არაყი. სვამდა რაღაც საშინელის პატივსაცემად...

კაცმა ქალსაც შესთავაზა არაყი. ქალმა, რა თქმა უნდა, გადაჭრით იუარა, თან ისეთი სახით, თითქოს საწამლავის დალევას სთავაზობდნენ. კაცს, როგორც თვითონაც შიშობდა, კუჭში მოხვედრილი ალკოჰოლი, მაგიდის ჩოგბურთის ბურთივით თავში აუვარდა, კრაზანასავით ბზუილი დაუწყო ყურებში. კანი ღორის ტყავივით გაუუხეშდა. სისხლი ეხრწნებოდა!.. სისხლი უორთქლდებოდა!

— რაღაც უნდა გაკეთდეს! ალბათ თვითონაც შავ დღეში ხარ. თოკები ხომ შეგხსენი. ახლა რაიმე მოიმოქმედე!..

— კარგი... მაგრამ რომელიმე სოფლელს თუ წყლის მოტანა არ ვთხოვე...

— განა არ შეიძლება თხოვო?!

— მხოლოდ მაშინ, თუ მუშაობას დავიწყებთ...

— დაეხსენი ხუმრობას!.. აბა მითხარი... განა ვინმეს აქვს ამის უფლება?!

ქალმა თავი დახარა და მაგრად მოკუმა ტუჩები. აბა რას იზამ? კარის სულ ზემოთ მჩინარი მკვეთრი ცისფერი ცის ნაგლეჯი ზღვის ნიჟარის შიგა ნაწილივით მბრწყინავ მოთეთრო ფერად იქცა. ვთქვათ, მოვალეობა ადამიანის პასპორტია, კი, ბატონო, მაგრამ მასზე რატომ უნდა დაასმევინო ვიზა ამ ტიპებს!.. ადამიანის ცხოვრება ქაღალდის მიმოფანტული ნახევები როდია... იგი დახურული, კარგად აკინძული დღიურია... პირველივე გვერდი სავსებით კმარა დღიურის ერთი ნიმუშისათვის... ამიტომ ზედმეტია შენი მოვალეობა იმ გვერდებზე ალასრულო, რომლებიც აღარ გაგრძელდება... როცა ახლობლები შიმშილით იხოცებიან, თუ ყველას დასაფლავებაში მონაწილეობას მიიღებ, არავითარი დრო არ გეყოფა.. დალახვროს ეშმაკმა, როგორ უნდა დალევა!.. მერედა, რამდენი იხოცება წყურვილით!.. ყველა რომ შენი დასამარხი გახდეს, რამდენი ხელიც არ უნდა გქონდეს, მათ სულ ერთია, მაინც ვერ გასწვდები.

ქვიშამ ისევ დაიწყო ჩამოშვავება.

ქალი წამოდგა და კედელზე მიყუდებული ცოცხი აიღო.

— მუშაობა არ გაბედო! აკი, აღმითქვი? — უთხრა კაცმა.

— არა, საბანს გადავბერტყავ...

— საბანს?

— თუ არ წაიძინეთ...

— თუ დაძინებას მოვინდომებ, თვითონ გავაკეთებ ყველაფერს, რაც საჭიროა!

ახლა მოულოდნელად ბიძგმა შეარყია, თითქოს მიწა იძრაო. ჭერიდან ჩამოცვენილი ქვიშა წამით კვამლივით გადაეფარა თვალებს. აი, ბოლოს და ბოლოს იმის შედეგი, ქვიშა რომ არ გადახვეტეს. ქვიშას რაკი გზა არ ჰქონდა, ძირს ჩამოშვავდა. სახლის დირეებმა და სვეტებმა, რომლებიც ქვიშის იერიშს აკავებდნენ, საცოდავად დაიჭრაჭუნეს. მაგრამ ქალი დაჟინებით მისჩერებოდა კარის ზედა წირთხლს და განსაკუთრებულ მშფოთვარებას არ ამჟღავნებდა. ალბათ იმიტომ, რომ ქვიშა ჯერჯერობით საძირკველს აწვებოდა.

— არამზადები, ვიგინდარები... აბა რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს!?.. მათ ეტყობა, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ...

როგორ ძგერს გული... საცაა შეშინებული კურდღელივით მოკურცხლავს...

ძალა არ შესწევს თავის ბუდეში გაჩერდეს, მზადაა, სადაც მოხვდება, იქ მიიკუნჭოს, თუნდაც პირში, ყურში, ნაწლავებში. ნერწყვი უფრო მწებვარე გახდა. ოღონდ ყელი არც ისე გაშრა. ალბათ იმიტომ, რომ კაცმა არაყი დალია და შეთვრა. მაგრამ როგორც კი ალკოჰოლი გამონელდება, ყელს ცეცხლი მოეკიდება. და ცეცხლი დაფერფლავს.

— ასეთი რამ გააკეთეს... და უხარიათ.. იმიტომ, რომ თავის ტვინიც არ გააჩნიათ... რა შავ ქვას იზამენ, მე რომ აქ ჩავძაღლდე?!

ქალმა თავი ასწია. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისევ დადუმდა. ალბათ გაიფიქრა, პასუხის გაცემა არ ღირსო. მისი დუმილი თითქოსდა ადასტურებდა, რომ საუბარს აზრი არ ჰქონდა, რომ პასუხი მხოლოდ ცუდი შეიძლება ყოფილიყო. კარგი... თუკი ბოლო ერთია, რატომღა არ უნდა სცადოს კაცმა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია?!

კაცმა ბოთლიდან კიდევ მოსვა არაყი. მხნეობა მოიკრიბა და გარეთ გავარდა. თვალებში გავარვარებული ტყვიის ნაკადი ეცეცა და დაბარბაცდა. მის ნაკვალევში მაშინვე დატრიალდა ქვიშის მორევები. ღამით აი, იქ ეცა ქალს და შეკრა... იქ სადღაც ნიჩაბიც უნდა იყოს დაფლული. ზვავი თითქოსდა შეჩერდა, მაგრამ ზღვისკენ მიქცეული ფლატედან განუწყვეტლივ ცვიოდა ქვიშა. დროდადრო, თითქოს ქარის მიზეზით, ქვიშის ეს ნაკადი კედელს სცილდებოდა და ჰაერში ტილოს ნაჭერივით იშლებოდა. კაცმა წალის ქვინტით ფრთხილად დაიწყო ქვიშის ქექვა, რათა ამით ახალი ზვავი არ გამოეწვია.

ზვავი წელან ჩამოწვა, მაშასადამე, ნიჩაბი უფრო ღრმად უნდა ეძებნა, მაგრამ ფეხი არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდომია. მზის პირდაპირი სხივები აუტანლად იწვნება. თვალის გუგები წერტილებივით დაწვრილდა... კუჭი მედუზასავით თახთახებს... მწვავე ტკივილი მუხრუჭებს უჭერს შუბლს... უკვე წვეთი ოფლის დაკარგვა არ შეიძლება... ეს ზღვარია. დიახ, მაგრამ სად ჯანდაბაში გაქრა ჩემი ნიჩაბი?.. ნამდვილად ხელში მეჭირა, ვაპირებდი იარაღად გამომეყენებინა... მაშასადამე, სადღაც იქ ქვიშამ დაფარა... კაცმა ორმოს ფსკერის თვალიერება დაიწყო და მაშინვე დაინახა, რომ ქვიშა ერთ ადგილას ნიჩბის მსგავსად მაღლდებოდა.

კაცმა გადაფურთხება დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა: ყველაფერი, რაც კი თუნდაც მისხალ ტენს შეიცავს, ორგანიზმში უნდა შეინახოს. შეეცადა კბილებსა და ტუჩებს შუა ქვიშა ნერწყვისაგან გამოეცალკევებინა და მხოლოდ ის მოიწმინდა თითით, რაც კბილებზე მიეკრა.

ქალი ოთახის კუთხეში კედლისკენ პირშექცეული იდგა და თავის კიმონოს რაღაცას უშვრებოდა. იქნებ სარტყელი მოიფომფლა და შიგნით ჩაყრილ ქვიშას იფერთხავდა? კაცმა ნიჩბის ტარს შუაში ჩაავლო ხელი. მხრის სისწორეზე ასწია და როგორც კი კარის სიახლოვეს გარეთა კედელს დაუმიზნა...

ზურგს უკან ქალის ყვირილი მოესმა, კაცმა კედელს ნიჩაბი ჰკრა და მთელი სიმძიმით მიაწვა. ნიჩაბი ადვილად შევიდა კედელში. გეგონებოდა, ვაფლის ცომს შეურჭვესო. გარედან ქვიშით დაფარული კედელი ახალივით გამოიყურებოდა, სინამდვილეში კი მთლად დამპალი იყო.

— რას აკეთებთ?

— კედელს დავამტვრევ და კიბის მასალა მექნება.

კაცმა სხვა ადგილი აირჩია, კიდევ ერთხელ მოსინჯა კედელი. იგივე ამბავი განმეორდა. ეტყობა, ქალი მართალი

პობსო. თუ ეს მზის მხარეს მყოფი კედელიც დამპალია, მაშინ შეიძლება წარმოიდგინო, როგორილა იქნება დანარჩენები. მაინც რანაირად დგას კიდევ ეს დაქონქილი სახლი... გვერდზე გადაბრეცილა, თითქოს ცალ მხარეს დამბლა დასცემიაო... შეიძლება სულ ბოლო ხანს, როცა ქაღალდისა და პლასტიკის სახლების შენება დაიწყეს, გაჩნდა ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც ეშმაკმა არ იცის, როგორ დგას და რა ძალა აჩერებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას იზამ, რაკი ფიცრები არ ვარგა. განივ დირეებს ვსინჯავთ.

— არ შეიძლება! ნუ შვრებით, თქვენი ჭირიმე!

— მოგცლიათ ერთი, ქვიშა სულ ერთია საცაა ჩამოამზღვლევს.

კაცს ქალისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ნიჩაბი მოიქნია, რომ დირესთვის დაეკრა, მაგრამ ქალი ყვირილით გამოიჭრა და ხელზე ჩამოეკიდა. კაცმა იდაყვი გამოსტაცა, შეტრიალდა, სცადა მოცილება, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოზომა და იმის ნაცვლად, ქალი წაექცია, თვითონ წაიქცა. მაშინ წამოხტა და ქალს ეცა, მაგრამ ქალმა გააფთრებით ჩაბღუჯა ნიჩაბი. რა მოხდა... ქალმა როგორ უნდა აჯობოს ძალით... ისინი რამდენჯერმე გადაკოტრიალდნენ სოხანეზე, და იმ მოკლე ჟამს, როცა კაცს ეგონა, ქალს მოვერიე და იატაკს მივაკარიო, ქალმა (იგი ნიჩაბს ფარივით ხმარობდა) ადვილად მოიშორა. რას იზამ!.. ალბათ არაყი რომ დალია, იმის ბრალია.. კაცი უკვე აინუნში არ აგდებდა, რომ მოწინააღმდეგე ქალი ჰყავდა, და მოხრილი მუხლი მთელი ძალით ჩაჰკრა მუცელში.

ქალმა შეჰკივლა და მაშინვე მოეშვა. კაცს წუთი არ დაუკარგავს. ქალს ზემოდან დააწვა. ქალს მკერდი გაუშიშვლა და კაცის ხელები მის გაოფლილ შიშველ ყელზე ჩამოცურდა.

უცებ ორივე გაშეშდა, როგორც კინოში ხდება, როცა კინოპროექტორი გაფუჭდება. კიდევ წუთი და ნიჩბისთვის ჭიდილი შეიძლება სულ სხვა რამედ გადაქცეულიყო, მაგრამ ქალმა უკვე ჩახრინწული ხმით უთხრა:

— ქალაქელი ქალები საუცხოო ლამაზები არიან, ხომ მართალია?

— ქალაქელი ქალები?..— კაცი უცებ შეცბა... და მოეშვა... საფრთხემ თითქოსდა გაიარა.... ვერ წარმოედგინა, რომ მელოდრამა შეიძლებოდა აქაც, ამ ქვიშებშიც ყოფილიყო. მაგრამ, ეტყობა, არ არსებობს ქალი, რომელსაც არ სჯეროდეს (მაშინაც კი, როცა მუხლებს აშორიშორებს), რომ მამაკაცი მაშინ შეაფასებს, თუ მელოდრამა გაითამაშა. სწორედ ეს ამაღელვებელი და მიამიტური ილუზია აქცევს ქალს ცალმხრივი სულიერი ძალადობის მსხვერპლად... ქალის მიამიტობა კაცს მის მტრად გარდაქმნის.

20

მკაცრი, თითქოსდა გახამებული სახე, გრიგალის სისწრაფით სუნთქვა, დამწვარი შაქრის გემოს მქონე ნერწყვი... ენერგიის საშინელი ხარჯვა. ოფლად გადმოდინდა ჭიქაზე არანაკლები ტენი. ქალმა თავი დახარა, ნელა წამოდგა. ქვიშით დაფარული სახე კაცის თვალების სისწორეზე ჰქონდა. მოულოდნელად ცხვირი თითებით მოიხოცა და ხელი ქვიშით გაიწმინდა. შემდეგ დაიხარა და შარვალი ძირს ჩამოუცურდა.

კაცმა გაბრაზებით მოარიდა თვალი. თუმცა „გაბრაზების“ თქმა მთლად

სწორი არ იქნებოდა. ენაზე დარჩა რაღაც უცნაური შეგრძნება, მაგრამ წყურვილი კი არა, სხვა რამ...

კაცი ბუნდოვნად შეიგრძნობდა, რომ არსებობს სქესობრივი ლტოლვის ორი სახე. მაგალითად, „მიობიუსის ლენტის" ტიპის ადამიანები ქალიშვილთან არშიყობას, როგორც წესი, გემო-კვებაზე ლექციით იწყებენ. ავიღოთ მშიერი კაცი, — მსჯელობენ ისინი, — მისთვის საჭმელი საჭმელია, ყველაფერს ერთი გემო აქვს — კობეს ძროხის ხორცსაც და ხიროსიმას ხამანწკებსაც... მაგრამ როგორც კი გაძღება, მაშინვე დაიწყებს საჭმლის გემოს გარჩევას... ასეა სქესობრივი ლტოლვის შემთხვევაშიც: არსებობს სქესობრივი ლტოლვა ზოგადად, და უკვე შემდეგ ჩნდება სქესობრივი ლტოლვა კერძოდ. სქესიც არ შეიძლება განვიხილოთ ზოგადად. ყველაფერი ადგილსა და დროზეა დამოკიდებული: ზოგჯერ საჭიროა ვიტამინები, სხვა შემთხვევაში ბრინჯიანი გველთევზა. ეს გახლდათ სრულყოფილი, საფუძვლიანად მოფიქრებული თეორია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთი ქალიშვილი არ გამოძებნილა, რომელიც „მიობიუსს" საკუთარ თავს შესთავაზებდა, რათა ამ თეორიის შესაბამისად განეცადა სქესობრივი ლტოლვა ზოგადად თუ კერძოდ. სავსებით ბუნებრივიცაა. შეუძლებელია მამაკაცს თუ ქალს მარტო თეორიის დახმარებით გაუჩნდეს ლტოლვა. ამ უკიდურესად გულწრფელ „მიობიუსსაც" ყველაფერი მშვენივრად ესმოდა და მხოლოდ იმიტომ, რომ სულიერი ძალადობა ეზიზღებოდა, ლია კარის მტვრევას განაგრძობდა.

კაცი თვითონაც არ იყო, რა თქმა უნდა, ისეთი რომანტიკული პიროვნება, სპეტაკ სქესობრივ ურთიერთობაზე ეოცნება. ამდაგვარი ურთიერთობანი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა უკვე ცალი ფეხი სამარეში გიდგას... ხმობადაწყებული ბამბუკი ნაყოფის გამოღებას ჩქარობს... შიმშილისგან მომაკვდავი თაგვები მიგრაციის დროს გამწარებით წყვილდებიან... ტუბერკულოზით დაავადებულთ უკლებლად მომეტებული აგზნება ტანჯავთ... კოშკში მცხოვრები მეფე ან გამგებელი, რომელთაც კიბეზე ჩამოსვლის მეტი არაფერი შეუძლიათ, ჰარამხანის აგებაზე არიან გადაგებულნი.

საბედნიეროდ, ადამიანს ყოველთვის როდი ემუქრება სიკვდილი. იმას, ვისაც არ სჭირდება ზამთრის წინაშე შიში განიცადოს, შეუძლია სიყვარულის სეზონურ პერიოდებსაც განერიდოს. მაგრამ როცა ბრძოლა მთავრდება, იარაღი ტვირთად იქცევა ხოლმე. მოვიდა ის, რასაც წესრიგი ჰქვია, და ადამიანს ბუნების მაგიერ ეშვების, ბრჭყალებისა და სქესის კონტროლის უფლება მისცა. ამიტომ სქესობრივი ურთიერთობა დაემსგავსა საგარეუბნო მატარებლის სეზონურ ბილეთს, რომლის კომპოსტირებაც ყოველი მგზავრობისას სავალდებულოა, თანაც აუცილებლად უნდა დარწმუნდე, ყალბი ხომ არაა. ეს შემოწმება ზუსტად შეესაბამება დადგენილი წესრიგის სირთულეს და წარმოუდგენლად ძნელია. საჭიროა ათასგვარი საბუთი: ხელშეკრულებები, ლიცენზიები, პირადობის მოწმობა, საშვი, წოდების მოწმობა, სარეგისტრაციო საბუთი, საწევრო ბილეთი, დაჯილდოების საბუთები, თამასუქები, სასესხო ვალდებულებანი, დაზღვევის პოლისი, განცხადება შემოსავლის შესახებ, ქვითრები და საგვარეულო ნუსხაც კი — საერთოდ აუცილებელია თავი მოუყარო ყველა ქაღალდს, რაც კი შეიძლება ადამიანს მოაფიქრდეს.

ამის გამო სქესობრივი ურთიერთობანი პეპელა მეტომრიას მატლებივით აღმოჩნდა დამარხული ზღვა საბუთების ქვეშ. მაგრამ ამას რა უშავს. საქმე

რომ ამით მთავრდებოდეს. იქნებ ქაღალდები შემდგომაცაა საჭირო?.. კიდევ ხომ არ დაგვავიწყდა რა?.. კაცსაც და ქალსაც გული შავბნელი ეჭვებით აქვთ გამოღრღნილი, მოწინააღმდეგე მხარე არასაკმარისი გულმოდგინებით აგროვებს საბუთებსო... და აი, თავიანთი პატიოსნების დასამტკიცებლად სულ ახალ-ახალ საბუთებს იგონებენ... და არავინ უწყის, სადაა ეს ბოლო საბუთი... ზღვარი არა აქვს ამ საბუთებს...

(ის ქალი მაბრალებდა, ზედმეტად შარიანი ხარო, მაგრამ მე არ ვეშარები, ეს მართლაც ასეა?).

— მერედა, განა ასეთი არ არის სიყვარულის მოვალეობანი?

— არა, სიყვარულია ის, რაც გამორიცხვის მეთოდით აკრძალვაზე უარის თქმის შემდეგ რჩება. თუ ეს არ გჯერა, მაშასადამე, არაფერი გჯერა.

რა თქმა უნდა, უმართებულო იქნებოდა ცუდ რაღაცებს შევგუებოდით: ყოველივე ის, რაც სქესთანაა დაკავშირებული, ნაბოძვარად მიგვეჩნია. მოდი, ყოველ დილით გულმოდგინედ ვაუთოოთ სიყვარული... ოდნავ თუა გაცვეთილი, დაძველებული ჩანს... მაგრამ ნაკეცებს გაასწორებ და კვლავ ახალს დაემსგავსება... თუმცა როგორც კი ახალი გახდება, მაშინვე იწყებს დაძველებას... განა ვინმე ვალდებულია სერიოზულად მოისმინოს მსგავსი უხამსობა?

რასაკვირველია, წესრიგი რომ გარანტიას იძლეოდეს სიცოცხლე შეუნარჩუნოს მისსავე დამცველებს, მაშინ დათმობაზე წასვლას აზრი ექნებოდა. მაგრამ სინამდვილეში საქმე როგორაა? სიკვდილის ისრები ზეციდან ცვივა. დედამიწაზეც ათასნაირი სიკვდილია. იგივე შეიგრძნობა ბუნდოვნად სქესობრივ ცხოვრებაში. ხელთ თითქოს ფიქტიური თამასუქი გიჭირავს. სწორედ მაშინ იწყება სეზონური ბილეთების გაყალბება, როცა ერთი მხარე დაუკმაყოფილებელია. რას იზამ, ეს საკითხისადმი საქმიანი მიდგომაა. ანდა მიიჩნევა, რომ ვითარცა გარდაუვალი ბოროტება, აუცილებელია სულიერი ძალადობა. უამისოდ თითქმის არც ერთი ქორწინება არ იქნებოდა შესაძლებელი. დაახლოებით ამგვარად იქცევიან ისინიც, ვინც თავისუფალ სიყვარულს ქადაგებენ. თავისუფალი სიყვარულის მქადაგებელნი გარეგნულად საპატიო საბაბით მხოლოდ უკიდურესად რაციონალურს ხდიან ურთიერთძალადობას. თუ ამ ურთიერთძალადობას მართებულად მივიჩნევთ, მან ალბათ შეიძლება გარკვეული სიამოვნება მოგვანიჭოს. მაგრამ თავისუფლება, რომლის დროსაც ნიადაგ ეწუხვართ ცუდად ჩამოწეულ ფარდებზე, მხოლოდ ფსიქიურ აშლილობას იწვევს.

ისე ჩანდა, ქალი ზედმიწევნით შეიცნობდა კაცის გრძნობებს. თითქოსდა გადაიფიქრა შარვლის ზონრის შეკვრა. მოშვებული ზონრის ბოლო თითებშუა ეკიდა. მან თავისი ბოცვრის თვალებით შეხედა კაცს. თვალები ბოცვრის თვალებს მარტო გაწითლებული ქუთუთოების გამო როდი მიუგავდა. კაცმა პასუხად ისე შეხედა, მის მზერაში დრო გაიყინა. ქალისირგვლივ მძაფრი სუნი დადგა: ასეთი სუნი ხორცის ძარღვებიან ნაჭრის ხარშვისას დგება ხოლმე.

ქალს წინანდებურად ხელებით ეჭირა ზონარი, როცა კაცს გვერდზე ჩაუარა: ავიდა ოთახში და შარვლის გახდა დაიწყო. შარვალს ისე ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იხდიდა, თითქოს უბრალოდ ადრე დაწყებული საქმის კეთებას განაგრძობდა. ეს ხომ ნამდვილი ქალია, — გაუელვა კაცს თავში და გაბედა: — რეგვენო, კიდევ ცოტას დააყოვნებ და ყველაფერი ჩაიფუშება. კაცმა სწრაფად მოუშვა ქამარი.

ჯერ კიდევ გუშინ კაცი ალბათ გადაწყვეტდა, ლოყაზე დაჩნეული ფოსოსა და მაშინდელი მორცხვი სიცილის არ იყოს, ეს ალბათ ქალის მიერ მოწყობილი მორიგი სპექტაკლიაო. იქნებ ასეც იყო. მაგრამ არ უნდოდა ამგვარად ეფიქრა. უკვე გავიდა დრო, როცა შეეძლო ქალი ვაჭრობის საგნად გამოეყენებინა... ახლა ყველაფერს მხოლოდ ძალა თუ გადაწყვეტდა... უკვე ყველა საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, საჭირო არაა ვაჭრობაო, ჩვენი დამოკიდებულება ურთიერთნდობას დაემყარებაო...

ქალს ცალ ფეხზე ჩაეჩოქა და დაგრეხილი პირსახოცით ქვიშას იწმენდდა კისრიდან. უეცრად ახალი ზვავი ჩამოშვავდა. სახლი შეზანზარდა და დაიჭრაჭუნა. ახლა ხელის შეშლა იქნებოდა!.. ქალს თავი თვალის დახამხამებაში თეთრი პუდრით დაეფარა. ქვიშა ნისლივით ცურავდა ჰაერში. მხრებსა და ხელებსაც ასევე ქვიშის თხელი ფენა გადაეკრა. ქალი და კაცი, ერთმანეთს გადახვეულნი, ელოდნენ ზვავის დამთავრებას.

ტანზე მიკრული ქვიშა ოფლით იჟღინთებოდა, ზემოდან კი ახალი და ახალი ქვიშა ცვიოდა... ქალს მხრები უცახცახებდა, კაცსაც ცეცხლი ეკიდა, საცაა ხანძრად დაიგზნებოდა... და მაინც ვერ გაეგო. ეგზომ ანდამატივით რად იზიდავდა ქალის თეძოები?.. თანაც იმდენად, რომ მზად იყო ძარღვი ძარღვზე ამოეცალა და მათთვის შემოეხვია... ეს ჰგავდა მტაცებელი ნადირის გაუმაძღრობას. კაცის მთელი არსება დაგრეხილ ზამბარასავით ძალას დაემუხტა... იმ პირველ ქალთან ამგვარი რამ არასდროს განუცდია...

ზვავი შეწყდა. კაცი თითქოს ამას ელოდაო, ქალს ტანიდან ქვიშის ჩამოწმენდაში მიეშველა. ქალი ხრინწიანად იცინოდა, კაცის ხელებიც მკერდიდან იღლიებისკენ, იქიდან თეძოებისკენ მიცოცავდა, თანაც სულ უფრო მეტი დაჟინებით. ქალის თითები მთელი ძალით ჩააფრინდა კაცის კისერს. შიგადაშიგ ქალი ხმადაბლა კიოდა.

შემდეგ კაცმა ქალს ქვიშა ჩამოწმინდა. ახლა ქალის ჯერი დადგა — კაცისთვის მას უნდა ჩამოეწმინდა ქვიშა. კაცმა თვალები მოჭუტა, იცდიდა და თმას უწეწავდა ქალს. თმა სველი და ხეშეში იყო.

კრუნჩხვა... ისევ იგივე მეორდება... კაცს კრუნჩხვა უვლიდა ყოველთვის, როცა რალაცაზე ოცნებობდა და სხვა საქმეს აკეთებდა: ჭამდა, დადიოდა, სძინავდა, ასლოკინებდა, ყვიროდა, ქალთან ცხოვრობდა...

21

ეტყობოდა, ცოტა ხნით ჩათვლიმა, მოუსვენრად ტრიალებდა, მთლად ოფლითა და ლეზვით იყო დაფარული, ლეზვი ამძალებული თევზის ქონს მოაგაგონებდათ. კაცი სიზმარს ხედავდა. ესიზმრებოდა გატეხილი ჭიქა, იატაკდაფარდალებული გრძელი დერეფანი, განავლით სავსე უნიტაზიანი საპირფარეშო, საბაზანო, რომელსაც ვერა და ვერ აგნებდა, თუმცა სულ ესმოდა წყლის ჩხრიალი. გვერდით ვიღაც მათარიანმა კაცმა ჩაურბინა. სთხოვა, ერთი ყლუპი წყალი დამალევინეო. მათარიანმა ბოროტად შეხედა და კუტკალიასავით ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

როცა გაიღვიძა, ენას რაღაც წებოვანი და ცხელი უწვავდა. გორკეცებით მოსწყუროდა... მწყურია!.. მოკიანთე ანკარა წყალი... ჭიქის ფსკერიდან ამომავა-

ლი ჰაერის ვერცხლისფერი ბუშტუკები... თვითონ კი მიტოვებული, ნახევრად დანგრეული სახლის წყალსადენი მილია, მტვრით დაფარული, აბლაბუდამოდებული, წყლიდან ამოგდებული თევზივით სულშეგუბებული...

წამოდგა. ხელ-ფეხი წყლით სავსე რეზინის ბალიშებივით დამძიმებოდა... კოხანეზე დაგდებული კარდალა აიღო და პირთან მიიტანა. [illegible]-წამის შემდეგ ენის წვერზე ორი-სამი წვეთი დაეცა. ენამ ისინი [illegible] ქარბორბალივით შეისრუტა. ყელი კი, ეგზომ რომ ელოდა ამ წვეთებს, კრუნჩხვით იკუმშებოდა, ამაოდ ცდილობდა მათ ჩაყლაპვას.

კაცი წყალს ეძებდა და პირსაბნის ახლომახლო ყველაფერს ქექავდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა. ქიმიურ შენაერთებს შორის წყალი ყველაზე მარტივია. არ შეიძლება იგი არ იპოვო, ისევე, როგორც არ შეიძლება მაგიდის უჯრაში ათიენიანი მონეტა არ ეგდოს. აჰა, წყლის სუნია. სწორედ, წყლის სუნია. კაცმა ავზის ფსკერიდან სწრაფად მოხვეტა ნოტიო ქვიშა და პირი გამოიტენა. გული ერია, დაიხარა, მუცელში კრუნჩხვამ დაუარა, ნაღველი ამოანთხია და ცრემლები წამოსცვივდა.

თავის ტკივილი ტყვიასავით ჩამოაწვა თვალებში... ფიზიკურმა სიახლოვემ საბოლოო ჯამში მხოლოდ დაღუპვის გზა შეუმოკლა. უცებ ოთხზე დადგა და სოხანეზე ძაღლივით დაიწყო ქვიშის ქექვა. იდაყვის სიღრმე ორმო ამოთხარა და შეამჩნია, რომ ქვიშა მუქი, ნოტიო გახდა. ორმოში თავი ჩაყო, ანთებული შუბლი ქვიშას დააყრდნო და ხარბად დაიწყო სუნის შესუნთქვა. თუ ასე ისუნთქებდა, კუჭში ჟანგბადი და წყალბადი უთუოდ შეერთდებოდა.

— დალახვროს ეშმაკმა, რა ჭუჭყიანი მაქვს ხელები! — ხელისგულებს ფრჩხილებით ჩაავრინდა და ქალისკენ შემობრუნდა. — აბა, რა ვქნათ ბოლოს და ბოლოს?! წყალი მართლა აღარსადაა?!

ქალმა კიმონო ფეხებზე გადაიხურა, მოიკრუნჩხა და წაიჩურჩულა:

— არა, სულ არაა...

— არა? რაო, ამ „არას " მეტი არაფერი იცი?! აქ ხომ ადამიანი ხელად ჩაიძუვდება... ოღონდ მაშაიაღლო!.. ჩქარა იშოვე, სადაც გინდა!.. გთხოვ... გესმის?... გთხოვ-მეთქი, გეუბნები.

საკმარისია მუშაობა დავიწყოთ და მაშინვე...

— კეთილი, ფარ-ხმალს ვყრი!.. გზა არსაითაა, ხელები ამიწევია. არ მსურს გამხმარ ქაშაყად ვიქცე... ასე, არაფრის გულისათვის ამომხადეს სული. ეს კაპიტულაცია ხომ წრფელი გულით არაა ნაკარნახევი. წყალი რომ იშოვო, შეიძლება მაიმუნის ცეკვაც კი შევასრულო — დაე მიცქირონ. ფარ-ხმალს ვყრი, პატიოსან სიტყვას გიძლევი... მაგრამ ნურას უკაცრავად, წყლის მოტანის ჩვეულებრივ დროს არაფრით დაველოდები. ჯერ ერთი, ასე გამომშრალ-გამომხმარნი მუშაობასაც ვერ შევძლებთ, სწორია? როგორც გინდა, დაუყოვნებლივ დაუკავშირდი სოფლელებს... შენც ალბათ ყელი გამოგიშრა, არა?

— თუ მუშაობას დავიწყებთ, მაშინვე გაიგებენ... სახანძრო კოშკიდან ვიღაც ყოველთვის იცქირება ბინოკლით.

სახანძრო კოშკი?

ადამიანს რკინის ჭიშკარი, ყრუ კედელი კი არა, კარებში გაკეთებული პატარა საჭვრეტი აგრძნობინებს ყველაზე მეტად, რომ საპატიმროშია. კაცი მოიკუნტა და გონებაში მოათვალიერა არემარე. ჰორიზონტზე ცისა და ქვიშის მეტი

არაფერია... არც არავითარი სახანძრო კოშკია, ხოლო ის თუ აქედან არ ჩანს, საეჭვოა, იქიდან დაგვინახონ...

— თუ ფლატის იმ კედლიდან გაიხედავთ, მაშინვე მიხვდებით ყველაფერს...

კაცი სწრაფად დაიხარა და ნიჩაბს დასწვდა: ახლა საკუთარ ღირსებაზე ფიქრი იგივეა, რაც ტალახში ამოგანგლული პერანგის გულმოდგინედ გათეთრება. ისე გავარდა გარეთ, თითქოს უკან მისდევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშა ცეცხლზე შემდგარი ცარიელ ტაფასავით გახურებულიყო. სიცხისგან სუნთქვა ჭირდა. პაერს საპნის სუნი დაჰკრავდა. მაგრამ უნდა ევლო წინ. მხოლოდ ასე შეიძლებოდა წყალს მიახლოებოდა. როცა ზღვის მხარეს მდებარე ფლატესთან გაჩერდა და მაღლა აიხედა, მართლა გაარჩია შავი კოშკის წვერი, ასე ნეკის წვეროს ოდენა, ხოლო ზედ მჩინარი პაწაწკინტელა შვერილი შეიძლება მეთვალყურე იყო, მეთვალყურემ ალბათ უკვე შეამჩნია. ის ალბათ მოულოდნელად ელოდა ამ წუთს.

კაცი შავი შვერილისკენ შებრუნდა, ნიჩაბი ასწია და ენერგიულად დაუქნია მეთვალყურეს. ცდილობდა ნიჩაბი ისე სჭეროდა, მეთვალყურეს მისი კიდე შეემჩნია... თვალები ცხელი ვერცხლისწყლით ევსებოდა... რას აკეთებს ქალი იქ? მოსულიყო და დამხმარებოდა...

უცებ ორმოს ფსკერს სველი ცხვირსახოცივით დაეფინა ჩრდილი. ეს იყო ჩრდილი ჩამოვარდნილი ფოთლის ოდენა ღრუბლისა, რომელსაც ქარი ცის განაპირას მიაქანებდა. დასწყევლოს ეშმაკმა, გაწვიმდეს მაინც, ყოველივე ამის გაკეთება აღარ მომიწევდა... ფანჯრის მინაზე წყლის ღვარები დაეშვებოდა... ღარიდან ნაკადი გადმოჩქეფდა... ასფალტზე წვიმის შხეფები აბოლდებოდა...

ესიზმრება თუ მოჩვენება გაცხადდა: უეცრად ირგვლივ ერთი ხმაური და მოძრაობა შეიქმნა, როცა გონს მოეგო, დაინახა, რომ ქვიშის ზვავის შუაში იდგა. იგი სახლის გადმოხურულისკენ გაიქრა და კედელს მიეკრა. ძვლები დაკონსერვებული თევზის ფხებივით დაურბილდა. წყურვილი უკვე სადღაც საფეთქლებში ურაკუნებდა, მისი პატარ-პატარა ნამსხვრევები ცნობიერების ზედაპირზე მუქ ლაქებად მიმოეფანტა. კაცმა ნიკაპი წინ გამოსწია და ხელები მუცელზე დაიწყო. ცდილობდა პირღებინება შეეკავებინა.

გაისმა ქალის ხმა. ფლატესკენ შეტრიალებული ქალი რაღაცას ყვიროდა. კაცმა გაჭირვებით ასწია დამძიმებული ქუთუთოები და იქით გაიხედა. სწორედ ის მოხუცი, რომელმაც აქ მოიყვანა, ქვიშის ფერდობზე თოკით ფრთხილად უშვებდა ვედროს. წყალი!.. როგორც იქნა მოიტანეს!.. ვედრო გადაიხარა და ქვიშის ფერდობზე სველი ლაქა გაჩნდა. ეს იყო ნამდვილი, ნამდვილზე ნამდვილი წყალი!.. კაცმა იყვირა და ვედროსკენ გაიქრა.

როცა ვედრო იმ სიმაღლეზე ჩამოეშვა, რომ მიწვდომა შეიძლებოდა, კაცმა ქალს ხელი ჰკრა, ფეხები გაჩაჩხა და ორივე ხელი ფრთხილად შეაშველა. შემდეგ თოკი შეხსნა, მოუთმენლობით ატაცებულმა სახე ვედროში ჩაყო და მთელი სხეული ტუმბოდ ექცა. თავს ასწევდა, სულს ითქვამდა და ისევ აცხრებოდა ვედროს. როცა მესამეჯერ მოსცილდა ვედროს, ცხვირიდან და ტუჩებიდან უკვე წყალი სდიოდა. სული ეხუთებოდა. მუხლები მოეხარა, თვალები დახუჭა. ახლა ქალის ჯერი იყო. იგი კაცს არ ჩამორჩენია. ერთ წამში შესვა ნახევარი ვედრო. თან ისეთ ბგერებს გამოსცემდა, მისი სხეული რეზინის დგუში გეგონებოდათ.

ქალმა ვედრო აილო და სახლში დაბრუნდა, მოხუცმა თოკის აწევა დაიწყო. ამ დროს კაცი თოკს ჩამოეკიდა და საცოდავად დაიწყო:

— მოიცათ! მინდა მომისმინოთ, მხოლოდ მომისმინოთ. გთხოვთ, მოიცადოთ.

მოხუცს წინააღმდეგობა არ გაუწევია, შეჩერდა, კაცი დაინახა, თვალები აახამხამა, მაგრამ სახეზე გამომეტყველება თითქმის არ შეცვლია.

— ვინაიდან წყალი მოიტანეთ, გავაკეთებ იმას, რაც უნდა გავაკეთო. ამას აღგითქვამთ და მინდა მომისმინოთ. თქვენ უაღრესად ცდებით... მე სკოლის მასწავლებელი ვარ... მყავს მეგობრები, პროფკავშირი, პედაგოგიური საბჭო, პედაგოგებისა და მშობლების ასოციაცია და სუყველა მე მიცდის... რაო, გგონიათ საზოგადოება დუმილით შეხვდება ჩემს გაქრობას?

მოხუცმა ზედა ტუჩზე ენის წვერი მოისვა და გულგრილად გაიღიმა. არა, ეს ღიმილი თითქოს არც იყო. — მოხუცმა უბრალოდ თვალები მოჭუტა, რომ ქართან ერთად მქროლავი ქვიშა არ ჩაცვენოდა. მაგრამ აღელვებულ კაცს პატარა ნაოჭიც კი არ დარჩებოდა შეუმჩნეველი.

— რაო?.. რა იყო? განა არ გესმით, რომ ლამის დანაშაულს სჩადიხართ?

— რა თქვით? მას შემდეგ უკვე ათი დღე გავიდა, პოლიციიდან კი ბაიბური არ ისმის... — მოხუცი დინჯად, გარკვევით ლაპარაკობდა. — ხოლო რაკი ათი დღის შემდეგაც არაფერი გამოჩნდა, რაღას უნდა...

— ათი დღის კი არა, ერთი კვირის!

მოხუცმა არ უპასუხა. ასეთ საუბარს ახლა მართლაც არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა... კაცმა მღელვარება ჩაიხშო და შეეცადა ხმა მშვიდი ჰქონოდა:

— კეთილი, ეს არსებითი როდია... იქნება სჯობდეს აქ ჩამოხვიდეთ, მშვიდად დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ? არაფერს დაგიშავებთ. რომც მინდოდეს, სულ ერთია ვერ შევძლებ. თქვენ წინააღმდეგ ბრძოლის ძალა არ შემწევს... სიტყვას გაძლევთ...

მოხუცი წინანდებურად დუმდა. კაცი აქშინდა.

— მესმის, რა მნიშვნელობა აქვს სოფლისთვის ქვიშის გახვეტას... რაც უნდა თქვა, ეს სიცოცხლის საკითხია... ძალზე მწვავე საკითხი... მშვენიერად მესმის.. ჩემთვის რომ ძალა არ დაეტანებინათ, იქნებ თვითონ, საკუთარი თაოსნობით მომენდომებინა თქვენთან ერთად... გარწმუნებთ, საკმარისია აქაური ცხოვრება ნახონ და სუყველა უბრალო კაცურკაცობის გამო მოინდომებს თქვენს დახმარებას. მაგრამ განა ის, რასაც მე ვაკეთებ, ნამდვილ დახმარებად შეიძლება მივიჩნიოთ?.. მეეჭვება... რატომ არ იფიქრეთ თანამშრომლობის სხვა. უფრო მისაღებ საშუალებებზე?.. ადამიანები გონივრულად უნდა განაწესო... ადამიანს დახმარების უკეთილესი სურვილი განუქარდება, თუ შესაფერის ადგილს ვერ იპოვის... ხომ მართალია?.. განა არ შეიძლებოდა ჩემი გამოყენების უკეთესი საშუალება მოგვეძებნათ და ამგვარად სახიფათო საქმისათვის არ მოგვეკიდათ ხელი?

მოხუცმა თავი მიაბრუნა და იმგვარად შეინძრა, თითქოს თამაშით გატაცებულ ცინდალს იშორებდა, თან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვერ გაიგებდით, უსმენდა თუ არა. იქნებ კოშკზე მყოფი მეთვალყურე აფიქრებდა? იქნებ მის დასანახად საუბრის გამართვისა ეშინოდა?

— დამეთანხმეთ... ქვიშის გახვეტა მართლაც მნიშვნელოვანი საქმეა.. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ ეს საშუალებაა და არა მიზანი... მიზანი გახლავთ სიცოცხლის რამენაირად დაცვა საშინელი საფრთხისაგან... ხომ მართალია? საბედნიეროდ, საკმაოდ ბევრი მიმუშავია ქვიშის გამოკვლევაზე. ძალიან მაინტერესებდა ეს საკითხი. ამიტომაც მოვედი აქ. დიახ, რაც უნდა თქვა, ქვიშა დღეს ადამიანს [illegible]... და ამ ამბით შეიძლება წარმატებით ისარგებლოთ... აქაური ადგილ[illegible] ტურისტულ რაიონად აქციოთ... ქვიშა ისე გამოიყენოთ, წინააღმდეგ[illegible] არ გაუწიოთ, მიჰყვეთ... მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა ეცადოთ და გადაჭრით გარდაქმნათ აზროვნება...

მოხუცმა თვალები აწია და გულგრილად თქვა:

— რომელ ტურისტულ რაიონზე ლაპარაკობ, როცა აქ ცხელი წყაროები არაა... თანაც ყველამ იცის, რომ ტურიზმით მხოლოდ ვაჭრები და ჩამოსულები მდიდრდებიან.

კაცს მოხუცის სიტყვებში დაცინვა მოეჩვენა და მაშინვე გაახსენდა ქალის ნაამბობი, როგორ ჩამოვიდა აქ მებარათე, რომელიც მასავით გამოიჭირეს, როგორ გახდა ავად და გარდაიცვალა.

— დიახ... რა თქმა უნდა, ის, რაც ვთქვი, მაგალითისთვის ვთქვი. გიფიქრიათ ქვიშის თვისებებს შეგუებულ საგანგებო სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე?.. საერთოდ სულაც არაა აუცილებელი ყოველი ღონით ჩაეჭიდო ძველ ცხოვრებას...

— ჩვენ აქ ათასგვარ რამეს ვცდილობთ. მაგალითად, ვცდილობთ დავრგათ მიწათხილიცა და ბოლქვებიანი მცენარეებიც... ერთი განახათ, როგორ ხარობს ტოტები...

— მერედა, როგორ მიმდინარეობს ქვიშისგან თავდაცვის სამუშაოები?.. ქვიშისგან თავდაცვის ამჟამინდელი სამუშაოები... ერთი ჩემი ამხანაგი კორესპონდენტად მუშაობს... გაზეთის დახმარებით მიხერხდა საზოგადოებრივი აზრის შექმნა. აქ შეუძლებელი არაფერია.

— როგორც არ უნდა ვეცოდებოდეთ თქვენს საზოგადოებრივ აზრს, მას ფასი არ ექნება, თუ ფულად დახმარებას არ მივიღებთ.

— მეც სწორედ ასეთ სუბსიდიების მისაღებად კამპანიის დაწყებას გთავაზობთ.

— ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქარის მიერ მოტანილი ქვიშა სტიქიურ უბედურებად არ ცნოს და ზარალს არ გვინაზღაურებს.

— უნდა ვაიძულოთ!

— განა ჩვენს ღატაკ პრეფექტურაში რაიმეს მიაღწევ... გული გაგვიტყდა.. რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, ყველაზე იაფი გვიჯდება... ხელისუფლების იმედზე რომ ვიყოთ, ვიდრე თავს მოიფხანენ, ქვიშა დაგვფარავს...

— კი მაგრამ, მე ხომ სავსებით გარკვეული მდგომარეობა მაქვს! — იყვირა კაცმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ფილტვებში. — აი, განა თქვენ მშობელი არა ხართ? შეუძლებელია არ გესმოდეთ მასწავლებლის მოვალეობა!

სწორედ ამ დროს მოხუცმა თოკი ასწია. მოულოდნელობისგან შემცბარმა კაცმა თოკს ხელი უშვა, რას ნიშნავს ის? რითიც მოხუცი თავს ისე აჩვენებ-[illegible]და, თან მხოლოდ იმისათვის, რომ დრო ეხელთა და თოკი ხელიდან გამოეგლიჯა... დაბნეული კაცი გაწვდილ ხელებს ჰაერში აავსავებდა.

— გიჟები ხართ... არანორმალურები... მაიმუნსაც ხომ შეუძლია ქვიშის

გადახვეტა, თუკი ასწავლით... მე უფრო მეტი რამის გაკეთება შემიძლია... ადამიანი ვალდებულია სრულად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი...

— უჰ... — დაუდევრად თქვა მოხუცმა; მთელი მისი იერი თითქოს ამბობდა — მომწყინდა ეს ყბედობაო. — ჰო, კარგი, ბოდიში, რამე თუ ისე არაა, რაც შეგვიძლია, ყველაფერს გაგიკეთებთ...

— მოიცადეთ! ხუმრობას მოეშვით! ჰეი, დაიცადეთ, თქვენი ჭირიმე!.. ინანებთ! თქვენ ხომ ჯერ ვერაფერი გაიგეთ!.. გთხოვთ... დაიცადეთ რა!..

მოხუცს ერთხელაც არ მოუხედავს. მოიკუზა, თითქოს მხრებზე დიდი ტვირთი ადევსო; წამოდგა და წავიდა. სამი ნაბიჯის შემდეგ მხრები გაქრა, ხოლო მეოთხის შემდეგ მთლად მიეფარა თვალს.

კაცი ღონემიხდილი მიეყრდნო კედელს, ხელები და თავი ქვიშაში შერგო. ქვიშა კისერში ჩაეყარა და ბალიშივით გამოებერა იმ ადგილას, სადაც შარვლის ქამარი პერანგს უჭერდა. უცებ კისერზე, სახეზე, ფეხებშუა ოფლი წურწურით დაედინა. ახლახან დალეულმა წყალმა მთლიანად ოფლად გამოჟონა, ოფლი და ქვიშა შეერთდა და კანზე მაგრად მიკრული მდოგვის საფენის მსგავსი რაღაც წარმოქმნა. კანი შეუშუპდა და რეზინის გატკეცილ ლაბადას დაემგვანა.

ქალი უკვე მუშაობას შედგომოდა. კაცმა უცებ იეჭვიანა, დარჩენილი წყალი მთლიანად ხომ არ შესვაო, და ზარდაცემული შევარდა სახლში.

წყალი ხელუხლებელი დახვდა. სულმოუთქმელად მოსვა სამ-ოთხი ყლუპი და კვლავ გაოცა ამ გამჭვირვალე მინერალის გემომ. იგი მშფოთვარებას ვერ მალავდა: საღამომდე ეს სამი ყლუპი არაფრით არ მეყოფა, საჭმლის გასაკეთებლადაც წყალი, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ იკმარებს. ამ ტიპებმა თითქოს ყველაფერი იანგარიშეს. წყურვილის შიში სადავეებია, რომლებითაც თავიანთ ხუშტურზე სიარულს მიპირებენ.

კაცმა თვალებზე ჩამოიფხატა ჩალის დიდი ქუდი და დამდუღრულივით გაიჭრა გარეთ. წყურვილმა მისი აზრები და დასკვნები ცხელ შუბლზე დაცემულ უბადრუკ ფიფქებად აქცია, თუ ათი ჭიქა წყალი გულის მომასუყებელი აიროფია, ერთი ჭიქა მათრახია.

— აბა სადაა ნიჩაბი?..

ქალმა გადმოხურულქვეშ მიუთითა, ულონოდ გაიღიმა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა სახელოთი. თუმცა ერთიანად დამტვრეული იყო, წამით არ დავიწყებია, სად ეწყო იარაღი. ასეთია ქვიშაში მცხოვრები ადამიანის მიერ ბუნებრივად შეძენილი აზროვნების უნარი.

ნიჩბის აღებისთანავე კაცს დაღლილი ძვლები დასაკეცი სამფეხას ფეხებივით დაუმოკლდა, ალბათ იმის გამო, რომ წუხელ ღამე თითქმის თეთრად გაათენა. ეტყობა, ნებისმიერ ვითარებაში უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნება ქალს აუცილებლად შესასრულებელ მინიმალურ სამუშაოზე მოელაპარაკოს. მაგრამ ახლა მას უბრალოდ უჭირდა ლაპარაკი. შეიძლება იმიტომ, რომ მოხუცთან საუბრისათვის იმდენი ძალა დასჭირდა, სახმო სიმები შემპალი ნართივით გაეწელა.

კაცი ქალის გვერდით ავტომატივით დადგა და ნიჩაბი აამოძრავა.

ისინი ქვიშას თხრიდნენ და შეთანხმებულად მიიწევდნენ წინ ფლატესა და სახლს შორის, თითქოს ერთმანეთზე არიან გადაბმულიო. ბრინჯის გამოუმცხვარი კვერივით რბილი ფიცრის კედლები სოკოების საჩითილედ ქცეულიყო. ბოლოს ქვიშა ერთ ადგილას მიაქუჩეს. შემდეგ ბიდონებში ყრიდნენ და გაწ-

მენდილ ადგილას გადაჰქონდათ. წალება რომ მოათავეს, ისევ შეუდგნენ თხრას.

კაცი უგულისყუროდ, თითქოს ავტომატურად მოძრაობდა. პირი უმი ცილის გემოს მაგვარი დუჟით აევსო. დუჟი ნიკაპზე ჩამოსდიოდა და მკერდზე ეწვეთებოდა. მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა.

— იცით, ნიჩაბს მარცხენა ხელი აი ასე მოუჭირეთ, ოდნავ ქვემოთ... — წყნარად შენიშნა ქალმა. — ჰოდა, მარცხენა ხელი შეიძლება არ ვამოძრაოთ, მარჯვენა კი ბერკეტივით გექნებათ და გაცილებით ნაკლებ დაიღლებით.

დაიყრანტალა ყვავმა. უეცრად ყითელი შუქი ცისფრად იქცა. ტკივილი, თითქოსდა დიდი ობიექტივით გადაღებული, გარემომცველ ლანდშაფტში განზავდა. სანაპიროს გასწვრივ დაბლა-დაბლა გაიფრინა ოთხმა ყვავმა. მათი ფრთების ბოლოები მუქ მწვანედ ბზინავდა და კაცს რატომღაც მწერების ქილების კალიუმციანიდი გაახსენდა. ჰო, სანამ არ დამვიწყებია, ქილები სხვა კოლოფში უნდა გადავაწყო და პოლიეთილენი შემოვახვიო, თორემ სიცხისგან ხელად დაიფუშნება...

— დღეისთვის, მგონი, კმარა... — თქვა ქალმა და ფლატეს წვერს შეხედა. სახე მთლად გამოშრობოდა და, თუმცა ქვიშის ფენით დაფარვოდა, კაცი მიხვდა, რომ სულმთლად გაცრეცილი ჰქონდა. ირგვლივ ყველაფერი ჩამუქდა, თითქოს ჟანგმა დაფარაო. კაცმა ხელის ცეცებით, დაბინდული ცნობიერების გვირაბით, როგორც იქნა, გაზინთულ საწოლს მიაღწია. როდის დაბრუნდა ქალი ალარ გაუგია.

22

კუნთებშუა რომ თაბაშირი ჩავასხათ, დაახლოებით ასეთივე სულიერი განწყობილება შეგვექმნება. თვალები თითქოსდა ღია მაქვს, მაგრამ რატომ ბნელა ასე?.. სადღაც თავში რაღაცას მიათრევს სოროში... ყელი ისე მწვავს, თითქოს ჭოპოსანი გამიტარეს... პირიდან ისეთი სუნი ამომდის, როგორც სანაგვე ორმოდან... პაპიროსის მოწევა მინდა... არა, ჯერ, მგონი, სჯობს მოვსვა... წყალი!.. კაცი მაშინვე დაუბრუნდა სინამდვილეს... თურმე რა ყოფილა. ეს თავში კი არ ფხაკუნებდა, ქალს დაეწყო მუშაობა!... რამდენი ხანი ეძინა?.. ადგომა სცადა, მაგრამ რაღაც საშინელმა ძალამ ისევ ლეიბზე დააგდო... უცებ მიხვდა და პირიდან პირსახოცი მოიცილა. ყურთამდე ღია კარში მთვარის ქათქათა, თითქოსდა ჟელატინში გამოტანებული შუქი შემოდიოდა. ღამე ისევ ჩამოდგა შეუმჩნევლად.

საწოლთან კარდალა, ლამპა და არყიანი ბოთლი იდგა. სწრაფად წამოიწია იდაყვებზე და პირში წყალი გამოივლო. წყალი მოშორებით, კერისკენ გადააფურთხა. ნელა, დაგემოვნებით გადაყლაპა რამდენიმე ყლუპი. ლამპის გვერდით ხელი მოაფათურა, რბილი შეკრულა მოსინჯა — ასანთი და სიგარეტი აღმოჩნდა. ლამპა აანთო, ცეცხლი სიგარეტთან მიიტანა. ბოთლიდან ცოტა არაყი მოსვა. დანაკუწებულმა ცნობიერებამ თანდათან ერთ მთლიან რაღაცად დაიწყო დალაგება.

შეკრულაში საჭმელიც იყო. ბრინჯისა და ფქვილის ჯერ კიდევ თბილი კვერი, მზეზე გამოყვანილი ორი ქაშაყი, გამომშრალი, დამჭკნარი ბოლოკის მწნილი და ცოტაოდენი მოხარშული. მწარე გემოს ბოსტნეული — მგონი, იმავე

ბოლოკის გამხმარი ფოთლები. თუმცა მარტო ქაშაყი და კვერი კმაროდა. კუჭი რეზინის ხელთათმანის ოდენად შეკუმშულიყო.

როცა წამოდგა, სახსრები აუტკაცუნდა, როგორც თუნუქის სახურავმა იცის ქარში. შიშით ჩაიხედა ავზში. ავზი კვლავ გაპიპინებული იყო. პირსახოცი დაასველა და სახეზე მიიდო. მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუქროლა, როგორც ნაპერწკალი დაუვლის დღის სინათლის ნათურას. კისერი და მკლავები გაისუფთავა, თითებშუა ქვიშა გამოიწმინდა. იქნებ სწორედ ასეთი წამებით უნდა განსაზღვრო ცხოვრების აზრი.

— ჩაი არ გინდათ? — კარებში ქალი იდგა.

— არ ღირს... მუცელი ისედაც წყლით მაქვს გაბერილი.

— კარგად გეძინათ?

— როცა ადექით, მეც უნდა გამეღვიძებინეთ...

ქალმა თავი დახარა და უთხრა:

— ღამით სამჯერ ავდექი. სახეზე პირსახოცი გაგისწორეთ, — თითქოს ულიტინებენო, ისე ჩაიცინა.

ეს იყო სამი წლის გოგონას კეკლუცობა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ძლივს ისწავლა დიდების სიცილისთვის მიებაძა. ქალის დაბნეული შესახედაობა აშკარად მეტყველებდა, რომ უბრალოდ აღარ იცოდა, უკეთ როგორ გამოეხატა უსაზღვრო სიხარული. კაცმა პირქუშად მოარიდა მზერა.

— თხრაში მოგეხმაროთ?.. თუ სჯობს ბიდონები ეზიდო?

— უკვე დროა. საცაა კალათები უნდა ჩამოუშვან.

კაცს მუშაობის დაწყებისას გაუკვირდა, რომ მოსალოდნელი შინაგანი წინააღმდეგობა არ უგრძვნია. რა არის ამ ცვლილების მიზეზი? უწყლოდ დარჩენის შიში თუ მოვალეობის გრძნობა ქალის წინაშე? თვით შრომის ხასიათი ხომ არა? დიახ, შრომა ეხმარება ადამიანს მსრბოლავ დროს შეურიგდეს მაშინაც კი, როცა იგი უმიზნოდ მიქრის.

ერთხელ კაცი „მიობიუსის ლენტმა" რომელიღაც ლექციაზე შეათრია. ადგილი, სადაც ლექცია მიმდინარეობდა, დაბალი, დაჟანგული ცხაურით იყო შემოღობილი. ცხაურს გადაღმა იმდენი ქაღალდის ნაგლეჯი, ცარიელი ქილები, გაუგებარი დანიშნულების რაღაც ჩვრები ეყარა, მიწა სრულებით არ ჩანდა. დამპროექტებელს რად მოუვიდა თავში აქ ღობის გაკეთება? თითქოს კაცის ამ გაოცებული კითხვის პასუხად ვიღაც გაცვეთილპიჯაკიანი რკინის ღობეზე გადაიხარა და მონდომებით დაუწყო ფხოჭნა. „მიობიუსის ლენტმა" კაცს უჩურჩულა, გაცვეთილპიჯაკიანი გადაცმული პოლიციელიაო. ჭერზე წვიმის ყავისფერი ნაჟონები გადღაბნილიყო. ასეთი ვეებერთელა ნაჟონები კაცს არასდროს ენახა. აქ ვითარებაში ლექტორი ამბობდა: „შრომაზე თვით შრომის მეშვეობით უნდა ავმაღლდეთ. სხვა გზა არ არსებობს. თავისთავად ფასი აქვს არა თვით შრომას, არამედ შრომის დაძლევას შრომით... შრომის ჭეშმარიტი ფასი მისი თვითუარყოფაა".

გაისმა მკვეთრი სტვენა. ვიღაცას პირში თითები ჩაეყო და პირობით ნიშანს იძლეოდა. უდარდელი ამოძახილები, ქვიშიანი კალათების აწევისას რომ ისმოდა, თანდათან ყუჩდებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდნენ მათ ორმოს ქვიშის მზიდავნი. აქ კი კალათები უკვე სრულ სიჩუმეში ჩამოუშვეს. კაცი გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ, მაგრამ კედელს შეჰყვიროს ისევ, ახლა წინანდელზე მეტი უაზრობა იქნებოდა. როცა საჭირო რაოდენობის ქვიშა მშვი-

დობიანად ასწიეს მაღლა, დაძაბულობა გაქრა, გარემო თითქოსდა განიმუხტა. არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს აუცილებელი ურთიერთგაგება მიღწეული იყო.

ქალის ქცევასაც შესამჩნევი ცვლილება დაეტყო.

— შევისვენოთ... ჩაის მოვიტან...

ქალის ხმაშიც და მოძრაობაშიც სიმხნევე იგრძნობოდა. იგი [illegible] და არც ცდილობდა ამის დამალვას. კაცს კი გული ჰქონდა მოყირჭებული, თითქოს შაქრით ამოიყორაო. მაგრამ როცა ქალმა გვერდით ჩაუარა, ხელი მაინც მიუთათუნა უკანალზე. ძაბვის მეტისმეტი გაზრდისას ელექტრომცველი გადაიწვება ხოლმე. არაფრით არ შეიძლება ქალის ასე მოტყუება. მას როგორმე მოუყვება მოჩვენებითი ციხე-სიმაგრის ამბავს.

იყო ერთი ციხე-სიმაგრე... არა, აუცილებლად ციხე-სიმაგრე კი არა, ვთქვათ, იყო ქარხანა, ბანკი, სათამაშო სახლი — მნიშვნელობა არა აქვს, რომელი იყო, ხოლო გუშაგთა ნაცვლად, სულაც შეიძლება ერთი გუშაგი, ანდა უბრალოდ დარაჯი ედგა. გუშაგი ნიადაგ ელოდა მტრის თავდასხმას და ყოველთვის ფხიზლად გახლდათ. ბოლოს მოვიდა მტერი, რომელსაც ამდენს ელოდა. მაშინვე ჩაჰბერა ბუკს, მაგრამ, საოცარია და, მთავარი ძალები არ გამოპასუხებია. ცხადია, მტერმა ადვილად, ერთი დარტყმით მოკლა გუშაგი. ბოლო წუთებში გუშაგი ბუნდოვნად ხედავდა, რომ მტერს წინ არავინ ეღობებოდა და იგი ჰაერივით იჭრებოდა ჭიშკრებში, კედლებზე, სახლებში. სინამდვილეში ჰაერი მტერი კი არა, ციხე-სიმაგრე იყო. გუშაგი, უდაბურ მინდორში აღვეტილი ხმელ ხესავით მარტოსული თურმე, მთელი სიცოცხლე იცავდა მოჩვენებას...

კაცი ნიჩაბზე დაჯდა და პაპიროსის მოკიდება დაიწყო. ასანთის მესამე ღერი გაჰკრა და მაშინღა მოუკიდა. დაღლილობა წყალში შერეული ტუშივით წრეებად იშლებოდა, მედუზასავით იტყლაპნებოდა, უცნაურ ორნამენტებად, ატომგულების სქემებად იქცეოდა და ბოლოს განიმქრა. ღამის ფრინველმა მინდვრის თაგვი შენიშნა და საზიზღარი ხმით მოუხმო თავის მეგობარს. მოგუდული ხმით ყეფს რაღაცით შეშფოთებული ძაღლი. მაღლა ცაში ერთმანეთს ეჯახებიან და ზუზუნებენ ჰაერის ნაკადები. მიწაზე კი მძაფრი ქარი ქვიშას დანასავით ფენა-ფენა აცლის თხელ კანს.

კაცმა ოფლი მოიწმინდა, ცხვირი თითებით მოიხოცა, თავიდან ქვიშა ჩამოიბერტყა. მის ფეხებთან ქვიშის ნახჭები ერთბაშად გაქვავებული ტალღების ქოჩრებს ჰგავდა.

ესენი რომ ბგერითი ტალღები ყოფილიყვნენ, ნეტა რა მუსიკას მოიყოლებდნენ? ადამიანს რომ ცხვირზე საკეცე მოუჭირო, ყურები სისხლის ლექერტით ამოუვსო, კბილები ერთიმეორის მიყოლებით დაამტვრიო, ალბათ მაშინ ისიც შეძლებდა ამ ჰანგის დამღერებას... მაგრამ ასეთი რამ მეტისმეტი სისასტიკეა და, მიუხედავად სისასტიკისა, ეს ის ჰანგი მაინც არ იქნებოდა... — უცებ კაცს მოეჩვენა, თითქოს მისი თვალები მაღლა, ცაში ფრინველებივით აიჭრნენ და იქიდან ყურადღებით ჩამოსცქეროდნენ. და არათუ სხვა, სწორედ თვითონ ის, რომელიც მთელი ამ ამბების უცნაურობაზე ფიქრობდა, ერთობ უცნაურად ცხოვრობდა.

23

Got a one way ticket to the blues, woo, woo...

(მე ვიყიდე ცის ერთ მხარეს წასასვლელი ბილეთი, უუ, უუ)... გინდა სიმღერა, იმღერე, სინამდვილეში, ადამიანი, ვისაც მხოლოდ ერთი გზობის ბილეთი შეაჩეჩეს, ასე არაფრის გულისთვის არ იმღერებს. მარტოოდენ ერთი გზობის ბილეთის მქონე ადამიანებს ძალზე თხელლანჩიანი ფეხსაცმელი აცვიათ, ამიტომ პატარა კენჭზე დაბიჯების დროსაც კი ვაი-ვაის იძახიან, შემდგომ ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამენ. ისინი სიამოვნებით იმღერებდნენ აქეთობის და იქითობის ბილეთზე ბლუზს. ერთი გზობის ბილეთი ესაა ნაწილ-ნაწილ დაშლილი ცხოვრება, რომლის გუშინდელ დღესა და დღევანდელ დღეს, დღევანდელსა და ხვალინდელ დღეს კავშირი არა აქვს და მხოლოდ იმას, ვისაც აქეთობის ბილეთი ჩაუბღუჯავს, მხოლოდ იმას შეუძლია ოდნავ ნაღვლიანი სიმღერა იმღეროს ერთი გზობის ბილეთზე. ამას წყალი არ გაუვა. სწორედ ამიტომ ნიადაგ შფოთავს, ეშინია უკან წამოსასვლელი ბილეთი არ დაკარგოს ან არ მოპარონ; ყიდულობს აქციებს, აზღვევს სიცოცხლეს, ორპირობს პროფკავშირებსა და უფროსებთან, ყურებს იცობს, რომ არ გაიგონოს წყალსადინარი თხრილებიდან და ნაგავსაყრელი ორმოებიდან ამომავალი შემზარავი ყვირილი — გვიშველეთო. იმათი ყვირილი, ვისაც ერთი გზობის ბილეთი შეხვდა. რომ არ იფიქროს, მთელი სიმძლავრით რთავს ტელევიზორს და მთელი ხმით მღერის ბლუზს ერთი გზობის ბილეთზე. და შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ ყოველი ტუსაღი იმღერებს იქითობის და აქეთობის ბილეთზე.

როგორც კი კაცი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, მალულად თოკს აკეთებდა. მან ზოლ-ზოლად დახია პერანგი, ზოლები ერთმანეთს გადააბა, კიდევ ქალის გარდაცვლილი ქმრის კიმონოს სარტყელი მიუმატა და ხუთი მეტრი თოკი გააკეთა. მოვა დრო და თოკს ბოლოში ძველ დაჟანგულ მაკრატელს გამოაბამს. მაკრატელი ნახევრად იქნება გახსნილი, ამისთვის პირში ნაფოტს ჩაუდებს და მიამაგრებს. თოკი ჯერ მოკლეა. საჭირო სიგრძის რომ გახდეს, ჩალის თოკსაც გამოიყენებს, რომელიც სოხანეს მაღლაა გაჭიმული და ზედ თევზი და მარცვლეული შრება, კიდევ სარეცხის თოკსაც მიაბამს.

თოკის გაკეთების იდეა სავსებით მოულოდნელად გაუჩნდა. ისე, სრულიადაც არაა აუცილებელი მხოლოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მონაფიქრი გეგმები განახორციელო. რამდენადაც შეუძლებელია იმ გზის შეცნობა, რა გზითაც აზრი ძვირობს გეგმის გამომუშავების ჟამს, გონების ასეთი მოულოდნელი განათების საფუძველი ამ განათებაშივეა. მოულოდნელ გადაწყვეტილებებს გაცილებით მეტი წარმატება შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე იმათ, რომელთაც დაუსრულებლად უკირკიტებენ და წონიან.

ახლა დასადგენი იყო მხოლოდ ერთი საკითხი — გეგმის განხორციელების დრო. ორმოდან ამოსვლა ყველაზე უპრიანია დილით, სანამ ქალს სძინავს. ეს გადაწყვეტილია. მაგრამ სოფელში დილით გავლა არაფრით არ შეიძლება. ალბათ უმჯობესია ასე გააკეთოს: ზუსტად ქალის გამოღვიძების წინ ავიდეს მაღლა, სადმე ადგილას დაიმალოს, მზის ჩასვლას დაელოდოს და სოფლიდან მერე გავიდეს. მთვარის ამოსვლამდე სიბნელით ისარგებლებს და საკმაოდ ადვილად მიაღწევს შარაგზამდე. სადაც ავტობუსები დადის.

მთელი ამ დროის მანძილზე კაცი ცდილობდა ქალის მეოხებით ადგილის რელიეფი და სოფლის მდებარეობა გაერკვია. როგორ უძლებს მეურნეობას სოფელი, რომელსაც არც ერთი სათევზაო გემი არა აქვს, თუმცა ზღვის ნაპირზე მდებარეობს?.. როდიდან აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში?.. სულ რამდენი სული ცხოვრობს აქ?.. ვის და სად მიჰყავს ტიტები?.. რომელი გზით დადიან ბავშვები სკოლაში?.. სოფლის შესახებ ამნაირად მიღებული [illegible]და-პირი ცნობები იმ ერთადერთი დღის ბუნდოვან მოგონებებს [illegible] სოფელი იხილა, და გონებაში დაახლოებით მოხაზა ადგილის გეგმა.

გაქცევა, რა თქმა უნდა, იდეალურად მოეწყობა, თუ სოფელში კი არ გაივლის, არამედ გვერდს აუქცევს მას. მაგრამ დასავლეთით გზას ეღობება ხრამიანი კონცხი, მართალია, კონცხი არც ისე მაღალია, მაგრამ ტალღებმა, უხსოვარი დროიდან რომ ძირს ულრღნიან მას, ციცაბო კლდეების გროვად აქციეს. იქ ბევრი ბილიკია, რომლებზეც ფიჩხის მოსაგროვებლად გამოსული სოფლელები დაბობღავენ, ოღონდ ბარდები ფარავს და არცთუ ადვილი მოსაძებნია. მეტისმეტად აბეზარ კითხვებს შეიძლებოდა ქალისთვის ეჭვი აღეძრა. სოფლის აღმოსავლეთით ხმელეთში ღრმად, ათ კილომეტრზეა შეჭრილი დიუნებით შემოსაზღვრული უბე. იგი მკვეთრად უხვევს და თითქმის ზედ სოფლის დასაწყისს ადგება. ამგვარად სოფელი თითქოს ქვიშის ტომარაშია მოქცეული, ხოლო ამ ტომრისთვის ციცაბო კლდეებსა და უბეს ყელში წაუჭერიათ ხელი. ამიტომ გაცილებით უხიფათოა შეუპოვრად გაარღვიო ცენტრი, ვიდრე ხეტიალში დაკარგო დრო და ამ ტიპებს დადევნების შესაძლებლობა მისცე.

მაგრამ ეს ყოველივე ჯერ კიდევ არ ნიშნავს პრობლემის გადაჭრას. გავიხსენოთ თუნდაც იმ თარს სახანძრო კოშკზე მყოფი მეთვალყურე. ამას გარდა, საშიშია, ქალმა გაქცევის შემჩნევისთანავე ხმაური არ ატეხოს და სოფლის გასასვლელი უფრო ადრე არ გადაკეტონ, ვიდრე კაცი მას გასცდებოდეს. შეიძლება ეს ორი პრობლემა საბოლოო ჯამში ერთ პრობლემაზე დავიყვანოთ. ქვიშის პირველ მზიდავებს წყალი და ყველა სხვა აუცილებელი რამ ყოველთვის მზის ჩასვლიდან გაცილებით გვიან მოაქვთ და, თუ ქალი მოინდომებს კაცის გაქცევა სოფელს მათ მოსვლამდე შეატყობინოს, ამას მხოლოდ კოშკზე მყოფი მეთვალყურის მეშვეობით შეძლებს. ამიტომ საკითხავია, რა მოუხერხდეს მეთვალყურეს.

საბედნიეროდ, ამ ადგილას, ალბათ ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის გამო, მზის ჩასვლამდე დაახლოებით ოცდაათი წუთი, ზოგჯერ კი მთელი საათი მიწას ფოშფოში ეფინება. ეს იმიტომ ხდება, ქვიშაში არსებული მცირე თბოტევადობის მქონე კაუბადმჟავა სწრაფად კარგავს დღის განმავლობაში მიღებულ სითბოს. თუ კოშკიდან გადმოვიხედავთ, შევამჩნევთ, რომ მთელი ეს მიდამო კოშკის მიმართ სინათლის არეკვლის კუთხით იმყოფება, ამიტომ უმცირესი ნისლიც კი მეთვალყურესთვის სქელ თეთრ საბურველად იქცევა და იგი ვერაფერს დაინახავს. კაცი ერთხელ კიდევ დარწმუნდა ამაში გუშინწინ. ზღვის მხარეს ფლატის ძირას ერთხანს აქნია პირსახოცი, თითქოსდა რაღაც ნიშანს იძლეოდა, მაგრამ, როგორც ვარაუდობდა, ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

კაცმა გადაწყვიტა გეგმა მისი მოფიქრების მეოთხე დღეს განეხორციელებინა. აირჩია შაბათი, როცა დასაბანი წყალი მოჰქონდათ. გაქცევის წინა ღამეს გადაწყვიტა თავი ისე დაეჭირა, თითქოს გაცივებული იყო, რათა წყ-

სიერად გამოეძინა. სიფრთხილის გამო იმდენი ქნა, ძალით დაალევინეს ასპირინი .აბებს მთლად გადასვლოდა ფერი, ეტყობა, დიდხანს ეყარა სამწვრილმანოს რომელიღაც კუთხეში. კაცმა ორი აბი გადაყლაპა, თან არაყი დააყოლა და შედეგმაც არ დააყოვნა; ვიდრე ქალმა მუშაობა არ დაამთავრა და სახლში არ დაბრუნდა, არავითარი ხმა არ გაუგონია — მხოლოდ ერთხელ შეეყურა ქვიშიანი კალათების აწევის ხმაური.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ქალს ისევ მოუწია მარტო მუშაობამ და დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა. ვიდრე ისედაც დაგვიანებულ საჭმელს ფაციფუცით გააკეთებდა, კაცი ზანტად როშავდა ათასგვარ რაღაცას. ამბობდა, კარგი იქნებოდა დიდი ხანია გაფუჭებული პირსაბანი შეგვეკეთებინაო. ქალი სიბრაზეს არ იტყობდა, ეშინოდა, კაცის ჯანმრთელობისთვის არა ევნო რა; კაცის ეგოიზმი ალბათ იმის დამამტკიცებლად მიაჩნდა, რომ მან უკვე აქ ფესვი გაიდგა. მუშაობის შემდეგ ორივეს უნდოდა ხოლმე დაბანა, მაგრამ კაცს ახლა განსაკუთრებით აღიზიანებდა ძილის დროს გაოფლილ კანზე მიკრული ქვიშა... დღეს სწორედ დასაბანი წყლის მოტანის დღე იყო, ქალსაც სიამოვნებდა კაცის დაბანა, ასე რომ დღეს ალბათ უარს არაფერზე იტყოდა.

ვიდრე ქალი ბანდა, კაცს მოულოდნელად სურვილმა მოუარა და ქალს კიმონო მოაგლიჯა, ქალის დაბანა მოინდომა. დაბნეული, მოლოდინად ქცეული ქალი გაირინდა. შემდეგ პროტესტის ნიშნად ასწია ხელი, მაგრამ გაურკვეველი იყო, კერძოდ რას ეწინააღმდეგებოდა. კაცმა აჩქარებით გადაასხა ერთი ციცხვი ცხელი წყალი და უნებლოდ, საპნიანი ხელებით დაუწყო ტანის ზელვა. ხელები სრიალებდა კისრიდან ნიკაპისკენ, მხრებზე, ერთმა მკერდსაც ჩააღწია. ქალმა შეჰკივლა და მიეკრა. ქალი ელოდა, მაგრამ კაცი აყოვნებდა. მისი ხელები ისევ ისე დაფათურობდა ქალის ტანზე.

ქალის გზნება ბოლოს კაცსაც გადაედო, მაგრამ უცებ რაღაც გაურკვეველი სევდა დაეუფლა. ქალი ერთნაირად ასხივებდა შიგნიდან, თითქოს მასში ციცინათელები ანათებდა. ახლა მისთვის ღალატი იგივე იქნებოდა, სიკვდილმისჯილისთვის გაქცევის საშუალება მიგეცა და ზურგში ტყვია დაგეხალებინა... კაცი მძვინვარედ ეცა, ახლად გაღვიძებულ სურვილს ასწრაფებდა, მაგრამ ყოველ ვნებას თავისი საზღვარი აქვს. ქალი, რომელიც ეგზომ ელოდა ალერსს. კაცის მძვინვარებამ თავდაპირველად შეაშინა. კაცსაც ხალისი დაეკარგა, თითქოს სურვილი უკვე დაიკმაყოფილა. შემდეგ ისევ აღიგზნო თვითონვე თავი — წარმოსახვას ათასგვარი სახიფათო სიტუაციებით იფორიაქებდა, მკერდს უკოცნიდა ქალს, უჯიჯგნიდა სხეულს, რომელიც საპნის, ოფლისა და ქვიშის გამო რკინის ნაქლიბში არეული მანქანის ზეთით დაფარული გეგონებოდათ... მზად იყო ასე თუნდაც ორი საათი გაეგრძელებინა. მაგრამ ქალმა ტკივილისგან ბოლოს კბილებიც კი დააკრაჭუნა და ჩაცუცქდა. კაცი ეძგერა... ერთ წამში ყველაფერი დამთავრდა. კაცი ქალს წყალს ასხამდა, რომ საპონი ჩამოერეცხა, შემდეგ ძალით დაალევინა არაყი, რომელშიც ასპირინის სამი აბი იყო გახსნილი. ახლა ქალი გულიანად იძინებდა მზის ჩასვლამდე, ხოლო თუ კაცს ბედი გაუმართლებდა, იძინებდა მანამდეც კი, ვიდრე ქვიშის მზიდავთა ყვირილი არ გააღვიძებდა.

ქალი ძილში ქშინავდა, თითქოს ცხვირი ქაღალდით ჰქონდა დაცული... სუნთქავდა ღრმად. კაცი ოდნავ შეეხო ქუსლზე, მაგრამ არც განძრეულა... ეს იყო დაცარიელებული ტუბი, რომლიდანაც ენებათაღელვა გამოწურეს. კაცმა

სახეზე დაფარებული პირსახოცი გაუსწორა, თოკივით დაგრეხილი, ზევით აჩაჩული კიმონო მუხლებზე ჩამოუწია. საბედნიეროდ, კაცი უკანასკნელი საშხადისით იყო გართული და გადაჭარბებული მგრძნობიარობისთვის არ ეცალა. როცა ძველ მაკრატელზე ცოდვილი მოათავა, ზუსტად საჭირო დრო დადგა. უკანასკნელად შეხედა ქალს და, როგორც თავადაც ელოდა, გული შეეკუმშა.

ორმოს კედლებს, ზემოდან დაახლოებით მეტრის სიღრმეზე, [illegible] შუქი ეფინებოდა. გაანგარიშების მიხედვით შვიდის ნახევარი, შვიდს [illegible] წუთი იქნებოდა. სწორედ კარგი დრო იყო. კაცმა ხელები მთელი ძალით წაიღო უკან და კისერი რამდენჯერმე შეანძრია, რათა დაბუჟებული ზურგი გაემართა.

ჯერ სახურავზე ასვლა იყო საჭირო. სჯობდა მაკრატელი ორმოცდახუთგრადუსიანი კუთხით ესროლა. უნდოდა სახურავზე თოკის კიბის დახმარებით ასვლა ეცადა, მაგრამ ვერ გაბედა: სახურავზე მაკრატლის დაცემის ხმას შეიძლებოდა ქალი გაეღვიძებინა. ამიტომ უკეთესი იყო უარი ეთქვა ასეთ ექსპერიმენტზე. გადაწყვიტა, სახლისთვის ირგვლივ შემოევლო და ნახევრად დანგრეული გადმოხურულიდან ასულიყო, რომლის ქვეშ ოდესღაც თეთრეულს აშრობდნენ. წვრილი ოთხწახნაგოვანი ლარტყები თითქმის დამპალიყო და ეს აფრთხობდა, თუმცა ყველაზე საშიში რამ წინ ელოდა. ჰაერში მქროლავი ქვიშის მიერ გაპრიალებული ყავრის სახურავი ახალივით ქათქათებდა. მაგრამ ზედ რომ ავიდა, ბისკვიტივით რბილი აღმოჩნდა. აი, საშიში ის იქნებოდა, შიგ რომ ჩავარდნილიყო, იგი სახურავზე გაწვა და ფრთხილად გაფოფხდა წინ. ბოლოს თავხეს მიაღწია, გადააჯდა და მუხლებზე დადგა. უკვე სახურავის წვერო ჩრდილში იყო და ორმოს დასავლეთი მხარის კიდეზე ჩამქრებული თაფლისფერი ქვიშის მარცვლები იმაზე მიუთითებდა, რომ ნისლი იწყებდა ჩამოწოლას. ახლა კოშკის მეთვალყურის შიში არ უნდა ჰქონოდა.

კაცმა თოკს მაკრატლიდან დაახლოებით მეტრზე ჩაავლო ხელი და თავზემოთ დაატრიალა. სწორედ იმ ტომრებს უმიზნებდა, რომელთაც ჭოჭონაქების ნაცვლად იყენებდნენ ქვიშიანი კალათების აწევის დროს. თუ ტომრები თოკის კიბეს გაუძლებდნენ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საკმაოდ მკვიდრად ეწყვნენ. კაცი სულ უფრო სწრაფად ატრიალებდა თოკს, შემდეგ ტომრებს დაუმიზნა და ესროლა. თოკი სხვა მხარეს გაფრინდა. ეტყობა, არასწორად იანგარიშა. მაკრატელს წრეწირის შემხებზე უნდა ეფრინა. ამიტომ კაცს თოკისთვის იმ წამს უნდა ეშვა ხელი, როცა მიზანთან მართ კუთხეს შექმნიდა, ანდა ერთი წამით ადრე. დიახ, ამას წყალი არ გაუვიდოდა!.. სამწუხაროდ, მაკრატელი ამჯერად ფლატეს შუაგულში მოხვდა და ძირს ჩავარდა. ეტყობა, ბრუნვის სიჩქარე და ამაღლების კუთხე არასაკმაო იყო.

კაცმა მრავალგზის ისროლა მაკრატელი და ბოლოს, როგორც იქნა, ზუსტად განსაზღვრა მანძილი და მიმართულება. თუმცა წარმატება ჯერ სად იყო! სულ მცირე იმედიც გაახარებდა, მაგრამ ეს მცირე იმედიც ჯერჯერობით არ ჩანდა. შეცდომები არ მცირდებოდა — პირიქით, დაღლილობისა და ნერვიულობის გამო უფრო დიდ შეცდომებს უშვებდა. დიახ, ყველაფერი ეს გაცილებით უფრო მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი. ახლა ნერვიულობდა, ბრაზობდა, ლამის ატირებულიყო, თუმცა არც არავის მიუცია რაიმე იმედი.

მაგრამ ალბათობის კანონი, რომლის თანახმად შესაძლებლობა ცდების რაოდენობის პირდაპირპროპორციულია, თითქოს არცთუ მცდარია. ჰოდა, როცა კაცმა, ეშმაკმა არ იცის, უკვე მერამდენედ, სრულიად იმედგაწყვეტილმა ის-

როლა თოკი, მაკრატელი პირდაპირ ტომრებში ჩაერჭო. კაცმა პირი დააღო და გაშეშდა. პირში დაგუბებული ნერწყვი გადმოედინა, მაგრამ სიხარული ნაადრევი იყო... ხელში ჯერჯერობით მხოლოდ ფული ეჭირა ლატარიის ბილეთის საყიდლად... ბილეთი მოიგებდა თუ არა, მომავალი გვიჩვენებდა. კაცის ყოველი ძარღვი თითქოს თოკზე იყო გამობმული: თოკი ფრთხილად მოსინჯა, გეგონებოდათ, აბლაბუდის ძაფით ვარსკვლავს იწევსო.

კაცმა წინააღმდეგობა იგრძნო. თავდაპირველად ძნელი იყო ამის დაჯერება. მაგრამ თოკი მართლა არ შერხეულა. უფრო ძლიერ მოსწია... დაიძაბა, ელოდა, აგერ-აგერ მოგჯებაო... მაგრამ უკვე ეჭვს არაფერი იწვევდა. კაუჭად ქცეული მაკრატელი მტკიცედ ჩარჭობოდა ტომრებს. როგორ გაუმართლა!.. წარმოუდგენლად გაუმართლა!.. ამ წუთიდან ყველაფერი კარგად წარიმართებოდა! უსათუოდ!

კაცი სწრაფად ჩამოძვრა სახურავიდან, თოკისკენ გაიქცა, რომელიც ახლა მშვიდად ეკიდა ქვიშის კედელზე. აი, იქ, იქ მიწის ზედაპირია... თანაც ისე ახლოს, პირდაპირ არც კი გჯერა... სახე დაეძაბა, ტუჩები აუთრთოლდა. კოლუმბის კვერცხი უთუოდ მაგრად იყო მოხარშული, მაგრამ თუ კიდევ უფრო მაგრად მოხარშავდა, ყველაფერს წაახდენდა.

კაცი თოკს ჩაეჭიდა და მთელი სიმძიმით ჩამოეკიდა. თოკი მაშინვე გაიწელა, თითქოს რეზინისა იყო. კაცი შიშისგან ოფლად გაილევა. საბედნიეროდ, თოკი მხოლოდ ოცდაათ სანტიმეტრამდე გაიწელა. კაცი ისევ დაეკიდა ზედ. ამჯერადაც საგანგაშო არაფერი აღმოჩნდა. კაცმა ხელისგულებზე დაიფურთხა, თოკს ფეხები შემოაჭდო და მაღლა აცოცება დაიწყო. ისე მიიწევდა, თითქოს სათამაშო მაიმუნი სათამაშო პალმაზე ადიოდა. შუბლზე გამოჟონილი ოფლი ცივი იყო, შეიძლება მღელვარების გამო. კაცი ცდილობდა ქვიშა ზედ არ დასცვენოდა. ცოცვისას მხოლოდ თოკს ეჭიდებოდა, იმიტომაც მთელი სხეულით ბრუნავდა. საქმე გაცილებით ნელა მიდიოდა, ვიდრე ვარაუდობდა. დედამიწის მიზიდულობა მართლაც საშინელება ყოფილა. ეს კანკალიც საიდან გამოტყვრა? ხელები თავისით მოძრაობდა, კაცი საკუთარ თავს თითქოსდა თვითონ ასწევდა ზემოთ. აქ უცნაური არა იყო რა, თუ გავიხსენებთ შხამით აღსავსე იმ ორმოცდაექვს დღეს. როცა ერთ მეტრზე აიწია, ორმოს ფსკერი ასი მეტრით დაბლა მოეჩვენა, როცა ორ მეტრზე ავიდა, ორასი მეტრით დაბლა. ორმოს სიღრმე სულ უფრო იზრდებოდა და ბოლოს თავბრუდამხვევი გახდა... საშინლად დაიღალა... ძირს არ უნდა იყურობს!.. აგერ უკვე ზედაპირიც გამოჩნდა... გამოჩნდა მიწა, დაქსელილი გზებით, რომლებითაც თავისუფლად გაუტევს, საითაც უნდა, თუნდაც ცხრა მთას გადაღმა... როცა ზედაპირს მიაღწევს, ყველაფერი, რაც აქ დატრიალდა, უბის წიგნაკის ფურცლებშუა სამახსოვროდ ჩადებულ გამხმარ პატარა ყვავილებად იქცევა... და ყველა ეს ყვავილი — შხამიანებიცა და ავხორცეულნიც — ფერადი ქაღალდის თხელ, ნახევრად გამჭვირვალე ნაგლეჯებად გარდაისახება. თავის სახლში, ჩაის სმისას, ამ ნაგლეჯებს სინათლეზე რომ გახედავს, სიამოვნებით მოჰყვება ყველაფერს, რაც მათთანაა დაკავშირებული.

სწორედ ამიტომ გაუქრა ყოველგვარი სურვილი ქალის გამტყუნებისა. შეიძლება თავდებად დაუდგეს, რომ ქალი არც პატიოსანია და არც მეძავი. თუ სარეკომენდაციო წერილები იქნა საჭირო, სიხარულით მივცემ, რამდენიც უნდა, თუნდაც ათს. მაგრამ რა სულელი ქალია, მხოლოდ ის შეძლო, რომ ჩემთან

ერთად ჩაჭიდებოდა აქეთობის და იქითობის ერთსა და იმავე ბილეთს. ბილეთი რომ თუნდაც ერთი და იგივე იყოს, როცა საპირისპირო მხარეს მიემგზავრებით, ბუნებრივია, საპირისპირო მხარესაც აღმოჩნდეთ. ამიტომ ჩვეულებით არაა გასაკვირი, რომ კაცის უკან წამოსასვლელი ბილეთი ქალის ხელში გასამგზავრებელი ბილეთი იქნეს.

ვთქვათ, ქალმა რაღაც შეცდომა დაუშვა... მაგრამ შეცდომა ხომ შეცდომაა და მეტი არაფერი.

...არ იცქირო ძირს! არ შეიძლება ქვემოთ ცქერა!

საკმარისია ქვემოთ ჩაიხედოს და მაშინვე დაშავდეს კაცი, ალპინისტი იქნება ეს თუ ფანჯრების მრეცხავი, სატელევიზიო კოშკზე ასული მონტიორი, ტრაპეციაზე მყოფი ცირკის ტანმოვარჯიშე თუ ელექტროსადგურის მაღალ ბოძზე აფოფხებული ბოძის მწმენდავი.

24

ყველაფერი რიგზეა!

ხელებგადატყაული კაცი ფრჩხილებით ჩაეჭიდა ტომარას და ორმოდან ამოფოფხდა. აი, მაღლაა! ახლა უკვე ნუ გეშინია, რომ თუ თითებს გაშლი, დაეცემი. თითებს კი ჯერ გაშლის ძალა არ შესწევდათ, ისე მაგრად ჩაფრენოდნენ ტომარას.

ორმოცდამეექვსე დღეს მოპოვებული თავისუფლება ძლიერი, მძაფრი ქარით შეხვდა. როცა გაფოფხდა, სახესა და კისერში მტკივნეულად ეძგერა ქვიშის მარცვლები. ეს საშინელი ქარი გათვალისწინებული არ ჰქონია!.. ორმოში მხოლოდ ზღვის ხმაური ეჩვენებოდა ჩვეულებრივზე ბევრად ძლიერი. მაგრამ ახლა ხომ ზუსტად საღამოს წყნარი ამინდის დადგომის დრო იყო. თუ წყნარი ამინდი არ იქნა, არავითარი იმედი არაა, რომ ნისლი ჩამოწვება. იქნებ ცა მონისლული მხოლოდ მაშინ ჩანდა, როცა ორმოდან უცქეროდა? თუ ჰაერში ლივლივით მქროლავი ქვიშა მიაჩნდა ნისლად? ასეა თუ ისე, კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი.

თავი არ აუწევია, ისე მიმოიხედა შიშნეულად. მქრქალ შუქში სახანძრო კოშკი ოდნავ გადაფერდებული ჩანდა, რაღაც საცოდავად გამოიყურებოდა და იქამდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო. მაგრამ კოშკიდან ბინოკლით იყურებოდნენ, ამიტომ მანძილის იმედი არ უნდა ჰქონოდა. საინტერესოა, უკვე დაინახეს თუ არა?.. ალბათ არა, თორემ მაშინვე აახმიანებდნენ ზარს.

ქალმა ერთხელ ასეთი რამ უამბო: ნახევარი წლის წინათ ღამით ქარიშხალი ამოვარდა, სოფლის აღმოსავლეთ მხარეს ერთი კედელი ჩამოიქცა და სახლი ნახევრად ქვიშაში ჩამარხული აღმოჩნდა. შემდეგ გაწვიმდა, სველი ქვიშა უფრო დამძიმდა და სახლი ასანთის კოლოფივით დაინგრა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. დილით სახლის ბინადრები შეეცადნენ ორმოდან ამოსულიყვნენ. მაშინვე ატყდა ზარის რეკვა და ხუთი წუთიც არ გასულა, რომ მოისმა დედაბრის ტირილი, რომელსაც უკანვე მოათრევდნენ. ამბობდნენ, ამ ოჯახს რაღაც მემკვიდრეობითი ტვინის ავადმყოფობა სჭირსო, — ნათქვამს ეშმაკურად დაურთო ქალმა...

რაც არის, არის, დაყოვნება არ შეიძლება. კაცმა თამამად ასწია თავი. მოწი-

თალო ფერის ქვიშის ტალღების გასწვრივ გრძელი ჩრდილები გაწვა. ქარის მიერ ერთი ჩრდილიდან ატაცებული ქვიშის საბურველი სხვა ჩრდილთა საბურველს შეერწყა. იქნებ ამ მფრინავი ქვიშის საბურველის წყალობით ვერ შეამჩნიონ?.. მიმოიხედა, რათა შეემოწმებინა სინათლე მაგრად სცემდა თუ არა თვალებში, და გაკვირვებისგან გაქვავდა. თურმე ჩამავალი მზე არა მარტო მფრინავი ქვიშის გამო ჩანდა ფერადი ფანქრებით შეფერილი, თითქოს ყველაფერს რძისფერი ფოშფოში ეფინა. მიწიდან აქა-იქ მაღლა იწევდა ნისლის ნაფლეთები. ერთ ადგილას გაფანტულნი სხვაგან გადადიოდნენ, შემდეგ ისევ ძველ ადგილას იბოლქვებოდნენ... ორმოში თვითონ ირწმუნა, რომ ქვიშა ტენს იწოვდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ ასე ძლიერ იწოვდა.. ეს ყველაფერი მოგაგონებდათ მეხანძრეების წასვლის შემდეგ დარჩენილ ნახანძრალს... მართალია, ნისლი თხელი იყო და დიდად არ შეიმჩნეოდა, ვინაიდან შუქი უკნიდან სცემდა, მაგრამ მაინც საკმაო საფარს წარმოადგენდა მეთვალყურის თვალთაგან დასამალავად.

ქამარზე დაკიდებული წალები ჩაიცვა, თოკი დაახვია და ჯიბეში შეინახა. მაკრატელი იარაღად გამოადგებოდა, თუ რამე მოხდებოდა. უნდა გაქცეულიყო დასავლეთისკენ (მეთვალყურეს იქიდან სინათლე სცემდა თვალებში და ამიტომ ვერ დაინახავდა) და ისეთი ადგილი მოეძებნა, სადაც მზის ჩასვლამდე დაიმალებოდა.

აბა, ჩქარა რაღა!.. მოიხარე და გაიქეცი, ჩადაბლებულ ადგილებს გაუყევი!.. ახლა არ დაიბნე... იჩქარე, მაგრამ ირგვლივ კარგად იცქირე... აგერ იმ ღარტაფში ჩავწვები!.. ეს რა საეჭვო ბგერაა?.. ცუდი ნიშანია?.. იქნებ არა... ავდგები და გავიქცევი. მაინც და მაინც მარჯვნივ ნუ წახვალ!... მარჯვენა ფერდი ერთობ დაბალია. შეუძლიათ უკვე მის შუა ადგილას შეგამჩნიონ...

ყოველღამე ქვიშიანი კალათების გადაზიდვის წყალობით ორმოებს შორის ღრმა პირდაპირი სასვლელებია გატკეპნილი. გასასვლელების მარჯვენა მხარე აქა-იქ ჩამოქცეულა და დამრეცი გამხდარა. ქვემოთ ძლივს ჩანს ორმოებში ჩამალული მეორე რიგის სახლების სახურავების წვეროები. მათ ზღვასთან ყველაზე ახლოს მყოფი სახლების რიგი ეფარება. ამის გამო აქ ორმოებიც გაცილებით პატარაა და ქვიშისაგან დამცველმა ღობემ შეიძლება თავისი საქმე გააკეთოს. ცხადია, სოფლის მხარეს თავისუფლად გახვალ ამ ორმოებიდან. კაცს რომ ოდნავ წამოეწია თავი, თითქმის მთელ სოფელს დაინახავდა. ტალღოვანი დიუნების ძირას მარაოსავით გაშლილი კრამიტის, თუთიის, ყავრის სახურავები აჩხორილიყო... ჩანდა აგრეთვე ფიჭვის კორომი, თუმცაღა მეჩხერი, და ტბორის მსგავსი რაღაც. აი, ამ უბადრუკი მიწის ნაგლეჯის დასაცავად სანაპიროს რამდენიმე ათეული ოჯახი მონური შრომისათვის იყო განწირული.

მონების ეს ორმოები ახლა გზის მარცხენა მხარეს მიიწევდა... აქა-იქ სასვლელების განშტოებანი მიემართებოდა. განშტოებანი კალათების თრევის შედეგად გაკვალულიყო. მათ ბოლოს ეწყო ქვიშიანი ტომრები, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა განგესაზღვრათ, სად იწყებოდა ორმო... ტომრების ცქერაც კი გულს გატკენდათ. ზოგან ტომრებზე თოკის კიბეები არ იყო მიმაგრებული, ისე კი თითქმის ყველგან ჩანდა. ეტყობა, ამ ორმოების ბინადრებმა გაქცევა უკვე გადაიფიქრეს.

ახლა კაცს ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რომ საერთოდ ასეთი ცხოვრებაც ყოფილა შესაძლებელი. სამზარეულოები, ღუმელები, რომლებშიც ცე-

ცხლი ანთია, საწერი მაგიდის ნაცვლად სახელმძღვანელოებით სავსე ვაშლის კალათები; სამზარეულოები, სორხანეში ამოთხრილი კერები, ლამპები, ღუმელები, რომლებშიც ცეცხლი ანთია, დამტვრეული გასაწევი ტიხრები, სამზარეულოს გაჭვარტლული ჭერი, მომუშავე საათები და გაჩერებული საათები, ჩოლრიალე რადიომიმღებები და დამტვრეული რადიომიმღებები, [illegible]ბი და ღუმელები, რომლებშიც ცეცხლი ანთია... და ყოველივე [illegible] ჩარჩოში, ჩასმული იაფფასიანი სამკაულები, საქონელი, ბავშვები, ფიზიკური სწრაფვა, სავალო ვალდებულებანი, ღალატი, გუნდრუკის კმევა, სამახსოვრო ფოტოსურათები... ერთი და იგივე შემაძრწუნებლად უცვლელი განმეორება... მართალია, ეს განმეორება იყო, ცხოვრებაში გარდაუვალი განმეორება, ისევე გარდაუვალი, როგორც გულის ფეთქვა, მაგრამ გულის ფეთქვა ხომ ჯერ კიდევ არაა მთელი ცხოვრება.

დაწყექი!.. ო, არა, არაფერია, ჩვეულებრივი ყვავია... კაცს არასდროს დაუჭერია ყვავი და მისგან ფიტული არ გაეკეთებინა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ადამიანი სვირინგებზე, მედლებზე, ორდენებზე მხოლოდ მაშინ იწყებს ოცნებას, როცა წარმოუდგენელ სიზმრებს ხედავს.

თითქოს სოფლის ნაპირს მიაღწია. გზა დიუნის თხემზე ავიდა, მარცხნივ ზღვა გამოჩნდა, ქარმა ზვირთცემის მწარე სუნი მოაქროლა. ყურებსა და ნესტოებში ყრიალი დაეწყო, თითქოს ბზრიალები დაუტრიალდნენო. თავზე წაკრული პირსახოცის ბოლოებს ქარი უფარფარებდა და სახეში სცემდა. აქ უკვე ნისლი ძალას კარგავდა, მაღლა ვერ ადიოდა. ზღვას ადუღებული რძის ნაღებივით წვრილ-წვრილად დანაოჭებული ტყვიის სქელი ფურცლები გადაეკროდა. ბაყაყის ქვირითის მაგვარი ღრუბლებით გაჭეჭყილი მზე გაშეშდა, ჩასვლა არ ეწადა. ჰორიზონტზე შავი წერტილივით გაქვავდა ხომალდი. ვერ გაარჩევდი, რამოდენა იყო და რა მანძილი იქნებოდა იქამდე.

კაცის წინ თვით კონცხამდე დაუსრულებელ ტალღებად იწვა დამრეცი დიუნები. გზის ასე გაგრძელება მართლაც საშიში იყო. კაცმა გაუბედავად მოიხედა უკან. სახანძრო კოშკს საბედნიეროდ ქვიშის დაბალი ბორცვი ეფარებოდა და იქიდან ვერ დაინახავდნენ. კაცი ნელ-ნელა აიწია ფეხის წვერებზე და ქვიშის ფერდობის ჩრდილში თითქმის სახურავამდე ქვიშაში ჩაფლული წაფერდებული ქოხი დაინახა. ქოხს მხოლოდ იმ ადგილიდან თუ შეამჩნევდით, სადაც ის იდგა. საქარე მხარეს თითქოსდა კოვზით ამოხაპული ღრმა ღრმული ჩანდა.

„მშვენიერი ადგილია დასამალავად... ქვიშის ზედაპირი ნიჟარის შიგა მხარესავით მოსწორებულია და არსად არაფერი მიუთითებს, რომ აქ ადამიანებს უვლიათ... მაგრამ რა უყოს საკუთარ ნაკვალევს“... კაცი უკან გაჰყვა თავის ნაკვალევს და დაინახა, რომ დაახლოებით ოცდაათი მეტრის იქით მისი ნაკვალევი სრულიად გამქრალიყო... აქვე, ფეხებთანაც კი ეს ნაკვალევი თვალდათვალ ჯდებოდა და ფორმას იცვლიდა... კაცს რაღაცაში ქარიც კი გამოადგა.

უკვე ქოხის შემოვლას აპირებდა, რომ უცებ იქიდან რაღაც შავი გამოძვრა, ის რაღაც ღორივით მსუქანი წითური ძაღლი აღმოჩნდა. საშიში არაფერია. მოწყდი აქედან! ძაღლი კაცს ჩააშტერდა, წასვლას არც აპირებდა. ცალი ყური გაგლეჯილი ჰქონდა. არაპროპორციულად პატარა თვალებით ბოროტად იცქირებოდა. სუნავდა მას. დაყეფებას ხომ არ აპირებს? აბა ერთი სცადე... კაცმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და მაკრატელს მოუჭირა... როგორც კი დაიყეფებს, ამით გავუხვრეტ კოგრას! ძაღლი ისევ ბოროტად უცქეროდა კაცს. მაგრამ ხმას

არ იღებდა. იქნებ ველურია?.. ბალანი გაბურძგნია, ბღუჯა-ბღუჯა ჰკიდია... რაღაც სჭირს თუ რა არის, მთელი დინგი დაფუფხული აქვს... ამბობენ, ძაღლი, რომელიც არ ყეფს, საშიშიაო... დასწყევლოს ეშმაკმა! რაიმე საჭმელი უნდა მომემარაგებინა... დიახ, საჭმელი, ოჰ, კალიუმციანიდის წამოღება დამვიწყებია... მაგრამ არა უშავს, ისეთ ადგილას დავმალე, ქალი მაინცდამაინც ვერ იპოვის... კაცმა წყნარად დაუსტვინა და ხელი გაიწოდა, უნდოდა ძაღლის გული მოენადირებინა... ძაღლმა პასუხად თხელი ლაშები გაწელა და დაკრიჭა ყვითელი ეშვები, რომლებზეც ქვიშა მიკროდა... არა, ასეთ ძაღლს საეჭვოა ჩემი შეეხარბოს... რა საზიზღარი გაუმაძღარი ცხოველის შესახედაობა აქვს... კარგი იქნება ისე ჩაჰკრა, ერთი დარტყმით სული გააფრთხობინო.

მოულოდნელად ძაღლი შებრუნდა, თავი დახარა და, თითქოს არაფერი მომხდარაო, ზანტად წაძუნძულდა. ალბათ კაცის მრისხანე შესახედაობამ დააფრთხო. რაკი ველური ძაღლი გაქრა, მაშასადამე, სულიერად ჯერ კიდევ ძლიერია. კაცი ჩადაბლებულ ადგილას ჩაცუცდა, მაგრამ არ წამომდგარა. ახლა ქარი ვეღარ წვდებოდა და შეიძლება ამიტომ შვება იგრძნო. ქარის ქროლვაზე მობარბაცე ძაღლი ჰაერში მოტრიალე ქვიშის საბურველს მიღმა თვალს მიეფარა. ამ ქოხმახში ძაღლის დაბინავება უეჭველად ამტკიცებს, რომ ადამიანები აქ ფეხსაც არ აკარებენ... და ვიდრე ძაღლი არტელის გამგეობაში დასასმენად არ წავა, კაცს საფრთხე არ ელის. კაცს ისიც კი ესიამოვნა, რომ ტანზე წურწურით წამოუვიდა ოფლი. რა სიწყნარეა!.. თითქოს ჭურჭლის ფსკერზე დააწვინეს და ზემოდან ჟელატინი დაასხეს... ხელში საათის მექანიზმიანი ბომბი უპირავს, აფეთქების დრო უცნობია, მაგრამ ეს მაღვიძარას წიკწიკზე უფრო როდი აშინებს... მის ადგილას რომ „მიობიუსის ლენტი“ იყოს, მაშინვე გააანალიზებდა მდგომარეობას და ეტყოდა:

— შენ, ჩემო მეგობარო, ტიპიური ნიმუში ხარ ადამიანისა, რომელსაც სიამოვნებას ჰგვრის საშუალების მიზნად ქცევა.

— სავსებით სწორია, — დაეთანხმებოდა კაცი. — მაგრამ განა საჭიროა ასე გავმიჯნოთ საშუალება და მიზანი?.. ისინი ჯეროვნად, საჭიროების მიხედვით უნდა გამოვიყენოთ...

— ო, ეგ არაფრად ვარგა. ხომ არ შეიძლება დრო ვერტიკალურად განვლიოთ. დრო ისეთი რამაა, ჰორიზონტალურად მიედინება. ეს საყოველთაოდ ცნობილია.

— კი, მაგრამ, რა იქნება, რომ ვცადოთ ვერტიკალურად განვლიოთ?

— მუმიად გადაიქცევი. არა თუ?!

კაცმა გაიცინა და წაღების გახდა დაიწყო. ჰო, მაგრამ დრო ხომ მართლა ჰორიზონტალურად მიედინება. წაღებში ქვიშა ჩაეყარა და ოფლს შეერია — მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. წინდები ძლივს გაიხადა და ქარს მიუშვირა. იქ, სადაც ცხოველი ბინადრობს, რატომაა ასეთი საზიზღარი სუნი?.. კარგი იქნებოდა ცხოველებს ყვავილების სუნი ასდიოდეთ... ო, არა, თურმე ჩემი ფეხები ჰყარს... რარიგ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ აზრმა რატომღაც სიამოვნება მოჰგვარა... ვიღაც ამბობდა, რა სჯობს შენი ყურის გოგირდს, ყველაზე უფრო გემრიელიაო... ჰო, შეიძლება ამდაგვარად არა, მაგრამ საკუთარი დამპალი კბილების სუნსაც აქვს რაღაც მიმზიდველი — გინდა დაუსრულებლად ისუნთქო და ისუნთქო...

ქოხის შესასვლელი ნახევარზე მეტად ქვიშას დაეფარა. კაცმა მაშინვე

ვერ მოახერხა შიგ შეხედვა. იქნებ ეს ძველი ჭის ნანგრევია? არა, გასაკვირი სულაც არაა, ჭის თავზე სახლი დაეშენებინოთ, რომ შიგ ქვიშა არ ჩაყრილიყო. თუმცა საეჭვოა აქ წყალი აღმოჩნდეს... კაცმა ისევ სცადა ქოხში შეხედვა და ამ დროს ცხვირში ძაღლის სუნი ეცა. ცხოველის სუნი ფილოსოფიაზე ძლიერი გახლავთ. ერთი სოციალისტი ამბობდა, ჩემთვის კორეელის ფილე მისაღებელია, მაგრამ მისი სუნის ატანა არ შემიძლიაო... მაშ, კარგი, თუ [illegible] სენტიმენტალურად მიმდინარეობს, მაშინ მიჩვენოს რაოდენ სწრაფად შეუძლია დინება!.. იმედი და მშფოთვარება... თავისუფლების გრძნობა და მოუთმენლობა.. ესენი ტანჯვაა, ყველაზე აუტანელი ტანჯვა. კაცმა სახეზე პირსახოცი დაიფარა და ზურგზე დაწვა. ეს, მგონი, მისივე სუნი იყო და, რა დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა საკუთარი თავისთვის ქათინაურის თქმისა, მას სასიამოვნო სუნს ვერ უწოდებდა.

ფეხზე რაღაც მიცოცავს... სიარულის მიხედვით ესპანურა არ უნდა იყოს... უფრო ხოჭოა, რომელიც ძლივს მიჩოჩავს თავისი ექვსი სუსტი ფეხით... კაცს დაზუსტება არ სურდა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ ეს თუნდაც ესპანურა აღმოჩენილიყო, დაჭერა მაინცდამაინც არ მოუნდებოდა. ყოველ შემთხვევაში ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ გასცემდა.

ქარმა სახიდან პირსახოცი გადააცალა და თვალი ჰკიდა დიუნის ოქროსფრად მოელვარე თხემს. მაღლა ნება-ნება ამავალი ფერდობი ამ ოქროსფერ ხაზამდე აღწევდა და შემდეგ უცბად იკარგებოდა ჩრდილში. სივრცის ასეთ აგებულებაში რაღაც ენით უთქმელი დაძაბულობა გამოსჭვიოდა და კაცი შეაძრწუნა კიდეც ადამიანებზე ფიქრით მოგვრილმა უზომო სევდამ (დიახ. მართლაც რომანტიკული ლანდშაფტია... ბოლო ხანებში სწორედ ასეთი ლანდშაფტი იზიდავს ახალგაზრდა ტურისტებს... საიმედო აქციები... როგორც გამოცდილ კაცს, შემიძლია ამ რაიონის მომავალი განვითარების სრული თავდებობა ვიკისრო. მაგრამ უპირველეს ყოვლისა საჭიროა რეკლამა! ურეკლამოდ ბუნებაც კი არ მოფრინდებიან... არ იცოდე, ნიშნავს, არ გქონდეს... ფლობდე ძვირფას ქვას და იგი მიწაში ჩამარხო. მაშ რა ვქნათ? მარჯვე ფოტოგრაფს მხატვრული ღია ბარათების დამზადება დავავალოთ. ძველად მხატვრულ ღია ბარათებს უკვე მას შემდეგ აკეთებდნენ, როცა ღირსშესანიშნავი ადგილი საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა... ახლა კი — ჯერ ღია ბარათები, ხოლო შემდეგ უკვე ღირსშესანიშნავი ადგილის შექმნა. ამჟამად ასეთი წესი ჩვეულებრივი გახდა. აქ რამდენიმე ნიმუშია, გადაათვალიერეთ, გეთაყვა). საბრალო მებარათე სხვებს უპირებდა მახის დაგებას და თვითონ გაება შიგ, შემდეგ კი დაავადდა და გარდაიცვალა. საეჭვოა განსაკუთრებული მჭერმეტყველება ჰქონოდა... ალბათ უდიდეს იმედებს ამყარებდა აქაურ ადგილებზე და საქმეში მთელი თავისი სახსრები დააბანდა... მაინც რა არის ამ მშვენიერების ჭეშმარიტი არსი; იქნებ ფიზიკური ჰარმონია და სიზუსტე, რასაც ბუნება ფლობს. ანდა, პირიქით, ბუნების დაუნდობელი წინააღმდეგობა ადამიანის მიერ მისი შეცნობის ცდების მიმართ.

გუშინდლამდე პირდაპირ გულს ურევდა ამ პეიზაჟზე ფიქრიც კი და წყრომით ფიქრობდა, რომ ორმო მართლაც სავსებით შესაფერისი ადგილი იყო მებარათესთანა ყალთაბანდებისთვის.

მაგრამ იმავე ორმოში ცხოვრებასა და პეიზაჟზე ფიქრისას რა საჭიროა

ისინი ერთმანეთს დაუპირისპიროთ? სულაც არაა სავალდებულო ლამაზი პეიზაჟი დიდსულოვანი იყოს ადამიანის მიმართ.

ბოლოს არც ისე სულელურია კაცის ძირითადი იდეა — ქვიშა განიხილოს როგორც სტაბილურობის უარყოფა. ერთი მერვედი მილიმეტრის მოძრაობა. სამყარო, სადაც არსებობა მდგომარეობათა ჯაჭვს წარმოადგენს... სხვა სიტყვით, სამყაროს მშვენიერება სიკვდილის კუთვნილებაა. სიკვდილის მშვენიერება სამყაროს ვეება დამანგრეველი ძალის, მის მიერ დატოვებული ნანგრევების დიდებულებას მოიცავს... არა მოიცა, ასე შეიძლება კაცი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს, თუ ეტყვიან, სწორედ ამიტომ სწვდი და ხელიდან არ უშვებ აქეთობის და იქითობის ბილეთსო. მხეცებზე, ომზე გადაღებული ფილმების მშვენიერება სწორედ ისაა, რომ თუმცა სინამდვილესთან სიახლოვით შეიძლება გულის შეტევა დაგმართონ, კინოდან გამოსულს დღევანდელი დღე, გუშინდელი დღის გაგრძელება გელოდება... აბა, რომელ სულელს ნახავ, კინოში ნამდვილი ვაზნებით დატენილი შაშხანა მიჰქონდეს?.. ვის შეუძლია უდაბნოში ცხოვრებას შეეგუოს? თაგვების ზოგიერთ სახეობას, წყლის მაგივრად თავიანთ შარდს რომ სვამენ, აყროლებული ხორცის მჭამელ მწერებს და კიდევ ალბათ მომთაბარეებს, რომელთაც მხოლოდ ერთი გზობის ბილეთის არაებობა იციან. თუ იმთავითვე დარწმუნებული იქნები, რომ ბილეთი ყოველთვის ერთი გზობისაა, შეგიძლია მშვიდად იცხოვრო, უნაყოფოდ არ სცადო ცოცვა კლდეს მიტყეპებული ხამანწკასავით ქვიშაზე გაკრულმა. მაგრამ ამ მომთაბარეებმა ხომ სახელიც კი შეიცვალეს და ახლა მესაქონლეები ჰქვიათ...

დიახ, ყოველივე ამის შესახებ ალბათ ქალისთვის უნდა ეამბნა... მისთვის ემღერა ქვიშის სიმღერა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს აქეთობის და იქითობის ბილეთთან. მერე რა, ჰანგს ცოტაოდენ დაამახინჯებს... უკეთეს შემთხვევაში საცოდავი და მიმბაძველი იქნება ქალების იმ გულთამპყრობლისა ის წამოგებას რომ ცდილობს სხვა, განსაკუთრებული ცხოვრებით მოციალე ანკესზე. თავიდან ფეხებამდე ქვიშით დაფარული, ილაჯგამოცლილი კაცი ქაღალდის პარკში ჩასმულ კატას ჰგავდა.

უეცრად დიუნის თხემი ჩაქრა... ირგვლივ ყველაფერი სიბნელეში შთაინთქა. ქარი ჩადგა და ნისლმა ახალი ძალები მოიკრიბა ,უკან მობრუნდა. შეიძლება მზე სწორედ ამიტომ ჩავიდა ასე სწრაფად.

...აბა, ახლა გზას გავუდგეთ.

25

სოფელი მანამ უნდა გაიაროს, ვიდრე კალათების მზიდავნი მუშაობას შეუდგებიან. დაახლოებით კიდევ ერთი საათი რჩება. დიდი სიფრთხილისთვის ვიტყვით — ორმოცდახუთი წუთი. კონცხი, რომელიც თითქოსდა სოფელს ევლება, დიდზე უხვევს და სოფლის აღმოსავლეთით მდებარე უბემდე აღწევს. ამიტომ სოფელზე მხოლოდ ერთი ვიწრო გზა გადის. მაგრამ იქ უკვე მთავრდება, სწორდება კონცხზე აჩხორილი შევეული კიბე და მათ დაბალი ქვიშის დიუნები ენაცვლება. თუ ფოშფოშში მოციმციმე სოფლის სინათლეებს ხელმარჯვნივ მოიტოვებ და პირდაპირ განაგრძობ გზას, სწორედ ამ ადგილას მოხვდები. მანძილი... ორი კილომეტრი, აქ თავდება სოფელი, კანტიკუნტად შევ-

ხვდება მიწათხილის ნათესები, კვლავ ქვიშა. საცხოვრისი კი არავითარი. როცა ბორცვს გადახვალ, შეიძლება გზაზეც იარო. ესაა გატკეპნილი თიხნარი გზა, და თუ მთელი ძალით ირბენ, თხუთმეტ წუთში გზატკეცილზე გახვალ, იქ კი აღარაფერი უჭირს. ავტობუსიც დადის და ხალხიც ნორმალურია.

ოცდაათი წუთი რჩება სოფლის გასავლელად. ქვიშაზე საათში ოთხი კილომეტრის გავლა ძნელია: არა იმიტომ, რომ ქვიშნარ ნიადაგში ფეხები ეფლობა, არამედ ზედმეტი ძალა გადგება სიარულისას, ხოლო თუ გარბიხარ, უფრო მეტ ძალას ხარჯავ ტყუილუბრალოდ. მგონი, უმჯობესია ფართო ნაბიჯებით იარო. ქვიშა თუმცა ძალას გართმევს, სანაცვლოდ ნაბიჯების ხმას ახშობს. მიდიოდე და ნაბიჯების ხმის არ გეშინოდეს. ამას თავისი უპირატესობა აქვს, დიახ, სწორედ უპირატესობა.

ძირს იყურე!.. დაცემა საშიში არაა. მაგრამ რაღაც პაწია კოლბოხზე ან ღრანტეზე წაიბორძიკებ და მუხლს დაიშავებ. მარტო მუხლის დაშავება არაფერია, ოღონდ უცებ რომ ქვიშის ახალ ორმოში ჩავარდე, მაშინ?!

ირგვლივ წყვდიადი იდგა, თვალის მისაწვდენზე ქვიშის უწესრიგოდ გაქვავებული ტალღები ჩანდა. ვეება ტალღებს უფრო პატარა ტალღები ღარავდა, მათ კი თავის მხრივ თითქოსდა ქვიშის ჭავლი მოსდებოდა. სოფლის სინათლეები, რომლებიც გზის მაჩვენებლად უნდა გამოეყენებინა, ამ დაუსრულებელი ტალღების ქოჩრებს ეფარებოდა და მხოლოდ ხანდახან ხვდებოდა მხედველობის არეში. გუმანით უნდა მიჰყოლოდი სწორ მიმართულებას და ასე გევლო წინ. მაგრამ ყოველთვის ირკვეოდა, რომ კაცს საოცრად დიდი შეცდომა მოსდიოდა: სინათლეების დანახვის სწრაფვა შეუცნობლად აიძულებდა მაღალი ადგილები ეძებნა და ალბათ ამიტომ უშვებდა შეცდომებს.

აი, კვლავ აცდა გზას! საჭიროა უფრო მარცხნივ იაროს!.. ასე რომ ევლო, მალე პირდაპირ სოფელში ამოყოფდა თავს... უკვე სამი ვეება დიუნი გადაიარა. სინათლეები კი თითქმის არ მოახლოებულა... თითქოს წრეებს უვლის. თვალებში ოფლი ჩასდის... ერთი სული აქვს, წამით შედგეს და მთელი მკერდით ჩაისუნთქოს ჰაერი.

ქალმა ალბათ უკვე გაიღვიძა... რა გაიფიქრა, თვალი რომ გაახილა და ვერ დამინახა?.. თუმცა საეჭვოა მაშინვე გავხსენებოდი... ალბათ გაიფიქრა, სახლის უკან გავიდა საჭიროების მოსასტუმრებლადო... ამ საღამოს დაიღალა... გაუკვირდა, რომ დაღამებამდე იძინა და აჩქარებით გამოძვრა საბნიდან.. ჯერ კიდევ კოცნაგაუნელებელმა სხეულმა დილით ჩვენ შორის მომხდარი ამბავი მოაგონა... და ხელის ფათურით ლამპას რომ ეძებდა, ალბათ გაიღიმა...

მაგრამ მაინც მიზეზი არა მაქვს, თავი ისე ვიგრძნო, თითქოს დავალებული ვარ ქალისგან, ან პასუხს ვაგებ მისი ღიმილისთვის. რას დაკარგავს ქალი ჩემი გაქრობით? მხოლოდ და მხოლოდ პაწია ნაწილს სიცოცხლისას. ჩემს მაგივრობას რადიო და სარკე გაუწევს.

„თქვენ ხომ ჩემთვის მართლაც დიდი შეწევნა ხართ... ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც მარტო არა ვარ. დილდილობით შემიძლია მშვიდად, აუჩქარებლად ვაკეთო საქმე, სამუშაოსაც ახლა ორი საათით ადრე ვამთავრებ... ვფიქრობ, მალე შევძლებ არტელს შინგასაკეთებელი რაღაც სამუშაო მოვთხოვო... და ბოლოს იქნებ სარკე ან კიდევ სხვა რაღაც ვიყიდო“...

(რადიო და სარკე... რადიო და სარკე...) რაღაც აკვიატებული იდეაა, თითქოს ადამიანის მთელი ცხოვრება ამ ორი საგნისგან შედგებოდეს. დიახ, რა-

დიოს და სარკეს მართლაც აქვთ რაღაც საერთო: ისინი აკავშირებენ ადამიანებს. ან შესაძლოა მწვავე სურვილს გამოხატავენ ადამიანის არსებობის არსში წვდომისას. კეთილი, როგორც კი აქედან თავს დავაღწევ, მაშინვე ვიყიდი რადიომიმღებს და გავუგზავნი. მთელ ჩემს ფულს დავხარჯავ და მაინც ვიყიდი ყველაზე საუკეთესო ტრანზისტორს.

ეროვნული

აი სარკე კი ,არ ვიცი, ღირს აღვუთქვა თუ არა. აქ სწრაფად გაფუჭდება... ნახევარ წელიწადში ამალგამა მოცილდება, ხოლო ერთ წელიწადში ჰაერში ნიადაგ მქროლავი ქვიშა გაამქრქალებს... გაფუჭდება, ისევე, როგორც ის სარკე, რომელიც ახლა აქვს: თუ შიგ თვალს ხედავ, პირს ვერ ხედავ. არა, საქმე მარტო ის კი არაა, რომ სარკე მალე გაფუჭდება. იგი რადიოსგან განსხვავდება: კავშირის საშუალება რომ გახდეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კაცი, ვინც ქალს შეხედავს. აბა რის მაქნისია სარკე, თუ ქალს ვერავინ დაინახავს?

მოიცა, უნდა მიაყურადოს!.. ეს კაცი რაღაც ძალზე დიდხანსაა გასული თავის საქმეებზე... იქნებ? ხედავ ამ თაღლითს, მაინც გაიქცა... საინტერესოა, ქალმა ატეხა თუ არა განგაში?.. განცვიფრებულია, სულდამძიმებული?.. იქნებ სულაც წყნარად ტირის? რასაც უნდა აკეთებდეს, ეს უკვე ჩემი ბრალი არაა... აკი თვითონ თქვა, სარკე აუცილებელი არაა.

— ... სადღაც წავიკითხე ამის შესახებ... ახლა თითქოს ძალიან ხშირად მიდიან ოჯახიდან.. ჩემი ფიქრით იმიტომ, რომ ცხოვრება ერთობ მძიმეა, მაგრამ შეიძლება მხოლოდ ამიტომ არ მიდიან... იქ სწორედ ერთი ასეთი საკმაოდ შეძლებული გლეხის ოჯახზე წერდნენ. ამ ოჯახმა მიწა იყიდა დამატებით, მანქანებიც შეიძინა, მეურნეობასაც თითქოსდა კარგად უძღვებოდა, მაგრამ უფროსმა შვილმა მაინც დატოვა ოჯახი. ძალიან დადებითი, შრომისმოყვარე ჭაბუკი იყო. მშობლები თავს იმტვრევდნენ — ნეტა სად წავიდა! სოფლის ხალხს უკეთ აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა, კარგი სახელის შენარჩუნებაზე ფიქრობენ. ამიტომაც მემკვიდრე ალბათ რაღაც განსაკუთრებული მიზეზების გამო წავიდა...

— დიახ, რა თქმა უნდა... მოვალეობა მოვალეობაა...

— ჰოდა, ჭაბუკი თითქოს რომელიღაც ნათესავმა იპოვა და სცადა გაეგო მისი წასვლის მიზეზი. თურმე არც ქალთან ერთად გაქცეულა, არც სასიყვარულო თავგადასავლებს გამოუდევნია სახლიდან, არც ვალებს, ერთი სიტყვით, არავითარი განსაკუთრებული მიზეზი არ არსებულა. მაშ, რაღა მოხდა?.. იმას, რაც ჭაბუკმა თქვა, უბრალოდ არავითარი აზრი არა აქვს. თვითონაც არ იცოდა, როგორ აეხსნა თავისი საქციელი. მხოლოდ ეს თქვა, მეტის მოთმენა არ შემეძლოო.

— მართალიცაა, ხომ არიან ამ ქვეყნად ბოთეები...

— მაგრამ თუ დავფიქრდებით, შეიძლება ჭაბუკს გავუგოთ. რა არის გლეხი? როცა მთელი ძალ-ღონით შრომობს და მიწას აფართოებს, ამით მხოლოდ ახალ სამუშაოს იმატებს... ბოლოს და ბოლოს მის მძიმე შრომას ზღვარი არა აქვს და ერთთავად, რასაც იძენს, გახლავთ კიდევ უფრო მძიმე შრომა... თუმცა ნაშრომი ბრინჯისა და კარტოფილის სახით უკან უბრუნდება. მეტი რაღა უნდა? გლეხის მუშაობა და ქვიშასთან ჩვენი ჯახირი რა შესადარებელია. ეს ხომ იგივეა, ქვესკნელში მდინარეზე ქვების საუბარი ააგო — მივლენ ეშმაკები და ქვებს სულ ერთიან მიყრი-მოყრიან.

— მერედა, რით მთავრდება ქვესკნელის მდინარის ამბავი?

— არაფრით... და რომ არაფრით მთავრდება, სწორედ ესაა სასჯელი ცოდვების წილ!

— კი მაგრამ, რა მოუვიდა შემდეგ იმ ჭაბუკს, მემკვიდრე რომ უნდა გამხდარიყო?

— ყველაფერი წინასწარ მოიფიქრა, თანაც უთუოდ ჯერ კიდევ შინიდან წასვლამდე, და სამუშაოზე მოეწყო.

— მერე?...

— მერე მუშაობა დაიწყო..

— შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ? ხელფასის დღეს ალბათ თავის ფულს იღებდა, ხოლო კვირაობით სუფთა პერანგს იცვამდა და კინოში მიდიოდა.

— შემდეგ?

— ძნელი სათქმელია, სანამ თვით ჭაბუკს არ ჰკითხავ.

— კი მაგრამ, როცა ფული დააგროვა, ალბათ რადიო იყიდა...

...აჰა, ააღწია, როგორც იქნა. თუმცა ჯერ მხოლოდ ნახევარი გზა თუ ექნება გავლილი... არა, შეცდა... აქ სწორი ადგილია..: დიახ, მაგრამ, სად გაქრა სინათლეები?.. გზა უკვე სრულიად გულშეძრულმა განაგრძო... ეტყობა, ეს უზარმაზარი დიუნის მწვერვალია... მაშ აქედან რატომღა არ ჩანს სინათლეები? დავიღუპე, — გაიელო გულში და მუხლთ მოეკვეთა. იზარმაცა და აჰა, სამაგიეროც მიეზღო. ციცაბო ფერდობზე ისე ჩამოეშვა, ზუსტი მიმართულება არ იცოდა. ღარტაფი უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა, და არა მარტო ღრმა, ფართოც იყო. ამასთანავე ფსკერზე უწესრიგოდ აჩხორილიყო ქვიშის მრავალიარუსიანი ტალღები, რომლებიც სწორი მიმართულების არჩევაში ხელს უშლიდა. და მაინც გაუგებარია, რატომ არ ჩანს სოფლის სინათლეები... თუ გზას ასცდა კიდეც, დიდი-დიდი ნახევარი კილომეტრით აცდენოდა ან იქით, ან აქეთ. სვლით სულ მარცხნივ მიდიოდა, ალბათ იმიტომ, რომ სოფლის ეშინოდა. გრძნობდა, რომ სინათლეებთან მისაახლოებლად მარჯვნივ უნდა ევლო... მალე ნისლი გაიფანტა, ვარსკვლავები გამოაჭყეტენ თვალს... ერთი სიტყვით, რაც უნდა ყოფილიყო, ყველაზე უკეთესი და უსწრაფესი საშუალება მიდამოს დასათვალიერებლად ის გახლდათ, რომ უნდა ასულიყო დიუნზე, სულ ერთია რომელზე, ოღონდაც ყველაზე მაღალ დიუნზე...

მაინც გაუგებარია... სრულიად გაუგებარი, რად მიჯაჭვია ქალი ამ ქვესკნელის მდინარეს... აი, როცა სამშობლოს სიყვარულზე, მოვალეობაზე ლაპარაკობენ, ასეთ ლაპარაკს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მასზე უარის თქმით, თუ ამათვის ზურგის შექცევით რაღაცას კარგავ. ქალს კი რა ჰქონდა დასაკარგავი? (რადიო და სარკე.. რადიო და სარკე...).

მიმღებს, რა თქმა უნდა, გამოუგზავნის... მაგრამ ამას უკუშედეგი ხომ არ მოჰყვება: ქალმა უფრო მეტი ხომ არ დაკარგა, ვიდრე შეიძინა? ბოლო მოეღო, მაგალითად, ჩემთვის აბაზანის მომზადების ცერემონიას, აგრე რიგად რომ უყვარდა მას. ოეცხვაზეც კი იღებდა ხელს და ყოველთვის იტოვებდა წყალს, რათა დაბანა შემძლებოდა. ჩემს ფეხებშუა თბილ წყალს ათქაფუნებდა და, მოკრუნჩხული, ხმამაღლა იცინოდა, თითქოს მას ბანდნენ. ახლა ასე ველარ იცინებს.

არა, თავს ნუ იტყუებ... მე და შენ თავიდანვე არავითარი ხელშეკრულება არ გვქონია. და რაკი ხელშეკრულება არ ყოფილა, მაშასადამე, არც დარღვეულა. ამასთანავე არც იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ყოველივე მეც არ შემხებია. იგულისხმება, მაგალითად, სული თითქოსდა ნეზვისგან გამო[illegible]ფასიანი არყისა, რომელსაც კვირაში ერთხელ ვლებულობდით... [illegible]ული კუნთებისგან მოწნული ბარძაყები... სირცხვილის გრძნობა, როცა ნერწყვით დასველებული თითით შემცხვარი რეზინის მაგვარ ქვიშას ვაცლიდი... და ბევრი სხვა. ყველაფერი რომ ერთად ჩამოვთვალოთ, ცოტა როდი გამოვა. გინდ დაიჯერე, გინდ არა, ფაქტი ფაქტად რჩება: კაცი ქალზე უფრო მეტად აძლევს ხოლმე მნიშვნელობას წვრილმანებს.

ხოლო თუ იმას გაიხსენებ, რა დღე დამმართა სოფელმა, მაშინ ჩემთვის მოყენებული ზარალის აღნუსხვაც კი შეუძლებელია. ამასთან შედარებით ჩემი და ქალის დამოკიდებულება რას წარმოადგენს.

მაგრამ აღარ იქნება თუ გვიან. კაცი სოფელს მთლიანად გადაუხდის სამაგიეროს... თუმცა ჯერ კიდევ არ იცის, როგორი დარტყმა აგემოს, რომ მეტი ტკივილი აგრძნობინოს... შეიძლება ცეცხლი წაუკიდოს, ან მოწამლოს ჭები, ან მახეები დააგოს და ქვიშის ორმოებში სათითაოდ ჩაყაროს ყველა, ვისაც კი ბრალი მიუძღვის მის უბედურებაში — ასე მიამიტად ალაგზნებდა კაცი პირველ ხანებში წარმოსახვას და იგულიანებდა თავს. მაგრამ ახლა, როცა ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევა მიეცა, უკვე არ შეეძლო ამ ბავშვურ ოცნებებს აჰყოლოდა. მერედა რა ექნა ერთ კაცს? კანონისთვის უნდა მიემართა, სხვა გზა არ არსებობდა. თუმცა ამ შემთხვევაში არც ის იყო გამორიცხული, რომ კანონი მომხდარი ამბის არსს ვერ ჩაწვდებოდა... კეთილი, დროს არ დავკარგავ და თავდაპირველად თუნდაც ადგილობრივ პოლიციას ვაცნობებ ყველაფერს.

დაბოლოს იყო კიდევ ერთი რამ...

მოიცა! ეს რა ხმა იყოს?... არა, ირგვლივ სიწყნარეა... იქნებ უბრალოდ მომეჩვენა? მაინც სად გაქრა სოფლის სინათლეები? მაღალი დიუნის იქით რომც არ ჩანდნენ, სულ ერთია, საშინელებაა. შეიძლება წარმოიდგინო, რა მოხდა: ჩემს საქვეყარს ჩვეულებად აქვს მარცხნივ აიღოს გეზი, მეც ერთობ შორს წავედი კონცხის მხარეს, და ახლა სოფელს რაღაც მაღალი კლდე ეფარება... დაგვიანება არ ეგების... ამიტომაც ვცდი მარჯვნივ ვიარო.

...დაბოლოს, არ მინდოდა ერთი რამეც დაგვიწყებოდა. გახსოვს, არა და არ მიპასუხე კითხვაზე. მაშინ ორი დღე გადაბმულად წვიმდა. წვიმის დროს საშიშია მეწყერი ჩამოწვეს, სამაგიეროდ ჰაერში ქვიშა თითქმის არ დაფრინავს. პირველ დღეს ჩვეულებრივზე ცოტა მეტი ვიმუშავეთ, ამიტომ მეორე დღეს სულია მოთქმა შევძელით. დიდი ხნის ნანატრი დასვენებით ვისარგებლე და გადავწყვიტე, როგორმე ჭუშმარიტებისთვის მიმეკვლია. ჯიუტად, თითქოს სხეულიდან ფუფხს ვიძრობდი, გულში ჩავიბუჭდე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, სიმართლე გამომეაშკარავებინა, გამეგო, რატომ აღმოვჩნდი ამ ორმოში. განმაცვიფრა შენმა სიჯიუტემ. თავდაპირველად მხიარულად იდექი წვიმაში გაშიშვლებული, ბოლოს კი, როცა იძულებული გახდი გეპასუხა, ატირდი და თქვი: ორმოდან მხოლოდ იმიტომ არ შემიძლია წასვლა, აქ ქმარი და ბავშვი დამელუპა, ტაიფუნის დროს საქათმესთან ერთად ქვიშაში დაიმარხნენო. თუ ასეა, შენი გაგება მართლა შეიძლება, მიზეზი საესებით საკმარისია. და ნათელია, აქამდე

რატომ გაურბოდი ამაზე ლაპარაკს. მინდოდა შენთვის დამეჯერებინა. ამიტომ გადავწყვიტე მეორე დღესვე ძილისთვის ცოტა დრო წამეგლიჯა და დაღუპულები მეძებნა.

ორი დღე ვთხრიდი შენ მიერ ნაჩვენებ ადგილას, მაგრამ არათუ ნეშტის ხსენება, დანგრეული საქათმის კვალიც კი ვერ ვიპოვე. შენ [illegible] ადგილი მიჩვენე. იქაც ვერაფერი აღმოვაჩინე. მერე სულ ახალ და [illegible] ადგილებზე მიგყავდი. ხუთ სხვადასხვა ადგილას ცხრა დღე ამაოდ ვეძებდი დაღუპულებს. და კვლავ დაიწყე თავის მართლება, საცაა ტირილი წაგსკდებოდა. თქვი, სახლი ალბათ სხვა ადგილას იდგა, ქვიშის განუწყვეტელმა დაწოლამ იქნებ ადგილიდან დაძრა და შემოაბრუნაო. ან კიდევ თვით ორმო გადაადგილდაო. შეიძლება საქათმეცა და ქმარ-შვილის ნეშტიც შენი და მეზობლის სახლების გამყოფი ქვიშის სქელი კედლის ქვეშაა მოქცეული. ისიც შესაძლებელია, რომ ახლა მეზობლის ორმოში არიან მოხვედრილნი. თეორიულად ეს არაა გამორიცხული, მაგრამ შენი უბედური, გულის დამამძიმებელი შესახედაობა აშკარად მეტყველებდა, რომ გულში ჩემი მოტყუება კი არ გედო, იმთავითვე არ გინდოდა სიმართლე გეამბნა, დაღუპულები მხოლოდ მოიმიზეზე: ეგ იყო და ეგ. მე უკვე უბრალოდ ძალა არ შემწევდა გავბრაზებულიყავ და გადავწყვიტე, თავი აღარ მემტვრია იმის გასარკვევად, ვინ ვისგან იყო დავალებული. მგონი, შენც უნდა გაგეგო ეს...

რა არის ეს!.. კაცი ზარდაცემული დაეცა მიწაზე... ყველაფერი ელვის უსწრაფეს მოხდა, იგი ვერაფერს მიხვდა... წინ მოულოდნელად ამოეზარდა სოფელი!... ეტყობა, პირდაპირ სოფლის მომიჯნავე დიუნის წვერისკენ მიდიოდა... და აი, იმ წამს, როცა თვალწინ მთელი პანორამა გადაეშალა, დაინახა, რომ სოფელში იმყოფებოდა... გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, გვერდით, ტყრუშულის გადაღმა ძაღლის ყეფა გაისმა. ამ ძაღლს მეორე აჰყვა, მეორეს კიდევ მესამე, მეოთხე და ყეფა ჯაჭვურ რეაქციასავით მოედო მიდამოს. უკუნეთში კაცისკენ კბილებდაღრჭენილი მიიწევდა ერთ მუშტად შეკრული ხროვა. მაკრატელმიბმული თოკი ამოიღო და გაიქცა. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ისღა დარჩენოდა, უმოკლესი გზით გაერბინა სოფელი.

26

გარბოდა კაცი.

მკრთალი სინათლეებით მოციაგე სახლები ხან გზას ულევდნენ, ხან წინ ელობებოდნენ. ყურის ვიწრო ხვრელში ზუზუნით შეჭრილი ქარის გემო... ჟანგის გემო... საშიში ნომერი თხელ მინაზე, რომელიც საცაა ნამსხვრევებად იქცევა. ახლა იმის იმედი არაა, რომ ქვიშის მზიდავნი შინიდან არ არიან გამოსულნი, არც იმის იმედია, რომ უკვე სანაპიროს მიაღწიეს. პიკაპს თითქოსდა ჯერ არ ჩაუვლია. შეუძლებელია ერთ კილომეტრზე არ გაეგონა ორტაქტიანი ძრავის ჯოჯოხეთური ტრახტრახი. საზიზღარი მდგომარეობაა.

მოულოდნელად წყვდიადიდან შავი გუნდა გამოიჭრა. ქშენაზე ეტყობოდა, დიდი ძაღლი უნდა ყოფილიყო. ძაღლი თითქოს თავდასხმას არ იყო ნაჩვევი და, ვიდრე კაცს ეცემოდა, ხმამაღლა ყეფას მოჰყვა. კაცმა მაკრატელმობმული თოკი მოუქნია და მოარტყა. ძაღლი საცოდავი წკავწკავით მიიმალა სიბნე-

ლეში. საბედნიეროდ კაცს მხოლოდ შარვლის პატარა ნაკუწი მოაგლიჯა. კაცი ერთობ ცქაფად მოწყდა ადგილს, მაგრამ ფეხები აებლანდა, წაიქცა და მიწაზე გაგორდა. იგი მაშინვე წამოხტა და გაიქცა.

თურმე მარტო ის ძაღლი არ დასხმია თავს. სულ ხუთნი თუ ექვსნი ყოფილიყვნენ. პირველის მარცხით შეშინებული კაცს ახლა ხმამაღლა ყეფით არტყამდნენ ალყას და ხელსაყრელ წამს უცდიდნენ, რომ დაგლეჯდნენ. მათ შეიძლება სწორედ ის დანგრეული ქოხიდან გამოსული წითური ძაღლი ასისიანებდა. კაცმა ბოლოდან ორმოცდაათ სანტიმეტრზე ჩაავლო თოკს ხელი და მთელი ძალით დაატრიალა თავზემოთ. ძაღლებისგან ასეთნაირად დაიცვა თავი, დამტვრეული ნიჟარების გროვას გადაევლო, ტყრუშულებს შორის ვიწრო გასასვლელი გაირბინა, შემდეგ რომელიღაც ეზო გადაჭრა, სადაც მიწაზე ჩალა შრებოდა, და ბოლოს ფართო გზაზე გაიჭრა. ცოტაც და სოფელი დამთავრდებოდა!

გზის გაყოლებაზე ვიწრო ნარვალი მიდიოდა. იქიდან უცებ ორი ბავშვი ამოძვრა, თითქოსდა და-ძმა. კაცმა ძალზე გვიან შეამჩნია ისინი, თოკი მოსწია, რომ მაკრატელი ბავშვებს არ წამოსდებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და სამივე ნარვალში ჩაცვივდა. ნარვალში ლარი ყოფილიყო ჩადებული. გაისმა ფიცრის ჭახანი და ბავშვებიც აღრიალდნენ. ნეტა ასე რა აბღავლებთ ამ ეშმაკის მოციქულებს!.. კაცმა მათ მთელი ძალით ჰკრა ხელი, ზემოთ ამოძვრა. იმავ წუთს სამრიგად ჩამწკრივებული ფარნების შუქმა გზა გადაუჭრა.

დაჰკრა ზარმა. ბავშვები ხმამაღლა ტიროდნენ... ძაღლები ყეფას განაგრძობდნენ... ზარის ყოველ დარეკვაზე კაცს გული მტკივნეულად ეკუმშებოდა. გახსნილი ფორებიდან ბრინჯის მარცვლებივით ურიცხვი მწერი გამოუცოცდა. ერთ-ერთ ფარანს, ეტყობა, სინათლის თავმოყრის მოწყობილობა ჰქონდა — მისი შუქი ხან იშლებოდა, ხან უცებ წვრილი გავარვარებული ნემსივით ეძგერებოდა.

პირდაპირ ხომ არ ეცეს ამათ და წიხლის კვრით მიყარ-მოყაროს?.. თუ თავი დააღწია, სოფლის იქით აღმოჩნდება... ინანებს, არ ინანებს, ყველაფერი ამ წუთზეა დამოკიდებული... აბა, კმარა ზოზინი!.. თორემ გვიან იქნება... კიდევ ცოტაც და მდევრებს შეუძლიათ ზურგში მოექცნენ — მაშინ მოგჭამა ჭირი ყველაფერმა!

ვიდრე კაცი ყოყმანობდა, ფარნებმა ალყის შემორტყმა დაუწყეს, მარჯვნიდან და მარცხნიდან, სულ ამცირებდნენ და ამცირებდნენ მანძილს. კაცმა უფრო ჩაბღუჯა თოკი და ერთნაირად დაიძაგრა, მაგრამ ვერ გაბედა მოქმედება. ფეხის წვერები სულ ღრმად და ღრმად ეფლობოდა რბილ ნიადაგში. ფარნებს შორის თანდათან გაზრდილი სივრცეც ადამიანთა ჩრდილებმა შეავსეს. რამდენნი არიან? გზის პირას ორმოს მოხაზულობის მაგვარი რაღაცაა, აჰ, არა, ეს პიკაპია. წინ რომ გაიჭრას, უკანიდან სტაცებენ ხელს. ზურგის მხრიდან გაქცეული ბავშვების ფეხების ბაკუნი მოესმა. ბავშვები აღარ ტიროდნენ. წამით საშინელმა აზრმა გაუელვა: ხელი ეტაცა მათთვის და ფარად გამოეყენებინა! ბავშვები მძევლებად ეყოლებოდა და ამ არამზადებს მოახლოების ნებას არ მისცემდა. მაგრამ როცა ბავშვების დასაჭერად შემობრუნდა, ახალი მოდარაჯე სინათლეები დაინახა. გზა მოჭრილი იყო!

კაცი ზამბარასავით გაიჭრა უკან, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, იმავე გზით, რომლითაც აქ მოაღწია. თითქმის შეუცნობლად მოიმოქმედა ეს, იმედოვნებდა,

ისეთი ადგილი ეპოვა, სადაც გადაკვეთდა დიუნს, კონცხის გაგრძელებასავით რომ ჩანდა. ლამის მთელი სოფელი მოსდევდა ღრიალით. მეტისმეტი დაძაბულობისგან ფეხები დაუსუსტდა, თითქოსდა მყესები ამოაცალესო. იქნებ იმიტომ, რომ მდევრები მოულოდნელობისგან სახტად დარჩნენ. ჯერ კიდევ ახერხებდა საკმაო დისტანციის შენარჩუნებას, რაც საშუალებას აძლევდა დროდადრო მოეხედა და დაენახა, სად იყვნენ ისინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მანძილი გაირბინა?.. უკვე რამდენიმე დიუნი გადაიარა. რაც უფრო მეტ ძალას ხარჯავდა, მით უფრო ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ამაო იყო, რომ ერთ ადგილზე დარბოდა, როგორც სიზმარში. მაგრამ ახლა იმის განსჯის დრო არ გახლდათ, რაოდენ ეფექტურად ხარჯავდა ძალას. პირში თაფლში არეული სისხლის გემო გაუჩნდა. უნდოდა გადმოეფურთხებინა, ნერწყვი კი მწებვარე იყო და არაფრით არ შორდებოდა. იძულებული გახდა თითით გამოეღო.

ზარი ისევ რეკავდა, მაგრამ უკვე კარგა მანძილით იყო დაცილებული და მისი ხმა დროდადრო მთლად წყდებოდა ხოლმე. ძაღლებიც ჩამორჩნენ, ახლა სადღაც შორს ყეფდნენ. კაცს მხოლოდ საკუთარი სუნთქვის ხმიანობა ესმოდა, რომელიც ლითონზე ქლიბის ხრაჭუნს მოგაგონებდათ. მდევართა სამივე ფარანი, წინანდებურად გაწალიკებული, ზემოთ-ქვემოთ ირხეოდა, თითქოს არც ახლოვდებოდა, მაგრამ არც უკან რჩებოდა. დევნილსაც და მდევარსაც ერთნაირად უჭირდათ სირბილი. ახლა ის გაიმარჯვებდა, ვინც უფრო გამძლე იყო. იქნებ ერთობ ხანგრძლივი დაძაბულობის შედეგად კაცს ნებისყოფა წაერთვა, სისუსტე შეეპარა — სურვილი იმისა, რომ ძალა სწრაფად გამოლეოდა. საშიში ნიშანია... მაგრამ ვიდრე ამ საშიშროებას გრძნობს, ჯერ კიდევ არა უშავს რა...

წაღები ქვიშით აქვს სავსე, თითები სტკივა. მოიხედა. მდევრები სამოცდაათი-ოთხმოცი მეტრით ჩამორჩნენ, ოდნავ მარჯვნივ არიან. რატომ გავიდნენ განზე? ალბათ აღმართებს მოერიდნენ, და აი, განზე აღმოჩნდნენ... აქ ამბობენ, მდევარი უფრო ჩქარა ილლებაო. კაცმა მყის გაიხადა ფეხზე და ფეხშველა გაიქცა... წაღები ჯიბეში რომ ჩაეწყო, ხელს შეუშლიდა, ამიტომ ქამარში გაირჭო. მუხლებში ქარი ამოიღო და ერთი სულის მოთქმით აათავა საკმაოდ ციცაბო აღმართი... საქმე თუ ასე წავიდა, იქნებ თავი დაეღწია ამ ქვემძრომებისთვის. .

მთვარე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ვარსკვლავების შუქმა ირგვლივ ყველაფერი მუქ-ნათელი ლაქებით გადააჭრელა და მკაფიოდ გამოჩნდა შორეული დიუნების თხემები. კაცი თითქოს კონცხისკენ მირბოდა. აი, კვლავ მარცხნივ იღებს გეზს. ის-ის იყო მიმართულების შეცვლა დააპირა და უცებ მოისაზრა, რომ ამით მანძილს შეამცირებდა თავის თავსა და მდევრებს შორის. სწორედ ამ წუთს ჩაწვდა მათ გეგმას და შეშინდა.

დიახ, მდევრების მიერ ერთი შეხედვით უხეიროდ არჩეული გზა სინამდვილეში კარგად მოფიქრებული აღმოჩნდა. ცდილობდნენ ლტოლვილი ზღვასთან მიემწყვდიათ. ლტოლვილმა ეს არ იცოდა და სულ მათ ხელში იყო. როცა დაფიქრდა, მიხვდა, ჯიბის ფარნებით მე მიჩვენებენ, თუ სად იმყოფებიანო. მაშასადამე, სულ ერთი და იმავე მანძილით რომ იყვნენ მისგან დაცილებულნი, არც უახლოვდებოდნენ და არც შორდებოდნენ, ესეც განზრახ იყო.

არა, დანებება ჯერ კიდევ ადრეა. სადღაც კლდეებზე ასასვლელი გზა უნდა იყოს და, თუ სხვა გამოსავალი არ იქნა, შეიძლება ზღვით, ცურვით შემოუაროს კონცხს. საჭიროა ყოველგვარი მერყეობა დაძლიოს, ამისთვის საკმარისია წარმოიდგინოს, როგორ დაიჭერენ და ისევ ორმოში ჩააგდებენ.

გრძელი დამრეცი აღმართის იქით ციცაბო დაღმართი... ნაბიჯი, კიდევ ნაბიჯი — თითქოს მძივს მძივზეასხამენ; ეს მოთმინების შემოწმებაა. რომელიღაც წამს ზარი გაჩუმდა. შეუძლებელია იმის გარკვევა, რა ესმის — ქარის ზუზუნი, ზღვის ხმაური თუ უბრალოდ ყურები უწივის. ერთ-ერთ მაღლობზე ასულმა უკან მოიხედა: სინათლეები აღარ ჩანდა. მცირე ხანს დაელოდა, მაგრამ ისინი არ გამოჩენილან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭოს! ნუთუ მათ თავი დააღწია?

იმედმა გულის ბაგაბუგი აუტეხა. თუ მართლა ასეა, ახლა დასვენება მით უმეტეს არ შეიძლება... მაშ კიდევ ერთხელ უნდა მოითქვას სული და გასწიოს წინ, მომდევნო დიუნამდე!

სირბილი რატომღაც ძალიან უჭირდა, ფეხები დაუმძიმდა. სიმძიმეც რაღაც უჩვეულო იყო. უბრალოდ კი არ გრძნობდა ამ სიმძიმეს, ფეხები მართლა ეფლობოდა ქვიშაში. თითქოს თოვლში მივდივარო, გაიფიქრა: წვივები უკვე ნახევრად ქვიშაში ჰქონდა ჩაფლული. შეშინდა, სცადა ცალი ფეხი ამოეწია, მაგრამ მეორე ჩაეფლო მუხლამდე. ეს რა ხდება?.. გაგონილი ჰქონდა, არსებობს ქვიშები, ადამიანებს რომ ნთქავენო... მთელი ძალღონით ცდილობდა ქვიშისთვის თავი დაეღწია, მაგრამ რაც უფრო წვალობდა, მით უფრო ღრმად ეფლობოდა. უკვე თითქმის ბარძაყებამდე ჩაიფლო.

იქნებ ეს უბრალოდ მახეა?! იქნებ მდევრები სწორედ აქეთ მოერეკებოდნენ და არა ზღვისკენ!.. უნდათ იაე მოსპონ, ძალა არ დახარჯონ მის შეპყრობაზე!.. ეს ნაღდზე ნაღდი მოსპობაა... ასე მარჯვედ მეფოკუსესაც კი ვერ გამოუვიდოდა. ქარი ერთს დაიქროლებს და მთლიანად დაიფარება ქვიშით... ჰოდა, ვეღარც პოლიციელის ძაღლი მოძებნის, კონკურსში პირველი პრემია რომ აქვს მინიჭებული... ეს არამზადები ნამდვილად აღარ გამოჩნდებიან!.. არაფერი გვინახავს, არაფერი გაგვიგონიაო... ვიღაც ჩამოსულს თვითონ დაებნა გზა და დაიღუპაო.... არამზადები საქმეს ისე აწყობენ, ხელსაც არ ისვრიან...

ვიხრჩობი... ვიხრჩობი... უკვე წელამდე ვარ ქვიშაში... რა ვიღონო?... თუ ქვიშასთან შეხების ფართობის გადიდებას მოახერხებს, სხეულის წნევა ყოველ წერტილში შემცირდება და მეტად აღარ ჩაიფლობა... ხელები გაშალა და მკერდით გაწვა ქვიშაზე... მაგრამ უკვე გვიან იყო. მუცლით კი იწვა, მაგრამ სხეულის ქვედა ნაწილი ვერტიკალურად ჰქონდა. მას წელი სტკიოდა, ამიტომ მართი კუთხით დგომაც აღარ შეეძლო. ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვერც სხვა გაჩერდებოდა, თუნდაც ნავარჯიშევი სპორტსმენი ყოფილიყო.

მერედა, როგორ ბნელა... მთელმა სამყარომ თვალი დაიბრმავა და სმენა დაიხშო... აქ სული გაგძვრება და შენკენ კაციშვილი არ გამოიხედავს! უცებ სადღაც ყელის სიღრმეში მიმალული შიში გარეთ გამოიჭრა. კაცმა პირი დააღო და ცხოველივით დაიღმუვლა:

— მიშველეთ!

გაცვეთილი სიტყვაა!.. იყოს მერე გაცვეთილი... დაღუპვის პირას მისულს რა ორიგინალობა. რაც უნდა იყოს ,უნდა იცოცხლოს, თუნდაც მისი სიცოცხლე ზუსტად დაემსგავსოს სხვებისას, როგორც ერთსა და იმავე ყალიბში გამომცხვარი იაფფასიანი ნამცხვარი! მალე ქვიშა მკერდამდე ააღწევს, ნიკაპამდე, ცხვირის წვერამდე... კმარა! კმარა!

— მიშველეთ!.. ყველაფერს გპირდებით, რაც გინდათ!.. გევედრებით, მიშველეთ!.. გევედრებით!

ვეღარ გაძლო. პირველად მარტო სლუკუნებდა. შემდეგ გულამოსკვნით აქვითინდა. ძრწოლით მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა, მორჩა. ახლა აღარაფერს მნიშვნელობა არა აქვს მაინც ვერავინ ხედავს... დასანანია რა თქმა უნდა, რომ ეს ყოველივე ამგვარ შემთხვევაში აუცილებელი პროცედურის გარეშე ხდება... როცა სიკვდილმისჯილი კვდება, შეუძლია წერილი დატოვოს, აქ კი რამდენიც უნდა იღრიალო... ყურადღებას არავინ მოგაქცევს. ცუდია!

კაცს მაინცდამაინც არ გაკვირვებია, როცა უკნიდან უცებ ხმები შემოესმა. იგი დამარცხებული იყო. სირცხვილის გრძნობა ჩანავლებოდა და ფერფლად ქცეოდა ჭრიჭინას დამწვარ ფრთასავით.

— ჰეი, ხელი ჩაავლე!

ქვემოთ გრძელი ფიცარი ჩამოცურდა და ფერდზე მიებჯინა. სინათლის სხივმა სიბნელეში წრე მოხაზა, შემდეგ ფიცარი გაანათა. კაცმა შებოჭილი სხეული ძლივს მოაბრუნა იმ მხარეს, საიდანაც ხმები ისმოდა, და საცოდავად ითხოვა:

— უკაცრავად, იქნებ თოკით ამომიყვანოთ...

— ო, რას ამბობთ, კუნძი ხომ არა ხართ, რომ ამოგაგდოთ.

უკან გაიცინეს. ზუსტად ვერ გაარკვევდი, მაგრამ იქ ხუთი-ექვსი კაცი მაინც იქნებოდა.

— ცოტაც მოითმინეთ, უკვე ნიჩბების მოსატანად წავიდნენ... ფიცარს იდაყვებით დაებჯინეთ და ყველაფერი რიგზე იქნება..

კაციც იდაყვებით დაეყრდნო ფიცარს და თავი ხელისგულებზე დაუშვა. თმა ოფლმა დაუსველა. არაფერს გრძნობდა, უნდოდა მხოლოდ რაც შეიძლება ჩქარა დაეღწია თავი ამ დამამცირებელი მდგომარეობისთვის.

თქვენი ბედი, რომ უკან მოგდევდით. აქ ისეთი საფლობია, ძაღლებიც არ ეკარებიან სიახლოვეს... დიდ საფრთხეში იყავით. არც კი ვიცი რამდენი ადამიანი შემოხეტებულა ამ მიდამოში ისე, რომ არაფრის ეჭვი ჰქონია, და უკან აღარ დაბრუნებულა.. აქ, მთების გადმოღმა, მყუდრო ადგილია, ჰოდა, ქვიშა იყრება და იყრება... როცა ზამთარი დგება, ქვიშას ათოვს, თოვლს ისევ ქვიშა ეფინება... შემდეგ ისევ თოვლი და ასეა ეს ასი წელი. ქვიშა და თოვლი გამოუცხობელი ფენოვანი ვაფლივით ხდება... ამას გვეუბნებოდა არტელის ყოფილი თავმჯდომარის ვაჟი, აი, ის, ქალაქს რომ წავიდა სასწავლებლად... საინტერესოა, არა?.. თუ ფსკერამდე გათხრას ეცდები, შეიძლება ფასეული რამე იპოვო.

რისთვის ეუბნება ამას?! თანაც ისეთი გამომეტყველებით, თითქოს სპექტაკლი და ბრალი არაფერში მიუძღვის. მორჩეს ყბედობას... ახლა უფრო ლაზღანდარობაა უპრიანი... სულაც უკეთესია — წავიდეს და მარტო დასტოვოს ამ თავისი დამსხვრეული იმედების ამარა...

რაღაც გამოცოცხლებაა — ეტყობა, ნიჩბები მოიტანეს. სამმა კაცმა ლანჩებზე ფიცრები დაიმაგრა და კაცის გარშემო, ცოტა მოშორებით თხრა დაიწყეს. ფიცრებზე ძლივს იცავდნენ წონასწორობას. ბელტს ბელტზე იღებდნენ. ოცნებებიც, სირცხვილიცა და სასოწარკვეთილებაც სულ ამ ქვიშაში იყო ჩამარხული. არც გაკვირვებია, როცა მხრებში ხელი ჩაავლეს, რომ ებრძანებინათ. შარვალს ჩაიხდიდა და მდევრების თვალწინ მოისაქმებდა. ცას შუქი მოეფინა, ალბათ უკვე მთვარეც გამოანათებს. როგორი შემხედვა

ქალი?.. რა მნიშვნელობა აქვს, როგორ? ახლა შეუძლიათ, კაცი როგორც ნებავთ, ისე წკეპლონ, მან კი უნდა მოითმინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27

კაცს იღლიებში თოკი შემოახვიეს და კვლავ ორმოში ჩაუშვეს საპალნესავით. არავის სიტყვა არ დაუძრავს, თითქოს მის დასაფლავებაზე იყვნენ მოსულნი. ორმო ღრმაა და ბნელი. დიუნებს თხელი ბზინვარე აბრეშუმივით დაეფინა მთვარის შუქი; ქარის მიერ მოხაზული ნახჭები, ადამიანის ნაფეხურებიც კი შუქმა ნაოჭებად გაქვავებულ, მბრწყინავ მინად აქცია. მხოლოდ ორმოს არ სურდა ამ სურათს შერთვოდა და წყვდიადში იყო გახვეული. მაგრამ კაცს სულ არ აღელვებდა ეს ყოველივე. როცა თავი ასწია და მთვარეს შეხედა, იმწამსვე იგრძნო, რომ გული ერეოდა და თავბრუ ესხმოდა, ისე საშინლად დაიღალა.

ამ უკუნეთში ქალი კიდევ უფრო მრუმე ლაქასავით ჩანდა. კაცი მისი დახმარებით ძლივს მილასლასდა საწოლამდე, მაგრამ თვით ქალს იგი რატომღაც ვერ ხედავდა. და არა მარტო მას ვერ ხედავდა, ირგვლივ ყველაფერი თითქოსდა ნისლში გადღაბნილიყო. მაშინაც კი, როცა ლეიბზე დაეცა, ისევ და ისევ ქვიშაზე გარბოდა... სიზმარშიც გარბოდა. ეძინა მოუსვენრად. ნათლად ახსოვდა ძირს დაშვებული და ზემოთ ამავალი კალათების ხმაური, ძაღლების შორეული ყეფა. იცოდა, რომ ქალი შუაღამისას საჭმელად მოვიდოდა და მის საწოლთან ლამპას აანთებდა. მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გაიღვიძა, როცა წყლის დასალევად ადგა. ქალს რომ მუშაობაში დახმარებოდა, ამის ძალა აღარ შესწევდა.

ლამპა აანთო და სიგარეტს მოუკიდა. შემდეგ დაბნეულად მიიხედ-მოიხედა. მსუქანმა, მაგრამ ცქვიტმა ობობამ ლამპის ირგვლივ სირბილი დაიწყო. ეს რომ ფარვანა ყოფილიყო, კაცს არ გაუკვირდებოდა, მაგრამ სინათლე ობობას იზიდავდეს, — უცნაურია. უკვე უნდოდა სიგარეტით დაეწვა, და გადაიფიქრა. ობობა წამის ისრის სიზუსტით, თხუთმეტი-ოცი სანტიმეტრის დაშორებით ტრიალებდა ლამპის ირგვლივ. იქნებ მარტო სინათლე არ იზიდავდა? არა, იგი სხვა რამეს ელოდა. ჰოდა, ლამპის სინათლეზე მოფრინდა კიდეც ფარვანა. ფარვანა რამდენჯერმე მიეჯახა ლამპის შუშას და მისი ჩრდილი გადიდებულად აღიბეჭდა ჭერზე; შემდეგ ფარვანა ლითონის სადგამზე დაეცა და აღარც განძრეულა. რაღაც უცნაური ფარვანა იყო, ერთობ საზიზღარი. კაცმა სიგარეტი მიაჭირა. ფარვანას ნერვული ცენტრები დაუდამბლავდა; ჯერ კიდევ იკრუნჩხებოდა, როცა კაცმა ობობას სარბენ ბილიკზე დააგდო. გათამაშდა მის მიერ ნაგულისხმევი დრამა. ობობა წამში მივარდა და ჯერაც ცოცხალ ფარვანას ეძგერა. შემდეგ ისევ დაიწყო ტრიალი, თან თავის უკვე უძრავ მსხვერპლს მიათრევდა. ეტყობა, წინასწარ ტკბებოდა, როგორ შთანთქავდა მსუყე ფარვანას.

კაცმა არც კი იცოდა, ასეთი ობებები თუ არსებობდნენ. რა ჭკვიანურად გამოიყენა ლამპა ქსელის მაგივრად. ქსელის მოქსოვის შემდეგ უნდა ელოდოს, როდის გაებმება შიგ რომელიმე მწერი, ლამპის დახმარებით კი მსხვერპლი შეიძლება თვითონ შეაცდინო. ამისთვის საჭიროა მხოლოდ სინა-

თლის შესაფერისი წყარო. სამწუხაროდ, ბუნებაში ამგვარი წყაროები არ მოიძევება. მთვარე ან ტყის ხანძრები საამისოდ საეჭვოა გამოდგეს. შეიძლება ეს ობობა რაღაც ახალი სახეობაა, რომელმაც ადამიანის კვლავ ევოლუცია განიცადა და თავისი ინსტიქტები გამოიმუშავა... არცთუ ცუდი განმარტებაა.. მაგრამ ის როგორღა ავხსნათ, რომ სინათლე ფარვანებს იზიდავს?.. ფარვანა ობობა როდია. საეჭვოა, ლამპის სინათლე ხელს უწყობდეს ამ მწერთა შენარჩუნებას, თანაც ეს მოვლენა ხელოვნური სინათლის გაჩენის შემდეგ აღმოცენდა. დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება გამოდგეს თუნდაც ის, რომ ფარვანები არ შეგროვილან და მთვარისკენ არ გაფრენილან.

კიდევ გასაგები იქნებოდა, რომ მსგავსი ინსტინქტი მწერთა რომელიღაც ერთ სახეობას ჰქონოდა. მაგრამ ეს ინსტინქტი ხომ საერთოა ყველა ფარვანისთვის, რომელთა სახეობა ათი ათასამდეა. მაშასადამე, აქ რაღაც გარკვეული უცვლელი კანონია: ფრთების ბრმა, გამალებული რხევა, გამოწვეული ხელოვნური შუქით. იდუმალი კავშირი სინათლეს, ობობას და ფარვანებს შორის... თუ კანონი შეიძლება ასე უგნურად გამოვლინდეს, მაშინ რაღა უნდა ირწმუნო?

კაცმა თვალები დახუჭა... წინ მქრქალი ათინათები გაუცურდა...

როცა ათინათების დასაჭერად ხელებს იწვდიდა, ისინი აქეთ-იქით აწყდებოდნენ და უჩინარდებოდნენ... როგორც ესპანურას ჩრდილები ქვიშაზე...

კაცი ქვითინმა გაალვიძა.

— რად ტირი?

ქალმა სცადა დაბნეულობა დაეფარა და სწრაფად წამოდგა.

— უკაცრავად... მინდოდა თქვენთვის ჩაი ამედუღებინა...

ქალის ცრემლნარევმა ჩამწყდარმა ხმამ კაცი საგონებელში ჩააგდო. როცა ქალი დაიხარა და პატარა ღუმელის ანთება დაიწყო, ზურგი რაღაც უცნაურად უძაგძაგებდა. კაცი დიდხანს ვერ მიხვდა საქმის ვითარებას. იგი გაჭირვებით აზროვნებდა, თითქოსდა უხალისოდ ფურცლავდა ობმოდებულ წიგნს, მაგრამ კიდევ კარგი, ფურცლების გადაშლა შეეძლო ,უეცრად საშინლად შეებრალა თავი.

— არ მოხერხდა...

— ჰო...

— ყველაფერი ასე სულელურად ჩაიფუშა.

— კი მაგრამ, ხომ არავის მოუხერხებია... ერთხელაც კი...

ქალი ტირილით ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში გულდაჯერება გამოსჭვიოდა, თითქოს ამართლებდა და ახსნას უძებნიდა კაცის მარცხს. რაც გინდა თქვი და გულისამაჩუყებელი თანაგრძნობაა. მეტისმეტი უსამართლობა იქნებოდა, არ გამოხმაურებოდა.

— მაინც დასანანია... მე ხომ გადავწყვიტე, გაქცევის კეთილად დამთავრებისთანავე რადიომიმღები მეყიდა და შენთვის გამომეგზავნა...

— რადიომიმღები?

— ჰო, დიდი ხანია მაგაზე ოცნებობ.

— ო, არა უშავს, რა საჭიროა... — ქალი გაუბედავად ლაპარაკობდა, თითქოს ბოდიშობსო. — თუ საჭიროებისამებრ ვიმუშავებ, აქაც ვიყიდი.. განვადებით გამოტანა რომ მოვინდომო, პირველი შესატანი ფული ალბათ მექნება.

— ჰო, რა თქმა უნდა. განვაღებით რომ მოინდომო...

— როცა წყალი გათბება, ვიბანაოთ?

უცებ კაცს რიგრიგობით უფერული სევდა შემოაწვა... რას იზამ, ერთმანეთს ჭრილობები უნდა აულოკონ. მაგრამ თუ დაუსრულებლად ლოკე დაუსრულებლად შეუხორცებელი ჭრილობები, ენისგან აღარაფერი დარჩება.

— ჰო, კარგი, ნუგეში რა საჭიროა... ცხოვრება ისეთი რამ როდია, ნუგეშისცემით გალიო... იქ სხვანაირი ცხოვრებაა, აქ — სხვანაირი, და ყოველთვის გგონია, თითქოს სხვისი ცხოვრება უფრო ტკბილია... ყველაზე საზიზღარი ამაზე ფიქრია: ვაითუ, ცხოვრებამ სულ ასე გაიაროს?.. ეს რა ცხოვრებაა? ეგ ხომ არავინ იცის... ეჰ, უმჯობესია, ყელამდე სამუშაოში იყო ჩაფლული და არ იფიქრო ყოველივე ამაზე...

— ვიბანაოთ?..

ქალმა ეს თითქოს კაცის გასამხნევებლად თქვა, რბილად, დამამშვიდებლად. კაცმა ნელა დაიწყო პერანგის ღილების გახსნა, შარვლის გახდა. იგი თავით ფეხებამდე ქვიშით იყო დაფარული. (რას აკეთებს ახლა ის, მეორე ქალი?) ყველაფერი, რაც გუშინდლამდე იყო, შორეულ წარსულად ეჩვენებოდა.

ქალმა პირსახოცის გაშლა დაიწყო.

მესამე ნაწილი

28

ოქტომბერი.

ზაფხული, რომელსაც არა და არ სურდა გუდა-ნაბადი აეკრა, მთელი დღის მანძილზე ისე ახურებდა ქვიშას, ზედ ფეხშიშველა წუთიც ვერ გაძლებდი. მაგრამ მზის ჩასვლისთანავე დაჩვრეტილ კედლებში ნესტიანი სიცივე იჭრებოდა და დანოტიოებული ნაცარი კერის ანთებამდე უნდა გაგეშრო. უქარო ამინდში ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის გამო დილა-საღამოს მღვრიე მდინარის მაგვარი ნისლი დგებოდა.

კაცმა სახლს უკან ყვავების დასაჭერი მახე გააკეთა და „იმედი" უწოდა. მან ქვიშის თვისება გაითვალისწინა და მახე ძალზე მარტივად მოაწყო: ამოთხარა საკმაოდ ღრმა ორმო, შიგ ხის პატარა კასრი ჩადგა. კასრს ასანთის ღერის ოდენა სამი სამაჯვალით მასზე ოდნავ მომცრო სახურავი დაამაგრა. სამსჭვალებზე წვრილი ძაფი გამობა. ძაფები სახურავის შუაგულში მიაბა. მავთულის ბოლოზე სატყუარა — გახმობილი თევზი ჩამოაცვა. ეს ყველაფერი გულმოდგინედ დაფარა ქვიშით. ჩანდა მხოლოდ პატარა ღრმულში მოთავსებული სატყუარა. როგორც კი ყვავი სატყუარას დააცხრებოდა, ქვიშა ჩაიმზღვევოდა და ყვავი ცოცხლად დაიმარხებოდა... რამდენჯერმე გამოსცადა კიდეც მახე და დარწმუნდა, რომ შეუფერხებლად მუშაობდა... უკვე ნათლად ხედავდა იმ უბედურ ყვავს, რომელიც ისე სწრაფად დაფარა ქვიშამ, ფრთების აქნევაც ვერ მოასწრო.

— თუ გაუმართლდა და ყვავი დაიჭირა, შეიძლება წერილი დაწეროს და თათზე მიაბას... რა თქმა უნდა, თუ გაუმართლა. ჯერ ერთი, ძალზე მცირე იმედი უნდა გქონდეს, რომ განთავისუფლებული ყვავი მეორედ ჩაუვარდე-

ბა ადამიანს ხელში... თან ვერც გაიგებ, საით გაფრინდება... როგორც წესი, ყვავების ფრენის რაიონი უალრესად შემოსაზღვრულია... არც ისაა გამორიცხული, რომ სოფლელები მიმოიხილავდნენ განზრახვას, თუ ერთმანეთს შეუპირისპირეს ორი ფაქტი: ჩემი ყვავის გაფრენა და ყვავების გუნდში ისეთი ყვავის გამოჩენა, რომელსაც ფეხზე ქაღალდის ნაგლეჯი იქნება მიბმული, ელოდა. ასე გულდაგულ მოფიქრებული, ეგზომ მოთმინებით განხორციელებული საქმე სულ წყალში ჩაიყრება...

მარცხით დამთავრებული გაქცევის შემდეგ კაცი ერთობ ფრთხილად იქცეოდა. შეეგუა ორმოში ცხოვრებას, თითქოს ზამთრის ძილს მიეცაო, და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, სოფლის მცხოვრებთა ეჭვები გაეფანტა. ამბობენ, ერთი და იგივეს გაუთავებლად განმეორება ყველაზე საუკეთესო შენიღბვააო. და თუ ისე იცხოვრებს, ნიადაგ ერთსა და იმავეს გაიმეორებს, შესაძლებელია ბოლოს და ბოლოს დაივიწყონ.

განმეორებას იქნებ ერთი სასარგებლო შედეგიც მოჰყვეს. მაგალითად, ორ ბოლო თვეს ქალი ყოველდღე თავაუღებლად ასხამდა მძივებს და მუშაობამ ისე გაიტაცა, სახეც კი დაუსივდა. გრძელი ნემსი ეგრევე ბრწყინავდა, როცა მუყაოს კოლოფში ჩაყრილ ლითონისფრად მბზინვარე მძივებს მის წვერს მოსდებდა. ქალის დანაზოგმა თითქმის ორი ათას იენს მიაღწია. ასე თუ კიდევ ნახევარი თვე იმუშავებდა, თანხა რადიომიმღების პირველი შესატანისთვის ეყოფოდა.

მძივებიან კოლოფის თავზე მოცეკვავე ნემსში ისეთი დიდმნიშვნელოვანი რამ გამოსჭვივოდა, თითქოს კოლოფი სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა. განმეორება ალამაზებდა აწმყოს, ბადებდა იმის შეგრძნებას, რომ გარემო რეალური იყო.

კაცმაც გადაწყვიტა, მთელი არსებით მისცემოდა ერთფეროვან ფიზიკურ შრომას: სხვენიდან ქვიშა გადმოეხვეტა, გაეცხრილა ბრინჯი, გაერეცხა; ეს ყველაფერი მის ყოველდღიურ მოვალეობად იქცა. როცა მუშაობდა (მუშაობისას ღიღინებდა ხოლმე), დრო ყოველ შემთხვევაში უფრო სწრაფად გადიოდა. საკუთარი სიამოვნებისთვის პოლიეთილენისგან პატარა მიჩიგდანი გააკეთა, რათა ძილის დროს ქვიშა არ დასცვენოდა, მოიგონა აგრეთვე ცხელ ქვიშაში თევზის მოსახარში მოწყობილობა...

გუნება რომ არ მოშხამოდა, იმ ამბის შემდეგ გაზეთებს აღარ კითხულობდა. ერთი კვირა რომ მოითმინა, კითხვის სურვილი თითქმის გაუქრა, თვის შემდეგ კი სულ დაავიწყდა გაზეთების არსებობა. ოდესღაც იგი ერთი გრავიურის რეპროდუქციამ გააოცა. გრავიურას „სიმარტოვის ჯოჯოხეთი" ერქვა. ზედ გამოსახული კაცი უცნაური პოზით მიცურავდა ცაზე. დაჭყეტილ თვალებში შიში ჩასდგომოდა. მის ირგვლივ მთელი სივრცე გარდაცვლილთა ნახევრად გამჭვირვალე ლანდებს აევსო. კაცს უჭირდა ლანდების დუნდგოში გაღწევა. გარდაცვლილნი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ხელებს იქნევდნენ და განუწყვეტლივ ელაპარაკებოდნენ. რატომ იყო ეს „სიმარტოვის ჯოჯოხეთი"? მაშინ გაიფიქრა, ალბათ სახელწოდება შეეშალათო. ახლა კი ნათლად ხვდებოდა სათაურის არსს. სიმარტოვე ეს ოცნების დაუოკებელი წყურვილია.

სწორედ ამიტომ იკვნეტენ ფრჩხილებს, როცა გულისცემა აფორიაქებთ. ეწევიან თამბაქოს, როცა აზროვნების რიტმი არ მოსწონთ, ნერვულად ძაგძაგებენ, როცა სქესობრივი აქტი არ აკმაყოფილებთ. და სუნთქვაც, სიარულიც,

ალქ-ნაწლავის მოქმედებაც, ყოველდღიური განრიგიც, ყოველ მეშვიდე დღეს დამდგარი კვირადღე, ყოველ ოთხ თვეში მოწყობილი სასკოლო გამოცდები — ეს ყველაფერი არათუ ამშვიდებდა, პირიქით, ახალი და ახალი გამძაფრებისკენ უბიძგებდა. მალე მოწეული სიგარეტების რაოდენობა გაიზარდა, ნახულობდა საზარელ სიზმრებს, რომლებშიც ვიღაც ფრჩხილებჩამჭყლეტ ქალთან ერთად უცხო თვალისგან მოფარებულ კუნჭულებს ეძებდა. და, თუკი თავს ბოლოს და ბოლოს მოწამვლის ნიშნები შეატყო, მაშინვე ფიქრით მიმართა ცას, მარტივი ციკლური, ელიფსური მოძრაობა რომ იკავებს, ქვიშის დიუნებს, სადაც ერთი მერვედი მილიმეტრის სიგრძის ტალღები ბატონობს.

ახლა ერთგვარ სიამოვნებას ანიჭებდა ქვიშასთან გაუთავებელი ბრძოლა, გაკვეთილად ქცეული ყოველდღიური შრომა, მაგრამ ვერ იტყოდი, ეს წმინდაწყლის თვითგვემაა. არ გაუკვირდებოდა, რომ ამ ბრძოლა-შრომაში საკუთარი გამოჯანსაღების გზა ეპოვა.

ერთ დილას კი სანოვაგესთან ერთად (სანოვაგე გეგმაზომიერად მოჰქონდათ) მის ხელთ აღმოჩნდა კარიკატურის ჟურნალი. თვითონ ჟურნალი დიდი ვერაფერი შვილი გახლდათ: ყდა დაგლეჯილი ჰქონდა, ფურცლები ჭუჭყიანი თითებით დასვრილი. ნამდვილად რომელიღაც მეძველმანეს გამოართვეს. მართალია, უშნო შესახედავი ჩანდა, მაგრამ შეიძლებოდა სოფლის მცხოვრებთა ზრუნვის გამოვლინებად მიგვეჩნია. კაცი ყველაზე უფრო იმან შეაფიქრიანა, რომ ჟურნალის კითხვისას სიცილისგან იატაკზე გორავდა, ფეხებს აპრაგუნებდა, თითქოს კრუნჩხვებმა მოუარაო.

კარიკატურები მეტად სულელური, უაზრო, უხამსი, უხეიროდ დახატული გახლდათ. კაცისათვის რომ გეკითხათ, რა ნახე მათში სასაცილოო, ვერ გიპასუხებდათ. სასაცილო იყო მხოლოდ ერთი კარიკატურა: ცხენს ფეხები მოკვეთოდა და წაქცეულიყო, რადგანაც ზედ ძონძროხა კაცი აბობღებოდა. ცხენის დრუნჩი მართლა სასაცილო ჰქონდა, მაგრამ ორმოში მოხვედრილ ადამიანს შეიძლება კი ამაზე გაეცინა? გრცხვენოდეს. შეგუებას გარკვეული ზღვარი უნდა ჰქონდეს. თანაც იგი საშუალება უნდა იყოს და არამც და არამც მიზანი. კარგია ზამთრის ძილზე ლაპარაკი, მაგრამ განა შეიძლება თხუნელად იქცე და სამუდამოდ ჩაიკლა დღის სინათლეზე გამოსვლის სურვილი?

მართალია, თუ ჩავუფიქრდები, არაფითარი იმედი არაა, შემთხვევა გამოხდეს და აქედან რამენაირად თავი დააღწიო როდესმე, მაგრამ ხომ შეიძლება უბრალოდ შეეჩვიო მოლოდინს, ყოვლად უმიზნო მოლოდინს, ხოლო როცა ზამთრის ძილის ჟამი გავა, აღმოჩნდება, რომ სინათლემ დაგაბრმავა და გარეთ გასვლა არ ძალგიძს. აკი ამბობენ: სამი დღით მათხოვარი, სულ მუდამ მათხოვარიო... შინაგანი ჟანგი საოცრად სწრაფად ჩნდება... კაცი ღრმად დაფიქრდა, მაგრამ როგორც კი ცხენის სასაცილო დრუნჩი გაახსენდებოდა, მაშინვე სულელური სიცილი აუტყდებოდა. ქალმა (იგი ჩვეულებისამებრ მძივების ასხმით იყო გართული) თავი ასწია და მიამიტად გაუღიმა. კაცი საკუთარმა მუხანათობამ შეჰზარა, ჟურნალი მოისროლა და გარეთ გავიდა. ორმოს თავზე რძისფერი ნისლი ფოფინებდა. ღამეს მიმოფანტული ჩრდილების ნაფლეთები დაეტოვებინა... გაკვრივკვრებული ლითონის ძაფივით მოელვარე ნაფლეთები... ორთქლის მბრწყინავ წვეთებად ქცეული მოცურავე ნაფლეთები... ჩრდილების ეს ზღაპრული შეხამება კი ბადებდა ოცნებას, დაუსაბამო ოცნებას. კაცი უყურებდა ჩრდილებს და ცქერით ვერ ძღებოდა. ყოველი წამი სავსე იყო ახალი

და ახალი აღმოჩენებით. აქ იყო ყველაფერი — სინამდვილეში არსებული თუ მისთვის სრულიად ფანტასტიკური უცნობი სახეები.

კაცი ჩრდილების ამ მორევისკენ შებრუნდა და შეემუდარა:

— ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევ, გამაცანით ბრალდების არსი! მითხარით, რა არის ასეთი განაჩენის მიზეზები?! ბრალდებული ფეხზე მდგომი ელოდება თქვენს პასუხს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისლიდან მოისმა ხმა. იგი ნაცნობი ეჩვენა. ხმა იყო დახშული, თითქოს ტელეფონის ყურმილში ისმისო.

— ასიდან ერთი ბოლოს და ბოლოს...

— რაო?..

— იაპონიაში ასი კაციდან ერთი შიზოფრენიით დაავადებულია-მეთქი.

— უკაცრავად, რაზე ლაპარაკობთ?..

— სიტყვამ მოიტანა და კლეპტომანიც ას კაცზე ერთი მოდის...

— კი მაგრამ, რაზე ლაპარაკობთ?

— თუ მამაკაცებს შორის ერთსქესოვანი სიყვარულით ერთი პროცენტია შეპყრობილი, ბუნებრივია, ქალთა შორისაც ასეთი სიყვარული ერთ პროცენტს ჰქონდეს. და თუ ამგვარად განვაგრძეთ — ერთი პროცენტი ცეცხლის წამკიდებლები, ერთი პროცენტი ლოთები, ერთი პროცენტი ფსიქიურად ჩამორჩენილნი, ერთი პროცენტი სქესობრივი მანიაკები, ერთი პროცენტი განდიდების მანიით შეპყრობილნი, ერთი პროცენტი გამოუსწორებელი თაღლითები, ერთი პროცენტი ცვედანები, ერთი პროცენტი ტერორისტები, ერთი პროცენტი შეშლილები...

— გთხოვთ, კმარა ეს აბდაუბდა.

— კარგი, ოღონდაც მშვიდად მისმინე. ამას დავუმატოთ სიმაღლის შიში, სიჩქარის შიში, ნარკომანია, ისტერია, მკვლელობის ფიქრით შეპყრობილნი, სიფილისიანები, გონნაკლულნი... ესენიც თითო-თითო პროცენტი ვიანგარიშოთ და მივიღებთ ოც პროცენტს... და თუ შეგიძლია ამგვარადვე ჩამოთვალო კიდევ ოთხმოცი ანომალია... ხოლო ეჭვი არაა, ამის ჩამოთვლა შეიძლება... მაშასადამე, სრულიად ზუსტია და სტატისტიკურად დამტკიცებული, რომ ადამიანთა ასი პროცენტი არანორმალურია.

— რა სისულელეა! რომ არ იყოს ნორმალურობის რაიმე ეტალონი, შეუძლებელი იქნებოდა არანორმალურობის დადგენაც!

— ასე ნუ ამბობ, მე ხომ უბრალოდ შენი დაცვა მინდოდა...

— დაცვა?..

— კი მაგრამ, არა მგონია თვითონ დაიჟინო, დამნაშავე ვარო.

— რა თქმა უნდა, არა!

— მაშინ უფრო დამყოლი იყავ. რარიგ განსაკუთრებული მდგომარეობა არ უნდა გქონდეს, არავითარი აზრი არა აქვს თავის ტანჯვას. ადამიანები ვალდებულნი არ არიან უცნაური მუხლუხი გადაარჩინონ, მაგრამ არც მისთვის მსჯავრის დადების უფლება აქვთ...

— მუხლუხი?.. უკანონოდ დაპატიმრების წინააღმდეგ გამოცხადებულმა პროტესტმა რად მაქცია უცნაურ მუხლუხად?

— გულუბრყვილოდ ნუ მოგაქვს თავი... იაპონიაში, დიდი ტენიანობისა და ტემპერატურის ტიპიურ რაიონში, სტიქიურ უბედურებათა ოთხმოცდაშვიდი პროცენტი წყალდიდობების წილად მოდის და ამ პირობებში ქარის მიერ

ჭიმოფანტული ქვიშით მოყენებული ზიანი პროცენტის მეათასედ ნაწილს შეადგენს. ამის გათვალისწინება ნიშნავს საჰარაში წყალდიდობებთან ბრძოლის საგანგებო კანონმდებლობა შემოიღო. რა სისულელეა!

— ამაზე არც ვლაპარაკობ. ლაპარაკია ჩემს ტანჯვაზე... უკანონო დაკავება ყველგან უკანონოა, უდაბნოში იქნება ეს თუ ჭაობში!

— ჰო, უკანონო დაკავება... მაგრამ ადამიანის სიხარბეს ხომ საზღვარი არა აქვს... შენ კი სოფლის მცხოვრებთათვის გემრიელი ლუკმა აღმოჩნდი...

— ნეხვიც საჭმელია! მაგრამ ჩემთვის არსებობის აზრი რაღაც უფრო მაღალი რამაა!

— ეს ყოველივე ასეა. მაშასადამე, მიგაჩნია, რომ შენმა სათაყვანო ქვიშამ არ გაგიმართლა?

— არ გამიმართლა?..

— გამიგონია, ქვეყნად არიან ადამიანები, რომლებმაც თითქმის ათი წელი შეალიეს იმას, რომ π რიცხვი რამდენიმე ასეულ ნიშნამდე სიზუსტით მოეძებნათ... დიდებულია... ალბათ ესეცაა არსებობის აზრი... მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ არსებობის ამგვარ აზრს უარყოფ, ბოლოს და ბოლოს თვითონ შემოიხეტე ამ ადგილებში.

— ტყუილია! ქვიშასაც აქვს სხვა თვისებები!.. მაგალითად, განა ის ჩამოსასხმელი ყალიბებისთვის არ იხმარება?.. შემდეგ — აუცილებელი ნედლეულია ბეტონისათვის სიმაგრის მისაცემად... სოფლის მეურნეობაში კვლევითი მუშაობისას იყენებენ აგრეთვე ქვიშის იმ თვისებას, რომ მას ადვილად შორდება ბაქტერიები და სარეველები... დაბოლოს ჩატარდა ცდები ენზიმების მეშვეობით ქვიშის ნაყოფიერ ნიადაგად გადაქცევისა... ერთი სიტყვით, ქვიშაზე ასე უბრალოდ ვერ ილაპარაკებ...

— ჰო-ჰო, რა თავგამოდებით ცდილობ ყველა შენს ჭკუაზე გადაიყვანო. მაგრამ თუ შენს თვალსაზრისს უღალატებ, მაშინ აღარ ვიცი, რაღა ვირწმუნო ბოლოს და ბოლოს.

— მეზიზღება ძაღლივით ჩაღრჯუვება.

— განა სულ ერთი არაა... ანკესს მოწყვეტილი თევზი ყოველთვის დაჭერილზე დიდი გვგონია.

— ეშმაკმა დაგლახვროს, ვინა ხარ ბოლოს და ბოლოს?

მაგრამ ნისლის ნაფლეთი მაღლა ავიდა და პასუხი ვერ გაიგონა. ახლა ძირს კონად ჩამოეშვა სინათლის სხივები. კაცი სინათლემ დააბრმავა. კბილი კბილს დააჭირა და დაღლილობას, ყელზე მომდგარ მწებვარე ქვარტლის კოშტს გარეთ გამომონთხევის ნება არ მისცა.

უცებ ყვავმა დაიყრანტალა. კაცს მაზე გაახსენდა და გადაწყვიტა სახლის უკან თავისი „იმედისთვის“ დაეხედა. იმის იმედი თითქმის არ ჰქონდა, ყვავს რომ დაეჭერდა, მაგრამ ეს საქმე უფრო საინტერესო იყო, ვიდრე კარიკატურებიანი ჟურნალი.

სატყუარა წინანდებურად ხელუხლებელი დახვდა. მოსვლისთანავე ცხვირში აყროლებული თევზის სუნი ეცა. „იმედის“ გაკეთების დღიდან ორ კვირაზე მეტი გავიდა, შედეგი კი არ ჩანდა. მაინც რა იყო მიზეზი? მახის კონსტრუქცია არ ეეჭვებოდა. ყვავი რომ სატყუარას დასძგერებოდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ ყვავები მისკენ არც კი იხედებოდნენ. აქ კი ვერაფერს გააწყობ...

მაინც რა არ მოეწონათ ყვავებს „იმედისა“? რომელი მხრიდანაც არ უნდა

შეგხედა მისთვის, საეჭვოს ვერაფერს შეატყობდი. ყვავები საერთოდ იმით გამოირჩევიან, რომ ადამიანის მიერ დატოვებულ ნარჩენებზე ნადირობენ, სულ მისი საცხოვრებლის გარშემო ტრიალებენ და მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენენ. ადამიანს თითქოს მოთმინებაში ეჯიბრებიან. ვიდრე მათ შე[illegible]ბული თევზი ორმოში რაღაც სავსებით ჩვეულებრივ რამედ [illegible] თავშეკავება სრულიადაც არ ნიშნავს მარცხს... პირიქით, როცა მოთმინებას ისე აღიქვამ, როგორც მარცხს, დამარცხება აწორედ მაშინ იწყება. აი ამიტომაც აირჩია სახელწოდება „იმედი". კეთილი იმედის კონცხი გიბრალტარი კი არა, კეიპტაუნია...

კაცი ლასლასით შევიდა სახლში... ისევ დადგა ჟამი ძილისა.

24.

როცა ქალმა კაცი დაინახა, ლამპა ჩააქრო, თითქოს ეს ახლა გაახსენდაო, და კართან გადახტა. აქ უფრო მეტი სინათლე იყო. ნუთუ ქალი ისევ აპირებს მუშაობის გაგრძელებას? კაცს უცებ სასტიკად მოუნდა რაღაცის გაკეთება. მივარდა ქალს და მუხლებიდან მძივებიანი კოლოფი გადაუგდო. რომელიღაც მცენარის თესლების მაგვარი შავი ბურთულები სოხანეზე გაიფანტა და ერთ წამში ქვიშაში ჩაიმალა. ქალი სიტყვის უთქმელად, შიშნეულად უცქეროდა. კაცი გამოლენჩებული იდგა. მის მომჩვარულ ტუჩებს ყვითელ ნერწყვთან ერთად საცოდავი კვნესა მოწყდა.

—უსარგებლო რამაა... ძალის ზედმეტი ხარჯვაა... სრულიად უსარგებლო ლაპარაკია... შენ უკვე მოწამლული ხარ...

ქალი წინანდებურად დუმდა. ნელა მარცვლავდა ძაფზე აცმულ მძივებს. მძივები ქელეს ნაკუწებივით ბზინავდა. კაცს შეაცივა: კანკალი ქვემოდან, ფეხებიდან სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა.

— დიახ, ამას წყალი არ გაუვა. მალე უკვე რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იქნება. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენთ, რომ სოფელში აღარავინ დარჩა, ჩვენ გარდა... ჩემთვის ყველაფერი გასაგებია... მართლა... მართლა... სულ მალე მოგველის ეს... ხოლო როცა მივხვდებით, გვიმუხთლესო, გვიან იქნება. ჩვენ მიერ დახარჯული მთელი ძალ-ღონე მათ ფეხებზე ჰკიდიათ...

ქალი თვალს არ აშორებდა ხელებში ჩაბღუჯულ მძივებს და აქნევდა თავს.

— არა, ეს არ მოხდება. როგორ იცხოვრებენ, აქედან რომ წავლენ. მაშინვე ხომ ვერ მოეწყობი სამუშაოზე?..

— კი, მაგრამ სულ ერთი არაა. განა აქაური არსებობა თუნდაც რაიმეთი ჰგავს ცხოვრებას?

— მაგრამ არის ქვიშა, ამიტომაც...

— ქვიშა? — კაცმა კბილი კბილს დააჭირა, ნიკაპი შეატოკა. — ქვიშა რის მაქნისია? ამით გროშს ვერ იშოვი, მხოლოდ ცხოვრებას ამძიმებს.

— არა, მას ყიდიან.

— ყიდიან?.. ვინ ყიდულობს?

— აი, იქ, მშენებლობაა თუ რაღაც... ბეტონს უმატებენ...

— კარგი ერთი! რალა უჭირს, თუ ამ ქვიშას ცემენტს უმატებენ, ის ნიშ

მთლად მარილიანია. ჯერ ერთი, ეს საამშენებლო კანონების თუ ინსტრუქციების დარღვევაა...

— ჰო, რა თქმა უნდა, ალბათ საიდუმლოდ ყიდიან... ნახევარფასად მოაქვთ...

— ნუ როშავ ყველაფერს, რაც თავში მოგივა! საძირკველი ან კაშხალი თუ დაინგრა, ის ვერ უშველით, ქვიშა ნახევარფასად შეიძინეს თუ მუქთად!

ქალმა მწყრალად შეხედა. შემდეგ თვალები დახარა, კილოზე უკვე მორჩილება აღარ ეტყობოდა.

— მერე ჩვენ რა, განა სულ ერთი არაა? ეს საქმე ჩვენ არ გვეხება და ცხვირი არ უნდა ჩავყოთ!

კაცი გაოგნდა. გასაოცარი იყო ქალში მომხდარი ცვლილება — მას თითქოს ნიღაბი ჩამოცილდა სახიდან. ეს იყო სოფლის სახე, ქალის სახით წამომდგარი კაცის წინაშე. აქამდე კაცისთვის სოფელი იყო მხოლოდ ჯალათი, ანდა უგუნური მტაცებელი მცენარე, ღორმუცელა აქტინიუმი, ხოლო თავისი თავი უბედურ, შემთხვევით შეპყრობილ მსხვერპლად მიაჩნდა. სოფლის მცხოვრებნი კი ფიქრობდნენ, რომ სწორედ თვითონ იყვნენ ყველას მიერ მიგდებულნი და მიტოვებულნი. ბუნებრივია, დანარჩენი სამყაროს მიმართ არავითარი მოვალეობა არ ეგრძნოთ. მაშასადამე, რამდენადაც კაცი მიეკუთვნებოდა ადამიანებს, რომელნიც სოფლელებს ვნებას აყენებდნენ, სოფელი მასთან დანაშაულზე ეწეოდა... თავისსა და სოფლის დამოკიდებულებაზე. გასაკვირი არაა, რომ, სოფლელები დაიბნენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი უკან დახევა იმას ნიშნავდა, თვითონ უარეყო საკუთარი სიმართლე.

— იქნებ მართლაც არ უნდა შეიწუხო თავი სხვების გულისთვის, — კაცი აღელვებული წამოიწია. — მაგრამ გაიძვერული ვაჭრობით ხომ ვიღაც კარგა მაგრად იხვეჭს, ჰა?.. არ ღირს ამ ტიპებისთვის იწვალო...

— არა, ქვიშის გაყიდვა არტელის საქმეა.

— კი... მაგრამ სულ ერთია, ბოლოს და ბოლოს ვისაც მეტი აქცია აქვს, ვინც მეტი ფული დადო, იგი...

— ვისაც სანდალის საყიდელი ფული ჰქონდა, კარგა ხანია აქედან წავიდა... მაგრამ ჩვენ ძალზე კარგად გვექცევიან... ასეა ეს, არ გვატყუებენ... თუ გგონიათ, მართალს არ ვამბობ, იმათ უთხარით, ჩანაწერები გიჩვენონ, და მაშინვე გაიგებთ ყველაფერს.

კაცი დაბნეული, აღელვებული იდგა. უცებ საცოდავ და უმწეო არსებად იგრძნო თავი. ოპერაციის რუკა, სადაც შენი და მოწინააღმდეგის ჯარები სხვადასხვა ფერით იყო აღნიშნული, გაურკვეველი ფერის რაღაც გამოუცნობ სურათად იქცა, რომელზეც არაფრის გარჩევა არ შეიძლება. ღირდა კი ამ კარიკატურებიანი ჟურნალის გამო ასე მოშლა? აქ არავის აღელვებს, სულელური სიცილი აგიტყდება თუ არა... კაცი აღუღლუღდა. ძლივს აბრუნებდა ენას.

ჰო... რა თქმა უნდა... სხვისი საქმეები... მართალია... შემდეგ ისეთი სიტყვები წამოისროლა, მისთვისაც მოულოდნელი იყო და ადრე ნათქვამს არ უკავშირდებოდა.

— ახლავე უნდა ვიყიდოთ ქოთანი რომელიმე მცენარიანად... — კაცი თავადვე განცვიფრდა. მაგრამ ქალს უფრო მეტად შეფიქრიანებოდა სახე და

კაცს უკვე არ შეეძლო უკან დაეხია. — ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარა, თვალსაც არაფერი ახარებს...

ქალმა მღელვარებით მიუგო:

— იქნებ ფიჭვი გვეყიდა?

— ფიჭვი?.. არა, ფიჭვი არ მიყვარს... საერთოდ, სულ ერთფეროვანი ექნება, თუნდაც რაიმე მაღალი იყოს... კონცხის მახლობლად ბუჩქი — ხომ არა ჰქვია?

— მგონი, წყლის ბამბა. მაგრამ იქნებ პატარა ხე სჯობდეს, ჰა?

— თუ ხეს დავრგავთ, შეიძლება ნეკერჩხალი ანდა წვრილტოტება და დიდფოთლებიანი ხებუერა დავრგოთ... რომ ქარში ირხეოდეს...

ირხეოდეს... ფოთლების მთრთოლვარე კუნწულები. გაქცევა რომც მოინდომონ, ვერ გაიქცევიან — ზროს მაგრად არიან მიმაგრებულნი...

კაცმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიწყო სუნთქვა, თუმცა საამისო არაფერი სჭირდა. ლამის ტირილი წასკდომოდა. სწრაფად დაიხარა სოხანესკენ, სადაც მძივები იყო მიმოფანტული, და ქვიშაში უგერგილოდ დაიწყო ხელის ფათური.

ქალი აჩქარებით წამოდგა.

— არა უშავს, არა უშავს. მე თვითონ... საცრით ხელდახელ გავცრი.

30

ერთხელ, როცა საჭიროების გამო სახლის უკან გავიდა და ორმოს ნაპირის თავზე ჩამოკიდებულ ნაცრისფერ მთვარეს გახედა (მთვარე ისე ახლო ჩანდა, გეგონებოდა, ხელით შეწვდებიო), კაცს მოულოდნელად ძლიერ შეამცივნა. იქნებ გაცივდა?.. ო, არა, ეს გაცივებას არ ჰგავდა. მისთვის ბევრჯერ შეუმცივნებია სიცხის აწევამდე, მაგრამ ახლა რაღაც სხვა იყო: ჰაერი სუსხიანი არ მოსჩვენებია, კანი ხორკლით არ დაფარვია. კანკალს კანში კი არა, სადღაც ძვლებში გრძნობდა. კანკალი წყალში ჩაგდებული ქვის მიერ გაჩენილი ჭავლივით წრეებად იშლებოდა. ყრუ ტკივილი ძვლიდან ძვალზე გადადიოდა და გაყუჩებას პირი არ უჩანდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სხეულში ქართან ერთად დაყანგული თუნუქის ბიდონი შეეჭრა და იქ დახრიგინობდა.

ვიდრე ასე, ერთიანად აკანკალებული იდგა და მთვარეს უცქეროდა, თავში სრულიად მოულოდნელი ასოციაციები გაუჩნდა. რას ჰგავს ეს ბრტყელი მთვარე? დაშაშრული იარაა, რომელსაც აქა-იქ მსხვილი ღერღილი აყრია... გამომხმარი იაფფასიანი საპონია.... ან იქნება ალუმინის მრგვალი, ობმოკიდებული სასაუზმე კოლოფია... შუაგულთან კი სრულიად წარმოუდგენელი სახეები ჩანს. თავის ქალა... ყველა ქვეყანაში შხამის საყოველთაო ემბლემა... მწერებისათვის განკუთვნილი ბოთლის ფსკერზე ფხვნილმოყრილი თეთრი კრისტალები... საოცრად ჰგავს ერთმანეთს მთვარის ზედაპირი და კალიუმციანიდის აორთქლების შემდეგ დარჩენილი კრისტალები. ეს ბოთლი ალბათ ისევ დგას კართან ქვიშით დაფარული...

გული ჩოგბურთის გაბზარული ბურთივით არათანაბრად აუძგერდა. რა უბადრუკი ასოციაციებია, რატომ ფიქრობს ნიადაგ ასეთ აბედით რამეებზე?

ოქტომბრის ქარში ისედაც მწუხარება და სასოწარკვეთილება გამოსჭვივის. ქარი ზუზუნით დაქრის. თითქოს გამოლორუებული ჭოტისგან გაკეთებულ სალამურს უკრავსო. მთვარის მიერ ოდნავ განათებული ფლატის ნაპირისკენ თვალმიპყრობილმა გაიფიქრა, იქნებ ჩემ მიერ განცდილი გრძნობა — თითქოს შიგნით ყველაფერი გამობუგული მაქვს, უბრალოდ შურია, შური ყოველივე იმის მიმართ, რაც მაღლა დატოვე, შური ქუჩების, ტროტუარების, გზაჯვარედინების შუქნიშნების, ტელეფონის ბოძებზე გაკრული განცხადების, მკვდარი კატის, სიგარეტებით მოვაჭრე აფთიაქის მიმართ. როგორც ქვიშამ გამოუჭამა სახლის კედლებსა და ბოძებს გული, შურმა ასევე გამოუღრღნა შიგნეული და გახურებულ ღუმელზე დატოვებულ ცარიელ ქვაბად აქცია. ქვაბის ტემპერატურა წამისწამად იზრდება, სიცხე აუტანელი ხდება და შეიძლება ქვაბი აგურ-აგურ გადნეს და ვიდრე იმედზე დაიწყებდეს ლაპარაკს, საკითხავი ჯერ ესაა: როგორ გადაილახოს ეს წამი და საჭიროა თუ არა მისი გადალახვა?

მინდა უფრო მსუბუქი ჰაერი! ცოტადაც უფრო სუფთა, შეურეველი იმ ჰაერთან, რომელსაც აქ ვისუნთქავ! რომ შეიძლებოდეს ფლატეზე ასულს დღეში ერთხელ ნახევარი საათი მაინც მეცქირა ზღვისთვის, ო, რა დიდებული რამ იქნებოდა! ამის ნება კი შეიძლება მოეცათ. სოფელი კაცს მეტისმეტად მკაცრად დარაჯობს. მისი სურვილი სრულიად ბუნებრივია, მით უმეტეს, რომ აგრე კეთილსინდისიერად მუშაობდა უკანასკნელ სამ თვეს. რა მოხდა, პატიმარსაც კი აძლევენ სეირნობის ნებას.

— აუტანელია ასე, ქვიშაში ცხვირჩარგულმა, იცხოვრო მთელი წელიწადი. ეს ცოცხლად დაკონსერვებას ნიშნავს. ნუთუ ნებას არ დამრთავენ თუნდაც ხანდახან გავისეირნო ორმოს მახლობლად?

ქალი დუმდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს არ იცის, რა უქნას ბავშვს, რომელმაც კანფეტი დაკარგა და ჭირვეულობს.

— აბა ერთი თქვენ, არ შეიძლებაო! — კაცი გაბრაზდა. მან ისევ გაიხსენა საძულველი თოკის კიბე, ესოდენ მწარე მოგონებებს რომ აღუძრავდა. — როცა იმ დღეს გავრბოდი, თოკის კიბეები საკუთარი თვალით ვიხილე... ჩვენს რიგშიც არის რამდენიმე სახლი, სადაც კიბეებია ჩაკიდებული!

— კი მაგრამ... — ქალი გაუბედავად ლაპარაკობდა, თითქოს თავს იმართლებდა, — იმ სახლებში მერამდენე თაობა ცხოვრობს?

— რაო, მათ ჩვენი იმედი არა აქვთ?!

ქალმა მორჩილად დახარა თავი, თითქოს ძაღლია, ყველაფრისთვის მზადმყოფიო. კაცს რომ მის წინ კალიუმციანიდი დაელია, ალბათ ასევე მორჩილად დაიდუმებდა ენას.

— კეთილი, ვეცდები თვითონ მოველაპარაკო ამ გათახსირებულებს!

თუმცა სულის სიღრმეში განსაკუთრებული იმედი არ ჰქონდა, რომ მოლაპარაკება კეთილად დამთავრდებოდა. გულგატეხილობა მისთვის ახალი ხილი არ იყო. ამიტომ, როცა იგივე ბერიკაცი ქვიშის მზიდავებთან ერთად მოვიდა და პასუხი მოუტანა, ცოტა არ იყოს დაიბნა კიდეც.

მაგრამ დაბნეულობა არასგზით არ შეედრებოდა იმას, რაც პასუხის გააზრების შემდეგ განიცადა.

— მაშ კარგი... — მოხუცი ლაპარაკობდა ნელა, ენის ბორძიკით, თითქოს

გონებაში ძველ ქაღალდებს ფურცლავსო. — ეს აი, საერთოდ, რომ სრულიად მართლაც არ შეიძლებოდეს მოლაპარაკება, ასე არაა... მე, მაგალითად, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ თქვენ ორნი გამოხვალთ სახლიდან და ჩვენ წინაშე, ყველას წინაშე... გააკეთებთ ამას, ხოლო ჩვენ ვუყურებთ [illegible] თითქმის, რომ რასაც თქვენ ითხოვთ, მართალია, ამის გაკეთება შეიძლება [illegible] ბატონო...

— მერედა, რა უნდა გავაკეთოთ?

— აი, ეს... როგორრაო, დედალი და მამალი რომაა, ხომ? წყვილდებიან... აი, ასე.

ქვიშის მზიდავებმა გიჟებივით გადაიხარხარეს. კაცი გაქვავდა, თითქოს ყელში წაუჭირეს. ძლივძლივობით ჩახვდა, რას ეუბნებოდნენ. და როცა ჩახვდა, წინადადება არც ისე საზარელი ეჩვენა.

ჯიბის ფარნის შუქმა ოქროს ფრინველივით გაიფრინა კაცის ფეხებთან. ეს რაღაცის ნიშანი იყო. პირველი ფარნის კვალდაკვალ შვიდი თუ რვა ფარნის შუქი დატრიალდა ორმოს ფსკერზე. ზემოთ მდგომთა ამ მოუთმენლობით სულდამძიმებულ კაცს სიტყვები ვერ მოეძებნა შემოთავაზებული პირობის უარსაყოფად და თითქოს თვითონ გადაედო მათი სიგიჟე.

კაცი ნელა შემობრუნდა ქალისკენ. ქალი ეს-ესაა თავის ნიჩაბს იქნევდა აქ, მაგრამ ახლა სადღაც გამქრალიყო. იქნებ სახლში შევარდა? კაცმა კარებში შეიხედა და დაუძახა:

— რა ქნათ?

კედლის მიღმიდან მოისმა დახშული პასუხი:

— ჯანდაბას მაგათი თავი!

— კი მაგრამ, ხომ უნდა გავიდეთ აქედან...

— ასე არაა!

— ჰო, კარგი, ამ ამბავს უფრო მარტივად უნდა შევხედოთ...

უცებ ქალი სულშეგუბებული მიუახლოვდა.

— თქვენ რა, შეირყით?.. ნამდვილად გაგიჟდით... პირდაპირ ჭკუა დაკარგეთ! განა შეიძლება ამის გაკეთება!.. გიჟი კი არა ვარ!

„შეიძლება მართალიცაა!.. შეიძლება ნამდვილად გავგიჟდი?..“ ქალის მძვინვარებამ კაცი აიძულა ქედი მოეხარა, მაგრამ სულში რაღაც სიცარიელე ეზრდებოდა. ის უკვე იმდენჯერ დაწიხლეს, რა აზრი ჰქონდა ახლა პატიოსნებას, ღირსებას?. როცა გიცქერიან, შენ კი რაღაც სისაძაგლეს აკეთებ, ეს სისაძაგლე თანაბრად ლაფში სვრის მაცქერალსაც... შენ რომ გხედავენ და შენ რომ ხედავ, ამ ორ ცნებას შორის ზღუდის აღმართვა არ შეიძლება... ისინი ერთმანეთისგან, რა თქმა უნდა, ერთგვარად განსხვავდებიან, მაგრამ ეს განსხვავება რომ გაქრეს, სოფლელებს ამ პატარა წარმოდგენას მოვუწყობ... უნდა ვიფიქრო იმაზე, რა ჯილდოს მივიღებ სანაცვლოდ!.. დედამიწაზე თავისუფლად სეირნობის უფლებას!.. მინდა თავი დავაღწიო ამ აშმორებულ ჭაობს და ღალად ვისუნთქო!

კაცმა განსაზღვრა, სად იმყოფებოდა ქალი, და მოულოდნელად ეცა. ქალის კივილს, ერთმანეთს გადანასკვული სხეულების ძირს დაცემის ხმას მალე, სახლის კედლის მახლობლად ცხოველური აღტყინება მოჰყვა. გაისმა სტვენა, ტაშის ცემა, ავხორცული შეძახილები... ადამიანთა რაოდენობამ მალე, მნიშვნელოვნად იმატა, მათ შორის თითქოს ახალგაზრდა ქალებიც იყ

ენენ. სახლის კარზე მორიალე ფარნების რიცხვი სამჯერ გაიზარდა, ვიდრე თავდაპირველად იყო.

კაცმა იმის წყალობით, რომ ქალს მოულოდნელად ეძგერა, თვით გარეთ გამოათრია. კისერში ხელი წაუჭირა და ქალი ტომარასავით მოიმარჯვა. რომის თავზე ფარნების ნახევარწრე სადღესასწაულო ილუმინაციას ჰგავდა, თუმცა მაინცდამაინც არ ცხელოდა, კაცს იღლიებიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თმა დაუსველდა, თითქოს ერთი გოზა წყალი გადაასხესო. მაყურებელთა კივილი ექოსავით დაირხა ყურებში და ვეება შავი ფრთებით მოედოცას. კაცს ეჩვენებოდა, რომ ეს ფრთები იყო. ამ დაძაბულად მაცქერალ ადამიანებს ისევე ცხადად შეიგრძნობდა, როგორც საკუთარ თავს. მაღლა მდგომნი მისი ნაწილი გახლდათ, მათ მისი აღგზნების წყალობით სდიოდათ ნერწყვი და კაცს საკუთარი თავი უკვე მსხვერპლად კი არა, უფრო ჯალათად მიაჩნდა.

ბნელოდა, ხელები უკანკალებდა, თითებიც თითქოს ორჯერ დაუმსხვილდა. როცა ბოლოს და ბოლოს ქალს ხელები შემოხვია, ქალი მოიხარა და მარჯვედ დაუსხლტა. კაცი გაედევნა, ფეხები ქვიშაში ეფლობოდა, ქალმა კვლავ მოისროლა ფოლადის ზამბარასავით. ბოლოს კაცმა დაიჭირა და ვედრება დაუწყო:

— გთხოვ... გემუდარები... მე ხომ სულ ერთია არ შემიძლია... მოდი, ისე მოვიქცეთ, თითქოს ვაკეთებთ...

ქალს კი უკვე დაჭერა არ სჭირდებოდა. ეტყობა, გაქცევის სურვილი დაეკარგა. უცებ კაცს ქსოვილის გაფხრეწის ხმა შემოესმა, იმავე წამს ქალმა იდაყვი მთელი ძალით ჰკრა მუცლის ქვემოთ; ამ დარტყმაში ჩააქსოვა მან მთელი თავისი ბოღმა, მთელი სხეულის სიმძიმე. კაცი უხმოდ მოიკაკვა და მუხლებზე ხელები მოივლო. ქალი მისკენ დაიხარა და მუშტები დასცხო სახეზე. ერთი შეხედვით თითქოს დუნედ მოძრაობდა, მაგრამ ისე მაგრად ურტყამდა, იფიქრებდით, მარილის დანესტიანებულ და დაზერგნილ გუნდებს უბათქუნებსო. კაცს ცხვირიდან სისხლი წასკდა, სისხლს ქვიშა მიეკრა და სახეზე მიწის გუნდად ექცა.

ზემოთ აღტყინება მანებმომტვრეული ქოლგასავით დაიფუშა. ერთმანეთში აირია აღშფოთების, დაცინვის, გამხნევების შეძახილები, მაგრამ ეს იყო შეუწყობელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილები. უწმაწურ სიტყვებსაც უკვე აღარ შეეძლო მაყურებელთა განწყობილების გამოკვეთება. ვიღაცამ რაღაც ისროლა, მაგრამ მეორემ მაშინვე გალანძღა. დასასრული ისევე მოულოდნელი იყო, როგორც დასაწყისი. შორიდან გაისმა ძახილი, რომელიც სამუშაოდ მოუწოდებდა ხალხს. სინათლეთა გრძელი კუდი მალე გაქრა, თითქოს მაღლა აწიესო. და მხოლოდ ჩრდილოეთის მწუხარე ქარი უბერავდა და აღგზნების უკანასკნელ ნიშან-კვალს შლიდა.

ნაცემი და ქვიშით დაფარული კაცი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ყველაფერი დალაგებულად მიმდინარეობდა. ეს აზრი სადღაც ცნობიერების კუნჭულში უბჟუტავდა. მისი ცნობიერება კი მოგაგონებდათ ოფლით გაჟღენთილ პერანგს, რომლის შიგნითაც მხოლოდ გულის ფეთქვა იყო მტკივნეულად მკაფიო. ქალის ცეცხლით მწველი ხელები იღლიებში ეწყო და მისი სხეულის სუნი ელვებივით სცემდა ცხვირში. მოეჩვენა, თითქოს ქალის ალერსიან ხელებში ისე იწვა, როგორც პატარა კენჭი მშვიდი მდინარის კალაპოტში.

31

გადიოდა ქვიშია ერთფეროვანი ღამეები, გადიოდა კვირეები. ყვავები წინანდებურად ზედაც არ უყურებდნენ „იმედს". სატყუარა — გამხმარი თევზი — უკვე აღარ იყო გამხმარი თევზი. ყვავები ვერ მოხიბლა, მა[illegible]ები, ეტყობა, ნაკლებ მომთხოვნი იყვნენ, და ერთ დილას, როცა კაცმა სატყუარას ჯოხის ბოლო ჰკრა, დაინახა, რომ თევზისგან მხოლოდ კანი დარჩენილიყო. დანარჩენი შავ წებოდ ქცეულიყო. კაცმა სატყუარა შეცვალა და გადაწყვიტა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა თავისი მოწყობილობა — ხომ არ გაფუჭებულა. ქვიშა გადასწია, კასრს სახურავი ახადა და გაოცებისგან გაქვავდა. კასრის ფსკერზე წყალი დაგროვილიყო, სულ ათიოდე სანტიმეტრზე, მაგრამ თითქმის სრულიად გამჭვირვალე, იმ ჟანგიან წყალზე გაცილებით სუფთა, რომელიც ყოველდღე მოჰქონდათ მათთვის. განა ბოლო ხანებში წვიმდა?.. არა, თითქმის მთელი ორი კვირა არ გაწვიმებულა... მაშინ იქნებ წყალი ადრე მოსული წვიმისაა?.. კაცს უნდოდა ასე ეფიქრა, მაგრამ ის აცბუნებდა, რომ კასრს გასდიოდა. მართლაც, როცა კასრი ამოიღო, წყალი ფსკერიდან გავიდა. ვინაიდან ასეთ სიღრმეზე არ შეიძლება წყარო ყოფილიყო, ფიქრობდა, რომ კასრიდან გამავალი წყალი საიდანღაც ნაზღაურდებოდა. ყოველ შემთხვევაში, თეორიულად ასე იყო. მაგრამ საიდან ნაზღაურდებოდა ამ გამომშრალ ქვიშაში?

კაცი ძლივს იკავებდა სულ უფრო მზარდ მღელვარებას. პასუხი მხოლოდ ერთი რამ — ქვიშის კაპილარობა შეიძლება ყოფილიყო. ქვიშის ზედაპირი დიდი ხვედრითი თბოტევადობის გამო ჩვეულებრივ გამომშრალია. მაგრამ თუ ცოტაზე ჩაღრმავდა, იქ ყოველთვის ტენს აღმოაჩენ. უთუოდ იმიტომ, რომ აორთქლება ტუმბოსავით მოქმედებს, ტენი ამოაქვს ქვიშის ქვედა ფენებიდან. თუ ამას წარმოიდგენ, ადვილად ახსნი, დიუნებიდან დილასაღამოს რატომ წამოიშლება ხოლმე ბარაქიანი ნისლი, რატომაა უჩვეულო ტენი, რომელიც ხის კედლებს და დირეებს უჯდება და ალპობს მათ. ბოლოს და ბოლოს ქვიშის სიმშრალე უბრალოდ წყლის უკმარისობის შედეგი კი არაა, არამედ უფრო იმისა, რომ ქვიშის მიერ კაპილარებით ტენის შეწოვა არასდროს არ უტოლდება აორთქლების სიჩქარეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წყლის შევსება ქვიშაში უწყვეტად ხდება, ოღონდ ეს ცირკულაცია დიდი სისწრაფით მიმდინარეობს, რაც წარმოუდგენელია ჩვეულებრივ ნიადაგში. ალბათ „იმედმა" სადღაც დაარღვია წყლის ცირკულაცია. ეტყობა, კასრის მდებარეობამ, კასრსა და სახურავს შორის არსებულ [illegible] ქვემოთ ჩაკონილ წყალს აორთქლების საშუალება არ მისცა და იგი ფსკერზე დაგროვდა. რას წარმოადგენდა ეს მდებარეობა და ყველაფერი ეს როგორ უკავშირდებოდა ერთმანეთს, კაცს არ შეეძლო ზუსტად აეხსნა, მაგრამ გულმოდგინე შესწავლის შემდეგ უსათუოდ მოახერხებდა თავისი ცდის გამეორებას და გამორიცხული არაა, რომ წყლის დასაგროვებლად კიდევ უფრო ეფექტურ ნაგებობას გააკეთებდა.

ცდები რომ წარმატებით დასრულდეს, ქედს აღარ მოუხრის სოფლელებს, თუ წყლის მოტანას შეუწყვეტენ. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამაა: ეტყობა, მთელი ქვიშა უზარმაზარი ტუმბოა. კაცს ისე ეგონა, რომ წყლის შემწოვ ტუმბოზე ზის, ჰოდა, აბორგებული გულის დასამშვიდებლად

დაჯდა, სული მოითქვა. ჯერჯერობით ამის შესახებ კრინტი არავისთან არ უნდა დაეძრა. რამე რომ მომხდარიყო, ეს ტუმბო მისთვის ჩინებული იარაღი იქნებოდა.

კაცმა სიხარულის სიცილი ვერ შეიკავა. მართალია, თავისი იმედის შესახებ კრინტი არ უნდა დაეძრა, მაგრამ გულის ალმუსები სიამაყის დამალვა ერთობ ძნელია და მოულოდნელად წვრილი ხმით შეჰყვირა. ქალს, რომელიც ლოგინს შლიდა, უკანიდან ხელები შემოხვია. ქალი დაუსხლტა, თვითონ კი ზურგით დაეცა და სიცილი აუტყდა, ფეხებს აქანავებდა, თითქოს მსუბუქი გაზით ავსებული ქაღალდის ბურთი მუცელზე უღიტინებდა. ეჩვენებოდა, რომ სახესთან მიტანილი ცალი ხელი თავისუფლად დაცურავდა ჰაერში.

ქალიც იცინოდა, მაგრამ როგორღაც ძალდატანებით, უბრალოდ იმიტომ, რომ კაცისთვის გუნება არ გაეფუჭებინა. კაცი გონებაში ქვიშის მარცვლებს შორის არსებულ ვიწრო შუალედებში ვერცხლისფერი ძაფებივით ზემოთ ამომავალი მიწისქვეშა ნაკადულების თვალუწვდენელ ანკარა ქსელს ხედავდა, ქალის ფიქრი კი სხვა რამეს — სქესობრივ აქტს მისწვდა, რომელიც ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო. თუნდაც ასე იყოს. მხოლოდ გემის დაღუპვისას სასწაულით გადარჩენილს შეუძლია გაიგოს იმ ადამიანის ფსიქოლოგია, ვისაც მარტო იმიტომ, რომ სუნთქავს, სიცილი უნდა.

წინანდებურად ორმოს ფსკერზე მყოფ კაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა. თითქოს მაღლა კოშკზე ავიდა. შეიძლება მთელი ქვეყნიერება ყირამალა დადგა და მაღლობებმა და დაბლობებმა ადგილი შეცვალეს. ასე იყო თუ ისე, ქვიშაში წყალი იპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მცხოვრებლები ასე ადვილად ველარ მოერევიან. დე, წყალს ნუ მოუტანენ, უიმისოდ იოლას წავა, რამდენი ხანიც არ უნდა იყოს. და როგორც კი წარმოიდგენდა, რარიგ აწრიალდებოდნენ სოფლელები, იმწამსვე დაუოკებელი ხარხარი აუვარდებოდა. მართალია, კვლავ ორმოში იყო, მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს თავი დააღწია მას. შემდეგ კი, როცა მოიხედა, მთელი ორმო თვალნათლივ დაინახა. ასეა. ძალიან ძნელია მოზაიკაზე მსჯელობა, თუ მას შორიდან არ უცქირე. ახლოს მისულს წვრილმანები დაგაბნევს. ერთ წვრილმანს მოაშორებ თვალს და მეორეზე წაიბორძიკებ. აქამდე კაცი მხოლოდ ცალკეულ ქვიშის მარცვლებს ხედავდა და არა ქვიშას.

კაცს იგივე შეეძლო ეთქვა იმ სხვა, მეორე ქალზე და თავის თანამშრომლებზე. აქამდე იხსენებდა მხოლოდ ცალკეულ უმნიშვნელო წვრილმანებს, მის წარმოსახვაში უჩვეულოდ გადიდებულს: გათქვირებული ცხვირის ნესტოებს... დაღმეჭილ ტუჩებს... სწორ, თხელ ტუჩებს... ბლაგვ ტუჩებს... წვრილ თითებს... ვარსკვლავებს თვალებში... გრძელ მეჭეჭს ლავიწქვეშ... ღილისფერ ძარღვებს ძუძუებზე... პირდაპირ, ახლოდან რომ უცქერი, ეს ყველაფერი გულის ამრევია, მაგრამ შორიდან პატარა გეჩვენება, პაწაწა მწერის ოდენა. აი, იქ, შორს, თანამშრომლები ფუთფუთებენ. ჩაის სვამენ სამასწავლებლოში. ხოლო იქ, იმ კუთხეში ის ქალია, შიშველი წევს ნესტიან ლოგინში, თვალები მოუჭუტავს, არ ინძრევა, თუმცა სიგარეტიდან საცაა ფერფლი ჩამოუვარდება. კაცი ყოველგვარი შურის გარეშე ფიქრობდა ამ პატარა მწერებზე, თითქოს ესენი იმ ნამცხვრის ყალიბები იყვნენ, რომელთაც გარსი აქვთ, შიგნით კი ფუყენი არიან. აბა, რა საჭიროა ისეთი ფანატიკოსი მეღვე-

ზელე იყო, დაჟინებით აცხო ნამცხვარი, რომელსაც არავინ გთხოვს, აცხო მხოლოდ ყალიბების გამოსაყენებლად? თუ კაცს კიდევ ერთხელ მოუწევს მათთან ურთიერთობა, სულ თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. ქვიშაში მომხდარი ცვლილებები იმავე დროს თვით კაცში მომხდარი ცვლილებებიც იყო. ქვიშაში წყალთან ერთად მან ახალი ადამიანი აღმოაჩინა.

ამრიგად კაცის ყოველდღიურ სამუშაოს წყლის მოსაგროვებელ ნაგებობაზე მუშაობაც მიემატა. გროვდებოდა ციფრები და დიაგრამები, ადგილი, სადაც კასრი უნდა ჩაფლულიყო... კასრის მოცულობა... კავშირი მზის ნათების დროსა და წყლის დაგროვების სიჩქარეს შორის... რა გავლენას ახდენდა ტემპერატურა და ატმოსფერული წნევა ნაგებობის ეფექტურობაზე? ქალი ვერადა ვერ ხვდებოდა, ასე რატომ ჯახირობდა კაცი ყვავების დასაჭერ მახეზე. თავს ირწმუნებდა: ვერც ერთი კაცი რაიმე სათამაშოს გარეშე ვერ ძლებს და თუ ამას ეს ჩხირკედელაობა კმაყოფილებას ანიჭებს, ჩინებულია. ამას გარდა კაცმა რატომღაც დიდი ინტერესი გამოიჩინა ქალის საოჯახო საქმიანობის მიმართ. აქაც ცუდი არაფერია, დაე, თავი გაირთოსო, გაიფიქრა ქალმა, მაგრამ კაცსაც ჰქონდა თავისი მოსაზრებანი და მიზეზები. მისი გამოკვლევა მოულოდნელად სერიოზულ დაბრკოლებას წააწყდა, მთელი რიგი პირობების შეპირისპირებას, შეთანხმებას მოითხოვდა. და თუმცა შეკრებილი მასალის რაოდენობა იზრდებოდა, ვერაფრით ვერ პოულობდა კანონზომიერებას, რომელიც ამ მასალებს მწყობრ სისტემაში გააერთიანებდა. ამასთანავე, ზუსტი მასალის მისაღებად აუცილებლად უნდა ჰქონოდა რადიომიმღებიც, რათა ამინდის ცნობები და პროგნოზები მოესმინა. ასე გახდა რადიომიმღები ორივეს საერთო მიზანი...

ნოემბრის დამდეგს კასრში ყოველდღიურად ოთხ-ოთხი ლიტრი წყალი გროვდებოდა, შემდეგ კი დღითიდღე უფრო ნაკლები. იქნებ ტემპერატურის გავლენით? მაგრამ ცდების მთელი სისრულით ჩასატარებლად კაცი, ეტყობა, გაზაფხულს უნდა დალოდებოდა. დადგა ხანგრძლივი მკაცრი ზამთარი და ჰაერში ქვიშასთან ერთად ყინულის ნამცეცებიც დატრიალდა. კაცმა შედარებით კარგი რადიომიმღების ყიდვის მიზნით გადაწყვიტა ქალს ცოტა დახმარებოდა. ორმოსაც ჰქონდა თავისი უპირატესობა — შიგ ქარი ქროდა. მაგრამ არც მზე იხედებოდა თითქმის. ქვიშა იმ დღეებშიც კი, როცა იყინებოდა, ჰაერში ჩვეულებრივზე ნაკლები არ დაქროდა და დაუღალავად უნდა ეხვეტა — სახლისთვის მოეცილებინა. ხელებზე კანი დაუსკდა და სისხლი ადიოდა.

ბოლოს დამთავრდა ზამთარი და დადგა გაზაფხული. მარტის დამდეგს რადიომიმღები იყიდეს. სახურავზე მაღალი ანტენა აღმართეს. ქალი მთელი დღე სიხარულით და გაკვირვებით ატრიალებდა სახელურებს. თვის დამლევს მან იგრძნო, რომ ფეხმძიმედ იყო. გავიდა კიდევ ორი თვე. ვეება თეთრი ფრინველები სამი დღე მიფრინავდნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. კიდევ ერთი დღის შემდეგ ქალმა დაიჩივლა, აუტანელი ტკივილი მაწუხებსო. ერთხელ დაინახა, რომ სულ სისხლით იყო მოსვრილი. რომელიღაც სოფლელმა, ვისაც ერთი ვეტერანი ნათესავი ჰყავდა — დიაგნოზი დასვა: მუცელი მოეშალაო. გადაწყვიტეს ქალი პიკაპით წაეყვანათ ქალაქში, საავადმყოფოში. მანქანის მოლოდინში კაცი გვერდით დაუჯდა ქალს და ცალ ხელზე ხელი მოჰკიდა, მეორე ხელს კი მუცელზე უსვამდა დროდადრო.

მაგრამ აი, ორმოსთან მოვიდა პიკაპი, ნახევარი წლის მანძილზე აქ პირველად ჩამოუშვეს თოკის კიბე. საბანში პარკივით გახვეული ქალი თოკით აიყვანეს მაღლა. იგი კაცს უკანასკნელ წუთამდე ვედრებით, ცრემლით სავსე თვალებით უცქეროდა. კაცმა ეს თითქოს ვერ შეამჩნია, თვალი მოარიდა.

ქალის წაყვანის შემდეგ თოკის კიბე ისევ ეკიდა. კაცი გაუბედავად მივიდა და თითის წვერი შეახო. როცა დარწმუნდა, კიბე არ ქრებოდა, ნელა დაიწყო ასვლა. ცა რაღაც მღვრიე ყვითელი ფერისა იყო. წელ-ფეხი ისე დაუმძიმდა, თითქოს წყლიდან ამოსულიყო... აჰა, ისიც, დიდი ხნის ნანატრი კიბე...

ქარი თითქოს ამონასუნთქს აცლიდა პირიდან. კაცმა ორმოს გარშემო შემოუარა და უფრო მაღლა ავიდა, საიდანაც ზღვა ჩანდა. ზღვასაც დაბინდულ-ყვითელი ფერი ედო. კაცმა ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ ჰაერი მქისე იყო, სულ არ ჰგავდა მის მიერ წარმოდგენილს. როცა შემობრუნდა, სოფლის განაპირას მტვრის კორიანტელი შეამჩნია. ალბათ იმ პიკაპის კორიანტელი იყო, რომლითაც ქალი მიჰყავდათ... არც ტყუილად არ უამბო ქალს წასვლამდე ყველაფერი მახის შესახებ.

ორმოს ფსკერზე რაღაც შეინძრა. ეს მისი ჩრდილი იყო. ოდნავ მაღლა წყლის მოსაგროვებელი ნაგებობის ჩრდილები ჩანდა, ცალი თამასა გადავარდნილიყო, ალბათ ფეხი დააბიჯეს, როცა ქალი მიჰყავდათ. კაცი საჩქაროდ დაბრუნდა უკან, რათა დაზიანებული ადგილი შეეკეთებინა. წყალი, როგორც თვითონ ვარაუდობდა, მეოთხე დანაყოფზე ასულიყო. დაზიანება არც ისე სერიოზული აღმოჩნდა. სახლში რადიო სიმღერას აკაკანებდა. კაცმა ხელები კასრში ჩაუშვა, ძლივს იკავებდა ცრემლს. წყალმა ყინულივით დასუსხა, მაგრამ არც განძრეულა, ისევ ისე იყო ჩაცუცქული.

გაქცევა მაინცდამაინც საჩქარო არაა. ახლა ხელთა აქვს იქითობის და აქეთობის ბილეთიც. ეს გახლავთ სუფთა ბლანკი და შეუძლია თვითონ, თავისი სურვილისამებრ დაწეროს ზედ გასვლის დროცა და დანიშნულების ადგილიც. ამასთანავე უსაზომოდ უნდა ვიღაცას თავისი წყლის მოსაგროვებელი ნაგებობის შესახებ უამბოს და უკეთუ ამას გადაწყვეტს, სოფლის მცხოვრებზე უფრო მადლიერ მსმენელს სად იპოვის. დღეს ან ხვალ ვინმეს ყველაფერს უამბობს.

გაქცევა? ამაზე ფიქრის დრო კიდევ ექნება.

განცხადება

ადამიანის დაკარგვის განცხადებასთან დაკავშირებით

დაკარგული —
ნიკი ძიუმპეი.
დაბადების წელი, თვე და რიცხვი —
1924, მარტი, 7.

ვინაიდან ნიკი სინომ განცხადება შემოიტანა ზემოხსენებული ნიკი ძიუმპეის დაკარგვის გამო, ამ უკანასკნელს წინადადება ეძლევა 1962 წლის 21

სექტემბრამდე სასამართლოს აცნობოს თავისი ადგილსამყოფელი. თუ სასამართლო ასეთ ცნობას არ მიიღებს, დაკარგული გარდაცვლილად ჩაითვლება. ყველას, ვინც კი რაიმე იცის დაკარგულის შესახებ, სთხოვენ ზემოხსენებულ ვადამდე აცნობონ სასამართლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962, თებერვალი, 18.

სამოქალაქო სასამართლო

დადგენილება

მოსარჩლე — ნიკო სინო.

უგზო-უკვლოდ დაკარგული — ნიკო ძიუმპეი, დაიბადა 1924 წ. 7 მარტს.

ამით დასტურდება, რომ ზემოთ დასახელებული პიროვნების დაკარგვის განცხადებასთან დაკავშირებით, საჯაროდ გამოცხადების პროცედურის შესრულების შემდეგ, აღნიშნული პიროვნების შესახებ 1955 წლის 18 აგვისტოდან, ესე იგი, შვიდ წელზე მეტი ხანი, არავითარი ცნობა არ შემოსულა. ზემოთქმულიდან გამომდინარე დადგინდა შემდეგი: დაკარგული ნიკო ძიუმპეი ჩაითვალოს გარდაცვლილად. 1962 წლის 5 ოქტომბერი.

სამოქალაქო სასამართლო.
მოსამართლის ხელმოწერა.

□

ნინა კატერლი

ბანზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ლაურა კალანდაძემ

ნაკლებად სარწმუნო ამბავი

1

ხიდის მარჯვენა მხარეს, დიდ ყინულჭრილში, თავმომწონედ დაცურავდნენ გარეული იხვები და სანაპიროდან უხვად გადმოყრილ პურის ნამცეცებს მარჯვედ კენკავდნენ. ყინულჭრილის კიდეებზე ჭუჭყიანი, მოწყენილი მტრედები ისხდნენ, გაღმა კი საზაფხულო ბაღის თავზე თითქმის უძრავად ეკიდა ადამისყამინდელი თვითმფრინავი. ნამდვილად უჩვეულო ეთქმოდა ამ სანახაობას. შუაგულ ქალაქში გარეული იხვები დაცურავდნენ, სპორტულ შარვალსა და თვალისმომჭრელ ფორთოხლისფერ ქურთუკში გამოწყობილი ლოყაწითელი დედაბერი კი სამარულო ველოსიპედით მკვირცხლად ეშვებოდა ხიდიდან. უცნაური და არაბუნებრივი იყო ყველაფერი. მოკშინს თვითონაც უკვირდა, სამუშაო საათებში ქუჩაში რომ დახეტიალობდა. დღეს აუცილებლად რაღაც უნდა მოხდესო, რაღაც უნდა დაიწყოს, ან პირიქით დამთავრდეს, ანდა ისე შეტრიალდეს ყოველივე, სულ რომ არ ველოდიო, — ასე ეგონა მოკშინს.

ასეთი წინათგრძნობა ადრეც ჰქონდა და თითქმის არასოდეს შემცდარა. ათი წლის წინ, ზაფხულის ერთ კვირა დღეს, დილაადრიან მოკშინმა სრულიად უმიზეზოდ იგრძნო, რომ მოსკოვის სადგურზე უნდა წასულიყო.

იმ დილით სადგურის ბაქანზე მდგარი მოკშინი კმაყოფილი ადევნებდა თვალს, როგორ მოსრიალდა „სტრელა“, როგორ ღირსეულად და აუჩქარებლად ჩაიარეს დიდპორტფელიანმა, ღია ფერის, ტანზე კარგად მორგებულ კოსტიუმებში გამოწყობილმა მამაკაცებმა, გზადაგზა მტვირთავებსა და მათ ურიკებს რომ უქცევდნენ გვერდს, მაგრამ „სტრელა“ არაფერ შუაში იყო: ბოლო ლიანდაგზე ჩამომდგარი ჭუჭყიანი მატარებლიდან გამოვარდნილ ბრბოში მოკშინმა უცნობი ქალი დაინახა. დაინახა და დაუფიქრებლად მიუახლოვდა. ის ქალი ვარვარა იყო...

მოკშინმა ხიდი გადაიარა და ახლა ფონტანკის სანაპიროზე მიდიოდა. მარჯვნივ, ჯერაც თოვლში ჩაფლული საზაფხულო ბაღი ჩანდა, წინ ინჟინრის სასახლის შენობა იდგა და როგორც ყოველთვის, ჩამავალი მზის სხივებით განათებულს ჰგავდა, თუმცა მზის ჭაჭანებაც არსად იყო.

მოახლოებული მოვლენების მღელვარე, მაგრამ საზეიმო შეგრძნებამ, — რომელმაც ოლეგ მოკშინი აიძულა უეცრად მიეტოვებინა სამუშაო და მოეტყუებინა ხელქვეითები, ინჟინრის სასახლის საპატენტო ბიბლიოთეკაში უნდა წავიდეო აუცილებლად, — ახალი ძალით იფეთქა. ნაბიჯს აუჩქარა. ინჟინრის სასახლე უკან მოიტოვა. ფონტანკაზე ნელა მოძრაობდა ასფალტივით დამსკდარი ყინული. ყინულის ერთ-ერთ ნატეხზე ცოცხი ეგდო, ცოტა მოშორებით — შავი ტყავის ხელთათმანი, გვერდით კი მოხდენილად იდგა ვერმუტის ბოთლი.

ლიტეინაიაზე რომ გავიდა, მოკშინმა საკმაოდ უცნაურ არსებას მოჰკრა თვალი. თუმცა არ წვიმდა, მაგრამ ამ არსებას მთლად სველი, ფარფლებჩამოშვებული ფეტრის ქუდი ეხურა. მისი სახის დანახვა შეუძლებელი იყო. მხოლოდ დიდი, გალურჯებული ცხვირი უჩანდა. შუბლს თვალებზე ჩამოწეული ქუდის ფარფლები უფარავდა, პირსა და ნიკაპს კი ჰუჰკიანი, ძველი შარფი. კაცი გულგრილად, მოურიდებლად მიყრდნობოდა იქვე, ბუკინისტურ მაღაზიასთან მდებარე სახლის კედელს. როცა მოკშინი გაუსწორდა, მან უსიტყვოდ გადაუჭრა გზა, გრძელი პალტოს გაცვეთილი კალთა გადაიწია და ოლეგმა თვალი მოჰკრა წიგნის სათაურს: „როგორ შევიძინოთ ხასიათის სიმტკიცე“.

2

წინათგრძნობამ მოკშინს არც ამჯერად უმტყუნა. გვიან ღამით კინაღამ ტრამვაის ქვეშ ჩავარდა.

სამ საათზე, ვარვარასაგან წამოსული, დაცარიელებულ ლიტეინაიაზე გადადიოდა. მოულოდნელად ცირკის მხრიდან ხმაურით გამოიჭრა ტრამვაი და ნევსკისაკენ გიჟური სიჩქარით დაეშვა. ოლეგ ნიკოლაევიჩმა ძლივს მოასწრო განზე გახტომა და აკანკალებული დიდხანს უგდებდა ყურს მიმავალი ტრამვაის ღრჭიალს. სული რომ მოითქვა, მიხვდა, ძალიან უცნაური ტრამვაი იყო: სულ ჩაბნელებული, თანაც ისე მიიჩქაროდა, გეგონებოდა რაღაცას გაურბისო.

და შემდეგ კიდევ დიდხანს — ქუჩაშიაც, სადარბაზოშიც, შინაც, გვიან მისული დედამ საყვედურებით რომ აავსო, ლოგინშიაც, სანამ ძილი მოერეოდა — სულ ეს ტრამვაი ედგა თვალწინ, რომელიც თითქოს შიშით თავზარდაცემული გარს უვლიდა მძინარე ქალაქს.

3

სიცოცხლის ხაზი მოკლე აქვს, შუა ხელისგულზე წყდება. თუ ქირომანტიას დაუჯერებს კაცი და თან არც ლარისას წლოვანებას დაივიწყებს — ის ხომ დაახლოებით 30 წლისაა — როგორღა უნდა უწინასწარმეტყველოს ბედნიერი მომავალი, როგორღა უნდა დააიმედოს. მეორეს მხრივ, როგორ გინდა პირში მიახალო, რომ აღარ ელის სიყვარული, თანაც სხვა რაიმე მიზეზი კი არ არსებობს, უბრალოდ ხელზე მეტად მნიშვნელოვანი და საშინელი რამ აწერია. როგორც ჩანს, ეს საშინელება მალე მოხდება, შეიძლება ერთი კვირის, ერთი თვის

შემდეგ მოხდეს ან სულაც ხვალვე. საერთოდ, როგორ მოაღწია სიცოცხლის ასეთი ხაზით დღემდე? მაგრამ ქალებს, თვით თავგამოდებულ ინტელექტუალებსაც კი ულაპარაკოდ სჯერათ ამ სისულელეებისა. ასე რომ მოკშინი იძულებული იყო მლიქვნელურად აღფრთოვანებულიყო „ვენერას ბორცვით“, ჩაელუღლუღებინა, გონების ღრმა ხაზი და ვაჭრობისადმი მიდრეკილებაც კი გაქვთო.

ლარისა განაწყენებული წავიდა. იგი ამ სეანსზე აშკარად რაღაც სხვა იმედებს ამყარებდა. მოკშინმა კი შვებით ამოისუნთქა და ტარის საამქროს ნახაზს მიუბრუნდა. ეს ნახაზი მაია ზოტოვას ეკუთვნოდა. მაია ისე ასრულებდა სამუშაოს, რომ მოკშინს, მის უშუალო უფროსს, საყვედურის თავიდან ასაცილებლად ნახაზის თითქმის დეტალური გადასინჯვა უხდებოდა. მას უნდა შეემჩნია და გაესწორებინა ყველა შეცდომა, ისეთ ადგილას რომ გამოტყვრებოდა ხოლმე, სადაც სულ არ ელოდა. არადა ნახაზი სავსე იყო ასეთი შეცდომებით. მოხერხება არ უნდოდა ამას! აი აქაც... დღესვე ვუჩვენებ სეირს! პრემიის მოხსნით დავემუქრები! აჰა, დატკბით — ისევ! აქაც... არა, აქ წვრილმანია. ზომები არაა ჩასმული. აქ კი პირიქით, ზომები არის. თურმე საწყობი შიგნით უფრო დიდია, ვიდრე გარედან. გასაგდებია! აჰ, როგორი წვრილმანებია, შემეშალა, ოლეგ ნიკოლაევიჩ. აჰ, შეგეშალათ, მაშინ რა გაეწყობა, მაშინ სხვა საქმეა. აი, აქაც შეცდომაა...

ოლეგმა თავი ასწია, კარი ზოტოვამ შემოაღო. დიახ, თავად ზოტოვამ, მაღალ ქუსლებზე შემდგარმა, სახეგაბადრულმა და აღელვებულმა. გამოცხადდა!

— ოლეგ ნიკოლაევიჩ, — როგორც ყოველთვის, ახლაც საწყალი ხმით დაიწყო მაიამ, — არ მოიტანეთ? თქვენ დამპირდით.

...რას დავპირდი? აჰ, ჰო? მის ბიჭს, მგონი, პავლიკას, სულ მუცელი სტკივა... ჰოო...

— ჩაიწერეთ. ხეშავის ქერქი — ერთი სუფრის კოვზი. ჩაიწერეთ?

—... კოვზი.

— ასე. სიმინდის ფოჩი — ერთი სუფრის კოვზი, კატაბალახას ფესვი — ერთი კოვზი და მეოთხედი. ყველაფერი აურიეთ, დაუმატეთ სამი ჭიქა ადუღებული წყალი.

— სამი ჭიქა?

— სამი. დაახურეთ თავზე და ადუღეთ ოცი წუთის განმავლობაში, მაგრამ აუცილებლად თავდახურული. ჩაიწერეთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— დიახ, ოლეგ ნიკოლაევიჩ.

— შემდეგ გააცივეთ და თორმეტი საათის განმავლობაში გააჩერეთ, დოლბანდში გაწურეთ და დღეში სამჯერ დაალევინეთ სუფრის კოვზით.

— სულ ესაა?

...ახლა კი დროა ნახაზზე ვილაპარაკოთ...

ქურციკის თვალები თაყვანისცემით და ერთგულებით შეჰყურებდნენ მოკშინს.

— დიდი მადლობა. საჭმლის წინ თუ შემდეგ?

— იქ არ წერია, ალბათ, სულ ერთია.

— დიდად გმადლობთ, ოლეგ ნიკოლაევიჩ, თქვენ ისეთი... კეთილი ხართ... მაშ მე წავალ...

... არა, ახლა ნახაზზე არ ვილაპარაკებთ, აზრი არა აქვს. ეს სულელი მაინც

ვერ იმუშავებს, ვერ შეძლებს. კონსტრუქტორი კი არა, ყვავილების გამყიდველი უნდა იყოს, მიხაკები, პეონები, სუმბული, მათიოლა... არა, არც გამყიდველად ივარგებს, დანაკლისი აღმოაჩნდება და ციხეში ჩასვამენ. მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე... ნეტავ რას ეტმასნებიან ეს დედაკაცები ტექნიკას?

— წადით, მაია...

შეცდომები... მოვასწრებ, თვითონ გავასწორებ... თუ გინდა, ბოლოს და ბოლოს შეცდომების პოვნა თვით უნიჭო განყოფილების გამგესაც შეუძლია. ამ მიმზიდველ საქმეს სხვებიც გააკეთებენ. იმ სულელურ მისიას კი, რომელსაც ოლეგ ნიკოლაევიჩ მოკშინი, ჯერჯერობით მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელი, ნებაყოფლობით კისრულობს, მის გარდა ვერავინ შეასრულებს. ღმერთო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ამ ცხოვრებისაგან დაბეჩავებული სულელი დედაკაცისათვის, რომ ვინმე სერიოზულად დაელაპარაკოს პირად საქმეებზე, ასწავლოს, როგორ იცხოვროს, მისცეს კუჭის სამკურნალო ბალახის რეცეპტი, აუხსნას, რა იდუმალი, ტემპერამენტიანი, გონიერი, პოეტური და ამავე დროს ვაჟკაცურია იგი, დააიმედოს: თუმცა წარსულში ბევრჯერ გაგცრუებიათ იმედი, მაგრამ მომავალში დიდი სიყვარული და ბედნიერება გელითო. თანაც ყოველივე ამას უბრალოდ კი არა, ზუსტ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით უნდა შეჰპირდნენ: ხელის ხაზების, სიზმრების, ჰოროსკოპის ან ყავის ნალექის, ხელნაწერის, ღვთაებრივი სახის ნაკვთების მიხედვით. შეიძლება მათ ყოველთვის არც სჯერათ წინასწარმეტყველებისა და არც ამგვარ რჩევა-დარიგებას მისდევენ: გახდით, თუ გინდათ ახალგაზრდული და სპორტული აღნაგობა გქონდეთო, მაგრამ სტიმული მაინც უჩნდებათ, ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს ცხოვრებაში.

მაიას ალევტინა ზლენკო მოჰყვა ფეხდაფეხ. ცხენების საკითხთან დაკავშირებით მოვიდა!

სიზმარი უნახავს — ვითომ გავასქელი ცხენები სადღაც მდელოზე ძოვდნენ და კუდებით ბუზებს იგერიებდნენ. მთელი ჯოგი იყოო.

— რემა, — დააზუსტა მოკშინმა.

— გინდ ჯოგი, გინდ ფარა იყოს! გინდ მთელი პოლკი! ჩემთვის სულ ერთია. ცხენები, ცხენები და ცხენები. და ყველა ჭიხვინებდა.

სიმართლე რომ ითქვას, მოკშინი ვერ იტანდა ამ ქალბატონს, რომელიც ჩვეულებრივ თხოვნით იწყებდა და ასე ამთავრებდა: „ყველანი სხედან, სისულელეებით ერთობიან, მე კი ფურცლები მომაყარეს, ვერ ამომისუნთქავს“. ამისთანას ასე უნდა უთხრას კაცმა: შენს სამუშაო ადგილზე დაბრუნდი და სისულელეების ჩმახვას თავი დაანებეო. გუშინ, წარმოგიდგენიათ, სიზმარში რაღაც კიბეები უნახავს (პირფერობას ნიშნავს), წუხელ კიდევ — ცხენები. მაგრამ მოკშინმა იცოდა, თუ არ უპასუხებდა, ზლენკო ალიაქოთს ატეხდა და ვინმე უდანაშაულოს, თუგინდ ზოტოვას, გათათხავდა, ხოლო დარჩენილი სამუშაო დღის განმავლობაში ზოტოვა იტირებდა, ზლენკო კი იბობოქრებდა.

— საერთოდ ცხენები კარგი არაა, ტყუილს ნიშნავს, — უთხრა მან.

— ნამ-დვი-ლად! — თითქოს გაუხარდაო, ისე დაიყვირა ზლენკომ. — სწორედაც რომ ტყუილს ნიშნავს. უეჭველად! კეთილი! სულ მატყუებს არამზადა, მაგრამ მე ვერ გამაცურებ! მეექვსე გრძნობა მატყობინებს. აბა, ახლა ვნახოთ...

ქალმა სკამი მოისროლა, თან ისეთი მზერა სტყორცნა მოკშინს, თითქოს იმას მოეტყუებინოს ასე სასტიკად და საზიზღრად. ზლენკო ხმაურით, ქუსლე-

ბის ბაკუნით წავიდა და მოკშინს გონებაში ჩაუქედა სიზმარი ცხენებზე. ამ დროს ტელეფონმაც დარეკა:

— ოლეგ ნიკოლაევიჩი ხართ? — ხავერდოვანი ხმით იკითხა მამაკაცმა. — გურევი გაწუხებთ, კადრების განყოფილებიდან. ოლეგ ნიკოლაევიჩ, მეგობარო, იცით, ასეთი საქმეა... — უჩვეულოდ ყოყმანობდა გურევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამასაც რაღაც სჭირდება. „მეგობარო!“ — ჩაეცინა მოკშინს.

— გისმენთ, გისმენთ.

— მე ჩემი ვაჟის თაობაზე... ჩემმა ვაჟმა...

— რომელი ვაჟი?! — ვერ მიუხვდა მოკშინი.

— ჩემი! ჩემი სულელი! ქალიშვილი გაიცნო. გუშინ გაიცნო, დღეს კი მე და ჩემს მეუღლეს გვეუბნება: ცოლად ვირთავო, სისულელეებს ჩმახავს, ცხრამეტი წლისაა, სულელი. რაღა არ ვცადეთ, ვუთხარი, მოიცადე, გაერკვიე საკუთარ გრძნობებში-მეთქი, გაგიგონია! მოსმენაც არ სურს. თუ ხელს შემიშლით, ინსტიტუტს თავს დავანებებ, სამუშაოდ ჩრდილოეთში წავალო. წავა კიდეც, დასწყევლოს ეშმაკმა! ჩემი ცოლი ტირის, ჩვენ ხომ მხოლოდ მისთვის ვცხოვრობთ, ყველაფერი მაგ საძაგლისათვის გვინდა. მოკლედ, თავგზა ამებნა, რაღაც უნდა გადავწყვიტოთ. ეს ტელეფონში სალაპარაკო არ არის, მაგრამ... ოლეგ ნიკოლაევიჩ, გვიხსენით, თქვენი იმედი გვაქვს.

...აჰა, ტარის საამქროს ნახაზი? ესეც შენი თანამშრომლები. ქალებს რა უშავს, მაგრამ ეს... ისე, შეიძლება თვით დირექტორსაც არ ელაპარაკებოდეს ასე ხმააკანკალებული...

— ჩვენ ხომ თვალითაც არ გვინახავს ის გოგონა. თან წამოვიღე ბარათი, რომელიც ქალიშვილს გუშინ საფოსტო ყუთში დაუტოვებია.

— შემოიარეთ, — დაეთანხმა მოკშინი.

ხელნაწერის მიხედვით ქალიშვილი დიდი მოჩხუბარი ვინმე ჩანდა, თანაც ტყუარა და უსუფთაო, თითქოს განგებ, რკინისებური ნებისყოფაც გააჩნდა. ყოველივე ეს მოკშინმა იუწყა, მაგრამ ამომწურავად მოახსენა უბედურ მამას, მაგრამ თავადაც გესმით, პირადად ოლეგ ნიკოლაევიჩი ამ ცნობებზე პასუხს არ აგებს. ის შეეცადა ჩაეტარებინა მხოლოდ და მხოლოდ გრაფოლოგიური ანალიზი. „თქვენ მთხოვეთ, მე ჩავატარე, მაგრამ რასაკვირველია, მხოლოდ ამას ვერ დასჯერდება კაცი, როცა საცოლეს არჩევს“.

— რა პასუხისმგებლობაზე მელაპარაკები? შენ ჩვენ გვიხსენი... იგი ხომ ცხვარივით ბიჭია, ვესმის? ქალს კი ნებისყოფა აღმოაჩნდა და გამოიჭირა. ეჰ! გმადლობ, გმადლობ, რომ გამაფრთხილე. მე ახლა შენი მოვალეც ვარ და... ნიჭის თაყვანისმცემელიც. დიახ! თანაც უსუფთაოა, არა? ჩემი ცოლი ამას ვერ გადაიტანს.

დამწუხრებული გურევი გავიდა, მოკშინმა კი ნახაზები თავისკენ მიიწია.

ბუფეტში ოლეგ ნიკოლაევიჩი ჩვეულებრივ ყველაზე გვიან მიდიოდა, ასე მოიქცა დღესაც. მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ჰოროსკოპის მიხედვით (წყეულიმც იყოს იგი) მოუხდა რჩევა-დარიგების მიცემა. თავად ღმერთს ენება, რომ ბუღალტერიის თანამშრომელი მსუქანი ქალი მოშორებით მჯდარიყო, რათა მოკშინს კართან ვერ დადარაჯებოდა და იმის საშუალება მიეცა, წყნარად ესადილა. მაგრამ ქალი ისეთი დამორცხვებული და აღტაცებული შეჰყურებდა, რომ... ყელში ლუკმაგაჩხერილმა ოლეგმა აუხსნა: თუ ყოველგვარ სისულელეს დაეჯერება, რადგანაც ივნისის ბოლოსა ხართ დაბადებული, თქვენი ზოდიაქო

ღრიანკალია, ასეთი ქალები კი ან გმირები არიან ან ანჩხლებიო. გახარებულმა ქალმა, რომ მისი ვარაუდი გამართლდა, წაიკნავლა: ოლეგ ნიკოლაევიჩ, ყველაზე გამჭრიახი კაცი ხართ კოლექტივში და ამიტომაც ნამდვილად დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობთ, შეგიძლიათ ჩემს სიტყვას ენდოთო. შემდეგ ქალი ღვეზელებს მივარდა, როგორც ჩანს, რომელიღაც [illegible] სათვის ემზადებოდა. გამჭრიახმა მოკშინმა კი ბოლომდე აღარ დალია ყავა და თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდა.

ახლოვდებოდა ახალ უფროსთან, ქუკოვთან შეხვედრის ჟამი. ჯერ კიდევ გუშინ ქუკოვი მის მეგობრად ითვლებოდა და არაფრით გამოირჩეოდა სხვებისაგან. დღეს კი ინებეთ, განყოფილების უფროსია.

ქუკოვი რომ მის მაგივრად დანიშნეს, მოკშინი ამას განსაკუთრებულად არ განიცდიდა. სახარბიელო არაფერია, ჯერ ერთი, პასუხი უნდა აგო მთელ განყოფილებაზე, თითოეულ ფურცელზე, თითოეულ ციფრზე, მეორეც, შვებულების გრაფიკთან, დაწინაურებასთან, ბიულეტენებთან, დაგვიანებებთან დაკავშირებული ყველა საკითხზე, ახლა კიდევ ეს პრემიებიო, კოლმეურნეობების დასახმარებლად ხალხის გაგზავნაო... და თანაც, რასაკვირველია, ვიღაც უკმაყოფილო დარჩება. როგორც ცნობილია, უფროსი ყოველთვის არამზადაა, მოკშინს კი სულაც არ უნდოდა, არამზადად მოენათლათ იგი.

უფროსებს საერთო კენჭის ყრით რომ ირჩევდნენ, მაშინ მოკშინს ერთხმად აირჩევდნენ. აგერ უკვე ოთხი წელი იყო, ტყუილად კი არ ასახელებდნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები „ბატონ სსი-776, 77, 78-ად“ ქალთა საერთაშორისო დღეს შევსებულ სახუმარო ანკეტებში. კაცებთანაც ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, უკეთესს ვერ ინატრებდი. მტერი, რაც მართალია, არ ჰყავდა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, უშუალოდ დაწინაურებასთან კავშირში არ არის, მაგრამ რაც შეეხება მის სახელს — დიდი ხანი იყო საქმიანი კაცის სახელი ჰქონდა, ამბობდნენ, ნიჭიერი ინჟინერია, შესანიშნავად ეწყობა ადამიანებს და წინ არ მიძვრება, რაც დასაფასებელი არისო.

უკანასკნელი კვირის მანძილზე, როგორც კი გაიგეს, ქუკოვს ნიშნავენო, მოკშინთან ვინ აღარ მოდიოდა, რომ აღშფოთება გამოეთქვა ხელმძღვანელთა სიბეცის გამო.

არა, ქუკოვისა არაფერი მშურს — აზრი არა აქვს, არავითარი.

4

ოთხ საათზე შედგა საუბარი: „მოდით, ერთად შევადგინოთ სამუშაო გეგმა“. „კეთილი“. „შესანიშნავია. მოამზადეთ თქვენი წინადადებები“. „ეს კი (მზერა ტარის საამქროს ნახაზზე გადაიტანა ქუკოვმა), წაიღეთ, გაასწორეთ“. „კეთილი“. „ისე, როგორ ცხოვრობ?“. „კარგად“.

სულ ეს იყო, მაგრამ კმაროდა, რომ ოლეგს ორი დღით გუნება გაფუჭებოდა. ისე დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა: ნაირნაირი ხალხის ვიზიტებითა და მათი შეკითხვებით თავმობეზრებული მოკშინი მუშაობას ძლივს ახერხებდა. აწუხებდნენ, რადგან მოკშინის გარდა აბა ვინ მიაწვდიდათ ამდენ უნიკალურ და მრავალმხრივ ცნობას. სხვა ვისგან გაიგებდნენ, რომ ვარია ახლად დაკლული გემრიელი, რომ ქამა სოკო მალე კარგავს სურნელს. თუმცა მისი ღირსება

სწორედ სურნელია და არა გემო. სხვა ვის შეეძლო ამომწურავად აეხსნა ზრდილობის წესები, ან სახის ოვალის მიხედვით განესაზღვრა ხასიათი, ან თუ საჭიროება მოითხოვდა, განემარტა, რომ ტოლმაჩევის ქუჩას უწინ ქარავნის ქუჩა ერქვა, რადგან იქ იდგა სპილოების ქარავანი, რომელიც ირანის შაჰმა იმპერატორ ანა იოანეს ასულს აჩუქა.

ეროვნული

საიდან, საიდანაა მოკშინი ასე უნიკალურად განსწავლული ქალთა საჭირბოროტო საკითხში? ან რა კავშირი აქვს კულინარიასა თუ ბალახით მკურნალობას ქირომანტიასთან, გრაფოლოგიასთან, ასტროლოგიასა და თითქმის შავ მაგიასთან? მეტი რაღა გინდათ: თვით ჟუკოვი, დღეს რომ მათი უფროსია და დიდი კაცი გახლავთ, სულ რაღაც ორი წლის წინ ლამის ფეხებში უვარდებოდა მოკშინს, სთხოვდა სურათის მიხედვით საყვარელი ქალის იდუმალი ბუნება გამოეცნო და ერჩია, როგორ მოქცეულიყო მასთან. მოკშინმაც ურჩია, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, არა სურათის, არამედ იმ გამოცდილების შედეგად, ქალთა ხასიათებზე დაკვირვებით რომ შეიძინა. გაუმჟღავნა თავისი მოსაზრება და ჟუკოვიც ჩქარა დაქორწინდა.

საქმე ის არის, რომ მოკშინს ეგრეთ წოდებული „ჰობი“ აქვს: აგროვებს იშვიათ წიგნებს, რომლებიც ათასგვარ მითითებასა თუ კონკრეტულ რჩევას შეიცავენ ყველანაირ საკითხზე, „როგორი უნდა იყოს მამაკაცი“, „გარეული ცხოველების ნაადრევი მშობიარობისას პირველი დახმარების აღმოჩენა“ და სხვ.

— რაში ხარჯავ ამდენ ფულს? ნეტავი იოგი მაინც იყო ან ხელზე მკითხაობისა გჯეროდეს. წმინდა წყლის სისულელეა! — ხშირად ეუბნება დედა, ანა გერასიმოვნა ოლეგს. — სხვათა შორის, ოლგა მაქსიმოვნამ გთხოვა გაეგო, რას ნიშნავს სიზმარში ხორცის ნახვა?

— ავად გახდება.

— ოჰ, რა საწყენია, საწყალმა ეს-ესაა ფოლიკულარული ანგინა გადაიტანა.

ამრიგად, ეიმეორებთ: მოკშინი იშვიათ წიგნებს აგროვებს და გუშინაც, გახსოვთ ალბათ, კიდევ ერთი წიგნი შეიძინა. მაგრამ გუშინ საღამოს თვალიც ვერ გადაავლო. ჯერ ვარიასთან შერჩა, მის გრძნობამოჭარბებულ ამხანაგს სიზმრებს უხსნიდა, შინ დაბრუნდა და დედის გოდებამ შეუწუხა გული, უქნარა ხარ, ოცდათხუთმეტისა შესრულდი, დაოჯახებას კი არც ფიქრობ, სადამდე უნდა გირეცხო და გიუთოო, თითქოს გასათხოვარი ქალები ცოტანი იყვნენ, სულელი ვარვარა უკვე ათი წელია გელოდება, მაგრამ სულ ტყუილად, თითქოს ბადრი მთვარე მყავდე, არავინ მოგდის თვალში, ვერა და ვერ გიპოვია შენი საკადრისი მეფის ასული... და ა. შ. ოლეგს, როგორც ყოველთვის, ხმა არ ამოუღია და დასაძინებლად დაწვა.

ახლა კი, გაჭედილ ავტობუსში მსუქან ქალბატონთან ჩახუტებული ახალ წიგნზე ოცნებობდა. თვალწინ ედგა, როგორ მივიდოდა შინ, ისადილებდა, ჩაჯდებოდა სავარძელში და აუჩქარებლად გადაშლიდა წიგნს.

5

პირველსავე გვერდზე სენსაციურად იუწყებოდნენ: თუ ადამიანი მტკიცე ხასიათს გამოიმუშავებს, ცხოვრებაში საბოლოო წარმატებებს მიაღწევს, რადგანაც ძლიერ პიროვნებას განსაკუთრებული ზეგავლენა აქვსო სხვა ადამიანე-

ბზე. მოკშინმა სინანულით გადაშალა მომდევნო გვერდი. შემდეგ უცნობი ავტორი (გვარი არსად არ იყო მოხსენიებული) „ძვირფას მკითხველს“ აცნობდა, რომ ძალა-უფლება და ძლიერება არაჩვეულებრივად „მარტივი ხერხით“ მიიღწევა: ადამიანს პირში უნდა უთხრა ის, რასაც მასზე ფიქრობ, რასაკვირველია განურჩევლად იმისა, ვის ეუბნები სიმართლეს. თუმცა მითითებამ, როგორ უნდა მიაღწიო ამ შესანიშნავ უნარს, თვით ალქიმიასა და შავ მაგიის ნაწერები ოლეგ ნიკოლაევიჩი აიძულა გაკვირვებით ამოეოხრა და შუბლი ხელის გულით მოესრისა. ავტორი სრული სერიოზულობით და რატომღაც გრაფ კალიოსტროს დამოწმებით ურჩევდა მკითხველს მოეხარშა რაღაც ნაყენი და დაელია ერთი ჭიქა. დალევდა თუ არა, იმწუთასვე შეიძენდა სანატრელ თვისებას. კარგი აბდაუბდაა!

მოკშინმა გადაფურცლა წიგნი და დარწმუნდა, რომ ზემოთ მოხსენიებული სენტენციებისა და გულისგამაწვრილებელი დარიგებების გარდა, უმჯობესია ძლიერი იყო, ვიდრე სუსტი, და აგრეთვე ამ პარადოქსის ისტორიული დადასტურებისა — წიგნში სხვა არაფერი იყო.

ცუდ გუნებაზე მყოფს გვიან ჩაეძინა და სიზმარში ცხენები ნახა, დასუქებული, უსიცოცხლო ცხენები. ისინი ზანტად ძოვდნენ უზარმაზარ, ნათელ მდელოზე. სიზმარი ფერადი იყო და მოკშინი თვალისმომჭრელად ცვრიან ბალახს, განათებულ ცასა და ცხენების გახვითქულ ფერდებს ხედავდა. ერთ-ერთ ცხენში ზლენკო შეიცნო.

— ისევ მატყუებ, არა, არამზადავ? — იკითხა მან და მოკშინს შელებილი თვალი ჩაუკრა. — სულ ტყუილების გუდად იქეცი ხომ? აბა, დამაცადე...

მოულოდნელმა თავდასხმამ ოლეგი გამოაღვიძა. საერთოდ ცუდი, ფხიზელი ძილი ჰქონდა, პატარა ხმაური აღვიძებდა. რამდენიმე ხანს თვალგახელილი იწვა და საძაგელ წიგნს იხსენებდა. მდგომარეობისა და სახელის მოსაპოვებლად არასოდეს მოუმარჯვებია „სიმართლე“, და თუმცა ადამიანებს ინდობდა და პირში არასოდეს ეუბნებოდა მწარე სიმართლეს, თითქმის ყოველთვის უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ საკუთარი ნებით. თითქმის ყოველთვის, თითქმის... აი, გასულ კვირას კი ზლენკომ ერთი აურზაური ატეხა, როცა ოლეგმა შესთავაზა, კვირა დღეს იმუშავეო; სასწრაფო პროექტი მზადდებოდა. თან ეს მოურიდებლობაც თავს აბეზრებს ადამიანს. მოკშინი ხომ ყველას ძმა და მეგობარია, სამაგიეროდ თანამდებობაზე ყუკოვს ნიშნავენ! ამ წიგნის ავტორი კი, ვიღაც თაღლითი და მატყუარა ამტკიცებს, რომ წარმატება ყველასათვის მისაწვდომია. იგი ხომ რაღაც სულელურ ნაყენს გვთავაზობს, რაღაც ბანგს! სისულელეა! რისაგან მზადდება ბანგი, არსად არ არის ნათქვამი. რა სისულელე არ შეგიძვრება თავში ღამღამობით!

დილით კი აი რა მოხდა: დილით მოკშინმა აიღო წიგნი, რომ სხვა ექსპონატების გვერდით მოეთავსებინა თაროზე და უცებ იქიდან პატარა, ყვითელი ქაღალდი გადმოვარდა. ოლეგმა ფურცელი აიღო და უფერული მელნით დაწერილი რეცეპტი წაიკითხა:

„შუაღამისას რაიმე მრგვალი ჭურჭელი ზამთარში აღებული წყაროს წყლით ნახევრამდე გაავსე. ცეცხლზე დადგი. როგორც კი წყალი ადუღდება, შიგ ჩაყარე ვერხვის, არყის და არტიშოკის თითო ფოთოლი. დაუმატე დინაყილი აქატი, ცოტა აბზინდა და ცოცხალი (აუცილებლად!) ყვავის ფრთის ნავლი, წიწაკა გემოვნებით. სიგელი ესე დაწვი და ფერფლი ნაყენში ჩაუშვი. გარიჟ-

რაყამდე ადუღე. როცა მზე ამოიწვერება, ჭურჭელი ცეცხლიდან გადმოდგი და გააცივე. ბანგი მზადაა. სასმისი ბოლომდე დალიე და შენ იგრძნობ ენით უთქმელ სიამოვნებას იმის გამო, რომ შეგიძლია თქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობ".

— ეს რა ჯანდაბაა, — გაიფიქრა მოკშინმა, — რაღაც ფრთებით, ეს ფურცელი საიდანღა გამოძვრა? თავს მოვიჭრი, გუშინ ყველაფერი ვნახე, მაგრამ... არა, არა, აქამდე ჯერ არ მივსულვარ. და მერე, საინტერესოა, სად უნდა იშოვო წყაროს წყალი და ფოთლები? განსაკუთრებით ეს... არტიშოკის, სხვათა შორის, აქატის საკინძეები მაქვს, ახალ წელს ვარკამ რომ მაჩუქა... დღეს სწორედ შაბათია, დავურეკავ და საბლინოში წავალთ, იქ, როგორც მახსოვს... ერთი თვეა მთხოვეს, სადმე წავიდეთო.

6

შემდეგი კვირა ბანგისათვის საჭირო ფოთლებისა და ფრთების შეგროვებას მოუნდა. „რასაკვირველია, ყველაფერი ეს სისულელეა, მაგრამ რატომ უნდა ვემორჩილებოდე ყოველთვის მტკნარ რაციონალიზმს, ანდა რატომ უნდა ვარწმუნებდე მუდამ საკუთარ თავს: ეს არ შეიძლება იმიტომ, რომ არასოდეს არ მოხდება-მეთქი?" დე ეს ჯადოსნური ბანგი სიახლის მაუწყებელი იყოს მხოლოდ და სხვა არაფერი. საბლინოდან ჩამოტანილი ზამთრის წყაროს წყლით გავსებული ბიდონი უკვე მაცივარში იდგა, არყისა და ვერხვის ორი შარშანდელი ფოთოლი, რაღაც სასწაულით რომ შერჩენოდა ხეს, საწერი მაგიდის უჯრაში იდო საგანგებოდ მიჩენილ პაკეტში და თავის საათს ელოდა. ოთხშაბათს მათ არტიშოკის ფოთოლი მიემატა, ბოტანიკური ბაღის გულისხმიერ თანამშრომელს რომ გამოსთხოვა. თანამშრომელმა გულწრფელად დაუჯერა მოკშინს ნაამბობი: სანაძლეო დავდე, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა მოვიგო, რადგან ჩემს ბედსა სწყვეტსო. აქვე ინახებოდა აქატის ცალი საკინძე. გვერდით აბზინდის კოლოფი იდო, რომელიც აფთიაქში იყიდა. მხოლოდ ფრთაღა დარჩა საშოვნელი.

მოკშინს დიდხანს არ გაუმართლა — ყვავები სათოფეზე არ ეკარებოდნენ. ფრთები, რომლებსაც იშვიათად იპოვიდა ხოლმე, ყვავისაც შეიძლებოდა ყოფილიყო, მტრედისაც და გარეული იხვისაც კი.

ბედმა მოულოდნელად გაუღიმა. პარასკევს დილით, ეზოში რომ გამოვიდა მოკშინი, სანაგვის მუდმივი ბინადრის, გამძვინვარებული კატისა და დიდი, გაავებული ყვავის ჩხუბის მოწმე გახდა. კატას ყალყზე ედგა ბალანი, ყვავსაც აშლოდა ბუმბული. ორივე ქშუტუნებდა. შეტაკება ხანმოკლე, მაგრამ მძინვარე აღმოჩნდა. და როგორც კომენტატორები იტყვიან, „გაიმარჯვა მეგობრობამ". ყვავმა კატას ნისკარტი ჩაჰკრა კინკრიხოში, სამაგიეროდ თვითონაც თათი მოხვდა ზურგში და გაფრინდა. კატა სანაგვეზე ჩამოჯდა და პირის ბანას შეუდგა გაგულისებული. მიტოვებულ ბრძოლის ველზე კი მოკშინმა ორი ახალი, ნაცრისფერი ფრთა დაინახა. მაშინვე აიღო და ქურდულად ჩაიდო პალტოს ჯიბეში.

ამრიგად, შაბათს დედა გააფრთხილა, სამზარეულოში სურათები უნდა დავბეჭდო და არ შემოხვიდეო. ოლეგ ნიკოლაევიჩმა ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც რეცეპტში ეწერა. მომინანქრებულ ქვაბში წყალი აადუღა. ჩაყარა შიგ ფოთლები და გაჭირვებით დანაყილი აქატი, დაუმატა ყვავის ფრთის ფერფლი,

აბზინდა, ერთი მწიკვი შავი წიწაკა, და ბოლოს ეგრეთწოდებული დამწვარი „სიგელის“ ფერფლი. ამის შემდეგ, მან „მრგვალ ჭურჭელს“ თავზე დაახურა, ცეცხლს დაუწია, რომ არ დამშრალიყო ნაყენი და ქურის გვერდით დაბალ სკამზე ჩამოჯდა. ცდა დიდხანს მოუწევდა, გათენებამდე, მაგრამ შეება უღელში და... მოკშინს ყველა საქმე ბოლომდე მიჰყავდა. ძილი არ ეკარებოდა, თავიდან ცოტა ეცინებოდა კიდეც, ზის ყეყეჩი ქურასთან და ხარშავს ბანგს... ხარშავს ფრთებს... ზის ლუკერია და ხარშავს ფრთებს... ლუკერია მის ძიძას ერქვა... ახალი წლის წინ სწორედ ამ სამზარეულოში იჯდა ხოლმე თავის ამხანაგებთან ერთად და მკითხაობდა. დაჭმუჭნილ გაზეთებს წვავდნენ და კედელზე წარმოქმნილ ჩრდილებს აკვირდებოდნენ: „ყავარჯნიანი მაღალი მამაკაცი“, — ჩურჩულებდა ძიძა და ოლეგი ნათლად ხედავდა გარუჯული, კეთილი სახის პატრონს — მხარბეჭიან ინვალიდს. „ვიღაც ცხენზეა“, — ამბობდა ლუკერია. „სად, სად?“ — წამოხტებოდნენ დედაბრები, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ, ცხენი კი, ფაფარგაშლილი ნამდვილი შავრა ცხენი კედელზე მიჭქროდა და ხმალამოწვდილ ნაბდიან კაზაკს მიაგელვებდა.

ეს ამბავი ოცდაათი წლის წინათ იყო.

ქვაბიდან მსუბუქი ორთქლი ამოდიოდა, მოპირდაპირე სახლებში ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა სინათლეები.

— ოლეგ, ჩქარა დაწვები? ძილის დროა! — ოთახიდან გამოსძახა დედამ.

— დაიძინე, დედა, დაიძინე. ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა, — გამოეხმაურა ოლეგი.

...ბანგი ბანგია, მაგრამ დროა ნებისყოფას მოუხმოს. დროა. ოცდათხუთმეტი წელი ის ასაკია, როცა მამაკაცს პატივისცემა უფრო სჭირდება, ვიდრე საყოველთაო სიყვარული, მთელი სიცოცხლე სიმპათიურ ახალგაზრდას რომ გეძახდნენ — ცოტაა. ვნახოთ, ამხანაგო ქუკოვ, ვნახოთ...

დედის ოთახში გამაღიზიანებლად დაიჭრიალა საწოლმა, ამომრთველი გატკაცუნდა, ოთახში სიჩუმემ დაისადგურა.

კვირაც გათენდა, 11 მარტი, კალენდრის მიხედვით მზე 6.58-ზე უნდა ამოვიდეს. ამოვიდა კიდეც. ფანჯარაში ჯერ მკრთალად, მაგრამ მაინც ჯიუტად შემოიხედა ნაცრისფერმა, ბურუსიანმა სინათლემ. ოლეგმა საათს შეხედა: 6.57. წამოდგა. ისარი 6.58-ს შეეხო. მან გაზი გამორთო. პირსახოცით გადმოდგა ცხელი ქვაბი, მერე ფრთხილად გადაიტანა თავის ოთახში და რაფაზე დადგა. დადგა თუ არა, უეცრად ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ გაუხდელად გაიშოტა დივანზე და ღრმად ჩაეძინა.

7

ვერ გაიგებდი, რისი გემო ჰქონდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ჩანს, წიწაკა გულუხვად ჩაუყრია, ყოველ შემთხვევაში პირი გვარიანად უხურდა. მოკშინმა მთელი ჭიქა დალია, ტუჩები მოიწმინდა და დივანზე ჩამოჯდა. არაფერი არ მომხდარა, არავითარ სულიერ აღმაფრენას, გამბედაობის ან პრინციპულობის მოზღვავებას არ გრძნობდა, გრძნობდა მხოლოდ, რომ ვერ გამოიძინა, რომ სულელია, დასვენების დღის წინა ღამე ვინ იცის რას შესწირა, ბავშვურ სისულელეს, თანაც ვერავის ვერ მოუყვები, დაგცინებენ.

— ზიხარ? — ჰკითხა დედამ. — რატომ არ მიდიხარ შენს დულცინეასთან? მაინც წაიჩხუბეთ?

— დედა, — თავაზიანად, მაგრამ მკაცრად მიუგო მოკშინმა, — ძალიან გთხოვ ვარიაზე ასე ნუ ილაპარაკებ. უკეთესი იქნება, თუ საერთოდ გაჩუმდები, რადგან სხვაგვარად ლაპარაკს მაინც ვერ შესძლებ.

— რაო? — ჩაეკითხა დედა: — რა დაგემართა? ავად ხარ?

— სავსებით ჯანმრთელად ვარ და კიდევ ერთხელ გთხოვ, აგდებულად, უპატივცემულოდ ნუ ილაპარაკებ ქალზე, რომელიც... ჩემთვის ახლობელ ადამიანზე, გაიგე?

— რა ვთქვი იმისთანა, — დედამ ტუჩები მოკუმა და უკან დაიხია, — შიშით ვერაფერს იტყვი... მე ისე... რა ვიცი მე შენი საქმისა...

დედა ბურტყუნ-ბურტყუნით გაერიდა, მოკშინი დერეფანში გავიდა, ვარიას ნომერი აკრიფა და უთხრა: კინოში ვერ წამოვალ, ღამით არ მეძინა და დაღლილობისაგან ფეხზე ვერ ვდგავარ, საღამოს კი, თუ თანახმა იქნები, შემოგივლიო.

— რა მოგივიდა? ისევ უძილობამ შეგაწუხა? თუ დედა იყო ცუდად? — შეშფოთდა ვარია.

— საშიში არაფერია. ერთი საქმე მქონდა. აბა, დროებით.

სადილობამდე მოკშინს ეძინა. დედა უჩვეულოდ დუმდა, თითქოს შეშინებულიც კი ჩანდა. ოლეგის საყვარელი ხაჭაპურები და შტოშის კისელი მოემზადებინა. ოლეგმა უთხრა, მალე ვარიასთან უნდა წავიდეო.

— თუ რამე დაგჭირდეს, იქ დამირეკე.

— მასთან დავრეკო? მასთან? ჰო... კარგი. დავრეკავ, თუ რამე დამჭირდა.

— თუ იქ დავაპირე დარჩენა, 12 საათამდე დაგირეკავ.

...მართლაც, ეშმაკმა დალახვროს, როგორ უბრალოდ და კარგად გამოვიდა. აი, სეირი, თუ გინდა...

თუმცა ქუჩაში შიშველი ხეები იდგნენ, ხოლო ტროტუარების გასწვრივ და სკვერებში თოვლის ნამქერები ჩანდა, ქალაქში ნამდვილად იგრძნობოდა გაზაფხულის მოახლოება. დღისით თოვლი გამდნარიყო და ტროტუარები შრებოდა. ნოტიო და თბილი ქარი ქროდა.

სადოვაიასა და ნევსკის კუთხეში ოლეგს დაუძახეს:

— ოლეგ ნიკოლაევიჩ! ოლეგ ნიკოლაევიჩ! მოიცადეთ! — ნაცნობი გულისგამაწვრილებელი ხმა იყო, რომელიც მას ყოველთვის გუნებას უფუჭებდა. ზლენკო უკვე მასთან იდგა და იდაყვზე ექაჩებოდა.

— წარმოგიდგენიათ, — შეატყობინა, — უარს ამბობს, არც არაფერი ყოფილა და არც არისო. აბეზაროო, მეუბნება, ტყუილად ეჭვიანობო. როგორ გგონიათ, ტყუის? სხვათა შორის, წუხელ სიზმარში მდინარე ვნახე, ვოლგასავით დიდი მდინარე, შუაგულში კი...

— ცხენი, — მაშინვე მიუხვდა მოკშინი და პირის დახურვა არ აცალა, ისე განაგრძო, თან იდაყვი გაითავისუფლა: — ჯერ ერთი, არ მცალია, მეჩქარება, პაემანზე მივდივარ, მეორეც, თქვენი ქმარი უდავოდ მართალია, და, მესამეც, მოეშვით ამ სიზმრებს, კარგად იყავით.

— რაო? — გაოგნდა ზლენკო.

— აი ასე. მაპატიეთ, — თავაზიანად დაემშვიდობა ოლეგი და მეტროსკენ გაეშურა, თან უხაროდა, სიახლე დაიწყოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეგი და ვარია არსადაც არ წასულან, შინ ისხდნენ და საუბრობდნენ. მოკშინმა ყველაფერი უამბო: რასაკვირველია, წიგნზეც, რეცეპტზედაც, ბანგზეც კი. ვარვარა ღიმილით უსმენდა, თან თავს აქნევდა. როცა ოლეგმა მოყოლა დაამთავრა: მე წამოვედი, ის კი ადგილზე გაქვავდა, გაოცებისაგან პირი ღია დარჩა, ხოლო თვალები ლამის ბუდეებიდან გადმოსცვივდაო, — ვარიამ უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ამისათვის მიყვარხარ.

— რისთვის?

— ყველაფრისთვის.

8

ორშაბათს, დილით, მოკშინმა მაია ზოტოვა დაიბარა.

— მინდა გაუწყოთ, მაია ივანოვნა, — უთხრა მან და ყურადღებით შეხედა, — რომ პარასკევს თქვენი ნახაზის გულისათვის ოროსანივით მომიხდა გაწითლება განყოფილების გამგესთან, იმიტომ რომ ფიზიკურად ვერ შევძელი მასში დაშვებული ყველა შეცდომის გასწორება. შეცდომები კი ბლომად იყო. ამის შემდეგ აღარ ვაპირებ არც გაწითლებას, არც ჩემი სამუშაო დროის დახარჯვას თქვენი მოვალეობის შესასრულებლად...

— ოლეგ ნიკოლაევიჩ, — ჩვეულებისამებრ შეაწყვეტინა აკანკალებულმა ზოტოვამ, — როგორ მეუბნებით ამას, მე ხომ ბავშვი მყავს, თქვენ ხომ იცით.

— ძალიან გთხოვთ, თავს ნუ მაცოდებთ, ბავშვი შინაა, ბებიასთან, თქვენ კი სამუშაოზე ხართ. ღვთის გულისათვის, იმუშავეთ. იქნებ არ შეგიძლიათ?

— მე... არა, — გამოსცრა გაოგნებულმა მაიამ მცირეხნის დუმილის შემდეგ, — ... მე... უბრალოდ... თქვენ ასე ნუ ინერვიულებთ, ოლეგ ნიკოლაევიჩ.

— მაშინ წადით და იმუშავეთ, — მშვიდობიანად მიუგო მოკშინმა, — გახსოვდეთ, მალე კადრების გადასინჯვა იქნება. თავისუფალი ხართ.

ათი წუთის შემდეგ დირექტორის მდივანი ლარისა ნიკოლაევნა გამოცხადდა თავისი ბედშავი ხელისგულით.

— იმ პარასკევს უგუნებოდ იყავით, — ჩაიდუდუნა მან, გონების ხაზზე მელაპარაკეთ, ჩემთვის კი გონებას მნიშვნელობა არა აქვს. დამეთანხმეთ, რომ ჭკუა-გონება ქალისათვის სულაც არ არის მთავარი, ასე არაა?

— ასეა, — სიამოვნებით დაეთანხმა მოკშინი.

— სხვა რამეზე კი ერთი სიტყვაც არ გითქვამთ, — განაგრძო მან და დაჟინებით შეაცქერდა თვალებში, თან ხელს უწვდიდა: — მე კი ახლა ისეთი მომენტი მაქვს ავტობიოგრაფიაში...

— ბიოგრაფიაში, ლაროჩკა, დახმარებით კი ველარ დაგეხმარებით, უკვე აღარ ვმკითხაობ. დრო აღარ მაქვს.

— ო, ოლეგ ნიკოლაევიჩ, — ლარისამ ჭირვეულად შეათამაშა თითები, მაგრამ ხელი არ წაუღია. გრძელი, ლამაზი თითები აქვს, ფრჩხილებზე ლაქი უსვია, ვარია კი ფრჩხილებს სულ ძირში იჭრის, ექთანია.

— მართლა არ მცალია, ლარისა, სასწრაფო საქმე მაქვს. გარდა ამისა, თქვენ ხომ ზღაპრულ წარმატებებს ელით მომავალში, ტყუილების მოფიქრების თავი არა მაქვს, წყენინება კი არავისი არ მინდა. ასე რომ, არ ვიცი, რა ვქნა.

„ავტობიოგრაფიაში“ კი მოხდეს, რაც მოსახდენია. წინასწარ თუ იცი ყველაფერი, ცხოვრება საინტერესო აღარაა.

— თქვენ ასე გგონიათ? — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ლარისამ და თან თვალს არ აცილებდა მოკშინს. — რა გაეწყობა, თქვენ უკეთ იცით. ჰო, მართლა, მალე ჩემი დაბადების დღეა. რა იქნება, რომ დაგპატიჟოთ?

გასვლისას ქალი ოდნავ შეეხო მოკშინს მხარზე თავისი ლაქწასმული თითით და კაბინეტში პოლონური სუნამოს სურნელი დატოვა.

სადილობამდე ერთი საათით ადრე ოლეგი ჟუკოვმა გამოიძახა და მიმდინარე საკითხებზე მცირე ხნის საუბრის შემდეგ ყოყმანით უთხრა:

— ჩვენ ორთავეს თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი გვაწევს, ჰოდა, გადავწყვიტე მოგელაპარაკო ერთხელ და სამუდამოდ... მოდი, ნუ მომატყუებ: ჩემზე ნაწყენი ხარ?

„აჰა, — გაიფიქრა მოკშინმა, — იწყება“.

— არა, არა ვარ შენზე ნაწყენი, რატომ უნდა ვიყო? კეთილი ბიჭი ხარ. თანაც შენ ხომ არ დაგინიშნავს საკუთარი თავი მაგ თანამდებობაზე?

— ასეა.

— მაგრამ შენი დანიშვნა მაინც ყელში ამომივიდა.

— გასაგებია, — წარმოთქვა ჟუკოვმა და თანაგრძნობით შეხედა მოკშინს.

— მაგას მოეშვი, მე ჩემს ადგილზე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. მაგრამ შენ რომ ულაპარაკოდ აგირჩიეს და მე არც კი შემომთავაზეს, აი ეს მეწყინა, თუმცა ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო.

— რაღაც გაუგებრად ლაპარაკობ, ოლეგ. თუ ეს ადგილი არ გინდა, მაშინ რაღა გწყინს?

— ის, რომ შენ აგირჩიეს. მე და შენ, მადლობა ღმერთს, ინსტიტუტიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ, ვოვა, აბა რა განყოფილების უფროსი შენა ხარ? პირდაპირ სასაცილოა. შენ ხომ... შენ ხომ, ყველამ იცის, რა ინჟინერიც ხარ. მართალი თუ გინდა, რაღაცით შეურაცხმყოფს კიდეც, რომ ასეთი ხელმძღვანელი მყავს. თუ ხელმძღვანელი ასეთია, მაშინ მე როგორი უნდა ვიყო? რას მიყურებ?

— საინტერესოა. მერე?

— როცა გავიგე, პირველად გავოგნდი კიდეც. მერე კი მივხვდი, იციან თავისი საქმე, მიზანში მოახვედრეს-მეთქი.

— მაშ, შენ ასეთი აზრისა ხარ. არ ვიცოდი. კეთილი, ჩამთვალე უნიჭოდ, სამაგიეროდ შენ ხარ გენიოსი, ყოველთვის გამოირჩეოდი...

— ჩემზე არაა ლაპარაკი. საკუთარი ამბავი კი თავად უკეთ იცი. ან იქნება ნელნელა თვითკმაყოფილებას გგვრის პრინციპი — სულელს არ დანიშნავენო?

— თუ უნიჭო ვარ, მაშინ რატომ გამომარჩია შენი აზრით დირექციამ? მლიქვნელი ვარ თუ ქრთამი მივეცი?

— ქრთამი შენ, ვოვა, მათთვის არ მიგიცია, და საერთოდ შესანიშნავი ადამიანი ხარ, გულისამაჩუყებლად ალალმართალი. რატომ ბრაზობ? თვითონ აიტეხე ეს საუბარი, ახლა კი კომპლექსები გაწუხებს. გვეყოფა, წავედი სამუშაოდ.

— არა, მაპატიე, მე ყველაფერი უნდა გავიგო. ამას ჩემთვის მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ. თუ დაიწყე, დაამთავრე კიდეც.

— ხელს არაფერში შეგიშლი, დანარჩენი ჩემი პირადი საქმეა. ისედაც ბევრი ვილაპარაკე, ნახე, როგორ გაწითლდი.

— აი ეს კი ჩემი პირადი საქმეა. აბა მითხარი, რა ისეთი არამზადა და ინტრიგანი მე ვარ, რომ შენს თავს მამჯობინეს?

— არც არამზადა ხარ და არც ინტრიგანი, სად შეგიძლია ინტრიგანობა? შენ საერთოდ არაფერი არა ხარ. ერთი ჩვეულებრივი, უფერული ადამიანი ხარ, დამყოლი და შემგუებელი. შენთან ურთიერთობა ხელსაყრელია. დირექციაც ასე ფიქრობს, მაგრამ ეს მათი საქმეა, მე კი სულაც არ მსიამოვნებს შენნაირი უფროსი. თუმცა, რასაკვირველია, ამასაც გადავიტანთ. შენ კი, ვალოდია, ნუ იბერები, ნუ წითლდები და შემდეგშიც ადამიანებს ასეთ შეკითხვებს ნუღარ დაუსვამ. იმიტომ რომ, ვინმემ რომ გითხრას კიდეც, შენი დაწინაურება ხელმძღვანელობის ყველაზე გონივრული ნაბიჯიაო, არ დაუჯერო, ეს პირფერობა იქნება.

— მე შენთვის რჩევა არ მითხოვია, როგორმე ისედაც მოვუვლი თავს.

— გასაგებია, წავედი.

ეუკოვი სდუმდა. ოლეგი დერეფანში გავიდა, საოცარ სიმსუბუქესა და წარმოიდგინეთ, სიცარიელესაც კი გრძნობდა. ესეც შენი ყვავის ფრთა! ესეც შენი აზნიდას ბალახი. მოუვლის თავს, როგორ არა! ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა, მაგრამ არაფერია, დაე, იცოდეს სიმართლე!

იმავე დღეს გურევმა დაურეკა კადრების განყოფილებიდან, შემოგივლით და იმ ყმაწვილი ქალის სურათს მოგიტანთ, რათა დამატებითი კონსულტაცია მომცეთო. მოკშინმა, რომელიც ჯერ კიდევ გრძნობდა თავისუფლებასა და სიმსუბუქეს, უთხრა: რაღაც სისულეებისათვის სამუშაოს თავს ვერ დავანებებ. დიახ, დაკავებული ვარ, დღის ბოლომდე... რა, არა, არც ხვალ მცალია, და აი რას გირჩევთ: თავი დაანებეთ ყმაწვილს.

გურევის მავედრებელი, თითქმის შესაბრალისი კილო ცივი და მტრული ინტონაციით შეიცვალა. მაგრამ მოკშინი ამან კიდეც გაამხიარულა. ისეთ გუნებაზე დადგა, უნდოდა ვინმესათვის ეწყენინებინა, უნდოდა, კიდევ მოსულიყო ვინმე მორიგი სულელური თხოვნით. ძალზე სასაცილო სანახავი იქნებოდა: მთხოვნელის შეშინებულ თვალებში ჯერ შეუმჩნევლად გაკრთებოდა, მერე კი მთელი ძალით აგიზგიზდებოდა დაბნეულობა და პატივისცემა, თითქოს იქ, სადღაც შიგნით, რეოსტატი ამოჭრეს და ძაბვა გაზარდესო.

მაგრამ კაციშვილი აღარ აწუხებდა რაიმე თხოვნით. როგორც ჩანს, იმათ, ვინც უკვე ნახეს დღეს მოკშინი, ხმა გაავრცელეს, ოლეგ ნიკოლაევიჩი გუნებაზე არ არის და ყველას თავიდან იცილებსო. სრულ სიწყნარესა და სიმშვიდეში მოკშინმა მოასწრო გადაეხედა და ხელი მოეწერა ერთ საკმაოდ ვრცელ განმარტებით ბარათზე. დღის ბოლოს კი ზოტოვა გამოცხადდა, ფრთხილად დააკაკუნა, ფეხაკრეფით შემოვიდა და მაგიდაზე ტარის საამქროს თითქმის უნაკლოდ შესრულებული ნახაზი დაუდო.

9

კვირას კვირა მისდევდა. მოკშინი ინტერესით აკვირდებოდა, როგორ იცვლებოდა გარშემომყოფთა დამოკიდებულება მის მიმართ. ურთიერთობა კი არ

გაუმჯობესებულა, უბრალოდ შეიცვალა და ეს შეცვლა მოკშინს სავსებით ხელს აძლევდა: გაქრა ძმაბიჭური სიახლოვე. მოკშინის ხელქვეითებს, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ თავიანთი უფროსის. გაგიკვირდებოდათ, ისე სწრაფად შეეჩვიენენ მის მკაცრ მოთხოვნებს, ამის გამო ნახაზებისა და სხვა ტექდოკუმენტების ხარისხი საგრძნობლად ამაღლდა. ქუკოვთან გულგრილი, საქმიანი ურთიერთობა დაამყარა. ის, როგორც ჩანს, მიხვდა, ოლეგ ნიკოლაევიჩი ტყუილად თავს არავის დააჩაგვრინებდა, თავის აზრსაც ყოველთვის დაიცავდა. თუ საჭირო იქნებოდა, მთავარ ინჟინერთანაც წავიდოდა, დირექტორთანაც. დადიოდა კიდეც. ქუკოვი კი სდუმდა და ქვეშ-ქვეშ უყურებდა. სხვა თემაზეც აღარ საუბრობდნენ, მხოლოდ სამუშაოზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

როგორღაც, ახალი ცხოვრების დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ ლარისამ სარწმუნო წყაროებიდან აცნობა მოკშინს: ხალხი დაჟინებით ლაპარაკობს, ოლეგს დიდი დაწინაურება ელის, მან ეს ამბავი იცის და ამიტომაც გახდა ასეთიო.

— მაინც როგორი გავხდი?

— პირქუში.

— ჰოო?

— ჰო, გინდათ ახალი ამბავი გითხრათ?

გამოირკვა, რომ ლარისამ შემთხვევით გაიგონა, როგორ ეუბნებოდა მთავარი ინჟინერი დირექტორს, ქუკოვის დანიშვნისას ვიჩქარეთ, მოკშინი უფრო ივარგებდაო, დირექტორმა კი უთხრა: შენს მოკშინს საზიზღარი ხასიათი აქვს, მაგრამ მოვიფიქროთ, აი ჩქარა ტიხომიროვი პენსიაზე გავა და გადავწყვიტოთო.

— ახალი ამბისათვის ჯილდო მერგება, — უთხრა ლარისამ და ლოყა საკოცნელად მიუშვირა. კიდევ კარგი, მისაღებში მარტონი იყვნენ. მოკშინი ტუჩებით ფრთხილად შეეხო ლოყაზე და პუდრის სუნი იგრძნო. უცბად შემოესმა:

— ამით ვერ გადარჩებით! ხვალ ჩემი დაბადების დღეა, გელოდებით, ყვავილებით!

10

კი მაგრამ, ეს რა გამოდის, ნუთუ მოკშინი ყოველთვის ცდებოდა, როცა მიაჩნდა, ადამიანებს ყველაფერს გააკეთებინებ, თუ რბილად მოექცევი, დაუთმობ და ამხანაგურ სამსახურს გაუწევო. ეტყობა, იმ უკეთური წიგნის ავტორი მართალია. ფაქტს ვერ უარყოფ, მისი პირადი ცხოვრებაც წიგნის ავტორის აზრს ადასტურებს: დედას აუგს ველარ ათქმევინებ ვარიაზე. ოლეგის შინიდან წასვლასა და ხანგრძლივ არყოფნასაც თითქმის უდრტვინველად იტანს. ვარიაც კი, რომელიც ოლეგს თითქოს მოხარშულსაც იცნობდა, გამოტყდა. თვალები ნამდვილად ახლა ამეხილაო. ამ სიტყვებით დამთავრდა მათ შორის ერთი უსიამოვნო საუბარი, როცა მოკშინმა ვარიას განუცხადა, თანამშრომელთან დაბადების დღეზე მივდივარო. მიწვეული ვარ, როგორც საზოგადოების სული და გული, ამიტომ უარის თქმა უხერხულიაო. ვარვარას წაყვანა კი არ შეუძლია, რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ვარია არავის არ დაუპატიჟია, მას კი არ სურს ზოგი დაფარული ამბავი გაახმაუროს, „ამის მეტს არაფერს აგიხსნი, თუ არ გესმის, ძალზე საწყენია“.

— შენი ცოლი რომ ვყოფილიყავი? — ჩუმად იკითხა ვარიამ.

— კი მაგრამ, შენ ხომ ცოლი არა ხარ, — მიუგო ოლეგმა.

რა თქმა უნდა, თავიდან ვარიამ ცხვირი ჩამოუშვა და ცოტა კიდეც წაიტირა. მოკშინი გვერდით ეჯდა და მოთმინებით ელოდა. აბა, ისე რომ ვთქვათ, რა უნდა ექნა? მერე ვარიამ ცრემლები მოიწმინდა, უეცრად გაუღიმა და უთხრა:

— კარგი. შენ მართალი ხარ, რა მინდა იქ? არავის არ ვიცნობ, მოწყენილობისაგან მოვკვდები. უმჯობესია ლუდასთან წავიდე. შენ კი პატივს გცემ: ხომ შეგეძლო, როგორც უწინ. გეთქვა, მე და დედა დეიდასთან მივდივართო, მაგრამ სიმართლე თქვი და თუმცა ვიღრიალე, ასე სჯობს. არც კი ვიცოდი, როგორი ყოფილხარ — ყველაზე პატიოსანი.

ნამდვილად გაგაგიჟებენ ეს ქალები: „როგორც უწინ, გეთქვა, დეიდასთან მივდივართო". თურმე ყველაფერს ხვდებოდა, თქმით კი არაფერს ეუბნებოდა.

რა უნდა უყოს ახლა ამ ბანგს? ერთის მხრივ, ამას მხოლოდ ალეუტინები, ზოტოვები, გურევები და სხვები დაიჯერებენ, მეორეს მხრივ კი... ჰოდა, მოკშინიც ხანდახან, პროფილაქტიკის მიზნით, უზმოზე, ნახევარ-ნახევარ ჭიქა ნაყენს სვამდა. აბა რა? მართლა და მართლა ხომ არ გააფუჭებდა ბანგს, როცა ამდენი ძალა შეალია აბზინდის, არტიშოკისა და ფრთების შეგროვებას.

11

ავტობუსში ტევა არ იყო. როგორც კი ადგილი გათავისუფლდა, მოკშინი დაჯდა და შვებით ამოისუნთქა. კიდევ ნახევარი წუთი და ლაბადის ღილებს დააგლეჯდნენ, ახლახან დაწმენდილ ფეხსაცმელებსაც სულ გაუოხრებდნენ. დაჯდა და მუხლებზე დაიდო მძიმე პორტფელი, მაგრამ სად იყო და სად არა, მის გვერდით არცთუ ისე ახალგაზრდა, წაწვეტებულ ნაკვთებიანი, საოცრად უგემოვნოდ შეღებილი ქალი გაჩნდა. მას შესანიშნავი ტყავის პალტო ეცვა და ხელში კარტოფილით სავსე ბადურა ეჭირა. მოკშინმა უხალისოდ სცადა წამოდგომა, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო ამ ჭედვაში. ქალმა კი ამასობაში, ძვირფასი პალტო არ დამესვაროსო, მთელი ძალით მიაბჯინა ბადურა მოკშინს ზედ ახალთახალ, ნაცრისფერ შარვალზე.

— თუ შეიძლება იქით გაწიეთ თქვენი კარტოფილი, ტანსაცმელს მისვრით, — ხმადაბლა სთხოვა მოკშინმა და წამოიწია, მაგრამ ქალბატონი არ განშრეულა, ბელურასავით სახეზე კი აღშფოთება გამოეხატა:

— ერთი მითხარით, სად უნდა წავიღო? განძრევაც კი არ შეიძლება, თქვენ რა გიშავთ, ზიხართ და ჭკუას მასწავლით.

— გრცხვენოდეთ, ახალგაზრდავ, — გაისმა იქვე, მარცხნიდან. ეს ეს არის ოლეგის გვერდზე უდარდელად მთვლემარე, ჩასუქებული მოხუცი უკვე ფეხზე იდგა და ამბობდა: — დაჯექით, დაჯექით, ქალიშვილო. ქალს ადგილი უნდა დავუთმოთ, მე ფეხზე დავდგები, ისინი კი ისხდნენ, ვინც ხნიერები არიან და კანონით ერგებათ.

მოხუცი ხვნეშოდა და გულმოსული შეჰყურებდა მოკშინს. ქალიშვილო! გამოიდო თავი რაინდობაზე! ოლეგმა მოხუცს არც კი შეხედა და ქალს მიმართა:

— რა საჭიროა ამდენი ნერვიულობა? ღვთის გულისათვის, დაჯექით. ყველაზე მართებული კი ის იქნებოდა, თავიდანვე წინა კარიდან ამოსულიყავით და კანონით განკუთვნილი ადგილი დაგეკავებინათ.

— თავხედო! — დაიწივლა განრისხებულმა მანდილოსანმა, გვერდით მდგარმა მიხრწნილმა ჯენტლმენმა კი ჩაიჩიფჩიფა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა უტაქტობაა! ვაი, სირცხვილო!

მოკშინს ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და გასასვლელისაკენ ენერგიულად დაიძრა. რა ასეთი შეურაცხმყოფელი რამ უთხრა ახლა ამ ტყაოსანს? შეეშინდა! როგორ ეშინია ამ ხალხს სიმართლის, არადა, არაფერია იმაზე საშიში, არასწორად შეაფასო საკუთარი თავი. ვერავითარი ტუში, ვერავითარი პომადა და უმარული სამწუხაროდ ვეღარ გაგალამაზებთ და გაგაახალგაზრდავებთ, ქალბატონო. უთანასწორო ომი სიბერესთან მხოლოდ უკანასკნელ ძალებს გართმევთ, რა თქმა უნდა, გულისცემაც აჩქარებული გექნებათ, ავტობუსში სავსე ბადურათი დგომაც გიძნელდებათ, შვილიშვილები კი, ვინ იცის, ალბათ ხულიგნები გყავთ.

— წიგნი მოიტანე? — ჰკითხა ვარიამ, როგორც კი ოლეგმა მისი ოთახის კარი შეაღო.

— ერთი თუ ორი? — უპასუხა მან და ჩანთიდან პრუსტის სამი ტომი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი და ინგლისური ნოველების კრებული ამოალაგა.

— ო, მე ხომ ეს არ გთხოვე, მე ხომ „მტკიცე ხასიათი“ მინდოდა.

— არ არის საჭირო თავის გამოტენა ყოველგვარი მაკულატურით და დროის დაკარგვა, რიგიანი წიგნები უნდა იკითხო და არა ნაგავი. გახსოვს, შარშან, იანვარში, ბაკურიანში სანამ წავიდოდი, „საკლასო № 5“ რომ გათხოვე? შენ ხომ მაინც ვერ მოიცალე წასაკითხად. ახლა პრუსტი წაიკითხე, განათლდი.

— პრუსტის გარეშე ჩემთან გწყინდება?

აჰა, ინებეთ, აქაც იგივე ამბავია, მოდით, მოვიტყუოთ თავი, თითქოს ყველაფერი ისე კი არაა, როგორც სინამდვილეში, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვინდა. მოდით შევიღებოთ წამწამები, ჩავიცვათ ტყავის პალტო და მაშინ ორმოცდათვრამეტი წლისას ავტობუსში ქალიშვილოს დაგვიძახებენ. ჭირვეულად დავბეროთ ტუჩები და ჩვენი უვიცობა უკვალოდ გაქრება: „აჰ, არა, ჩემო გოგონა, რასაკვირველია, შენთან არ მწყინდება. შენ საერთოდ ყველაფერი იცი, პროფესორი ხარ, უბრალოდ ეს ჩემი საყვარელი მწერალია: და მინდა შენი აზრიც ვიცოდე მის შემოქმედებაზე“.

— მართალი თუ გინდა, — წყნარად წარმოთქვა მოკშინმა, — ბოლო დროს ხანდახან მწყინდება კიდეც. უფროს ექთან მუსიაზე და ლუდას საქმროებზეც უკვე ყველაფერი ვიცი. მთელი დღე და ღამე მორიგეობა რომ ძნელია — ესეც გავიგე. ჩემი აზრით, სულაც არ არის საწყენი, წიგნები რომ მოგიტანე. უმაღლესს შენ უკვე ვეღარ დაამთავრებ, ასე რომ...

— რაიმე შეგემთხვა? სამსახურში? არა? დედასთან?

— აბა, რამ გაგაგიჟა, რა უნდა მომხდარიყო, სულელო. რასაც ვფიქრობდი, ის გითხარი, დროა უკვე მიეჩვიო.

— ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ჩემთან გწყინდებოდა, — საწყლად ჩაილაპარაკა ვარიამ. — მაშინ რატომ მოდიხარ ჩემთან, თუ გწყინდება?

მოკშინი მცირე ხანს ჩუმად უყურებდა ვარიას. საინტერესოა, რა უნდა ახლა მას? უნდა, რომ ოლეგმა უთხრას, დაივიწყე, თითქოს ეს ლაპარაკი არ

ყოფილაო? აი ასე ტუჩებაცახცახებული და თვალცრემლიანი ითხოვს, რომ ოლეგმა უკან წაიღოს თავისი სიტყვები, რომ მოიტყუოს...

— თუ არ გინდა პრუსტის კითხვა, ღვთის გულისათვის, ნუ წაიკითხავ, — უთხრა გაღიზიანებულმა მოკშინმა. — მე კარგი მინდოდა, მაგრამ საერთოდ ჭკვიანური საუბრების გარეშეც შეიძლება გასძლოს კაცმა, ბოლოს და ბოლოს შენთან ამისთვის არ დავდივარ, როგორც ქალი კი ძალიან მომწონხარ, რას მიყურებ? ხომ გეუბნები, კარგი ხარ, კეთილი, საყვარელი-მეთქი.

— როგორც ქალი მოგწონვარ? — უცნაური ხმით ჰკითხა ვარიამ.

— ეჭვი არ შეგეპაროს. ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით...

— დღესდღეობით, — მთვარეულივით გაიმეორა ვარიამ, — მოგწონვარ, დღესდღეობით.

ვარია შეშინებული, ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა და ისევ და ისევ უსიტყვოდ ემუდარებოდა : „მოიტყუე რა, მოიტყუე!" ოლეგს კი არც შეეძლო და არც უნდოდა მისი მოტყუება.

— აბა რა ვიცი, რა იქნება ხვალ, — უთხრა მოკშინმა და ვარიას მხრებზე მოხვია ხელი, — ან ვინ იცის საერთოდ, ხვალ რომ მოვკვდე?

— მეც მოვკვდები.

— ნუ სულელობ და გუნებას ნუ იფუჭებ, საკუთარ თავს ადამიანები არ იცნობენ, შეგიძლია უამრავი რამ ჩაიფიქრო, ტყუილი დაპირებები და ტყუილი ფიციც კი მისცე... შენ, მაგალითად, დარწმუნებული ხარ, რომ ერთი წლის შემდეგ არ მოგბეზრდები, არ შეგეზიზღები?

— ათი წელია არ მომბეზრებიხარ.

— დარწმუნებული ვერ იქნები ვერც შენ და ვერც მე. აბა, დამიგდე ყური, დღეს მე და შენ ოცდათხუთმეტი წლისა ვართ, მართალია? ხუთი წლის შემდეგ ორმოცი წლის ვიქნებით. დავუშვათ, დედა მოკვდა...

— აბა რატომ ლაპარაკობ ასე?

— რატომ? აბა რად უნდა მოვიტყუო თავი, რომ მაინცდამაინც დედაჩემია უკვდავი? სადაცაა სამოცდაათი წლისა გახდება, თანაც ბლოკადა აქვს გამოვლილი, ხუთი წელი კიდევ, ჰა, ჰა, გაჭირდეს ათი წელი გასძლოს. . ასე რომ, დავრჩები მარტო და გადავწყვეტ ცოლის შერთვას. ორმოცი წლის მამაკაცი სულაც არ არის მოხუცი, ქალი კი...

ვარია დუმდა.

— ჰო, რა იყო? ამას ვერსად წაუხვალ, ბუნების კანონია. განა დანაშაულია, რომ მეც გამიჩნდეს სურვილი, მქონდეს ოჯახი, მყავდეს ბავშვები? მეტად საწყენია, ძალზე სამწუხაროა, საშინელებაა... მაგრამ ორმოცი წლისა შენ მე ჯანმრთელ, სრულყოფილ ბავშვს ვერ გამიჩენ, სამწუხაროდ.

— მერე მე ვარ ამაში დამნაშავე?

ვარიას ტუჩები აუკანკალდა, ლოყა უთრთოდა, სახე ერთბაშად დაუბერდა და დაუუშნოვდა.

— შენ არაფერში არა ხარ დამნაშავე. მაგრამ დამნაშავე არც მე ვარ, რომ ოცი წლისა არა ხარ. მართალია? გვეყოფა, ღვთის გულისათვის, თავს ვიტანჯავთ...

— როგორ... როგორ შეგიძლია? ჩვენ უკვე ათი წელია ერთად ვართ...

— მართალია, მთელი ათი წელი.

— ჩემმა მშობლებმა ოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად.

— ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ, მათ შენ ჰყავდი.

მოულოდნელად ვარიამ თავი გაშმაგებით გააქნია, ტახტზე პირქვე დაემხო და მხრები აუთრთოლდა.

— მოგბეზრდი! აღარ გჭირდები! აღარ გიყვარვარ! — გაურკვევლად წამოისროდა ხოლმე ვარია, ასეთი რამ კი არ სჩვეოდა მას, საცოდავი, სანახავი იყო, რაღაც საოცრად საცოდავი! მოკშინი უყურებდა აფართხალებულ მხრებს, ქამრიდან ამოჩაჩულ სვიტერსა და ბალიშს ჩაფრენილ ხელს ძირში დაჭრილი ფართო ფრჩხილებით. ვარია სოფლურად, ხმამაღლა მოთქვამდა. ასე ალბათ დედაკაცები დასტირიან მიცვალებულს.

საშველი ერთია: „მიყვარხარ, კუბოს ფიცრამდე მეყვარები, გეფიცები“...

— კარგი, გეყოფა, გესმის? — მოკშინი გვერდით მიუჯდა. — მე შენთან კარგად ვგრძნობ თავს, პატიოსან სიტყვას გაძლევ, მიგეჩვიე...

ვარიამ ქვითინს მოუმატა. ოჰ, ეშმაკმა დალახვროს ეს ბანგი!

— რატომ, რატომ მითხარი ყველაფერი ეს? რისთვის? — უცებ წამოიყვირა ვარიამ, — მე ხომ არაფერს გთხოვ. არც არასოდეს მითხოვნია.. ახლა რატომ... ყველაფერი ისე კარგად იყო... როგორ მოგიბრუნდა ენა?

„რატომ მითხარიო? თავად რატომღა მეკითხება? არაფერი არ ვიცი, შეიძლება მივეჩვიე და მხოლოდ ეგ არის... არაფერი არ ვიცი... მას... და არა მარტო მას... საერთოდ ყველას.... არა მარტო ეშინიათ სიმართლის, არამედ მზად არიან ძალით ამოგგლიჯონ პირიდან ტყუილი, სიცრუე...“

— მომისმინე, ვარკა, — მოკშინი მხარში წვდა და თავისკენ მოაბრუნა (რა უშნოა, თვალები დაებერა, ცხვირი გაუსივდა), — დამშვიდდი, ახლავე ყველაფერს აგიხსნი. არ შემიძლია ტყუილის თქმა, გესმის? შენ არაფერი არ გესმის, დაიცადე...

მოკშინმა პორტფელიდან ბოთლი ამოიღო, რომელშიაც ნაყენის ნარჩენი იყო.

— შეხედე, ეს არის ის. შენ წიგნი მთხოვე, მე კი მოგიტანე... შეიმშრალე ცრემლები ბოლოს და ბოლოს! — მან საცობი მოხსნა და ბოთლი ვარიას გაუწოდა.

— აჰა, დალიე. ალბათ ერთი ჭიქა კიდევ იქნება. პირადად მე წამოსვლის წინ ნახევარი ჭიქა დავლიე. მინდა შენცა სცადო. დაიწყებ სიმართლის ქადაგებას, დამტუქსავ, მაგრამ გეფიცები, არც მეწყინება, არც ვიტირებ. აი ნახავ, დალიე.

— ღმერთო! — ვარია სწრაფად წამოჯდა და კისერზე მოეხვია. — მე კი სულელს... რა თქმა უნდა, ამ სისაძაგლემ მოგწამლა, ეს ხდება ხოლმე. მე კი დავიჯერე, რა არ ვიფიქრე.

— აბა, დალიე, დალიე, — აძალებდა მოკშინი, — რის საწამლავი, არ გაინტერესებს?

— დავლევ, რასაც მეტყვი, ყველაფერს გავაკეთებ, ოჰ, როგორ შემეშინდა, ვიფიქრე, ყველაფერი გათავდა-მეთქი, ყველაფერი.

ვარიამ ბოთლი გამოართვა და პირდაპირ მოსვა. მოკშინი თვალს არ აშორებდა. ბოლომდე გამოსცალა.

— ფუჰ, რა სისაძაგლეა! ახლა რა იქნება? — ვარიამ ცარიელი ბოთლი მოკშინს გაუწოდა.

— ახლა დაიწყებ სიმართლის, მხოლოდ სიმართლის, მარტო სიმართლის ქადაგებას და ღმერთი იყოს შენი მფარველი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12

საერთოდ ვარია ცოტას ლაპარაკობდა, უფრო მოსმენას ამჯობინებდა. გრძნობების გამჟღავნებასა და ალსარებებს ერიდებოდა. ახლა კი, რომ დაიწყო, არ გაჩერებულა. თითქოს სურდა ერთბაშად ეთქვა ყველაფერი, რასაც ათი წელია გულში ინახავდა.

მოკშინმა გაიგო, რომ თურმე ვარიას იგი ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარს, თვით დედაც კი არ ჰყვარებია ასე, ქმარყოფილზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, რომ მის გარდა ამქვეყნად არავინ არ ჰყავს, და არც არაფერი გააჩნია, რომ მთელი ეს წლები ვარია ამ შეხვედრებით სულდგმულობდა, განშორებისას კი საშინლად იტანჯებოდა.

კიდევ ოლეგმა გაიგო, რომ ვარია ყველაზე ბედნიერი თავის სიცოცხლეში იმ სამ ზაფხულს იყო, როცა ერთად ისვენებდნენ. ხოლო როცა ოლეგი მარტო მიდის, გინდ მივლინებაში, გინდ ბაკურიანში სათხილამუროდ, გინდ სამხრეთში, ვარია ეჭვიანობისა და დარდისაგან გიჟდება. „ჰო, ჰო, განა არ ვიცი, რა ჭკვიანი და განათლებული ქალიშვილები წამოვიდნენ მერე და მერე. მე კი არა მგვანან!“

ვარიას ეჭვიანობისა და დარდის შესახებ მოკშინმა არაფერი იცოდა. ჩვეულებრივ, როცა დიდი ხნის განშორების შემდეგ, ვარიას ხვდებოდა და ეკითხებოდა, უჩემოდ როგორ იყავიო, ვარია სახეგაღიმებული აბარებდა ანგარიშს, ყველაფერი შესანიშნავადაა, ცოტა კი მოვიწყინე, მაგრამ საშიში არაფერიაო. ისე, დრო საინტერესოდ გაატარა, ორჯერ თეატრში დაპატიჟეს, კიდევ კინოში და ტანსაცმლის მოდელების გამოფენაზე.

ახლა ირკვევა, რომ ვარიამ თეატრში დაპატიჟება მოიგონა, კინო და მოდელები თვალითაც არ უნახავს. საერთოდ კი სხვა არაფერი უნდა, ოღონდ ოლეგთან იჯდეს, ოღონდ მას უყუროს და უსმინოს. ოლეგი ხომ ძალიან ლამაზი, ჭკვიანი და არაჩვეულებრივად დახვეწილი ადამიანია. ვარიას ვერაფრით გაეგო, რისთვის ეღირსა ასეთი ბედნიერება ცხოვრებაში.

ყველაფერი ეს ვარიასაგან გასაკვირი არ იყო, თუმცა ათი წლის შემდეგ რომ ასე... მაგრამ დავუშვათ, რომ ასეა... რაც მთავარია, მოკშინს თანდათან იპყრობდა მღელვარება, ვარია დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ოლეგი არსად არ წავა. არა, ხელწერილს ან გარანტიას კი არ სთხოვს, პირობა მომეცი, საუკუნოდ ჩემი იყავიო, უბრალოდ უნდა იცოდეს, რომ დღეს ოლეგი მასთან იქნება, ხვალაც, დილამდე მაინც, იმიტომ რომ საშინელებაა, სულ იმას ელოდო — აი, ან ახლა იტყვის ან ახლა, დროა, წავიდეო. ვარიას ოლეგის სახლში არ მიესვლება, ამიტომ კვლავ მარტო დარჩება თავის მოძულებულ ოთახში და დაიწყება მოლოდინი, მოლოდინი, მოლოდინი...

და კიდევ მთელი ეს წლები ვარია, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ ოლეგი დედამისის გამო არ თხოულობდა მას ცოლად. ეს მიზეზი ვარიას საპატიოდ მიაჩნდა და მზად იყო სიბერემდე ეთმინა, რა თქმა უნდა, ბავშვი უნდოდა, მაგრამ რა ექნა, მას ოლეგი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ბავშვი და იმე-

დონებდა, რომ ოდესმე მაინც ერთად იქნებოდნენ. ამიტომ იმის გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება სხვაგვარად მოხდეს, ვარიასათვის მაინც საშინელებაა, ტრაგედიაა, შეიძლება თავიც მოიკლას. სულ ახლახან ყოფილი ქმარი შერიგებას სთავაზობდა (ოლეგისათვის არაფერი უთქვამს!), მაგრამ ვარიამ უარი უთხრა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. გოგოები ეუბნებიან, სულელი ხარო, მაგრამ მას აზრადაც არ მოსდის... დღეს კი ოლეგს რომ უსმენდა...

— გადაწყვიტე, რომ არამზადა ვარ!

— არა, არა, ვიცი, შენ ძალიან კარგი, კეთილშობილი კაცი ხარ! ყველაზე უკეთესი! უბრალოდ შენ ეს საზიზღრობა დალიე, ამან მოგწამლა, შხამი ხომ ტვინზე მოქმედებს. — უეცრად ბოთლს შეხედა და გაჩუმდა, ნელ-ნელა ფერი დაეკარგა, თან თვალს არ აცილებდა ბოთლს, ცარიელ ბოთლს, ცარიელს, იმიტომ რომ...

— მაგრამ მეც ხომ... — ვარიამ რატომღაც ხელი ყელზე მოისვა, — მეც დავლიე და არაფერი მომსვლია. ესე იგი...

— რა?

ფერმიხდილი ვარვარა დივანიდან წამოდგა, წელში გასწორდა, ოლეგს წინ დაუდგა და ჰკითხა:

— გიყვარვარ?

ოლეგი არავითარ სიყვარულს არ გრძნობდა. გრძნობდა მხოლოდ დაღლილობას და კიდევ სასოწარკვეთილებას, თითქოს თავდაღმართში, როცა უკვე ვერც გზიდან გადაუხვევ და ვერც შეჩერდები, რადგან სიჩქარე ლამის 100 კილომეტრია, ორიოდ მეტრის დაშორებით ქვა შეემჩნიოს...

ვარია თვალებში შეჰყურებდა და ელოდა.

— არ ვიცი, — ძლივს ამოღერღა მოკშინმა, — ახლა ალბათ... არ ვიცი...

— მაშინ წადი. გესმის, წადი! მხოლოდ ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!

ვარია ჩუმად, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, მაგრამ სინამდვილეში თითქმის ყვიროდა. მოკშინი წავიდა. მას არც ახსნა-განმარტება დაუწყია, არც არაფერზე შედავებია.

18

— შენა ხარ? — ისე გაუკვირდა დედას, თითქოს სხვას ელოდა.

— ხომ ვთქვი, დასაძინებლად მოვალ-მეთქი.

— მართლა? — გაუხარდა დედას. — მე კი დამავიწყდა, მართლა მითხარი?

— თანაც ორჯერ.

— ახლავე ჩაიდანს დავადგამ. ლარისამ დაგირეკა. მშიერი ხარ? რატომ არ დარჩი ვარვარასთან?

...არავის ხმის გაგონება არ მინდა, არც ჩაი მინდა. რას მიძვრებით ყველანი სულში...

— ვარიამ გამომაგდო.

დედას გაეცინა.

— ეს რა ოინი ჩაუდენია? — გამხიარულდა იგი. — გამოგაგდო? ვერაფრით ვერ დავიჯერებ. ეს უბრალოდ ხრიკია, როგორმე გაიძულოს ცოლად შე-

ირთო. შენ კი ცხვირი ჩამოგიშვია, მკვდრისფერი გადევს. წადი, წადი, შეევედრე, დაუჩოქე, სთხოვე ხელი და გული...

— დედა, მე ხომ გითხარი, ჩემს საქმეში ნუ ერევი-მეთქი, გეყოფა, ისედაც საკმაოდ ჩაერიე...

— აჰ, ასე ხომ! მე ვარ არა დამნაშავე? გამოაგდეს და დედაა დამნაშავე. მის საქმეში ვერეოდი, თურმე მე ვუშლიდი ხელს, რომ ოჯახურ ბედნიერებას სწეოდა.

— ღამე მშვიდობისა.

ოლეგი თავისი ოთახისკენ გაემართა, მაგრამ დედა გადაეღობა.

— მე შეგიშალე ხელი დაოჯახებაში? შენ ასე ფიქრობ, ჰო? მართალი მითხარი, მე შეგიშალე ხელი?

— აბა სხვამ ვინ? თვითონაც იცი, რა საჭიროა ეს კომედია? თავი მტკივა, ხვალ ვილაპარაკოთ.

მაგრამ ანა გერასიმოვნას ასე ადვილად ვერ დააშოშმინებდით.

— არა, გესმით! — დაიყვირა მან. — მე ვუშლიდი! ენა როგორ მოუბრუნდა? მთელი ცხოვრება ამას შევალიე, კაცი ოცდათხუთმეტი წლისაა და მაინც დედის ზურგს არის ამოფარებული. არაფერს ვაკლებდი: სადილებიო, კომპოტებიო, ყველაფერი მისთვის მინდოდა, და აჰა, მოვესწარი, გმადლობთ! — დედას ცრემლი მოერია და ხმა აუთრთოლდა. — დაქორწინდი, მოიღე მოწყალება. გადადი მასთან! თუმცა რატომ უნდა გადახვიდე, აქ მოიყვანე, მე კი...

„მოვკვდები... ან დავრდომილთა თავშესაფარში წავალ... ამის თქმა გინდა არა?"

— არა, ნუ ღელავ, ახლა ეს არ არის მთავარი, და საერთოდ არავის არ ვირთავ ცოლად, სანამ...

— სანამ არ მოვკვდები. ჩემს სიკვდილს ელოდები, მარტო უკეთესად იქნებოდი?

— არაფერსაც არ ველოდები. ისე, თუ მარტო ვიქნები... შეიძლება უკეთესიც იყოს, უფრო ადვილი იქნებოდა...

ბოლოს მაინც თქვა... თქვა, რასაც ფიქრობდა.

თვალის დახამხამებაში დედა საცოდავად მოიკუნტა, შიშისაგან თვალებგაფართოებული ხელებს უმწეოდ ასავსავებდა და კარისკენ იწევდა. კრინტი აღარ დაუძრავს, ისე გაუჩინარდა თავის ოთახში. ოლეგი მაშინვე უნდა გამოდევნებოდა, რაღაც ეთქვა, თავი გაემართლებინა, ეცრუა? ოლეგს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, ძალა არ შესწევდა თავი ემართლებინა, დღეს მეტი აღარაფერი შეეძლო.

14

მთელი ღამე შფოთავდა. ჩათვლემდა თუ არა, წამსვე ეღვიძებოდა, თითქოს ხელი ჰკრესო. გული ლამის საგულედან ამოვარდნოდა, დგებოდა, წყალს დალევდა, მერე ისევ დაწვებოდა, ჩაეძინებოდა, მაგრამ ისევ შემკრთალი ახელდა თვალს. ოთახი სულისშემხუთველ წყვდიადს მოეცვა, აპრილი ილეოდა, ლამის ერთი კვირა იყო უკვე ზაფხულის ამინდი იდგა, მაგრამ ისე ათბობდნენ, რომ გავარვარებულ რადიატორს ხელს ვერ მიაკარებდა კაცი.

...დედასთან ცუდად გამოუვიდა, უარესი არ იქნება, ვარიასთანაც. ერთმა-

ნეთისათვის ტყუილის თქმა ჩვევად ექცათ ადამიანებს და ყოველგვარი გულწრფელობა სტიქიური უზრდელობის შთაბეჭდილებას ქმნის. ყოველდღე, დილიდან საღამომდე გაისმის: „აჰ, ალეჩკა, რამდენი ხანია არ მინახიხართ, როგორ გალამაზებულხართ, გაახალგაზრდავებულხართ“, და ალეჩკაც (ვალენტინა იაკოვლევნა) იუბილარივით სახეგაბადრული დაიარება, არადა, ჩემზე იცის, რომ ბოლო წლებში რვა კილო მოიმატა, ცომივით გაფუვდა, [illegible], ღაბაბი ჩამოეკიდა, და დღესაც რიგში „დედილო“ დაუძახეს. მან ეს ყველაფერი იცის, ახსოვს, სარკეშიც იყურება, მაგრამ არაფრით არ იტყვის: რას მეპირფერებით. პირიქით, თვითონაც იცრუებს და კმაყოფილი წაიბოტებს თავის ჯირკა ფეხებით.

„ყველას იმედი გვაქვს, ძვირფასო პაველ პეტროვიჩ, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ კიდევ მრავალ, მრავალ წელს ისეთივე ჯანმრთელი, ახალგაზრდა და მხნე იქნებით, როგორც ახლა ხართ. და ჩვენც შეგვეძლება კიდევ არაერთხელ მოგმართოთ დახმარებისა და რჩევისათვის... თქვენი ფასდაუდებელი გამოცდილება, თქვენი ცოდნა... ყოველთვის... არასოდეს...“.

ეს პაველ პეტროვიჩი თავიდან როგორ მოეცილებინათ, არ იცოდნენ, სამუშაოზე მას ჩვეულებისამებრ ეძინა, როცა მიმართავდნენ, არ ესმოდა, და თუ ესმოდა, თვითონაც არ იცოდა, რას პასუხობდა. ერთი წუთის შემდეგ კი ავიწყდებოდა, რაზე ელაპარაკებოდნენ, მაგრამ დამსახურებული დასვენება არაფრით არ უნდოდა. თავს ესხმოდნენ, შემოტევას იგერიებდა, მაგრამ აი ბოლოს, როგორც იქნა:

„მოგმართავთ რჩევისათვის... ფასდაუდებელი გამოცდილება...“ და ამას ამბობს ადამიანი, რომელიც გულგაწყალებული ორი წლის განმავლობაში ელოდა ამ დღეს, ადამიანი, რომელსაც ხვალ ყველასაგან მოძულებული პაველ პეტროვიჩის ადგილზე დანიშნავენ. და თუმცა პაველ პეტროვიჩმა იცის ეს (რომ არ იცოდეს!), მაინც გრძელ, მგრძნობიარე სიტყვას ამბობს, ცრემლებს ღვრის თავისი საძულველი მოადგილის მკერდზე და საჩუქრებითა და ყვავილებით ხელდამძიმებული ფეხარეული მიდის შინ.

ანდა... აჰ, რა აზრი აქვს ჩამოთვლას!

შვიდის ნახევარზე მოკშინმა ადგომა გადაწყვიტა. პირი დაიბანა, წვერი გაიპარსა, სველი თმა გადაივარცხნა, სარკიდან საკმაოდ პირქუში, უსიამოვნო პიროვნება შემოჰყურებდა.

დედის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ოლეგი სამზარეულოსაკენ გაემართა. ფეხებს განგებ მიაფრატუნებდა... ვარვარა მაინც დაურეკავს, ეჭვიც არ ეპარება. ალბათ სამსახურში. რასაკვირველია, თვითონაც შეიძლება დაურეკოს, მაგრამ რა უთხრას? მოუბოდიშოს? რისთვის, მოკშინმა ყავადანში წყალი ჩაასხა და ქურაზე ხმაურით დადგა. როგორც ჩანს, დღეს მისი უსაუზმოდ დატოვება გადაუწყვეტიათ. პროტესტს უცხადებენ, არა? კეთილი! დედას როგორმე მოუვლის, დედა მაინც... ოლეგი მისი ოთახისაკენ გაეშურა, მაგრამ ზღურბლზე გაშეშდა.

ლოგინი ფაქიზადაა გასწორებული. ფლოსტები ფარდაგზე აწყვია, ყვავილებიც მოურწყავს, სარკმელიც შეღებულია. თვითონ სადღა დაიკარგა ამ დილაუთენია? ოლეგს რომ არაფერი გაუგია?

სამზარეულოში შევარდა, თან კარი მიაჯახუნა, გაზი გამორთო. აცახცახებული ხელებით ყავადანი გადმოდგა, ხელი დაეწვა. შეიგინა და ყავადანი ბა-

კანში ჩააგდო. ყავადანს სახურავი ხმაურით მოსძვრა, ორთქლი ამოვარდა. გაგულისებული მოკშინი კი უკვე დერეფანში იყო, ლაბადას გლეჯდა ჩამოსაკიდიდან, ურჩი თითებით იკრავდა ფეხსაცმლის ზონრებს, უცბად თვალი მოჰკრა თავის ქურქს, გაახსენდა, რომ სამჯერ შეახსენა დედას, ნაფტალინში შეინახეო, მაგრამ ჯერაც აქ ეკიდა. ისიც გაახსენდა, როგორ გალანძღა დედამ ამ ქურქისათვის: „რატომ იყიდე ეს ძველმანი, ამდენი ფული მიეცი, შენ ხომ მეცნიერი ხარ და არა ყასაბი!“ არამკითხე მოამბეო! მისთვის ხომ ყველაფერი შეიძლება! რაც ენაზე მოადგება, პირდაპირ მოგახლის! მოკშინი იატაკზე დადებულ ჩანთას წამოედო და მთელი ძალით მოისროლა ფეხით. ჩანთა რატომღაც მაგიდიდან ჩამოუღია და იატაკზე დაუდგამს დედას . სად ეჩქარებოდა? ბუზღუნა, ბენტერა დედაბერი! გაიქცა! ჰგონია, ძებნას დაუწყებს, „სასწრაფოში“ დარეკავს, როგორ არა! ქუდი დაიხურა, სარკეში ჩაიხედა და ერთგვარი კმაყოფილებით შეამჩნია, საძაგლად გამოიყურებოდა.

ქუჩაში მზე ანათებდა. სადარბაზოსთან ფერხორციანი, ბეწვის საყელო მოვლებულ ტყავის ქურთუკში გამოწყობილი კაცი თავის ახლად შეძენილი „ჟიგულის“ მინებსა და ძარას წმენდდა. ეს პავლოვი იყო, მისი მეზობელი, მესამე სართულზე ცხოვრობდა.

— მომილოცავს კარგი ამინდი! — თავი თითქმის არც მიუბრუნებია მისკენ, მხიარულად მიესალმა პავლოვი მოკშინს, თან ისევ თავის მანქანას ესიყვარულებოდა: — მშვენივრად გამოიყურებით, როგორც ყოველთვის!

მოკშინი უეცრად კანკალმა აიტანა და ისეთი მკაფიო ხმით უპასუხა, თვითონაც გაუკვირდა:

— რას იტყუებით? ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა!

პავლოვი ამას ნამდვილად არ მოელოდა, მინაზე ხელი გაუშეშდა და გაოგნებული მობრუნდა მოკშინისაკენ:

— რაო, გუშინ ზედმეტი ხომ არ გადაგიკრავს?

აჯობებდა, ეთქვა, ჰო, პირუტყვივით გავილეშე, არაფერი არ მახსოვს, თავი მისკდება, ნაბახუსევზე ვერაფერი დავლიე, ასე რომ, გამიგებ, მეზობელო, თავაზიანობისათვის სულაც არ მცხელა, კარგად იყავიო. მაგრამ მოკშინმა პირქუშად შეათვალიერა პავლოვი და გაეცალა. ეზიზღებოდა საკუთარი თავი, ეს სქელუაც, ეზიზღებოდა ტყუილში ჩაფლული მთელი ქვეყანა და სულის სიმტკიცეზე დაწერილი სახალისო წიგნის ავტორიც.

15

თუმცა დღეს მოკშინი სახლიდან ჩვეულებრივზე ადრე გავარდა, მაინც დააგვიანდა, როცა ოთახში შევიდა, ყველანი სამუშაო ადგილებზე ისხდნენ, მხოლოდ ნაღვლიანი ზოტოვა იყურებოდა სახაზავი დაფის უკან დამაგრებულ სარკის ნატეხში და წამწამებს ილებავდა. უფროსის დანახვაზე ზოტოვა შეკრთა, ხელი თვალებიდან სწრაფად ჩამოიღო და დაფას ამოეფარა.

— გამარჯობათ, — მიესალმა მოკშინი ყველას ერთად. უწინ პასუხად მხიარული, ხმამაღალი, ხანდახან, უნდა ითქვას, ძალზე მხიარული, მოურიდებელი, თითქმის თავხედური შეძახილებიც კი გაისმოდა. ახლა კი... რაღაც შრიალი, ფაჩუნი, ამოოხვრა ისმის.

„კაბინეტში“ (ასე ეძახდნენ მინის ერთი ციცქნა საკუჩნაოს) საწერ მაგიდაზე მოურიდებლად წამოსკუპებულიყო ტელეფონი, ღიპი გამოეშვირა და ათივე ციფრით იკრიჭებოდა. მოკშინმა ყურმილი აიღო, ერთხანს ხელში ეჭირა და ნელ-ნელა დაუშვა ძირს, მერე ისევ აიღო, გაბედულად აკრიფა თავისი სახლის ნომერი. თავხედურმა, ხანგრძლივმა ზარმა აუწყა, რომ დედა შინ არ იყო. ყურმილი დააგდო, ტელეფონი მაშინვე აწკარუნდა.

ეშმაკმა დასწყევლოს, ლარისა რეკავდა.

— ოლეგ ნიკოლაევიჩ! დირექტორი გიბარებთ, — უთხრა მან.

როგორც კი მოკშინი ზღურბლზე გამოჩნდა, სახაზავი დაფების იქით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კარისაკენ რომ მიდიოდა, ზურგს უკან აღელვებული ჩურჩული შემოესმა. ერთბაშად შედგა, შემობრუნდა, მაგრამ ჩურჩული ჩაკვდა და ოთახი გაიტრუნა.

დერეფანში, საპატიო დაფის გვერდით, საიდანაც მოკშინს დაჭმუჭნილ პერანგში გადაღებული ბლენძია ჟუკოვის სურათი უცქერდა, თავდავიწყებით, მოხდენილად ეწეოდა სიგარეტს ორი გაპრანჭული, მბეჭდავი ქალიშვილი. მათ ხანგრძლივი მზერა გააყოლეს ოლეგს და ამ ჩვეულებრივმა, ქალურმა შემოხედვამ იგი ცოტათი დაამშვიდა. ჰალსტუხი შეისწორა, გაახსენდა, რომ დღეს ახალი იუგოსლავიური კოსტიუმის ჩაცმას აპირებდა, თუმცა ამ ნაცრისფერ ინგლისურ კოსტიუმსაც არა უშავს, დირექტორისათვის გამოდგება. იუგოსლავიურის ჩაცმა კი ხვალაც შეიძლება, ფილარმონიაში, ვარვარასთან... აჰ, ეშმაკმაც წაიღოს! მოკშინი უკვე მისაღებში შედიოდა.

— გთხოვთ, — მიიპატიჟა ლარისამ და ოლეგი დირექტორის კაბინეტისაკენ დაიძრა. რატომღაც ლარისაც უკან მიჰყვა.

კაბინეტი ცარიელი იყო. საგანგებო მაგიდაზე დადგმული სამი ტელეფონი დუმდა. უზარმაზარი საწერი მაგიდა მედიდურად ელავდა. ჩვეულებრივ ზედ ქაღალდი ეწყო ხოლმე დასტა-დასტა, მაგრამ ახლა ერთი ფურცელიც კი არ იდო. ღია სარკმლიდან ბეღურების ჟივილ-ხივილი ისმოდა, ორპირი ქარი გადასაფურცლ კალენდარს აფრიალებდა, ზღურბლზე კი ლამაზი და იდუმალი ლარისა იდგა და მოკშინს შეჰყურებდა.

— ვიქტორ ნიკიტიჩი სამინისტროში გამოიძახეს, გუშინ გაემგზავრა, — მშვიდად შეატყობინა ლარისამ და ოთახში შემოვიდა. — დაჯექით.

...ასე. დღეს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ლირიკული საუბარიც გარდაუვალია. ყველაფერი ამის საწინდარია: აფორიაქებული თვალები, ახალი კაბა, თმის ვარცხნილობა — ახალი, სადა, მაგრამ კოხტა ვარცხნილობა. დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, დახეთ, როგორი მუხლები მაქვსო და საერთოდაც... შესანიშნავი, უკანასკნელ მოდაზე შეკერილი ფეხსაცმელები აცვია. ნეტავი სად შოულობენ ასეთ ფეხსაცმელებს? ვარიას ასეთები თავის დღეში არ ჰქონია და არც ექნება. ვერ იშოვის, სულელი. ხელფასიც ისეთი აქვს... თანაც დეიდა ჰყავს სოფელში...

— იცით რა, ლარისა, — ძალზე თავაზიანად დაიწყო მოკშინმა, — უმჯობესია სხვა დროს მოვიდე. რამდენადაც მესმის, თქვენ აქ საქმისათვის არ დაგიბარებივართ, სხვა რამეზე ლაპარაკი კი არ შემიძლია. გუნებაზე ვერა ვარ და იქნებ რაიმე გაკადროთ!

— სხვა დრო რომ აღარ იქნება! — კეკლუცად მიუგო ლარისამ და ფეხი მოხდენილად შეათამაშა. — ჩვენ ახლა ერთმანეთს დიდხანს ველარ ვნახავთ.

— მივლინებაში მიდიხართ? — ზრდილობისათვის იკითხა მოკშინმა.

— დავუშვათ.

კი, ვიყავი მასთან დაბადების დღეზე, მაგრამ რა მოხდა! ყველა შემოხედვას, მიკარებას თუ გადაკრულ სიტყვას მივუხვდი. ვცეკვავდით, მე, როგორც კარგად აღზრდილი ადამიანი, ქათინაურებს ვეუბნებოდი, მაგრამ როცა ჩარჩენა შემომთავაზეს, რომ სუფრის ალაგებაში მივხმარებოდი, წამოვედი! წამოვედი! და იცი რა, ამ გულის დამამძიმებელ საუბარში ვერ ჩამითრევ. გვეყოფა ახსნა-განმარტებები. ყელამდე ვარ სავსე.

— ლაროჩკა! — ცოცხლად დაიწყო მოკშინმა, — გულწრფელად მიხარია, რასაკვირველია, რომ ბოლოს და ბოლოს მოშორდებით ჩვენი სამსახურის მოძულებულ კედლებს. წადით, გაირუჯეთ მზეზე, დაისვენეთ. გააგიჟეთ მამაკაცები. შეიყვარეთ კარგი ,ლამაზი და პერსპექტიული ფიზიკოსი ან გენეტიკოსი. ისიც აუცილებლად შეგიყვარებთ, მე კი ვარდებით ხელში, ალტაცებული მოვირბენ თქვენს ქორწილში.

უჰ...

ლარისა კვლავ იღიმებოდა, თუმცა ყელზე წითელმა ლაქებმა დააყარა.

— გმადლობთ კეთილი სურვილებისათვის, სავსებით დროულია, — ლარისამ მუხლებზე კაბა გაისწორა, — მაგრამ უფრო მეტად ის მიჩუყებს გულს, ასე საჩქაროდ რომ ცდილობთ ჩემს თავიდან მოშორებას. უნდა გითხრათ, ძვირფასო ოლეგ ნიკოლაევიჩ, ძალზე სასაცილოა, როცა კაცს ასეთი დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე.

...ტყუის, სულ ტყუის, გასაგებიცაა, ქალური თავმოყვარეობა აკავებს. რა თქმა უნდა, ეწყინება, ლოყებიც აუწითლდა, თვალებში კი სევდა ჩაუდგა, რასაც სამართლიანი წყრომაც კი ვერ ფარავს.

— კი, ბატონო, იფიქრეთ, რომ პლეიბოი ხართ, თქვენი ნებაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველა ქალს მხოლოდ ერთი სურვილი კლავს, როგორმე სიყვარული აგიხსნათ.

ყოჩაღ, ყველაფერს მიხვდა!

— თქვენ კი იმიტომ გთხოვეთ მოსვლა, — განაგრძო ლარისამ უფრო ოფიციალურად და ქედმაღლურად, — რომ ხვალ სამსახურში აღარ ვიქნები, აი აქ კი თქვენთვის საინტერესო საბუთი დევს.

ლარისა ადგა, დირექტორის მაგიდაზე დადებული საქაღალდიდან ფურცელი გამოაძრო და მოკშინს გაუწოდა.

ერიჰაა!

ინსტიტუტის დირექტორის სახელზე დაწერილ განცხადებაში ალევტინა ზლენკო სასწრაფოდ სხვა ჯგუფში გადაყვანას ითხოვდა. ამხანაგ ოლეგ მოკშინთან მუშაობა შეუძლებელი გახდა, რადგან მუდამ კრიჭაში მიდგას და, რაც მთავარია, უპატივცემულოდ, უსინდისოდ ექცევა ხელქვეითებს, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და არავის ანგარიშს არ უწევსო. თუ დირექცია, ნათქვამი იყო ბოლოს, სათანადოდ არ გამოეხმაურებოდა ამ განცხადებას, ზლენკო იძულებული იქნებოდა სამსახურიდან წასულიყო.

— აბა, რას იტყვით?

— ცილისწამებაა და მეტი არაფერი, ღორობაა, — მშვიდად უპასუხა მოკშინმა. — არავის არ ჩავდგომივარ კრიჭაში. უბრალოდ, ადამიანები ვერ იტანენ, როცა სიმართლეს ეუბნებიან.

— საინტერესოა, რატომ გგონიათ, რომ რასაც თქვენ ფიქრობთ, ისაა სიმართლე? — ლარისა საჩხუბრად იწვევდა ოლეგს, მაგრამ მოკშინს მისთვის არ სცხელოდა.

— სანამ სულელურ სიზმრებს ვუხსნიდი და რჩევასაც ვიძლეოდი, გაზდომა თუ გინდათ, ასე და ასე უნდა მოიქცეთ-მეთქი, ყველაზე „მომხიბლავი“ და ყველაზე „ადამიანური“ ვიყავი, მაგრამ როგორც კი მუშაობა მოვითხოვე, საზიზღარი და უსინდისო გავხდი.

— რა შუაშია აქ სიზმრები? რატომ გგონიათ, რომ ყველა თქვენზე სულელია? — ლარისა აშკარად შურს იძიებდა იმ დამცირებისა და იმედის გაცრუებისათვის, ახლახან ვაჟკაცურად რომ გადაიტანა. — მე, მაგალითად, ამას წინათ არ მიმკითხავეთ, მაგრამ არ გავბრაზებულვარ.

— თქვენ რაღა შუაში ხართ? თუ ასეა, დაგინდეთ და იმიტომ არ გიმკითხავეთ.

— როგორ თუ დამინდეთ?

— ლარისა, გეყოფათ, არ მცალია ამისათვის.

— კი მაგრამ, მაინც რატომ არ მიმკითხავეთ?

...რა გული გამიწყალა, თავი მომაბეზრა... აჰა, ესეც შენ...

— იმიტომ, რომ თქვენ არანორმალური ხელი გაქვთ... ცუდი რამის მომასწავებელი.

...არა, ალევტინას ვერ უყურებ?

— როგორ თუ „ცუდის მომასწავებელი?“

— ეშმაკმაც წაგიღოთ, რად გინდათ ამის ცოდნა, ცუდი, უაზრო ხელი გაქვთ-მეთქი. ამ ხაზების მიხედვით, ლაროჩკა, თქვენ დიდი ხანია უკვე ამქვეყნად არა ხართ, სამოთხეში ქნარზე, თუ რა ქვია იმას, ბარბითზე უკრავთ ფანჩატურის ჩრდილში. უკიდურეს შემთხვევაში დღეს მოხვდებით იქ. აი, ახლა თავზე ჭერი ჩამოგვენგრევა... დირექტორმა ეს საჩივარი უკვე ნახა? ა? ლარისა?

ფერდაკარგულ ლარისას ხელი წინ გამოეწია და ისეთი სასოწარკვეთილი დასცქეროდა, თითქოს რაღაც საშიში საგანიაო. გუშინდელს აქეთ მოკშინმა უკვე მესამედ ნახა ასეთი გამომეტყველება, ჯერ ვარიას შეამჩნია, მერე დედას, დღეს კი... ლარისამ კარისაკენ დაიხია, ხელი ისევ ისე ეჭირა, ტუჩებს უხმოდ ამოძრავებდა, წაბორძიკდა და ალბათ წაიქცეოდა, მოკშინი რომ არ მიშველებოდა. როცა ლარისას მხრებზე მოხვია ხელი, იგრძნო, როგორ კანკალებდა ქალი, თუმცა არა, კი არ კანკალებდა, ძაგძაგებდა, საშინლად ძაგძაგებდა და კბილს კბილზე აცემინებდა. მოკშინმა ლარისა სავარძელში ჩასვა. ქალმა მაშინვე თავი ჩაქინდრა და სახეზე ხელები აიფარა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. კიდევ ერთი ისტერიკა, ბევრი ხომ არ არის? ღირსი ხარ, მოკშინ, რატომ აყევი. გამოვიდა რა ესეც ქალების მაამებელი. ახლა გინდა თუ არა, ყველაფერი უნდა აიტანო — ახსნა-განმარტებები, დრამები, ცრემლები. განყოფილებაში უმეტესობა ქალებია, ვერაფერს ვერ ეტყვი, ყველაფერი სწყინთ. სახლში კიდევ დედა...

ლარისა არ ინძრეოდა. მოკშინმა ჭიქა წყლით გაავსო:

— ლარისა!

ლარისა არ განძრეულა.

მისაღებში ფეხის ხმა გაისმა.

— ოლეგ ნიკოლაევიჩ! თქვენ გკითხულობენ, იქ თათბირია... — მაია ზოტოვა იყო.

— ლარისა ნიკოლაევნა ცუდადაა, — ჩაიბურტყუნა მოკშინმა, ცალა/ აკლდა — სცენები მოწმეების თანდასწრებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბნელ დერეფანში ოლეგი კინაღამ ჟუკოვს დაეჯახა.

— სად მიდიხართ, ოლეგ ნიკოლაევიჩ? დარბაზში კრებაა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

— მომწყდით თავიდან! — დაიღრინა ოლეგმა და ნაბიჯი არ შეუნელებია. ისე გაუარა გვერდზე. მეტი არავინ შეხვედრია.

სამუშაო ოთახში არავინ იყო, მხოლოდ სახაზავ დაფებზე მიტოვებული ნახაზები ანათებდნენ მორცხვად. საათს შეხედა: შესვენებამდე ჯერ კიდევ ადრეა, რა ხდება? გაფიცვაა? აჰ, თათბირია... მგონი, პენსიაზე აცილებენ ჩემს „წინამორბედს“ ტიხომიროვს, მეცამეტე განყოფილებიდან... მოკშინს ჩაეცინა.

შემდეგ შინ დარეკვა სცადა. ვერ დარეკა. ვარვარას ნომერი აკრიფა: არ არისო. ხუთი წუთის შემდეგ კვლავ აუწყა ტელეფონმა: გასულიაო. ადგილზე რომ ყოფილიყო, მაშინ?

მაშინ მოკშინი ეტყოდა, ცუდად ვარ, უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენიაო.

გამოდის, გუშინ ტყუოდა? არა, გუშინ იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა. მაგრამ რასაც ახლა ფიქრობს, ისიც რომ ჭეშმარიტებაა? კიდევ იმასაც ეტყოდა... მაგრამ ვის უთხრას? ტელეფონმა მესამეჯერაც ნიშნის მოგებით აუწყა, ვარვარა ალექსანდროვნა განყოფილებაშია გასულიო. როდის იქნება? ტელეფონს ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა. ტელეფონს ვარვარა ანგარიშს არ აბარებს.

გაწვიმდა. მეზობელი ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და მოკშინმა უცებ იგრძნო, რომ ეშინია. ეშინია ფეხის ხმის, ნაბიჯების...

რამდენიმე ხანს დაღვრემილი იჯდა მაგიდასთან. «Все могут короли, все могут короли»... სულელური სიმღერის სიტყვები აეკვიატა. ვარიას საყვარელი სიმღერაა: «Но что ни говори, жениться по любви»... ტელეფონი მოკშინს ალმაცერად შეჰყურებდა.

კარი გაიღო და ჟუკოვი შემოვიდა. ძვირფასი უფროსი! არ დაიზარა პირადად მოსულიყო, პირადად! რომ როგორც უფროსს დაესაჯა.

— გაგიჟდი? — უთხრა ჟუკოვმა და მის წინ „მნახველთა“ სკამზე ჩამოჯდა. — სულ გადაირიე? მოხუცი ტიხომიროვი რატომ არ დააფასე?

საყვედური საყვედურია, იმის მიუხედავად, ოფიციალური ფორმა აქვს თუ ცრუ მეგობრული. ცრუ მეგობრული უფრო საშინელებაა. მოკშინი ჩუმად იჯდა, სახეგაქვავებული პირქუშად ათვალიერებდა უფროსს. ჩვეულებრივ ჟუკოვი საკმაოდ უგემოვნო მუქ კოსტიუმს იცვამდა, ხოლო უფერულ, ცუდად დაუთოებულ პერანგებს არანაკლებ უსიცოცხლო ფერის ჰალსტუხებითალამაზებდა, დღეს კი ჯინსები და შავი სვიტერი ჩაეცვა — ეტყობა, გადაწყვიტა ახალი ცხოვრება დაიწყოს, როგორც შეჰფერის დასავლური ყაიდის თანამედროვე ხელმძღვანელს. მოკშინმა უფროსს პირში მიახალა: ყოჩაღ, კარიერას იკე-

თებ, ისე უნდა გააკეთო, როგორც წესი და რიგიაო. ჟუკოვმა იდუმალად ჩაიცინა და უთხრა: ამ ბოლო დროს ყველას უხეშად ექცევი, გარჩევა აღარ იცი, უბედურმა ტიხომიროვმა რაღა დაგიშავაო.

— სულ გადამავიწყდა მოხუცი, — გამოუტყდა მოკშინი. — არა უშავს, უჩემოდაც წავიდოდა იოლას. მით უმეტეს ამბობენ, ვითომც მე მაძლევდნენ მის განყოფილებას, ალბათ მანაც იცის უკვე. შეიძლება ეს სულაც ჭორი იყოს, არც მე დავთანხმდები, მაგრამ ხმები ხომ გავრცელდა...

— ამიტომ ექცევი ყველას ასე უხეშად?

— კეთილი, — მშვიდობიანად მიუგო ოლეგმა, — თუ ზლენკოზე მეუბნები მას მართლაც... მაგრამ ძალიან მომაბეზრა თავი...

— ეშმაკსაც წაუღია ზლენკო, — თავი გაიქნია ჟუკოვმა. — წავიკითხე მისი საჩივარი. დაე წავიდეს. საზიზღარი დედაკაცია, შარის თავი, დირექტორსაც ასე ვუთხარი. მაგრამ შენ მარტო მას კი არა, ყველას უხეშად ეპყრობი. ხალხი დაბეჩავებული დადის, თავპირი ჩამოსტირის, იმათ შემხედვარეს გული მოგიკვდება.

— რაც არის, იმას ვამბობ, სიმართლეს.

— კი მაგრამ, რატომ გგონია, რომ რასაც შენ ფიქრობ, სიმართლეა? გამოჩნდა რა ნათელმხილველი!

— გასაგებია. ახლა მკაცრად დამიწყებენ ჭკუის სწავლებას, გესტაპოელებს არ უნდა ჩაუკენჭო, პარტიზანები სად იმალებიან, ეს ცუდი საქციელიაო. არც ავადმყოფს უნდა უთხრა, რომ კიბო აქვს და ჩქარა მოკვდებაო. ასეა ხომ? მაშინ იცოდე: ყველაფერი ეს უკიდურესი შემთხვევებია, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი უმჯობესია ფაქტებს პირდაპირ შეხედო. არ გეწყინოს.

ჟუკოვის მხიარული ღიმილი ოლეგს გამომწვევად მოეჩვენა.

— თავის მართლება არ გჭირდება, შეგიძლია მშვიდად იყო. შენთან საუბრის შემდეგ ბევრ რამეს მივხვდი.

— მაპატიე, — შეაწყვეტინა მოკშინმა, — უნდა დავრეკო.

შინ ისევ არ პასუხობდნენ. ვარიას ტელეფონი დაკავებული იყო და ოლეგმა ყურმილი სასწრაფოდ დადო: ხომ შეიძლება ვარია სწორედ ახლა რეკავდეს მასთან. მაგრამ ტელეფონი დუმდა.

— მომისმინე, ვოვა, სიმართლე მითხარი, რატომ მოხვედი? პატიება რომ გთხოვო? რომ დაგამშვიდო, გავიხუმრე, გულში ნუ ჩაიდებ, შენ კარგი ინჟინერი ხარ-მეთქი და ა. შ.?

— ვერ გამოიცანი, მინდოდა გამეხარებინე, მივდივარ თქვენგან.

...ბოლოს და ბოლოს ვარიასთან სულ უბრალოდ შეიძლება საღამოს სახლში მისვლა, ყოველგვარი ზარისა და მოლაპარაკების გარეშე, სისულელეა ტრაგედიის შექმნა რაღაც წვრილმანების გამო. ესეც ჩხუბის საბაბია რა: „რა იქნებოდა, ასი წლის შემდეგ რომ..."

— შვებულებაში მიდიხარ?

— ქვეყანა დიდია, — სიამოვნებით აუწყა ჟუკოვმა. — დირექტორს ვუთხარი, სხვა ადგილი ვიშოვე, უფრო დიდი ხელფასი მექნება-მეთქი. რას მომჩერებიხარ? სრულ სიმართლეს, შენთვის ასე საყვარელ ჭეშმარიტებას მოგახსენებ. შენ კი, სულელო, იცოდე, რომ ჩემი კეთილისმყოფელი ხარ.

— შენ რა?

— ის, რომ ათი წელია... დაიცა, თორმეტი წელია ინჟინრის როლს ვთამაშობ როგორც თეატრში. კარგი, მივქარე, ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე, ამისათვის პენსიამდე ხომ არ უნდა ვიხდიდე სასჯელს? მერე კი სუფთა სინდისით ვივლი, არა? იმდენ ხანს ვიმუშავე, რომ სწავლის ვალი უკვე მოხდილი მაქვს, ახლა არც სარწყავი მანქანის მძღოლობაზე ვიტყვი უარს, მართვის უფლება მაქვს, იქ კი ამბობენ, დიპლომიანებსაც იღებენ — მუშახელი აკლიათო. ანდა ზოოპარკში წავალ, სპილოებთან. დეპეშებსაც ჩამოვატარებ! როგორ არავინ მითხრა სიმართლე ამდენი წლის განმავლობაში მე, თვითკმაყოფილ დებილს? შენ კი მოხვედი და მითხარი. ასეა საქმე... რომ იცოდე, რა სიფათი გაქვს, ჰოდა, იჯექი ასე, მე კი წავედი. ორი კვირა კიდევ უნდა ვიმუშაო. ყველაფერი იდეალურად უნდა მოვაწესრიგო, რომ ყველა ნანობდეს, ჩვენგან რა შესანიშნავი და გულისხმიერი უფროსი წავიდაო... ისეთი პატივმოყვარე ვარ, გაგიჟდები!

16

მშვიდად იყავი. რა მოხდა, კაცმა რომ თქვას? ახლა აზრს მოვიკრებთ და ყველაფერს მივხვდებით. ესე იგი, ჟუკოვმა წასვლა გადაწყვიტა. თავს ანებებს სამუშაოს, რომელიც მას ხელს არ აძლევს. რა შუაში ვარ აქ მე ჩემი პირდაპირობით? დიახაც შუაში ვარ: ყველაფერი ძალიან კარგად მოხდა — მე ჟუკოვს დავეხმარე, იგი იტანჯებოდა და ალბათ პენსიამდეც დაიტანჯებოდა, სიმართლე რომ არ მეთქვა. მე ვუთხარი და მანაც გადაწყვიტა. ესეც შენი ვალოდია! თუმცა, რასაკვირველია, ყველა იტყვის, რომ გაგიჟებულაო. ყველაფერი კარგადაა, გესმის? ყველაფერი სწორად მოხდა. ასე, შემდეგ... ნეტავი არავინ შემაწუხებდეს, არაფერს შემეკითხებოდეს, არ მომაბეზრებდეს ლაპარაკით თავს...

ოლეგმა ვერც კი გაიგო, მაია ისე ჩუმად შემოვიდა. იგი მაგიდასთან იდგა და ქურციკის ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა მოკშინს.

„ვეცოდები, — გაიფიქრა მოკშინმა, — ალბათ ლარისამ უთხრა ზლენკოს განცხადების შესახებ".

მაიას გრძელ წამწამებზე ორი, სავსებით ერთნაირი ცრემლი დაეკიდა და ერთდროულად ჩამოუგორდა ლოყებზე.

— ცოდოა, — ამოიქვითინა მაიამ, — ლარისას თავს საშინელება ტრიალებს.

აჰ, მართლა. ლარისასაც ხომ ისტერიკა ჰქონდა... ჰო...

— რა, ნერვებმა უმტყუნა?

— ამ დროს ნერვები ვისაც გინდა, უმტყუნებს. განა თქვენ არ იცით? ყველამ იცის. გახსოვთ, ორი კვირის წინ, ფლუოროგრაფიაზე რომ ვიყავით? თქვენ არ წამოხვედით. ჰოდა... მას ფილტვებში რაღაც აღმოაჩნდა. წარმოგიდგენიათ? ძალიან ნერვიულობს და განიცდის, ხვალ გამოკვლევაზე წვება.

ერთხანს კიდევ რაღაცას ამბობდა მაია ჩქარ-ჩქარა, თავისი წვრილი ხმით, თან მძივებივით მბრწყინავი ცრემლები სცვიოდა ლოყებზე.

17

ოლეგი წვიმაში გავარდა და მხოლოდ ტრამვაის გაჩერებამდე მიხვდა, რომ ცალ ხელში ქუდი ეჭირა, მეორეში ლაბადა, ხოლო ჩანთა სამსახურში დაეტოვებინა. ეშმაკმა დალახვროს ჩანთა! ეშმაკს წაუღია წვიმაც და ყველაფერიც!

ბიბლიოთეკა

როგორც იქნა ხელი გაუყარა ლაბადის სახელოში, ქუდი ჩამოიფხატა და პირველსავე ტრამვაიში შეეტენა, ისე რომ ნომრისათვის არც შეუხედავს. ვაგონი სავსე იყო, მაგრამ ვიღაც ახალგაზრდა გოგონამ შეამჩნია იგი და სასწრაფოდ დაუთმო ადგილი.

„აი, ასეთ გოგონებს როგორც მომავალ საცოლეებს ისე უყურებ, ისინი კი ადგილს გითმობენ, მალე მამიკოსაც დაგიძახებენ“, — სევდიანად გაიფიქრა მოკშინმა, მაგრამ მაინც დაჯდა, ფეხზე ძლივს იდგა. რატომღაც საშინელი სისუსტე იგრძნო და ძილი მოერია. მალე ჩაეძინა კიდევაც.

18

ცოტა ხანს ეძინა, ალბათ სულ ხუთი წუთი, და როგორც წინალამით, ისე გაეღვიძა, თითქოს ხელი ჰკრესო.

...ტრამვაი გაჩერებაზე იდგა... ნახევრად ცარიელი ვაგონი ახლა მთლად დაცარიელდა თვალსა და ხელს შუა. ადამიანები მუჯლუგუნებით მიიწევდნენ წინ. უკან არც იხედებოდნენ, სწრაფად და უხმაუროდ ჩადიოდნენ წინა კარიდან. როცა უკანასკნელი მგზავრიც ჩავიდა, მოკშინი მიხვდა, ჩასძინებოდა და ვერ გაეგო, რომ მძღოლს გამოეცხადებინა, ტრამვაი ახლა პარკში წავაო. იგი აწრიალდა, წამოდგა, მაგრამ ამ დროს კარი დაიკეტა, ტრამვაი ადგილიდან დაიძრა და თანდათან სიჩქარეს მოუმატა.

ფანჯრის იქით ერთმანეთს მისდევდნენ უცნობი გარეუბნის ქუჩები, ნაცრისფერი, მიწაში ჩამჯდარი, მიტოვებული სახლები, სარდაფები, რაღაც საწყობები. შემდეგ ახალი კვარტალები დაიწყო — წიდა და ბლოკები, მინა და ბეტონები, ამწეები, ბულდოზერები.

ირგვლივ ყველაფერი უსიცოცხლო და უკაცრიელი იყო, უმოძრაო და გარინდებული, მხოლოდ წვიმა არ წყდებოდა, ჟიუტად ცრიდა. შემოდგომა მოგაგონდებოდათ ამ ჭუჭყიანი, ფაშარი ცის და საამშენებლო მოედნის შუაგულში მდგარი ყველასაგან დავიწყებული, დაბნეული ეული ხის დანახვაზე. მაღალი, დაუმთავრებელი სახლი რატომღაც ჩამტვრეულ კბილს ჰგავდა. უცებ ქალაქი დამთავრდა. ტრამვაი ისე მიჰქროდა, მოკშინს თვალი აუჭრელდა, ქალაქის უკანასკნელი ნიშანწყალი — სამშენებლო ნაგვის გროვებიც გაქრა. ტრამვაის ხაზის ორივე მხარეს შავი, ულიმღამო მინდვრები გადაჭიმულიყო, მოკშინს მოეჩვენა, რომ ტრამვაი დამუხრუჭებას იწყებდა, აშკარა იყო, ახლა უფრო ნელა მიდიოდნენ. გაჩერდნენ.

მოკშინმა დაინახა, რომ მძღოლი თავისი კაბინიდან გამოვიდა და მისკენ წამოვიდა. ვიღაცას წააგავდა... მაგრამ განა გაარჩევ, როცა ნახევარ სახეს სულელური შარფი უფარავს, ხოლო წარბებზე კი საზიზღარი ძველი ქუდი აქვს ჩამოფხატული.

— გზაზე ორი კაცი მიდიოდა, — დაიწყო მძღოლმა და მოკშინს გვერდით ჩამოუჯდა. — დაინახეს, რომ ზედ შარაგზაზე ბურთი დევს, ორი გლეხი კი ერთმანეთს ეჩხუბება. ერთი ყვირის, ბურთი თეთრიაო, მეორე იძახის — შავიაო. ის ორნი, გზაზე რომ მიდიოდნენ, შეჩერდნენ. ერთი ამბობს: „შეიძლება ბურთი შავად ჩავთვალოთ, რადგან ყავისფერიაო“. მეორე პირში მივარდება: „შენ რა, დაბრმავდი? ყვითელია!“. „ყვითელი? რას ამბობ?“ [illegible] სიტყვა მოჰყვა და ისინიც დაერივნენ ერთმანეთს. მათ შემდეგ [illegible] ჩაერიდნენ. ხალხი ემატებოდა და ემატებოდა. თან საშინლად ჩხუბობდნენ. ერთი მოხუცი მოლასლასდა: „რა, ბიჭები, ხომ არ გადაირიეთ? რა ბურთი? აქ არავითარი ბურთი არ არის“. მასაც მოადეს ყურის ძირში. მალე იმდენი ხალხი შეგროვდა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. ყველა ჩხუბობდა, ყველა ყვიროდა: „თეთრი! ყვითელი! შავი! მელნისფერი! წითელი! ცისფერი!“ ისეთი მუშტიკრივი გაიმართა, ძვლებს ტკაცანი გაჰქონდათ, მოკლედ დიდი ორომტრიალი იყო.

— მერე?

— სულ ესაა.

— რაღაცას ბოდავ.

— გინდა იცოდე, რა ფერის იყო ბურთი? — მძღოლი მოკშინისაკენ დაიხარა და თვალი ჩაუკრა.

— აბა?

— ლაპოტისფერი.

— რაო?

— ხუთკურასფერი, ქლუდისფერი.

— ქლუდისფერი, არა? — ხმამაღლა ჰკითხა მოკშინმა და მძღოლს მხარზე დაადო ხელი. — ვიტყუოთ არა წარამარა?

— შენ მე ტყუილად ცილს ნუ მწამებ. — მძღოლმა მოკშინის ხელი მოიცილა და წამოდგა, — სიმართლე წმინდათაწმინდაა. სიმართლეს ბოროტმა მამაიმაც ვერ გაჰკრა კბილიო, არ გაგიგონია?

ტრამვაი ძალიან ნელა დაიძრა. მძღოლი გულგრილად იყურებოდა ფანჯარაში, აქეთ-იქით კვლავ შავი, უკაცრიელი მინდვრები მოჩანდა. მოკშინი მხოლოდ მათ ხედავდა და კიდევ ჰორიზონტს.

19

აქ არ წვიმდა. ჰორიზონტის ხაზი მკვეთრად ჰყოფდა დედამიწასა და საღამოს გაცრეცილ ცას. ტრამვაი ჰორიზონტისაკენ მიდიოდა.

ჰორიზონტი ახლოვდებოდა. როცა სულ რაღაც ასიოდე მეტრიღა დარჩა იქამდე, ვაგონი მკვეთრად დამუხრუჭდა და ყველა კარი გაიღო. მოკშინი გარეთ გავიდა და მუხლი გამართა. უკვე ბინდდებოდა. ტრამვაი იდგა, წინა ბორბლებით ტალახში იყო ჩაფლული. გარშემო აბზინდის სუნი იგრძნობოდა, თუმცა მისი ერთი ღეროც კი არ ჩანდა სადმე.

ერთხანს ვაგონთან იდგა მოკშინი, მერე გაუბედავად დაიძრა წინ, ჰორიზონტისაკენ. ხრამიდან სიცივე მოდიოდა. ბნელ შორეთში აუჩქარებლად მიცუ-

რავდნენ თანავარსკვლავედები. დინებას დიდი დათვის თანავარსკვლავედიც მიჰყვებოდა. ფიცარივით ბრტყელი და მსუბუქი მთვარე ნარნარით გაცურდა ცაზე. წვრილი, მბრწყინავი ვარსკვლავების ხომლმა თევზების ქარავნივით ჩაიქროლა.

მოკშინმა თავი ასწია. გაზაფხულზე რომ იცის, ისეთი მაღალი და ნათელი ცა დასდგომოდა თავზე. მკრთალი, ცნობისმოყვარე ვარსკვლავები დასცქეროდნენ მაღლიდან. „ზეცა“, — გაიფიქრა მოკშინმა და უნდოდა ირონიულად ჩაეცინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ცა ციალებდა მაღლაც და მის წინაც, მარცხნივაც, საიდანაც სუსტად გამოკრთოდნენ შორეული ქალაქის სინათლეები, მარჯვნივაც, ზურგს უკანაც — ყველგან ცა ციალებდა.

ეროვნული

ისიდორ კოზათი

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ნოდარ ნარსიამ

მე ვმღერი...

მე ვმღერი...
ისმენს ბალახის ღერი
და ბანს მაძლევენ მთები, ველები...
მე ვმღერი...
იდრიკებიან ხენი
და ამ სიმღერით თავზე ვევლები.
მე ვმღერი...
ჩიტებს მიაქვთ სიმღერა,
შემიმსუბუქეს ტვირთი ჩიტებმა...
მე ვმღერი...
ნისლის ფარდა ირხევა,
გაოცებული მზე იჭყიტება.
მე ვმღერი...
ჰანგი მიაქვს ქარ-წვიმას,
თითქოს ირხევა კალთა ფარაჯის...
მე ვმღერი...
ცაში იგრძნო არწივმა
და ბუც მოფრინდა — ღამის დარაჯი.
მე ვმღერი...
ხელებს მიქნევს ბუნება,
ფოლადისას ჰგავს მისი წკრიალი...
სიმღერა გულებს ესალბუნება
და იცრიცება სულში წყვდიადი.
მე ვმღერი...
ჩემი ჯერი მოსულა,
ვმღერი თამამად,
ვმღერი ოსურად.

დამხედე, მზეო...

დამხედე მზეო, მზეო ცისაო,
გულუხვი ხარ და არა ხარ მტერი...
და, ქარო,
ჩემი მამულისაო,
შენ გადამწმინდე გულიდან მტვერი.

მამულო ჩემო — სულო და ფიქრო,
მომიალერსე და მითამამდე...
მე მინდა შენი მშვენება ვიყო,
თავს დაკოჟრილი ხელი დამადე.

შხაპუნა წვიმავ, დედა-შვილობას,
გაფიცებ, იყო სულის წამალი...
შენ განმიკურნე ლია ჭრილობა
და დამილოცე გზა და სავალი.

* *

ზეცა ჩამოწვა დედამიწაზე,
ცა იყო მოღუშული და მწყრალი...
წარბი შეიკრა, მაგრამ იმწამსვე,
გამოგვიგზავნა ნიაღვარ-წყალი.

ღრუბლის ფაფარი ელვამ მოცელა
და გამოჟონა კვირტმა ღეროდან...
იდგა ბუნება,
როგორც მლოცველი
და საგალობელს ცისას მღეროდა.

თავქუდმოგლეჯით გაიქცა გვალვა,
მაცოცხლებელი წვიმა მოვიდა...
თვალები ცისკენ გაექცა ელვას
და გადამწვანდა მიწა მოლითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიყვარს...

მთიელი ვარ და მთასავით უხვი,
არ მიყვარს ორპირობა და ლიქნი...
ვარ მოსისხარი ცუდის და მუხთლის,
აგრემც გზაც ჰქონდეთ ჯანდაბას იქით.
მთასავით მტკიცე, ურყევად ვდგავარ,
მოვკვდები?...
ეს მთა ჩამიკრავს მკერდში...
მე სიყვარულშიც ზვიად მთებს ვგავარ,
მაგრამ სიმკაცრეც იბუდებს ჩემში.
ადამიანო! იყავი ნალდი,
ადამიანო! ღიმილი გშვენის...
თუკი მიმტრე და ორპირი გახდი,
მაშინ ორმაგად მტერი ვარ შენი.
თუკი ავღელდი, ვარ შმაგი თერგი,
და ჩემს დამჩაგვრელს
არასდროს ვწყალობ...
ადამიანო!
ამაღლდი-მეთქი,
შენთვის ვიქნები ანკარა წყარო.
საჩრდილობელად გექცევი ხვატში,
გამოგადგები ყინვაში ნაბდად...
არ დაგატყვევებ ტყუილის ფარჩით,
მთის კაცს სიცრუე არ უყვარს რადგან.
მთების საზომით ვუდგები ყველას,
ამ სულით ვივლი კარიდან კარად...
როცა უწვიმრად ცა ჰქუხს და ელავს,
სიცრუეა და...
არ მიყვარს, არა.

□

პაჩუმერ ალგორთი

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

ინდიელის დარდი დიდ ქალაქში

მე ამ ქალაქში ჰაერი,
მხოლოდ ჰაერი მინდა.
ჰაერი, მხოლოდ ჰაერი,
მხოლოდ ჰაერი წმინდა.

არც სახლი მინდა, არც კარი,
არცა ქუდი და წინდა,
არც პური მინდა, არც წყალი,
მხოლოდ ჰაერი მინდა!

თოვლის მოსვლის წინ

ამაღამ მოთოვს.
ამაღამ მიწა
გადაიქცევა დაუწერელ, სუფთა ქაღალდად,
რომელზეც ღამე, — ბნელი, შავმურა, —
ალბეჭდავს თავის ნასურვილარს უიდუმალესს,
აღბეჭდავს თავის წყნარ სიმღერას ამგვარ ანბანით:
საბძლის გარშემო — თაგუნების ნაფეხურებით;
ღობის ძირებში და ამბრის თავზე —
თრითინების ნახტომ-ნაფრენით,
ხოლო ბუჩქნარში, სოფლის გადაღმა —
აჩხა-ბაჩხა კურდღლისთათურით.
დილით გამოვალთ,
გამოვცვივით და წავიკითხავთ ამ ლამაზ ნაწერს;
კვლავ წავიკითხავთ
და მის კითხვას ვერ მოვიყირჭებთ.
ისე საყვარლად სასაცილო იქნება ის —
თოვლზე ნაწერი,
რომ ჩვენს სიცილზე
ყუჩად მდგარ ხეებს თოვლი დასცვივა...

ამაღამ მიწა თავის ხევ-ხუვებით,
თავისი ვრცელი მინდორ-ველებით
გადაიქცევა მთლად ხელუხლებ,
დაუწერელ, სუფთა ქაღალდად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულის თვალებით

(მცირე ლექსები)

* *

იანვარია.
ქვისხეთქელა ყინვის ჭახჭახი...
ჩიტმა
მზისთვალი დაიჭირა ღრუბლის ღრიჭოში
და ალტაცებით
შორ გაზაფხულს გაეჭიკჭიკა.

* *

გაზუნზლულია თხილის ბუჩქი,
წვიმაგამჯდარი,
ფოთლებზე მძიმედ მიგორავენ
მსხვილი წვეთები,
თუმც შეყუჟულან სასოებით
ღედილოს ფრთებქვეშ, —
ყვითელნისკარტა, ღილველა ღლაპებს
შესდგომიათ მაინც ბაბანი.

* *

გვიანი სთველი.
დასწოლია მიწას ძილქუში...
ხოლო ბუნებას აუღია მგზავრის ჯოხი და
ბერი,
დაღლილი,
ცუდანაბადმოკიდებული,
ცივად მსუნთქავი ტყისპირებით
მობლუნძული მიიკაკვება.

* *

თვალდახელშუა გაქრა ზაფხული.
ტყის შუა ტბორის ზედაპირი
მოშანშლულია
გაყვითლებულ თხილის ფოთლებით.
კოდალა ხიდან ხეზე დახტის,
ტბორში იხვებს სიმშვიდეს ურღვევს,
ხან აქ და ხან იქ უკაკუნებს
გაცხარებული,
დაეძებს ზაფხულს —
სადღა არის ჭრელი ზაფხული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

თუ გახსოვს, ძმაო,
ის დღეები ჩვენი ბავშვობის?
იმ გაზაფხულის
მცხუნვარება თუ გახსენდება,
რომ ჩამოვსხედით მამაჩვენის ახალ
საფლავზე
და შიშველ ფეხებს
მზეზე ვითბობდით?

* *

საღამოსპირი.
მშრალი თოვლი კვნესის მარხილქვეშ.
ჭირიმე ჩემი რქახატულა, ჭოტა ხარების—
მათს თბილ სუნთქვაზე
დამზრალ თითებს ვითბობ ჟამიჟამ.

* *

რაღაცა შემძრავს უჟამისჟამოდ,
მკერდში რაღაც აფართხალდება...
და, მაგონდება,
მაგონდება, რაც არის იგი, —
ოფოფია,
ის ოფოფი სულის მლაფავი,
ერთხელ თოფით რომ ჩამოვაგდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეულ გზაზე

რამდენი სული ცეცხლოვანი
გადაეგო წუთისოფლიდან
და გადეყარა ზეცას ნაკვერცხლად!..
ახლაც თავს დაგვდის მათი მადლი,
მათი ნათელი,
რომ ამა სოფლის ღამეულ გზებზე
არ მოვიტეხოთ სადმე კისერი.

* *

დიდი მდინარის გვერდისწორზე
მყაყე გუბურა
ბაყაყების ბინა-ბუდეა.
ამდენი ხანი იქ ცხოვრობენ,
იმ გუბურაში
და არცერთს ფეხი მდინარეში არ ჩაუყვია.

* *

არა და არა,
არ სურს ტყემალს, ნორჩად აღერილს,
რომ გაზაფხულის სარეცელზე
განიძარცვოს
საქორწინო კაბა თავისი, —
აწვდილა გზისპირს
და ანათებს როგორც ოცნება.

* *

ძილში მეზმანა
შორეული ბავშვობის ჟამი...
სალამო იყო,
ვთამაშობდით სოფლის კალოზე...
მერე... დედაჩემს
ჩემს მაჯაზე ხელი ეკიდა
და ძალისძალით
შინ მივყავდი აბღავლებული.

* *

მე ვპატიჟებდი
და ჩემს გვერდით ვუთმობდი ადგილს,
ის კი ფიქრობდა უფრო შორს, თურმე, —
ჩემთვის ჩემიც რომ ნაერთმია!

□

შტეფან ცვაიგი

ქალი და ბუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა

ეს ამბავი იმ მცხუნვარე, გვალვიან ზაფხულში მოხდა, უწვიმობით მთელ იმ მხარეს სავალალო მოუსავლიანობა რომ დაატეხა და იქაურ მკვიდრთა ხსოვნაში მრავალი წლის მანძილზე საზარელ მოგონებად დარჩა. ივნისსა და ივლისში მარტოოდენ ერთი-ორჯერ თუ გადაევლო ხანმოკლე შხაპუნა წვიმა მწყურვალ მინდორ-ველებს, ხოლო მას შემდეგ, რაც აგვისტო დადგა, ციდან ერთი წინწკალიც აღარ ჩამოვარდნილა და აქაც კი, მაღალმთიან ტიროლში, სადაც მე, ისევე როგორც ბევრი სხვაც, სიგრილეს ვპოვებმეთქი, ვიმედოვნებდი, ჰაერი გავარვარებული იყო და მტვრის ზაფრანისფერი ბუღი იდგა. მოკრიალებული ციდან დილაადრიანვე დააშტერდებოდა ხოლმე მზის ყვითელი გუგა გადამწვარ ლანდშაფტს, თითქოს სიცხიანი ავადმყოფის უგონო თვალი ყოფილიყო, და რაც დრო გადიოდა და შუადღე ახლოვდებოდა, სპილენძის ქვაბს დამსგავსებულ ხეობაში სულ უფრო და უფრო ძალუმად ხრჩოლავდა სულის შემხუთველი მოთეთრო ანაორთქლი და ყველგან ატანდა. მართალია, სადღაც შორს ვეება დოლომიტის მთები აღმართულიყვნენ და იქიდან თოვლი თეთრად ქათქათებდა, მაგრამ სიგრილის ამ ციაგს მხოლოდ თვალი თუ აღიქვამდა შორეულ მოგონებასავით. გული გწყდებოდა კაცს მთის მწვერვალების ცქერითა და ნიავქარზე ფიქრით, რომელიც ალბათ სწორედ ამ წუთში გარს ევლებოდა მათ სისინით, მაშინ როდესაც აქ, ტაფობში, დღისითაც და ღამითაც პაპანაქება მძვინვარებდა გაანჩხლებული და ათასი ბაგით ტენს წოვდა ადამიანს. დამჭკნარი მცენარეების, გამხმარი ბალახისა და დამშრალი ნაკადულების გადარუჯულ სამყაროში თანდათან კვდებოდა შინაგანი ცხოვრებაც, ზანტად და უქმად მიედინებოდნენ საათები. ამ დღეებს, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ, მეც სხვებივით მეტწილად ჩემს ფანჯრებდაგმანულ და ჩაბნელებულ ოთახში ვატარებდი. ნახევრად ტანთგახდილი, და უნიათოდ ველოდებოდი დარის შეცვლას, აგრილებას, წვიმასა და ელჭექზე უღაჯოდ და უღიმღამოდ ვოცნებობდი. მაგრამ მალე ეს სურვილიც ჩაიფერფლა ჩემს არსებაში, ისეთ ჩლუნგ, არაცნობიერ ლტოლვის ნატამალად მექცა, როგორიც ბალახის შემხმარ ღეროებსა და მხურვალე ზმანებაში გარინდებულ, ოხშივარში გახვეულ ტყეში თვლემდა.

დღითი დღე სულ უფრო და უფრო ცხებოდა, წვიმას კი ისევ და ისევ პირი არ უჩანდა. დილიდან საღამომდე მზე აჭერდა და მისი ყვითელი, მტანჯ-

ველი მზერა თანდათანობით მონომანის შლეგურ ახირებას ემსგავსებოდა. გეგონებოდათ, სიცოცხლე სულ ერთიანად უნდა მოისპოსო, ყოველივე გაყუჩებულიყო, ცხოველთა ყივილი აღარ ისმოდა, თეთრი მინდვრებიდან სხვა ბგერა არ ატანდა, გარდა მცხუნვარე ჰაერის ძლივს აღსაქმელი შრიალისა რხევისა და გადახურებულ დედამიწაში მიმდინარე დუღილის ჩქამისა. ტყეს მინდოდა შევრეოდი, სადაც ჩრდილები ხეებს შორის ლურჯად გამოკრთოდნენ, და იქ წამოვწოლილიყავი, ოღონდაც როგორმე გავქცეოდი ჩაციებით მომზირალ ამ ყვითელ მზეს, მაგრამ ამისათვის საჭირო ორიოდე ნაბიჯის გადადგმის თავიც აღარ მქონდა.ასე რომ, ოტელის შესავალთან განვაგრძობდი ჯდომას დაწნულ სავარძელში, ბარე ერთი თუ ორი საათი ვიყავი ჩრდილის ვიწრო ზოლში შეყუჟული, სახურავის ლავგარდანი რომ აფენდა ხრეშზე. ერთხელ უკან გადავჩოჩდი კიდეც, როდესაც ჩრდილის ისედაც ვიწრო ოთხკუთხედი კიდევ უფრო დავიწროვდა და მზე ხელებზე წამომეპარა, მერმე კვლავ საზურგეზე გადავესვენე და გაბრუებული ვიცქირებოდი გამაბრუებელ სინათლეში, უსურვილოდ და უნებისყოფოდ, დროის მსვლელობას ველარ ვიგებდი, დრო დადნა ამ საშინელ პაპანაქებაში, საათები გალხვნენ, დაიშალნენ ამ მხურვალე, უაზრო თვლემაში. სხვას ველარაფერს შევიგრძნობდი, გარდა გარედან ჩემს ფორებზე ჰაერის მწველი შემოტევისა, ხოლო შინაგანად კი — სისხლის გამალებულ სრბოლასა და მაჯის აჩქარებულ ცემას.

ჰოდა, ანაზდეულად მომეჩვენა, თითქოს სიომ ოდნავ, სულ ოდნავ გადაუქროლა ბუნებას, თითქოს ბუნების წიაღს სადღაც კაეშნიანი ლტოლვით აღსავსე ოხვრა აღმოხდა. წამოვიწიე. სიო კი იყო? უკვე დავიწყებული მქონდა, როგორი იყო ნიავი, დიდი ხანია ჩემი გამომშრალი ფილტვები აღარ დასწაფებოდნენ მის სიგრილეს, თანაც ჩემამდე, სახურავის ჩრდილით დაფარულ ჩემს კუნჭულამდე. ჯერ არ მოეღწია, მაგრამ იქ, გაღმა, სერზე კი ხეებმა, ეტყობა, რაღაც უჩვეულო რამ იგრძნეს რადგან ერთბაშად ნელ-ნელა იწყეს რხევა. თითქოს ერთმანეთისკენ იხრებოდნენ და ერთიმეორეს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. მათ შორის გაწოლილ ჩრდილებს მოუსვენრობა დაეტყოთ, ისე აწყდებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს სული ედგათ და შეჩქვიფებულნი იყვნენ. უეცრად სადღაც შორს მოშრიალე და მონანავე ბგერა დაირხა. მართალი გამოდგა: ქარი მოევლინა ქვეყანას, დუდუნით, ქროლით, ნავარდით მოვარდა, ორგანის ბანებისებური ბუბუნით, და ახლა უკვე ბევრად უფრო მაგრად, ბევრად უფრო მძაფრად დაუბერა. თითქოს უეცარმა ელდამ დააფრთხოო, ისე ერთბაშად ავარდა მტვრის კორიანტელი ქუჩაში და ერთი მიმართულებით გაქანდა. ჩიტუნებმა, რომლებიც ზოგი სად და ზოგიც სად, ჩეროებში იყვნენ მიმალულნი, ერთბაშად იხუვლეს და შავად რიალებდნენ ჰაერში, ცხენები პერმორეულნი ფრუტუნებდნენ და შორიდან კი ფერდობზე შეფენილი ნახირის ბღავილი მოისმა. რაღაც ბუმბერაზულმა ძალამ გაიღვიძა და, როგორც ჩანდა, ახლოვდებოდა. დედამიწამ უკვე უწყოდა ეს, ტყეც და ცხოველებიც გუმანით გრძნობდნენ და ცასაც თხელი მონაცრისფრო ბინდი გადაჰკვროდა უკვე.

აღელვებისაგან ვკანკალებდი. პაპანაქება უამრავი წვრილი ნესტარით მგესლავდა და სისხლს მიმღვრევდა, ნერვები დაჭიმული და აღგზნებული მქონდა: არასოდეს ისე არ დავლოდებივარ გიჟმაჟ ქარსა და სანეტარო სიხალისით

ალსავსე ელჭექს, როგორც ახლა. და აი ისიც მოდიოდა, ახლოვდებოდა, მძლავრობდა და თავის მოსვლას იუწყებოდა. ქარი ნელ-ნელა მოერეკებოდა ღრუბლების ფაფუკ ქულებს, მთებს მიღმა რაღაც გრუხუნი და ქშენა ისმოდა, თითქოს ვიღაც უშველებელ ტვირთს მიაგორებდა. ზოგჯერ წყდებოდა ეს ხმები, თითქოს ის ვიღაცაა, დაიღალაო, და სიჩუმე ისადგურებდა. ჩემი ნაბიჯებიც უნელებდნენ თრთოლას, გეგონებოდათ, ყური მიაპყრესო, და ჩემი გულიც მათთან ერთად ირინდებოდა. საითაც გავიხედავდი, ყველგან ისეთსავე მოლოდინს ვაწყდებოდი, როგორითაც მე თვითონ ვიყავი გამსჭვალული. დამსკდარ მიწას უფრო დამჩნეოდა ნაპრალები: პატარა, მწყურვალი დრუნჩებივით იყვნენ ისინი დაბჩენილნი, და საკუთარ სხეულსაც ასევე აღვიქვამდი: სიგრილის ძიებაში ყოველი ფორი გადახსნილი მქონდა და დაძაბული, ხალისიან, ცივსა და შხაპუნა წვიმას ვნატრობდი. უნებლიეთ თითები მეკრუნჩხებოდა, თითქოს მათ ძალა შესწევდათ ღრუბლებს მისწვდომოდნენ და სასწრაფოდ აქეთ წარმოეტაცათ სულთმობრძავ სამყაროში.

მაგრამ ისინი ისედაც უკვე მოიწევდნენ აქეთკენ, მრუმედ დაქუფრულნი, ვიღაცის უჩინარი ხელი დინჯად მოერეკებოდა მათ — ვეება, მრგვალ, გატიკნულ ტომრებს — და ჩანდა: საავდროდ დამძიმებულნი და ჩაშავებულნი იყვნენ, რადგანაც ერთმანეთთან შეჯახებისას მაგარი, მძიმე საგნებივით გრუხუნებდნენ მრისხანედ და ზოგჯერ, თითქოს ასანთს გაჰკრესო, ელვაც გამოკრთებოდა ხოლმე მათ შავ ზედაპირზე. მაშინ ავის მომასწავებელი სილურჯით ენთებოდნენ და სულ უფრო და უფრო ერწყმოდნენ ერთმანეთს, სულ უფრო და უფრო ჩამუქებულ-ჩალამებულნი. ტყვიისფერი ცა თანდათან დაბლა იწევდა, როგორც რკინის ფარდა თეატრში. ახლა უკვე მთელ ცის კაბადონს გადაეკრა შავი საბურველი და კიდევ უფრო შეხუთა ისედაც თბილი და შეგუბებული ჰაერი. შემდეგ ერთხელ კიდევ ჩამოვარდა სიმშვიდე, უკანასკნელად გაინაბა ყოველივე, უტყვი კრთებით მომლოდინე; ყოველივე დათრგუნვილი იყო ხეობაში ჩამოწოლილი სულის შემხუთავი სიმძიმილით, ჩიტები აღარ ჭლურტულებდნენ, გარინდებული იდგნენ ხეები და თვით პაწაწინა ბალახის ღეროებსაც კი ველარ გაებედათ აბიბინება. ზეცა ლითონის კუბოსავით დამხობოდა გავარვარებულ დედამიწას, რომელზედაც ყველაფერი გასუსულიყო პირველი გაელვების მოლოდინში. მეც სულგანაბული ვიყავი, ხელები ერთმანეთში გადამეჭდო და მაგრად ვუჭერდი, რაღაც სანუკვარ, სასწაულებრივ ძრწოლას ავეტანე და ადგილიდან ველარ ვიძროდი. ვხედავდი, როგორ აირია ხალხი ჩემს ირგვლივ, ტყიდან მოდიოდნენ, ოტელის კარიდან გამოდიოდნენ, ყოველი მხრიდან მორბოდნენ, დამლაგებელი ქალები ფირფიტანებს დაბლა უშვებდნენ და ჯახუნით ხურავდნენ ფანჯრებს. ერთბაშად ერთი ფუსფუსი და ჩოჩქოლი ატყდა. ყველანი აღელვებულნი ემზადებოდნენ და ამ სამზადისში ერთმანეთს ეხლებოდნენ. მარტო მე ვიჯექი გაუნძრევლად, ციებცხელებიანივით ვკანკალებდი, ხმას არ ვიღებდი, მაგრამ მთელი არსებით დაძაბული ვგრძნობდი, ყელში ბურთივით როგორ მაწვებოდა ყვირილი, პირველი გაელვებით მოგვრილი სიხარულის გამომხატველი.

უეცრად ზედ ჩემს ზურგს უკან ვიღაცის ოხვრა გავიგონე, გატანჯული მკერდიდან რომ უნებლიეთ აღმოხდება ადამიანს, და მასთან შერწყმული მუდარითა და კაეშნიანი ლტოლვით აღსავსე სიტყვები:

— ნეტავი დროზე მაინც გაწვიმდებოდეს!

ისე დაუოკებელი, ისე სტიქიონიეთი მოვარდნილი ჩანდა ეს ხმა, ანუ ურვით აღმოხდენილი გმინვა, თითქოს თავად მწყურვალ დედამიწას წარმოეთქვას ეს სიტყვები დახეთქილი ტუჩებით, განაწამებ, გამომშრალ ბუნებას დასცდენოდეს ტყვიასავით მძიმე ზეცის ქვეშ.

მივტრიალდი. ჩემს უკან ქალიშვილი იდგა. ცხადი იყო, წინ წარმოთქვა ეს სიტყვები, რადგან გაცრეცილი და ლამაზად მოყვანილი ბაგე ცოტათი ისევ დაბჩენილი ჰქონდა და ხელი, რომლითაც კარს ჩასჭიდებოდა, ოდნავ უთრთოდა. არც ჩემთვის მოუმართავს და არც სხვა ვინმესთვის. როგორც უფსკრულის წინაშე მდგარი, ისე მიილტვოდა წვიმის მომლოდინე ლანდშაფტისაკენ და თვალს არ აცილებდა ნაძვებზე გადმოკიდულ უკუნეთს. მისი მზერა, შავი და ცარიელი, არაფერს არ ირეკლავდა, თვითონაც უფსკრულივით ღრმა, ცის უსაზღვრო სიღრმეს იყო მიჩერებული, მარტო მაღლა იყურებოდა ხარბად, მარტო საავდროდ დაქუფრულ ღრუბლებში ღრმად შეღწევას ლამობდა მისი თვალი. მე ვერ მამჩნევდა. ასე რომ, დაუბრკოლებლად შემეძლო უცნობი ქალიშვილის ჭვრეტა და ვხედავდი, როგორ უღელავდა მკერდი, როგორ აწვებოდა ყელში რაღაც, თითქოს უნდა დაახრჩოსო, და ბოლოს, ფართოდ ამოჭრილი კაბის გულისპირიდან ნაზად მოღერებულ ყელზე როგორ გადაურბინა კრუნჩხვისებურმა თრთოლამ, ბაგეც შეუთამაშდა, მწყურვალივით დააღო პირი და ისევ წარმოთქვა:

— ნეტავი დროზე მაინც გაწვიმდებოდეს!

და ეს მე კვლავ მთელი შეხუთული სამყაროს გმინვად აღვიქვი, რაღაც მთვარეულისა და სიზმარეული ჩვენების ნატამალი იყო ამ ქანდაკებასავით მდგარ ქალიშვილში, მის ქვეყნიერებას განრიდებულ მზერაში. ჩემთვის ის, ღია ფერის კაბით ტყვიასავით ჩამუქებულ ცის ფონზე მდგარი, მთელი დამაშვრალი ბუნების წყურვილსა და მოლოდინს განასახიერებდა.

რაღაცამ გაიფაჩუნა ჩემს გვერდით ბალახში, რაღაცამ დაირაკუნა ლავგარდანზე, რაღაცამ გაიწკაპუნა გახურებულ ხრეშზე, მერმე ერთბაშად ყველგან ატყდა მსგავსი წკაპაწკუპი და უეცრად მივხვდი, ვიგრძენი, რომ ეს წინწკლები იყო, მძიმედ რომ ეცემოდნენ და მაშინვე ორთქლდებოდნენ. წვიმის პირველი წვეთები, საამური მაცნენი დიდი, შხაპუნა, გამაგრილებელი წვიმისა. ო, უკვე იწყებოდა! უკვე დაიწყო! თავი დამავიწყდა, ნეტარების ჟრჟოლამ ამიტანა. ასეთი სიმკვირცხლე არასოდეს არ მიგრძვნია: წამოვხტი, წინ გავიჭერი და ერთი წვეთი პეშვით დავიჭირე. მძიმედ მოადინა ტყაპანი ცივმა წინწკალმა ჩემს თითებზე. ქუდი მოვიშვლიპე, რომ უფრო ძალუმად მეგრძნო ნოტიო ჰაერი თმასა და შუბლზე. მოუთმენლობისაგან მაკანკალებდა, მინდოდა დელგმაში მოვყოლოდი, სულ ერთიანად გავწუწულიყავი, წვიმა მთელი სხეულით აღმექვა, სიმხურვალისაგან გამომშრალ კანში, მის ღია ფორებში შემოეშვა და უფრო ღრმადაც — აჩქეფებულ სისხლში. ჯერ მხოლოდ აქა-იქ ეცემოდნენ წვეთები ტყაპატყუპით, მაგრამ მე უკვე წინასწარ ვგრძნობდი, როგორ დაუშვებდა. ყურში უკვე ჩამესმოდა წვიმის შხაპუნი და დგაფუნი, ვხედავდი მოვარდნილ ღვართქაფს, ვილოდი, როგორ ჩამოიქცეოდა ცა ტყეზე, სიცხისგან გადაბუგულ ქვეყანაზე.

მაგრამ საკვირველი იყო: წვეთებმა როდი მოუხშირეს. მათი დათვლაც კი შეიძლებოდა: აი ერთი, კიდევ ერთი, კიდევ და კიდევ. კანტიკუნტად ცვიოდნენ ისინი, ოდნავ წკაპუნებდნენ, ფაჩუნობდნენ, შიშინებდნენ, მარჯვნივ და

მარცხნივ, მაგრამ წვიმის ერთ დიად მოწკრიალე ორკესტრად ვერ შერწყმულიყვნენ. უნიათოდ წინწკლავდა და აჩქარების ნაცვლად რიტმი სულ უფრო და უფრო ნელდებოდა. მერე ერთბაშად სულაც შეწყდა, როგორც საათის წიკწიკი შეწყდება ხოლმე უეცრად და დრო თითქოს ერთ ადგილზე დედდება. მოუთმენლობისაგან ანთებული გული უმალ გამიცივდა. ველოდი, ვუცქეროდი, მაგრამ არაფერი არ ხდებოდა. შავად დაქუფრული ცა დამძიმებული გადმოსცქეროდა დედამიწას, რამდენიმე წუთს სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მაგრამ შემდეგ თითქოს შემპარავი, დამცინავი ღიმილი გამოკრთა მის მოღუშულ სახეზე. დასავლეთით განათდა ცისკიდური, ღრუბლების კედელი თანდათან გაირღვა და მათ ყრუ გრუხუნით განაგრძეს გზა. სულ უფრო და უფრო მეჩხერი ხდებოდა მათი შავი, გაუმჭვირვალი საბურველი და დაუკმაყოფილებელი, გულგაცრუებული, უგერგილოდ გაფაციცებული ბუნების ზეგარდმო კვლავ აციაგდა ჰორიზონტთან ცის კაბადონი. ხეებს, თითქოს განრისხდნენო, ერთხელ კიდევ გადურბინათ ჟრუანტელმა, ისინი იხრებოდნენ, იგრიხებოდნენ, მაგრამ მერე ხარბად ზეაწვდილი ფოთლები და რტოები დახოცილებივით ისევ უილაჯოდ დაბლა დაუშვეს. ცა სულ უფრო და უფრო იწმინდებოდა და უმწეო ქვეყანას ანჩხლად ეფრქვეოდა მსახვრალი ნათელი. არაფერი არ მომხდარა, ელჭექი უკუიქცა.

სულერთიანად მაცახცახებდა, ბრაზისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. რას გავაწყობდი, მაგრამ აღშფოთებული ვიყავი ასეთი მოტყუებითა და ღალატით. ცოტაც და დავიყვირებდი, შფოთს ჩავავდებდი. მინდოდა რაიმე გამეტეხა, ავბედითი რამ ჩამედინა. რა აზრი ჰქონდა, მაგრამ მაინც შურისძიება მწყუროდა. მე განვიცდიდი გულგაცრუებული ბუნების ტანჯვას, ტენს მონატრებული ბალახების საწადელს, ქუჩების პაპანაქებას, ტყეების ოხშივარს, ლოდების სიმხურვალეს, მთელი მოტყუებული სამყაროს წყურვილს. ნერვები გავარვარებული მავთულებივით მეწვოდა: ვგრძნობდი მათში გამავალი ელექტრობა ტკაცატკუცით გარეთაც ატანდა, ელექტრობითვე დამუხტულ ჰაერში, და დაჭიმულ კანს ჟიჟმატი ალების დარად ათასგან მიდაგავდა. ყველაფერი ტკივილს მაყენებდა, ყოველი ჩქამი ნემსის წვერივით მესობოდა, ყოველივეს პაწია ალის ენები ევლებოდა და რაზეც უნდა შემეჩერებინა მზერა, თვალი მეწვოდა. სულის კლიტემდე ვიყავი შეძრული, ვგრძნობდი, მრავალი აღქმის ორგანო, რომელთაც ჩვეულებრივ უქმად, ვითომც არ არსებულიყვნენ ისე სძინავთ გაზარმაცებულ ტვინში, ახლა განიხვნა, ვითარცა უამრავი პატარა ნესტო, და ყოველი მათგანით ღველფსა და ღადარს აღვიქვამდი. უკვე ვეღარ ვარჩევდი, ამ მღელვარებიდან რა იყო საკუთრივ ჩემი და რა — გარემომცველი სამყაროსი. შეგრძნების სიფრიფანა მემბრანა ჩემსა და ბუნებას შორის დაიფლითა და ყოველივე ჩემს შიგნითაც და ჩემს გარეთაც გულგაცრუების კირთებით იყო შეპყრობილი. როდესაც ასე ციებცხელებაატანილი ხეობაში გადავიხედავდი ხოლმე, რომელიც ახლა თანდათანობით სინათლეებით ივსებოდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყოველი ცალკეული პაწია სინათლე კიაფით იჭრებოდა ჩემს სხეულში, ყოველი ვარსკვლავი ცეცხლს მიკიდებდა და სისხლს მიჩქეფებდა. ერთი და იგივე უზომო მღელვარება მეფობდა ჩემს გარეთაც და შიგნითაც და რაღაც მტკივნეული ჯადოსნური ძალის შემწეობით ისევ აღვიქვამდი ყველაფერს რაც ჩემს ირგვლივ იყო გაჩაღებული, თითქოს ყოველივე ჩემში ჩაეწნეხათ, ჩემს შიგნით ღვიოდა და იწვოდა. მეჩვე-

ნებოდა, თითქოს ჩემი სულის ცხრაკლიტულში გიზგიზებდა ის საიდუმლოებით მოცული, ცხოველმყოფელი დვრიტა, რომელიც ფორმათა მთელ მრავალფეროვნებას ახლავს, და ისე ჯადოსნურად გამიმძაფრდა შეგრძნების უნარი, რომ ყველაფერს ალვიქვამდი, ყოველი ფოთლის ურვას, ძაღლის [illegible] [illegible]ალოდავ გამოხედვას, კუდამოძუებული რომ დაიპარებოდა კარებთან, [illegible]ფერს, და ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი გულს მტკენდა.. თითქმის ფიზიკურ სინამდვილედ იქცეოდა ეს შინაგანი ხანძარი, და როდესაც თითები კარს წავავლე, ხემ ოდნავ გასაგონი ტკაცუნი გაიღო, სწორედ ისეთი, დამწვარმა აბედმა რომ იცის ხოლმე.

გონგმა დარეკა. ვახშმობის დრო იყო. ღრმად ჩამწვდა მისი ბოხი ხმა და მანაც ტკივილი განმაცდევინა. მოვტრიალდი .რა იქნა ხალხი, სულ ახლახან არ იროდნენ აქ, შეშინებულები და აღელვებულები? რა იქნა ის ქალიშვილი, აქ რომ იდგა მწყურვალ სამყაროს განსახიერებად და დაბნეულობისა და გულგაცრუების წუთებში მე რომ სულ გადამავიწყდა? ყველანი გამქრალიყვნენ. მარტოდ ვიდექი გარინდებული ბუნების წინაშე. ერთხელ კიდევ შევავლე თვალი შორეულ სივრცეებს. ცას გადაეკარა, მაგრამ მთლად მოწმენდილი მაინც არ იყო. ვარსკვლავებს თხელი, მომწვანო პირბადე გადაჰკვროდათ და ამომავალი მთვარე კატის თვალივით ავად ელავდა. იქ, მაღლა, ყველაფერი ნაცდური, დამცინავი და სახიფათო იყო, უფრო ქვემოთ კი, ამ მოჩვენებისმაგვარ გუმბათის ქვეშ, უკვე ღამის წყვდიადი ისადგურებდა, ტროპიკული ზღვის დარად ფოსფორესცირებდა და განაწვალები, დაუკმაყოფილებელი დიაცივით ავხორცულად ფშვინავდა. ზევით ჯერ კიდევ ანცად ჭიატებდა უკანასკნელი სხივი შუქისა, ქვევით კი ზანტად და მძიმედ ჩაწოლილიყო სულის შემხუთავი სიბნელე და ერთი მეორეს მტრობდა. ავბედითი, უტყვი ბრძოლა მიმდინარეობდა ცასა და დედამიწას შორის. ღრმად ვსუნთქავდი და მხოლოდ და მხოლოდ მღელვარებას ვისრუტავდი. ბალახს დავწვდი. ხესავით ხმელი იყო და ჩემს თითებში ლურჯად გაუდიოდა ტკაცატკუცი.

ისევ გაისმა გონგის ხმა. ამაზრზენად მოქმედებდა ჩემზე მისი მკვდარი ჟღერა. არა მშიოდა, არც ადამიანთა სიახლოვე მწყუროდა, მაგრამ ეს სულის შემხუთველი მარტოობაც აქ, გარეთ, საშინელი რამ იყო .უტყვი ცა ტყვიასავით მძიმედ მაწვებოდა მკერდზე და ვგრძნობდი, მეტს ველარ გავუძლებდი. შიგნით შევედი, სასადილო დარბაზში. სტუმრობს მდგმურები უკვე მისხდომოდნენ პატარა მაგიდებს, ხმადაბლა საუბრობდნენ, მაგრამ მე ესეც მაწუხებდა. ყველაფერი ნერვებს მიშლიდა: ჩუმი ტიტინიც კი, დანა-ჩანგლის ჩხაკუნი, თეფშების წკრიალი, ყოველი ჟესტი, ყოველი ამოოხვრა, ყოველი გამოხედვა. ყველაფერი ეკალივით მესობოდა და ტკივილს მაყენებდა. თავს ძალას ვატანდი, აბსურდული რამ არ ჩამედინა, რადგან მაჯისცემაზე ვატყობდი: სიცხე მქონდა, ცნობა მერეოდა. დარბაზში მყოფთაგან ვისაც შევხედავდი, ყველანი ალუანელნი მეჩვენებოდნენ; ყველანი მძულდნენ, რადგან მშვიდად, დარბაისლურად ისხდნენ და მადიანად შეექცეოდნენ საჭმელს, მე კი ცეცხლი მეკიდებოდა. შურის მაგვარი გრძნობა დამეუფლა: რა არხეინად და გულდაჯერებულად ისვენებდნენ, მუცელს იყორავდნენ და არ ნაღვლობდნენ ბუნების ტანჯვას, გულგრილად ეკიდებოდნენ იმ უტყვ გაშმაგებას, მწყურვალი მიწის მკერდში რომ ღვიოდა. ხან ვის მივაპყრობდი მზერას და ხან ვის, რათა ერთი მაინც მეპოვა ისეთი, ვინც ჩემებრ იქნებოდა განწყობილი, მაგრამ ყველა უდარდე-

ლი და უზრუნველი ჩანდა. განცხრომით და შვებით სუნთქავდნენ, დინჯები, ფხიზლები, უგრძნობელნი და ჯანმრთელები იყვნენ ყველანი, მხოლოდ მე ერთადერთი ვიყავი ავად, ერთადერთი განვიცდიდი ქვეყნის კრიზისს. ოფიციანტმა ვახშამი მომართვა. ერთი ლუკმა ჩავიდე პირში, მაგრამ საჭმელი ყელში არ ჩამდიოდა. გული არაფერზე არ მიმდიოდა, ტანში გამჯდარიყო დამშვრალი, გაწამებული, შეუძლოდ მყოფი ბუნების სიმხურვალე და სიმძიმე.

ჩემს გვერდით სავარძელი გაიჩოჩეს. შევკრთი. ყოველი ჩქამი ახლა გავარვარებულ რკინასავით მშანთავდა. იქით გავიხედე. ვიღაც უცხოები უსხდნენ მაგიდას, ეტყობა, ახალი ჩამოსულები იყვნენ, რადგან ჯერ არ ვიცნობდი მათ: ხანში შესული ბატონი მეუღლითურთ, დარბაისელი ბიურგერები. ორივეს მშვიდობიანი მრგვალი თვალები ჰქონდა, ორივე გულმოდგინედ იღეჭებოდა. მაგრამ მათ პირდაპირ, ჩემთან ნახევრად ზურგშექცევით, ქალიშვილი იჯდა, ალბათ მათი პირმშო. მე მხოლოდ მის თეთრსა და ნაზ კისერს ვხედავდი და ხშირსა და კუნაპეტივით შავ, თითქმის მუქლურჯ თმას, ფოლადის მუზარადივით რომ ადგა თავზე. ქალიშვილი გარინდებული იჯდა და სწორედ ამით ვიცანი ის, ვინც ახლახან თავდავიწყებული იდგა ტერასაზე თეთრი, მწყურვალი ყვავილივით წვიმას მონატრებული. ავადმყოფურად წვრილი, პაწია თითებით მოუსვენრად აწვალებდა დანა-ჩანგალს, მაგრამ ისე, რომ არ აწკრიალებდა, და ეს სიჩუმე, რომლითაც ქალიშვილი იყო გარემოცული, მესალბუნებოდა. ისიც პირს არ აკარებდა საჭმელს, მარტო ერთხელ წაატანა ხელი ხარბად და ნაჩქარევად ჭიქას. „ოჰო, ესეც განიცდის ბუნების ციებ-ცხელებას", — გაბედნიერებულმა გავიფიქრე მე, როდესაც მის მოძრაობაში მწყურვალის სიხარბე დავიჭირე და, სათუთი თანაგრძნობით აღსავსემ მის კისერზე ალერსიანი მზერა შევაჩერე. ახლა ძლივს ერთი ადამიანი მაინც მეგულებოდა, რომელიც მთლად მოწყვეტილი არ იყო ბუნებას და სამყაროს ხანძრისაგან ჩემებრ იწვოდა. მინდოდა ნასაკ სცოდნოდა ჩვენი ძმობის ამბავი, მინდოდა დამეყვირა მისთვის: იგრძენი-მეთქი, იგრძენი-მეთქი ჩემი მუნ ყოფნა! შენებრ მეც ეფხიზლობ, მეც ვიტანჯები! მიგრძენი! მიგრძენი! მხურვალე წადილის ანდამატურ რკალში ვაქცევდი ქალიშვილს, მივჩერებოდი მის ზურგს, შორიდან ველაციცებოდი თმაზე, ჩაციებით ვაცქერდებოდი, ვუხმობდი ბაგით, ვეტმასნებოდი, ვჭვრეტდი და ვჭვრეტდი, გადავცემდი მთელ ჩემს გზნებას, რათა დასავით განეცადა იგი. მაგრამ ქალიშვილს არ მოუხედავს, არ განძრეულა, ისევ ქანდაკებასავით იჯდა, გულცივი და უცხო ჩანდა. არავის არ სურდა დამხმარებოდა. არც ამ ქალიშვილს ესმოდა ჩემი. არც ის იყო ბუნების ტყვეობაში. მარტო მე მეკიდა ცეცხლი.

ოჰ, ეს სიმხურვალე, ჩემს გარეთ გამეძლო მისთვის თუ ჩემს შიგნით?! ცხელი კერძების მსუყე და მოტკბო ოხშივარი მაწამებდა; ყოველი ჩქამი ნერვებს მიწვრილებდა. ვგრძნობდი, როგორ მიდუღდა სისხლი, ცოტაც და ძოწისფერ ბურანში გავეხვეოდი, გრძნობას დავკარგავდი. მთელი არსებით ვნატრობდი სიგრილესა და სივრცეს, ადამიანთა სიახლოვე სულს მიხუთავდა. ჩემს მახლობლად ფანჯარა იყო, წამოვდექი და გამოვაღე, ყურთამდე გამოვაღე, და საოცარია: იქაც ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი ვპოვე, ეს მოუსვენარი, მცხუნვარე თრთოლა ჩემი სისხლისა, ოღონდ გახსნილი ღამეული ცის უსაზღვრობაში. მოთეთრო-მოყვითალო მთვარე ანთებული თვალივით ციაგებდა ბურუსის წითელ რგოლში და მინდვრებზე მოჩვენებასავით მიიპარებოდა მქრქა-

ლი ანაორთქლი. გამალებით ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები, გვეგონებოდათ, ჰაერი მაგრად დაჭიმული ლითონის სიმებით დაექსელათ და ისინი გამოსცემდნენ ყურთასმენის წამღებ, მჭახე ხმებს. ზოგჯერ ყრუდ გაისმოდა ან გომბეშოს უაზრო ყიყინი ანდა ძაღლები წამოიწყებდნენ ხმამაღალ [illegible]ბით, ყმუილით, ან კიდევ სადღაც შორიდან საქონლის ბღავილი [illegible] მაშინ მაგონდებოდა, რომ ძროხებს ასეთ ღამეებში სიცხისაგან რძე ეჭრებათ. ბუნება ავად იყო, იქაც იგივე გულგაცრუების სიმწარე და ჩუმი გაშმაგება იგრძნობოდა. ასე რომ, ფანჯრიდან, თითქოს სარკეში ვიყურებოდი, ჩემი გრძნობების ანარეკლს ვჭვრეტდი. მთელი არსებით გარეთ მივილტვოდი. ჩემი და ბუნების სახმილი ერთმანეთს ერწყმოდა, ერთ უტყვ, მწუხარე ჩაკონებად ექცეოდა.

ისევ ახმაურდა ჩემს ირგვლივ სავარძლები და ისევ შევკრთი. კაბინეტი დამთავრდა. ხალხი ხმაურით აიშალა. ჩემი მეზობლებიც წამოდგნენ და წინ ჩამიარეს. ჯერ მამამ, გულარხეინმა, დაწყნარებულმა, სახეგაბადრულმა და ბრძოლისარმა, მერმე დედამ და ბოლოს ქალიშვილმა. ახლაღა დავინახე მისი სახე, ფერმკრთალი. მოყვითალო კანი ჰქონდა. ისევე მქრქალი და [illegible] შეფერილი, როგორიც გარეთ მთვარე იყო. ბაგე კვლავ ნახევრად გაღებოდა. ჩუმად ადგამდა ფეხს, მაგრამ მსუბუქად არა, რაღაც გაბოროტებული და მოთენთილი ჩანდა. ეს კი საოცრად უახლოვდებოდა ჩემს გუნება-განწყობილებას. მისმა მოახლოებამ კიდევ უფრო აღმაგზნო. ქვეშეცნეულად მსურდა მასთან გაშინაურება. მინდოდა თეთრი კაბით ოდნავ შემხებოდა, ან გვერდით ჩავლისას მისი თმის სურნელი მეგრძნო, და ანგარიდ ამ დროს შემომხედა, თვალი დამადგა და მიაშა მრუმე. უთრავმა მზერამ კინაღამ გამიგმირა. მკერდში ჩამწვდა ღრმად და თითქოს მთელ ჩემს არსებას ისრუტავდა. მარტოოდენ ამ მზერასღა აღვიქვამდი. მისი ნათელი სახეც კი გაუჩინარდა, ჩემს წინ მარტო მისი თვალების მრუმე უკუნეთი იდგა და შიგ ვეშვებოდი, როგორც უფსკრულში. ქალიშვილმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მზერა მაინც არ მეშვებოდა. შავი ლახვარივით მერჭო და ვგრძნობდი, სულ უფრო და უფრო ღრმად მეფლობოდა. აი მისმა წვერმა ლავე გულამდე ჩამატანა და გული გამიჩერა. ერთი-ორი წამი ასე მაცქერდებოდა და მეც, მთელი ამ ხნის განმავლობაში სულშეგუბებული და ნებისყოფაწართმეული, შავი ანდამატივით ვყავდი აცაცებული მის გუგას. მერმე ჩამიარა და უმალვე ვიგრძენი, სისხლი კვლავ დაიძრა. თითქოს ღია ჭრილობიდან იფეთქა, მღელვარედ იწყო სრბოლა მთელ სხეულში.

რა იყო? რა დამემართა? თითქოს მკვდრეთით აღვდექი. იქნებ ციებ-ცხელებამ იმდენად აიბნია თავგზა, რომ ქალმა გვერდით გამიარა, წამით შემხედ-ლო მზერა და მაშინვე დამატყვევა? არა. მე მხოლოდ შევნიშნე, რომ მის გამოხედვაში იგივე ჩუმი გაშმაგება დავიჭირე, იგივე გამომფიტავი, მღელვარი, გულისწამღები წყურვილი, რასაც ამჟამად ყველაფერში ვხედავდი: წითელი მთვარის არილში, დედამიწის ხორბალ დაბჩენილ ბაგეებში, გაუდაბურებულ კრიველთა მოძახილში, — იგივე წყურვილი რომელიც მე თვითონ მწვავდა და მდაგავდა. ო, ყველაფერ როგორ აირია ამ ფანტასტიკურად მცხუნვარე ღამეში, ყველაფერი როგორ შთაინთქა მოლოდინისა და მოუთმენლობის ერთადერთმა გრძნობამ! მე შევიშალე თუ მთელი სამყარო? ვღელავდი. მასთან მინდოდა შემეტყო და ქალიშვილს ჰოლში გავყევი. იგი მშობლებთან გვერდით იჯდა სავარძლის საზურგეს წყნარად მიყუდებული. სახიფათო მზერას დაბლა

დახრილი ქუთუთოები უფარავდა. ხელში გადაშლილი წიგნი მოემარჯვებინა და მას დასცქეროდა, მაგრამ მე არ დავიჯერე, რომ მართლა კითხულობდა. დარწმუნებული ვიყავი თუ ის იმასვე განიცდიდა რასაც მე, თუ უაზრო სიტანჯველით დამაშვრალ სამყაროსთან ერთად ისიც ეწამებოდა, [illegible] მოისვენებდა, მშვიდ განცხრომასა და ჭვრეტას ვერ მიეცემოდა. [illegible] ინიღბებოდა, სხვების ცნობისმოყვარეობას ემალებოდა. მე მის პირდაპირ ჩამოვჯექი და თვალს აღარ ვაცილებდი, გაფაციცებით ველოდი მის გამოხედვას. ერთი სული მქონდა, კვლავ ხომ არ ვპოვებდი ჩემა მომჯადოებელ მზერას და ხომ არ გამანდობდა იგი თავის საიდუმლოს ,მაგრამ ქალიშვილი პოზას არ იცვლიდა. ხელით გულგრილად ფურცლავდა წიგნს, თვალები კი დახრილი ჰქონდა. მე კი მის პირდაპირ ვიჯექი და ველოდი, ველოდი სულ უფრო და უფრო მეტი აზარტით. ქალიშვილის მოჩვენებითი გულგრილობის გასაქარწყლებლად ნებისყოფის რომელიღაც საიდუმლოებრივი ზამბარა ისე დამეჭიმა, რომ ამას თითქმის ხორციელად აღვიქვამდი, როგორც კუნთების ძლიერ შეკუმშვას. ირგვლივ ხალხი გულარხეინად საუბრობდა, თამბაქოს ეწეოდა, ქაღალდს თამაშობდა. ჩვენს შორის კი ჩუმი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ვგრძნობდი, ცდილობდა თავი დაეჭირა, ჩემსკენ გამოხედვას უკრძალავდა თავის თავს, მაგრამ რაც უფრო მეტად მეწინააღმდეგებოდა, მეც უფრო ჯიუტად ვაცივდებოდი, და ძალა ჩემს მხარეზე იყო, რადგან მთელი მწყურვალი დედამიწის მოლოდინით ვიყავი აღსავსე და გულგაკრეჭებული სამყაროს სახმილით ვიწოდი. და როგორც ჩვენს ფორებს — ღამის მხურვალე სიბნელე, ისევე ეხლებოდა ჩემი ნება მის ნებისყოფას და მე მჯეროდა, რომ მალე ვაიძულებდი შემოეხედა, უთუოდ ვაიძულებდი. ზურგს უკან, დარბაზში, ვიღაცამ როიალის დაკვრა დაიწყო. მძივივით ასხმული მსწრაფლ აღმავალი და დაღმავალი პასაჟები ხმადაბლა აღწევდა ჩვენამდე; ჰოლის მეორე ბოლოში კი მხიარულ საზოგადოებას მოეყარა თავი და ახლა ვიღაცის ბანალურ ოხუნჯობაზე ხარხარებდნენ. ყველაფერი მესმოდა, ყველაფერს აღვიქვამდი, რაც ხდებოდა, მაგრამ ქალიშვილს ერთი წუთითაც არ ვაცილებდი თვალს. ახლა მე ჩემთვის ვითვლიდი წამებს და თან მის ქუთუთოებს ვაჩერდებოდი და ვაჩერდებოდი. მინდოდა შორიდან ნებისყოფის დაძაბვითა და შთაგონებით მეიძულებინა კერპად დაბლა დახრილი თავი აელო და ჩემსკენ გამოეხედა. წუთი წუთს მისდევდა — შიგადაშიგ კვლავ მოისმოდა მარგალიტებივით აკინძული ჰანგები როიალისა — და უკვე ვგრძნობდი, ძალა მელეოდა. მაგრამ ანაზდეულად ქალიშვილი მხრებში გასწორდა და მე შემომხედა. პირდაპირ მე შემომხედა. ისევ ისეთივე უსასრულოდ ხანგრძლივ მზერაში ჩავიძირე: ძრწოლის მომგვრელ, მრუმე, ხარბ ორღობაში, რომელიც მნთქავდა და მეც არ ვეწინააღმდეგებოდი. ისე გაშტერებული ვიძირებოდი მის გუგებში, როგორც ფოტოაპარატის შავ ხვრელში, და ვიგრძენი, რომ მან ჩემი ხატება მოიტაცა. მე მოვწყდი საკუთარ თავს და სხვის სისხლში ჩავინთქე, ფეხქვეშ საყრდენი გამომეცალა და თავბრუდამხვევი ვარდნის ცხელი სიტკბოება განვიცადე. ჩემს ზევით ისევ რაკრაკებდნენ აღმავალი და დაღმავალი პასაჟები, მაგრამ მე უკვე აღარ ვუწყოდი, სად ვიყავი და რა მემართებოდა. თითქოს სისხლიდან დავიცალე. სუნთქვა მეკვროდა, ვიხრჩობოდი... ამან ერთ წუთს გასტანა, ერთ საათს თუ მთელ საუკუნეს — და ქალიშვილმა ისევ დახარა თვალები. მე ამოვყვინთე საიქიოს, როგორც წყალწაღებული ამოყ-

ვინთავს ხოლმე წყლიდან, აკანკალებულმა, გაოგნებულმა ციებ-ცხელებისა და შიშისაგან.

მიმოვიხედე. ჩემს პირდაპირ, ოტელის სხვა მდგმურთა შორის, წყნარად იჯდა და თავი წიგნში ჩაერგო ტანკენარ ქალიშვილს, ადგილიდან არ იძვროდა, დახატული გეგონებოდათ, მხოლოდ თხელი კაბის ქვეშ უთრთოდა ოდნავ მუხლი. მეც მიკანკალებდა ხელები. ვიცოდი, რომ ახლა მოლოდინისა და [illegible]ჩობის ეს ჟინიანი თამაში ისევ თავიდან დაიწყებოდა, რომ ისევ მომიხდებოდა დიდხანს და მედგრად ჩაციება, ხოლო შემდეგ ერთი შემომხედავდა და ერთბაშად კვლავ შავ გეენაში ჩავიძირებოდი. საფეთქლებზე ჭირის ოფლმა დამასხა, სისხლი მიდუღდა. მეტის გაძლება აღარ შემეძლო. წამოვდექი და უკან მიუხედავად გარეთ გამოვედი. გაჩირაღდნებული სახლის წინ ღამე ჩამოწოლილიყო, ხეობა უკუნეთს შთაენთქა, ხოლო ცა ნოტიოდ და შავად ბრწყინავდა სველი ხავსივით. აქაც ვერ მოვითქვი სული, ჯერჯერობით აქაც არ გრილოდა. აქაც ისევე სახიფათოდ ერწყმოდა ერთმანეთს წყურვილი და ზარხოში, როგორც ჩემს სახლში. მინდვრები ისე დაცვარულიყვნენ არაჯანმრთელი სინოტივით, როგორც სიცხიან ავადმყოფს ასხამს ჭირის ოფლი, და რძისფერი ოხშივარი ასდიოდა. დამძიმებულ ჰაერში მოჩვენებასავით გამოკრთებოდა ხოლმე შორეულ სინათლეთა ათინათი, მთვარე ყვითელი გარსით იყო გარემოცული და მზერას უფრო ავი ეჩანდა. ისე დაქანცული ვიყავი, როგორც არასდროს. ერთი დაწნული სავარძლის შეტანა დავიწყებოდათ და ისევ აქ იდგა. ზედ გადავესვენე. კიდურები მოწყვეტილი მქონდა. განძრევა აღარ შემეძლო და აქ, ლერწმის გლუვ ღეროს უსასოოდ მიყრდნობილს, ანაზდეულად კიდევ სამურად მეჩვენა. აღარ მტანჯავდა, მარტოოდენ ნაზად და ავხორცულად მელამუნებოდა და მეც არ ვეურჩებოდი. თვალები მივლულე ოღონდ, რომ კელარაფერი ვერ დამენახა და უფრო ძალუმად მეგრძნო ბუნება, ცხოველმყოფელი, გარს რომ შემომდგომოდა. თითქოს რაღაც სათუთი, გლუვი, სიპინის მსგავსი არსება ეტმასნებაო ყოველი მხრიდან, ისე მეამბორებოდა ღამე ათასი ბაგით. მე ვიწექი და ვგრძნობდი, რომ მიყოლიებდა, მიმორჩილებდა რაღაც, რითაც გარემოცული ვიყავ, რაც მეხვეოდა, მეკვროდა. ჩემს სისხლს იარუტავდა და ეს პირველად იყო, რომ ასეთ მხურვალე გარემოცვაში ცხადლივ აღვიქვი ის, რასაც ალბათ ქალი განიცდის, როდესაც ტრფიალის სანეტარო ექსტაზით შეპყრობილი ვიღაცას ნებდება. ეს ძრწოლანარევი სიტკბოება იყო, რადგან ერთბაშად წინააღმდეგობის გაწევის უნარი წამერთვა და მთელი სხეულით ბუნებას ვერწყმოდი. შვებას მგვრიდა რაღაც უხილავის ნაზი ლამუნი კანზე, თანდათანობით მის ქვეშაც რომ ატანდა და სახსრებს მიდუნებდა, არ ვეურჩებოდი შეგრძნებათა გაბრუებასა და განცხრომას. მთლიანად ვეძლეოდი ამ ახალ გრძნობას. იგი თავის ტალღებში მიმაცურებდა და ბუნდოვნად, სიზმარში მყოფივით აღვიქვამდი მხოლოდ, რომ ღამე და ის მსახვრალი მზერა, ქალი და ბუნება ,ერთნი იყვნენ და მათთან შერწყმა სანეტარო რამ იყო, დროდადრო მეჩვენებოდა, რომ ეს წყვდიადი მხოლოდ ის, ქალი, გახლდათ, ხოლო სითბო კი, მე რომ მელამუნებოდა ნაკვთებზე — მისი სხეული, ღამეში გახსნილი, ისევე როგორც ჩემი სხეულიც. გულმოკიდებულს მხოლოდ ეს მეზმანებოდა და თავდავიწყებით ვიძირებოდი გრძნობიერების ამ შავად დაქუფრულ და თბილ ტალღაში.

რაღაცამ შემაკრთო. ვცდილობდი გონს მოვსულიყავი, მაგრამ ვერ ვახერ-

ხებდი. ბოლოს მოვიხედ-მოვიხედე და მივხვდი, სავარძელში გადასვენებულსა და თვალებდახუჭულს ჩამეძინებოდა. ეტყობა, ერთ საათს მაინც ვთვლემდი, ანდა შეიძლება რამდენიმე საათსაც კი. რადგან სასტუმროს ჰოლში უკვე ჩაექროთ სინათლე და ყველანი დასაძინებლად წასულიყვნენ. ოფლისაგან დანოტიოებული თმა ისე მიმწებებოდა საფეთქლებზე, თითქოს ეს უსიზმრო, მაგრამ თვითონვე სიზმრისმაგვარი თვლემა მხურვალე ნამად დამპკურებოდეს თავზე. გაბრუებული წამოვდექი, რომ სასტუმროში შევტრიალებულიყავი, ამღვრეული მქონდა გუნება. მაგრამ იგივე არეულობა სუფევდა ჩემს ირგვლივაც. შორიდან ქუხილი მოისმოდა და ცა ხან აქ, ხან იქ სახიფათოდ ციალებდა, ჰაერს ცეცხლისა და ნაპერწკლების გემო ჰქონდა, მთებს მიღმა ავბედითად ელავდა და ჩემს სულში მოგონება და წინათგრძნობა ღვივდებოდა. სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ გარეთ, რომ გონს მოვსულიყავი, ამ საიდუმლოებით მოცული მდგომარეობით თავიც შემექცია და თავიც გამერთმია მისთვის, მაგრამ გვიან იყო და სასტუმროში შევედი.

ჰოლი უკვე ცარიელი იყო, სავარძლები, ერთადერთი ნათურით მკრთალად განათებულნი, ისევ ისე უწესრიგოდ იდგნენ, როგორც დაეტოვებინათ. მათ უსიცოცხლო სიცარიელეში იყო რაღაც მოჩვენების მაგვარი, და ჩემდა უნებლიეთ ერთ-ერთ მათგანში იმ უცნაური ასულის ნაზი სხეული წარმოვიდგინე, ვისმა გამოხედვამ ასე დამაბნია. მისი მზერა ჯერაც ცოცხლობდა ჩემს სულში, მოძრაობდა და მეჩვენებოდა, რომ სიბნელიდან მართლაც მიჭვრეტდნენ მისი მოელვარე თვალები. ალღოთი ვგრძნობდი, რომ სადღაც ამ კედლებში ისიც ფხიზლობდა და რასაც ის მიქადდა, სისხლს მიმღვრევდა. თან რა შეხუთული იყო ისევ ჰაერი! როგორც კი თვალებს ვხუჭავდი, მაშინვე ქუთუთოებქვეშ წითელი ნაპერწკლები იწყებდნენ რიალს. ჩემს ცნობიერებაში ისევ და ისევ კაშკაშებდა თეთრად გაღველფილი დღე, ისევ და ისევ ბორგავდა ეს ტენიანი, მობუზუნე, მოციალე, ფანტასტიკური ღამე!

მაგრამ ამ ჩაბნელებულსა და უკაცრიელ ვესტიბიულში ხომ არ დავრჩებოდი. ამიტომ კიბეს ავუყევი, თუმცა ზევით ასვლა არ მინდოდა. გული არ მიმიწევდა და ვერა და ვერ ამელაგმა მისი ურჩობა. დაღლილი ვიყავი, მაგრამ არ მეძინებოდა. რომელიღაც ქვეშეცნეული, ნათელმხილველი ალღო კიდევ რაღაც თავგადასავალს აღმითქვამდა, და გაფაციცებით ვლამობდი სიცოცხლისა და სითბოს ნიშატისათვის მიმეკვლია. კიბეზე ასვლისას თითქოს წვრილი, მოქნილი სიცეკებით ვაღწევდი ოთახებში, და თუ ადრე, როცა გარეთ ვიყავი, მთელი ჩემი შეგრძნების უნარი ბუნების აღსაქმელად მქონდა კონცენტრირებული, ახლა არაფერი არ მრჩებოდა შეუმჩნეველი, რაც სახლში ხდებოდა. მესმოდა მრავალი მძინარე ადამიანის დინჯი სუნთქვა, ვგრძნობდი მათი სქელი, შავი სისხლის მძიმე მიმოქცევას, მათ ჩვეულებრივ განცხრომასა და მოსვენებას, მაგრამ ამასთანავე აღვიქვამდი რაღაც უხილავი ძალის ანდამატურ მიზიდულობას. გუმანით ვიცოდი, ჩემებრ კიდევ ვიღაცა ფხიზლობდა. ვინ მომაგო ნეტავი ეს შემპარავი, ძოწისფრად მოგიზგიზე სიმღერა. ქალის მზერამ თუ ბუნებამ? კედლებისა და კარების მიღმა თითქოს რაღაც სათუთი რამ მეგულებოდა, მოუსვენრობის სუსტი ალი მითრთოდა სულში, სისხლს მიჩქეფებდა და არ ქრებოდა. უხალისოდ ავდიოდი კიბეზე. ყოველ საფეხურზე ვჩერდებოდი და ვაყურადებდი: მარტო სმენა კი არა, გრძნობის ყველა ორგანო მქონდა გამახვილებული. ვერაფერი ვერ გამოეკებდა, ისე გაფაციცებული ვი-

ყავი, ისე დაძაბული მოველოდი რაღაც გაუგონარს, საკვირველს. ვიცოდი, ეს ღამე უასწაულოდ არ ჩაივლიდა, ეს სულის შემხუთველი პაპანაქება ელჭექის გარეშე არ გადაივლიდა. ერთხელ კიდევ როდესაც ისევ გავჩერდი კიბის ბაქანზე და ყური მივაპყარი, ვიგრძენი ჩემი ერთობა ბუნებასთან, რომელიც გარეთ ულაჯოდ ბორგავდა და ავდარს უხმობდა. რაც ძალი [illegible] შეუწყვედა. აქ კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. სახლის მყუდროებას მძინარეთა ოდნავ გასაგონი სუნთქვა კიდევ უფრო საცნაურს ჰყოფდა. დაღლილმა და გულგაცრუებულმა ავიარე უკანასკნელი საფეხურები, ჩემი ოთახის სიმარტოვე კუბოსავით მაშინებდა.

კარის სახელური სიბნელეში ოდნავ ციაგებდა, ხელი რომ შევახე, თბილი და ნოტიო იყო. გავაღე კარი. ჩემს პირდაპირ ღია ფანჯრიდან ღამის შავი ოთხკუთხედი გამოჩნდა. ნაძვნარის აქოჩრილი კენწეროები და მათ შორის მოღრუბლული ცის ნაგლეჯი. გარეთაც და შიგნითაც ბნელოდა, ქვეყნიერებაც და ოთახიც წყვდიადს მოეცვა, ოღონდ — უცნაური იყო, გაუგებარი — ფანჯრის ჩარჩოსთან რაღაც ვიწრო და შვეული რამ ბრწყინავდა, როგორც ცდომილი სვეტი მთვარის ნათლისა. გაკვირვებული უფრო ახლო მივედი, რომ გამერჩია, რა ანათებდა. თუკი მთვარე ღრუბლებს იყო ამოფარებული. უფრო ახლო მივედი და სინათლის სვეტი შეირხა. გავოცდი. მაგრამ არ შევმკრთალვარ, რადგან ამ ღამეს თვით ყველაზე ფანტასტიკური ამბისთვისაც კი შინაგანად უკვე მზად ვიყავი. ყველაფერი თითქოს უკვე წინასწარ მქონდა ნაფიქრი და ნაოცნებარი. ვინ უნდა შევხვედროდი, რომ დავბნეულიყავი. და ყველაზე ნაკლებად კი ამ შეხვედრამ შემაცბუნა: დიახ, მართალია. ის იყო, ის იდგა ფანჯარასთან, ვიზედაც ჩემდა უნებურად ყოველ საფეხურზე, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვფიქრობდი ამ მძინარე სახლში და ვის ყმილობასაც ჩემი გაალმასებული გრძნობის ორგანოებით არაერთი ჭერისა და კარის მიღმა ალვიქვამდი. მისი სახე ოდნავ გამოკრთოდა სიბნელეში, ხოლო თეთრი ღამის პერანგი ნისლივით უბურავდა ტანს. ფანჯარასთან იდგა და მთელი არსებით ბუნებისკენ მიილტვოდა, თითქოს წერას აეტანა და დაბლა მოციგლიგე უფსკრული რაღაც იდუმალი ძალით იზიდავდა. ზღაპრულ არსებას წააგავდა, გუბურის თავზე მდგარ ოფელიას მოგაგონებდა.

კიდევ უფრო ახლოს მივედი, ერთსა და იმავე დროს დარცხვენილიცა და აღელვებულიც. ეტყობა, ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, რადგან მოტრიალდა. სახეზე ჩრდილი ადგა და ვერ გავიგე, მართლა ჩაესმა ხმაური ან მართლა დამინახა თუ არა. რადგან არ შემკრთალა, მის მოძრაობაში არც შიში, არც წინააღმდეგობა არ იგრძნობოდა. აიწყნარე სუფევდა ჩვენს ირგვლივ. კედელზე პატარა საათი წიკწიკებდა. სხვა არაფერი არ არღვევდა მდუმარებას, ვიდრე სრულიად მოულოდნელად არ წაიდუდღუნა:

— ძალიან მეშინია.

ვის უთხრა ეს სიტყვები? მიცნო თუ არა? მე მომმართა თუ ძილში ლაპარაკობდა? ხმა ისევე უკანკალებდა და იმავე კილოზე წარმოთქვა ეს სიტყვები, როგორც დღეს საღამოს გარეთ, ცა რომ პირველად მოიღრუბლა საავდროდ და მე ჯერ არ ვყავდი შემჩნეული. უცნაური ამბავი იყო, მაგრამ მე არც გამკვირვებია და არც დავბნეულვარ. მივედი მასთან. მინდოდა დამემშვიდებინა და ხელი მოვკიდე აბედივით ცხელსა და მშრალ ხელის მტევანზე. მაშინვე სათუთად გაშალა თითები და ჩქამი არ გაუღია, ისე დამანება ხელი. გვგო-

ხებოდათ, ძილის ბურანშიაო, ისე მოშვებული იყო, უმწეო, უსიცოცხლო, და ძარტოოდენ ტუჩების ცმაცუნით, თითქოს სადღაც შორიდან ლაპარაკობსო, ისევ წაიდუდუნა:

— ძალიან მეშინია ასე მე ძალიან მეშინია!

ხოლო მერე, თითქოს რაღაცა ახრჩობსო, ისე აღმოხდა:

— აჰ, რა სიცხეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან ნათქვამივით გაისმა ეს სიტყვები, თუმცა მან მხოლოდ წაიჩურჩულა, ვითომც რაღაც საიდუმლო გაენდოს ჩემთვის. მაგრამ მაინც ვიგრძენი: მე არ მომმართავდა. მკლავში ჩავავლე ხელი. ოდნავ შეაკრთოლა მხოლოდ, როგორც ხეებს დღეს საღამოს ელჭექის წინ, მაგრამ არ მეურჩებოდა. უფრო მაგრად ჩავჭიდე ხელები, ჩემსკენ მოვიზიდე და ისიც დამყვა, უილაჯოდ, წინააღმდეგობის გარეშე. თბილ ტალღასავით მომეხალნენ მისი მხრები, სულ ახლოს მყავდა, ვგრძნობდი მისი კანის სიმხურვალეს და თმის ტენიან სურნელს. გავირინდე და ისიც კვლავ დუმდა. ეს ყოველივე უცნაური იყო და ცნობისმოყვარეობა მომეძალა, ხოლო მასთან ერთად მოუთმენლობაც. ბაგით შევეხე თმაზე — თავი არ გაუწევია. მაშინ ტუჩებზე დავეკონე, რომლებიც მშრალი და მწველი ჰქონდა, და კოცნისას ერთბაშად გადაიპნენ, რათა უკეთ დასწაფებოდნენ ჩემს ბაგეს, მაგრამ გულისწადილითა და ვნებიანად კი არა, არამედ ძუძუმწოვარა ბავშვის ტუჩებივით უწყინარად, ნამძინარევად, მოშიებულად. წყურვილისგან იყო მოთენთილი, ასე ვგრძნობდი მე, და მარტო ტუჩებით კი არა, თხელ პერანგში თბილად მბორგავი მთელი კენარი ტანით მეკვროდა. ზუსტად ისევე, როგორც მანამდე გარეთ ღამე მელამუნებოდა, ცალუმად არა, მაგრამ იდუმალი გზნებით აღსავსე. ასე მკლავებში მყავდა ჩამწყვდეული და გრძნობათ ჰიაკოკონაათვის თავი ვერ გამერთმია, რომ ერთბაშად წარმოვიდგინე: ეს თბილ, ტენიან დედამიწას ვიკრავდი გულში, როგორიც დღეს ვიხილე, გახურებულ, დაუძლურებულ, ხვატით გადაბუგულ და გამაგრილებელ დელგმას მონატრებულ ბუნებას. ვკოცნიდი და ვკოცნიდი ქალიშვილს და ასე მეგონა, მისი სახით ამბორს ვყოფდი მოლოდინში გარინდებულ მთელ დიად, შეხუთულ სამყაროს: ასე მეგონა, მისი გავარვარებული ლაწვების სითბო მინდვრებია ანაორთქლი იყო, ხოლო მისი სათუთი, მთრთოლარე მკერდით მთელი ეს დაზაფრული მხარე სუნთქავდა.

მაგრამ, როდესაც ჩემი ცდომილი ბაგე ახლა ზევით გაეშურა მისი ქუთუთოებისაკენ, თვალებისაკენ, რომელთა შავმა ალმა ასე დამწვა და დამდაგა, — როდესაც თავი ავიღე, რათა მისი სახე დამენახა და ამით ორმაგად დავმტკბარიყავი, გაკვირვებულმა შევნიშნე, რომ თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული. ქვისგან გამოთლილი უთვალებო, უგრძნობელი ბერძნული ნიღაბივით იწვა ჩემს წინაშე — ოფელია, ოღონდ უკვე მკვდარი, წყალზე ატივტივებული, — უფერული, გაქვავებული სახე თითქოს მრუმე ტალღებიდან ამოეყო. შემეშინდა. მთელ ამ ფანტასტიკურ ეპიზოდში პირველად აღვიქვი არსებული. თავზარი დამცა იმის შეგნებამ, რომ ცნობიერებადაკარგულს ვეხვეოდი, ბურანში მყოფს, სნეულს, გრძნობის კარნახს აყოლილ მთვარეულს, რომელიც ჩემთან მხოლოდ ღამის სიმხურვალემ და მსახვრალმა წითელმა მთვარემ მოიყვანა, — ქალს, რომელმაც არ უწყოდა, რას სჩადიოდა, რომელსაც ჩემთან სიახლოვე შეიძლება არც სურდა. შემეშინდა და მკლავზე მისი სიმძიმე ვიგრძენი. მინდოდა მთლიანად ჩემზე მონდობილი ქალიშვილი ფრთხილად სავარძელზე ან

საწოლზე დამესვენებინა, რომ შეურაცხადისათვის სიამოვნება ქურდივით არ ამეწაპნა. ისეთი რამ არ მსურდა მიმეღო მისგან, რაც შეიძლება თვითონ კი არ სწადდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დემონს, მას რომ დაუფლებოდა და სისხლი აემღვრია. მაგრამ როგორც კი იგრძნო, რომ მკლავები მოვადუნე, მაშინვე სუსტად დაიკვნესა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მიმატოვო! არ მიმატოვო! — მევედრებოდა ის, თან უფრო მხურვალედ მეწაფებოდა ტუჩებით და მეკვროდა ტანით. თვალებდახუჭული სახე მტკივნეულად დაეძაბა და მე ძრწოლით შევნიშნე, რომ გამოფხიზლებას ლამობდა და ვერ ახერხებდა, — რომ მისი ბურანში გახვეული გრძნობიერება თითქოს სიმთვრალის საპყრობილიდან ღაღადებდა და ცნობიერებას უხმობდა. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ძილის ამ ტყვეისავით მძიმე წილხვედრში რაღაც იბრძოდა ხიბლისა და ჯადოს დასაძლევად, სახიფათო ცდუნებამ შემიპყრო. ქალიშვილი მე თვითონ გამეღვიძებინა. ერთი სული მქონდა, ვიდრე მას გამოფხიზლებულსა და მოლაპარაკეს ვნახავდი, ვიდრე ჩვეულებრივ არსებად იქცეოდა. და მზად ვიყავი, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა. გამომეფხიზლებინა მთვარეული, რომლის სხეული ბრმად ეძლეოდა ტკბობას. ჩემკენ მოვიზიდე და ნჯღრევა დავუწყე, კბილებით ვაფრინდებოდი ბაგეში, თითებს ვუჭერდი მხრებზე რომ ბოლოს და ბოლოს თვალი გაეხილა და შეგნებულად დამტკბარიყო იმით, რასაც ბურანში მყოფი მხოლოდ ინსტინქტურად ეწაფებოდა. მაგრამ იგი მხოლოდ იგრიხებოდა და კვნესოდა ჩემს მკლავებში, მარწუხებივით მტკივნეულად რომ ვუჭერდი.

— კიდევ! კიდევ! — ჩურჩულებდა ის ისე გახელებული, ვნებისაგან ისე გაშმაგებული, რომ მეც მიყოლიებდა და ჭკუას მაკარგვინებდა. ვგრძნობდი, გამოფხიზლება ახლოვდებოდა. დახუჭული ქუთუთოები რამდენჯერმე მოუსვენრად დააფახულა და სადაც იყო თვალებს გაახელდა. უფრო მაგრად ჩავიკარი გულში, მაგრამ მივეკარი და ერთბაშად ვიგრძენი, ლაწვზე ცრემლი ჩამოუგორდა და მე შევსვი ეს მლაშე კურცხალი. რაც უფრო ძალუმად ვეხვეოდი, მით უფრო მძაფრად უღელავდა მკერდი, კვნესოდა, მთელი ტანით იგრიხებოდა. თითქოს კიდურებით რაღაც საშინელი სალტის გარღვევას ლამობდა, რომლითაც ძილს გარემოეცვა, და ანაზდეულად — თითქოს საავდრო ცაზე გაიელვაო — რაღაც ჩაუტყდა ტანში, ერთბაშად ისევ მოეშვა, მძიმედ დამაწვა მკლავებზე, ბაგით აღარ მეძებდა, ხელები დაბლა დაუშვა და როდესაც საწოლზე დავაწვინე, არ განძრეულა, მკვდარივით ისევ იმ პოზაში დარჩა. შევკრთი, უნებლიეთ ხელი შევახე. მკლავებსა და ლაწვებზე მოვუთათუნე, ყინულივით ცივი იყო, ქვისგან გამოთლილსა ჰგავდა. მხოლოდ საფეთქლები უცემდა ოდნავ ნერვიულად მორბოლავი სისხლისაგან. მარმარილოს ქანდაკებასავით იწვა, ლაწვები ცრემლისაგან დანამვოდა და სუნთქვა ძლივს შესამჩნევად უთრთოლებდა დაძაბულ ნესტოებს. დროდადრო ჟრუანტელი უვლიდა ტანში, მაგრამ ეს აზვირთებული სისხლის დაღმავალი ტალღა იყო მხოლოდ და ქალიშვილი სულ უფრო მშვიდად და ღრმად ფშვინავდა. სულ უფრო ადამიანური ხდებოდა მისი სახება. უწყინარი ნაკვთები ბავშვივით ებადრებოდა. დაძაბულობამ გაუარა, ფერი მოეკიდა და ჩაეძინა.

მე საწოლის კიდეზე ვიჯექი და ათრთოლებული დავცქეროდი. ბავშვივით წყნარად იწვა. თვალები დაეხუჭა და ბაგით თითქოს ჩურჩ-ჩურჩით ეჩურჩულებოდა რაღაცას, ალბათ იმას, რასაც სიზმარში ხედავდა. მთლად დაბლა დავიხარე, რომ

მისი სახის ყოველი ხაზი კარგად გამერჩია და სუნთქვა ლაწვზე მეგრძნო, მაგრამ რაც უფრო ახლოდან ვუჭვრეტდი, მით უფრო შორეულად და საიდუმლოებით აღსავსედ მეჩვენებოდა. ვინაიდან აქ ქვაზე ქანდაკებასავით მწოლარე, ვინ იყო. სიზმრად სად იყო. მე, უცხო მამაკაცს, ჩემ მეცხენეარე ლამის ცხელმა ჭვავლმა მომგვარა მხოლოდ. და თანაც [illegible] მკვდარი გამორიყოს ნაპირზე. ვინ იყო, ახლა მკლავებზე რომ მესვენა, ვისი იყო, საიდან მოვიდა? არაფერი არ ვუწყოდი და მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ არაფერი არ გვაკავშირებდა. მარტოობით გამსჭვალულ ამ წუთებში, როდესაც მხოლოდ საათის გამალებული წიკწიკი ჩამესმოდა ზევიდან, თვალს არ ვაშორებდი ქალიშვილს და ვკდილობდი რაიმე წამეკითხა მის უტყვ სახეზე, მაგრამ ამაოდ, არაფერი არ გაუნდვია ჩემთვის. გულით მინდოდა გამეღვიძებინა ამ უცხოობაში, ჩემს სიახლოვეს, ჩემს ოთახში, ჩემი ცხოვრების ზღურბლთან ძილიდან, მაგრამ ამასთანავე ვუფრთხოდი მის გამოფხიზლებას და გონზე მოსულის პირველ შემოხედვას. ასე ვიჯექი, ხმის ამოუღებლად, შეიძლება ერთი საათი, შეიძლება ორიც, და ჩემთვის უცხო ქმნილების ძილს ვდარაჯობდი. თანდათანობით ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეს ქალი კი არ იყო, ადამიანი კი არ იყო, მე რომ ფათერაკივით გადამყროდა და აქ იწვა, არამედ თვით ღამე — მწუხრეული, გატანჯული ბუნების ბეჭედახსნილი საიდუმლო. ასე მეგონა, თითქოს აქ, ჩემს წინაშე, მთელი დასიცხული სამყარო იყო განრთხმული, რომელსაც პაპანაქებისაგან შვებით სული მოეთქვა, თითქოს დედამიწა ამბოხებულიყო მტანჯველი დათრგუნვის წინააღმდეგ და ქალიშვილი ამ საკვირველი, ფანტასტიკური ღამის მაცნედ წარმოეგზავნოს.

ჩვენს უკან რაღაცამ დაიჯახუნა. მე ისე შევკრთი, თითქოს ჩემთვის დანაშაულზე წაესწროთ. ფანჯარამ ისევ დაიჯახუნა. გეგონებოდათ, ვიღაცამ ვეება მუშტი შემოჰკრაო. წამოვხტი. ფანჯრის წინ ერთი ამბავი იყო: ღამეს ნირი ეცვალა. ახლებურად, სახიფათოდ მოღუშულიყო, შავად ციალებდა; ტაროსი ბობოქრობდა, ისმოდა ზუზუნი. შემაშფოთებელი შრიალი და აი ერთბაშად რაღაც აღმართის ზეკისკენ შავი გოდოლივით. შემდეგ ჩემსკენ გამოქანდა ლამის წიაღიდან. ცივად და ნოტიოდ მომეხალა: ეს ქარი იყო. უკუნეთიდან გამოვარდა გაშმაგებული, ძალუმად სცემდა მუშტს ფანჯრებს, არახუნებდა სახლს. საზარლად დააბჩინა ხახა წყვდიადმა. ღრუბლები მოექანებოდნენ გამალებით და ლეგა ყორეებად ხვავდებოდნენ ერთიმეორეზე. რაღაც დაქროდა ცასა და დედამიწას შორის ზათქითა და ზრიალით. ქარის მძლავრ მონაბერს ერთბაშად წაეხოცა პაეროსათვის ამდენი ხნის სიმხურვალე. ყველაფერი გამოცოცხლებულიყო, ხალისობდა, ბობოქრობდა. რაღაც გაფთრებით დაქანობდა კის ერთი კიდიდან მეორისაკენ, და ხეებიც, დედამიწაზე ფესვებით მაგრად ჩაჭიდებულნი, გმინავდნენ ქარიშხლის ქშინვით, მოსისინე. მოტყლაშუნე მათრახის ქვეშ. უეცრად ზეცა ელვამ გააპო და მისი თეთრი ზიგზაგი ლამის დედამიწას დაეწვდა. მას ისეთი ქუხილი მოჰყვა, თითქოს ღრუბელთა ჯარი მთლიანად დაბლა ჩამოინთქა.

ჩემს უკან ფაჩუნი გაისმა. ქალიშვილი შეიშმუშნა, ელვამ გაუკრთო ძილი თვალთაგან და გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით.

— რა იყო? — წარმოთქვა მან. — სადა ვარ?

ახლა სულ სხვანაირად ჟღერდა მისი ხმა. შიშისაგან კიდევ უთრთოდა, მაგ-

რამ ანკარა იყო, წმინდა და კამკამა, როგორც გადახალისებული ჰაერი ავდრის შემდეგ.

ელვამ ისევ სტყორცნა ნათელი ფანჯრის ჩარჩოში ლანდშაფტს: წამით თვალი მოვკარი ქარიშხალში აქეთ-იქით მოქანავე ნაძვებს, ღრუბლებს, მძვინვარე მხეცებივით რომ მიჰქროდნენ ცაზე, ცარცივით თეთრ, ჩალჩალა ღობეს და ყველაზე უფრო თეთრს — ფერმკრთალ სახეს. ქალიშვილი წამოხტა. [illegible] ისეთი სიმკვირცხლე გამოიჩინა, მანამდე რომ არ შემინიშნავს. სიბნელეში მომჩერებოდა. ვგრძნობდი მის ღამეზე უფრო შავ მზერას.

— ვინა ხართ?... სად ვიმყოფები? — წაიდუდუნა მან და შეშინებულმა ღამის პერანგის გადაღეღილი გულისპირი ხელით მოზიდა.

მისკენ გავემართე, მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ იმწამსვე უკან დაიწია.

— რა გინდათ ჩემგან? — დამიყვირა ხმამაღლა, რადგან ერთობ ახლო მივედი.

მინდოდა რამ მეთქვა, ისე მიმემართა, რომ დამშვიდებულიყო, მაგრამ ახლაღა მომაგონდა, რომ არც კი ვიცოდი, რა მეთქვა. კვლავ გაანათა ოთახი ელვამ. თითქოს ფოსფორით შეუღებიათო, ისე თვალისმომჭრელი სითეთრით გამოკრთნენ კედლები და ისიც მთლად თეთრი იდგა ჩემს წინაშე. შეშინებულს მკლავები წინ გამოეშვირა, რომ უკუვეგდე, და მისი ახლა უკვე სრულიად ფხიზელი გამოხედვა უსაზღვრო სიძულვილს გამოხატავდა. ამაოდ შევეცადე სიბნელეში, რომელიც ჭექა-ქუხილთან ერთად ისევ დაგვეტყდა თავზე, მოვხვეოდი, დამემშვიდებინა, რაღაც ამეხსნა. იგი ხელიდან დამისხლტა, ყურთამდე გამოაღო კარი, რომელიც ხელახალმა გაელვებამ გაუნათა და გარეთ გავარდა. ხოლო კარის მოჯახუნებასთან ერთად დაიქუხა კიდეც, და თანაც ისე, რომ იტყოდით, მთელი ცის თაღი ჩამოიქცაო დედამიწაზე.

მერმე შხაპუნი მოისმა. თვალშეუდგამი სიმაღლიდან ნაკადულებად დაი[illegible]თქნენ წყლის ჩქერალები და ქარამოტი მათ ავული ბაგირებივით აქანავებდა აქეთ-იქით. ზოგჯერ მას საამურ, სურნელოვან ჰაერთან ერთად ყინულივით ცივი წყლის შხეფებიც შემოჰქონდა ღია ფანჯარაში, მე კი მაინც ვიდექი მის წინ და გარეთ ვიყურებოდი, ვიდრე თმა არ დამისველდა და ტანსაცმელიც ლამის გასაწური გამიხდა. მაინც ვნეტარებდი სტიქიონის ხალასი გამოვლენის შემყურე. ასე მეგონა, ყოველ გაელვებასთან ერთად ჩემი მოთენთილობაც იფანტებოდა და მზად ვიყავი სიხარულისაგან დამეყვირა. აღტყინებამ ყველაფერი დამავიწყა. მიხაროდა, რომ კვლავ ლაღად სუნთქვა შემეძლო და ხალისიც დამიბრუნდა. ისევე ხარბად ვისრუტავდი სიგრილეს, როგორც დედამიწა, როგორც ბუნება. აფორიაქებული ისევე ვთრთოდი შვებისაგან, როგორც ხეები, შრიალით რომ ირწეოდნენ წვიმის ავული წკეპლების ქვეშ. დემონურად მშვენიერი იყო ზეცის ავხორცული ბრძოლა დედამიწასთან — გრანდიოზული საქორწინო ღამე, რომლის სიამესაც მეც განვიცდიდი. ელვით მსჭვალავდა ზეცა დედამიწას. ჭექა-ქუხილით ეხმობოდა მთოროლორეს თავზე და ამ გმინვით აკლებულ წყვდიადში ზესკნელი და ქვესკნელი ერთმანეთს ისე გაფთრებით ერწყმოდა, როგორც სქესი სქესს. ხეები სიამისაგან კვნესოდნენ. სულ უფრო და უფრო ჩაღად ელავდა და მათი ტეხილი ხაზებით მორეული სივრცეები იქსელებოდა. ზეცის მხურვალე ძარღვები ჩანდა. გადახსნილნი, ისინი ჩქერალებად იწრიტებოდნენ და გზებზე მოვარდნილ ნაკადულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთდებოდნენ. ყველაფერი დაიქცა და ერთმანეთს შეერია: ღამე და სამყარო. ჰაერის ახლებური, ჯადოსნური მონაბერი, შიგ რომ მინდვრების სურნელი და ზეცის ცეცხლოვანი ფშვინვა ერია, გრილად ჩამდიოდა ფილტვებში. სამი კვირის მანძილზე დაგროვილი სიფიცხე სტიქიონთა ამ ბრძოლაში ცხრებოდა და მეც შინაგანად შვებას ვგრძნობდი. მეჩვენებოდა, თითქოს წვიმა ფორებშიაც მატანდა, მაცოცხლებელი ქარი თითქოს ჩემს მკერდშიაც — დაქროდა, და საკუთარ თავს, საკუთარ განცდებს როგორც განცალკევებულ არსებას კი აღარ აღვიქვამდი, არამედ ამ აბობოქრებულ ბუნებაში სამყაროს განუყოფელი ნაწილი ვიყავი, შერწყმული ქარიშხალსა და წვიმასთან, ღამესა და ყოველ სულდგმულთან. ხოლო შემდეგ, როდესაც ყოველივე თანდათან დაწყნარდა, მხოლოდ ცის კიდურზე ელავდა და ისიც უწყინარად, ლურჯი არილით, ქუხილი კი უფრო მამობრივ, დამრიგებლურ ბუზღუნს წააგავდა და ქარიც მოიკანცა — წვიმის თანაბარ შხაპუნს ხელს აღარ უშლიდა, მაშინ მეც დავშოშმინდი და დაღლა ვიგრძენი. სიმებივითლა თრთოდნენ ჩემი ნერვები, თითქოს მელოდიურ, მონანავე ბგერებს გამოსცემდნენ. კიდურები მომიდუნდნენ. ოჰ, რა კარგი იყო ახლა დაძინება ბუნებასთან ერთად და მერმე მასთან ერთადვე გაღვიძება! ტანსაცმელი გავიძრე და საწოლზე დავეგდე. ლოგინს კიდევ ემჩნეოდა უცხო სხეულის სათუთი მოყვანილობა. ბუნდოვნად აღვიქვი იგი და ამან საოცარი თავგადასავალი ერთხელ კიდევ გამახსენა, მაგრამ მისი უკვე აღარა გამეგებოდა რა. გარეთ წვიმა უშენდა და უშენდა, და ჩემს აზრებს პირწმინდად რეცხავდა. ახლა უკვე სიზმარში ნანახივით მესახებოდა ყოველივე. ისევ და ისევ და ისევ ვლამოდი გამეხსენებინა, რაც მოხდა, მაგრამ წვიმა შხაპუნობდა და შხაპუნობდა, ჯადოსნური აკვანი იყო სათუთად აქლერებული ღამე და ვიძირებოდი შიგ, ვიდრე მისი ძილისპირულით არ ჩამთვლიმა კიდეც.

მეორე დილით გარდაქმნილი სამყარო ვიხილე ფანჯარასთან მისულმა. კამკამა, მკაფიო ხაზებით იყო გამოკვეთილი ცხრათვალა მზით გაბრწყინებული ლანდშაფტი, ხოლო მის ზეგარდმო ცის შორეული და ლაჟვარდოვანი გუმბათი მოელვარე სარკესავით ირეკლავდა სიმშვიდის ამ საუფლოს. ცისკიდურის სამანები გარკვევით იყო გავლებული, უსაზღვროდ მაღალი იყო ცა, რომელიც გუშინ ველ-მინდვრებამდე ჩამოეშვა მათ გასანაყოფიერებლად. ახლა ის ისევ თვალშეუდგამი და შორეული გახდა, აღარსად არ ეხებოდა სურნელოვან, წყნარად მფშვინავ, დაშოშმინებულ დედამიწას, თავის მეუღლეს. ლურჯი უფსკრული ღივლივებდა მათ შორის: გულგრილად, როგორც უცხოები, ისე უჭვრეტდნენ ერთიერთს ცა და ბუნება, აღარ მიილტვოდნენ ერთიმეორისაკენ.

სასადილო დარბაზში ჩაველი. სასტუმროს მდგმურებს უკვე მოეყარათ თავი. ისინიც გასხვანაირებულები ჩანდნენ, ისეთები აღარ იყვნენ, როგორიც პაპანაქებით გათანგულ დღეებში. ერთი ფუსფუსი და ორომტრიალი იდგა. ისმოდა მხიარული კისკისი, მელოდიური, ხალისიანი ხმები, მოთენთილობა აღარ ამძიმებდათ. მათი სულთამხუთავი პაპანაქება გამქრალიყო. მეც დავიკავე ადგილი მათ შორის და სრულიად უწყინრად, მაგრამ არცთუ ცნობისმოყვარეობის გარეშე, თვალით ძებნა დავუწყე ქალიშვილს, რომლის ხატებაც ძილში თითქმის დამვიწყებოდა. ჰოდა, მეზობელ მაგიდასთან, დედ-მამის შუა, იჯდა ის, ვისაც ვეძებდი, მხიარული, მხრებში ლაღად გამართული. გავიგონე როგორ გაიცინა, უდარდელად გადიკისკისა. ცნობისმოყვარედ შევავლე თვალი. მას არ შევუნიშნივარ, რაღაც თავშესაქცევს ყვებოდა და შიგადაშიგ ბალღი-

ვით ანცად იცინოდა. ბოლოს შემთხვევით ჩემსკენაც გამოიხედა და ჩემს მზე-
რას რომ წააწყდა, ენებლივით სიცილი პირზე შეაშრა. უფრო ყურადღებით
დამაცქერდა, ეტყობოდა, რაღაცამ უსიამოდ განაცვიფრა, წარბები აწია, შეკუ-
რად და ისე მომაჩერდა, თითქოს რაღაცას მეკითხებოდა, მერე თანდათანობით
მისმა სახემ დაძაბული, გატანჯული გამომეტყველება მიიღო, თითქოს რაღა-
ცის გახსენებას ლამობდა და ვერ ახერხებდა. მეც თვალი თვალში გავუყარე
და დაველოდე, შეჩქვიფების ან დარცხვენის ნატამალი ხომ არ გაიელვებდა
მის მზერაში, მაგრამ ქალიშვილმა მაშინვე პირი ამარიდა. მცირე ხნის შემდეგ
შესამოწმებლად ისევ გამოაპარა ჩემსკენ თვალი. ერთი წამით, ერთი ხანგრძ-
ლივი, მსახვრალი წამით ვიგრძენი, როგორ გამმსჭვალა ლითონის ზონდივით მი-
სმა მახვილმა, მედგარმა მზერამ, მაგრამ შემდეგ დამშვიდებულმა ისევ მომა-
ცილა თვალი და უდარდელ გამომეტყველებაზე, თავის ოდნავ, თითქმის სი-
ხარულის მანიშნებელ შეთამაშებაზე მივხვდი, რომ გამოფხიზლებული ვეღარ
მცნობდა, რომ ჩვენს სიახლოვეს ჯადოსნურ ღამესთან ერთად ბოლო მოეღე-
ბოდა. კვლავ შორეულნი და უცხონი ვიყავით ერთიერთისათვის, როგორც
ცა და დედამიწა. მშობლებს ემასლაათებოდა, თან დაუდევრად არხევდა კე-
ნარ, ქალწულებრივ მხრებს და გაღიმებისას მხიარულად უელავდა კბილები
თხელი ტუჩების მიღმა, რომელთაც სულ რამდენიმე საათის წინ ვეწაფებოდი
და ვნთქავდი მთელი სამყაროს სურნელებას და მხურვალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომას ვულფი

მონოლოგი მარტოსულისა

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

ეს ცხოვრება, უფრო მეტად, ვიდრე ჩემმა ნაცნობებმა, მარტოობასა და ძიებაში გავატარე. ვერაფერს გეტყვით, თუ როგორ მოხდა ან მართალი თუ რატომ არის. ასე კია, თხუთმეტი წლიდან, მცირე ხნის გამოკლებით, თავს ეულად ვგრძნობდი, რამდენადაც ეს ჩვენს დროში მოხერხდება. იმის თქმა მინდა, რომ საათები, დღეები, თვეები და წლები, სიმარტოვეში რაც გაილია, იყო უსაზღვრო და საოცარი. ამიტომ ისე აგიწერთ, იმგვარად შემოგთავაზებთ გამოცდილებას ადამიანური მიუსაფრობისა, როგორადაც შემიცვნია.

მიზეზი, რომელმაც წერისკენ მიბიძგა, ის არ არის, თითქოს სიმარტოვის ჩემეულ ცოდნას სხვათაგან განსხვავებულად ვთვლიდე. პირიქით, ჩემი ღრმა რწმენით, მარტოობა იშვიათი და უცნაური ფენომენი კი არ არის, მე და კიდევ ორიოდე კაცს რომ გვახასიათებს, ძირითადი და გარდაუვალი მოვლენაა ადამიანის არსებობისა. თუ შევამოწმებთ შემთხვევებს, საქციელსა და ყოფას სხვადასხვა ხალხისა — არა მხოლოდ დიდი პოეტების სევდასა და ექსტაზს, აგრეთვე უზარმაზარ უბედურებაა დაკნინებული სულისა, შეურაცხყოფის, მტრობის, სიძულვილის, იჭვისა და ზიზღის მრავალ მკვეთრ სიტყვაში რომ გათვალსაჩინოვდება, რომელიც ყურებში გაიზრიალებს, როდესაც ქუჩაში ბრბო ჩაგვივლის — ვიპოვით, ვფიქრობ, ყველა ერთ ტკივილს გაუსენია და მიზეზი მათი სენიაა — მარტოობაა.

მაგრამ თუ მარტოობა ჩემეული გამოცდილება სხვათაგან არ განსხვავდება, ვგონებ, სხვებისას დაძაბულობის სიმძაფრით აღემატება. ეს მაძლევს ყველაზე მეტ უფლებას მთელი დედამიწის ზურგზე ამ ჩვენს უმთავრეს სენზე ვწერო, რადგანაც მჯერა, მეტი ვიცი მის შესახებ, ვიდრე სხვას, ჩემს კბილას ეცოდინება. რასაც განვიცდი, იმასვე ვამბობ, თუმც ისიც ვიცი, რომ ეს შეიძლება ამპარტავნობად ან პატივმოყვარეობად ჩამითვალონ. მაგრამ ვიდრე ვინმე ამას მიკიჟინებდეს, ჯერ ჩაუკვირდეს, უცნაური თუ არ იქნება, ამპარტავნობა ეძიოს კაცში, ვისაც იმდენ ხანს უცხოვრია ეულად, რამდენიც მე. პატივმოყვარეობისაგან განკურნების უებარი მალამოც მარტოობაა, რადგან ჩვენ, განდეგილებად დაბადებულნი, მეტად, ვიდრე სხვები, ყოველთვის თვითდაეჭვების მსხვერპლნიც ვხდებით. მარად და მარად ჩვენს სიმარტოვეში უეცრად წარმოგვიდგებიან სირცხვილით აღვსილი გრძნობები არასრულფასოვნებისა, რათა მოგვიცვან შიშის, ურწმუნობის, სიცარიელისა და ავადმყოფობის დამთრგუნავი წყალდიდობით, შეგვირყვნან რწმენა და ჯანმრთელობა და აღზევებული მხიარულების ძირში ლექი გაშალონ. და რა პარადოქსულია, რომ, თუ ადამიანს შემოქმედებითი შრომის ზეობის შეცნობა სწადია, დიდი ხნით უნდა გაწიროს თავი მარტოობისთვის და განიცადოს ეს სიმარტოვე, რათა წაერთვას ჯანმრთელობა, თვითდაჯერება, რწმენა და სიხარული, რაც აუცილებელია შემოქმედისათვის.

ჩემსავით მარტო ცხოვრება რომ შეძლოს, ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენა ღმერთი-

სა, აღვსილი იყოს წმინდა მონასტრული სასოებითა და გიბრალტარის შეუღწევლობით. თუ ეს არ გაგაჩნია, დადგება ჟამი, როცა რაიმეს, ყველაფერს, ან სულაც არაფერს, ყველაზე გაცვეთილ შემთხვევებს, ყველაზე სასხვათაშორისო სიტყვებს, შეუძლია ერთი ხელის დაკვრით შეგხსნას აბჯარი, დაგიდუნოს მაჯა, გული მოგიწუროს, გამყინავი შიშით და თირკმელები მოცახცახე, ნაცრისფერი უძლურებით აგივსოს. ეს ხან მხოლოდ ჩრდილია მზის ქვეშ, ხანაც თაკარა, რძიანა ნათელი აგვისტოსი, ან გაშიშვლებული, მოსრიალე სიმახინჯე და ბრუკლინის ქუჩების ჭუჭყიანი თავაზიანობა, არეული, იმ რძიანა ნათელის მოგონებათა დაქანცულ მწკრივში და თვალდათვალ ჭერქ აუტანელ სიდუხჭირეში უსახელო სიცოცხლეებსა და უამრავ კალთაწადლიანს. ხან სველი ბეტონის უნაყოფო შიშია, ან გავარვარებულ ქუჩებს მოდებული მანქანა-ხოჭოების მწველი სინათლე, ან ფერფლად ქცეული დაქანცულობა მანქანათა სადგომებისა, ან ღრიალა ხმაური ტრამვაებისა თუ მიწაზე მოფუთფუთე ბრბოსი, სულ რომ ფაციფუცობენ, არსად კი არ მიიჩქარიან.

და ეს შეიძლება იყოს ფრაზა, მზერა იყოს, ჟესტი იყოს, იყოს ცივი, ამპარტავნული თავის დაკვრა, რითაც მოხდენილი, დახვეწილი ფრანტი პარკ ავენიუზე წარმოგიდგება და თითქოს გეუბნება, არარაობავ, დამოწმებაც შეიძლება იყოს, ან თავიდან მოცილება საუკეთესო საკვირაო ჟურნალის კრიტიკოსისგან, ან ქალის წერილი, რომ შემოგჩივის, დაგიღუპე, რაღა არის ჩემი ცხოვრება, სადღა შემრჩა რაიმეს უნარი, ყველა ჩემი მცდელობა ყალბია და უსარგებლო — და მაინც გადამრჩა სიმართლე, თვალთახედვა და სინამდვილე, რაც ასე ლამაზად მხოლოდ სიმარტოვეს ეკუთვნის.

ხანაც სხვაგვარად წონის ყოველივე — არ ძალმიძს რაიმეს შევეხო, დავინახო, გავიგონო თუ დავიმახსოვრო. ისეთი გაურკვეველიც შეიძლება იყოს, როგორც სულში ჩამდგარი საზიზღარი ამინდი, ფრთხილად რომ აერთიანებს შიმშილს, მრისხანებასა და უძალო ვნებას, რაც ოდესმე მიხილავს ცხოვრებაში. ან იყოს სანახევროდ მივიწყებული მოგონება ცივი ზამთრის სიწითლისა კვირის ლონემიხდილ ნაშუადღევს კემბრიჯში, და გაფითრებული, მგრძნობიარე, დახვეწილი სახე ერთ ასეთ ნაშუადღევს მიკიჟინებდა სერიოზული მსჯელობისას, რომ ჩემი ყმაწვილური სარწმუნოება იყო მხოლოდ ბრმა და მთელი ჩემი ცხოვრებაც ამაოებაა, და თან სიწითლე და ილაჯწართმეული ნათელი მარტისა, ამ გაფითრებულ სახეში რომ ირეკლებოდა უკაცური უძლურებით, მინელებდა ჭაბუკური სისხლის სიშმაგეს.

ამ ნათელის, ამინდის, ცივი, ამპარტავნული სიტყვების, დახვეწილი, ცინიკური, თვითდაჯერებული ხალხის მოგონებანი სანთელივით მიქრობენ სიხარულსა და ამღერებულ დღეს, იმედებს სამუდამოდ დაკარგულად ვთვლი და ყველა ჭეშმარიტებას, რისთვისაც ოდესმე მიმიგნია და შემიცვნია — ყალბად. მარტოსული ასეთ დროს შეიგრძნობს, რომ უღალატია ყველა მის უმთავრეს გრძნობას და ნამდვილი არც რა ყოფილა დედამიწაზე, გარდა ქმნილებათა სიკვდილისა სიცოცხლეში — იმ ცივი, მოწყურული გულისა და უნაყოფო საშოთა, რომელიც მარად არსებობს მარტის წითელ, ლონემიხდილ სინათლეში კვირადღის ნაშუადღევს.

ყველა ეს საზიზღარი იჭვი, იმედგაცრუება და მრუმე დაბნეულობა სულისა უნდა შეიცნოს მარტოსულმა, რადგან შერწყმულია იმ ხატთან, რომელსაც საკუთრად ქმნის, დაყრდნობია მხოლოდ იმ ცოდნას, თვითვე რომ დაუგროვებია თვალისა და გონების ხედვით. მას მხარს არავინ უჭერს, არც აიმედებს, არც ეხმარება, ვერანაირი სარწმუნოებაც ვერაფერს გაუიოლებს, არაფრისა სწამს თავისი თავის გარდა. მაგრამ ხშირად სტოვებს ეს რწმენაც და რჩება მერყევი და დაუძლურებული. შემდეგ ეჩვენება, რომ მისი ცხოვრება არარაობად ქცეულა, გაცამტვერებულა, განქარებულა და შექმნილა მიუტევებელი, და ის დილა — ნათელი, ბრწყინვალე დილა, ახლადშობილი — კვლავ აღარასოდეს შემოიქცევა მიწაზე, როგორც პირველად.

იცის, რომ ჩაჟამებული დრო მასზე მდინარესავით მოედინება, უზარმაზარი, სიმარტოვის ბნელი კედელიც გარს შემორტყმია, ისე დასწოლია და ისე ზღუდავს, ვერასდიდებით ვერ გაიქცევა. და მეხსიერების ეს საბედისწერო ნაყოფი, მის შიგანში რომ გამოკვებილა, იწვევს ასობით მივიწყებულ სახეს და ათი ათასობით გამქრალ დღეს, სანამ მთელ ცხოვრებას სიზმარივით უცხოდ და არარსებულად არ მიიჩნევს. დრო მდინარესავით გადაუვლის, ის კი შეყუჟულა პატარა ოთახში, როგორც ცოდვის ჯადოთი ტყვექმნილი არსება. და შორიდან მოესმის გუგუნი უკიდეგანო დედამიწისა და გრძნობს, რომ

დავიწყებია, როგორ გაჰყოლია მისი ძალები მდინარის დენას და მისი ცხოვრებაც გაარაფრებულა. გრძნობს, რომ ღონე ეკარგება, ძლიერება ეშრიტება, სანამ ზის გაბრუებული თავის რა ვქნისა ციხეში.

მერე უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს, რატომ, თვითონაც რომ ვერ გაიგებს, წყლის მოქცევასავით უკანვე დაუბრუნდება საოება და რწმენა ცხოვრებისა, [illegible] მოზეიმე და უძლეველი ძალით, ქვეყნიერების უზარმაზარი კედელი გადაიხსნება და ყველაფერი, თავისი ფორმით აღდგება, ის კი, შინაგანად საოცრად მთლიანი და დამშვიდებული, კვლავ შემოქმედებით ჟინდილში ჩაეფლობა. ძველი ძალები ისევ მისია: რაც იცის — იცის, რაც არის — არის, ჰპოვა რაც ჰპოვა, და იტყვის სიმართლეს, მას როგორც სჯერა, იტყვის, მთელმა ქვეყანამაც რომ უარყოს, მილიონობით ადამიანიც რომ გადაელობოს და უკივინონ, სტყუიალბეაო, მაინც იტყვის.

ამიტომ, გამარჯვებული რწმენის ამ გრძნობით, მე რომ მაქვს, გავკადნიერდები განვაცხადო, რომ მარტოობას არავიზე ნაკლებ არ ვიცნობ და ისე დავწერ მასზე, როგორც ძმაზე. მართლაც ასეა. ისე დავხატო, ისე ერთგულად, რომ ვერცერთი კაცი, ვინც წაიკითხავს, სიმარტოვის ჩემეულ ხატში რომ არ შეეჭვდეს, როცა მარტოობისთვის გაიწირება.

ყველაზე ტრაგიკული, ამაღლებული და მშვენიერი გამოხატულება ადამიანური სიმარტოვისა, რაც ოდესმე წამიკითხავს, არის წიგნი იობისა; ყველაზე უდიდესი და ფილოსოფიური კი — ეკლეზიასტე. აქ მინდა გამოვყო ის ყველაფრისაგან რომ განსხვავდებოდა, რაც ჩემს პატარა ბიჭობაში გამიგონია მარტოობაზე. როცა პირველად ვიგრძენი სიმარტოვე და ვიხილე ცხოვრების ტრაგიკული, დაფარული მხარე, განვცვიფრდი და უნდობლად განვეწყე, დავეჭვდი იმ ყოვლისმომცველ რეალობაში, რამაც ცხადი გახადა ეს ჩემთვის. მაგრამ ის იდგა მარტოკლდესავით, რომ ვერ შევარყევე და ვერც უარვყოფ. წლები რომ გავიდა, ამ აღმოჩენის სიმართლე ცხოვრების ღერძად მექცა.

აშკარაა: მარტოსული, რომელიც იმავდროულად ტრაგიკულიცაა, ის კაცია, სიცოცხლეს რომ ეტრფის — და რომელიც, თუ ამგვარად გამოითქმის, სიხარულითაა აღვსილი. ეს განმარტება უცნაური არ უნდა იყოს, ერთი ყოფა მეორეს განსაზღვრავს და საჭიროდ ხდის. ადამიანური ტრაგედიის არსი მარტოობაში უნდა ვეძიოთ და არა კონფლიქტში, რაც არ უნდა საფუძვლიანი საბუთები ჰქონდეს თეატრს, და დიდი ტრაგიკოსი მწერალი (მე ვამბობ „ტრაგიკოს მწერალს" განსხვავებით „ტრაგედიების მწერლისაგან", რადგან თვით ისეთ ერებსაც, რომაელები და ფრანგები რომ არიან, არა ჰყავთ დიდი ტრაგიკოსი მწერალი, ვერგილიუსი და რასინი ტრაგიკოსები არ ყოფილან, ისინი დიდი მწერლები იყვნენ ტრაგედიისა), როგორც დიდი ტრაგიკოსი მწერლები — იობი, სოფოკლე, დანტე, მილტონი, სვიფტი, დოსტოევსკი — ყოველთვის მარტოსულია. ამგვარად, ტრაგიკოსი სიცოცხლის ტრფიალია და აქვს ულრმესი გრძნობა სიხარულისა. კაცობრიობის ჭეშმარიტი ბედნიერება ამ დიდ ტრაგიკოსთა შრომებში უნდა ვეძიოთ, თორემ სხვაგან ვერსად. ვერანაირ გადმოცემებში ვერ წავაწყდებით. ამის ნათელსაყოფად ერთ შემთხვევას გავიხსენებ:

ჩემს პატარა ბიჭობაში ყოველი ადგილი იობის წიგნისა გონებაში აღმიძრავდა ბნელ, ნაცრისფერ, ერთიანად სევდისმომგვრელ ასოციაციებს. ჩვენთაგან უმეტესს, ვფიქრობ, ასე ემართება. ცნობილი ფრაზები „ცუდი ნუგეშინისმცემელი", „იობის მოთმინება", „იობის უბედურება" ჩვენი ჩვეულებრივი საუბრის ნაწილი გახდა და იმათზე ვამბობთ, ვისი გაჭირვებაც ამოურწყავი და გაუთავებელია, ვინც ცდიხანს და უდრტვინველად იტანჯება და ვის უკუნშიც არასოდეს შეჭრილა სხივად ბედნიერება და სიხარული. ყველა ეს ასოციაცია გაერთიანდა და შემექმნა სურათი იობის წიგნისა, რომელიც მკაცრი, სევდიანი და მარადი იყო თავისი უბედურებით. როცა პირველად წავიკითხე, ბალღი ვიყავი და მეჩვენებოდა, რომ ეს გადმოცემა იობის უბედურებისა შემაუბუქებული იყო სევდიანი, რაღაც არასასურველი იუმორით, რაც ავტორს კი არ უფიქრია. მე თვითონ შემქონდა ჩემი მოსაზრებით, რადგან ჩემი ბალღური გრძნობა ურთიერთმიმართებისა და სამართლიანობისა იმ მიზნას იყო მიღწეული იობის საშინელ უბედურებათა ნიაღვრების მოქცევით, რომ ვიცინოდი პროტესტის ნიშნად. მაგრამ ყოველი მკითხველი, ინტელექტი და გამოცდილება რომ აქვს და ეს დიდებული წიგნი მოწიფულობისას წაუკითხავს, მიხვდება, რომ ასეთი

წარმოდგენა მცდარია, რადგან წიგნი იობისა არა სევდიანი, ნაცრისფერი და მრუმეა, არამედ ერთიანად ნაქსოვი, ვიდრე სხვა რომელიმე თხზულება, რასაც კი ვიხსენებ გრძნობით სავსე, კაშკაშა, დიდებულად აღსაქმელ საგანძურიდან უკვდავი პოეზიისა; ის გულით ატარებს მშვენიერ ჰანგს მარადი მწუხარებისა, აღმაფრთოვანებელ სიმღერას და მარადი სიხარულისა.

ეს სიმართლეა, აქ უცხო და უცნაური არაფერია, რადგან ტრაგიკოსმა იცის, რომ სიხარული მწუხარებას ეფუძნება, ტკივილით აღმაფრენა ისეთი უეცარი, როგორიც დანის დარტყმის აუტანელი სურვილი და ველური, მკვეთრი ზეიმი ფლობისა, რომელსაც რომ შეიჭრება ადამიანის უდიდესი გამარჯვების წუთებში დაკარგვისა და სიკვდილის გამაფრთხილებელი გრძნობით. ამგვარად ნანახი და ნაგრძნობი, საუკეთესო და ყველაზე უარესი, რაც ადამიანის გულში დატეულა. განსხვავებული ასპექტია ერთი და იმავესი და ორივ ერთად ცხოვრების ტრაგიზმს ჩაქსოვია.

ესაა გრძნობა სიკვდილისა და მოუსაფრობის, მისი დღეების სიმოკლის ცოდნა და წუხილის უშველებელი ტვირთი, სულ რომ იზრდება და არასდროს კლებულობს. ეს ხდის სიხარულს ბრწყინვალეს, ტრაგიკულსა და ზღაპრულად მდიდრულს იობისთანა კაცისთვის. სილამაზე მოვალს და სილამაზე წარვალს, დაკარგულია წამი, როცა შევეხეთ და ვერც ხელს ჩავავლებთ და ჩვენთანაც ვერ დავიტოვებთ. აბა, ვის შეძლებია მდინარის შეჩერება. ამ დაკარგვის ტკივილიდან, ხანმოკლე ფლობის მწველი ექსტაზიდან, ერთი წამის საბედისწერო ზეიმიდან ტრაგიკოსი ქმნის სიმღერას ბედნიერებისათვის, რასაც, ბოლოს და ბოლოს, სამარადისოდ შეინახავს. მისი სიმღერა მწუხარებითაა აღვსილი, რადგან იცის, რომ ბედნიერება წარმავალია, გარდასულა დრო, როცა მას ეფლობდით და ამიტომაცაა ასე ძვირფასი, დიდებას სწორედ ის ანიჭებს, რაც მას სრისავს და არღვევს.

იცის, რომ სიხარულს კვებავს მწუხარება, მწვავე დარდი და სიმარტოვე, და რომ ის მუდამ ჩნდება სიკვდილის გარდუვალობასთან ერთად, მრუმე სიკვდილისა, რომელიც გვიდუნებს ენას, თვალებს, გვინყვიტავს სუნთქვას მტვრისა და არარაობის ორმაგი დავიწყებით — ამიტომ იობივით კაცი ქმნის ჰანგს მწუხარებისა. მაგრამ ეს სიხარულის ჰანგიც იქნება, უფრო უცნაური და მშვენიერი, რაც ოდესმე ვინმეს უმღერია:

ანუ შენ დაუდევ ცხენსა ძალი, ხოლო შემოსენ თუ ქედსა ზედა მისი შიშითა,

ხოლო შეასხენ თუ მას ყოველნი საჭურველნი, ხოლო დიდება მკერდსა მისსა კადნიერებით.

ფრჩხითა აღმოსთხარა ველსა ზედა როკავს, და განვალს ველსა ზედა ძლიერებითა.

შემთხვეულსა იპრისა ეცინის, და არა უკუნ იქცევის რკინისაგან.

მათ ზედა იმღერის მშვილდი და მახვილი.

და რისხვით მოსპობს ქვეყანასა, და არა აქვს სარწმუნოება ვიდრემდის დასცეს საყვირსა.

ხოლო დამცემელი საყვირისა იტყვის, კეთილ, ხოლო შორით იყნოსებს ბრძოლათა, ხლდომითა და ხვიხვინითა.

ესაა ბედნიერება — ბედნიერება საზეიმო და სადღესასწაულო; მკაცრი, მარტოსული, სამუდამო სიხარული, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ფილრმე და მორჩილება ადამიანის განცვიფრებისა, მისი გრძნობა დიდებისა და შეგრძნება ღმრთისადმი შიშისა სამყაროს საიდუმლოს წინაშე. ეგზალტირებული ძახილი ამოსცდება ჩვენს ბაგეებს, როცა ვკითხულობთ ვარსკვლავებს იმ დიდებულ ცხენზე და სიხარული, რომელსაც განვიცდით, არის ველური და უცნაური, სიკვდილივით მარტოსული და უკუნი და უფრო გრანდიოზული, ვიდრე მომხიბლავი და საამო სიხარული, როგორც ჰერიკისა და თეოკრიტეს მსგავსთ ალუწერიათ, თუმცა ისინი დიდ პოეტებად მიიჩნეოდნენ.

როგორც წიგნი იობისა და ეკლესიასტეს სწავლანი, თითოეული თავისებურად, არიან აღმატებული გადმოცემანი ადამიანის სიმარტოვისა, ასევე ძველი აღთქმის ყველა წიგნი, თავისი სრულყოფილებით, ამზადებს ყველაზე ბოლო, უღრმეს ლიტერატურას ადამიანური მარტოობისა. რაც სამყაროში უწყის, სალოცავია, სულისა და რწმენის თუ რა ერთიანი კავშირითაა გადმოცემული მარტოობა ამ მრავალ წიგნში — თუ როგორ შეერწყმის უამრავი კაცის სიმღერა, ჰანგი, წინასწარმეტყველება, ქრონიკა, ყველა ასე სხვა-

დასხვა, ყველა ასე თვითმყოფადი; ყველა ახალ ხატს აღმოაჩენს ადამიანის საიდუმლოსი და ყველაზე მიუსაფარი გულისა. და ყველა გაერთიანებულა, რათა შექმნას მარტოობის ხატი, რაც შეუდარებელია სიდიადითა და ბრწყინვალებით.

ამგვარად, ძველი აღთქმის მრავალ წიგნში — იობისა, ეკლესიასტესი, სოლომონის გალობათა, ფსალმუნთა, იგავთა და ისაიასი; სიტყვებში ღმრთის დიდებისა და სიტყვებში გოდებისა, გამარჯვების სიმღერებში, წუხილის, მონობისა და იმედდაკარგულობის ჰანგებში; ამპარტავნობის, მედიდურობისა და სიამაყის თავდაჯერებულობაში, და მორჩილებისა და შიშის უდრტვინველ აღსარებაში; გაფრთხილებასა, აღთქმასა და წინასწარმეტყველებაში, სიყვარულსა, სიძულვილსა, სევდასა, სიკვდილსა, დაკარგვასა და შურისგებაში, უცხო, აბლერებულ ზღიმსა და მწველ სინათლეში — მარტოსული ამაღლებულ, ვეებერთელა ქოროში გამოაღწევინებს ცხოვრების უკანასკნელ ოცნებას.

ყოვლისმომცველი, ყოვლისშემწირველი ჩანაფიქრი, ძველი აღთქმის წიგნებში რომაა, უფრო განგვაცვიფრებს, როცა ახალი აღთქმის კითხვას შევუდგებით, რადგან ძველი აღთქმა მარტოსული სიცოცხლის ქრონიკა თუა, ოთხივე ახალი აღთქმისა, ჯადოსნური და დაუნაწევრებელი ერთიანობით, სიყვარულის ეროვნიკაა. რას ამბობს იესო, ამბობს ათასჯერ და ათასჯერვე სხვადასხვაგვარად, მაგრამ ერთი რწმენით, „მე ვარ ძე ღმრთისა და თქვენ ხართ ძმანი ჩემნი", და ეს რწმენაა, ყველას ერთმანეთთან რომ გვაკავშირებს, დედამიწას ოჯახად აქცევს და ყოველ ადამიანს ძმებად და ღვთისშვილებად, — სიყვარულია.

ამიტომ მთავარი მიზანი იესოს მოღვაწეობისა არის დანგრევა მარტოსული ცხოვრებისა და სიყვარულის დამკვიდრება დედამიწაზე. ამ საქმეს შეწევნა რომ სჭირდება, ყველასთვისაა ნათელი და ყველასთვისვეა ნათელი და გასაგები იესოს სიტყვები:

ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი.

ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაი.

ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ.

ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ.

ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

იესო აქ ხოტბას კი არ ასხამს მორჩილებას, წუხილს, სიმშვიდეს, სიმართლეს, მოწყალებასა და სიწრფელეს, როგორც ადამიანთა ნიშანდობლივ ღირსებებს, არამედ ამ ღირსებებით შემკულთ აღუთქვამს უდიდეს ჯილდოს, რაც კაცთაგანს ოდესმე ღირსებია.

და ეს ჯილდო რა უნდა იყოს? ესაა ჯილდო, რომელიც აღუთქვამს ადამიანებს არა მხოლოდ დედამიწას, არამედ სასუფეველს ცათასა. ადამიანებს ეუწყება, რომ არ იცხოვრონ და არ აღესრულონ სიმარტოვეში, რადგან მათ ვაებას ანუგეშებს, ლოცვება შეიამებს, შიმშილსა და წყურვილს მოუკლავს, და სიყვარული დაუფასებს, ამას გარდა, სიყვარული სამუდამოდ დააქცევს მარტოობის კედლებს, თუნდაც ამქვეყნიურმა ცოდვებმა და სიცრუემ მისი შელანძღვაც სცადოს, და თუ ყველაფერს მშვიდად და სიყვარულით გადაიტანენ, ფეხს შედგამენ ძმობაში სიხარულისა, ძმობაში სიყვარულისა, რაც არც ერთ კაცთაგანს მანამდე არ უხილავს დედამიწაზე.

ამგვარი გახლდათ საბოლოო მიზანი იესოს მოღვაწეობისა, მიზანი მისი ქადაგებებისა, მისი ჭეშმარიტი არსით, იყო სამუდამო დასამარება მარტოობისა სიყვარულით. ან ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, რაც მის ცხოვრებაში ამოვიკითხე, რადგან ჩვენს დროში, როცა ამდენი მეცხოვრია უცულად და ასე კარგად შემიცვნია, არაერთხელ დავბრუნებივარ და წამიკითხავს ამბავი ამ კაცის ნათევამისა და ცხოვრებისა, რათა მეპოვა, თუკი შევიძლებდი, მათში რაიმე აზრი ჩემთვის, გზა სიცოცხლისა, ჩემსას რომ დაემეგობრებოდა. წავიკითხე, რაც უთქვამს არა ღვთისმოსაობის ან სიწმინდის აზრით, არა ცოდვის შეგრძნებით, აღსარების წადილით. ან თუნდაც მისი აღთქმა ზეციურ ჯილდოსი ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, არამედ ვცდილობდი, რომ მისი შიშველი სიტყვები აღმექვა იმავე შიშვლად და მარტივად, როგორც მგონია, მას სინამდვილე ეთქვა, და როგორც წამიკითხავს სიტყვებში სხვათა და სხვათა — ჰომეროსისა, დონისა, უიტმენისა, და ეკლესიასტეს ავტორისა — და თუ მნიშვნელობა, ამ სიტყვებს რომ ვანიჭებ, სულელური ჩანდეს, ახირებული, ბავშვურად მარტივი ან გაცვეთილი, ჩემი ეს აზრი არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა ათობით მილიონი ადამიანის ნაფიქრისაგან, მე მხოლოდ ისე

შევაჯამე, როგორც ვიხილე, ვიგრძენი, ვპოვე და შევეცადე დამემატებინა, ამომეცნო, მაგრამ შეცვლით არ შემეცვალა.

ახლა ვიცი, რომ გზა და მნიშვნელობა იესოს მოღვაწეობისა შორსაა და მერე რა შორს ჩემი აზრისგან. ვერასოდეს გავიხდი ჩემად; და ვფიქრობ, იგივე უნდა სჭირდეს ყველა მარტოსულს, ვინც მინახავს, ან რაიმე მსმენია — უსახელო, უხმო, უსახო ატომები ამა ქვეყნისა, როგორც იობი და ყველა, და სვიფტი და თვით იესო, სიყვარულის მარადჟამობას რომ ქადაგებდა, იყო მარტოსული, როგორც არავინ, ვისაც როდესმე ეცხოვრია. და მაინც არ შემიძლია შეცდარად ჩავთვალო, როცა ძმობასა და სიყვარულის მარადიულობას ქადაგებდა და სიმარტოვეში აღესრულა; ვერც თავს ვიდებ დავასაბუთო, რომ მისი გზა სწორი არ იყო, რადგან ბილიონმა კაცმა, აღიარა ეს გზა, თუმცა კი არ გაჰყვა.

მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მის გზას ჩემად ვერ გავიხდი, რადგანაც ვპოვე: მყარი, სამუდამო ყოფა ადამიანის ცხოვრებისა, არა სიყვარული ,არამედ მარტოობა. თვით სიყვარული ჩვენი ცხოვრებისათვის მუდმივი არ არის, ეს იშვიათი და ძვირფასი ყვავილია, სიცოცხლის მომცემი, შიგნიდან რომ გამოარღვევს ჩვენს უკუნ სიმარტოვეს და კაცთა ძმობად, სიცოცხლის მეგობრობად და დედამიწის ოჯახად აღგვადგენს. თუმცა ხან ის ყვავილია, სიკვდილი რომ მოაქვს, ტკივილი და უკუნეთი, და მაშინვე შერყვნა სულისა და შეშლილობა.

როგორ, ან რატომ, ან რა გზით მოაღწევს ეს ყვავილი ჩვენთან, სიცოცხლით თუ სიკვდილით, ძლევითა თუ მარცხით, სიხარულით თუ შეშლილობით, ამქვეყნად ამას ვერავინ განჭვრეტს. მაგრამ ვიცი, რომ ბოლოს ჩვენ ყველას — უსახლკაროთ, კერადაუსილთ, კერადაქცეულ მანანწალებს სიცოცხლისა, მარტოსულთ, — მარად და მარად გველოდება მრუმე სახე ჩვენ მეგობარ სიმარტოვისა.

მაგრამ ჰქრებიან ძველი უარყოფანი და რჩებიან ძველი აღსარებანი, — და ჩვენ, მკვდრები რომ ვიყავით, აღვსდექით, ვინც დაკარგულნი ვიყავით, ვპოვეთ თავი, ვისაც გაყიდული გვქონდა ნიჭი, ძალი და ყმაწვილური სარწმუნოება და სანაცვლოდ სიკვდილი მოვიმკეთ, სანამ გული გაგვერყვნებოდა, განგვიქარდებოდა ნიჭი და იმედი გადაგვეწურებოდა, დავიბრუნეთ სისხლსავსე სიცოცხლე, სიმარტოვესა და უკუნეთში. და ვიცით, საგნები იგივედ დარჩება, როგორც ყოფილა, და კვლავ ვხედავთ, როგორც ერთ დროს, მანათობელი ქალაქის სახეს. შორს განვდილ და მოკამკამე წმინდა ნათლის ხვეულებში ნათობს მარად და თვალს ვერ ვაცილებთ, როცა გადავდივართ ხიდზე და ძლიერი დინებანი გარს მოგვჯარვიან, უზარმაზარი გემები გვიხმობენ. და გადავდივართ ხიდზე, ყოველთვის შენთან ერთად, ერთგულო მეგობარო, ვისაც გვაპურებდი და ვისაც არასოდეს გიღალატია ჩვენთვის. ისმინე:

„მარტოობა მარად და დედამიწა კვლავ! უსინათლო ძმავ და გულითადო მეგობარო, უკვდავო ხატო სიბნელისა და ღამისა, ვისთან ერთადაც გამიტარებია ცხოვრების ნახევარი და ვისაც შემიძლია სიკვდილამდე ერთგულად ველოდო — რისი უნდა მეშინოდეს, სანამ ჩემთან ხარ? გმირო მეგობარო, სისხლისმიერო ძმაო ჩემი სიცოცხლისა, ბნელსახევ, განა ერთად არ დავლახეთ მილიონობით ბილიკი, განა ერთად არ მოვიკვლიეთ გზას ღამის უზარმაზარ და გაცოფებულ ქუჩებში, განა ერთად, მხოლოდ ჩვენ ორნა, არ გადავსერეთ აბობოქრებული ზღვა და მოვიხილეთ უცხო ნაპირები, და კვლავ დავბრუნდით, რომ სიბნელეში გვეპოვნა და მიწის სიჩუმისათვის მიგვეგდო ყური? განა მამაცნი და ძლევამოსილნი არ ვიყავით ერთად, მეგობარო? განა ამქვეყნად არ განგვეცადია გამარჯვება, დიდება და სიხარული — და განა ეს ყოველივე არ დაბრუნდება, როგორც კი შენ დამიბრუნდები? მოვედ, ძმაო, ღამის მოლოდინში მო, საიდუმლო და ბედუმარი სიბნელის წიაღით. მოვედ ისე, მანამდე რომ მოდიოდი, კვლავ და კვლავ მოგქონდა ჩემთან ძველი უძლეველობა, ჩაუმქრალი იმედი, სიხარული და რწმენა, რომ კვლავ შევებათ დედამიწას".

□

ედუარდ ესველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორიოდე სიტყვა ტომას ვულფზე

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

მონოლოგი მარტოსულისა" რამდენიმე ვარიანტად არსებობდა. ამათგან პირველი დაახლოებით 1930 წელს დაიწერა და სათაურად ჰქონდა „მარტოობა ოცდაათი წლის ასაკში". მოგვიანებით ეს სათაური შეიცვალა. უეჭველია, ტომი მიხვდა, რომ მარტოობა მხოლოდ ახალგაზრდობის ხვედრი არაა. ამ ესეის მისი კარიერისა თუ მწერლობის ვერცერთ ხანას ვერ მივაკუთვნებთ. მთელ მის ცხოვრებას უფრო ეხება. პირველ პირშია დაწერილი და მართლა ავტობიოგრაფიულია. ეს ძალზე მომხიბლავი და ტრაგიკული ესეია და ,ვფიქრობ, ასაბუთებს, თუ მის წიგნებს კიდევ რაიმე დასაბუთება სჭირდება, რომ ტომი ღრმად მორწმუნე იყო, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. არავის, ვინც ახლოს იცნობდა, ეჭვი არ შეეპარვია მის ღრმა მარტოსულობაში, მაგრამ, საბოლოოდ ეს ბრძნული და გაუზიარებელი, მისი სიცოცხლის აუცილებლობად ქცეული მარტოობა იყო.

ეს თვისებები აშკარად შეემჩნეოდა ცხოვრების ბოლო ჟამს, სიკვდილის წინ. უკანასკნელ წელს ძალზე ბევრს მუშაობდა, მეტს, ვიდრე მანამ უმუშავია, მეტი უჟიათობით, ვიდრე ვინმეს ოდესმე ეშრომოს. ვფიქრობ, შრომაღა ეგულებოდა მარტოობისაგან თავშესაფარად. გარეთ იშვიათად გამოდიოდა და ხალხსაც იშვიათად ხვდებოდა. ვეჭვობ, ექვსიოდე კაცი თუ მოიძებნება, ვინც ზედიზედ უნახავს ამ ნაყოფიერ წელიწადს. ჩვენ ერთად ვმუშაობდით და კვირაში ერთი-ორჯერ თუ შევხვდებოდი. რეგულარულად ხვდებოდა თავის აგენტს მისის ელიზაბეთ ნოუელს, რაიმე საქმეზე ან, ალბათ, იმიტომ, რომ ძველი მეგობრები იყვნენ. ამას გარდა, ჰა და ჰა, სამ-ოთხ კაცს კიდევ — მეტს არა. მხოლოდ შემთხვევით თუ გადაეყრებოდა ვინმე. ტომს საქმე ჰქონდა, დრო კი გარბოდა

დრო მტრობდა თუ უძმობილდებოდა, დარწმუნებით ვერავინ იტყვის[1].

ცილაობით თერთმეტ საათზე დგებოდა, ჩაიცმევდა, ისაუზმებდა და წერდა და წერდა შუადღემდე, სანამ მდივანი მოუვიდოდა, მერეც, განუწყვეტლივ, რვა, ცხრა, ათ საათს მუშაობდა. მდივანი თავის საქმეს მოათავებდა და მიდიოდა, ტომი კი აგრძელებდა. მოსალაბოვებულზე, ცხრა ან ათ საათზე თუ მიხვდებოდა, რომ საუზმის აქეთია არაფერი ეჭამა და შიოდა, შინიდან გადიოდა. ოცდამესამე ქუჩაზე ყავახანას მიადგებოდა და ორ ბსუყე ბიფშტექსს შეუკვეთდა. იქ თავისი მაგიდა ჰქონდა კუთხეში, იჯდა ზურგით კედელს მიყრდნობილი და სტუმრებსაა და ოფიციანტებს ათვალიერებდა. შემდეგ გაისეირნებდა ან ჩელსიში ბრუნდებოდა, ბართან ჩერდებოდა. მებუფეტეს გაესაუბრებოდა და თან ცოტა ლუდსაც დალევდა, ან ერთ-ერთ სავარძელში ჩამჯდარი, აკორდეონის დამკვრელ გოგონას უსმენდა, დაუძახებდა ხოლმე და თავის საყვარელ სიმღერებს უკვეთავდა — ზოგიერთ პოპულარულ სიმღერას 1912 წლის რეპერტუარიდან, მერე დღეფაზნს გაუყვებოდა, გაესაუბრებოდა სასტუმროს რომელიმე თანამშრომელს, მელიფტე ბიჭებს ან მაც-

[1] „შინ ველარ დაბრუნდები" — ტომას ვულფის უკანასკნელი რომანი. გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1940 წელს.

ხოვრებლებს. ნომერში დაბრუნებული ცოტას კიდევ ნაიმუშავებდა, დილის სამ ან ოთხ საათზე წვებოდა, ეძინა შვიდ თუ რვა საათს და დგებოდა, რათა ყოველივე თავიდან დაეწყო.

ასე ცხოვრობდა იმ წელიწადს. ჩაფლული იყო საქმეში და ხელის შეშლის უფლებას არავის აძლევდა. ხანდახან დავიყოლიებდი, სოფლად მწვეოდა და ხალხს ვაცნობდი. თითქოს კმაყოფილი იყო ამ ცვლილებით, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ მოუთმენლად ელოდა, რათა კვლავ ქალაქსა და საქმეს მიბრუნებოდა. ასეთ დროს, შემთხვევით, მის განდეგილურ იერს ვამჩნევდი, მაშინაც კი, როცა მხიარულობდა. მისი გონების ერთი ნაწილს ისევ საქმე ჰქონდა, და ყოველთვის, შრომობდა თუ ისვენებდა, ეულად იდგა თუ დონდგროში, მისი სხეულიდან გამოსჭვიოდა ღრმა და სამუდამო გრძნობა სიმარტოვისა. საოცარია, რა თვალნათლივ ჩანდა, მაშინაც, როცა ხალხი ეხვია და გაცხოველებულ მუსაიფში იყო ჩაბმული. ასეთ თვისებას სოფლელებს თუ შეამჩნევ ხანდახან. ტომი მარტოსული იყო, მაგრამ რაღაცაც ჰქონდა — რაღაც მუდმივი მზადყოფნა, თავი უშურველად რომ შემოეთავაზებინა. გულუბრყვილობამდე გულწრფელ საუბრისას სურდა ერწმუნა, რომ სხვებიც მასავით გულწრფელები იყვნენ; იოლად შეეძლო უცნობთან გაშინაურება. აბა, როგორ გითხრათ, ეს რა იყო. მაგრამ მაინც მჯერა, რომ მარტოობა ჰქონდა ბალავრად. მარტოსული იყო და იცოდა, სხვებიც მარტოსულები რომ იყვნენ, ამიტომ ეწადა მათთან დაახლოება და დარწმუნება, თითქოს ეუბნებოდა: „მესმის თქვენი. ჩვენ ორივეს ერთი ჭირი გვჭირს".

ჭაბუკობისას ისეთი ხანა დაუდგა, როცა უამრავ მიზეზთა გამო სამეგობროდ არა ვარგოდა. გოლიათის ტანადობა ჰქონდა და ამიტომ თავს გამორჩეულად თვლიდა, სხვათაგან განსხვავებულად, და ეჩვენებოდა, ხალხი დამცინისო. ჩიოდა, ხიფათი ზურგს უკან ჩამსაფრებია და სულ გასაჭირში მაგდებსო. მაგრამ გამოაღწია, შეინარჩუნა თავი თვისი, სხეული და საკუთარი სამყარო. ამით შეიცნო, რომ არ ყოფილა გამორჩეული, არც განცალკევებით მდგომი და არც სხვაზე უკეთესი. ბოლოს მიხვდა, რომ ისეთი არაფერი განუცდია, რაც სხვებს არ განეცადათ. „ჩემი ღრმა რწმენით, — წერს ესეიში, — მარტოობა იშვიათი და უცნაური ფენომენი კი არ არის, მე და კიდევ ორიოდე კაცს რომ გვახასიათებდეს, ძირითადი და გარდაუვალი მოვლენაა ადამიანის არსებობისა".

რწმენამ, რომელიც გამოცდილების ღრმა შრეებიდან მოვიდა, მჯერა, ბევრი შესძლო, უდიდესი ცვლილება რომ მოახდინა მასში. როგორც კაცი, ეჭვიან, ცივ და უნდო პიროვნებიდან კეთილ, გულღია, მეგობრულ და გამგებ ადამიანად გარდაქმნა. როგორც მხატვარი, მისივე აღიარებით, ცხოვრების მეამბოხე რომანტიკოსიდან იქცა ძმად ყოველი კაცისა, რათა ეცხოვრა და სიცოცხლის დვრიტა ეძია.

□

ტომას ელიოტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ფორჩხიძემ

I

ინგლისურ მწერლობაში იშვიათად ვლაპარაკობთ ტრადიციაზე, თუმცა ხშირად გამოვთქვამთ სინანულს მისი არარსებობის გამო. მსჯელობის დროს ვერ დავიმოწმებთ რომელიმე „კერძო ტრადიციას“ და ვერც „საერთო ტრადიციას“. ჩვეულებრივ ამ სიტყვას განსაზღვრებად ვხმარობთ, როდესაც ვამბობთ, რომ მავანისა და მავანის პოეზია „ტრადიციულია“ ან „ძალზე ტრადიციული“. იშვიათად გვხვდება ეს სიტყვა, თუ არა რაიმეს განსაქიქებლად. დადებით შეფერილობას ეს ეპითეტი მხოლოდ კვალად აღდგენილი არქეოლოგიური სიძველის შეფასებისას იძენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სიტყვა ინგლისელის ყურთასმენას მარტოოდენ არქეოლოგიის სიმშვიდის მომგვრელ მეცნიერებასთან მიმართებაში ესალბუნება.

რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვას არ ვიხმართ ცოცხალ თუ გარდასულ მწერალთა შეფასებისას. ყოველ რასას, ყოველ ერს მინიჭებული აქვს არა მარტო შემოქმედი გენია, არამედ საკუთრივ მხოლოდ ამ ერისათვის დამახასიათებელი კრიტიკული აზროვნების უნარი და ერი უფრო მეტის გულგრილობით ეკიდება ამ უნარის არასრულფასოვნებასა და შეზღუდულობას, ვიდრე შემოქმედი გენიის იმავე ნაკლს.

ჩვენ ვკითხულობთ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ დიდი რაოდენობის კრიტიკული ხასიათის ნაწერებსა და ვიცნობთ, ან იქნებ მხოლოდ გვგონია, რომ ვიცნობთ ფრანგების კრიტიკულ მეთოდსა თუ ჩვევას და აქედან მხოლოდ იმას ვასკვნით (ჩვენი უმეცრების გამო), რომ ფრანგები უფრო „მეტად კრიტიკულნი“ არიან, ვიდრე ჩვენ. ზოგჯერ თავსაც კი ვიწონებთ ამ ფაქტით და ვთვლით, რომ ფრანგები ნაკლებად სპონტანურნი არიან, ვიდრე ჩვენ. შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკის არსებობა ისევე გარდუვალია, როგორც სუნთქვა და ჩვენს ღირსებას იმით არაფერი დააკლდება, თუ ჩვენივე კრიტიკული აზროვნების მეშვეობით ნათლად გამოვხატავთ ემოციებს, რასაც წიგნის წაკითხვა აღგვიძრავს. მაშინ საჩინო გახდება ჩვენი ტენდენცია პოეტის განდიდებისა ნაწარმოების იმ ასპექტთა გამო, რითაც განსხვავდება იგი ყველა დანარჩენ პოეტთაგან. და გვგონია თითქოს მივაკვლიეთ ინდივიდუალურს, იმას, რაც ამა თუ იმ პიროვნების არსს, თვითმყოფადობას შეადგენს. კმაყოფილებით ვმსჯელობთ პოეტის გამორჩეულობაზე მის წინამორბედთაგან და განსაკუთრებით კი უშუალო წინამორბედთაგან, ჩვენი მცდელობა იქითაა მიმართული, ვიპოვოთ რაიმე, რისი გამოცალკევებაც შესაძლებელია, რათა ზემდგომ დავტკბეთ მონაპოვრით. მაშინ როცა, თუ პოეტს ამ წინარე განზრახვით არ მივუდგებით, დავინახავთ, რომ არა მარტო საუკეთესო, არამედ ყველაზე ინდივიდუალურ თვისებად სწორედ ის მიგვაჩნევია, რითაც აწ გარდასულმა პოეტებმა, მისმა შორეულმა წინაპრებმა უკვდავება დაიმკვიდრეს. რასაკვირველია, აქ მხედველობაში მაქვს პოეტის სრული სიმწიფის პერიოდი და არა ჭაბუკი პოეტის შთაბეჭდილებებზე აგებული სამყარო.

თუ ტრადიციას აღვიქვამთ მხოლოდ როგორც უშუალო წინამორბედთა ბრმა და მოკრძალებულ ერთგულებას, მაშინ ჩვენ სავსებით უარვყოფთ „ტრადიციას“, ბევრი მია-

მიტი მიმდევარი გვინახავს ქვიშაში ჩაკარგული. რაღა თქმა უნდა, სიახლე სჯობს გამეორებას, მაგრამ „ტრადიცია" გაცილებით მრავლისმომცველი და ფართო ცნებაა. მას მემკვიდრეობით ვერ მივიღებთ და მხოლოდ დიდი შრომით მოიპოვება. პირველ რიგში ტრადიცია მოიცავს ისტორიულობის შეგრძნებას, რაც უცილობლად საჭიროა ყველასათვის, ვინც ოცდახუთი წლის შემდეგაც პოეტობას განაგრძობს. ისტორიულობის ცნება მოიცავს არა მარტო წარსულს, არამედ წარსულის თანადროულობასაც. ისტორიულობის შეგრძნება აიძულებს მწერალს წეროს არა მარტო როგორც საკუთარი თაობის შვილმა, არამედ წეროს იმ ძალისხმევით, თითქოს მთელ ევროპულ ლიტერატურას, ჰომეროსიდან და შემდგომ, ერთდროული არსებობა მოეპოვებინოს. ისტორიულობის შეგრძნება არის შეგრძნება მარადიულისა და შეგრძნება დროებითისა; სწორედ მარადიულისა და დროებითის შერწყმა ანიჭებს მწერალს ტრადიციულობას. სწორედ იგი აიძულებს, იყოს თანადროული და ამასთანავე შეიგრძნოს თავისი ადგილი დროში.

შეუძლებელია განსაზღვრო ცალკე აღებული პოეტისა თუ ხელოვანის სრული მნიშვნელობა. მისი ადგილი მხოლოდ გარდაცვლილ პოეტებთან მიმართებაში განისაზღვრება. ჩვენ მას განყენებულად ვერ შევაფასებთ. კონტრასტისა და შედარებისთვის იგი გარდაცვულთა გვერდით უნდა დავაყენოთ. მე ვგულისხმობ, რომ ეს არის ესთეტიკის პრინციპი და არა მხოლოდ ისტორიული და კრიტიკული.

ტრადიციასთან შეფარდებისა და დაქვემდებარების საჭიროება არ არის ცალმხრივი მოვლენა. ახალი ნაწარმოები იმავდროულად გავლენას ახდენს ხელოვნების ყველა ადრინდელ ნიმუშზე: ახლის გამოჩენა (თუკი ეს ნამდვილი სიახლეა) არღვევს მანამდე არსებულ იდეალურ წესრიგს. ახლის შემოჭრის შემდეგაც რომ შევინარჩუნოთ არაებული წესრიგიანობა, ადრინდელმა თანამიმდევრობამ ოდნავ მაინც უნდა იცვალოს სახე. ამგვარად მოხდება ფასეულობათა და პროპორციათა გადაადგილება. სწორედ ასეთია ურთიერთმიმართება ძველსა და ახალს შორის. ვინც ამ მსჯელობას გაიზიარებს ევროპულ და ინგლისურ ლიტერატურასთან კავშირში, მას უთუოდ არც ისე აზრი მოეჩვენება ჭეშმარიტებას მოკლებულად, რომ დღევანდელობა ისეთივე ზემოქმედებას ახდენს წარსულზე, როგორსაც წარსული დღევანდელობაზე და, თუკი პოეტმა გააცნაურა ეს მოვლენა, მაშინ მას გაცნაურებული ექნება ის დიდი პასუხისმგებლობა და სიძნელეები, რაც თან ახლავს ახლის შექმნას.

პოეტმა უნდა იცოდეს, რომ იგი უეჭველად განისჯება წარსულის სტანდარტების მიხედვით. მე ვამბობ განისჯება და არა განიკითხება. განსჯაში არ ვგულისხმობ გარდაცვულთა და ცოცხალთა დაპირისპირებას და, რაღა თქმა უნდა, არც იმას, რომ პოეტი, განისაჯოს აწ გარდასულ კრიტიკოსთა კანონების მიხედვით. ეს იქნება შედარება და ერთურთით განსჯა. თუ უბრალოდ დავექვემდებარებით წარსულის კანონებს, ახლად შექმნილი ნაწარმოები არ იქნება არც სიახლე და ამდენად არც ხელოვნების ნიმუში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი მით უფრო ფასეულია, რაც უფრო კარგად მიესადაგება ძველს. მისადაგება ის სასინჯი ქვაა, რითაც ახლის შეფასება ხდება, სასინჯი ქვა, რომელიც ძალზე ფაქიზად უნდა გამოვიყენოთ. რადგან ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იქნება უზადო მსაჯული — ძალზე ძნელი დასადგენია, სად იწყება შემთანხმებლობა, სად ინდივიდუალური და რომელი ერთი სჭარბობს მეორეს.

მეტად რომ გავათვალსაჩინოოთ პოეტის დამოკიდებულება წარსულისადმი, ერთსაც დავუმატებ: პოეტი განურჩევლად ვერ მიიღებს წარსულს, როგორც მთელს. ვერც მხოლოდ პირადულ ალფრთოვანებას დაეყრდნობა და ვერც მიკერძოებით მიენდობა რომელიმე გამორჩეულ პერიოდს. პირველი გზა მიუღებელია. მეორე მნიშვნელოვანია მხოლოდ როგორც ახალგაზრდობაში მიღებული განცდები, ხოლო მესამე გზა მათი ძალზე სასიამოვნო და სასურველი დანამატი იქნებოდა. პოეტი ყოველთვის ცხადლივ უნდა ხედავდეს მთავარ დინებას, რომელსაც დიდი მგოსნები ხშირად უცვლიან კალაპოტს. მან ნათლად უნდა ესმოდეს, რომ იცვლება არა ხელოვნება, არამედ ხელოვნების მასალა, უნდა იცოდეს, რომ ევროპული აზროვნება, აზროვნება მისი მშობლიური ქვეყნისა რომელიც საკუთრივ მის აზროვნებაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, არის აზროვნება, რომელიც იცვლება, ხოლო ეს ცვლილება არის განვითარება, რომელიც en route[1] არაფერს კარგავს და არქივში არ გადაუძახებს არც შექსპირს, არც ჰომეროსს და არც მადლენის

[1] გზად (ფრანგ.).

გამოქვაბულის[1] კედლის მხატვრობას, ეს განვითარება, რომელსაც უთუოდ მოაქვს დახვეწილობა და სირთულე, ხელოვნების თვალსაზრისით ვერ იქნება წინსვლა. ეს ალბათ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ვერ იქნება გაუმჯობესება, ყოველ შემთხვევაში არა იმ ზომამდე, ჩვენ რომ წარმოგვესახება. ასეთი გაუმჯობესება წინსვლად მხოლოდ ეკონომიკასა და მანქანათმშენებლობის სფეროში ჩაითვლება. განსხვავება წარსულსა და აწმყოს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გაცნობიერებული აწმყო არის წარსულის იმგვარი და იმ ზომამდე შეცნობა, როგორი უნარიც თვითშეცნებისა წარსულს არ შეეძლება გააჩნდეს.

ვიღაცას უთქვამს, გარდასული მწერლები ძალზე დაშორებულნი არიან ჩვენგან, რადგან ჩვენ მათზე გაცილებით მეტი ვიცით: ჭეშმარიტად, მათზე მეტი იმიტომაც ვიცით, რომ ყველა მათგანს ძალზე კარგად ვიცნობთ.

მე კარგად ვიცი, თუ რომელი ნაწილი ჩემი მსჯელობისა პოეტის ხელობაზე გახდება საკამათო. საქმე ისაა, რომ ჩემი დოქტრინა ერუდიციის სასაცილო მარაგს მოითხოვს. ამ აზრის უარყოფა კი პანთეონის ბინადართა ცხოვრებაზე ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება. იმის დამტკიცებაც ადვილია, რომ მეტისმეტი განსწავლულობა აკვდინებს და ბლალავს პოეტურ მგრძნობელობას. თუმცა ჩვენ დაჟინებით ვამტკიცებთ, რომ პოეტმა იმდენი უნდა იცოდეს, რომ არ შეზღუდოს მისთვის აუცილებელი მგრძნობელობა და სიზარმაცე. არც ის არის სასურველი, რომ შემოვიფარგლოთ გამოცდებისა და სალონებისა და კიდევ უფრო პრეტენზიული რეკლამისათვის საჭირო ცოდნით. ცოდნა კი დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შექსპირმა უფრო მეტი შეიძინა პლუტარქეს ისტორიიდან, ვიდრე ზოგიერთი მთელი ბრიტანეთის მუზეუმის შესწავლით მოახერხებდა. პოეტმა უცილობლად უნდა შექმნას და განავითაროს წარსულის შეგრძნება და ატაროს იგი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე.

როდესაც პოეტი ქმნის და რაღაც ფასეულს უახლოვდება, მასში პიროვნული თითქოს უკან იხევს. ხელოვანის წინსვლა თანდათანობითი თვითშეწირვა და პიროვნულის კვდომაა.

უნდა განვსაზღვროთ დეპერსონიზაციის ეს პროცესი და მისი დამოკიდებულება ტრადიციის ცნებასთან. სწორედ დეპერსონიზაციის პროცესში უახლოვდება ხელოვნება მეცნიერებას. აქვე მინდა ერთი ფიქრისაღმძვრელი ანალოგია შემოგთავაზოთ: წარმოიდგინეთ პლატინა ჟანგბადისა და გოგირდის ორჟანგის შემცველ ჭურჭელში.

II

სინდისიერი კრიტიკა და გრძნობიერი შეფასება ყოველთვის უნდა ილტვოდეს ამოსავალ წერტილად არა პოეტს, არამედ პოეზიას. თუ ყურად ვიღებთ საგაზეთო კრიტიკის მიერ ატეხილ განგაშს და შემდეგ საზოგადოების susurus-ს[2] მივუგდებთ ყურს, მრავალი პოეტის სახელს გავიგონებთ. თუ ცისფერ წიგნს[3] არ დავენდობით და ლექსს დავუწყებთ ძებნას, მეეჭვება, რომ ჩვენი ცდა წარმატებით დამთავრდეს. მე უკვე ვცადე მეჩვენებინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსის შეფასებისთვის ამ ლექსის მიმართებას სხვა პოეტთა ლექსებისადმი და დღემდე შექმნილი პოეზია ერთ მთლიან ცოცხალ არაებად წარმოვადგინე. შევეცადე ანალოგიით მიმენიშნებინა, რომ აზროვნება დასრულებული პოეტისა განსხვავდება ჩამოუყალიბებელი პოეტის აზროვნებისგან არა „პიროვნულობით", არა იმით, რამდენად „საინტერესოა" ან „რამდენი აქვს სათქმელი", არამედ იმით, თუ რაოდენ დახვეწილი მედიუმია იგი რაიმე კერძო გრძნობისა თუ მრავალფეროვან გრძნობათა თავისუფალი კომბინაციებისათვის.

მე კატალიზატორის ანალოგია მოვიყვანე, როდესაც ზემოთ ნახსენები ორი აიროვანი ნივთიერება პლატინასთან შერევით გოგირდმჟავას წარმოქმნის. ეს რეაქცია შეუძლებე-

---

[1] მადლენში (სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთი) აღმოჩენილია პირველი პალეოლითური კედლის მხატვრობის ნიმუშები.

[2] ჩურჩული (ლათ.).

[3] ცისფერი წიგნი (**blue book**) — ოფიციალური ანგარიში ინგლისის საპარლამენტო კომისიისა და საიდუმლო საბჭოსი. აქ იგულისხმება ოფიციოზების მიერ აღიარებული პოეტები.

ლია პლატინის გარეშე; თუმცა ახლად წარმოქმნილი მჟავა სრულიად არ შეიცავს პლატინას. თვითონ პლატინა ნეიტრალური და შეუცვლელი რჩება. პოეტის გონება სწორედ ეს პლატინაა. მას შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად იმოქმედოს თავისავე პირადულ გამოცდილებაზე, მაგრამ რაც დიდია ხელოვანი, მით უფრო სრულყოფილად არის მასში გამიჯნული ადამიანი, რომელიც იტანჯება და გონება, რომელიც ქმნის, და მით უფრო სრულად გამოიყენებს გონება საკუთარ ვნებათაღელვას, რომელიც მისი შემოქმედების მასალაა მხოლოდ.

ის ელემენტები, რომლებიც კატალიზატორის ზემოქმედებას განიცდიან, ორგვარია: ემოციები და გრძნობები. ის განცდა, რასაც ხელოვნების ნაწარმოები იწვევს, სრულიად განსხვავდება ყველა სხვა განცდისაგან. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი გარკვეული ემოციით ან იყოს მწერლის მიერ სიტყვებით, ფრაზებით თუ სახეებით გადმოცემული სხვადასხვა გრძნობის კომბინაცია. მაღალი პოეზიის ნიმუშები შესაძლებელია ემოციის პირდაპირ გამოყენების გარეშეც შეიქმნას. ჯოჯოხეთის XV ქებაში ბრუნეტო ლატინი[1] სიტუაციით განსაზღვრული ემოციაა მოცემული. მაგრამ ზემოქმედების ეფექტი, იგივე როგორც ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოებისა, დეტალების შერწყმითაა მიღწეული. უკანასკნელ სტროფში გადმოცემული გრძნობა და სახება, რომელიც თან ახლავს ამ გრძნობას, არ არის განსაზღვრული წინარე სიტუაციით.[2] იგი მიძინებული იყო პოეტის გონებაში და მანამ არ ამოტივტივდა, სანამ არ შეიქმნა ხელსაყრელი კომბინაცია მის გამოსაყენებლად. პოეტის გონება ურიცხვ გრძნობათა, ფრაზათა და სახეთა ხელშეუხებელი განძსაცავია მანამდე, სანამ ახალი ერთიანობის წარმოსაქმნელად საჭირო ყველა კომპონენტი არ მოიყრის თავს.

თუ ერთმანეთს შევადარებთ უმაღლესი პოეზიის რამდენიმე ნიმუშს, დავინახავთ, რაოდენ დიდია კომბინაციათა მრავალფეროვნება და როგორ ბოლომდე იშლება „ამაღლებულის სემი-ეთიკური კრიტერიუმის" მნიშვნელობა. რადგან არა ემოციათა, ე. ი. კომპონენტთა სიდიადე და სიმძაფრე, არამედ სიმძაფრე მხატვრული (შემოქმედებითი) პროცესისაა, ასე ვთქვათ ის წნევაა, რომლის საშუალებითაც ვიღებთ შენადნობს, არის ფასეული და მნიშვნელოვანი. პაოლოსა და ფრანჩესკას[3] ეპიზოდი მძაფრ ემოციას აღგვიძრავს, მაგრამ სიმძაფრე პოეზიისა რაღაც ძირეულად სხვაა, ვიდრე თვით ამ ეპიზოდს შეუძლია გამოიწვიოს. იგი არ არის უფრო მძაფრი, ვიდრე XXVI ქება, ულისეს მოგზაურობა[4], რომელიც პირდაპირ არ არის დამოკიდებული ემოციაზე. მრავალი ვარიანტია შესაძლებელი ემოციის გარდაქმნის პროცესში. აგამემნონის მკვლელობა ან ოტელოს აგონია ქმნის მხატვრულ ეფექტს, რომელიც, ალბათ, უფრო ცხოვრებისეულია, ვიდრე დანტეს ჯოჯოხეთის სცენები. აგამემნონის მკვლელობის მხატვრული ემოცია უშუალო მაყურებლის ემოციას უახლოვდება. ოტელოს აგონიისა კი თვით პროტაგონისტისას, მაგრამ განსხვავება ხელოვნებასა და ემოციას შორის ყოველთვის აბსოლუტურია. კომბინაცია ელემენტებისა აგამემნონის მკვლელობის სცენაში ისეთივე რთულია, როგორც ულისეს მოგზაურობაში; ორივე შემთხვევაში ელემენტებისა შენადნობია მოცემული. კიტსის ოდა უამრავ გრძნობას მოიცავს, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ ბულბულთან. მაგრამ ბულბულს, ერთის მხრივ, შესაძლოა მისი კეთილხმოვანი პოეტური სახელისა და მეორეს მხრივ, ალბათ, მისი რეპუტაციის გამო, მთლიანობაში მოჰყავს ეს ლექსი.

---

[1] ამ ქებაში დანტე აგვიწერს ფლორენციელ ბრუნეტო ლატინისთან შეხვედრას (1212-1294).

[2] ბრუნეტო კიცხავს „არაბუნებრივ ვნებას", რომელიც „ერთი წუთით არ ასვენებს" და შემდეგ „ესოდენ სწრაფად გაეშურება", როგორც „ვერონის შეჯიბრის დროს მორბენალი მწვანე მაუდის მომხვეჭელი", აქ წარმოიქმნება ელიოტის გრძნობა იტალიური „კლასიკური სახებასთან".

[3] დანტეს V ქებაში უკვდავყოფილი მიჯნურები პაოლო და ფრანჩესკა დახოცა ფრანჩესკას ეჭვიანმა ქმარმა.

[4] აღწერილობა ულისეს მოგზაურობისა უცნობ ზღვაში (დანტე, ჯოჯოხეთი, XXVI ქება) და მისი დაღუპვა გემთან ერთად არ ეთანხმება ჰომეროსის „ოდისეას", ამიტომ ეს ეპიზოდი მთლიანად დანტეს მიეწერება.

[5] იგულისხმება ესქილეს „აგამემნონი", ელიოტი იყენებს ცოლის საყვარლისგან აგამემნონის მოკვლინებას და ამ ეპიზოდის უკანასკნელ სტრიქონებს „ბულბულთა შორის..."

თვალსაზრისი, რომელსაც ვებრძვი, ალბათ, სულის სუბსტანციური მთლიანობის მეტაფიზიკურ თეორიას უკავშირდება. არსი ჩემი თვალსაზრისისა კი იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი არ გადმოგვცემს არა „პირადულს", არამედ იგი მედიუმია, მედიუმია და არა პიროვნება, რომელშიც შთაბეჭდილებები და ემოციები თავისებურ და მოულოდნელ კომბინაციებს ემნიან. შთაბეჭდილებები და ემოციები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ადამიანისათვის, მაგრამ არა პოეზიისათვის და პირიქით, „შთაბეჭდილებები და ემოციები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა პოეზიისათვის. სრულიად უმნიშვნელო შეიძლება იყოს ადამიანისათვის, პიროვნებისათვის.

ბიბლიოთეკა

პოეტი არასოდეს არ არის საინტერესო ან ღირსშესანიშნავი თავისი პირადული ემოციების გამო, ემოციებისა. რომლებიც თვით ცხოვრებამ განაპირობა. ეს ემოციები მარტივი, ნედლი ან უფერული შეიძლება იყოს. დასაშვებია ისიც, რომ პოეზია ამა თუ იმ პოეტისა მეტად რთულ ემოციას გადმოგვცემდეს, მაგრამ ეს სირთულე არ იყოს განპირობებული პოეტის პირადი ცხოვრების რთული და უჩვეულო ემოციებით. ექსცენტრულობის ძიებისას ხშირად ერთ შეცდომას უშვებენ: ეძიებენ ახალ ადამიანურ ემოციებს, პოეტის მოწოდება კი არა ახალ ემოციათა ძიებაა, არამედ ჩვეულებრივ ადამიანურ განცდათა პოეტური გადმოცემა, განცდებისა, რომლებიც თავისთავად შეაძლოა არც იწვევდეს რაიმე ემოციას. ამაში კი სამსახურს გაუწევა როგორც პირადად პოეტის მიერ განცდილი, ასევე განუცდელი ემოციები. ამრიგად, გამოთქმა „სიმშვიდეში გახსენებული ემოციები"[1] — ამ აზრის ზუსტი ფორმულირება იქნებოდა, მაგრამ ეს არც მარტოოდენ ემოციაა, არც გახსენება და არც „სიმშვიდე", თუ ამ სიტყვის მნიშვნელობას არ დავარღვევთ. ეს არის კონცენტრაცია და რაღაც ახალი, რასაც ეს კონცენტრაცია წარმოშობს, შთაბეჭდილებებისა, რომლებიც პრაქტიკული. ჩვეულებრივი ადამიანისათვის სრულიად მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ ემოციას. ეს გაუცნობიერებული კონცენტრაციაა. ამ განცდებს პოეტი კი არ კრებს ან გაიხსენებს „სიმშვიდის" ატმოსფეროში. არამედ ეს „სიმშვიდე" ამ მოვლენის პასიური თანმხლები იქნება მხოლოდ. მაგრამ, რასაკვირველია საკითხი მარტოოდენ ამ მსჯელობით არ ამოიწურება. პოეზიაში ბევრი რამაა, რაც გაცნობიერებულად და გააზრებულად იწერება. სინამდვილეში „ცუდი" პოეტი გაუცნობიერებლად წერს, სადაც „ცნობიერი" უნდა იყოს და პირიქით. ორივე ამ შეცდომას „პირადულობისაკენ" მივყავართ. პოეზია ემოციებისადმი ეედის მოხრა კი არ არის. არამედ მისგან თავის დაღწევაა. იგი არ არის პიროვნულობის გამოხატულება, იგი მისგან გათავისუფლებაა. მაგრამ, რასაკვირველია მხოლოდ მათ. ვისაც პირადულობაც გააჩნია და ემოციაც, იციან რას ნიშნავს სურვილი მისგან გათავისუფლებისა.

III

გონება არის რაღაც ღვთაებრივი და (ამდენად) შეუვალი (გარეშე შთაბეჭდილებებისათვის).[2]

ეს ესეი მეტაფიზიკის თუ მისტიციზმის საზღვართან შეჩერებას მოითხოვს და იფარგლება ისეთი პრაქტიკული დასკვნებით, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პოეზიით სერიოზულად დაინტერესებულმა პიროვნებამ. ყურადღების გადატანა პოეტიდან პოეზიაზე საქებარი საქმეა, რადგან მას მივყავართ ცუდი თუ კარგი პოეზიის უფრო სამართლიანი შეფასებისაკენ. გულწრფელ გრძნობათა გამომხატველ ლექსს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, მაგრამ არცთუ ისე ბევრი აფასებს ლექსის ტექნიკურ დახვეწილობას და ძალზე ცოტას შესწევს უნარი, გამოიცნოს ღირსსაცნობი ემოცია. ემოცია, რომელიც ლექსში ცოცხლობს და არა პოეტში. ხელოვნების ემოცია უპიროვნოა და პოეტი ვერ მიაღწევს ამ უპიროვნობას, თუ სრულიად არ შესწირა თავი ლექსს. თუ იცხოვრა არა მხოლოდ აწმყოთი, არამედ არ იცხოვრა წარსულში ისე, როგორც აწმყოში. არ გააცნობიერა არა მარტო ის, რაც წარვიდა, არამედ ისიც, რამაც უკვე დაიწყო სიცოცხლე.

---

[1] უორდსვორდი ლირიკული ბალადების მეორე (1800 წ.) გამოცემის წინასიტყვაობაში წერს, რომ პოეზია საზრდოობს „სიმშვიდეში გახსენებული ემოციებით".

[2] არისტოტელე „სულისათვის" (De anima), თავი IV.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ლიხაჩოვი

შენიშვნები რუსულ ხასიათზე

თარგმნა ანდრო რობაქიძემ

ძალზე ბევრი იწერება ჩვენში ჩვენს ფესვებზე, რუსული კულტურის ფესვებზე, მაგრამ ძალზე ცოტა კეთდება საიმისოდ, რათა მკითხველს საფუძვლიანად მოვუთხროთ ამ ფესვებზე. ჩვენი ფესვები მხოლოდ რუსული ლიტერატურა და რუსული ფოლკლორი კი არაა, არამედ მთელი მეზობელი კულტურაც. რუსეთს, როგორც უზარმაზარ ხეს, ღრმად განტოტვილი ფესვთა სისტემა და ფართოდ გაწვდილი, სხვა ხეებში ჩახლართული ვარჯები გააჩნია. ჩვენ ჩვენსავე თავზე სულ უბრალო რაღაცებიც კი არ ვიცით და არც ვფიქრობთ ამ უბრალო რაღაცებზე.

მე სხვადასხვაგვარ შენიშვნებს მოვუყარე თავი, ეს შენიშვნები სხვადასხვა საბაბით გავაკეთე, თუმცა კი ყველას საერთო თემა უდევს საფუძვლად — რუსული ხასიათი. ჰოდა, გადავწყვიტე ეს შენიშვნები მკითხველისთვის შემეთავაზებინა. ბუნებრივია, რადგან შენიშვნები სხვადასხვა მიზეზით გაკეთდა, მათი ხასიათიც განსხვავებული იქნება. თავდაპირველად ვფიქრე, ამ ჩანაწერებს გარკვეულ ურთიერთობაში მოვიყვან, კომპოზიციურ და სტილისტიკურ სიმწყობრეს მივანიჭებ-მეთქი, მაგრამ მერე გადავწყვიტე იგევე დამეტოვებინა, როგორც იყო, აუწყობელი და დაუმთავრებელი. ჩემი შენიშვნების აუწყობლობა დასტურია იმ მიზეზთა შემთხვევითობისა, რომლებმაც კალამი ამაღებინა ხელში: ხან წერილებზე პასუხის გაცემა მიხდებოდა, ხან წიგნის მინდვრებზე მივაწერდი რაიმეს, ხან წაკითხული ხელნაწერების გამო მიგროვდებოდა შთაბეჭდილებები, ხან კიდევ უბრალო წიგნაკში ვინიშნავდი რაღაც-რაღაცებს. შენიშვნები შენიშვნებადვე უნდა დარჩეს: მაშინ ისინი ნაკლებად პრეტენციოზული იქნება. რუსულ ხასიათზე ძალზე ბევრი შეიძლება დაიწეროს, და ამ თემას მაინც ვერ ამოწურავ.

ყოველივე, რასაც კი აქ ვწერ, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგი კი არ არის — „ჩუმი პოლემიკაა", პოლემიკა ჩვენში და დასავლეთშიც ძალზე გავრცელებულ შეხედულებასთან. ამ შეხედულების თანახმად რუსული ეროვნული ხასიათი უკიდურესია და უკომპრომისო, იდუმალებით მოსილი და ყველაფერში შესაძლებლის და შეუძლებლის ზღვრამდე დასული (არსებითად, სიკეთეს მოკლებული). პოლემიკაშიც დასაბუთებაა საჭირო, მეტყვით თქვენ, მაგრამ განა ამჟამად დასავლეთში და, ნაწილობრივ, ჩვენში რუსულ ეროვნულ ხასიათზე, რუსული კულტუ-

რის ეროვნულ თავისებურებებზე და, კერძოდ, ლიტერატურაზე გავრცელებული შეხედულება დასაბუთებულია ვინმეს მიერ?

ჩემი შეხედულება რუსულ ხასიათზე ძველი რუსული ლიტერატურის კვლევის საფუძველზეა აღმოცენებული (თუმცა არა მარტო ამაზე) და ვფიქრობ, უფრო სარწმუნოა. რა თქმა უნდა, მე აქ მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩემს შეხედულებებს შევეხები, რათა უკუვაგდო ია მოარული თვალსაზრისი, თავისებურ „ისლანდიურ ხავსად" რომ იქცა. ამგვარი ხავსი შემოდგომობით წყდება თავის ფესვებს და ტყეში „ხეტიალობს", ფეხით გათელილი, წვიმებისგან გადარეცხილი და ქარისგან დაძრული.

ეროვნული სიმდიდრე უზღვავია, და რაა გასაკვირი, რომ თითოეული ადამიანი თავისებურად აღიქვამს ყოველგვარ ეროვნულს. ჩემს შენიშვნებში რუსულ ხასიათზე მეც ყოველივე იმას ჩემეულ აღქმაზე ვლაპარაკობ, რასაც შეიძლება ეწოდოს რუსული — რუსული ხალხის ხასიათში, ბუნების ხასიათში.

ყოველი ინდივიდუალური აღქმა ეროვნულისა კი არ ეწინააღმდეგება ამავე ეროვნულის აღქმას სხვათა მიერ, პირიქით, ავსებს და ამდიდრებს მას. ეროვნულის არც ერთი ამგვარი პირადული აღქმა არ შეიძლება იყოს ამომწურავი, არც უცვლელი და არც იმ პრეტენზიის მქონე, რომ ეროვნული ხასიათის ყველაზე არსებითი ნიშანი გაითავისა. დე, ყოველგვარი რუსულის ჩემეული აღქმაც ნუ ამოწურავს ყველაფერ იმას, რაც რუსული ხასიათის თავიდათავია. ამ შენიშვნებში მე იმაზე ვლაპარაკობ, რაც პირადად ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასია.

მკითხველს შეუძლია შემეკითხოს: რატომღა ვთვლი ჩემს შენიშვნებს რუსული ხასიათის თაობაზე ყურადღების ღირსად, თუკი თავადვე სუბიექტურად ვაღიარებ მათ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყოველგვარ სუბიექტურში ობიექტურის წილიც არის და მეორეც იმიტომ, რომ მე მთელი ჩემი დღე და მოსწრება რუსულ ლიტერატურას (განსაკუთრებით კი ძველს) და რუსულ ფოლკლორს ვსწავლობ. ამგვარი ცხოვრებისეული გამოცდილება კი ალბათ გარკვეული ყურადღების ღირსია.

ბუნება და სიკეთე

ამ რამდენიმე დღის წინ კომაროვოში, ჩემთან, საფრანგეთიდან ახალგაზრდა მთარგმნელი ქალი ჩამოვიდა. ის თარგმნის ჩემს ორ წიგნს — „ძველი რუსული ლიტერატურის პოეტიკა" და „რუსული ლიტერატურის განვითარება X-XII საუკ". ბუნებრივია, ფრანსუაზა საგონებელში ჩაავდო ძველრუსული ტექსტებიდან და ფოლკლორული მასალებიდან ამოღებულმა ციტატებმა. არსებობს, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი დაბრკოლებები — როგორ უნდა გადმოვცეთ რუსული ენისათვის ნიშნეული ელფერი, ცნობითობათა ნაირსახეობა და საერთოდ გრძნობათა მთელი ის ჟღერადობა, რომელიც ასე მშვენივრადაა ასახული რუსულ ფოლკლორში გარესამყაროსადმი, ადამიანებისა და ბუნებისადმი მიმართებაში? განსაკუთრებით ერთი ადგილის ამოკითხვა გაუძნელდა მთარგმნელ ქალს. არინა ფედოროვა თავის ერთ-ერთ მოთქმა-გოდებაში ამბობს, ქმრის სიკვდილის შემდეგ კიდევ გავთხოვდიო:

Я, опять, горе-бедна, кинулась,
за друга сына да за отцовского...

ფრანსუაზამ მკითხა: „რას ნიშნავს ეს, ვის გაჰყვა ცოლად ეს ქალი: თავის ქმრის ძმას? ყოფილი მამამთილის სხვა ვაჟიშვილს?...“ მე ვუპასუხე: „არამც და არამც, უბრალოდ არსებობს ამგვარი გამოთქმა, ფედოსევას უნდა თქვას, რომ მის მეორე ქმარსაც ჰყავდა მამა“. ფრანსუაზა კიდევ უფრო გაოცდა: „მაგრამ განა არსებობს ადამიანი, ვისაც არ ჰყოლია ან არ ჰყავს მამა?“ მე ვეუბნები: „არა, რა თქმა უნდა, მაგრამ როცა გინდა ადამიანი გაიხსენო და მიეალერსო, უნებლიეთ ის გახსენდება, რომ ამ ადამიანსაც ჰყავდა თვისტომნი — შვილები, ძმები, დები, ცოლი, მშობლები. ზამთარში მე ვნახე, როგორ გაიტანა სატვირთო ავტომანქანამ ერთი კაცი. ამ ამბის მომსწრენი გარდაცვლილზე კი არ ლაპარაკობდნენ, იმას ამბობდნენ, ვინ იცის, შინ შვილები, ცოლი, ანდა მოხუცი დარჩა ვინმე... ისინი ებრალებოდათ. ეს ძალზე რუსული თვისებაა. ჩვენში ალერსსაც ხშირად ამგვარი სიტყვებით გამოხატავენ: родненький, родименький, сынок, бабушка... ფრანსუაზა წამოენთო: „აი, თურმე რა ყოფილა! მე ქუჩაში ერთ ხანშიშესულ ქალს ვკითხე, როგორ ვიპოვო ესა და ეს ქუჩა-მეთქი, მან კი, შვილოო, მითხრა“, „ასეცაა, მას სურდა ალერსიანად მოემართა თქვენთვის“. „მაშასადამე, ამ ქალს იმის თქმა სურდა, რომ შეიძლებოდა მე მისი შვილი ვყოფილიყავი, არა? მაგრამ ნუთუ ვერ შემატყო, უცხოელი რომ ვიყავი?“. მე გავეცინე: „რა თქმა უნდა, შეგატყოთ და სწორედ ამიტომაც მოგმართათ, შვილოო, უცხოდ რომ არ გეგრძნოთ თავი ამ ქალაქში“ დაინტერესდა ფრანსუაზა. მე განვაგრძე: „თუკი თქვენ უცხოელი ბრძანდებით, მაშასადამე, მარტო ხართ ლენინგრადში. ხანშიშესულმა ქალმა შვილი რომ გიწოდათ, ამით ის კი არ გითხრათ, შვილი ხარო ჩემი. მან იმიტომ მოგმართათ ასე, რომ თქვენ გყავთ ან გყავდათ დედა. სწორედ ამით გამოხატა სიყვარული თქვენ მიმართ“. „რა წმინდა რუსული ხასიათია!“.

შემდეგ საუბარი ჩამოვარდა იმაზე, თუ რუსულ პოეზიასა და ლიტერატურაში სად და როდის არის გამოხატული ალერსი ადამიანის მიმართ მისავე თვისტომთა გამო. აი, მაგალითად: «Повесть о Горе Злочастии». ამ ნაწარმოებში გამოხატულია უზომო ალერსი მთავარი გმირისადმი. ეს გმირი ერთი თავაშვებული ჭაბუკია, მისი თავგადასავლის თხრობა კი იმით იწყება, რომ ჭაბუკს ჰყავდა მშობლები, რომლებიც სათუთად ზრდიდნენ, ანებივრებდნენ და ცხოვრებას „ასწავლიდნენ“ მას. მერე კი, როცა ამ ნაწარმოებში ჭაბუკს გასაჭირი დაადგება, ასეთ სიმღერას მღერის:

Безпечальна мати меня породила,
гребешком кудерцы разчесывала,
драгими порты меня одеяла
и отшед под ручку посмотрила,
хорошо ли мое чадо в драгих портах?—
а в драгих портах чаду и цены нет!

მაშასადამე, ჭაბუკი თავის სილამაზესთან ერთად დედასაც იხსენებს. იგონებს იმას, თუ როგორ უცქეროდა დედა.

ფრანსუაზამ გაიხსენა, რომ მის მშობლიურ ბეზანსონში ჩეხოვის „სამი და“ დადგეს და ფრანგებს ძალიან მოეწონათ ეს პიესა, აქაც ხომ სამ დაზეა ლაპარაკი და არა სამ მეგობარ ქალზე. მთავარი გმირები რომ დები არიან, ეს ამბავი ძალზე აჭირდება რუს მაყურებელს, სჭირდება, რათა თანაუგრძნოს მათ, სიმპათიით განიმსჭვალოს მათ მიმართ. ჩეხოვი შესანიშნავად მიხვდა რუსი მკით-

ხელისა და მაყურებლის ამ თვისებას.

და მერეც ვიხსენებდით, რამდენ სიტყვას აქვს რუსულ ენაში ფუძე „род“: родной, родник, родинка, народ. ეს სიტყვები ერთმანეთის გვერდით თითქოს თავიდვე [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცეები

რუსი ხალხისათვის ბუნება ყოველთვის იყო თავისუფლება, სილაღე, შეუზღუდველობა. ისევ ენას მივუბრუნდეთ: погулять на воле, выйти на воле. Воля — ეს ხვალინდელი დღის საზრუნავისაგან თავდახსნაა, უზრუნველობაა, აწმყოთი ტკბობა და ნეტარებაა.

თვალუწვდენი სივრცეები ყოველთვის იპყრობდა რუსი კაცის გულს. ბუნების ამგვარი გრძნობა იმ ცნებებად და წარმოდგენებად ჩამოყალიბდა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაში არსებობს. რით განსხვავდება, ვთქვათ, ერთმანეთისაგან ცნებები «воля» და «свобода»? იმით, რომ воля вольная იგივე თავისუფლებაა, მხოლოდ გაშლილ სივრცესთან შერწყმული. წუხილის ცნება კი სივიწროვის ცნებასთანაა მჭიდრო კავშირში, სივიწროვეს მუდამ სივრცეს მოწყვეტილი კაცი განიცდის. შეავიწროვო ადამიანი, ეს იმას ნიშნავს, სივრცე წაართვა მას.

Воля вольная! ამგვარ თავისუფლებას (ხანდახან ცხენებთან ერთად) ჭაპანში ბურლაკებიც კი გრძნობდნენ. მიათრევდნენ თოკს ვიწრო მდინარისპირა ბილიკზე, გარშემო კი უზარმაზარი თავისუფლება იყო განფენილი. ადამიანს ბუნება სჭირდებოდა, სჭირდებოდა გაშლილი, ვეებერთელა თვალსაწიერი. ამიტომაცაა ველ-მინდვრების — „პოლიუშკო პოლეს“—ესოდენ დიდი სიყვარული ხალხურ სიმღერაში გამოხატული. «Воля» — ეს უსასრულო სივრცეებია, რომელთა წიაღშიც შეიძლება უსასრულოდ იარო, იხეტიალო, მიჰყვე წყალუხვ მდინარეთა დინებას, ისუნთქო გაშლილი სანახების ჰაერი, ღრმად ჩაისუნთქო ქარი, და, საითაც გული გითქვამს, იქით გასწიო.

Воля вольная კარგად არის განმარტებული რუსულ ლირიკულ სიმღერებში. განსაკუთრებით კი აბრაგულ სიმღერებში, რომელთაც ქმნიდა და მღეროდა არა აბრაგი, არამედ თავისუფლებას მოწყურებული გლეხი. ამ სიმღერებში გლეხი უზრუნველ ცხოვრებას შენატროდა.

ვაჟკაცობის რუსული ცნება არის სიმამაცე — удаль, ხოლო удаль ვაჟკაცობაა — ვაჟკაცობა შეჯერებული სივრცესთან, რომელიც ამ ვაჟკაცობის გამოვლენისათვისაა საჭირო. არ შეიძლება იყო ვაჟკაცი, ყოველმხრივ დაცულ ადგილას თუ ხარ მამაცურად ჩამჯდარი. სიტყვა «удаль» ძალზე ძნელად ითარგმნება სხვა ენებზე. უმოძრაო ვაჟკაცობა ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში იყო გაუგებარი. გრიბოედოვი დასცინის სკალოზუბს, როცა ამ სიტყვებს ათქმევინებს: «На третье в ночь засели мы в траншею. Ему дан с бантом, мне—на шею». როგორ შეიძლება ჩასაფრდე სანგარში, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევს და ამის გამო სამხედრო ჯილდოც მიიღო? ფუძე ისეთი რუსული სიტყვისა, როგორიცაა «подвиг», მოძრაობას გულისხმობს: «по-двиг» ე. ი. ის, რაც მოძრაობით არის შექმნილი, ანდა შექმნილია რაღაც უძრავის ადგილიდან დაძვრის სურვილით.

ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სლავური ანტიფაშისტური კომიტეტის ფონდში დაცულია ნიკოლაი რერიხის წერილი, 1945 წლის მაის-ივნისით დათარიღებუ-

ლი. ამ წერილში ერთი ასეთი ადგილია: „ოქსფორდის ლექსიკონმა დააკანონა ზოგიერთი რუსული სიტყვა, რომელიც ახლა მსოფლიოშია მიღებული. ამ ლექსიკონში, მაგალითად, მოხსენებულია სიტყვები «указ» და «совет». საჭირო იყო დაემატებინათ კიდევ ერთი უთარგმნელი, მრავალმნიშვნელოვანი რუსული სიტყვა «подвиг». საოცარია, მაგრამ, ევროპულ ენებში მიახლოებითი მნიშვნელობის მქონე სიტყვაც კი არ იპოვება..." და შემდეგ: საყვირთა გუგუნით ხოტბაშესხმულ გმირობასაც კი არ ძალუძს გვამცნოს ის უკვდავი და ამომწურავი აზრი, რომელიც ჩადებულია რუსულ სიტყვაში «подвиг». თქვა, გმირული საქციელიო, მთლად ზუსტი არ იქნება, ქველობაო — არც ეს ამოწურავს მას, თავგანწირვა — მაინც არ გახლავთ იმგვარი, სრულყოფაო — ეს ცნებაც ვერ აღწევს მიზანს, მიღწევა სავსებით სხვა მნიშვნელობის მქონეა, რადგან ერთგვარ დასრულებულობას გულისხმობს, «подвиг»-ი კი უსასრულოა. ამოკრიფეთ სხვადასხვა ენებიდან გადაადგილების აღმნიშვნელი სიტყვები და დარწმუნდებით, რომ არც ერთი ამათგანი არ იქნება სადაგისი მოკლე. მაგრამ ზუსტი რუსული ტერმინისა «подвиг». და კიდევ: «подвиг»-ი მხოლოდ ერის ბელადთა საქმე როდია, მრავალი გმირია ირგვლივ. ისინი მუდმივად შრომობენ, სწავლობენ, მათ მიჰყავთ წინ (двигают вперед) ჭეშმარიტი კულტურა. «подвиг»-ი ნიშნავს მოძრაობას, სიმკვირცხლეს, მოთმინებას და ცოდნას, ცოდნას, ცოდნას. და თუკი უცხოურ ლექსიკონებში შეიტანეს სიტყვები «указ» და «совет», უეჭველად იქვე უნდა შეიტანონ რუსული სიტყვაც «подвиг»...

შემდგომ ვნახავთ, რამდენად ღრმა იყო ნ. რერიხის დაკვირვება ამ სიტყვაზე, რომელიც რუსი ადამიანის ხასიათის იდუმალ ნიშანს გამოხატავს. მაგრამ სჯობს კვლავ მოძრაობაზე განვაგრძოთ საუბარი.

მახსოვს ჩემს ბავშვობაში რუსული ცეკვა, ვოლგაზე რომ ვნახე. მტვირთავი ცეკვავდა, გამალებული იქნევდა ხელ-ფეხს, მერე ქუდი წაიძრო და ხალხისაკენ მოისროლა. თან გაჰყვიროდა: «Порвусь! Порвусь! Ой порвусь!» იგი ცდილობდა თავისი სხეულით რაც შეიძლება მეტი სივრცე დაეკავებინა.

რუსულ გაბმულ ლირიკულ სიმღერაშიც არის კვალი უკიდეგანო სივრცეებზე. და ეს სიმღერა უკეთ ჟღერს არა ჭერქვეშ, არამედ ველად, ღია ცის ქვეშ.

ზარის რეკა სივრცეს უნდა გასწვდენოდა, ძალზე შორს უნდა გახმაურებულიყო. და სამრეკლოში ახალ ზარს რომ ჩამოკიდებდნენ, საგანგებოდ აგზავნიდნენ ხალხს, რათა შეეტყოთ, სადამდე აღწევსო ამ ზარის ხმა.

სწრაფი ჭენება, ქროლვა — ესეც სივრცისკენ მისწრაფებაა. ამგვარივე განსაკუთრებული დამოკიდებულება სივრცესთან შეინიშნება ბილინებშიც. მიკულა სელიანინოვიჩი გუთანს მიჰყვება მინდვრის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე. სამი დღე დასჭირდა ვოლგას, რათა დასწეოდა მას ბუხარული ულაყებით.

Услыхали они в чистом поли пахари
Пахаря — пахарюшка,
Они по день ехали в чистом поли,
Пахаря не наехали,
И под другой день ехали с утра до вечера,
Пахаря и наехали

სივრცის განცდაა აგრეთვე გამოხატული ბილინების დასაწყისში, სადაც რუსული ბუნების აღწერაა მოცემული, დევ-გმირების სურვილებშიც. მაგ. ვოლგას სურვილებში.

Похателось Вольги-то много мудрости:
Щукой рыбою ходить — Вольги во синих морях,
Птицей соколом летать — Вольги под облака,
Волком и рыскать во чистых полях.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან კიდევ ბილინაში „სოლოვეი ბუდიმიროვიჩის შესახებ“

Высота ли, высота поднебесная,
Глубота, глубота акиян-моря,
Широко раздолье по всей земли,
Глубоки омоты днепровския...

ის კოშკები კი, ზაპავა პუტიატიჩინას ბაღში რომ აგებს სოლოვეი ბუდიმაროვიჩის რაზმი, ბუნების სიდიადითაა ფრთაშესხმული:

Хорошо в теремах изукрашено:
На небе солнце — в тереме солнце
На небе месяц — в тереме месяц,
На небе звезды — в тереме звезды,
На небе заря — в тереме заря
И вся красота поднебесная.

სივრცეებით აღფრთოვანება შეინიშნება ძველ რუსულ ლიტერატურაშიც — მაგალითად, მატიანეში, აგრეთვე ნაწარმოებებში „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, „ამბავი რუსული მიწის დაღუპვისა“, ალექსანდრე ნეველის ცხოვრებასა და XI—XIII საუკუნის თითქმის ყველა ნაწარმოებში. მოვლენები ან ვეებერთელა სივრცეშია გაშლილი, როგორც ეს იგორის ლაშქრობაშია, ანდა ვეებერთელა სივრცეზე ხდება და გამოძახილი აქვს შორეულ ქვეყნებშიაც, როგორც ალექსანდრე ნეველის ცხოვრებაში გახლავთ. ძველთაგანვე რუსული კულტურა ფართო სივრცეს და თავისუფლებას უდიდეს ესთეტიკურ და ეთიკურ სიკეთედ მიიჩნევდა.

ისევ სიკეთის თაობაზე

მე მართებულად არ მიმაჩნია ნოვგოროდის და ფსკოვის ეკლესიებზე გამოთქმული ბანალური აზრი, თითქოს ეს ეკლესიები მხოლოდ ძალითა და ძლიერებით არიან სავსენი, თითქოსდა ისინი უხეშნი და ლაკონიურნი არიან თავიანთი სისადავით. საამისოდ მათი მოცულობა არ კმარა.

ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს მშენებლებმა კი არ ააგეს ეს ეკლესიები, არამედ გამოძერწეს. ამასთანავე თვალსაჩინო, მაღლობ ადგილებზე დადგეს და გასაქანი მისცეს, რათა მდინარეთა და ტბათა სიღრმეში ჩაეხედათ, გულღიად შეგებებოდნენ წყალთა და ხმელთა ზედა მოსიარულეთ. ამ ეკლესიებს აშენებდნენ ბუნებრივი გარემოს გათვალისწინებით. წინასწარ არც პერგამენტზე დაუხაზავთ გეგმა და არც ქაღალდზე, პირდაპირ მიწაზე გააკეთეს მონახაზი და შემდეგ მშენებლობის დროს შეიტანეს ის შესწორებანი, რომელიც გარემომ უკარნახათ.

ამ სადა, ამ ხალისიან ქმნილებებს, შეთეთრებულთ და „პატარძლებივით“ კდემამოსილთ, სრულებით არ ეწინააღმდეგება მოსკოვის ეკლესიები — აყვავებული ბუჩქებივით ჭრელი და ასიმეტრიული, ოქროსთავიანები და სალმიანები, რომლებიც თითქოსდა ხუმრობით

დადგაო ვიღაცამ. თითქოსდა ბებიამ გაუკეთაო ძვირფასი სათამაშო თავის შვილიშვილებს. ტყუილად როდი აქებდნენ ძველ ძეგლებში ამ ეკლესიებს, თან დასძენდნენ: „მხიარულობენო ტაძრები“. და მართლაც შესანიშნავი ამბავია: ყველა რუსული ეკლესია მხიარული საჩუქარია — ადამიანებისა, საყვარელი ქუჩისა, საყვარელი სოფლისა, ტბის თუ მდინარისადმი მიძღვნილი, და როგორც ყველა სიყვარულით ნაბოძები ძღვენი, მოულოდნელია: მოულოდნელად წამოჰყოფს ხოლმე თავს ტყეში თუ ველად, მდინარისა თუ გზის მოსახვევთან. XII და XVII საუკუნეების მოსკოვის ეკლესიები შემთხვევით როდი მოგვაგონებენ სათამაშოს. ეკლესიას ტყუილად კი არა აქვს თავი, კისერი, მხრები, ტერფი და „თვალები“ — წარბებიანი ან უწარბო ფანჯრები. ეკლესია — მიკროკოსმოსია, მიკროსამყარო — ბავშვის სათამაშო სამეფო და ამ სამეფოში ადამიანს მთავარი ადგილი უჭირავს.

უზარმაზარი ტყეების გულში, დამქანცველი გზის ბოლოს მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე ხისგან ნაშენი ჩრდილოური ეკლესიები — ბუნების თვალწარმტაცი სამკაული.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ძველ რუსეთში აგრერიგად უყვარდათ შეუღებავი ხე — გრილი და ფაქიზი. ქოხები დღესაც სავსეა ხის ნაკეთობებით. იქ არაფერს არ იტკენ. იქ არ შეიძლება სახლის პატრონს ან სტუმარს რომელიმე ნივთმა მოულოდნელი სიცივე აგრძნობინოს. ხე მუდამ თბილია, მას რაღაც ადამიანური გააჩნია.

ყოველივე ეს ცხოვრების სიიოლეზე კი არ მეტყველებს, იმ სიკეთეს გვიდასტურებს, რითაც ადამიანი გარემომცველ სიძნელეებს ხვდებოდა. ძველი რუსული ხელოვნება გადამლახველია ადამიანის გარემომცველი უძრაობისა, გადამლახველია მანძილისა ადამიანებს შორის, იგი ადამიანის შემრიგებელია გარესამყაროსთან, იგი კეთილია.

ბაროკოს სტილი, რომელიც XVII საუკუნეში შემოიჭრა რუსეთში, თავისებურია. ეს სტილი განსაკუთრებით რუსეთში გახდა თავისებური. რუსული ბაროკო დასავლეთევროპულისაგან განსხვავებით მოკლებულია მძიმე და ღრმა ტრაგიზმს. რუსულ ბაროკოში არ იგრძნობა ინტელექტუალური ტრაგედია. ის თითქოს ზედაპირულია და მასთანავე უფრო ხალისიანი, მსუბუქი და იქნებ ოდნავ თავქარიანიც კი. რუსულმა ბაროკომ დასავლეთევროპულისაგან მხოლოდ გარეგნული ელემენტები გადმოიღო, და ეს ელემენტები ათასგვარ ხუროთმოძღვრული გამონაგონის განსახორციელებლად გამოიყენა, რაც უჩვეულოა საეკლესიო ხელოვნებისათვის. სხვაგან ვერსად შეხვდებით ასეთ ხალისიან და მხიარულ რელიგიურ ცნობიერებას, ასეთ ხალისიან საეკლესიო ხელოვნებას. სჯულის კიდობანთან მროკავი მეფე დავითი გაცილებით უფრო სერიოზული ჩანს ამ ჭრელ და მოღიმარე ნაგებობებთან შედარებით.

ასე იყო რუსეთში ბაროკოს დროსაც და ბაროკოს დამკვიდრებამდეც. შორს რომ აღარ წავიდეთ, ვასილი ნეტარის ეკლესია გავიხსენოთ. თავდაპირველად მას სხვა სახელი ჰქონდა, შემდეგ კი ხალხმა სალოსის, წმინდა ვასილი ნეტარის ეკლესიად მონათლა იგი. თავდაპირველად ეს სახელი ამ ეკლესიის ეკვდერს ეწოდა. ვასილი ცეტი, ჭკუამხიარული წმინდანია. საკმარისია შეაბიჯო ამ ტაძარში, რათა განგაცვიფროს მისმა სიცეტემ, ჭკუამხიარულობამ. ტაძარში სივიწროვეა და ადვილად შეიძლება გზა აგებნეს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ტაძარი კრემლს კი არ შეუერთეს, არამედ ქალაქის წინ, სავაჭროებშუა დადგეს. ეს ტაძარი კი არა, ლაღობაა. ოღონდ წმიდათაწმიდა ლაღობა და წმიდათაწმიდა სიხარული. რაც შეეხება ცე-

ტობას, ჭკუამხიარულობას, ტყუილად კი არ არის რუსულ ენაში «ах ты мой глупенький», «ах ты мой дурачок» ყველაზე საალერსო სიტყვები. ზღაპრებში ხომ სულელი სხვა ჭკვიანთა შორის უჭკვიანესი აღმოჩნდება ხოლმე და იღბლიანთა შორის უიღბლიანესი: «Старший умный был детина, средний сын и так и сяк, младший вовсе был дурак». ასეა ნათქვამი ერშოვის „კუზიან ცხენში". (და ძალზე ხალხურადაცაა ნათქვამი. სულელი საბოლოოდ მეფის ასულზე დაქორწინდება, ამ საქმეში კი ერთი უხეირო და ულამაზო კუზიანი ცხენი დაეხმარება. მაგრამ ივანუშკას მხოლოდ ნახევარი სამეფო ჩაუვარდება ხელთ. რას უზამს, რაი მოუხერხებს ამ სამეფოს, კაცმა არ იცის. ალბათ მიატოვებს, რადგან აბა ის რა სამეფოა, სადაც სულელები მეფობენ.

ვასილი ნეტარის ხუროთმოძღვრების სიცეტე მისი არაპრაქტიკულობა გახლავთ. ეკლესიაა, მაგრამ შეხვალ და სალოცავი ადგილი თითქმის არც არის, თავზე აგებნევა. რაოდენია ამ ეკლესიაში პრაქტიკული თვალსაზრისით სრულიად უმიზნო სამკაული და მორთულობა! მოესურვა ხუროთმოძღვარს და გააკეთა კიდეც (გაკეთდა-მეთქი, კინაღამ ვთქვი. ეკლესიაში მართლაც ბევრი რამაა ისეთი, რაც თითქოს თავისთავად გაკეთებულა).

ისმის კითხვა: რატომ აკეთებდნენ ხუროთმოძღვარნი ასე და არა სხვაგვარად? ისინი ალბათ მიპასუხებდნენ, რათა უფრო საოცარი ყოფილიყოო. და მართლაც დგას ეს საოცარი ეკლესია, მშვენიერი და უცნაური ერთდროულად, და აოცებს ყველას მოსკოვის შუაგულში, ყველაზე მისადგომ ადგილას.

ვასილი ნეტარის ეკლესია ივანე მრისხანეს დროს აშენდა, როგორც ერთგვარი გამოწვევა, პასუხი წესრიგისა და სიმკაცრის მიმართ. რუსი სალოსები და ჭკუასუსტები ბოიარების და მეფის ჭკუასუსტობას უფრო ავლენდნენ, ვიდრე თავისას.

ჭკუასუსტების, სულელების ადგილი ძველ რუსეთში მეფის გვერდით იყო. ისინი სამეფო ტახტის საფეხურებზე ისხდნენ, თუმცა მეფეებს ეს ამბავი მაინცდამაინც არ მოსწონდათ. დაბრძანებულა მეფე კვერთხით ხელში ტახტზე, გვერდით კი მასხარა უზის, მათრახს იქნევს და ხალხის სიყვარულს იხვეჭს. ცოტაც და, ივანუშკა-სულელი ივანე მეფისწულად იქცევა.

მაგრამ კრემლში თავის დროზე ვასილი ნეტარის ეკლესიის აშენება არ მოხერხდა, ვერც ივანუშკამ მოახერხა სამეფოს ხელში ჩაგდება, თუმცა ხალხის გული კი დაიპყრო. ნახევარი სამეფო, რომელსაც ის დაეუფლა, ნამდვილი სამეფო როდი იყო. მგონი, თავად ივანე მრისხანესაც შურდა ივანუშკა-სულელის დიდება, ამიტომ გიჟობდა უსაზღვროდ — გაუთავებლივ ქორწინდებოდა, ორ ნაწილად ჰყოფდა სამეფოს. ნახევარი სამეფო რომ დარჩენოდა, თან ალექსანდროვსკოეში ოპრიჩნიკებთან ერთად მასხარაობდა. მეფობაზეც კი უთქვამს უარი. მონომახის ქუდი მეფისწულს, სიმეონ ბებულატოვიჩს დაახურა, თვითონ კი უბრალო მარხილით ეახლა ანუ უდიდეაი მორჩილება და თავმოდრეკა გამოავლინა. ივანე საკუთარი თავის დამამცირებელ აზრებსაც წერდა. ბოიარებისა და უცხო ქვეყნის მეფეებისადმი მიწერილ წერილებში უთავბოლოდ ლაზღანდარობდა და ზოგჯერ იმასაც ამბობდა, მონასტერში წავალო. მაგრამ ივანე ივანუშკად არ ქცეულა. მისი ოხუნჯობა და მასხარაობა კაციჭამიის ოხუნჯობა და მასხარაობა იყო.

ივანე მრისხანე მეფე სიმეონს სთხოვდა დაერთო მისთვის ნება „შერჩევით მოესპო ადამიანები", მოსკოვში ჩვეულებრივად კი არ დადიოდა, ქარივით დაქროდა, უმოწყალოდ სრესდა ხალხს

მოედნებსა და ქუჩებში. ხალხის სიყვარული არ დაუმსახურებია, თუმცა ერთ დროს ზოგიერთი შეეცადა იგი სახალხო მეფედ წარმოესახა.

სამაგიეროდ მთელი რუსეთის მიწაზე დააბიჯებდნენ და დაეხეტებოდნენ სულელები, გარეულ ცხოველებსა და ფრინველებთან საუბრობდნენ, ლაზღანდარობდნენ, ხალხს ასწავლიდნენ, მეფეს ნუ დაუჯერებთო. სკომოროხებიც სულელების კვალობაზე მასხარაობდნენ, თითქოს თავიანთ თავს დასცინოდნენ, ხალხს კი ჩააგონებდნენ, თავისუფლება გიყვარდეთო, ანგარიში არ გაუწიოთო სხვის ყოყლოჩინობას და მედიდურობას, ნუ დააგროვებთო სიმდიდრეს, ადვილად მიატოვეთო შეჩვეული ადგილ-სამყოფელი, ლაღად იცხოვრეთო, ლაღადვე იმოგზაურეთ მშობელ მიწაზე, შეიფარეთ და დააპურეთ [illegible]-უქონელნი, სიცრუეს ნუ [illegible].

და იქმოდნენ გმირობას სკომოროხები და სალოსები, იმ გმირობას, ყველანი რომ თითქმის წმინდანებად და ზოგი მართლაც წმინდანად აქცია. სალოსებს ხშირად წმინდანებად რაცხდა ხალხი. ასეთივე პატივი სკომოროხებსაც ხვდებოდა ხოლმე წილად. გაიხსენეთ შესანიშნავი ნოვგოროდული ბილინა „ვავილო სკომოროხი“:

А скоморохи люди не простые —
скоморохи люди святые.

სკომოროხების ხელოვნებიდან რაღაც ნაწილი ხალხის გულში ილექებოდა, რადგან ხალხი თვითონვე ბადებს თავის მასწავლებლებს. იდეალი არსებობდა მანამდე, სანამ ის ხორცს შეისხამდა. ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში „თქმულება უჩინმაჩინ ქალაქ კიტეჟზე“ ხალხი მიმართავს დათვს: „აბა, გვიჩვენე, დათუნიავ, გვიჩვენე, შე სულელო“.. ოპერის ლიბრეტოს ავტორმა ვ. ბელსკიმ კარგად გაიგო აქ ხალხის ეს დიდებული თვისება.

კარგი რუსულ ენაში, პირველ ყოვლისა, კეთილს ნიშნავს. „გამოგზავნე კეთილი საკითხავი“, — წერს სიგელში თავის მეუღლეს ერთი ნოვგოროდელი. კეთილი საკითხავი კარგი საკითხავია. კეთილი საქონელი კარგი საქონელია. სიკეთე ადამიანური თვისებაა, რომელიც ყველაზე მეტად ღირებულია. კეთილი კაცი უკვე თავისი სიკეთით ძლევს ყველა ადამიანურ ნაკლს. ძველ დროში რუსეთში უბრალოს კეთილს არ უწოდებდნენ, რუსული ზღაპრების სულელი კეთილია, მაშასადამე, ჭკვიანურად იქცევა და ცხოვრებაში თავის წილს მოიპოვებს. რუსული ზღაპრის სულელი მოეფერება უშნო კუზიან ცხენს და ხორბლის მოსაპოვებლად მოფრენილ ფასკუნჯს გაუშვებს. ისინი კი გაჭირვების ჟამს მის ნაცვლად ყველაფერს ილონებენ, რაც კი ძალუძთ. სიკეთე მუდამ ჭკუითაა აღბეჭდილი. სულელი ყველას სიმართლეს ეუბნება, რადგან მისთვის არ არსებობს წეს-კანონები, რადგან მას არაფრის არ ეშინია.

ივანე მრისხანეს დროს ტერორის მძვინვარების წლებში სიკეთე იშვიათად, მაგრამ მაინც ავლენდა თავს. რამდენი სიკეთით აღვსილი სახე შექმნეს XVI საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის ხატთ დამწერლებმა: ფილოსოფიით (ე. ი. სიბრძნის სიყვარულით) გაბრძნობილი ეკლესიის მამებისა, სიმღერით მოჯადოებული წმინდანებისა; რაოდენი ნაზი დედობრივი გრძნობა და ადამიანებზე ფიქრია ჩაქსოვილი იმდროინდელ მცირე ზომის საოჯახო ხატებში! მაშასადამე, XVII საუკუნეში ყველა შეიპყრო სისატიკემ. რუსეთში ცხოვრობდნენ კეთილებიც, ადამიანურებიც, უშიშარნიც. ხალხის სიკეთე მძლავრობდა:

ანდრეი რუბლიოვის ფრესკებზე უს-

პენაკის ტაძარში გამოსახულია განკითხვის დღეზე მიმავალი ადამიანები, ჯოჯოხეთურ საწამებელზე ისინი გასხივოსნებული სახეებით მიაბიჯებენ — ვინ იცის, ამქვეყნიური ცხოვრება ჯოჯოხეთზე უარესი იყოსო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსული ბუნება და რუსული ხასიათი

მე ზემოთ აღვნიშნე, რაოდენ მძლავრად მოქმედებს რუსული ვაკე და დაბლობები რუსი კაცის ხასიათზე. ამ ბოლო დროს ჩვენ ხშირად გვავიწყდება გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის არსებობს და არც არავის უარუყვია.

ახლა მე მსურს საუბარი იმაზე, თუ, თავის მხრივ, ადამიანი როგორ ზემოქმედებს ბუნებაზე. ეს აღმოჩენა კი არ არის, უბრალოდ ჩემი ნააზრევის გაზიარებაა.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული და უფრო ადრეც, XVII საუკუნიდან, კულტურას მკვეთრად უპირისპირებენ ბუნებას. ამ საუკუნეებმა შექმნეს მითი ბუნებასთან ახლომყოფ და ამიტომ არამარტო გაურყვნელ, არამედ გაუნათლებელ „ბუნებრივ ადამიანზე“. დაფარულად თუ დაუფარავად ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად ითვლებოდა უვიცობა. ეს მარტო ღრმად მცდარი აზრი როდია, ამ ცთომილებას ის შეხედულებაც მოჰყვა თან, რომ კულტურის და ცივილიზაციის ყოველგვარი გამოვლინება აკნინებს, რყვნის ადამიანს, ამიტომ საჭიროა მივუბრუნდეთ ბუნებას და გვრცხვენოდეს ჩვენი ცივილიზებისაო.

ამგვარი დაპირისპირება კულტურისა ბუნებასთან განსაკუთრებით განმტკიცდა რუსოს შემდეგ. რუსეთში კი რუსოიზმი XIX ს. თავისებური ფორმით გამოვლინდა. ეს ფორმები იყო ხალხოსნობა, ტოლსტოის შეხედულებები „ბუნებრივ ადამიანზე“ — გლეხზე, რომელიც „განათლებულთა წოდებას“, ინტელიგენციას უპირისპირდებოდა.

ხალხში სიარულმა XIX—XX საუკუნეებში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით მრავალი გაუგებრობა წარმოშვა ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში. გაჩნდა გამოთქმა „დამპალი ინტელიგენცია“ და იმავდროულად ზიზღიც დაიბადა ვითომდაც უნიათო, თავმოუბმელი ინტელიგენციისადმი. წარმოიშვა უმართებულო თვალსაზრისი „ინტელიგენტ“ ჰამლეტზე, როგორც ნიადაგ მერყევ და გადაწყვეტილების უქონელ ადამიანზე. ჰამლეტი კი სულაც არ არის სუსტი პიროვნება: ის პასუხისმგებლობის გრძნობითაა აღსავსე, ის მერყეობს არა იმიტომ, რომ სუსტია, მერყეობს იმიტომ, რომ აზროვნებს და ზნეობრივად პასუხისმგებელია თავის საქციელზე.

განათლება და მაღალინტელექტუალური განვითარება ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა, უვიცობა და არაინტელიგენტობა ნორმალური მდგომარეობა არ არის. უვიცობა — ზერელეთმცოდნეობა, თითქმის სენია. ამას იოლად დაასაბუთებენ ფიზიოლოგები.

მართლაც ადამიანის ტვინს უზარმაზარი მარაგი გააჩნია. შედარებით ჩამორჩენილი განათლების მქონე ხალხებსაც კი აქვთ „ოქსფორდის სამი უნივერსიტეტის სამყოფი ტვინი“. სხვაგვარად მხოლოდ რასისტები ფიქრობენ. ყოველი ორგანო, თუკი ის არასრული ძალით მუშაობს, არანორმალური ხდება, სუსტდება, გადაგვარებას იწყებს, „სნეულდება“. ამასთანავე ტვინის სნეულება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივ მხარეზე ზემოქმედებს.

ბუნების და კულტურის დაპირისპირება უმართებულოა კიდევ ერთი მი-

ზეზის გამო. ბუნებას ხომ თავისი კულტურა აქვს. ქაოსი სრულიადაც არ არის ბუნებისთვის ჩვეული მდგომარეობა. პირიქით, ქაოსი (თუკი საერთოდ არსებობს) — ბუნებისთვის უჩვეულო გამონაკლისია. რაში გამოიხატება ბუნების კულტურა? ცოცხალი ბუნება ყოველთვის ერთობისა და თანაცხოვრების ფორმებით არსებობს. არსებობს მცენარეთა ასოციაციები: ხეები შერეულად კი არ იზრდებიან, გარკვეული ჯიში გარკვეული ჯიშის მცენარეულობასთან თანაარსებობს. მაგალითად, ფიჭვები გარკვეული სახის ხავსეულთან, სოკოებთან, ბუჩქებთან მეზობლობენ და ა. შ. ეს ყველა სოკოს მოყვარულს ახსოვს. ქცევის გარკვეული წესები ნიშნეულია არა მარტო ცხოველებისთვის (რაიც კარგად იციან ქალაქში მცხოვრებმა ძაღლების და კატების მოყვარულებმა), არამედ მცენარეებისთვისაც. ხეები სხვადასხვაგვარად მიილტვიან მზისკენ — ზოგნი ქუდებით, რათა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, ზოგნი კი განტოტვილად, რათა დაფარონ და გაუფრთხილდნენ ხეთა სხვა ჯიშებს, მათ ძირას რომ იწყებენ ზრდას.

თხმელის ძირას ფიჭვი იზრდება. გაიზრდება ფიჭვი და თხმელაც, რაკიღა თავისი საქმე გაასრულა, კვდება. მე ვაკვირდებოდი ამ მრავალწლოვან პროცესს ლენინგრადის მახლობლად, ტოქსოვოში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს აკაფული ფიჭვის ტყეები თხმელის ნაყარმა შეცვალა. შემდეგ კი თავის ტოტებქვეშ თხმელა ახალგაზრდა ფიჭვებს ენანავებოდა. ახლა იმ სანახებში ისევ ფიჭვები ხარობენ.

ბუნება თავისებურად „სოციალურია". ბუნების „სოციალურობა" ისიცაა, რომ მას ძალუძს ადამიანთან თანაარსებობა და მეზობლობა. თუკი ადამიანი, თავის მხრივ, თვითონაც სოციალურია და ინტელექტუალური.

რუსი გლეხი მრავალსაუკუნოვანი შრომა-გარჯით ქმნიდა რუსული ბუნების მშვენიერებას. ის ხნავდა მიწას და ამით გარკვეულ სახეს აძლევდა მას. საზღვრებს რუსულ ბუნებაში ადამიანის და ცხენის შრომა-გარჯის [illegible] შეეფარდებოდა, იმ ძალ-ღონის თანაფარდობით [illegible] ხანავდა რუსი გლეხკაცი და გუთანს მიჰყვებოდა ცხენით. მიწის მუშა გაუფრთხილდებოდა ნიადაგს. ასწორებდა, შლიდა მკვეთრ საზღვრებს, ბორცვაკებს, ყრიდა ქვებს. რუსული ბუნება რბილია, იგი თავისებურადაა მოვლილი გლეხკაცის მიერ. გუთნით და კავით მომუშავე გლეხი მარტო კვალს კი არ ავლებდა, საზღვრებსა და ტყის პირებს ათანაბრებდა, რათა შეუმჩნევლად შერწყმოდა ერთურთს ტყე და ველი, ველი და მდინარე ანდა ტბა.

რუსული პეიზაჟი ძირითადად ორი დიდი კულტურის ძალისხმევამ შექმნა: ადამიანის კულტურამ, რომელიც არბილებდა ბუნების სიუხეშეს, და ბუნების კულტურამ, რომელიც, თავის მხრივ, ასევე არბილებდა იმ ხარვეზებს, ადამიანის ჩარევით რომ იყო უნებლიეთ გამოწვეული. ლანდშაფტი იქმნებოდა, ერთი მხრივ, ბუნების მეშვეობით, რომელიც ითავისებდა და ფარავდა იმ უწესრიგობას, ადამიანს რომ შეჰქონდა მის წიაღში, და მეორეს მხრივ, ადამიანის მეშვეობით, რომელიც ამუშავებდა მიწას და უფრო ნაზს ხდიდა პეიზაჟს. ორთავე კულტურა ავსებდა და აწონასწორებდა ერთურთს და ამასთანავე ადამიანურობას და თავისუფლებას ამკვიდრებდა სამყაროში.

აღმოსავლეთ ევროპის ვაკეთა ბუნება თვინიერია, აქ ვერ ნახავთ ცადაზიდულ მთებს. ეს ვაკეები მდინარეებს დაუქსელავს, რათა „მიმოსვლის საშუალებად" გამოიყენონ. ირგვლივ დაუბინდავი, ნათელი ცაა. დაფერდილი კორდები და უსასრულო, ყველა მაღლობის ძირას დაკლაკნილი გზებიც. საგულდაგულოდ ათანასწორებდა ადამიანი გორაკებს. აღ-

მართებსა და დაღმართებს! აქ მხვნელის გამოცდილება პარალელური ხაზების ესთეტიკას ქმნიდა, ერთურთთან და ბუნებასთანაც შეწყობილს, თითქოს ძველრუსულ საგალობელს ისმენდე. აქ მხვნელი კვალს კვალზე თანაზომიერად ავლებდა, ისევე თანაზომიერად, როგორც ძელი ძელსაა ქოხში მიწყობილი, როგორც სარი სარზეა ღობეში, როგორც თვითონ ქოხებია რიტმულ მწკრივად გაშლილი გზის გასწვრივ ანდა მდინარის პირას, — დაუარწყულებლად გამოსული ბახიოვით.

ამიტომაც ბუნებისა და ადამიანის მიმართებანი — ორი კულტურის მიმართებანია, რომელთაგან თითოეული თავისებურად „სოციალურია", საკუთარი „ქცევის წესები" გააჩნია. მათი შეხვედრა თავისებურ ზნეობრივ საფუძველზე შენდება. ორივე კულტურა ისტორიული განვითარების ნაყოფია. ადამიანური კულტურა დასაბამითგანვე ბუნების ზემოქმედებით ვითარდება (მას აქეთ, რაც კაცობრიობა არსებობს), ბუნება კი მრავალი საუკუნეა რაც არსებობს და შედარებით გვიან მოექცა ადამიანის კულტურის ზეგავლენის ქვეშ. ბუნების კულტურას შეუძლია ადამიანური კულტურის გარეშე არსებობა, ადამიანურ კულტურას კი არ ძალუძს ბუნების კულტურის გარეშე. და მაინც, მრავალი საუკუნის მანძილზე ადამიანსა და ბუნებას შორის წონასწორობა არსებობდა. ამ წონასწორობამ თითქოსდა ორივე მხარე თანასწორი უნდა დატოვოს, მაგრამ ასე არ ხდება, რადგან იგი ძალზე თავისებურია, ყველგან მისეულ ძირს, მისეულ ღერძს ეფუძნება. ჩრდილოეთ რუსეთში უპირატესობა ბუნებას ეკუთვნის, ხოლო რაც უფრო ვუახლოვდებით სტეპს, სასწორი ადამიანისკენ იხრება.

იმას, ვინც ნამყოფია კიჟიში, ალბათ უნახავს მთელი კუნძულის გასწვრივ ვეებერთელა ცხოველის ხერხემალივით გაჭიმული ქვების ჯაჭვები. ამ ჯაჭვების გვერდით გზა გარბის. ეს ხერხემალი ასწლეულთა მანძილზე იქმნებოდა. გლეხკაცი მიწას რომ ასუფთავებდა, კაჭარს და რიყის ქვას გზისპირას ყრიდა. ასე შეიქმნა დიდი კუნძულის ზღუდეები. ამ რელიეფს სიძველის განუყრელი იერი აქვს. ტყუილად კი არ ცხოვრობდა ამ კუნძულზე ბილინების მთქმელი რიაბინინების მრავალი თაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიათურ სივრცეში გაშლილი რუსეთის პეიზაჟი თითქმის მაჯის ფეთქვას ჰგავს. იგი ხან განიმუხტვის და უფრო ბუნებისმიერი ხდება, ხან კი მჭიდროვდება — სოფლებში, სოფლის სასაფლაოებზე, ქალაქებში — და უფრო ადამიანურ იერს იძენს. სოფლად თუ ქალაქად პარალელური ხაზების ის რიტმი გრძელდება, რომელიც ხნულიდან დაიწყო. კვალი კვალს მიჯრია, ძელი ძელს, ქუჩა ქუჩას. დიდი რიტმული დანაყოფები მცირე და დაწილადებულ დანაყოფებს ეთანადება. ისინი შეუმჩნევლად ეერთდებიან ერთიმეორეს. ქალაქი არ უპირისპირდება ბუნებას. იგი ბუნებას გარეუბნის მეშვეობით ერწყმის. გარეუბანს კი რუსულად «Пригород» ეწოდება — ეს სიტყვა თითქოსდა საგანგებოდაა შექმნილი, რათა გააერთიანოს წარმოდგენა ქალაქზე და სოფელზე. Пригород — იმას აღნიშნავს, რაც ქალაქთანაა და თან ბუნებასთანაც. იგი თავისი ბოსტნებითა და ბაღჩებით ჩახვევია ქალაქის კედლებს, მიწაყრილსა და თხრილებს, და ამავე დროს იმ ველებსა და ტყეებს, რომელთაგანაც თავის ჭებისა და გუბურებისთვის ცოტაოდენი ხეები, ბაღჩები, ცოტაოდენი ბოსტნები და ცოტაოდენი წყალი წაურტაცია. ყოველივე ეს კი მოქცეულია კვალთა, ქუჩაბანდთა, სახლთა, ძელთა, ქვაფენილთა და ხიდთა ფარულ თუ დაუფარავ რიტმთა მიმოქცევაში.

რუსული პეიზაჟური ფერწერის შესახებ

რუსულ პეიზაჟურ ფერწერაში მრავალი ნაწარმოებია წელიწადის დროებისადმი მიძღვნილი. შემოდგომა, გაზაფხული, ზამთარი — XIX საუკუნისა და მომდევნო ხანის რუსული პეიზაჟური ფერწერის საყვარელი თემებია. რაც მთავარია, ეს ფერწერა გადმოსცემს ბუნების არა უცვლელ ელემენტებს, არამედ მეტწილად დროებითებს. ესაა ადრეული თუ გვიანი შემოდგომა, გაზაფხულის წყლები, თოვლის დნობა, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ზამთრის მზე, პირქუში ღრუბლებიდან რომ იმზირება და ა. შ. რუსეთში არაა მუდმივი, წლის სხვადასხვა დროში უცვლელი მთები, მარადმწვანე ხეები. რუსეთის ბუნებაში ყოველივე ცვალებადი შეფერილობა და მდგომარეობა მოსდგამს. ხეთა ტოტები ხან გაშიშვლებულია, მაშინ ისინი თავისებურ „ზამთრის გრაფიკას" ქმნიან, ხან კი ხასხასა, თვალწარმტაცი გაზაფხულის ფოთლითაა შემოსილი. შემოდგომის ტყე უხვია თავისი ელფერითა და ფერადოვნებით. წყალიც იცვლება, ხან ცის ფერს ირეკლავს, ხან ნაპირებისას, ძლიერი ან სუსტი ქარის მეშვეობით რომ იცვლიან სახეს. ასევე ცვალებადია გუბეები, სივრცე, ნისლი, ნამი, ჭირხლი, მშრალი და სველი თოვლი. ესაა მარადიული მაცვარადი, ფერთა და ხაზთა მარადიული დღესასწაული, მარადიული მოძრაობა წელიწადის ან დღე-ღამის ფარგლებში.

ამგვარი ცვლილებები სხვა ქვეყნებშიაც გვხვდება, მაგრამ რუსეთში მათ უფრო შეამჩნევ რუსული ფერწერის წყალობით. აქ პირველი სიტყვა ვენეციანოვსა და მარტინოვს ეკუთვნის. რუსეთში კონტინენტური ჰავაა. ამგვარი ჰავა კი წარმოშობს ძალზე მკაცრ ზამთარსა და ძალზე ცხელ ზაფხულს. ფერთა ელვარებით აღსავსე გაზაფხულს ტიუტჩევის მიერ ხოტბაშესხმულ გაჭანურებული შემოდგომის [illegible] — როცა ესოდენ გამჭვირვალეა ჰაერი და რომლის მიწურულიც ესოდენ [illegible] პუშკინს. მაგრამ სამხრეთის [illegible] განსხვავებით, რუსეთში, განსაკუთრებით თეთრი ზღვისა ან თეთრი ტბის ნაპირებზე უჩვეულოდ ხანგრძლივი საღამოები იცის. ჩამავალი მზე წყლის ზედაპირზე წარმავალ ცვალებად ფერთა ათინათს, ფერთა თამაშს ქმნის. ამასთანავე აქ ალიონიც ხანგრძლივი და მშვენიერია. ზოგჯერ (მეტწილად კი გაზაფხულზე) „მზე თამაშობს". გეგონება, ძვირფასი თვლები გამოცდილ მჭრელს გამოუთლიაო. თეთრი ღამეები და დეკემბრის შავი, ქუფრიანი დღეები მდიდარ ემოციურ პალიტრას ქმნის. ამ მრავალფეროვნებას ეხმაურება სწორედ რუსული პოეზიაც. საინტერესოა ის ამბავი, რომ საზღვარგარეთ მოხვედრილი რუსი მხატვრები თავიანთ პეიზაჟებში სწორედ წელიწადის დროთა ამ ცვლილებებს, ამ ატმოსფერულ მოვლენებს ეძიებდნენ. ასეთი იყო სილვესტრ შჩედრინი — შესანიშნავი პეიზაჟისტი, რომელიც „ჰაერის" მცირეოდენ ცვლილებათა განცდის წყალობით თავის იტალიურ პეიზაჟებშიც კი რუსად დარჩა. რუსული პეიზაჟისათვის დამახასიათებელი თავისებურება არსებითად პირველ რუს პეიზაჟისტ ვენეციანოვს აქვს მოცემული. ამ თავისებურებას ვასილიევის ადრეულ გაზაფხულშიაც იხილავთ. ის მაჟორულად მეტყველებს ლევიტანის შემოქმედებაში. დროის ამგვარი არამდგრადობა და მერყეობა ის ნიშანია, რომელიც თითქმის აერთიანებს რუს კაცს რუსეთის პეიზაჟთან. მაგრამ ნურც გადავაჭარბებთ, ეროვნული ნიშნების გაზვიადება და რაღაც განსაკუთრებულად მიჩნევა არ შეიძლება. ეროვნული თავისებურებები მხოლოდ აქცენტებია და არა ისეთი თვისებები, რომლებიც რო-

მელიმე ერა არ გააჩნია. ეროვნული თავისებურებები კი არ თიშავენ ერებს, კი არ კეტავენ თავის ნაჭუჭში, არამედ აახლოებენ მათ და ურთიერთის მიმართ ინტერესს აღუძრავენ. ხალხები — გალავან-კედლებით გარშემორტყმული გაერთიანება კი არ არის, არამედ ერთმანეთთან შეთანხმებული ასოციაციებია. ამიტომ ის თვისებები, რომელიც რუსულ პეიზაჟს და პოეზიას ახასიათებს, მეტნაკლებად ნიშნეულია აგრეთვე სხვა ქვეყნებისა და ხალხებისათვის. ხალხის ეროვნული თვისებები არსებობს არა თავისთავად, არა თავისთვის, არამედ სხვებისთვის. ისინი კარგად ჩანან მხოლოდ გარედან დაკავშირებისა თუ შედარებისას. ამიტომ სხვა ხალხებისთვისაც უნდა იყოს გასაგები, რაღაც განსხვავებული სახით სხვა ხალხებშიაც უნდა არსებობდეს.

როდესაც მე ვლაპარაკობ რუსი მხატვრის მგრძნობიარობაზე წელიწადის დროთა, „ატმოსფერულ ცვლილებათა" და სხვ. ამგვართა მიმართ, მაშინვე მახსენდება დიდი ფრანგი მხატვარი კლოდ მონე, მისი ნისლში გახვეული ლონდონის ხიდი, რუანის ტაძარი ან კიდევ ერთი და იგივე თივის ზვინი სხვადასხვა ამინდში და დღის სხვადასხვა ჟამს. მონეს ეს „რუსული" თვისებები სრულიადაც არ უარყოფენ ჩემს დაკვირვებებს, ისინი მხოლოდ იმას ცხადყოფენ, რომ რუსი ადამიანის თვისებები ერთგვარად ზოგადსაკაცობრიო თვისებებია.

ისმის კითხვა: ხომ არ შეეხება ჩვენი ნათქვამი XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის მხოლოდ რეალისტურ ფერწერას? მაგალითად, მხატვრებს, რომლებიც ეკუთვნოდნენ „ხელოვნების სამყაროს", მე ძალზე მომწონს სხვადასხვა მიმართულებები ფერწერაში, მაგრამ უნდა ვთქვა: წმინდა ფერწერია ხელოვნება, როგორიცაა, ჩემი აზრით, ფერწერა „აგურის ვალეტისა", „ვირის კუდისა", „ცისფერი რაინდისა" და სხვა მისთანათა, ნაკლებადაა დაკავშირებული იმ ტიპის ეროვნულ თვისებებთან, რომელზედაც ახლახან ვლაპარაკობდი, და მაინც, ის დაკავშირებულია რუსულ მატერიალურ ფოლკლორთან — ქარგვის ხელოვნებასთან, ფირნიშია, თიხის სათამაშოა, საერთოდ სათამაშოს ხელოვნებასთანაც კი, რამდენადაც ამ ფერწერაში მრავალია თამაშის, თხზვის და გამონაგონის ელემენტი. ეს ხელოვნება ანცი და მხიარულია. შემთხვევითი როდია ის ამბავი, რომ ამგვარი ხელოვნება გამოფენებს მოითხოვდა, ხმაურიან ვერნისაჟებთან იყო დაკავშირებული, ის მრავალი მნახველისთვის იყო შექმნილი, მას უნდა განეცვიფრებია და მითქმა-მოთქმა აღეძრა ხალხში. XX საუკუნის დასაწყისის რუსულ კულტურაში ბევრი რამ იყო მასკარადული და თეატრალური, რასაც ასე კარგად გადმოსცემს ახმატოვას „პოემა უგმიროდ".

ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ

უკვე დროა გავცე პასუხი ასეთ კითხვას: განა სხვა ხალხებს არ აქვთ ამგვარივე გრძნობა ბუნებისა, განა მათ არა აქვთ მჭიდრო კავშირი ბუნებასთან? აქვთ. რა თქმა უნდა აქვთ, მე იმ მიზნით როდი ვწერ, რომ დავამტკიცო რუსული ბუნების უპირატესობა სხვა ხალხთა ბუნების მიმართ. ყოველ ხალხს ბუნებასთან დიახაც თავისებური კავშირი აქვს.

იმისათვის, რომ შევადაროთ ადამიანების და ბუნების ერთობლივი ძალებით შექმნილი განსხვავებული ლანდშაფტები, ჩემი აზრით, საჭიროა საკუთარი თვალით ვნახოთ კავკასია, შუა აზია, გარდა ამისა ესპანეთი, იტალია, ინგლი-

სი, შოტლანდია, ნორვეგია, ბულგარეთი, თურქეთი, იაპონია, ეგვიპტე. ბუნებაზე არ შეიძლება იმსჯელო ფოტოგრაფიისა და პეიზაჟური ფერწერის საფუძველზე.

აქ ჩამოთვლილი მხარეებიდან და ქვეყნებიდან მე ზედაპირულად შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ კავკასიაზე, ასევე ინგლისზე, შოტლანდიაზე, ბულგარეთზე. ყოველ ამ „ეთნობუნებაში" ბუნებისა და ადამიანის მუდამ ამაღელვებელ, მრავლისმეტყველ დამოკიდებულებას შევხვდებით.

სასოფლო-სამეურნეო შრომამ, რუსეთის მსგავსად, ინგლისის ბუნებაც ჩამოაყალიბა. ამ ბუნებას მეცხვარეობა უფრო ქმნიდა, ვიდრე მიწათმოქმედება, ამიტომაა იქ ასე ცოტა ბუჩქები და ასეთი კარგი გაზონები. საქონელი „წიწკნიდა" პეიზაჟს, იოლად მისაწვდომს ხდიდა მას. ინგლისელები ხეებს გზებისა და გზაწვრილების პირას რგავენ, მათ შორის კი მინდვრებს და მდელოებს ტოვებენ. შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ საქონელი ინგლისური პეიზაჟური ფერწერის უცვლელი კუთვნილებაა. ეს რუსეთშიც შეინიშნეს. რუსეთის მეფის კარის პეიზაჟურ ბაღებში, რომელთაც ინგლისის ზეგავლენით გაუგეს რუსეთში გემო, დგას რძის ფერმები, ძოვენ ძროხები და ცხვრები.

ინგლისელებს უყვართ პარკები, სადაც თითქმის არაა ბუჩქები, უყვართ მდინარეების და ტბების შიშველი ნაპირები, სადაც წყლისა და ხმელეთის საზღვარი მკაფიო და ნარნარ ხაზებს ქმნის, უყვართ „განმარტოებული მუხები" ან ძველ ხეთა ჯგუფები, ბოსკეტები, რომლებიც ბუმბერაზი თაიგულებივით განლაგებულან მდელოებზე.

შოტლანდიის პეიზაჟები, რომლებიც ბევრისთვის (რომ გამოვტყდე, ჩემთვისაც) უბადლოა თავისი სილამაზით, ლირიული გრძნობის არაჩვეულებრივ ლაკონიურობას ამჟღავნებს. ეს თითქმის გაშიშვლებული პოეზია. შე[illegible] და იმავე იქ მოთელილი [illegible] კეთილი პოეზია — ინგლ[illegible] „ტბის სკოლის" მთები. [illegible] თავის მძლავრ ფერდობებ[illegible]ლოები, საძოვრები, ცხვრის ფარა და მოლის ადამიანები, არულად განსაკუთრებულ ნდობას იწვევენ. და ადამიანებმაც ანდეს თავისი თავი და საქონელი მთის ილაილებს. ლატრუპის საქონელი ბოლოსა და თავშესაფრის გარეშე. მთის ილაილებზე ძოვენ ძროხები, რომელთაც ზალზე თბილი და ხშირი ბალანი აქვთ. ისინი შეეჩვივნენ ღამის სიცივეს და სინესტეს. აქვე არიან ცხვრები, რომლებიც შესაფლავში [illegible] ნატყლს იღლევიან და ღამეს ერთად მეჭურჭლენი ათევენ აქვე, ეზოდებით სადაც სამოსში ჩაცმულ ადამიანებს, ილაილები ქვის ყორეებს დაუყოფიათ. მათ გამოჯ მარჯვენა აგებდა — [illegible] აგებენ, რომლებსაც [illegible] აწვდიან. [illegible] ქვის ყორეები ბუნების ისეთივე ნაწილია, როგორც ჩვენი ჩრდილოეთის ღობეები. მხოლოდ რიტმის მათში სხვა.

საქართველოში კიდევ მეტის, ძლიერ ვერცხლოვან თხოვეს [illegible] მთების. ზოგჯერ მიილტვიან მთებისაკენ (ყაზბეგის კოშკები). ზოგჯერ კი ძველად ტრადიციულად ნაგები სახლებით ეკლესიები და რაც თავდაცვითია — საქართველოში ბუნება ისეთი [illegible] და მძლავრი, რომ იგი [illegible] ადამიანს, გულში [illegible] და თავისი გოლიათური სული შთაბერა მას.

საქართველოზე ბევრი დაუწერია აქ ადარ ჩამოვთვლი XIX საუკუნის დიდ რუს პოეტებს, საბჭოთა პოეტებს ვგულისხმობ: პ. ანტოკოლსკის, ბ. ახმადულინას, ა. ვოზნესენსკის, [illegible] ევტუშენკოს, ნ. ზაბოლოცკის, [illegible] მანდელშტამს, ა. ტიხონოვს, ი. მორიცს, ბ. პასტერნაკს, ა. ტარკოვსკის და სხვებს. მე გავიხსენებ ნ. ზაბოლოცკის ერთ ლექსს, რომელიც ხა-

თელეყო ბუნებასა და ადამიანის დამოკიდებულება საქართველოში. ნუ დამძრახავ, მკითხველო, თუკი თავიდან ბოლომდე მოვიყვან ამ ლექსს. გინდა ლექსი შეუკვეცია და გინდა ფერწერული ტილო, ერთი და იგივეა. ნ. ზაბოლოცკის ლექსების გადაკითხვა კი მუდამ სიამოვნების მომნიჭებელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასანაურის ღამე

ბრწყინავდა ღამე და შვენოდა ფანდურს ჟღარუნი,
მთვარემ მოძებნა სიყვარულის წმინდა ალაგი,
და მიგალობდნენ ბულბულები მე სიყვარულით
ფასანაურში, სადაც მოჰქუხს ორი არაგვი.
ჯვრის უღელტეხილს დავეთხოვე და წამოვედი,
ჯვრის უღელტეხილს, მასში რომ ყინული ჯავშნავს,
და დავიღალე იმგვარად, რომ ვერა ვპოვებდი
ძალას და ხალისს, ყველაფერი აუგად დამრჩა.
ბულბულით ჰანგით რეტდასხმულმა გავიძრე ტანზე,
ხელში ფარანი მოვიმარჯვე დედიშობილამ.
და, ვით ქალწული უმანკო სურვილით სავსე,
შემომეხვია მდინარე და შვება მომგვრა.
და მე ვიწექი, ქვებს ვეჭიდე, დაღლილი რწევით
ტალღა სკდებოდა ჩემს თავზე, ვით მძვინვარე მეხი,
და ირწეოდნენ მდინარეში ნასობი ქვები.
ირწეოდნენ და ლუღლუღებდნენ უხმოდ ჩემს ფერხთით.
მე შევცქეროდი შორ ათინათს წყლის პირზე დახრილს,
შუქის ნაწრეტებს, შუქის თამაშს, შუქის ზიგზაგებს,
და მომიწევდა ნაპირიდან ვეება ძაღლი,
იზლაზნებოდა მედიდურად მდინარისაკენ.
და მეც ავედი ჩემ ნაპირზე, ვით მეომარი,
ცივი და სუფთა, მიწიერი და უდრტვინველი,
ვეება ძაღლი გულამაყი და უწყრომელი
ჩემ წინ დაეშვა, მოკალათდა, როგორც ფრინველი
და იმ წყნარ ღამეს, წყნარ ბაღებში ფასანაურის
ვიგრძენ მსუნთქავი, უცაბედი ზვირთთა სიცივე,
გულს ჩამეწვეთა უწმინდესი ბგერა ფანდურის,
თითქოს ყმაწვილმა პირველკოცნის სიტკბო ვიწვნიე.

საქართველოს ბუნება მართლაც ძალუმად იპყრობს გულში ადამიანებს, სიმძლავრეს, მედიდურობას და რაინდულ სულს ანიჭებს მათ.

სომხეთის ბუნების ზეგავლენით მიღებული შთაბეჭდილებები მაისულებენ რამდენადმე დაწვრილებით ვილაპარაკო მის პეიზაჟებზე. სომხეთის მრავალსაუკუნოვანმა კულტურამ მთებიც კი დაამარცხა. „საუკუნეთა ფერხული" — წერს ანდრეი ბელი თავის „ქარში კავკასიიდან". „სიძველე თითქოს ნიადაგს შედუღებია. ბუნებრივი ქვები ქანდაკებაზე მეტად დაბერებულან. ქანდაკებები გაბზარულან, მიწაში ჩაფლულან და ბუჩქებს შერწყმიან. ვერ გაიგებ, რას შესცქერი — ბუნებას თუ კულტურას. შორს, სევანის მომიჯნავე გეგარკუნიკზე, მოვარდისფერო, მოყვითალო და წაბლაგოვანი პატარა ქედი აღმართულა. ნიადაგი აქ ტაძრებს შეთვისებია, ტაძრები კი მთლიანი კლდის ნატეხებად ქცეულან".

არ შემიძლია ამ წიგნიდან არ მოვიტანო ნაწყვეტები, სადაც ბელი სომხეთში მატარებლით მოგზაურობისას მიღებულ

პირველ შთაბეჭდილებებს აღწერს:

„სომხეთი!

მწვერვალს ბინდბუნდი გაუფხრეწია. მანძილი აქ მიმქრალ ვარსკვლავქვეშ გაწოლილი პირქუში. მოლურჯო-მონაცრისფერო, ფირუზისფერი ხეობების ელფერითაა განათებული! ნისლის თხელ რიდეში სიმწვანე გამოსჭვივის. მაგრამ ჰა, თალს მრუდე სამართებლით გაკაწრული მთა გაეკრა. დანასავით შეიჭრა ცაში. დაიძრა ფლატეებით დასერილი მიწა. გეგონება, ცის თაღს ეკობათ დახეთქილი კლდეებიდან ნაშიშვლი დანები. ლოდებზე უფრო მაღლა. შმაგი ხაზებით დასერილი, დაკბილული სამყარო". ეს არ არის ბელის ნაუცბათევი შთაბეჭდილება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას გამოუხმაურა გენიალური სომეხი ფერმწერი მარტიროს სარიანი. მხატვრის გამოხმაურებაზე მნიშვნელოვანი კი ამა რა უნდა იყოს. ანდრეი ბელისადმი გაგზავნილ წერილში მარტიროს სარიანი იხსენებს იმ დღეებს, როდესაც ისინი ერთად ეცირნობდნენ გადახრუკულ-გამიშვლებული მთაგორების ქვეყანაში და მოხიბლულნი იყვნენ არარატის და არაგაცის მწვერვალების თვალისმომჭრელი ფერადოვნებით.

მე ვერ გავბედავ რაიმე შევეუსწორო სარიანს, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთ სომხეთის პეიზაჟი უფრო მკაცრია, ვიდრე ეს სარიანის ნახატებშია. უტყეო მთები — ნაკადულებითა და ვენახებით დასერილი, ფერდობებიდან ჩამოშვავებული დიდრონი ქვები, მკვრივი, მუქი ფერები — ყოველივე ეს ბუნებაა, ხალხის სისხლით გაჟღენთილი. ზემოთ მე ვწერდი, რომ გლეხკაცის მიერ გაადამიანურებული რუსული ბუნებისთვის ძალზე ნიშნეულია მოხნული მიწების, მესრების და ველური კოდლების რიტმი. რიტმი სომხეთის პეიზაჟებისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ აქ იგი სხვაგვარია. უზარმაზარ შთაბეჭდილებას ტოვებს იგივე სარიანის სურათი „მიწა". ეს სურათი ნაჭრელი, ტალღისებური ზოლებით დაფარული — რიტმი აქ სხვაგვარია.

ამგვარივე ტალღისმაგვარი რიტმია დაჭერილი ბრწყინვალე სომეხი მხატვრის მინას ავეტისიანის ნახატებში. მის ნახატში „მშობლები" (1962) დედა და მამა გამოხატული არიან სომხური პეიზაჟის ფონზე. გასაკვირია ის ამბავი, რომ სომხური ბუნების რიტმი თითქოს ადამიანების სულიერ რიტმშიც მეორდება: მთებიც კი, სურათში „მშობლები", შრომითი რიტმის ტალღებადაა ქცეული.

სომხეთის შრომითი რიტმი საოცრად მრავალფეროვანია. სარიანის ნახატში „შუადღის სიჩუმე" (1924) მიწაზე თითქოს დამუშავებული კელ-მინდვრების კვადრატებია გაფენილი, გეგონება, ნაირფერი ხალიჩებია გამოტანილი გასაშრობადო. მთების და კედლების რიტმი თითქოს ეთანადება და ამავე დროს ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

მე გული მწყდება იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში არა ვარ ნამყოფი და ცალ-ცალკე, თვითეულ მათგანზე ლაპარაკი არ შემიძლია. თვითოეულ მათგანს თავისებური ხიბლი გააჩნია, ეს ხიბლი კი ეროვნული კულტურის ისეთივე ელემენტია, როგორიც სხვა ყველაფერი.

არ გაუფრთხილდე საკუთარ ბუნებას, ეს იგივეა, არ გაუფრთხილდე საკუთარ კულტურას. იგი ხომ ხალხის სულს გამოხატავს.

ბაღები და პარკები

ადამიანის და ბუნების ურთიერთზემოქმედება ყოველთვის როდი გრძელდება ასწლეულების და ათასწლეულების მანძილზე, ყოველთვის როდი ატარებს

„არაცნობიერ ბუნებრივ“ ხასიათს. ბუნებაში კვალს მხოლოდ გლეხკაცის შრომა როდი ტოვებს და მისი შრომა მხოლოდ ბუნების ზეგავლენას როდი განიცდის. ზოგჯერ ადამიანი ცნობიერად მიისწრაფვის გარდაქმნას მისი გარემომცველი ლანდშაფტი, — აშენებს ბაღებსა და პარკებს.

ბაღები და პარკები ქმნიან ადამიანის და ბუნების ერთგვარ „იდეალურ“ ურთიერთზემოქმედებას. ეს ურთიერთზემოქმედება „იდეალურია“ კაცობრიობის ისტორიის ყოველი ეტაპისათვის, ყოველი შემოქმედისათვის, ვინც კი მებაღეობას მისდევს.

აქ მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ბაღებისა და პარკების ხელოვნებაზე. ეს ხელოვნება ყოველთვის ბოლომდე როდი ესმოდათ სპეციალისტებს (მებაღეობის თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს).

ბაღების და პარკების ხელოვნება — ყველაზე უფრო მიმზიდველი და შთამბეჭდავი ხელოვნებაა. ამგვარი მტკიცება ერთი შეხედვით უცნაურია. თითქოს ძნელია დაეთანხმო მას. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იყოს ბაღების და პარკების ხელოვნება პოეზიაზე, ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, თეატრზე, ფერწერაზე და სხვ. უფრო ქმედითი? ჩაუფიქრდით პირუთვნელად და გაიხსენეთ, რა შთაბეჭდილება მოგანიჭათ ყველაზე უფრო ძვირფასი, თუნდაც მოუვლელი, ალაგბედზე მიგდებული ისტორიული პარკების ნახვამ.

თქვენ შედიხართ პარკში, რათა დაისვენოთ, თავისუფლად მიიღოთ შთაბეჭდილებები, ჩაყლაპოთ სუფთა ჰაერი, დატკბეთ გაზაფხულისა ან შემოდგომის, ბალახისა და ყვავილების სურნელით. თქვენ ირგვლივ პარკია. თქვენ და პარკი ერთმანეთის პირისპირ დგახართ: პარკი თვალს გტაცებთ, ათვალიერებთ ახალ-ახალ ხედებს — ძეგლებს, ბოსკეტებს, ხეივნებს, — თქვენ ირგვლივ სიწყნარეა, და ამ სიწყნარეში მკაფიოდ ისმის გაზაფხულის ფოთოლთა შრიალი ან შემოდგომის დაცვენილი ფოთლების შარიშური. ისმის ჩიტების ჭიკჭიკი, სადღაც გაიტკაცუნა ტოტმა, შორიდან რაღაც ხმები აღწევს და თავისუფლებისა და სილაღის უჩვეულო განცდა გეუფლებათ. თქვენი ყველა გრძნობა მზადაა შთაბეჭდილებების მისაღებად და ამ შთაბეჭდილებათა მონაცვლეობა უჩვეულო ფერების, ბგერების, განცდების სიმფონიას ქმნის.

მაგრამ რა შუაშია აქ ადამიანი? — მკითხავენ მე. ყოველივე ამას ხომ ბუნება გვაწვდის, იგივე განცდები შეიძლება გვქონდეს სხვაგანაც (არა მხოლოდ პარკში), ბუნების წიაღში, — ტყეში, მთებში, ზღვის პირას.

არა, ბაღები და პარკები ის დიდი ზღვარია და მიჯნა, სადაც ადამიანი და ბუნება ერთიანდება. ბაღები და პარკები ერთნაირად დიდფასეულია ქალაქში და ქალაქგარეთაც. შემთხვევითი არაა, რომ მოსკოვის ირგვლივ ამდენი მშვენიერი პარკია და არც ისაა შემთხვევითი, რომ პარკების გაშენებამ ბევრი მემამულე გააღარიბა. არაფერია იმაზე უფრო მიმზიდველი და ამაღელვებელი, ვიდრე რაღაც ადამიანურის შეტანა ბუნებაში და პირუკუ, ბუნების „ხელკავით“ შემოყვანა ადამიანთა საზოგადოებაში: რაც უფრო ველურია ბუნება, მით უფრო მძაფრია და ღრმა მისი თანამშრომლობა ადამიანთან. აი, რატომ ახდენს ესოდენ დიდ შთაბეჭდილებას ვორონცოვის მიერ გაშენებული ყირიმის პარკი ალუპკაში და ვიბორგის პარკი „მონ რეპო“ ბარონ ნიკოლაის მამულში. ალუპკაში პარკის ზემოთ მთებია მოჯარული, ქვემოთ შავი ზღვის ტალღები ემსხვრევა გიგანტურ ლოდებს. პარკში „მონ რეპო“ გრანიტის წითელ კლდეებზე ფიჭვები იზრდება და ირგვლივ უსასრულო სივრცეა გაშლილი. შორს ზღვის ფერადოვნებაში მოლივლივე

კუნძულები მოჩანს. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნების სიდიადესთან ერთად აქაურობას ადამიანის გონიერი ხელიც დასტყობია. მყუდრო სასახლეები სასიამოდ ამკობენ პირველქმნილი ლანდშაფტის ველურ იერს.

პეტრეს არხებით გამოჰყავდა ზღვის წყალი თავის ქალაქგარეთა სასახლეების პარკებში — ახალ პეტერჰოფში, სტრელნაში, ორანიენბაუმში. არხები სასახლეებსა და პარკებს აკავშირებდნენ ზღვასთან, არა მხოლოდ წყლის მეშვეობით, არამედ ჰაერითაც — ზღვისკენ გახსნილი სივრცით.

არის კიდევ ერთი გარემო, რაც ადამიანს ალბათ მარტოოდენ პარკის მეოხებით ენიჭება. ეს არის ისტორიული დროის, მოგონებებისა და პოეტური ასოციაციების გარემო.

ისტორიული მოგონებები და პოეტური ასოციაციები სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად ადამიანურებს ბუნებას პარკებსა და ბაღებში, რაც მათ არსსა და თავისებურებას შეადგენს. პარკები ღირებულია არა მხოლოდ იმით, რაც ახლა არის, არამედ იმითაც, რაც იყო მათში. დროის პერსპექტივა იქ არსებულ მხედველობით პერსპექტივაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია. „მოგონებანი ცარსკოე სელოში“ — ასე უწოდა პუშკინმა თავის ადრეულ ლექსთა შორის უმჯობეს ლექსს.

წარსულისადმი მიმართება ორგვარია: წარსულს შეიძლება უყურო როგორც სანახაობას, თეატრს, წარმოდგენას, დეკორაციას, ანდა როგორც საბუთს. პირველი მიმართება ცდილობს აღადგინოს წარსული, აღორძინოს წარსულის ხატი. მეორე კი ცდილობს შეინარჩუნოს წარსული, თუნდაც მისი ცალკეული ნაშთები. პირველისათვის ბაღებისა და პარკების ხელოვნებაში მთავარია მისცეს ბაღსა თუ პარკს ის გარეგანი სახე, რომელიც ჰქონდა მას ამა თუ იმ დროს. მეორესათვის მთავარია დროის შეგრძნება, დოკუმენტალობა. პირველი იტყვის: ის ასეთი იყოო. მეორე ადასტურებს: ეს სწორედ ისაა, შესაძლოა ბაღი თუ პარკი სულ ასეთი არ იყო, მაგრამ ეს ნამდვილად ის ბაღია, ის ცაცხვებია, ის ნაგებობებია, ის ქანდაკებებია. მეორე მიმართება უფრო შემწყნარებლურია პირველის მიმართ, ვიდრე პირველი მეორის მიმართ. პირველი მიმართება წარსულისადმი მოითხოვს აიჩეხოს ხეივანში ძველი და დაირგოს ახალი ხეები: ასე გამოიყურებოდაო ხეივანი. მეორე მიმართება უფრო რთულია: ეს ყველა ძველი ხის შენარჩუნებას მოითხოვს და მიიჩნევს, რომ ამ ხეებს უნდა გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე, ხოლო მკვდარი ხეების ადგილზე უნდა დაირგოს ახალი ხეები. ნორჩ ხეებს შორის მოქცეული ორი თუ სამი ფუღუროიანი ცაცხვი დაადასტურებს ძველი ხეივნის არსებობას. ნორჩ ხეებს კი ზრუნვა არ სჭირდებათ: ისინი სწრაფად იზრდებიან და მალე ხეივანი ძველებურ იერს შეიძენს.

მაგრამ წარსულისადმი ამ ორგვარ მიმართებაში არსებობს კიდევ ერთი არსებითი განსხვავება. პირველს ასეთი მოთხოვნა ექნება: შევინარჩუნოთ მხოლოდ ერთი ეპოქა — ეპოქა პარკის აშენებისა ან მისი აყვავებისა, ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენისა. მეორე იტყვის: დე, ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეპოქა ცოცხლობდეს. ღირებულია პარკის მთლიანი სიცოცხლე. ღირებულია მოგონებები, სხვადასხვა ეპოქები, სხვადასხვა პოეტები, რომლებმაც ამ ადგილებს უმღერეს. ამიტომ ის მოითხოვს არა ძველის აღდგენას, არამედ მის შენარჩუნებას. პირველი მიმართულების თაოსანი რუსეთში ალექსანდრე ბენუა გახლდათ, იგი განადიდებდა დედოფალ ელისაბედის ეპოქას და ცარსკოეში მის მიერ გაშენებულ ეკატერინეს პარკს. მასთან პოეტური დავა გამართა ახმატოვამ, რომლისთვისაც ცარსკოეში მთავარი იყო პუშკინი და არა ელისაბედი:

«Здесь лежала его треуголка и растрепанный том Парни».

დიახ, თქვენ სწორად მიმიხვდით: მე წარსულის ძეგლებისადმი მეორე მიმართების მომხრე ვარ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე მიმართება უფრო შორსმჭვრეტელია, უფრო ფრთხილი და შემწყნარებელი, არამედ იმის გამოც, რომ ეს მიმართება ადამიანისგან დიდ წარმოსახვის უნარს და შემოქმედებით აქტივობას მოითხოვს.

წარსულისადმი პირველი მიმართება, კაცმა რომ თქვას, ქმნის სახელმძღვანელო მაკეტებს: ნახეთ და ისწავლეთ. მეორე მიმართება მოითხოვს სიმართლეს, ანალიტიკური აზროვნების უნარს: საჭიროა საგანს სიახლე ჩამოაცილო, წარმოიდგინო, რა ვითარება იყო აქ, ერთი სიტყვით, კვლევა-ძიება ჩაატარო. ეს მეორე მიმართება მეტ ინტელექტუალურ დისციპლინას, მეტ ცოდნას მოითხოვს თვით მნახველისაგან: ნახეთ და წარმოიდგინეთ. ეს ინტელექტუალური მიმართება წარსულის ძეგლებისადმი ადრე თუ გვიან ისევ და ისევ წარმოჩნდება ხოლმე. შეუძლებელია ჭეშმარიტი წარსული მოიკვდინო და შეცვალო იგი თეატრალიზებული წარსულით, მაშინაც კი, როცა თეატრალურმა რეკონსტრუქციამ გაანადგურა ყველა საბუთი, მაგრამ ადგილი დარჩა: აქ, ამ ნიადაგზე, ამ გეოგრაფიულ წერტილში რაღაც იყო, რაღაც მოხდა. სიძველეთა თეატრალიზება იკრძალება მემორიალურ სახლ-მუზეუმებში. ძველ ოთახებში შეაქვთ ხოლმე იმავე ეპოქის შესატყვისი ავეჯი და საგნები, რომელთა შორის ნამდვილი, ძველისძველი ნივთები იკარგება, აღარ ჩანს. ამ ვითარებაში მნახველი ვეღარ არკვევს, რომელია ნამდვილი და რომელი გარედან შემოტანილი ნივთი, სამელნე იქნება ეს თუ კარადა. შეიძენენ წიგნების კარადას ზუსტად ისეთივეს, როგორიც იყო ნამდვილი. გავივლის დრო და ვეღარ არჩევენ ნამდვილს შეძენილისაგან. ალბათ იციან, რომელი ნივთი ეკუთვნოდა ამ მემორიალური ბინის მფლობელს. ეს შემთხვევა გამოგონილი არ არის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, [illegible] მართებულია? რატომ მაინც[illegible] იმავე ეპოქის ნივთებს ვარჩევთ? განა მწერალს ან პოლიტიკურ მოღვაწეს აუცილებლად იმავე ეპოქის ნივთებს შორის უნდა ეცხოვრა? განა არ შეიძლებოდა მას ძველისძველი ან ბავშვობის დროინდელი ნივთები ჰქონოდა სახლში? ან კი ვის შეუძლია იმის მტკიცება, რომ ეპოქა სწორადაა აღდგენილი, სწორადაა განლაგებული საგნები და შინაური გარემოა შექმნილი?

თეატრალობა თავს იჩენს ხოლმე არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის დროსაც. ნამდვილი საგნები ვარაუდით აღდგენილი საგნების ჩრდილშია მოქცეული. რესტავრატორები ენდობიან შემთხვევით ცნობებს. თუკი ამ ცნობებში აღსადგენი ძეგლის საუკეთესო ვარიანტია მოცემული, ამგვარადაა აღდგენილი. მაგალითად, ექვთიმეს სამრეკლო ნოვგოროდში: აქ სვეტზე პატარა ტაძარი დგას. ეს ხომ ნოვგოროდისა და XV საუკუნისათვის სავსებით უცხო რამაა.

ვინ მოთვლის, რამდენი ძეგლი დაღუპეს რესტავრატორებმა XIX საუკუნეში, დაღუპეს იმით, რომ ამ ნაგებობებში ახალი დროის ესთეტიკის ელემენტები შეიტანეს. რესტავრატორები სიმეტრიისათვის იბრძოდნენ იქ, სადაც სიმეტრია სტილის — ვთქვათ, რომანულის თუ გოთურის — სავსებით საპირისპირო რამ იყო, ცდილობდნენ ცოცხალი ხაზი მათემატიკურად გამოთვლილი, გეომეტრიული სწორი ხაზით შეეცვალათ და ა. შ. ასე გაუფერულდა კელნის ტაძარი, პარიზის ნოტრ-დამი, სენ-დენის სააბატო. გაუფერულდა და დაკონსერვდა გერმანიის ძალზე ბევრი ქალაქი — განსაკუთრებით გერმანიის წარსულის იდეალიზაციის ხანაში.

ყოველივე ამას ტყუილად როდი ვწერ: წარსულთან მიმართება საკუთარ ეროვნულ იერს აყალიბებს. ეს იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი წარსულის და ეროვნული ხასიათის მატარებელია. ადამიანი საზოგადოების და მისი ისტორიის ნაწილია.

არც ერთი პრინციპი არ იძლევა მოვიხმართ უაზროდ და მექანიკურად ფსკოვის ოლქის პუშკინისეულ ადგილებში — მიხაილოვსკოეში, ტრიგორსკოეში, პეტროვსკოეში — ნაწილობრივი თეატრალიზაცია აუცილებელია. წარსულის მიბარებული სახლები და ქოხები აქ პეიზაჟის ორგანული ნაწილები იყო. ოსიპოვებ-ვულფების სახლის გარეშე ტრიგორსკოე ტრიგორსკოე არაა. ამ სახლის აღდგენა — ისევე როგორც მიხაილოვსკოესა და პეტროვსკოეს სახლების აღდგენა როდი სპობს სინამდვილეს. ამჯერად ძველი ხეები კი არ გაანადგურეს, არამედ მხოლოდ ბუჩქები და ნორჩი ხეები. ამით ძველი სახლების აღდგენა მიხაილოვსკოეს ადგილებში პრინციპულად განსხვავდება პუშკინოში პარკების განახლებისაგან, რაც რამდენიმე წლის წინათ მოხდა. პუშკინისეულ ადგილებში აღდგენა მიმდინარეობდა, პუშკინოში კი ჩეხდნენ...

ყოველ ადამიანს საკუთარი თავის რომელიმე მხარის თეატრალიზება ძალუძს. შეგვიძლიათ რუსულ ყაიდაზე მოვიშვათ წვერი და ატაროთ ხიფთანი, თქვენი თავი სანახაობად აქციოთ. მაგრამ საკუთარი ეროვნულობისადმი სხვაგვარი დამოკიდებულებაც არსებობს: ჩვენ შეგვიძლია ვაფასებდეთ ჩვენს თავში ნამდვილ კავშირს საკუთარ სოფელთან, ქალაქთან და ქვეყანასთან. ვინახავდეთ და ვანვითარებდეთ საკუთარი ხალხის კარგ ტრადიციებს, კეთილ ეროვნულ თვისებებს. ღრმა მენტალობას, ენის გრძნობას, ისტორიის, მშობლიური ხელოვნების ცოდნას და ა. შ. ადამიანის გონითი ცხოვრების სფეროში უნდა მოექცეს საკუთარი ქვეყნის ისტორიული ცხოვრება, უფრო მაღალ საფეხურებზე კი — მთელი სამყაროს განვითარება.

ვინმე იკითხავს, რაღა შუაშია აქ ბაღი და პარკი. რომ... და- საწყისში ჰქონდა ...ლია, რომ წარსულისა და აწმყოს კულტურული ... ბაღი და პარკი. შემთხვევითი როდია, რომ ცარსკოსელოს ლიცეის ხანა, ლიცეის ძმობა — შიგა საუკუნეების სარკმელე — პოლიკაციით ყოველთვის ბაღთან იყო დაკავშირებული. ბაღი იდეალური კულტურაა, ეს არის კულტურა, რომელშიც განკეთილშობილებული ბუნება იდეალურად ერწყმის მასთან კეთილად განწყობილ ადამიანს.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ დოსტოევსკი იცნობდა პეტერბურგის ღირსშესანიშნავ ადგილებს ბაღნარად აქცია. მას სურდა იუსუპოვის ბაღი მიხაილოვის ბაღთან შეეერთებინა, აეყვავებინა მარსის ველი და შეეერთებინა იგი ზაფხულის ბაღთან. გაეშენებინა ბაღნარი იქ, სადაც ყველაზე გაცხოველებული სავაჭრო ცენტრი იყო, ხოლო იქ, სადაც მოხუცი მევახშე ქალი და როდიონ რასკოლნიკოვი ცხოვრობდნენ, თავისებური სამოთხის გაშენება ჰქონდა განზრახული. დოსტოევსკისთვის იდილიური არსებობდა დედამიწაზე — პეტერბურგის სენნაიასთან და ბუნება, მსგავსი კლოდ ლორენის პეიზაჟებისა, ოქროს ხანას რომ ასახავს. დოსტოევსკის ძალზე უყვარდა ლორენი, რადგან ამ მხატვრის ტილოებში ცხოვრების საოცარ იდეალობას ჰპოულობდა.

შეგინიშნავთ თქვენ თუ არა, რომ დოსტოევსკის „იდიოტის" ყველაზე უფრო ნათელი ეპიზოდი — თავად მიშკინის და აგლაიას პაემანი პავლოვსკის პარკში შედგა? არც შეიძლებოდა სხვაგან შემდგარიყო ეს პაემანი. სწორედ ამ პაემანისთვის სჭირდებოდა დოსტოევსკის პავლოვსკი. მთელი ეს სცენა თითქოს პავლოვსკის წარმტაც პეიზაჟშია ჩა-

წნული.

ყველაზე უფრო ბედნიერი წუთი ობლომოვის ცხოვრებაში — სიყვარულის ახსნა — ასევე ბაღში ხდება.

პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილში" მაშა მირონოვას დავიდარაბის გასრულება ასევე ეკატერინე პარკში „ლორენისეულ" ადგილებში მოხდა, სწორედ იქ შეიძლებოდა მომხდარიყო ყოველივე და არა სასახლეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ბუნება და პუშკინი

კლოდ ლორენი? მაგრამ რა შუაშია აქ რუსული ხასიათი და რუსული ბუნება? იკითხავთ თქვენ. მცირედი მოითმინეთ და ყოველივე თავის ადგილას დადგება.

ჩვენში პრიმიტიული წარმოდგენა აქვთ ბაღებისა და პარკების ისტორიაზე. ჯერ იყო რეგულარული პარკი, შემდეგ პეიზაჟური. XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსოს იდეების ზეგავლენით მეორე ტიპის პარკი მკვეთრად ცვლის პირველს. პეტრემდელ რუსეთში კი თითქოსდაც მხოლოდ უტილიტარული ბაღები იყო, ხარობდა ბოსტნეული, ხილი და კენკროვანი მცენარეულობა, ესაა და ეს. სინამდვილეში კი ბაღების და პარკების ხელოვნების ისტორია გაცილებით რთულია.

XIII ს. ძეგლში „ამბავი რუსეთის მიწის დასასრულისა" სხვა წარმტაც მშვენებათა შორის რუსეთის სამონასტრო ბაღებიცაა ნახსენები. სამონასტრო ბაღები რუსეთში ძირითადად ისეთივე იყო, როგორც დასავლეთში. მათ გარს ერტყა მონასტრის გალავნები. ეს ბაღები თავისებური იერით სამოთხეს, ედემს გამოხატავდა. მონასტრის გალავანი კი — სამოთხის გალავანს! სამოთხის ბაღში სამოთხის ხეებიც უნდა ყოფილიყო — ვაშლის ხეები და ვაზი. სხვადასხვა დროის სამოთხის ხე (ნუ კეთილისა და ბოროტისა) სხვადასხვანაირად ესმოდათ. აქ ყველაფერი თვალის და ყურის საამებელი უნდა ყოფილიყო: ჩიტების ატენა-ჭიკჭიკი, წყლის ჩხრიალი, ექო, ყვავილებისა და ბალახების სურნელი და გემრიელი, იშვიათი ხილი. ამ ბაღებში უნდა ყოფილიყო სიუხვე და მრავალფეროვნება, როგორც სიმბოლო ქვეყნიერების სიუხვისა და მრავალფეროვნებისა. ბაღებს თავიანთი მნიშვნელობა, თავიანთი სემანტიკა ჰქონდათ.

მონასტრების გარეთ წარმართობის დროიდან შემონახული, უკვე „გაქრისტიანებული" ჭალაკია. ჩვენ ძალზე ცოტა ცნობები მოგვეპოვება მეჩვიდმეტე საუკუნემდელ რუსულ ბაღებზე, მაგრამ ერთი რამ ნათელია — „სამოთხის ბაღები" მხოლოდ მონასტრებში კი არ იყო, არამედ თავადთა სოფლებშიც. ბაღები იყო გაშენებული კრემლებში, ბაღები ჰქონდათ მოქალაქეებს სივიწროვის მიუხედავად.

XVII საუკუნეში რუსეთში ჰოლანდიელთა გავლენით ბაროკოს ტიპის ბაღები ჩნდება.

საქმე ისაა, რომ თავისი ხასიათით ბაღები არასოდესაც არ იყოფა მხოლოდ და მხოლოდ რეგულარულ და პეიზაჟურ ბაღებად. ეს ძველი ხელოვნებათმცოდნეობითი მითია, რომელიც ახლა ხელოვნებათმცოდნეების მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა გააქარწყლა. ბაღების პარკების ხელოვნება ურთიერთობს სხვა ხელოვნებებთან და განსაკუთრებით პოეზიასთან კავშირში. არსებობს რენესანსული, ბაროკოს, როკოკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ბაღები. ყოველ ცნობილ სტილში შეიმჩნევა ეროვნული თავისებურებები, ეროვნულ სტილში კი — ცალკეული მებაღეების ხელწერა (ჯონ ეველინი

XVII საუკუნის მიწურულს წერდა: „როგორიცაა მებაღე, ისეთივეა ბაღი“). არსებობს, მაგალითად, ფრანგული კლასიციზმის ბაღები (ლენოტრის მიერ შექმნილი ვერსალის ბაღი), არის ჰოლანდიური ბაროკოს ბაღები.

ის მრავალრიცხოვანი ცნობები XVII საუკუნის ბაღების შესახებ, რომელიც XIX საუკუნეში გამოაქვეყნა, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ვერ გაიაზრა ისტორიკოსმა ი. ზაბელინმა, ნათელყოფენ იმას, რომ XVII საუკუნის შუა წლებიდან ჩვენთან, მოსკოვში, მებაღეობაში ჰოლანდიური ბაროკოს სტილი შემოიჭრა.

მოსკოვის კრემლში ბაღები შენდებოდა სხვადასხვა სიმაღლეზე, ტერასებად, როგორც ამას ჰოლანდიური გემოვნება მოითხოვდა. მათ კედლებით ღობავდნენ, ფანჩატურებითა და კოშკებით ამშვენებდნენ, ასევე სხვადასხვა სიმაღლეზე გახლდათ შიგ უზარმაზარი გუბურებიც, სადაც სასაცილო ფლოტილიები დაცურავდნენ, ყუთებში ახარებდნენ იშვიათ მცენარეებს (მაგალითად, ასტრახანის ყურძენს), აბრეშუმის უზარმაზარ გალიებში გალობდნენ ბულბულები და მწყრები (მწყრების გალობა ბულბულთა გალობის ტოლფასად ითვლებოდა). ბაღებში იზრდებოდა სურნელოვანი ბალახი და ყვავილები, კერძოდ, ყველასთვის საყვარელი ჰოლანდიური ტიტა (ტიტას ბოლქვი სწორედ XVII საუკუნის შუაწლებში გაძვირდა). ცდილობდნენ თუთიყუშებიც ჰყოლოდათ და ა. შ.

მოსკოვის ბაროკოს სტილის ბაღები თავისი ირონიული ხასიათით განსხვავდებოდნენ რენესანსულისაგან. ამ ბაღებში ჰოლანდიურის მსგავსად იმ თვალწარმტაც სურათებს ნახავდა კაცი, მაცდური პერსპექტიული ხედები რომ ჰქონდათ.

ყოველივე ეს შემდგომ პეტრემ პეტერბურგშიც გადაიტანა. პეტრესეულ ბაღებს დაემატა სკულპტურა, რომლებსაც მოსკოვში „იდეოლოგიური“ ძიებების გამო უფრთხოდნენ: ქურუმებად არ ჩათვალონო, ბაღებს დაემატა აგრეთვე ერმიტაჟები — სრულიად განსხვავებული სახისა და დანიშნულების [illegible]ნი.

ასეთივე ირონიული [illegible] როკოკოს ზეგავლენა რომ ე[illegible]ბოდა ცარსკოე სელოში. ეკატერინეს სასახლის ფასადის წინ გაშენდა ჰოლანდიური ბაღი. ამ სახელს ბაღი XX საუკუნის დასაწყისშიაც ინარჩუნებდა (ჰოლანდიურ ბაღში პაემანებს ნიშნავდნენ ხოლმე). ეს იყო არა მხოლოდ ბაღის სახელი, არამედ მისი დახასიათებაც. ეს იყო განმარტოებისა და მრავალფეროვნების ბაღი, ჰოლანდიური ბაროკოს ბაღი, შემდგომ კი — როკოკოსიც, რომელიც ისწრაფვოდა ადამიანი გაემხიარულებინა და განმარტოებაც შეექმნა მისთვის — თუმცა ეს განმარტოება ფილოსოფიური კი არ იყო. შეყვარებულთა განმარტოება გახლდათ. მალე ჰოლანდიურ როკოკოს ბაღს გარს შემოერტყა დიდი, ფართე წინარომანტიული პარკი, რომელშიაც „ბაღის იდეოლოგია“ კვლავ ეზიარა სიღინჯეს. აქ მეტი წილი უკვე მოგონებებს ეკუთვნოდა — გმირულს, ისტორიულს და წმინდა პიროვნულს. აქ არსებობის უფლება მოიპოვა გრძნობიერებამ, ხელახლა აღდგა ბაღებიდან განდევნილი ბაროკო და მასში გამახსოვრებული სერიოზული მედიტაციურობა.

თუ რუსეთის ბაღებისა და პარკების ხელოვნების ამ უმოკლესი მიმოხილვის შემდეგ მივმართავთ პუშკინის ლიცეუმში სწავლის დროს დაწერილ ლექსებს, ჩვენ იქ ვიპოვით როკოკოს ბაღებისა და რომანტიზმის წინა პერიოდის მთელ სემანტიკას. ამ ლექსებში პუშკინი ავითარებს თავის „ირონიული ბერად ყოფნის“ თემას („იცოდე, ნატალია... ბერი ვარ!“). ბაღში შეყვარებულთან ან მეგობრებთან ერთად განმარტოებაზეც ხშირად წერს. ლიცეუმი პუშკინისთვის თავისებური მონასტერი იყო, საკუთარი

ოთახი კი — სენაკი. ეს ნათქვამია სერიოზულადაც და ირონიულადაც. თვით პუშკინი თავის ლექსებში წარმოგვიდგება როგორც სამონასტრო წესდების დამრღვევი (ქეიფი და აშიკობა). ეს თემები ხარკია, რომელსაც პოეტი როკოკოს უხდის. მაგრამ პოეტი რომანტიზმისწინა პარკებსაც უხდის ხარკს — ესაა მისი ცნობილი „მოგონებანი ცარსკოე სელოში", სადაც მოგონებები რუსეთის გამარჯვებათა ძეგლებია და სადაც გვხვდება ოსიანიური მოტივები (ლანდები, ხავსი, „ჭაღარა ტალღები", რასაც სინამდვილეში ვერ ნახავდით ცარსკოე სელოს დიდ ტბაზე).

რუსეთის ბუნება პუშკინმა მიხაილოვსკოეში აღმოაჩინა. მიხაილოვსკოე და ტრიგორსკოე ის ადგილებია, სადაც რუსული პოეზიის კოლუმბმა პუშკინმა რუსეთის მარტივი პეიზაჟი შენიშნა. სწორედ აქ ჰპოვეს ნავსაყუდელი პუშკინის „პოეტურმა კარაველებმა". აი, რატომაა რუსი კაცისთვის მიხაილოვსკოე და ტრიგორსკოე ისევე წმინდა, როგორიც წმინდაც იყო ამერიკაში გადასახლებულთათვის ის ნაპირები, სადაც კოლუმბმა და მისმა ესპანელმა თანამგზავრებმა პირველად დადგეს ფეხი. მიხაილოვსკოესა და ტრიგორსკოეს ბუნებას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ, უნდა გაუფრთხილდეთ თვითეულ ხეს, ტყეს, ტბებს და, უწინარეს ყოვლისა, მდინარე სოროტს, რადგან, ვიმეორებ, აქ მოხდა რუსული ბუნების პოეტური აღმოჩენა.

პუშკინმა ბუნებისადმი თავის პოეტურ დამოკიდებულებაში გაიარა გზა როკოკოს სტილის პოლისადიური და რომანტიზმის წინარე სტილში შესრულებული ეკატერინეს ბაღებიდან მიხაილოვსკოეს და ტრიგორსკოეს წმინდა რუსულ ლანდშაფტებამდე.

ამ ლანდშაფტებს გარს არ ერტყა ზღუდეები. ისინი თავადი ქალის ოლღას დროიდან, უფრო ადრეული ხანიდანაც კი, ფსკოველების მიერ იყო რუსულ ყაიდაზე გასაცხოვრისებული, მოვლილი, „ნალოლიავები" და შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რუსული „ისტორიული ბუნების" კუთხეში (ისტორია კი, როგორც ვიცით, რუსული ბუნების ძირითადი ელემენტია) იშვნენ პუშკინის ისტორიული ნაწარმოებები — უწინარეს ყოვლისა კი „ბორის გოდუნოვი".

მინდა მოვიყვანო ერთი დიდი და ისტორიულად გავრცობილი ანალოგია. სასახლის მახლობლად მუდამ არსებობდა მეტნაკლებად ვრცელი რეგულარული ბაღები. ხუროთმოძღვრება უკავშირდებოდა ბუნებას ბაღის ხუროთმოძღვრული ნაწილითვე. ასე იყო მაშინაც, რომანტიკული პეიზაჟური ბაღები რომ შემოვიდა მოდაში. ასე იყო პავლეს დროსაც, ასე იყო XIX საუკუნის სათავადაზნაურო კარმიდამოებშიც. სასახლის მოშორებით უფრო ხალასი, ჭეშმარიტი და წარმტაცი ბუნება იყო. რენესანსის ეპოქაშიაც კი იტალიაში, რენესანსული არქიტექტურული ბაღების ფარგლებს გარეთ ბატონის კუთვნილი მშვენიერი სასეირნო ადგილ-სანახები არსებობდა. რაც უფრო გრძელი იყო სასეირნო გზა, რაც უფრო შორდებოდა ადამიანი თავის სახლს, მით უფრო მეტად იშლებოდა მის წინაშე მშობლიური ბუნება, მით უფრო ვრცელი და სახლთან მოახლოებული ხდებოდა მისი პარკების ბუნებრივი, პეიზაჟური ნაწილი. პუშკინმა ბუნება თავდაპირველად ცარსკოე სელოს პარკებში, სასახლესა და ლიცეუმის სიახლოვეს აღმოაჩინა. მერე კი გასცდა „მოვლილი ბუნების" საზღვრებს, ლიცეუმის რეგულარული ბაღიდან ჯერ პარკში გადაინაცვლა, მერე რუსეთის სოფელში. აჰა, პუშკინის პოეზიის პეიზაჟური გზა. ბაღიდან პარკისაკენ, პარკიდან კი რუსული სოფლის ბუნებისაკენ. შესაბამისად ღრმავდებოდა ბუნების პუშკინისეული ეროვნული ხედვა.

მიხაილოვსკოესა და ტრიგორსკოეში, და საერთოდ ყოფილი ფსკოვის გუბერნიის პუშკინისეულ ადგილებში არაფრის შეცვლა არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება შევცვალოთ რაიმე ჩვენთვის სანუკვარ სამახსოვრო საგანში. აქ ფვირფასი ჩარჩოც კი არ ივარგებს, რადგან პუშკინისეული ადგილები მხოლოდ ცენტრია რუსული ბუნების, იმ ფართო მონაკვეთისა, რომელსაც ჩვენ რუსეთს ვუწოდებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული იდეალი და ეროვნული სინამდვილე

როგორღა უნდა შეფასდეს დოსტოევსკის თვალსაზრისი რუს ადამიანებზე, რომლის თანახმადაც რუს ადამიანს მოსდგამს შეუკავებელი ლტოლვა ერთი უკიდურესობიდან მეორემდე, „ინტელექტუალური ისტერიკა“, უკომპრომისობა, რაიც ძნელად ასატანია მისთვისაც, სხვებისთვისაც და ა. შ.?

აქ კითხვაზე კითხვით ვუპასუხებ: რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ დოსტოევსკის თვალსაზრისი რუს ადამიანზე სწორედ ასეთია? განა იმიტომ, რომ ამგვარი ხასიათისანი არიან დოსტოევსკის გმირები? განა იმიტომ, რომ ასე მსჯელობენ რუს ადამიანებზე დოსტოევსკის თხზულებათა ცალკეული პერსონაჟები? განა შეიძლება ნაწარმოების გმირებისა და მათი გამონათქვამების მიხედვით ვიმსჯელოთ თვად ავტორის შეხედულებებზე? ასეთ შემთხვევაში ჩვენ გავიმეორებდით მრავალი ფილოსოფოსის შეცდომას, დოსტოევსკის მსოფლმხედველობაზე რომ წერდნენ და რომელიმე ნაწარმოების გმირთა გამონათქვამებს თავად მწერლის შეხედულებებს უიგივებდნენ.

დიმიტრი კარამაზოვის მსგავსი რუსი ადამიანები, რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ რუსეთში, მაგრამ რუსი ადამიანის იდეალი დოსტოევსკისათვის პუშკინი იყო. ეს მან მტკიცედ და ნათლად განაცხადა თავის ცნობილ სიტყვაში პუშკინზე. დოსტოევსკისათვის რუსი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, „ყოვლად ევროპული“ ადამიანია, ვისთვისაც მშობლიური მთელი ევროპული კულტურა. მაშასადამე, დოსტოევსკისათვის რუსი კაცი წარმოადგენს მაღალი ინტელექტის, მაღალი სულიერი მოთხოვნილებების მქონე კაცს, რომელიც ითვისებს ევროპის ყველა კულტურას, ევროპის მთელ ისტორიას და რომელიც სულაც არ გახლავთ შინაგანად წინააღმდეგობრივი, იდუმალებით მოსილი.

განა გასაკვირია, რომ დოსტოევსკისთვის რუსი კაცის იდეალი გენიოსი იყო, პუშკინისთანა გენიოსი: დიდი ადამიანები ხომ ხალხის ყველაზე დიდი წარმომადგენლები არიან.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, კიდევ ბევრი რამაა მოსააზრებელი, ამოსახსნელი. იდეალი ყველასთვის ერთნაირი როდი იყო. ზოგისთვის, ვინც ნაკლებ დაფიქრებულა დიდი ხალხის ბედსა და თავისებურებებზე, ყოველივე რუსულის ტიპიური ნიმუში ნიკიტინის რიხიანი ვაჭარია, სხვებისთვის — სტენკა რაზინი (არა რეალური სტეფანე რაზინი, არამედ დ. სადოვნიკოვის სიმღერის სტენკა რაზინი). ზოგიერთისთვის ესაა გმირი, რომელსაც აღწერს რადიშჩევი თავის „მოგზაურობაში პეტერბურგიდან მოსკოვში“. მე კი ვამბობ — არ უნდა დავივიწყოთ რუსეთის ბუნება და ადამიანი ამ ბუნებაში: ვენეციანოვის გლეხები, მარტინოვის, ვასილიევის, ლევიტანის, ნესტეროვის რუსული პეიზაჟები, ბებია „ხრამიდან“, მრისხანე, მაგრამ მაინც კეთილი აბაკუმი, საყვარელი,

ჭკვიანი, ქუდბედიანი ივანუშკა-სულელი, ნესტეროვის ტილოების სიღრმეში მოციმციმე ტანწერწეტა არყის ხეები.

ჩემი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ეროვნული იდეალი და ეროვნული ხასიათი. იდეალი ყოველთვის არ ემთხვევა სინამდვილეს, მეტსაც ვიტყვი — არც არასოდეს დამთხვევია სინამდვილეს. და მაინც ეროვნული იდეალი ძალზე მნიშვნელოვანი რამაა. მაღალი ეროვნული იდეალის შემქმნელი ხალხი იმ გენიოსებსაც ქმნის, რომლებიც ამ იდეალს უახლოვდებიან. კულტურის სიმაღლე კი ჩვენ მისი უმაღლესი მიღწევების მიხედვით უნდა გავზომოთ, რადგან მხოლოდ მთის მწვერვალები დგანან საუკუნეებზე მაღლა, მხოლოდ ისინი ქმნიან კულტურის ქედსა და მთაგრეხილს.

აბაკუმი, პეტრე 1, რადიშჩევი, პუშკინი, დოსტოევსკი, ნეკრასოვი, სტასოვი, გერცენი, გორკი და სხვები ცდილობდნენ რუს ადამიანებში ეროვნული ნიშნები ეპოვათ და თავიანთ ნაწარმოებებში მათთვის ხორცი შეესხათ. პოულობდნენ კიდეც, მაგრამ ყველა თავისებურად. ეს დიახაც არ ამცირებს მათი ძიების მნიშვნელობას. არ ამცირებს, ვინაიდან და რადგან ეს მწერლები, მხატვრები, პუბლიცისტები წინ უძღვოდნენ სხვებს, გეზს აძლევდნენ სხვათა ქცევას. მართალია, მათ ზოგჯერ სხვადასხვა გზით მიჰყავდათ ხალხი, მაგრამ მუდამ კი საერთო უბედურების ასაცილებლად — ეს იყო სულიერი სივიწროვე და გაქანების უქონლობა, მეშჩანობა, ყოველდღიურ საზრუნავში „უკომპრომისო" ჩაძირვა, სულიერი სიძუნწე და მატერიალური სიხარბე, წვრილმანი ბოღმა და პირადი შურისმაძიებლობა, ნაციონალური და ნაციონალისტური შეზღუდულობის ყველანაირი გამოვლენა (ამის შესახებ მერე ვიტყვი).

თუკი ეროვნული იდეალი ჩვენ მუდამ მრავალფეროვანი და ფართო გვქონდა, ეროვნული ანტიიდეალი, ის, რაიც გარკვეულ ბიძგს აძლევდა მწერლებსა და მხატვრებს — ასე თუ ისე მუდამ მყარი გახლდათ.

და მე მაინც ეროვნულ ვალზე ვილაპარაკებ, თუმცა ის ანტიიდეალზე ნაკლებ გარკვეულია. ეს ჩემთვის უფრო დიდს ნიშნავს, უფრო დიდს ნიშნავს იმიტომ, რომ შეიძლება მოულოდნელად თანამოაზრეებიც აღმოაჩნდეს. განა ცოტას ნიშნავს ჩემი აზრი თუნდაც მხოლოდ ორმა-სამმა კაცმა გაიზიაროს.

უპირველეს ყოვლისა, მე მსურს ვილაპარაკო იმ იდეალზე, რომლითაც სულდგმულობდა ძველი რუსეთი.

რაც უფრო ახლოს მივდივართ ძველ რუსეთთან და რაც უფრო ყურადღებით ვაკვირდებით მას (იმ ფანჯრიდან კი არა, პეტრემ ევროპაში რომ გაჭრა, არამედ ჩვენი დროიდან, როცა ევროპა ადვიქვით, როგორც ჩვენი, როცა ევროპა თვითონაა ფანჯარა, საიდანაც ჩანს ძველი რუსეთი), მით უფრო ნათელი ხდება, რომ რუსეთში არსებობდა თავისებური და დიადი კულტურა — კულტურა „სვეტლი იარის" ღრმა ტბისა. ეს არის თითქმის უხილავი, ცუდად გაგებული, ცუდად შესწავლილი, კულტურის ჩვენი ევროპული საზომებით გაუზომავი კულტურა, რომელიც არ ემორჩილება ჩვენს შაბლონურ წარმოდგენებს კულტურის რაობაზე.

წარსულში ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ძველი რუსეთის კულტურა ჩამორჩენილი და თავის თავში ჩაკეტილი კულტურაა. იმისათვის რომ რუსულ კულტურას „წესიერი" სახე მისცემოდა, რუსი ხალხი განთავისუფლებულიყო „ჩამორჩენილობისა", „ულიმღამობისა" და „უმეცრებისაგან", აუცილებელი იყო „ევროპაში ფანჯრის გაჭრა".

თუ დავეყრდნობით თანამედროვე წარმოდგენებს კულტურაზე, აღმოჩნდება, რომ ძველი რუსეთის ჩამორჩენის ნიშნები მართლაც არსებობდა. მაგრამ,

როგორც მოულოდნელად აღმოჩნდა XX საუკუნეში, ეს ნიშნები მთელ რუსეთში უთავსდებოდა მაღალმხატვრულ ხუროთმოძღვრებას, ხატწერასა და კედლის მხატვრობას, დეკორატიულ ხელოვნებას, ქარგვასა და, როგორც ახლა ირკვევა — ძველ რუსულ საგუნდო მუსიკასა და ლიტერატურასაც.

განა უფრო მართებული არ იქნება ვიფიქროთ, რომ ის დარგები, სადაც ჩამორჩენა შეიმჩნევა, არ გამოხატავენ ძველი რუსეთის კულტურის არსს და ამიტომ ეს კულტურა მათ საფუძველზე არ შეიძლება შეფასდეს?

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ძველი რუსეთის ზნეობრივი იდეალები, კარგი იქნება თუ მივმართავთ „იზმარაგდს“ — ძველ რუსეთში, შემდეგ კი ძველმორწმუნეთა შორის გავრცელებულ ამ ერთ-ერთ ყველაზე საყვარელსა და ავტორიტეტულ საკითხავს. „იზმარაგდი“ უეჭველად უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე „დომოსტროი“. ოცდაათიანი წლის წინ ვ. ანდრიანოვა-პერეტცმა „იზმარაგდის“ საფუძველზე გამოიკვლია ძველი რუსეთის ზნეობრივი იდეალები, თუმცა რატომღაც ვერ შეძლო თავისი გამოკვლევის გამოქვეყნება.

მე არ გავიმეორებ ამ გამოკვლევის დასკვნებს და არც საკუთარი დასკვნებით შეგაწყენთ თავს. ჩემი აზრით, ძველი რუსეთის ზნეობრივი იდეალების კვლევას საფუძვლად უნდა დაედოს უფრო მეტი მასალა და არა მხოლოდ „იზმარაგდის“ ტექსტი. ეს მრავალი თაობის მეცნიერთა სამუშაოა... ბუნებრივია, ამ გამოკვლევათა დასკვნებს წინ ვერ გავუსწრებ, მაგრამ მაინც ვიტყვი, ამ იდეალების შექმნაში უდიდესი როლი ეკუთვნის ისიხასტების ლიტერატურას, ამ ქვეყნიდან, თავის თავისაგან, ყოველდღიური აზროვნებისაგან განდგომის იდეებს, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ რუს ხალხს გადაეტანა გაჭირვება, ემოქმედა და ექცქირა სამყაროსათვის ადამიანების სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულით, უარი ეთქვა ყოველგვარ ძალადობაზე. სწორედ ამ იდეებმა — მართალია ძალზე ტრანსფორმირებული სახით — შეაძლებინეს აბაკუმს ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაეწია მხოლოდ სიტყვითა და დარწმუნებით, გადაეტანა არნახული წამება, ყოფილიყო საოცრად მტკიცეც და უბოროტოც. აბაკუმსა და მის ნაწერებში გვაკვირვებს არა მხოლოდ მისი ზნეობრივი სიმტკიცე, არამედ ისიც, რომ მას ძალუძს ამაღლდეს საკუთარ თავზე, კეთილი და ყოვლისმიმტევებელი ღიმილით შეხედოს თავის მტანჯველებს, რომელთაც იცოდებს კიდეც, უწოდებს მათ „საბრალოთ“, „საწყლებს“, „სულელებს“. აბაკუმს ზოგჯერ უგემურ ფანატიკოსად თვლიან. ეს დიდი შეცდომაა. მას სიცილიც შეეძლო, შეეძლო ღიმილით ეცქირა თავის მტანჯველთათვის. იგი ლმობიერია და ამავე დროს საოცრად მედგარი სულიერადაც.

ასეთ პირობებში, ამგვარი იდეალების „პირობებში“ ძველი რუსეთის მკვიდრთ საოცრად უყვარდათ ეს სამყარო, თუმცა მათთვის ეს წუთისოფელი ამავე დროს ცოდვით სავსე, ამაო და ბოროტი იყო.

ყოველ კულტურას აქვს იდეალი და მისი რეალიზაცია: იდეალების წარმომშობი სინამდვილე თვითვე ცდილობს განახორციელოს ისინი და ხშირად ამახინჯებს, ალარიბებს მათ. როდესაც რომელიმე კულტურას ვახასიათებთ და ვაფასებთ, ცალ-ცალკე უნდა შევაფასოთ როგორც იდეალი, ისევე მისი რეალიზაცია. ეს აუცილებელია, რადგან იდეალების განხორციელება შეიძლება მკვეთრად დაუპირისპირდეს თავად იდეალებს. ეს შეუთანხმებლობა შეიძლება გამოვლინდეს იდეალების განხორციელების ხარისხში ანდა თავად განხორციელების ხასიათში. იდეალები და სინამდვილე შეიძლება აღმოჩნდნენ ტიპოლოგიურად განსხვავებულნი, ეთიკუ-

რად, ესთეტიკურად განსხვავებულნი. და ბოლოს ისინი შეიძლება ერთი ხალხის წიაღში მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ მხარეებს წარმოადგენდნენ: აღმოსავლეთსა და დასავლეთს, აზიასა და ევროპას.

კულტურის „გაორებული სიცოცხლე“ ისეთივე ჩვეულებრივი რამაა, როგორც ადამიანის პიროვნების გაორება: ეროვნული კულტურაც ხომ პიროვნებაა.

იდეალი ცხოვრების ძლიერი რეგულატორია[1], მაგრამ ყოვლის შემძლე როდია, მის მიერ კულტურისათვის მიცემული მიმართულება ზოგჯერ განსხვავდება იმ გზისაგან, რომლითაც მიჰყავს კულტურა ისტორიულ პროცესს, ეკონომიურ ფაქტორებს. იდეალის ძალები, რომლებიც განხორციელებას ლამობენ, „კულტურული მატერიის“ წინაღობას აწყდებიან, რასაც კულტურის დიდი ხომალდის შეფერხება შეუძლია.

სწორედ ასეთი რამ დაემართა ძველი რუსეთის კულტურას. კულტურის იდეალსა და სინამდვილეს შორის ღრმა უფსკრული აღმოჩნდა. და განა მარტო იმიტომ, რომ იდეალი თავიდანვე ძალზე მაღალი იყო და სულ უფრო და უფრო მაღლდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ სინამდვილე ზოგჯერ ძალზე დაბალი და ულმობელი იყო. ძველი რუსეთის იდეალი საოცრად თავისუფალია საკუთარ განხორციელებაზე ზრუნვისაგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იდეალები აქ საერთოდ არ ხორციელდებოდა, ან სინამდვილედ არ ქცეულა, როგორც სიწმინდის მაღალი იდეალები, ისევე ზნეობრივი სიწმინდე.

და მაინც რა უნდა ვუყოთ ძმებ კარამაზოვებს? პუშკინი ერთია, აქ კი ერთ შემჭიდროებულ რიგში სამი ძმა დგას. იდეალი ერთი უნდა იყოს, კარამაზოვები კი ხასიათებია. ტიპიურია ეს ხასიათები რუსი ადამიანებისათვის? დიახ, ტიპიურია. ისინი „კანონიერი“ ძმები არიან, მაგრამ მათ მეოთხე „უკანონო“ ძმაც ჰყავთ: სმერდიაკოვი.

„კანონიერ“ კარამაზოვებში კარგ თვისებებსაც ვპოულობთ და ცუდსაც. სმერდიაკოვს კი არა აქვს კარგი თვისებები. მას მხოლოდ ერთი თვისება აქვს — ეშმაკის თვისება. სმერდიაკოვი ერწყმის ეშმაკს. ივანეს კოშმარებში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან. ეშმაკი კი არც ერთი ხალხისათვის არ არის ტიპიური და ნიშნეული, მას ყველა ხალხი გაურბის, უარყოფს, არ აღიარებს. სმერდიაკოვი რუსის ტიპი კი არ არის, რუსის ანტიპოდია.

რუსეთის ცხოვრებაში კარამაზოვები ბევრნი არიან, მაგრამ ისინი როდი განსაზღვრავენ ხომალდის გეზს. აფრიანი ხომალდის კაპიტნისათვის მეზღვაურებზე უფრო საჭირო რუმპელია და ვარსკვლავი, რომელზეც იღებს ორიენტაციას იდეალი.

რუს ხალხს კარგის გარდა ავიც ბევრი ჰქონდა და ეს ავი ცოტა არ არის, რამეთუ ხალხიც ბევრია. თუმცა ამ ავის არსებობა ყოველთვის ხალხის ბრალი არ ყოფილა, სმერდიაკოვების ბრალი იყო, სახელმწიფო მოღვაწეთა სახით რომ გვევლინებოდნენ. ხან არაკჩეევის, ხან პობედონოსცევის, ხან კი სხვების. შემთხვევით როდი გარბოდნენ რუსები ჩრდილოეთისაკენ — ტყეებში, სამხრეთისაკენ — კაზაკებად, აღმოსავლეთისაკენ — შორეულ ციმბირში. ისინი ეძიებდნენ ბედნიერ სამეფოს, ქვეყანას, სადაც აღარ შეხვდებოდნენ ურიადნიკებსა და უბნის ზედამხედველებს, გენერლებს, რომლებიც აიძულებდნენ სხვა ქვეყნების გლეხებისათვის წაერთმიათ მიწები. მაგრამ ჯარში მაინც რჩებოდნენ ტუშინები, კონოვნიცინები და პლატონ კარატაევები: ეს მაშინ, როცა ომები თავდაცვითი იყო ანდა როცა უნდა გაეთავი-

[1] См. Ю. М. Лотман. Статьи по типологии культуры. Тарту, 1970, стр. 40 (Об отношениях между культурой и ее автомоделью).

სუფლებინათ ძმები — „ბრატუშკი“ — ბულგარელები და სერბიელები.

„ბრატუშკი“ — ეს სიტყვა ხალხმა მოიგონა და კარგადაც მოიგონა.

მაშასადამე, რუს ხალხში ეროვნული ეგოიზმი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ეროვნული შეგნების სიფართოვე და გულგაშლილობა.

რას იზამ, მზიან დღეს ყოველ საგანს თავისი ჩრდილი აქვს და ხალხის ყოველ კეთილ თვისებას ცუდი თვისება უპირისპირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიოტიზმი თუ ნაციონალიზმი?

არსებობს ძალზე მცდარი შეხედულებები, რომელთა თანახმად ეროვნული თავისებურებების ხაზგასმა ეროვნული ხასიათის განსასაზღვრავად ხელს უწყობს ხალხთა გათიშვას, შოვინისტური ინსტინქტების გაღვივებას.

დიდი რუსი ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი თავისი „რუსეთის ისტორიის“ მეშვიდე წიგნის დასაწყისში წერდა: „თავისი ეროვნების უსიამოვნო ქება... ვერ გაიტაცებს რუსებს“. ეს სრული სიმართლეა. საკუთარი თავის ქება-დიდების სენი რუსებს არასოდეს არ შეჰყრიათ. პირიქით, ყოველთვის თუ არა, უმეტესწილად რუსები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მეზობელ ხალხებთან. ეს უკვე რუსეთის არსებობის საუკუნეებზე ითქმის. ათასი წლის მანძილზე რუსეთისა და კარელიის სოფელთა მშვიდობიანი მეზობლობა ჩრდილოეთში, — მეტად საგულისხმო ფაქტია. მერის, ვესების იჟორების და სხვათა მეზობლობას რუსებთან სისხლისღვრა არ მოჰყოლია. კიევში იყო ჩუდის ეზო — იგი ჩუდის (მომავალ ესტონელთა) რომელიღაც წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ნოვგოროდში იყო ჩუდინცევის ქუჩა. იქვე, რამდენიმე წლის წინ, ნაპოვნია ფინური ენის უძველესი ძეგლი — არყის ხის ქერქზე დაწერილი ფინური სიგელი. ეს სიგელი რუსული სიგელების გვერდით იდო. ყივჩაღებთან ომები უფრო ხშირად ეროვნული კი არ იყო, არამედ წმინდა ფეოდალურ ხასიათს ატარებდა, — რუს თავადებს ცოლად მოჰყავდათ დიდგვაროვანი ყივჩაღი ქალები, მაშასადამე, რასობრივი გაუცხოება აქ არ არსებულა. საერთოდ, რუსეთის კულტურის მთელი ისტორია ადასტურებს ამ კულტურის გულღია ხასიათს, ამთვისებლობას და მეტწილ შემთხვევაში ეროვნული ქედმაღლობის უქონლობას.

ყაზანის აღების შემდეგ XVI საუკუნის შუა წლებში შეიქმნა „ყაზანის აღების ისტორია“, რომელშიც აღწერილია ყაზანის თათარ მიმტაცებელთა სიმამაცეც და თანაგრძნობითაა გადმოცემული ყაზანელი სუმბექ დედოფლის მოთქმა მშობლიური ქალაქის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო.

ჩემი ერის ქებას ხომ არ შევუდექი? არა, ეს გულღიობა და მშვიდობიანობა ხომ იმ ფინური ტომების თვისებაც იყო, რომლებიც რუსების მეზობლად ცხოვრობდნენ. ეს გულგახსნილობა ხალხთა გარკვეული, ეროვნებამდელი არსებობის თვისებაა. მაგრამ რუსეთში ამ თვისებამ დროითი საზღვრები გადალახა და იდეოლოგიურად დამკვიდრდა. რუსული ლიტერატურისა და ისტორიული აზრის ცნობიერ და გარკვეულ პრინციპად იქცა. აღმოსავლეთ სლავებმა ეს პრინციპები ბულგარელებისგან მიიღეს მემკვიდრეობით. ვენეციაში კირილე (ან მეთოდე) სამენოვნების დამცველებთან კამათისას (ე. ი. იმ თვალსაზრისის მიმდევრებთან კამათისას, რომელთაც ღვთისმსახურება მხოლოდ სამ ენაზე მიაჩნდათ დასაშვებად — ბერძნულზე, ებრაულსა და ლათინურზე) ამბობდა: „განა წვიმა ყვე-

ლასთვის ერთნაირად არ მოდის? განა მზე ყველასთვის არ ანათებს? განა ჩვენ ერთი ჰაერით არ ვსუნთქავთ"?

ამ აზრს ეხმიანება XI საუკუნის შუა წლებში რუსი მიტროპოლიტი ილარიონი თავის შესანიშნავ ნაშრომში „სიტყვა კანონისა და მადლის შესახებ", სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ყველა ხალხი თანასწორია და ყველა საერთო საქმეს აკეთებს კაცობრიობისათვის.

ეროვნული თავისებურებები — უეჭველი ფაქტია. არ არსებობს ისეთი განუმეორებელი თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელი იქნება მხოლოდ ამა თუ იმ ხალხისათვის, მხოლოდ ამა თუ იმ ერისათვის, მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნისათვის. აქ მთავარია ამ თვისებათა ერთობლიობა, ამ ეროვნული და ზოგადსახალხო თვისებების კრისტალურად განუმეორებელი აგებულება. ეროვნული ხასიათის, ეროვნული ინდივიდუალობის არსებობის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ხალხთა სამყარო ძალზე უფერულ და მოსაწყენ რაიმედ ვაქციოთ.

მართლაც აბა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მოგზაურობთ და ვაგონის ფანჯრიდან ერთიდაიგივე პეიზაჟს ხედავთ. ო, რარიგ მოსაწყენია! ქრება ყოველგვარი ხალისი მოგზაურობისა, ქრება სიყვარული იმ ქვეყნისადმი, სადაც ხართ ჩასული. ბავშვს არ შეუყვარდება თოჯინა, თუკი ის სხვა თოჯინებისაგან გაურჩეველია. საკუთარ თოჯინაში ინდივიდუალური, სხვებისაგან განმასხვავებელი თავისებურებები უნდა ჰპოვო და თავისი სახელი დაარქვა მას. სახელი, როგორც ინდივიდუალობის, განუმეორებლობის ნიშანი, ძალზე დიდ როლს თამაშობს, როცა რამე ან ვინმე გვიყვარს. თუ არ არსებობს ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც ანსხვავებენ ქალაქებს სხვა ქალაქებისაგან, სოფლებს სხვა სოფლებისაგან და თქვენეულ სახლს — მეზობელ სახლებისაგან, მაშინ მთელი ქვეყანა მოსაწყენ, უინტერესო უდაბნოდ გადაიქცევა, მისი ხალხი კი — მშობლიური კუთხის სიყვარულს მოკლებულ ადამიანებად.

სწორედ ინდივიდუალური თავისებურებები აკავშირებენ ხალხებს ერთმანეთთან, გვაიძულებენ გვიყვარდეს ხალხი, ვისაც არ ვეკუთვნით, მაგრამ ვისაც ბედმა შეგვახვედრა. მაშასადამე, ხასიათის ეროვნული თავისებურებების გამოვლენა, მათი ცოდნა, ფიქრი იმ ისტორიულ გარემოებებზე, რომელთა წყალობითაც ისინი წარმოიშვა, გვეხმარება სხვა ხალხების გაგებაში. ფიქრს ამ ეროვნულ თავისებურებებზე საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ის ძალზე მნიშვნელოვანი რამაა.

საკუთარი ხალხის გაცნობიერებული სიყვარული გამორიცხავს სხვა ხალხების სიძულვილს, როცა შენი ხალხი, შენი ოჯახი გიყვარს, სხვა ხალხები, სხვა ოჯახები, სხვა ადამიანებიც გეყვარება. ყოველ ადამიანში არსებობს ზოგადგანწყობა იმისა, შეიყვაროს თუ შეიძულოს ვინმე, გამოეყოს სხვას ან აღიაროს სხვა, რა თქმა უნდა, არა ყოველგვარი, არამედ საუკეთესო სხვა, რაიც ამ საუკეთესოს შემჩნევის უნარს გულისხმობს. ამიტომ სხვა ხალხების სიძულვილი (შოვინიზმი) ადრე თუ გვიან საკუთარი ხალხის ერთ ნაწილზეც გავრცელდება — თუნდაც იმათზე, ვინც ნაციონალიზმს არ აღიარებს. თუ ადამიანში სხვათა კულტურის აღქმის ზოგადი განწყობაა გაბატონებული, ამ განწყობამ არ შეიძლება არ მიიყვანოს ის საკუთარი კულტურის ღირებულების ნათელ გაცნობიერებამდე. ამიტომ თავის უმაღლეს, გაცნობიერებულ გამოვლინებებში ნაციონალობა მუდამ მშვიდობისმოყვარეა. აქტიურად მშვიდობისმოყვარე და არა უბრალოდ გულგრილი სხვა ეროვნებათა მიმართ.

ნაციონალიზმი ერის სისუსტის გამოვლინებაა და არა მისი ძლიერებისა. ნაციონალიზმის სენი უმთავრესად იმ სუსტ

ხალხებს სჭირთ, რომლებიც თავისი თავის შენარჩუნებას ნაციონალისტური გრძნობებისა და იდეოლოგიის წყალობით ცდილობენ. დიადი ხალხი კი, დიდი კულტურის, თავისი ეროვნული ტრადიციების მქონე ხალხი, მოვალეა იყოს კეთილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასთან მცირე ერის ბედია დაკავშირებული. დიდი ხალხი უნდა დაეხმაროს მცირეს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა შეინარჩუნოს თავისი თავი, თავისი ენა, თავისი კულტურა.

ძლიერი ხალხი ყოველთვის მრავალრიცხოვანი არ არის, ისევე როგორც სუსტი ხალხი ყოველთვის მცირერიცხოვანი როდია. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ადამიანთა რაოდენობას, არამედ ხალხის ეროვნული ტრადიციების რწმენასა და სიმყარეს.

თხუთმეტი წლის წინათ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შეიქმნებოდა კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, მე შევხვდი სამ ახალგაზრდას, რომლებიც ჩემსავით შეწუხებულნი იყვნენ კულტურის ძეგლებისადმი უყურადღებობით. ჩვენ ჩამოვთვალეთ, რას ვკარგავთ და კიდევ რა შეიძლება დავკარგოთ. მე ვთქვი, რომ ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ მცირე ერების ძეგლებზე: იგორა, ვოლგა უკვალოდ ქრება-მეთქი. უცებ ჩემი ახალგაზრდა თანამოსაუბრეები მოიღუშნენ: „არა, ჩვენ მხოლოდ რუსეთის ძეგლებზე ვიზრუნებთ". „რატომ?" — „ჩვენ რუსები ვართ". „კი მაგრამ, განა რუსეთის ვალი არაა დაეხმაროს იმ ხალხებს, რომლებმაც ისტორიულ გარემოებათა გამო თავისი ბედი რუსეთის ბედს დაუკავშირეს?"

მე ვლაპარაკობდი იმაზეც, თუ რაოდენ დიდ ღირებულებას ქმნიან მსოფლიო კულტურისათვის ვოლგისპირეთის ხალხები. ვოლგისპირეთის — ე. ი. რუსეთის დიადი მდინარის პირას მცხოვრები ხალხები, და განა ვოლგა სხვა ხალხების — თათრების, მორდველების, მარელების და სხვათა მდინარე არ არის? განა აქედან შორია კომი ან ბაშკირელები? რამდენი კულტურული ღირებულება მიგვიღია ჩვენ, რუსებს, სხვა ხალხებისაგან სწორედ იმიტომ, რომ მათთვისვე მიგვიცია ჩვენი. კულტურა დაუხურდავებელ მანეთიანს ჰგავს: თუმცა კი ხარჯავ, მაგრამ ის მუდამ ჯიბეში გრჩება.

რამდენი დიდი რუსი მეცნიერი სწავლობდა შუა აზიის, ციმბირის, კავკასიის ენებს! რამდენი გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე გვყავდა, როგორ განვითარდა თავად რუსული ფილოლოგია აღმოსავლეთის ხალხთა კულტურების შესწავლის წყალობით, რაოდენი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ მსოფლიოში...

იგივე ითქმის ხელოვნებათმცოდნეობაზე, ისტორიაზე, ფოლკლორისტიკაზე, ლიტერატურათმცოდნეობაზე და მრავალ სხვა დარგზე. რუსულმა მეცნიერებამ როდი წააგო იმით, რომ რუსი მეცნიერები მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეცნიერული ცენტრების, ეროვნული უმაღლესი სასწავლებლების შექმნაში. იგი გამდიდრდა და მდიდრდება იმ იდეების შესწავლით, რომლებიც უკან გვიბრუნდებიან ერევნიდან, ტარტუდან ტაშკენტიდან, ალმაატიდან, თბილისიდან, ბაქოდან, კიევიდან, მინსკიდან, პეტროზავოდსკიდან, ვილნიუსიდან, რიგიდან...

მეცნიერული ცენტრების ამ ჩამოთვლისას მე ვერ შევძლებ ვახსენო ყველა. თუმცა მთავარია არა სრული ჩამოთვლა, არამედ სრული გაცნობიერება იმ როლისა, რომელსაც თამაშობს მეცნიერული გამოცდილების გაზიარება ხალხთა შორის.

ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ისაა, რომ სხვა გაამდიდრო და ამავე დროს თავად გამდიდრდე სულიერად, ნაციონალიზმი კი იკეტება თავის ნაჭუჭში და ამით ღუპავს საკუთარ კულტურას, აჭკნობს მას.

კულტურა კარგია, კარგახსნილი უნდა იყოს.

XX საუკუნეში მიღებული გამოცდილების მიუხედავად ჩვენ ყოველთვის სწორად როდი ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს. ბოროტება სიკეთის ნიღაბსაა ამოფარებული.

პატრიოტიზმი უკეთილშობილესი გრძნობაა. ის გრძნობაც არაა, როგორც პირადი, ისევე საზოგადოებრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი მხარეა, როცა ადამიანი და მთელი ხალხი თითქოსდა თავის თავზე მაღლა დგება, ზეპიროვნულ მიზნებს ისახავს.

ნაციონალიზმი კი ადამიანის მოდგმის უბედურებათა შორის ყველაზე საზიზღარი რამაა. ისევე როგორც ყოველი ბოროტება, იგი ბნელში იმალება, ბნელში ცოცხლობს, მხოლოდ თავს გვაჩვენებს, თითქოს საკუთარი ქვეყნის სიყვარულით იყოს გაჩენილი. სინამდვილეში კი ნაციონალიზმი წარმოშვა ბოროტებამ, სხვა ხალხის სიძულვილმა, საკუთარი ხალხის იმ ნაწილის სიძულვილმა, რომელიც მის აზრებს არ იზიარებს.

ნაციონალიზმი ბადებს საკუთარ თავში დაურწმუნებლობას, სისუსტეს და თავადაც სისუსტისა და დაურწმუნებლობის პირმშოა.

გიყვარდეს საკუთარი ხალხი, საკუთარი ქალაქი, საკუთარი ბუნება, საკუთარი სოფელი, საკუთარი ოჯახი!

თუ ოჯახში ყველაფერი რიგზეა, ოჯახს ხშირი სტუმარი ჰყავს, არც ერთი დღესასწაული სტუმრების გარეშე არ აღინიშნება. კეთილი ოჯახები ცხოვრობენ სოციალურად სტუმართმოყვრულად, გულგაშლილად, ერთად. ეს ოჯახები ღონიერნი და ძლიერნი არიან.

ასევეა ხალხების ცხოვრება. ხალხები, რომლებშიც პატრიოტიზმი ეროვნულ „მომხვეჭელობას", ნაციონალიზმის სიხარბესა და კაცმოძულეობას არ შეუცვლია, ყველა სხვა ხალხებთან მეგობრულად და მშვიდობიანად ცხოვრობენ.

მხოლოდ სიხარული გეუფლება, როცა ცხოვრობ ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სავსებით განსხვავებული ხალხები - განსხვავებული თავიანთი ადათ-წესებით, კულტურული ტრადიციებითა და ეროვნული ხასიათით.

მე მეცნიერი ვარ, ვიკვლევ ძველ რუსულ ლიტერატურას, ე. ი. რუსული ლიტერატურის იმ ხანას, როდესაც მისი რუსული ხასიათი ყველაზე ნათლად იყო გამოხატული. და აი რა არის საყურადღებო: ძველ რუსულ ლიტერატურაში რუსებთან ერთად იღწვოდნენ ბულგარელები (კიპრიანი, გრიგოლ ცამბლაკი), სერბიელები (პახომ ლოგოფეტი, ანიკიტა ლევ ფილოლოგი), ბერძნები (მაქსიმ გრეკი და მრავალი სხვა), ხორვატები (იური კრიჟანიჩი), პოლონელები (ანდრეი ბელობოცკი), მორდველები (როგორც ჩანს, „რაინდი დეკანოზი" აბაკუმი და მისი ჯეროვნად შეუფასებელი მოწინააღმდეგე — პატრიარქი ნიკონი), ბელორუსები, უკრაინელები (XVII საუკუნეში უკრაინელი იმდენია, ვერც ჩამოთვლი)... ეს ადამიანები რუსული ლიტერატურის განვითარების შემოქმედებით პროცესში იყვნენ ჩართულნი.

ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი ხალხის შვილია, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, მთელი დედამიწის მოქალაქეა. ეს მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვები არაა. მე ამას სულით და გულით ვამბობ, ის კი, რაც სულით და გულით ითქმება, არ შეიძლება ლიტონი სიტყვა იყოს.

სხვა ხალხების სიძულვილზე დაფუძნებულ ნაციონალიზმსა და თავისი ხალხის სიყვარულზე დაფუძნებულ პატრიოტიზმზე ქართული სიმღერის სიტყვები მინდა გავიმეორო:

რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია...

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმირ ჩერედნიჩენკო

„წამიერების" კატეგორია ა. ფეტის პოეზიაში

თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

ჩვენი ფიქრით, მხატვრული დროის მოქმედების თავისებურებებში იმალება ლირიკული პოეზიის მომხიბვლელობის ერთ-ერთი დიდი საიდუმლოება. დროის პარამეტრები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფეტის პოეზიაში. წინამდებარე ნაშრომში ვიკვლევთ მხატვრული დროის ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას, როგორიცაა „წამიერება", ფეტის პოეზიაში უპრეცედენტო როლს რომ ასრულებს, ვიხილავთ ფეტის „წამიერების" მნიშვნელობასა და თავისებურებას.

წინდაწინვე აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეიძლება აიგოს მხატვრული დროის მარეალიზებელი მინი, მაკრო ან რეალური განზომილების ორი მხატვრული (ე. ი. სუბიექტური, ესთეტიკურად ფასეული) მოდელი: რეალური დროის (უწყვეტი, ერთმხრივმიმართული, შეუქცევადი, მონოტონურად მზარდი) მოდელი და პერცეპტუალური დროის (დისკრეტული, შექცევადი, ნებისმიერი სიჩქარითა და ნებისმიერი მიმართულებით კლებადი და მზარდი) მოდელი. მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება მოქმედებდეს როგორც ერთი, ისე ორივე მოდელი, ამასთან შესაძლებელია ორი მოდელის სულ სხვადასხვა ურთიერთმოქმედება. თუკი „ნატურული" პეიზაჟების აგებისას ფეტი, როგორც წესი, რეალური დროის მოდელს იყენებდა, „გრძნობათა დიალექტიკის" დამუშავებისას არცთუ ისე იშვიათად მიმართავდა დროისმიერი პლანების მრავალფეროვან შერევას, ე. ი. იყენებდა პერცეპტუალური დროის მოდელს (ფეტის პოეზიაში გამოყენებულია აგრეთვე ორი მოდელის ურთიერთმოქმედების სხვადასხვა ხერხი).

რას წარმოადგენს „წამიერება", რასაც ასე ფართოდ იყენებს იმპრესიონისტული პოეზია? წამიერება, ვთქვათ, წამისგან განსხვავებით, არ არის დროის ობიექტური ერთეული, რომელიც შეიძლება გამოვითვალოთ. წამიერება ცნობიერებით ფიქსირებული მოვლენის უკიდურესად ხანმოკლე ხანგრძლივობაა. მხატვრული წამიერება მხატვრული სიტყვის საშუალებებით მოდელირებული მოვლენის ზღვრული ხანმოკლეობაა. ამასთან მოდელირდება როგორც „გარეგან" მოვლენათა (სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენათა), ისე „შინაგან" მოვლენათა (სხვადასხვა შეგრძნებათა და წარმოდგენათა) ხანმოკლეობა. აღსანიშნავია, რომ ხანმოკლე შეგრძნება შეიძლება შეიცავდეს დაწნეხილი სახით ინფორმაციას მნიშვნელოვან დროისმიერ შუალედებზე. ასე, მაგალითად, განსხვავებული, მაგრამ არა წამიერი ხანგრძლივობის მოვლენათა მთელმა წყებამ შეიძლება ხსოვნაში ერთ წერტილში, ერთ მთლიან „მომენტში" „მოიყაროს თავი", მეორე მხრივ, „მომენტი" შესაძლებელია ასოციაციებით „დაიფაროს" და ამიტომ გახანგრძლივდეს შეგრძნებაში, დაკარგოს წამიერების მნიშვნელობა. მხატვრული წამიერება, ერთი მხრივ, ისე წარმოგვიდ-

გება, როგორც ესთეტიკურად თავისთავად ფასეული სტრუქტურა, მეორე მხრივ კი, სტრუქტურის ელემენტი — დანაწევრების (მაგრამ თვითონ დანაწევრებას რომ არ ექვემდებარება) შედეგად მიღებული მხატვრული დროის ნაწილი.

მხატვრულ ნაწარმოებში შესაძლებელია წამიერების გადმოცემის შემდეგი დონეები:

1. ხანმოკლეობის აღდგენა კონკრეტული მხატვრული სახის ფორმით; რაშიც დაგვეხმარება უმოკლესი მოქმედების სრული სახის წამყო დროის ზმნები და სხვა ტერმინოლოგიური საშუალებები. აი, სწორედ ამ დროს ხდება მოვლენის წამიერების **უშუალო შეგრძნება;**

2. ხანმოკლეობის (მისი აღნიშვნის, დაზუსტებისა თუ გაძლიერების მიზნით) ფაქტის კონსტატაცია დროის ლექსიკური მაჩვენებლების „წამი", „წამიერებს", „წამში", „თვალის დახამხამებაში", „მყისვე", და სხვ. მეშვეობით. ამასთან შეიძლება წარმოიშვას წამიერების როგორც **წარმოდგენა,** ისე შეგრძნება;

3. წამიერების როლის გააზრება. წამიერების დახასიათება (შეფასება). მხატვრული დროის მიღმა, უფრო ზუსტად, მხატვრულ დროზე მაღლა დგას („ზედნაშენი");

4. შედარებითი (ფარდობითი) ხანმოკლეობის ფაქტის კონსტატაცია „წამის", „წამიერების" ცნებების მეშვეობით, რომელთაც დაკარგეს მომენტურობის პირდაპირი მნიშვნელობა და ასრულებენ სხვა აბსტრაქტული ცნებების მაგიერობას. ამასთან იქმნება წარმოდგენები, რომლებიც ძალიან შორდება მხატვრულ დროს.

ფეტის პოეზიაში წარმოდგენილია წამიერების დაუფლების ყველა ზემოთ აღწერილი დონე (აღდგენა, აღნიშვნა, გააზრება). ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მხატვრული დროის დონეები (აღდგენა, აღნიშვნა). მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეხებით ოთხივე დონეს, ვინაიდან ისინი არცთუ იშვიათად ერთმანეთს გადაკვეთავენ ფეტის პოეზიაში. აგრეთვე იმის გამო, რომ უფრო გამოიკვეთოს მხატვრული დროის საზღვრები.

ფეტისათვის უდიდესი მხატვრული მნიშვნელობის ამოცანა იყო მიკრომოვლენების, ბუნებრივი და სულიერი ცხოვრების ამ „კვანტების" აღდგენა. სწორედ აქ იჩინა თავი პოეტი-მიკროკოსმის ღრმა და ძლიერმა ტალანტმა. ასეთი მიდგომა ახალი გამომსახველობითი საშუალებების (აქედან მომდინარეობს ფეტისეული ზმნური ფორმების ექსპერიმენტები) ძიებას ითხოვდა. ასეთი მიდგომის მთავარი პოზიტიური შედეგი იყო ბუნებრივი და სულიერი ცხოვრების განსაკუთრებული, „სასაზღვრო" მომენტების გამოყოფა. ერთი შეხედვით მოუხელთებელი და ნაკლებ მნიშვნელოვანი სულიერი ცხოვრების მომენტები ფეტის პოეზიაში სიღრმისეულად იხსნებოდნენ — ისინი გვევლინებოდნენ ქვეცნობიერ იმპულსებად, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანის შეგნებული ცხოვრების ჩამოყალიბებაზე, და თუ ფეტის პოეზიის „ნოოსფერო" უპირატესად ექსტრემალური სულიერი მდგომარეობის სფერო უფრო ირაციონალური სფერო გახლდათ, სამაგიეროდ ამ სფეროს ფორმირება უაღრესად რაციონალური იყო: განცდათა მონაცვლეობას, როგორც წესი, მოწესრიგებული ხასიათი ჰქონდა. იგი ხორციელდებოდა გარკვეული ლოგიკური თუ მეტალოგიკური თანმიმდევრობით, განცდათა შორის მყარდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ბუნებრივი და სულიერი ცხოვრებისეული მომენტების ჩართვას პოეტური ნაწარმოების სტრუქტურაში შემეცნებითი ეფექტი მოჰყვა: ამ მომენტებმა გააფართოვეს და გააღრმავეს ჩვენი წარმოდგენა ადამიანის ბუნებასა და შინაგან სამყაროზე. სამაგალითოდ განვიხილოთ ლექსი „Вечер" (1855):

Прозвучало над ясной рекою,
Прозвенело в померкшем лугу,
Прокатилось над рощей немою,
Засветилось на том берегу.

Далеко, в полумраке, луками
Убегает на запад река.
Погорев золотыми каймами,
Разлетелись, как дым, облака.

На пригорке то сыро, то жарко,
Вздохи дня есть в дыханье ночном, —
Но зарница уж теплится ярко
Голубым и зеленым огнем.

მოვლენათა თანმიმდევრულ მონაცვლეობას, რაც პირველ სტროფში ხდება, გვიჩვენებს სრული სახის ზმნათა ჯაჭვი (прозвучало—прозвенело—прокатилось—засветилось). უპირო ზმნათა[1] ხმარება ამ შემთხვევაში განპირობებულია მოვლენათა ხანმოკლეობით — სუბიექტი მახვილი თვალითა და მახვილი ყურით აღიქვამს მომხდარ ცვლილებებს (უნებურად ვავლებთ ანალოგიას სურათის გადაღებასა და ხმის ჩაწერასთან) — ფაქტის გაცნობიერება მხოლოდ მისი ფიქსაციის შემდეგ მოხდება (და არა იმავდროულად).

მეორე სტროფის დასაწყისში ასახულია ობიექტი — ღელე, რომელსაც არ გააჩნია დროისმიერი განფენილობა. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება იმას, რა უჩვეულო კუთხითაა ის დახატული (დაყოფა ჩემია — ვ. ჩ.):

Д а л е к о, в полумраке, луками
У б е г а е т на запад река.

ობიექტის მნიშვნელოვან სივრცობრივ განფენილობაზე მინიშნება დროისმიერ განფენილობაზე მინიშნებაცაა — დრო წარმოდგენილია მდინარით, დასავლეთისაკენ რომ მიექანება.

ეს მაგალითი გვითვალსაჩინოებს, როგორ გარდაიქმნება სახის წმინდა სივრცობრივი დახასიათება დროისმიერ დახასიათებად.

მეორე სტროფის დასასრული შემდეგი ეტაპია საღამოსთან მიახლოებისა, კიდევ ერთი შეუქცევადი წამი:

Погорев золотыми каймами,
Разлетелись, как дым, облака.

მესამე სტროფში დახატულია დღისა და ღამის ჭიდილი და, როგორც ამ ჭიდილის შედეგი — საღამოს ჩამოდგომა:

Но зарница уж теплится ярко
Голубым и зеленым огнем.

მიკრომოვლენის ხანმოკლე ცხოვრება, რომელიც გადმოსცემს ისეთი სწრაფმდინარე პროცესის ხანგრძლივობას, როგორიცაა საღამოს ჩამოდგომა, ამ ლექსის განმასხვავებელი ნიშანია.

უკვე თავისთავად საგულისხმოა ფეტის ინტერესი ბუნებაში არსებული გარდამავალი, „მოსაზღვრე“ მომენტებისადმი:

На пригорке то сыро, то жарко,
Вздохи дня есть в дыханье ночном

ეს „მოსაზღვრე მომენტები“ ისეთი სწრაფწარმავალი წამებია, რომ ამ ორი მოვლენის — როცა წარსულს ბარდება და ჩნდება — წონასწორობის მომენტის რეგისტრაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. „მოსაზღვრე მომენტების“ ანალიზი ისეთ რთულ ფილოსოფიურ საკითხს ეხება, როგორიცაა აწმყოს, ნამყოსა და მყობადის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რა განსაკუთრებულ ყურადღებას აქ-

---

[1] ლექსის მთელი სტროფი აგებულია უპირო ზმნებზე — ეს მოვლენა ალბათ უპრეცედენტოა XIX საუკუნის შუა ხანების რუსულ პოეზიაში.

ცევდა ფეტი მიკრომოვლენებს, გასაგები გახდება ისეთი აწმყოს მერყევი და ნაშლილი საზღვრები, რომლის შინაარსი იქნება განუსაზღვრელობა, ხოლო „საზომი" — ამ მდგომარეობის ხანგრძლივობა. დროის ბუნებას ფეტი ისე ღრმად ჩასწვდა, რომ „გარდამავალ მდგომარეობას" როცა ხატავს, ამ მომენტს ისე გვაწოდებს, როგორც ნამყოს და მყობადის გადაკვეთის წერტილს, როგორც მათი ბრძოლის შედეგს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

Уж сумраком пытливый взор обманут.
Среди тепла прохладой стало дуть.

(«Степь вечером», 1854)

На пригорке то сыро, то жарко
Вздохи дня есть в дыханье ночном.

(«Вечер», 1855)

Робко месяц смотрит в очи,
Изумлен, что день не минул,
Но широко в область ночи
День объятия раскинул.

(«Зреет рожь над жаркой
нивой...», конец 50-х гг.)

Жаждою света горя,
Выйти стыдится заря...

(«На рассвете», 1886)

ფეტის პოეზიაში აქცენტი ისეთ **ახლაზეა** დასმული, რომელიც ზეაქტიური „წამიერებაა", დროის დინამიკური შენადედია. **„ახლა"** ის მომენტია, როცა ინგრევა წარსული და იემნება მომავალი, მაგრამ სწორედ ეს ნგრევა და ქმნადობა (ჰეგელის **წარმავალობა**) და **წარმოშობა-ქმნადობის კომპონენტები** — გამოხატავს წარსულისა და აწმყოს უკვდავებას, რაც ქმედებაში, სამყაროს გარდაქმნაში, როგორც რეტროსპექციისა და პროგნოზის სინთეზში მდგომარეობს"[1].

სხვა ადგილას ფეტი წერს:

Так робко набегает тень,
Так тайно свет уходит прочь,
Что ты не скажешь: минул день,
Не говоришь: настала ночь.

(«Жди ясного на завтра дня...», 1854)

აქ აწმყო მოცემულია როგორც შეჭიდებული ძალების დროებითი წონასწორობა. დაჭერილია წამი ნამყოსა და მყობადს შორის, რომელიც **ჯერ კიდევ** არ არის მყობადი, მაგრამ **უკვე** არც ნამყოა. ორაზროვანი ხასიათის გამო ეს „წამი" მერყევია ფეტის ლირიკაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი სტატიკური დაბოლოება ლექსისა (დროის შეჩერება) მეტად ნიშნეულია ფეტისათვის: „გარდამავალი მდგომარეობის" გამოხატვა იცვლება, როგორც წესი, ან დადებითი მდგომარეობით, ანდა პროგნოზით, რომელიც აღრმავებს ლექსის დროებით „არხს". როგორც ქვემოთ დავინახეთ, სწორედ დროში „წამთა" გაშლილი მოძრაობა იქნება ფეტის ლექსების დროებითი ორგანიზაციის კონსტრუქტიული პრინციპი.

ფეტის პოეზიაში მოდელირდება გარე სამყაროს სულ სხვადასხვა ხანმოკლე მოვლენები — სხივის გამოკრთომა, წყლის ჩქაფუნი, ფრთის მოქნევა, წამწამთა გაელვება, თავის მოტრიალება, გამოხედვა, ჟესტი, ხელის ჩამორთმევა. ფართოდაა წარმოდგენილი აგრეთვე ნუთიერი გრძნობების, შეგრძნებებისა და განწყობილებების მთელი გამა. აი, ეს დაჭერილი წამები:

---

[2] Кузнецов Б. Г., Григорьян А. Т. К вопросу о необратимости космической эволюции, познания и культурно-исторического процесса. — Organon, № 12—13, с. 184.

Вот жук взлетел и прожжужал сердито,
Вот лунь проплыл, не шевеля крылом.

(«Стель вечером», 1854)

И, собираясь упорхнуть,
Глядел на нас наш гость крылатый.

(«Еще акация одна...», 1859)

ეროვნული ბიბლიოთეკა

Словно струну оборвал
Жук, налетевши на ель;
Хрипло подругу позвал
Тут же у ног коростель.

(«Жду я, тревогой объят...», 1886)

В этом зеркале под ивой
Уловил мой глаз ревнивый
Сердцу милые черты...
Мягче взор твой горделивый...
Я дрожу, глядя, счастливый,
Как в воде дрожишь и ты.

(«Ива», 1854)

ხანდახან ფეტი ხატავს დისკრეტულ მომენტებს, რომლებიც ხანგამოშვებით მეორდებიან:

Прохлада вечера и дышит и не дышит
И колос зреющий едва-едва колышет

(«Пойду навстречу к ним знакомою тропой...», 1859)

Внизу померкший сад уснул, — лишь тополь дальний
Все грезит в вышине, и ставит лист ребром,
И зыблет, уловя денницы блеск прощальный,
И чистым золотом, и мелким серебром.

(«О, как волнуюся я мыслию больною...», 1891)

ლექსში «Сосна так темна, хоть и месяц..." (1842) სპონტანურად ფიქსირებულია ნამიერებანი, რაც განპირობებულია ლირიკული გმირის განსაკუთრებული, ჰიპნოტიზებული განწყობილებით.

ზენამიერების გამოდევნებას ხანდახან მოულოდნელი შედეგი მოაქვს — პოეტის ხედვის არეში ხვდება განათებით, დაკვირვების წერტილით დამახინჯებული სინამდვილის სურათები — ნამიერად წარმოქმნილი და ისევე ნამიერად გამქრალი მირაჟები („Фантазия", 1847; «На Днепре в половодье», 1853 და სხვ.). ასეთი მოულოდნელი სახე გვხვდება (დაყოფა ჩემია — ვ. ჩ.):

За нами мельница едва-едва видна
И берег посинел зеленый...

ეს ალბათ ყველაზე იმპრესიონისტული სახეა ფეტის ლირიკაში — პოეტი აფიქსირებს ფერის მეტამორფოზას, რაც დაკავშირებულია ობიექტისაგან სივრცობრივი დაშორებით.

ლექსის ორგანიზაციის პრინციპად ფეტი განსაკუთრებით იშვიათად იყენებს ნამიერების აღწერას, რომელიც აჩერებს მხატვრულ დროს. ასე მაგალითად, ლექსში „Что за звук в полумраке вечернем? Бог весть..." (1887) შეუცნობელი „მტირალა" ბგერა დროის ერთადერთი რეალური მომენტია, რომლის ირგვლივ თავს იყრის ლირიკული გმირის განცდები. ამ ბგერაში თითქოს კოდირებულია განსაზღვრული ინფორმაციები, რომელთა ამოშიფრვაზე ამდენს წვალობს ლირიკული გმირი. საინტერესოა, რომ თუკი ამოშიფრვის

პროცესი (მომენტის აღწერა) გამოთიშულია რეალურად შეგრძნებადი დროიდან, თვით მომენტი აკუმულირებულია წარსულით („грезы больные бессонных ночей") და მყობადის სანყაოს წარმოადგენს („мне дыхание скажет, где ты"). ამგვარად, ასეთ შემთხვევებშიც კი ფეტის წამიერება აწმყო დროის ჭრილში ერთმანეთთან აკავშირებს წარსულსა და მომავალს.

წამიერების გამოხატვის („მოქმედების გამოტოვება") ახალ პრინციპს ხედავთ ლექსში „Морская даль во мгле туманной..." (1857) აქ მოდელირების ობიექტი მოქცევაა — უსასრულო ბუნებრივი პროცესი, რომლის ფაზები მექანიკურად მეორდება.

ჯერ იქმნება პროცესის სივრცობრივი მოდელი (1-2 სტროფები), შემდეგ დროითმიერი (3-4 სტროფები). თუ მესამე სტროფში მოდელირებულია დრო, რომელიც რამდენიმე წამს უდრის, მეოთხე სტროფში ეს უკვე სულ ორიოდე წამი და მათი ნილადებია. „მიგორებული (მესამე სტროფი) ტალღა აქაფდა" (მეოთხე სტროფი). მერე?

Вот звонко грянет на плиту

ტალღა უკვე აქაფდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ უგრიალია. „აი იგრიალებს" ნიშნავს „მალე იგრიალება". აქ მოდელირებული დრო მერყევი სასაზღვრო ინტერვალია ორ წამიერ მოქმედებას — „აქაფებასა" და „გრიალს" შორის.

მაგრამ ეს რაღაა:

А уж подкинутую пену
Разбрызнул ветер на лету.

ველოდებით, როცა ტალღა „იგრიალებდა", ქარმა კი **უკვე** „მიაშხეფ-მოაშხეფა ქაფი დაგრიალების შემდეგ! ერთი მხრივ — **ჯერ კიდევ** არ უგრიალია, მეორე მხრივ კი **უკვე** მიაშხეფ-მოაშხეფა. რაკი მოქმედებას (ფილასთან ტალღის შეხების მომენტი) ნულოვანი დროისმიერი განვრცობა აქვს ლექსში, ამასთან მოკლებულია დროისმიერ დახასიათებას, ჩვენ ცხადად შევიგრძნობთ მოქმედების მოლოდინსა და მის შედეგებს. აქ ისე როგორც ულტრამცირე სიჩქარეებისა ფიზიკაში, შედეგი ძნელად განუყოფელია დროში მიზეზისაგან. ეს მაგალითი შეიძლება ზუსტი არ იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილასთან ტალღის შეხების მომენტი სინამდვილეში წამის სულ რამდენიმე ნაწილია (ეს სიდიდე ფიზიკოსათვის უზარმაზარია). მაგრამ აქ მთავარია ლექსში პრაქტიკულად მოუხელთებელი წამიერების გამოხატვის ახალი პრინციპი. ზეწამიერების გადმოსაცემად საშუალებებს როცა ეძებს, ფეტი ნახევრად რეალურს ხდის თვით შედეგს — ნაწილაკ уж-ის მეშვეობით აძლიერებს ზმნა разбрызнул-ის აორისტიკულ მნიშვნელობას, ხაზს უსვამს სინამდვილისაგან მოქმედების გათიშვის ფაქტს. არის მოქმედების მოლოდინი, მაგრამ არ არის თვით მოქმედება. ხოლო შედეგისაგან უკვე აღარაფერი დარჩა! ლექსში «Морская даль во мгле туманной... (1857) ფეტი ნოვატორად წარმოგვიდგება, ახალ გზებს რომ კვალავს რუსული პოეზიის მხატვრული დროის დარგში. ამ მიმართებით საინტერესოა. ერთი მხრივ, ფეტისა და მისი თანამედროვე პოეტების, ხოლო. მეორე მხრივ, ფეტისა და ბალმონტის შედარება.

ვნახოთ, როგორ დაამუშავეს ერთი და იგივე პეიზაჟური თემა (წვიმა) ტიუტჩევმა («Неохотно и несмело...» 1849), ნეკრასოვმა («Перед дождем», 1846) და ფეტმა («Весенний дождь», 1857?). ადვილად შესამჩნევია რომ ტიუტჩევის მხედველობის არეში მთელი ხილული სივრცეა. ამ სივრცეში მომხდარი ყველა მოვლენით. ფართოა პოეტის თვალსაწიერი — „вся сметенная земля" ამ თვალსაწიერის საზღვარია. ფეტის არ იყოს, ტიუტჩევისთვისაც ძვირფასია თანამიმდევრობა, თუმცა „зеленеющие нивы зеленее под грозой" მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაკავშირებულია ჭექა-ქუხილის რომელიღაც მომენტთან. სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა აქვს სივრცობრივი კადრების მონაცვლეობას. პოეტის მზერა თანდათანობით მოიცავს ყველაფერს ზემოდან (ცა) ქვემოთ (მიწა), რათა არ გამოეპაროს არც ერთი დეტალი, ამასთან ლექსის ფინალში (მეხუთე სტროფი) ხდება შთამბეჭდავი შეერთება „მაღლისა" და „დაბლისა", „ცისა" და „მიწისა". ნეკრასოვი ოსტატურად ხატავს მოახლოებული გაწვიმების სურათს. ლექსი დაწერილია ფეტისათვის მახ-

ლობელი მოქმედების დროში დანაწევრების მანერით (1-2 სტროფები). მაგრამ თუ ფეტის ბოლო სტროფი მოვლენასთან მიახლოების კიდევ ერთი საფეხური იქნებოდა, ნეკრასოვი ცვლის აქცენტს — პეიზაჟში შემოიჭრებიან ადამიანები და მთელი ლექსი სხვაგვარად გაიაზრება. ფეტი პეიზაჟს რამდენადმე სხვაგვარად ხატავს. მას აინტერესებს გაწვიმების ნიშნების თანმიმდევრული გაძლიერების პროცესი. ამასთან ეს პროცესი იმდენად სწრაფმდინარია, რომ ჩვენ კიდევ საკმარისად ვერ შევიგრძენით, წვიმაა თუ არა ეს. პოეტი თითქოსდა მაფიქსირებელ მანქანას ემსგავსება, რომელიც ფიქსაციას კი ახდენს, მაგრამ მომხდარის გააზრებას ვერა:

Еще светло перед окном,
В разрывы облак солнце блещет,
И воробей своим крылом
В песке купаяся, трепещет.

А уж от неба до земли,
Качаясь, движется завеса,
И будто в золотой пыли
Стоит за ней опушка леса.

Две капли брызнули в стекло,
От лип душистым медом тянет,
И что-то к саду подошло,
По свежим листьям барабанит.
(«Весенний дождь», 1857)

მაფიქსირებელი მანქანა, რა თქმა უნდა, პოზიციაა. ლექსში არ არის არც ერთი შემთხვევითი დეტალი. „ღრუბლის ნაფლეთები“, მოცახცახე ფრთა, მოქანავე ფარდა, ოქროსფერი ქვიშა, „ორი წვეთი“, სურნელოვანი თაფლი — ეს ყველაფერი ქმნის მოახლოებული სტიქიის გარდაუვალობის შეგრძნებას:

И что-то к саду подошло,
По свежим листьям барабанит.

იგულისხმოა, რომ წვიმა — ეს ჯერ კიდევ არ არის წვიმა, მხოლოდ „что-то“-ა. წვიმის შეგრძნება ლექსის მიღმა უნდა მოხდეს[3]. («Весенний дождь»-ის სათაურის თაობაზე იხ. ქვემოთ). აქ მთავარია, შეინარჩუნო შეგრძნება მის პირველყოფილ სიცინცხალეში. ასეთივე ხერხს მიმართავდნენ პეიზაჟის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ა. ჩეხოვი და მ. პრუსტი. უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი არ იყო ის, რაც აახლოებდა ფეტს ტიუტჩევსა და ნეკრასოვთან. თითოეული მათგანი მიჰყვებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ გზას.

ფეტის შემოქმედება ის უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო, რომელიც რუსულ კლასიკურ პოეზიას აკავშირებდა სიმბოლიზმის პოეზიასთან, და საქმე ის კი არ არის, რომ ფეტის შემოქმედების დასაწყისი დაემთხვა რუსული პოეზიის „ოქროს საუკუნის“ დასასრულს, ხოლო დასასრული — სიმბოლისტების პირველ კრებულებს. ფეტი ყველაზე არაკლასიკური კლასიკოსი იყო მე-19 საუკუნის რუსულ პოეზიაში. ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსული ფორმულირება შეიცავს მიზიდულობა-უკუგდების წერტილებს როგორც თანადროული პოეტების, ისე სიმბოლისტი პოეტების მიმართ. როგორც ცნობილია, ფეტის პოე-

---

[3] სწორედ დაბოლოება, ლექსისა ეს აპოგეა გვიჩვენებს თვალნათლივ განსხვავებას ტიუტჩევის, ნეკრასოვისა და ფეტის შემოქმედებით მეთოდებს შორის.

ტური კულტურა ყველაზე ორგანულად ბლოკმა შეიწოვა. უეჭველი იყო აგრეთვე ფეტის გავლენა ბალმონტზე, ვინც რუსულ პოეზიაში დაამკვიდრა „წამიერების“ კულტი. „დიდ მასწავლებელს“ რომ ეთაყვანებოდა, ბალმონტი ფეტს „ვირტუოზ იმპრესიონისტს“ უწოდებდა, ვინც „უფრო ადრე და უფრო ნათლად, ვიდრე ვერლენმა, (...) დაამყარა ზუსტი შესატყვისობა ნუთიერ შეგრძნებებსა და ახირებულ რიტმებს შორის"[1]. საინტერესოა ფეტისა და ბალმონტის „უზმნო“ ლექსების შედარება, მით უმეტეს, რომ ეს ფორმა ბალმონტმა სწორედ ფეტისგან გადაიღო. ავიღოთ ორივე პოეტისათვის ისეთი ტიპური ლექსები, როგორიცაა «Шепот, робкое дыханье...» (1850) и «Неясная радуга» (1897?).

Шепот, робкое дыханье,
Трели соловья,
Серебро и колыханье
Сонного ручья,

Свет ночной, ночные тени,
Тени без конца,
Ряд волшебных изменений
Милого лица,

В дымных тучках пурпур розы,
Отблеск янтаря,
И лобзания, и слезы —
И заря, заря!..

უზმნობა აქ სრულებითაც არ ნიშნავს უმოძრაობას — პირიქით, ეს ლექსს უფრო მეტ დინამიურობას ანიჭებს. ყოველი სახის უკან გარკვეული ბუნებრივი ან სულიერი აქტი დგას. უზმნობის კომპენსირებას მორფოლოგიურ დონეზე ახდენს სახელზმნათა სიმრავლე, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს კომპაქტურ შენადედს, ზმნური მოქმედების კონცენტრაციას. ყოველი სახის მიღმა დგას ბუნებრივი და სულიერი აქტების ჯამი. ამ აქტების ურთიერთკავშირი აშკარაა — პარალელურად მიმდინარეობს ორი ერთდროული პროცესი — სიყვარულის გრძნობისა და ზაფხულის ღამისა. ლექსის ფინალში „ბუნებრივი“ და „სულიერი“ რიგები ერთმანეთს ერწყმიან მრავალმნიშვნელოვან «И заря, заря!..»-ში. აქ მოდელირებული ხანგრძლივობა ზაფხულის ღამის ხანგრძლივობაა (ქვემო საზღვარი — «трели соловья, ზემოსაზღვარი — заря), რაც 6—7 საათს შეადგენს. დასკვნა: ლექსში «Шепот, робкое дыханье»..." აგებულია მინიმასშტაბის რეალური დროისა და ადგილის ერთიანობის კლასიცისტური პრინციპი — მოქმედება ხდება სივრცის ერთ წერტილში ერთი ღამის განმავლობაში. ვნახოთ ახლა ბალმონტის ლექსი:

Неясная радуга. Звезда отдаленная.
Долина и облако. И грусть неизбежная.
Легенда о счастии, борьбой возмущенная.
Лазурь непонятная, немая, безбрежная.

Зарница неверная. Печаль многострунная.
Цветы нерасцветшие. Волненья бесцельное.
Мечта заповедная, туманная, лунная,
И море бессонное, как сон — беспредельное

[1] Бальмонт К. Д. Горные вершины: Сб. статей. М.: Гриф, 1904, кн. I, с. 83.

Видечья прозрачные и призрачно-нежные.
Стыдливого ангела признанья несмелые.
Стремление к дальнему. Поля многоснежные,
Застывшие, мертвые, — и белые, белые.

ეს ტიპური ბალმონტისეული სტილია (იხ. ისეთი ლექსები, როგორიცაა «Песня без слов», 1894?; «Гавань спокойная», 1897?; «Ангелы опальные», 1899? და სხვ.). არ არის ფეტისეული დროის დინების უწყვეტელობა, მოვლენათა გამოკვეთილი სივრცობრივი ლოკალიზაცია. არ არის ყოფიერების რეალური ჭრილი — ერთ ლექსში დახატული მოვლენები შეიძლება მომხდარიყო სივრცის სხვადასხვა წერტილში, დროის სხვადასხვა მომენტში. ყოველი შემდეგი მოვლენა არ გამოდის წინამორბედ მოვლენისაგან, რაც მათ შორის ლოგიკურად დასაბუთებული კავშირია უქონლობაზე მეტყველებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ბალმონტი-პეიზაჟისტი ფეტისაგან განსხვავებით, გაურბის რეალური დროის მოდელის აგებას (სიმბოლისტური პოეზიის საერთო ტენდენცია). და თუ შეიძლება ლაპარაკი ფეტის პეიზაჟის შედარებით დამოუკიდებლობაზე, ბალმონტის პეიზაჟი ყოველთვის განუყოფლად ერწყმის პეიზაჟს და მთლიანად მას ემორჩილება. განსხვავება თავს იჩენს აგრეთვე პერცეპტუალური დროის ფეტისეული და ბალმონტისეული მოდელების შედარებისას. ფეტის ლექსებში თითქმის მუდამ იპოვი რეალურ „ცენტრს", რომელზეც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ «навивается (...) поэтическая мысль» და რომელსაც მჭიდროდ გარს ერტყმის მოვლენები. ბალმონტის ლექსებში ასეთი „ცენტრი" ან საერთოდ არ არის, ან მისი კონტურები თითქმის სულ წაშლილია — მოვლენებს შორის მყარდება მეტნაკლებად თავისუფალი კავშირი მაშინ, როცა ყოველი მოვლენის როლი იზრდება. გამოსახვის ასეთი ირაციონალური ხერხი, უთუოდ, ხელს უშლიდა მხატვრული დროის აღდგენას, ე. ი. „თანყოფის ეფექტის" აღდგენასაც — სიმბოლისტები სხვა ამოცანას ისახავდნენ. „გარეგანისა" და „შინაგანის" წონასწორობა ფეტის პოეზიაში უპირისპირდებოდა ტენდენციას „შინაგანის" თვითიზოლაციისადმი. (ამ ტენდენციას, ცხადია, არ შეეძლო მთლიანად გაეთიშა „შინაგანი" „გარეგანისაგან"), როცა თვით „შინაგანი" სისხლისაგან იცლებოდა და მნიშვნელოვნად კარგავდა მხატვრულ დამაჯერებლობას.

წამიერების გადმოცემის მეორე დონეზე როცა გადავდივართ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფეტის პოეზიაში ხანმოკლეობის ფაქტის კონსტატაცია რამდენიმე ათეულჯერ გვხვდება. იგი ხორციელდება დროის სხვადასხვა ლექსიკური მაჩვენებლის მეშვეობით („წამი", „წამიერება", „წამში", „მყისვე", „თვალის დახამხამებაში" და ა. შ.), რომლებიც ასე თუ ისე (კონტექსტს გააჩნია) ხელს უშლიან წამიერების უშუალო შეგრძნების ფორმირებას (ვინაიდან ეს სიტყვები პირობითი ცნებებია ზღვრული ხანმოკლეობის განსასაზღვრავად) და ხელს უწყობენ წამიერებაზე წარმოდგენის ფორმირებას. ეს დონე შუალედურია კონკრეტული მხატვრული სახის ფორმით ხანმოკლეობის აღდგენასა და მის გააზრებას შორის.

წამიერების მოხელთების შემდეგი ეტაპია გააზრება, რაც, როგორც წესი, წამიერების როლზე მსჯელობის ფორმას იღებს; და თუმცა წამიერების დახასიათება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქრობს მხატვრულ დროს, საინტერესოდ გვეჩვენება განვსაზღვროთ ავტორის მსოფლმხედველობითი პოზიცია, თვალი მივადევნოთ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას „ბაზისსა" (გამოსახატავ) და „ზედნაშენს" (გამოსახატავის შეფასებას) შორის, გამოხატვის ლოგიკასა და ავტორისეულ მიზანდასახულობას შორის. ფეტი ხომ არა მარტო გამოხატავდა წამიერებას, არამედ ამკვიდრებდა და ასაბუთებდა ასეთი გამოხატვის თავისეულ უფლებას. ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხში ფეტის ფილოსოფიური პოზიცია — ამ პოზიციის ანალიზი „წამიერების" გამოყენების ანალიზთან ერთად ეხება საკითხს პოეტური შემოქმედების ჩარჩოებში თეორიისა და პრაქტიკის ზეფარდების შესახებ. ჩვენ ამ პრობლემას ძალიან ზოგადად შევეხებით, ვინაიდან საკვლევი ამოცანა მის დამუშავებას არ ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ მთელი შემოქმედების მანძილზე ფეტი შეუნელებელ ინტერესს იჩენდა წამიერების კატეგორიისადმი. ასეთი ინტერესი შემთხვევითი არ არის — ეს ინტერესი უფრო იმ საერთო ამოცანებიდან გამომ-

დინარეობდა, რომლებიც მე-19 საუკუნის ევროპული (და ნაწილობრივ რუსული) ლიტერატურის წინაშე იდგა (ამ გაგებით ფეტი ერთი ყველაზე გრძნობიერი პოეტთაგანი აღმოჩნდა ევროპაში). ერთი რამ მთლიანის დიფერენციისადმი ფეტისეულ ტენდენციას გამოკვეთილი, გაცნობიერებული ხასიათი ჰქონდა. ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ქმნილება, ფეტის აზრით ითხოვს «уловления момента, самобытно играющего собственною жизнью»[5].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტის ანალიზისას ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ფეტისეულ მომენტს არა მარტო თვითკმარი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ორგანულად შედიოდა მთლიანში. ფეტს არაერთხელ გამოუყენებია წამის პარადოქსული ლოგიკა, რომელიც უსაზღვროდ მცირეა თავის დროისმიერ განფენილობაში და ამასთან უსაზღვროდ დიდია თავისი მნიშვნელობით:

Миг еще — и нет волшебной сказки,
И душа опять полна возможным.
(«Фантазия», 1847)

მხატვრული წამიერება ფეტს გააზრებული აქვს როგორც „ფანჯარა ნირვანაში", ინდივიდის არსებობის აზრის შუაგული, როგორც ცნობიერების ზემნიშვნელოვანი, ექსტრემალური, ხანმოკლე მდგომარეობა, ინტუიციური განათება, რომლის შედეგად უფასურდება დროის დიდი შუალედები (ხანდახან მთელი განვლილი ცხოვრება), მდგრად ცხოვრებისეულ ფასეულობათა მთელი არსებული კომპლექსი, და საგნებისა და მოვლენების არსებობა ახალ არადროისმიერ აზრს იძენს. ასეთი მიდგომით შესაძლებელია ლექსის შექმნა, რომელშიც „წამიერების" გამოხატვას ცვლის გამოხატვისადმი მზადება, რაც გულისხმობს თანამონაწილეობისადმი მოწოდებას, რწმენას წამიერების დიდებულებისა და მოსალოდნელ ეფექტს:

О, войди ж в этот мрак, улыбнись, благосклонная фея,
И всю жизнь в этот миг я солью, этим мигом измерю,
И, речей благовонных созвучием слух возлелея,
Не признаю часов и рыданьям ночным не поверю!
(«Исстрепалися сосен мохнатые
ветви от бури...», конец 60-х гг.?)

პოეტი ლოცავს „ქვირვალ წამს" («О, как волнуюся я мыслию больною...», 1891), რომელიც განაშორებს ყოველდღიურ ხვედრს («Все, все мое, что есть и прежде было...», 1887), აღაფრთოვანებს სულსა და გაგააზრებინებს განვლილ ცხოვრებას («В долгие ночи как вежды на сон не сомкнуты...», 1851).

Лишь у тебя поэт, крылатый слова звук
Хватает на лету и закрепляет вдруг
И темный бред души, и трав неясный запах...

ლექსში («Как беден наш язык!—Хочу и не могу...», 1887) განდიდებულია ძალმოსილება ხელოვანისა, ვისაც შეუძლია აღბეჭდოს წამიერება:

Так, для безбрежного покинув скудный дол,
Летит за облака Юпитера орел,
Сноп молнии неся мгновенный в верных лапах.

[5] Фет А. А. Из деревни. — Русский вестник, 1863, № 1 с. 444.

აქვე ვპოულობთ გასაოცარი გამომსახველობისა და სიძლიერის ხილულ სახეს — წამიერების სიმბოლოს, როგორც დროში რამ დაუნაწევრებელს:

განსაზღვრულ კონტექსტში „წამიერების“ ცნებამ შეიძლება დაკარგოს მომენტალობის, „მყისიერების“ მნიშვნელობა — წინა პლანზე გადმოიწევა შედარებითი (შეფარდებითი) ხანმოკლეობის ან დროისმიერი ზღვრულობის მნიშვნელობას (შდრ. „წამი“) მეტაფორად იქცევა. ასე, მაგალითად, ფეტის პოეზიაში წამი, ზღვრულობით შეზღუდული ხანგრძლივობის მნიშვნელობით, უპირისპირდება, ერთი მხრივ, განუსაზღვრელ წარსულსა და განუსაზღვრელ მყობადს, რაკი მათ შორის დროისმიერი შუალედის როლში გამოდის და ფაქტობრივად აწმყო დროს ანსახიერებს, მეორე მხრივ კი, უპირისპირდება კიდევ უფრო აბსტრაქტულ, დროისმიერი ზღვრულობით შეუზღუდველ ხანგრძლივობა-მარადიულობას, რომელთან შედარებითაც ნებისმიერი ზღვრულობით შეზღუდული დროის შუალედი მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა „წამია“ (იხ. მაგალითად, ლექსები «Среди звезд», 1876; «Смерть», 1878).

„წამი“ „მარადიულობასთან“ შედარების კონტექსტში კარგავს თავის თავდაპირველ მნიშვნელობას და, რაკი თავისუფლად ანსახიერებს „აწმყოს“, „სიცოცხლესა“ და სხვა „სასრულ“ ცნებებს, იქცევა ყოველივე არსებულის წარმავალობის ფილოსოფიურ სიმბოლოდ.

გაწეული კვლევის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები. მოძრაობას რომ გამოხატავს, ფეტმა შეძლო თავიდან აეცილებინა წამიერების ესთეტიკური სიკვდილი და ესთეტიკურად წონადი გახადა თითოეული წამიერება. როგორც დავინახეთ, პოეტმა თავიდან აიცილა წამიერების კულტიც: წამის თვითღირებულობისაკენ განწყობამ, რასაც პოლემიკური ხასიათი ჰქონდა, მაინც ვერ შეიძინა პოეტური სიცოცხლე. წამიერების უნატიფესი გრძნობა იმაში გამოჩნდა, რომ ფეტმა შეძლო წონასწორობა დაეცვა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციას შორის, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ „წამიერების“ გამოყენებასთან — „აბსოლუტისტურსა“ (წამიერების კულტი, წამიერების ფიქსაცია, როგორც თვითმიზანი) და „რელატივისტურს“ (წამიერების დევალვაცია, მოძრაობა მოძრაობისათვის) შორის. ეს იმიტომ მოხდა, რომ თუ, ერთი მხრივ, ფეტი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს „წამში დაჭერილ“ და „უცებ დაფიქსირებულ“ მომენტებს, მეორე მხრივ, იგი ამ მომენტებს უერთებს მოძრავ დროისმიერ ჯაჭვს, ამყარებს მათ შორის კავშირს. ცალკეული ლექსის კონტექსტიდან, დროის რეალური მდინარებიდან ამოზიდულ განუმეორებელ მომენტებს, «самобытно играющие собственною жизнию», რასაკვირველია, ჰქონდათ გარკვეული ესთეტიკური ფასეულობა, მაგრამ მხოლოდ საერთო კონტექსტში, რაკი სხვა „მომენტებთან“ ერთად ურთიერთმოქმედებდნენ (ფეტის ძალაც ხომ სწორედ ის იყო, ეპოვა რეალური კავშირები მათ შორის), ხდებოდნენ დასრულებული, აჩენდნენ თავიანთ ნამდვილ ესთეტიკურ არსს.

ამგვარად, შეიძლება ლაპარაკი ფეტის ლირიკაში „წამიერების“ ორნაირ როლზე. ფეტის წამიერებაში დიალექტიკურად ეთავსებიან ერთმანეთს დახშულობა და გათიშულობა, დამოუკიდებლობა და დამოკიდებულობა, მოძრაობა (დინამიკა) და სიმშვიდე (სტატიკა), წყვეტილობა და დროის მდინარების უწყვეტელობა. სხვა საკითხია, რომ სწორედ მოძრაობა, ცვალებადობა, ქმნადობა, დროისმიერი შეჩერებებით დაჩრდილულნი, მომენტზე მიპყრობილნი ასრულებენ ამ ორ ერთიანობაში წამყვან როლს, უზრუნველყოფენ მთლიანის ერთიანობას.

ზემოაღნიშნულს თუ შევაჯამებთ, მივალთ ultima ratio-სთან: ფეტის მთავარი ამოცანა წამიერების ფიქსაცია კი არ იყო, არამედ მათ შორის **ობიექტური კავშირის დამყარება.** იმპრესიონისტულმა ტენდენციამ, რაც მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ყველაზე უფრო ნათლად ფეტის პოეზიაში გამოიკვეთა, ფეტი ევროპელ (უპირველეს ყოვლისა ფრანგ) პოეტებთან დააახლოვა და ამასთან წარმოაჩინა ფეტის რეალიზმის თავისებურება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფეტის შემოქმედებაში ერთმანეთს გადაკვეთავდნენ ხოლმე რეალისტური, იმპრესიონისტული, ნატურალისტური, რომანტიკული, კლასიცისტური და (რ. გუსტაფსონის აზრით) იმაჟინისტური ტენდენციები. ყველა ეს გან-

სხვავებული ტენდენცია ერთ ორგანულ მთლიანობაში იყრიდა თავს, ამასთან წამყვანი გამამთლიანებელი ტენდენცია, ჩვენი შეხედულებით, იყო არა იმპრესიონისტული და არა რომანტიკული ტენდენციები (რომელსაც ჯერ კიდევ აძლევს უპირატესობას მკვლევართა უმრავლესობა), არამედ რეალისტური — ასეთი დასკვნის გამოტანის უფლება მოგვცა ფეტის პოეზიაში მხატვრული დროის ანალიზმა.

ფეტის რეალიზმმა თავი იჩინა არა მარტო იმ უნარში, გვიჩვენოს მოვლენა განუწყვეტელ განვითარებაში, ქმნადობაში, იპოვოს რეალური, ობიექტური კავშირები მოვლენებს შორის, არამედ განცდათა სინამდვილის მკვეთრად გაძლიერებაში. ფეტის ლექსის დროისმიერი მთლიანობის შემადგენელ ნაწილებს შორის სწორედ ის პროპორციები მოიძებნა, რომლებიც ქმნიდნენ „თვით მოვლენაზე მკითხველის დასწრების ილუზიას",[6] რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსული ლიტერატურის უდიდესი დამსახურებაა.

შეიძლება ვილაპარაკოთ დანაწევრებაზე, როგორც უფრო საერთო ტენდენციაზე ფეტის შემოქმედებაში. ფეტის პოეზიაში დანაწევრებულია ყველაფერი: დრო, სივრცე, გრძნობა, აზრი, სინტაქსი... ფეტის პოეზიის ფერწერის შესწავლამ ის დასკვნა გამოგვატანინა, რომ ფეტი ფერსაც შლის. ფეტისმიერ ცისარტყელაში ჭარბობს წითელი და ყვითელი ტონები საინტერესოა, რომ საკუთრივ წითელს ისევე, როგორც ყვითელ ტონს, სულ უმნიშვნელო კუთრი წონა აქვს. ეს სრულებითაც არ არის გასაკვირველი ისეთი პოეზიისათვის, რომელშიც ძირითად როლს ასრულებენ ნახევარტონები და ნახევარელფერები (მარტო წითელ ფერს ასეთი თერთმეტი აქვს!). ფეტი პირველი რუსი პოეტი აღმოჩნდა, ვინც შთაბეჭდილებათა გული უამრავ „ელემენტარულ ნაწილაკად" დაშალა. ი. ს. ტურგენევმა, ვინც საერთოდ კრიტიკულად იყო განწყობილი ფეტის პოეზიის მიმართ, ერთ-ერთმა პირველმა აღიარა, რომ ფეტს ჰქონდა ასეთი გამოხატვის უფლება: „შენ გინდა ყველა გრძნობას ძირი მოუსინჯო, ყველაფერი დაყნოსო, გაანადგურო, კაკალივით გატეხო, — აბა, ჰე"[7]. დაშლისადმი ფეტის ტენდენცია არ იყო „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" — იგი იხატებოდა იმ გლობალური რაციონალისტური ტენდენციის ჩარჩოში, რომელიც კაცობრიობის კულტურაში მე-19 საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა. მაგრამ ისე, როგორც ყველა ტენდენციას, ამასაც ორი მხარე ჰქონდა. ტენდენციის მეორე მხარე ის იყო, რომ შეგეძლო გამოდევნებოდი ანალიზს და დაგევიწყებინა სინთეზი — წარმოიქმნა არა მარტო მასშტაბების უზომო გადანაცვლების საშიშროება, არამედ მთლიანობის ცოცხალი შეგრძნების დაკარგვის, ნაწილისა მთლიანის, ცალკეულისა და საერთოს, წყვეტილისა და უწყვეტლის დიალექტიკური ერთიანობის გაწყვეტის საშიშროებაც. ყველა მხატვარი ვერ გაექცა ამ საშიშროებას (მაგალითად, ჰიუსმანსი, ბალმონტი). ლიტერატურისმცოდნეობაში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი ფეტზე, როგორც ისეთ პოეტზე, ვისაც არ ძალუძს განზოგადება. ფეტის შემოქმედება, როგორც დავინახეთ, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის დიალექტიკური ერთიანობაა. მთლიანი გრძნობების დაშლას „ნახევარგრძნობებად" უპირისპირდება ფეტის მკვეთრად გამოხატული მისწრაფება დანაწევრებული გრძნობების რომელიღაც იმ ერთ მთლიანობაში ინტეგრაციისაკენ, რაც „საერთო პოეტურ აზრს წარმოადგენს". „რაც უფრო საერთოა პოეტური აზრი მთელი თავისი სინათლისა და ძალის მიუხედავად, — წერდა ფეტი, — მით უფრო ფართოდ, ნატიფად და შეუმჩნევლად იშლება მისი წრე, მით უფრო პოეტურია იგი. (...) მისი დანიშნულებაა გააცისკროვნოს პოეტური ქმნილების არქიტექტონიკური პერსპექტივის წინა პლანი, ან სუსტად და ძლივს შესამჩნევად ანათოს მის უძირო სიღრმეში".[8] ერთ შემთხვევაში განზოგადება უშუალოდ შედის ლექსის მხატვრულ ქსოვილში, მეორეში — ლექსის ფარგლებს გარეთაა გატანილი. დროის მდინარების შეგრძნებასთან ერთად გვიჩნდება რომელიღაც დაშლილი მოვლენის მთლიანობის შეგრძნება (საღამოს ჩამოდგომა, გაწვიმება). ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის ერ-

[6] Громов П. П. О стиле Льва Толстого. Л.: Худож. лит., 1971, с. 133.
[7] Цит. по: Фет А. А. Мои воспоминания. М., 1890, ч. 2, с. 78.
[8] Фет А. А. О стихотворениях Ф. Тютчева. — Русское слово, 1859, № 2, с. 68

თიანობას ფეტის პოეზიაში შეესატყვისება წყვეტილი და უწყვეტელი დროის ერთიანობა, და თუკი ლექსის იდეად იქცევა მიკროგანვითარების იდეა, იმის იდეა [illegible] სიღრმეში" გამოანათებს მშვენიერის ზეიდეა, „პოეტური აზრი" იმის თაობაზე [illegible] მაგიურსა და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მარად განახლებული ბუნება ადამიანის სულზე. ლექსების «Вечер»-ისა და «Весенний дождь»-ის თვით სათაურებში [illegible] ძლება რომ უნდა მიიქციონ, უნდა გაართვან თავი მათზე დაკისრებულ [illegible] თავისებური კომპენსატორების ფუნქციას. პოეტური აზრის კონცენტრაცია (წინა ან უკანა პლანზე) ერთგვარი ესთეტიკური შესვენებაა ფეტის დიდი სიჩქარეებითა და ცვალებადი მოვლენების სამყაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან თურნავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიერ-ჟან დე ბერანჟე ქართულ ლიტერატურაში

მე-18 საუკუნის დასასრული და მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი საფრანგეთის ცხოვრებაში აღინიშნა რევოლუციური ქარტეხილებით, ეროვნული ტრაგედიითა და სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ძირეული ცვლილებებით. ამ რთული ეპოქის ნამდვილი სახე თანმიმდევრულად და დამაჯერებლად აისახა ფრანგული რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის დიდი წარმომადგენლის, პიერ-ჟან დე ბერანჟეს შემოქმედებაში.

ფრანგმა პოეტმა შესანიშნავად აუღო ალღო ეპოქის მოძრაობას, თავის მუზას მშრომელი ხალხის სამსახური დაუსახა მიზნად, რითაც დასაბამი მისცა რეალისტურ მიმართულებას ფრანგულ ლიტერატურაში. ბერანჟეს ლექსების პირველივე კრებულში გაჩნდა რეალისტური მისწრაფებები.

პოეტი აღიზარდა მშრომელი, თავისუფლებისმოყვარე ხალხის წიაღში, ამიტომაც ღრმად ჩაენერგა რესპუბლიკური წეს-წყობილების სიყვარული.

ბერანჟე ცხრა წლისა იყო, როდესაც საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ იფეთქა. ბავშვი თავისი პანსიონის სახურავიდან ხედავდა, თუ როგორ აიღო ხალხმა ბასტილია. ეს ამბავი მას სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში.

პოეტის მამა დაკავშირებული იყო როიალისტებთან, რამდენჯერმე მონაწილეობდა კიდეც კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში. პატარა პიერი მან პარიზს წაიყვანა, რათა როიალისტური სულისკვეთებით აღეზარდა. ორ წელიწადს პიერი მამის საბანკირო კანტორაში მუშაობდა, მაგრამ მამამისი 1798 წელს გაკოტრდა და მანაც შეწყვიტა მუშაობა.

ნაყოფიერი გამოდგა პიერის მუშაობა ბიბლიოთეკაში. იგი მკითხველებს ემსახურებოდა, თან გატაცებით კითხულობდა რაბლეს, რასინის, კორნელის, ფენელონის და ვოლტერის ნაწარმოებებს.

12 წლისა იყო ბერანჟე, პირველი ლექსები რომ დაწერა, ხოლო ჭაბუკობის წლებში წერდა ოდებს, იდილიებს, პოემებსა და პიესებს. პოეტი ძლიერად განიცდიდა კლასიციზმისა და რომანტიზმის გავლენას, მაგრამ ეს იყო ძიების პერიოდი. ახალგაზრდა ბერანჟემ მალე მიაგნო შესაფერ ჟანრს — ლექსებს ,რომლებსაც ის სხვადასხვა ხალხური სიმღერის მელოდიაზე ქმნიდა.

ბერანჟეს პირველი სიმღერები, რომლებიც 1815 წელს გამოიცა, ანაკრეონტული ხასიათისაა. ამგვარია სატრფიალო, სახალისო სიმღერები, რომელთა გმირებიც მიისწრაფიან სიამოვნებისაკენ, პირადი ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ არ ებრძვიან ცხოვრების მძიმე პირობებს, მხოლოდ თავს არიდებენ მას. ასეთებია: „ჩემი ბებია", „მადამ გრეგუარი", „ნაცრისფერი კაცუნა", „გაზაფხული და შემოდგომა" და სხვა. ამასთანავე ამ სიმღერებში ჩანს ბერძენი ფილოსოფოსის, ეპიკურეს გავლენაც.

ანაკრეონტულმა სიმღერებმა ბერანჟე ბურჟუაზიის მადიდებელ პოეტთა წრეში მიიყვანა, ეგრეთ წოდებულ „თანამედროვე სარდაფში", მაგრამ მისი პოეზიის დემოკრატიული მოტივები „თანამედროვე სარდაფის" წევრებისათვის უცხო აღმოჩნდა და რევოლუ-

ციონერ-დემოკრატი პოეტი მათ გაემიჯნა. სიმღერას იგი ხალხის პირმშოს უწოდებდა. „მე გავიგე, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია სახალხო ჟანრის სიმღერას ჩაგრულების საქმისათვის", — წერდა ბერანჟე.

თანდათან გამოიწრთო ბერანჟეს პოეტური სიტყვა დემოკრატიის მტრებთან ბრძოლაში. მისი სიმღერების მახვილი მიმართული იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-კლერიკალური და ბურჟუაზიული რეაქციის ძალების წინააღმდეგ. იგი არასოდეს მიმხრობია რომელიმე პარტიას, თავისი ბასრი, სატირული ლექსებით თავზარს სცემდა ბურბონებსა და კათოლიკური ეკლესიის ფარისეველ მსახურებს. მგოსანი ხალხის იმედებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა, ამიტომ კ. მარქსმა მას „უკვდავი ბერანჟე" უწოდა.

აღსანიშნავია პოეტის სიმღერების ორტომეული, რომელიც 1821 წელს დაიბეჭდა. ამ ლექსებში მგოსანი ილაშქრებდა ბურბონთა რესტავრაციის წინააღმდეგ, აგრძელებდა მე-18 საუკუნის რევოლუციური პოეზიის ტრადიციებს.

მშრომელთა ქომაგს სასტიკად დევნიდა ხელისუფლება. საფრანგეთის პოლიცია გასაქანს არ აძლევდა მას. 1821 წელს გამოცემული კრებულისათვის ბერანჟეს 3 თვის პატიმრობა მიუსაჯეს და 500 ფრანკი ჯარიმა დააკისრეს, ხოლო მეორედ, 1828 წლის ლექსების კრებულში მეფისა და რელიგიის შეურაცხყოფისათვის 9 თვით ჩასვეს ციხეში და 1000 ფრანკით დააჯარიმეს. ამ წიგნში შესული იყო ლექსები: „შარლ მესამის მეფედ კურთხევა", „უსუსურები ანუ ბებრების მმართველობა", „მფარველი ანგელოზი", „ეშმაკის სიკვდილი", „მუსულმანი პაპი", „პაპის ქორწილი" და სხვა. ხალხი დიდ ყურადღებას და სიყვარულს იჩენდა პოეტისადმი. ახალგაზრდობის ინიციატივით შეგროვებულ იქნა თანხა ბერანჟეზე დაკისრებული ჯარიმის გადასახდელად. მგოსანი ციხეში ინახულეს ვიქტორ ჰიუგომ, შარლ-ოგუსტენ სენტ-ბევმა, ალექსანდრე დიუმამ და სხვებმა. ბერანჟეს არ შეშინებია პოლიციის ტერორისა, ციხეში კვლავ დაწერა სატირული სიმღერები, რომლებიც მხოლოდ ბურბონთა ბატონობის დამხობის შემდეგ გამოქვეყნდა.

ხალხმა ბერანჟე ეროვნულ პოეტად გამოაცხადა. 1830 წლის ივლისის რევოლუციაში 50 წლის პოეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. სიმღერაში „ივლისის სასაფლაოები" ბერანჟე უმღერის ფრანგი ხალხის გმირებს, რომლებიც ივლისის დღეებში ბარიკადებზე გმირულად დაეცნენ.

ჰუმანისტი პოეტი დღენიადაგ კაცობრიობის ბედზე ფიქრობდა, იმედს პროგრესულ იდეებზე ამყარებდა, რომელთა განხორციელება წინ წასწევდა საზოგადოების განვითარებას. გულწრფელად ამბობს მგოსანი: „კაცობრიობის ბედნიერება ჩემი ცხოვრების ოცნება იყო".

1830 წლის შემდგომ დაწერილ ლექსებში უფრო გამოიკვეთა სოციალური მოტივი. ივლისის რევოლუციამ ბერანჟეს იმედები გაუცრუა, რადგან ქვეყნის სათავეში მსხვილი ბურჟუაზია მოექცა. მიუხედავად ამისა, პოეტი არ მისცემია სევდას, იმედს ახალგაზრდობაზე ამყარებდა, რომელსაც იგი ყოველთვის მხარში ედგა თავისი ბრძნული რჩევა-დარიგებით. ბერანჟე თანაუგრძნობდა ფრანგ სოციალისტ-უტოპისტებს. იგი ამბობს: „იმედი იმისა, რომ დამმარხავენ ადამიანები, რომლებიც ჩვენზე უკეთესი იქნებიან, კმაყოფილების ტკბილ გრძნობას აღმიძრავს, როგორც კაცობრიობის მეგობარს".

1833 წელს ბერანჟემ გამოსცა სიმღერების ახალი კრებული — „ახალი და უკანასკნელი სიმღერები", რომელშიც შევიდა ციხეში დაწერილი ლექსები: „14 ივლისი", „კარდინალი და მომღერალი", „ჩემი 1829 წლის ყველიერი", „ათი ათასი", „სირაკუზელი ტირანი" და სხვა.

პოლიცია მოსვენებას არ აძლევდა ბერანჟეს. ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მგოსნისთვის. 1853 წელს პოლიციამ ხმა გაავრცელა, ბერანჟე გარდაიცვალაო. ამ ცნობამ შეაშფოთა ფრანგი ხალხი, პოეტის სახლთან შეგროვდნენ მუშები, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ ეს სიცრუე იყო, წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ პოლიციის პრეფექტურას. პოეტი არ დაბნეულა, პოლიციის პროვოკატორების პასუხად დაწერა სატირული ლექსი „სიკვდილი და პოლიცია“. ამ სიმღერის მიხედვით პოეტთან გამოცხადდა პოლიციის პრეფექტურის წარმომადგენელი და მას ვადაზე ადრე სიკვდილი აუკრძალა, რადგანაც ბერანჟე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მასებში და მის გარდაცვალებას შეიძლება სახალხო აჯანყება მოჰყოლოდა.

ბერანჟეს პოლიტიკურ პოეზიაში აისახა ფრანგი ხალხის პოლიტიკური საქმიანობის მთელი ეპოქა. შესანიშნავად თქვა გამოჩენილმა რუსმა კრიტიკოსმა ბ. ბელინსკიმ: „ბერანჟეს პოლიტიკა პოეზიაა, ხოლო მისი პოეზია — პოლიტიკა. პოეტის მთელი ცხოვრება პოეზიაა, ხოლო პოეზია — ცხოვრება“.

პატრიოტულ გრძნობასთან ერთად ბერანჟეს მგრძნობიარე გული დიდ ინტერნაციონალურ სულისკვეთებასაც იტევდა. ლექსში „ხალხთა წმინდა კავშირი“ მან აღფრთოვანებით უმღერა ერებს შორის ძმობასა და მეგობრობას. ბერანჟეს მთელი შემოქმედება ადამიანის, სიცოცხლის სიყვარულით არის გამთბარი, მწვავე სატირას ენაცვლება კეთილი იუმორი და ფაქიზი ლირიზმი.

ბერანჟეს პოეზიას მაღალ შეფასებას აძლევდნენ გოეთე, მერიმე, ჟორჟ სანდი, ბალზაკი, სტენდალი.

ბერანჟე გარდაიცვალა 1857 წლის 16 ივლისს.

დიდია ბერანჟეს სიმღერების გავლენა მსოფლიო ლიტერატურაში. მისი პოეზიის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები გაავრცეს მუშა პოეტებმა: ეჟენ პოტიემ და ჟან-ბატისტ კლემანმა. მიმდევრები გაუჩნდა ბერანჟეს საზღვარგარეთაც. კომუნარმა მწერალმა ფერდინანდა რევიონმა 1877 წელს პოეტის შემოქმედებაზე გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც წერდა: „ბერანჟემ შეძლო ოდის დონემდე აეყვანა პოლიტიკური სიმღერა“

ბერანჟეს სიმღერები ითარგმნა უცხო ენებზე, დაიწერა გამოკვლევები მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამ მხრივ საგულისხმოა ბერანჟეს ლექსების გავრცელება რუსეთსა და საქართველოში. ფრანგი მგოსნის სიმღერებს თარგმნიდნენ გამოჩენილი რუსი და ქართველი პოეტები. მას ჩვენშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები.

რუსეთში ბერანჟეს ლექსების პირველი თარგმანები შეასრულა პოეტმა ი. დმიტრიევმა, საქართველოში — გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელმა.

ბერანჟეს შემოქმედებას რუსეთში ყურადღება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მიაქციეს. ფრანგმა პოეტმა რუსეთში მეორე სამშობლო ჰპოვა. ი. დმიტრიევმა თავდაპირველად თარგმნა ბერანჟეს ლექსი — „იდილია-დიალოგი „გლიცერს“. ვ. ი. პუშკინა (1770-1830) უთარგმნია „კეთილი ღმერთი“. შემდეგ ბერანჟეს ლექსები თარგმნეს რუსმა პოეტებმა: ვ. ტეპლიაკოვმა, დ. ლენსკიმ, ა. გრიგორიევმა, ვ. კუროჩკინმა, მ. მიხაილოვსკიმ, ივანე და ალექსანდრა თხორჟევსკებმა, ა. კორნიფსკიმ, პ. ანტოკოლსკიმ, ვს როჟდესტვენსკიმ, ვ. დმიტრიევმა და სხვებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში 1894-1895 წლებში ი. თხორჟევსკის რედაქციით გამოვიდა ბერანჟეს ლექსების რუსული თარგმანები, ხოლო 1904-1905 წლებში პოეტის სიმღერების სრული კრებული, რომელშიც შევიდა აპ. კორნიფსკის მიერ შესრულებული თარგმანები

საქართველოში ბერანჟეს პოეზიით დაინტერესდნენ მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან. მისი სიმღერები თარგმნეს გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელმა, გიორგი ორბელიანმა, გიორგი ერისთავმა, აკაკი წერეთელმა, ანტონ ფურცელაძემ, გიორგი გვაზავამ, იროდიონ ევდოშვილმა, რაფიელ ერისთავმა ,გიორგი ქავთარაძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, გრიგოლ ცეცხლაძემ, ოთარ შალამბერიძემ, მზია ხეთაგურმა და სხვებმა.

ქართველმა პოეტებმა თარგმნეს დიდი ფრანგი მგოსნის როგორც პატრიოტული, სატრფიალო ლექსები, ასევე მწვავე პოლიტიკური და სოციალური სატირა, ზოგადსაკაცობრიო და ფილოსოფიური ხასიათის სიმღერები.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელმა სათარგმნელად აირჩია ბერანჟეს „სენატორი". ამ ლექსში ირონიულადაა დახატული მოტყუებული ქმარი, რომელიც ხმას ვერ იმაღლებს მაღალი წრის წარმომადგენლის წინააღმდეგ. ნაპოლეონის იმპერიის დესპოტური რეჟიმის პირობებში პიროვნების ინტერესები უკიდურესად შეიზღუდა. როგორც ბერანჟე ამბობს, ხალხს ისე მონატრებოდა თავისუფალი აზროვნება და მოქმედება, რომ ეს სიმღერა სათაურის გამო მიიჩნიეს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სატირად.

ბაგრატიონ-მუხრანელმა „სენატორის" თარგმანის ორი სხვადასხვა ვარიანტი გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე. პირველი ვარიანტი შესრულებულია ვ. კუროჩკინის თარგმანის მიხედვით (კუროჩკინის თარგმანი თავის დროზე სამართლიანად გააკრიტიკა დიდმა რუსმა კრიტიკოსმა ნ. დობროლუბოვმა), ამიტომ, ბუნებრივია, კუროჩკინის თარგმანის ნაკლი განმეორდა გ. ბაგრატიონ-მუხრანელის თარგმანშიც.

ამ ლექსით საქართველოში დაინტერესდა აგრეთვე გიორგი ერისთავი, რომელმაც თარგმნა იგი სათაურით „დიდი კაცის გაცნობა". ეს არის თავისუფალი თარგმანი. მთარგმნელი მეტ გასაქანს აძლევს ფანტაზიას, მის თარგმანში სენატორი გადაქცეულია გრაფად.

ბერანჟეს შემოქმედების ადრეულ პერიოდს ეკუთვნის სატრფიალო სიმღერა „ჩემი ბებია", რომელიც თარგმნა ილიას თანამშრომელმა „საქართველოს მოამბეში", პოეტმა გიორგი ორბელიანმა.

ბერანჟეს ლექსების პირველ კრებულში შეტანილი ლექსების თარგმანებიდან აღსანიშნავია „ნაცრისფერი კაცუნას" ანტონ ფურცელაძისეული თარგმანი. ეს სიმღერა ეხმაურება ეპიკურეს ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც ბედის უკუღმართობას ადამიანმა სიმშვიდითა და აუღელვებლობით უნდა უპასუხოს, ხოლო დიდებას და ფუფუნებას უზრუნველი გართობა დაუპირისპიროს. თარგმანში კარგად ჩანს ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, წუთიერი სიამოვნების მიმყოლი კაცი, თუმცა ზოგიერთი დეტალი შეცვლილია.

ბერანჟეს სოციალურ თემაზე დაწერილი ლექსებისათვის ყურადღება მიუქცევია რაფიელ ერისთავს. გიორგი თუმანიშვილი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რაფიელ ერისთავთან, პოეტი ეხმარებოდა თუმანიშვილს „ალმანახის" გამოცემის საქმეში. გიორგის რუსულ ენაზე უთარგმნია ბერანჟეს ლექსი „ღარიბები", რაფიელს კი — რუსულიდან ქართულად, მაგრამ ეს თარგმანი არ დაბეჭდილა. მოგვიანებით რაფიელ ერისთავს სათარგმნელად შეურჩევია ბერანჟეს „მოხუცი მატანტალა", რომელიც ბერანჟემ დაწერა ივლისის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ლექსში მხილებულია სოციალური უსამართლობა, მაგრამ ამავე დროს მასში ჟღერს სევდისა და უიმედობის განწყობილება. ორმოში მწოლარე მაწანწალას, ხეიბარსა და დაქანცულს, გვერდით ჩაუვლიან მდიდრები და ყურადღებასაც არ აქცევენ, რადგან მეჯლისზე აგვიანდებათ. განბილწულ მოხუც მათხოვარს ბრძოლის უნარი დაკარგული აქვს და იმედგადაწყვეტილი ელის სიკვდილს. ადვილი შესაძლებელია ფრანგული ლექსის ქართული პწკარედი რაფიელ ერისთავისთვის მიეწოდებინოს გიორგი თუმანიშვილს, რომელმაც, რო-

გორც ცნობილია, შესანიშნავად იცოდა ფრანგული ენა. ქართველი პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თარგმანი ახლოა ორიგინალთან, თუმცა თეთრ ლექსს წარმოადგენს, სამაგიეროდ რითმას არ ეწირება შინაარსი.

ბერანჟეს პოეზიისადმი დიდ ინტერესს იჩენდა აკაკი წერეთელი. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ფრანგი მგოსნის ლექსების ქართულ თარგმანებს და თვითონაც უთარგმნია სიმღერა „გულის სიღრმიდან“ („დე პროფუნდის“). ლექსში მწარედაა გამოაშკარავებული საზოგადოების უზნეობა, მისი სულიერი დაცემულობა. ავტორი კიცხავს მსუბუქი ყოფაქცევის ცოლს, რომელიც ქმარს ღალატობს. ცოლი კვდება, ქმარს უხარია, საფლავამდე მისდევს, უნდა დარწმუნდეს, რომ ის ნამდვილად მოკვდა და ნატრობს, რომ ეს „ძვირფასი სული“ წავიდეს სამოთხეში, რადგანაც შიშობს ჯოჯოხეთიდან უკან არ დაბრუნდეს. სატირული ეფექტის მისაღწევად აკაკის გამოუყენებია იგივე ხერხი, რაც დედანშია, კერძოდ, მოულოდნელი სიტუაციის შემოტანის ხერხი. ყოველი სტროფის პირველ ნაწილში ჩანს თითქოს ქმარი დასტირის ცოლს, ბოლოს ირკვევა, რომ კი არ დასტირის არამედ დასცინის:

„ვაი კუბოში წევს ჩემი ცოლი!
ღმერთო იხილე, ჰა, შენი მონა!..
და განასვენე ამისი სული
აბრაამის წიაღთა შინა!...
მიეც სატანის მას განშორება
იმ საშინელსა განკითხვისა დღეს,
იქ მოუხდება მას განსვენება...
რომ აქ მეორეთ აღარ მოვიდეს!“...[1]

აკაკი უკმაყოფილო დარჩენილა თავისი თარგმანით, რადგან დიდი ქართველი პოეტი მაღალ მოთხოვნებს უყენებდა პოეტურ თარგმანს, განსაკუთრებით ბერანჟეს ლექსების თარგმანებს. აკაკი კარგად იცნობდა ფრანგი მგოსნის პოეზიას და მას უმაღლეს შეფასებას აძლევდა. პოეტი სამართლიანად წერს: „პოეტურ თხზულების ერთი ენიდან მეორეზედ გადალება საზოგადოდ ძნელია. მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც სთარგმნის, ისე რომ წვრილმანიც რომ არ გამოეპაროს, თავის საკუთარ ენაში, რომელზედაც გადააქვს უცხოდან, რაღა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს და ამას გარდა ნიჭითაც თანაბარი დედნის დამწერის, რომ გაუსწორდეს. თვარა ისე სიტყვითი სიტყვად თარგმნა ცოცხლის მოკვლა და მერე მკვდრის ღვლერჭით გადათრევა იქნება...“ აკაკი შემდეგ მოიხსენიებს ინგლისელ პოეტ ბერნსს, გერმანელ ჰაინეს, რუს კოლცოვს და აღნიშნავს, მათ შორის ყველაზე ძლიერი ბერანჟეაო. იგი განაგრძობს: „...მაგრამ უფრო ძლიერია ფრანსუზების მგოსანი ბერანჟე, რომელმაც თავისი თანამედროვე საფრანგეთის ყოფა-ცხოვრება სასიმღერო ლექსებით გამოსახა. მისი ლექსები ერთსა და იმავე დროს კიდეც ატკბობენ და კიდევაც ანაღვლიანებენ მკითხველს. პკითხულობ გეცინება, მაგრამ იმ სიცილში რაღაც ეკალივით იჩხვლიტება. ყოველ მის ნათქვამში ლირიზმი და სატირა ერთად არიან შენათხზი და თანასწორის ძლიერებით იმორჩილებენ მკითხველს. ამგვარი ნაწარმოების სხვა ენაზე გადაღება თითქმის მოუხერხებელია და ვერავინ დაიჩემებს, რომ ბერანჟე სამაგალითოდ გვაქვს გადმოღებულიო, კუროჩკინის არ იყოს, ზოგიერთი მთარგმნელი, ნიჭიერი პოეტები დაუახლოვდნენ ბერანჟეს, მაგრამ ისე კი, როგორც მწუხრი განთიადს და მეტად კი არ მოხერხდებოდა. ჩვენში პირველად

[1] „ცისკარი“, 1865 წ., № 9, გვ. 1-2.

სინჯა გადმოქართულება გ. მუხრან ბატონმა, რამდენიმე ლექსი გადმოიღო, მაგრამ რომ შეატყო თავს უვარგისობა, აიღო ხელი. ჩვენ რამდენჯერმე ვსინჯეთ, მაგრამ ჩვენი შრომა ბერანჟეს თავში კეტის დაკვრა გამოდგა და დავანებეთ თავი. ყველას რომ ჩვენთვის მიებაძნა და ხელი აელო ბერანჟეს თარგმანზე, თქვენი მტერია, ქართველები იმას ვავრჩებოდით, როგორც ანდაზა ამბობს: „კარგი არ მალირსონ და ცუდი არ მაკადრონო".[1]

გასული საუკუნის 90-იან წლებში ბერანჟეს პოეზიით დაინტერესდნენ გიორგი გვაზავა და იროდიონ ევდოშვილი.

გიორგი გვაზავამ ფრანგულიდან თარგმნა ბერანჟეს 38 ლექსი და 1898 წელს ცალკე წიგნად გამოსცა თბილისში.[2] თარგმანს წამძღვარებული აქვს შესავალი სტატია, რომელშიც მოკლედაა მიმოხილული ფრანგი პოეტის შემოქმედება. გვაზავას შეურჩევია სხვადასხვა თემაზე დაწერილი ლექსები, რათა ქართველ მკითხველს ზოგადი წარმოდგენა მაინც შექმნოდა ბერანჟეს პოეზიაზე. მის მიერ ამორჩეული ლექსები შეესაბამებოდა იმ დროის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას. დიდია გიორგი გვაზავას დამსახურება ბერანჟეს სიმღერების ქართულად ამეტყველების საქმეში. მან შესანიშნავად იცოდა ფრანგული ენა, ამიტომ მისი თარგმანები გამოირჩევა შინაარსის სიზუსტით და პოეტური ფორმითაც უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამება ორიგინალს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელმა და გიორგი ერისთავმა ვერ თარგმნეს შესაფერისად ბერანჟეს „სენატორი". მათი ნაკლი გამოასწორა გიორგი გვაზავამ, რომელმაც სწორად გადმოსცა თარგმანში „სენატორის" შინაარსი, გამოიყენა შესატყვისი სალექსო ზომა — შვიდმარცვლიანი ტაეპები გადმოიტანა რვა მარცვლიანით, დაიცვა სრულყოფილი ჯვარედინი რითმა, მოსაზღვრე რითმა კი ზოგჯერ არაზუსტია.

კარგად არის თარგმნილი გვაზავას მიერ ბერანჟეს ანაკრეონტული ლექსები, რომელთა მხიარულ ტონალობას გამოცოცხლება, შვება შეჰქონდა ნაპოლეონ პირველის იმპერიის სულისშემხუთველ ატმოსფეროში. ამ სიმღერების ქართული თარგმანებიც ხალისს ანიჭებდა ცარიზმის უღელქვეშ მგმინავ ქართველ ხალხს.

გვაზავას მიერ შესრულებული „ჩემი ბებიას" თარგმანი ტოლს არ უდებს ამავე სიმღერის გიორგი ორბელიანისეულ თარგმანს. გვაზავას თარგმანში სადად არის გადმოცემული დედნის აზრი, განწყობილება და პოეტური ფორმა. ნაკლად არ ჩაითვლება, რომ რვა მარცვლიანი ტაეპების ნაცვლად გვაქვს ათ მარცვლიანი. რაც შეეხება რეფრენს, იგი ორიგინალის მსგავსად ხუთმარცვლიანია:

„მომცა ნეტავი
კვლავ ის დღეები
ფუნთუშა მკლავი,
კოხტა ფეხები!"

ბერანჟეს ანაკრეონტულ ლექსებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მადამ გრეგუარის" თარგმანი. გვაზავა სწორად გადმოსცემს მოტრფიალე ახალგაზრდა კაცის გრძნობებს თავისუფალი ყოფაქცევის, მაგრამ უანგარო და ეშხიანი ქალის მიმართ. თარგმანში დაცულია დედნის სალექსო ზომა და რითმები:

---

[1] „აკაკის კრებული", 1899 წ., № 2, გვ. 97—98.

[2] გიორგი გვაზავა, ბერანჟე ქართულად. თარგმანი. ტფილისი, სტამბა „ცნობის ფურცლისა", ათავადაზნაურო ქარვასლა, 1898 წ., 129 გვ.

„ამ დუქანში ერთხელ ჰკრთოდა
ქალბატონი გრეგუარი;
ახალგაზრდას იქ მელოდა
სმა და ლხენა უტყუარი.

მუშტარს ბლომად იტყუებდა
ეშხიანი მისი თვალი,
ბევრსა ტრფობით აბრუებდა,
ბევრსაც ედო მისი ვალი.
აჰ, იქ დროის გატარება
სწორედ იყო ნეტარება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ ლექსში გვახავას ფრანგული სახელები ქართულით შეუცვლია, რაც არ არის დასაშვები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამით დედნის შინაარსი არ არის დამახინჯებული. მთარგმნელი ცდილობდა უფრო საგულისხმო გაეხადა ფრანგული ლექსები ქართველი მკითხველისათვის. მაგალითად, სიმღერაში „როჟე ბონტამ" როჟე შეცვლილია ვანოთი, ხოლო „ბრმა დედაში" კოლენი გადაქცეულია გოლად.

„ნამდვილი ფრანგი" 1814 წლის მაისში შეიქმნა. ბერანჟემ ეს სიმღერა თვითონ შეასრულა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის ამალის წინაშე, რომელიც მოკავშირეთა ჯარებთან ერთად შევიდა საფრანგეთში. მაშინ საფრანგეთში არ არსებობდა პოლიტიკური დასაყრდენი, რომელიც ერის ინტერესებს დაიცავდა. ამიტომ ბერანჟე იძულებული გახდა ბურბონებისათვის დაეჭირა მხარი და მათი სახელით გამოეხატა მოკავშირეთა ჯარების ძალმომრეობის ქვეშ მოქცეული ფრანგი ხალხის გულისტკივილი. გიორგი გვახავას გონივრულად შეურჩევია სათარგმნელად სამშობლოსადმი ფრანგი პოეტის სიყვარულით გამთბარი და ეროვნული სიამაყის გრძნობით აღსავსე ეს სიმღერა. მთარგმნელმა გაითვალისწინა, რომ „ნამდვილი ფრანგი" ეხმაურებოდა მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმით დაჩაგრული ხალხების მდგომარეობას. თარგმანი ქართველ მკითხველს სწორად აწვდის დედნის იდეას. პოეტური სახეები და რითმები გამართულია. „ნამდვილი ფრანგი" ქართულად სასიამოვნოდ ჟღერს:

„მინდა რუსი — რუსი იყოს,
გერმანელი — გერმანელი,
და არასდროს არ აიღოს
ფრანგობაზე ფრანგმა ხელი.
თუ მოგვაწყდა ერთად მტერი,
შემოვიდა უცხო ერი,
ჩვენ დავღვრით
უანგაროდ
უკანასკნელ სისხლის წვეთი —
და დავიცავთ საფრანგეთი".

ლექსი „ბატონი იუდა" ბერანჟემ დაწერა ლიბერალთა კრებისათვის, რომელსაც „მოციქულთა საზოგადოება" ეწოდება. ამ საზოგადოებას დიდხანს არ უარსებია, რადგან მას თავიდანვე შეერია სამეფო პოლიციის აგენტი. სწორედ ეს გამცემელი დახატა ავტორმა ლექსში, მაგრამ შექმნილი პოეტური სახე ისე კარგად მოერგო იმ დროისათვის ქვეყა-

ნაში მომრავლებულ სახალხო საქმის მოღალატეებს, რომ „ბატონი იუდა“ სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის მტრების, მონარქიის ჯაშუშების განსახიერებად იქცა ხალხის გონებაში. ასეთივე დიდი ძალა ჰქონდა ამ სიმღერის თარგმანებს რუსეთსა და საქართველოში, სადაც განსაკუთრებით მკაცრი მონარქიული რეჟიმი ბატონობდა. გვაზავას თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის ღირსებები. საინტერესოა შემდეგი სტროფი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ კი ვიცნობთ, და თუ წყნარა
ეს ლაჩარი მოგვეპარა,
ჩუმად ვიყოთ,
ჩუმად ვიყოთ,
ფრთხილად მასთან, ფრთხილად მუდამ,
არ გაგვყიდოს ამ იუდამ“.

საფრანგეთის ეროვნული ძნელბედობის მძიმე პირობებში, როცა ისტორიულად მოკლე დროში ერთმანეთს ცვლიდა სხვადასხვა ხელისუფლება, ფრანგების ერთი ნაწილი პირადი კეთილდღეობისათვის დგებოდა ყოველგვარი მთავრობის სამსახურში, ანგარების მიზნით იცვლიდა ფერს, ღალატობდა მშრომელი ხალხის, ერის ინტერესებს. მათგან განსხვავებით ბერანჟე ერთხელ არჩეულ გზას მიჰყვებოდა, რომელსაც იგი მშრომელთა გულებისაკენ მიჰყავდა. აკი თვითონ ამბობდა „ხალხი ჩემი მუზაა“. პოეტს არასოდეს უღალატია თავისი რწმენისათვის. მისი სულისკვეთება კარგად ჩანს ლექსში „ჩემი ფრაკი“, რომელიც მიზანშეწონილად შეურჩევია მთარგმნელს. ეს სიმღერა ქართველ მკითხველს მოაგონებს ილიას, აკაკის, ვაჟას შეხედულებას პოეზიის დანიშნულებაზე, პოეტის მოქალაქეობრივ მრწამსზე. ლექსში ბერანჟე გვამცნობს, რომ მას ქედი არ მოუდრეკია დიდკაცობის წინაშე და დარჩენილა ძველი ფრაკის ამარა, მაგრამ არ დაუკარგავს პატიოსნება.

გვაზავას არ გამორჩენია ბერანჟეს ის ლექსები, სადაც მოცემულია ასკეტიზმის კრიტიკა, აჟღერებულია ქვეყნად სიცოცხლის საგალობელი. ამგვარი რიგის ლექსებიდან მთარგმნელს ქართულად აუმეტყველებია სამი სიმღერა: „განდეგილი“, „მეყვავილე და მესაფლავე“ და „ეპიკურეს მიმდევარის ლოცვა“. ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის მეთაურის, იროდიონ ევდოშვილის პოეტური სიტყვა ნუგეშად მოევლინა ტანჯულ მუშათა კლასს. მისი მუზა უუფლებო მშრომელი ადამიანების ინტერესებს ემსახურებოდა, წინ მიუძღოდა მათ თავისუფლებისათვის გაჩაღებულ ცხარე ბრძოლებში. იროდიონ ევდოშვილის ნაწარმოებები იდეურად არის დაკავშირებული მის მიერ შესრულებულ თარგმანებთან. მას თარგმნილი აქვს ეჟენ პოტიეს, ფრანსუა კოპეს, რუჟე დე ლილის ლექსები, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ირ. ევდოშვილს მიუქცევია პიერ-ჟან დე ბერანჟეს შემოქმედებისათვის. ევდოშვილმა თარგმნა ფრანგი პოეტის მთელი რიგი მამხილებელი რევოლუციური ლექსები, გარდა ამისა მისი მიბაძვით დაწერილი აქვს საკუთარი ლექსებიც.

იროდიონს ბერანჟეს ლექსი „უსუსურები ანუ ბებრების მმართველობა“ უთარგმნია სათაურით „საფრანგეთის მომავალი“. ფრანგ მგოსანს უიმედოდ ესახება საფრანგეთის მომავალი. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ფრანგები წარმოუდგენია კაცუნებად და დაკნინებულ ადამიანებად. მმართველობა ძველებურად მოხუცებს უპყრიათ ხელთ. მათი სახით ავტორი გულისხმობს ბურბონთა დინასტიას. ბერანჟეს სურს ხალხს აგრძნობინოს, რომ ბურბონების ბატონობა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს საფრანგეთს. ამ სიმღერისათვის იგი პასუხისგებაში იქნა მიცემული. ევდოშვილზე, როგორც ჩანს,

დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მონარქიის წინააღმდეგ მიმართული სიმღერის სატირულ ძალას. მას შეუსრულებია აღნიშნული სიმღერის თავისუფალი თარგმანი. მიუხედავად ამისა, თარგმანში ნაწარმოების დედააზრი არ არის შეცვლილი. შეიძლება ითქვას დედნისეული ალეგორია თარგმანშია ახსნილი — რუსულის გავლენით ფრანგული სიტყვა „ბარბონ", რომელიც კნინობითი არსებითი სახელია და ნიშნავს „ბებრუცუნას", თარგმნილია როგორც „ბურბონი", ე. ი. გამომჟღავნებულია ბერანჟეს მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობა. პოეტური თვალსაზრისით თარგმანი უახლოვდება ორიგინალს, თუმცა ჯვარედინი რითმა ყველგან ვერ არის დაცული. ნიმუშად მოგვყავს პირველი ორი სტროფი თარგმანიდან:

„დავუმოყვრდი ერთხელ ეშმაკს,
მან სარკეში ჩამახედა,
საფრანგეთის მომავალი
მიჩვენა და გამიბედა:

ვხედავ მეოც საუკუნის
დასასრულშიც ხალხის ტანჯვას
პარიზს ჯარი შემორტყმია
და ბურბონი სცემს ქამანჩას"[1].

ასევე თავისუფალი თარგმანითაა შესრულებული ლექსი „დაფდაფები", რომლისთვისაც ევდოშვილს „ბარაბანი" უწოდებია. ამ სიმღერაში ბერანჟე კიცხავს უაზრო სისხლისღვრას, პოლიტიკურ ბრძოლებს, რომელთა მიზანია ჩინ-მედლების დაგროვება და არა ხალხის კეთილდღეობა. ეს იდეა ზედმიწევნით სწორად არის გადმოცემული თარგმანში მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიცავს 72 ტაეპს დედნისეული 80 ტაეპის ნაცვლად. ირ. ევდოშვილის დაინტერესება ბერანჟეს სოციალურ თემაზე დაწერილი ლექსებით ვლინდება აგრეთვე მის მიერ შესრულებულ თარგმანში სათაურით „დეპუტატის ანგარიში". ეს სათაური ქართველ პოეტს შეურჩევია სიმღერისათვის „ლიპიანი ანუ 1818 წლის სესიის ანგარიში". ლექსში გამათრახებულია უსინდისო დეპუტატი, რომელიც ღალატობს ხალხის ნდობას და ანგარების მიზნით მხარს უჭერს მეფის მთავრობას.

ლექსში „ახალგაზრდებს" ბერანჟე მოუწოდებს ახალგაზრდა თაობას პატივი სცენ 1830 წლის ივლისის რევოლუციის დროს დაღუპულთა ხსოვნას, არ დაივიწყონ ის ადამიანები ვინც მათ გზა გაუკაფა უკეთესი მომავლისაკენ. ევდოშვილმა ეს ლექსი თარგმნა 1905 წლის რევოლუციის შთაბეჭდილებების ზემოქმედებით. უდანაშაულო მშრომელთა სისხლისღვრით დამწუხრებულ ქართველ პოეტს იმედი არ დაუკარგავს, ამიტომ გაიზიარა. მან ბერანჟეს ლექსში გამოთქმული რწმენა იმის შესახებ, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიერ დაღვრილი სისხლი გზა-კვალს არ დაკარგავს. ამ თარგმანით იროდიონ ევდოშვილმა საკუთარი სათქმელი უთხრა თავის ხალხს. და დედნის შინაარსიც თანმიმდევრულად გადმოსცა. ბერანჟეს სიმღერის — „იდეის თავგადასავლის" გავლენით დაუწერია იროდიონ ევდოშვილს თავისი ლექსი „იდეა". მასში შთამბეჭდავად არის დახატული ჯანსაღი, პროგრესული აზრის ძლევამოსილება, ჩანს პოეტის რწმენა, რომ ჭეშმარიტად რევოლუციური იდეის წინაშე უძლურია ყოველგვარი რეაქციული ძალა, მაგრამ ლექსში თვალნათლივ არ არის მითითებული, თუ ვინ არის ამ ახალი იდეების

[1] ი. ევდოშვილი. ლექსები, ტომი I. სახელგამი. 1934 წ.

ავტორი და ვინ გაურბის მათ. რაც შეეხება ბერანჟეს „იდეის თავგადასავალს", აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ მოწინავე იდეა იბადება ხალხში და არა მაღალ წრეებში. მონარქიის დამქაშები მაგრად რაზავენ კარებს, რადგანაც მათ შიშის ზარს სცემს განახლების აჩრდილიც კი. ბერანჟეს „ჩემი ფრაკის" გავლენითაა დაწერილი აგრეთვე ევდოშვილის „ჩემს ძველ სერთუკს". ისე როგორც პოემაში „მუშა და მუზა", ამ ლექსშიც ევდოშვილი მუზას მიზნად უსახავს ჩაგრული მშრომელის სამსახურს.

ცხადია, ირ. ევდოშვილმა ბერანჟეს შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რევოლუციურ იდეებს. მან ფრანგი პოეტის სახით ჰპოვა თანამოაზრე, სულიერი მეგობარი. ევდოშვილმა იგრძნო, რომ მის დროში, მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ბერანჟეს პოეზიას არ დაუკარგავს ზემოქმედების ძალა, პირიქით, ფრანგი პოეტის ნააზრევი მძაფრად ეხმაურებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს, რომელიც მწვავედ განიცდიდა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას. ბერანჟეს მეამბოხე სული, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული შესანიშნავად მიესადაგა ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტის გრძნობებსა და მრწამსს. ამის შედეგად ქართულ ლიტერატურას შეემატა ღრმააზროვანი და საჭირო ნაწარმოებები — ევდოშვილის მიერ ქართულად ნათარგმნი ბერანჟეს სიმღერები და ამ სიმღერების გავლენით დაწერილი ევდოშვილის საკუთარი ლექსები.

ბერანჟეს, როგორც რეალისტი პოეტის შემოქმედება, გასული საუკუნიდან შესწავლის საგნად იქცა საქართველოში. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველი მწერლები და კრიტიკოსები ჯეროვნად აფასებდნენ ფრანგი პოეტების შემოქმედების სიდიადეს და მნიშვნელობას.

ბერანჟეს პოეზიას დღესაც არ დაუკარგავს სიცოცხლისუნარიანობა, იგი ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასაც ეხმიანება თავისი ზნეობრივი და ჰუმანური იდეალებით. ამჟამად მრავალი მკვლევარი იკვლევს ბერანჟეს პოეზიას.

თანამედროვე ქართველი პოეტები თარგმნიან ბერანჟეს ლექსებს, ქმნიან მისი ლექსების ვარიაციებს.

საყურადღებოა ქართველი პოეტი ქალის მზია ხეთაგურის მიერ ბერანჟეს რამდენიმე ლექსის თემაზე შექმნილი ვარიაციები, როგორიცაა: „ორანგუტანგები", „ღარიბები", „სახელოვანი მოკეთე".

„ღარიბები" ბერანჟეს ადრეული ლექსია, მისი ლირიკული გმირი მოკლებულია პოლიტიკურ შეგნებულობას, ვერ ილაშქრებს უსამართლობის და გაჭირვების წინააღმდეგ. პოეტი თანაუგრძნობს მშრომელ ხალხს, რომლის ქერქვეშ ყოველთვის მეტი სიხარული და სათნოებაა. ამ ლექსის ხეთაგურისეულ ვარიაციაში შეცვლილია დედნის შინაარსი, მაგრამ დაცულია მისი იდეა. ბერანჟეს „ორანგუტანგების" მიხედვითაა შექმნილი ქართველი პოეტის ამავე სახელწოდების მქონე ლექსი. ორიგინალიც და ვარიაციაც წარმოადგენს მწვავე სატირას, რომელშიც გამათრახებულია ადამიანთა მანკიერი თვისებები. „სენატორის" ვარიაციაა მზია ხეთაგურის „სახელოვანი მოკეთე", რომელშიც, ისე როგორც ფრანგ პოეტთან, ირონიულ-პაროდიული სტილისათვის დამახასიათებელი ხერხებითაა დახატული მოტყუებული ქმარი. ცალკე უნდა გამოვყოთ ბერანჟეს სატირული ლექსი „მესამე ქმარი". ავტორი კიცხავს ტყუილებსა და ანგარებაზე შექმნილ ოჯახს. პოეტ ქალს თეთრ ლექსად შეუსრულებია ამ სიმღერის თავისუფალი თარგმანი. მასში შენარჩუნებულია ორიგინალის დედააზრი. საგულისხმოა, რომ მზია ხეთაგურს ბერანჟეს პოეზიიდან შეურჩევია ის თემები, რომლებიც აქტიურად ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას.

1980 წლის 19 აგვისტოს შესრულდა 200 წელი პიერ-ჟან დე ბერანჟეს დაბადებიდან.

მსოფლიოს მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ეს თარიღი. საყურადღებოა, რომ ბრძენმა პოეტმა თავისი დაბადების დღესთან დაკავშირებით დაწერა ლექსი „19 აგვისტო", რომელშიც თვალს ავლებს განვლილი ცხოვრების გზას და ამბობს: „ალბათ წინასწარ ვიცოდი, რომ სახალხო პოეტის მძიმე ბრძოლებით აღსავსე ცხოვრება მელოდა და ამიტომ გამიჭირდა დაბადება—დედაჩემი კინაღამ გადაჰყვა ჩემს სიცოცხლეს". მგოსანს გული სტკივა, ვერ ურიგდება რევოლუციური იდეების წარუმატებლობას და ჩაგრული მშრომელი ხალხის ცქერას. ამისდა მიუხედავად, მაინც არ კარგავს მომავლის იმედს. უანგარო მოღვაწეობის პასუხად ბერანჟემ ხალხის საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. დიდი ჰუმანისტის პოეტური სიტყვა კვლავაც ცოცხლობს თავისუფლებისმოყვარე ხალხების გულში.

□

სტუმრად ვ. ი. ლენინთან